

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრი

GORI STATE TEACHING UNIVERSITY  
FACULTY OF HUMANITIES  
CENTRE OF HISTORY AND ARCHAEOLOGY

შრომათა კრებული  
COLLECTION OF THE WORKS  
№21

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის გამომცემლობა

2022

წინამდებარე კრებული ორ ნაწილადაა დაყოფილი. პირველი ნაწილი მოიცავს გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მიერ 2019 წლის 15-16 ნოემბერს ჩატარებული მეთორმეტე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე „განათლებისა და მეცნიერების ინოვაციური განვითარება: მიმართულებები, პრობლემები, პერსპექტივები“ ისტორიის სექციაზე წარმოდგენილ ნაშრომებს. კრებულის მეორე ნაწილი კი დათმობილი აქვს გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მიერ 2020 წლის 16 დეკემბერს ჩატარებული მეცნიერებისა და მეცნიერების ინოგაციური განვითარება: მიმართულებები, გამოწვევები და განვითარების პერსპექტივები“ ისტორიის სექციაზე წარმოდგენილ ნაშრომებს.

The present collection is divided two parts. The first part include Gori State Teaching University on November 15-16, 2019 At the Twelfth International Scientific Conference "Innovative Development of Education and Science: Directions, Problems, Perspectives" which Papers is presented in the history section. The second part of the collection is dedicated to the papers presented at the Thirteenth International Scientific Conference "Innovative Development of Education and Science: Directions, Challenges and Perspectives for Development" held by the Gori State Teaching University on December 16, 2020.

**რედაქტორი:** ელდარ მამისთვალიშვილი

**რედკოლების:**

მეუფე ანდრია (გვაზავა)

ზაზა ალექსიძე

ბუბა კუდავა

პაველ ლიბერა

ელდარ ნადირაძე

მურმან პაპაშვილი

ჯაბა სამუშია

გიორგი სოსიაშვილი

როინ ყავრელიშვილი

დავით ყოლბაია

ნოდარ შენგელია

**ტექნიკური რედაქტორი:** თამილა კოშორიძე

**Editor:** Eldar Mamistvalishvili

**Editorial Board:**

Metropolitan Andrea (Gvazava)

Zaza Alekisdze

Buba Kudava

Pawel Libera

Eldar Nadiradze

Murman Papashvili

Jaba Samushia

Giorgi Sosiashvili

Roin Kavrelishvili

David Kolbaia

Nodar Shengelia

**Technical Editor:** Tamila Koshoridze

ISSN 1512-4657

<b>შინაარსი</b> <b>CONTENTS</b>	<b>სტატიები</b> <b>Articles</b>
------------------------------------	------------------------------------

მეთორმეტე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე  
ისტორიის სექციაზე წარმოდგენილი ნაშრომები

იოსებ ალიმბარაშვილი – „მეფის ქალაქის“ (ახალქალაქის) მშენებლობის ქრონოლოგიისათვის 6

Ioseb Alimbarashvili – *FOR THE CHRONOLOGY OF BUILDING A "KING'S TOWN" (AKHAL-KALAKI)*

დავით ახლოური – ქართულ-ოსური კონფლიქტი და ახალგორი (1988-1991)

Davit Akhlouri – *GEORGIAN OSSETIAN CONFLICT AND AKHALGORI (1988-1991)*

12

ლია გაბუნია – ივანე ჯავახიშვილი ახალგაზრდების გარემოცვაში

Lia Gabunia – *IVANE JAVAKHISHVILI AMONG STUDENTS*

19

ოთარ დოლიძე – გავრის ბრძოლა

Otar Dolidze – *THE GAGRA BATTLE*

26

ელდარ თავბერიძე – ჭალატყის მაცხოვრის ჯვარცმის მონასტრის ისტორიიდან

Eldar Tavberidze – *THE CHALATKHE CRUCIFIXION MONASTERY (RECENT CHURCH) AND ITS ANTIQUITIES*

36

ნატა თეთვაძე – 1942 წლის შეთქმულების ისტორიიდან (კიტა ბუაჩიძე)

Nata Tetvadze – *1942 CONSPIRACY (KITA BUACHIDZE)*

42

ლელა თოგოშვილი – მუსიკალური კულტურა XI-XII საუკუნეების საქართველოში (საკითხის შესწავლისთვის)

Lela Togoshvili – *MUSICAL CULTURE IN THE XI-XII CENTURY IN GEORGIA (FOR LEARNING THE ISSUE)*

51

გიორგი იობაშვილი – ძმები სიმებები და საქართველო

Giorgi Iobashvili – *BROTHERS SIMENS AND GEORGIA*

56

იგორ კეკელია – პატრონიმის გენეზისის საკითხები გივი ელიავას ეთნოგრაფიულ ძეგლებიდან

Igor Kekelia – *ISSUES OF PATRONYMIC GENESIS IN GIVI ELIAVA'S ETHNOGRAPHIC HERITAGE*

61

ელდარ მამისთვალიშვილი – როსტომ მეფე მემკვიდრეების ძიებაში და მათთან დაკავშირებული ისტორიები

Eldar Mamistvalishvili – *ROSTOM KING IN SEARCH OF HEIRS AND STORIES RELATED TO THEM*

71

მანანა მიჩიტაშვილი – მძოვრეთის საქალაქო ცხოვრების ისტორიადან

Manana Michitashvili – *FROM THE HISTORY OF LIFE OF MDZOVRETI TOWN*

78

ოთარ ნიკოლეიშვილი – ერთი ბრიტანული წყარო საქართველოს შესახებ

Oter Nikoleishvili – *ONE BRITISH MATERIAL ABOUT GEORGIA*

91

გიორგი სოსიაშვილი – გორის არქივში დაცული ივანე ჯავახიშვილის ერთი უცნობი წერილის შესახებ

95

**Giorgi Sosishvili – ABOUT ONE UNKNOWN LETTER BY IVANE JAVAKHISHVILI PRESERVED IN GORI ARCHIVES**

კახაბერ ქებულაძე, იგორ კეკელია – ზოგიერთი საკითხი გრიგოლ გველესიანის საზოგადოებრივ-პოლიტიკური წახნაგებიდან

100

**Kakhaber Kebuladze, Igor Kekelia – SOME OF THE QUESTION FROM GRIGOL GVELESIANI'S PUBLIC-POLITICAL INCITEMENT**

ვაჟა ჩოჩია – ჯონ ტერლო - დაზვერვის დიდოსტატი

105

**Vazha Chochia – JHON TERLO – INTELLIGENCE GRANDMASTER**

ვლადიმერ წვერავა – ზუტნერები და ქუთაისი

110

**Vladimer Tsverava – THE SUTNERS AND KUTAISI**

მეცამეტე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე  
ისტორიის სექციაზე წარმოდგნილი ნაშრომები

იოსებ ალიმბარაშვილი - ბაღვაშები და ატენის „ქუეყანა“

116

**Ioseb Alimbarashvili – THE BAGHVASHS AND THE COUNTRY OF ATENI**

დავით ახლოური – სოფელი თინიკაანი XVIII საუკუნის მეორე ნახევარსა და XIX საუკუნის დასაწყისში

127

**Davit Akhlouri – THE VILLAGE OF TINKAANI IN THE SECOND HALF OF THE XVIII CENTURY AND THE BEGINNING OF THE XIX CENTURY**

ელდარ თავბერიძე – აკაკი წერეთელი კრწანისის ბრძოლაში იმერლების დალატის შესახებ  
**Eldar Tavberidze – AKAKI TSERETELI ABOUT THE IMERETIANS BETRAYAL IN THE KRTSANISI STRUGGLE**

134

ლელა თოგოშვილი – „ნასყიდობის ინსტიტუტი“ XIX საუკუნის რეფორმადელი ხანის საქართველოში (საკითხის შესწავლისათვის)

140

**Lela Togoshvili – "PURCHASING INSTITUTE" IN PRE-XIX CENTURY REFORM GEORGIA (TO STUDY THE ISSUE)**

გიორგი იობაშვილი – არტურ ლაისტი - „კავკაზიშე პოსტის“ რედაქტორი

146

**Giorgi Iobashvili – ARTHUR LEIST THE EDITOR OF "KAUKASISCHE POST"**

ელდარ მამისთვალიშვილი – ქართველ მეფე-მთავართა მისიონერების საქართველოში ყოფნით დაინტერესების მოტივები

150

**Eldar Mamistvalishvili – MOTIVES OF INTEREST IN THE PRESENCE OF GEORGIAN KINGS-CHIEF MISSIONARIES IN GEORGIA**

მანანა მიჩიტაშვილი – მძოვრეთის მწივონობრული კერის ისტორიიდან

155

**Manana Michitashvili – FROM THE HISTORY OF MDZOVRETI AS THE LITERACY CENTER**

გიორგი სოსიაშვილი – ქართულ-ოსეური ურთიერთობები და სამაჩაბლო

166

**Giorgi Sosishvili – GEORGIAN-OSSETIAN RELATIONS AND SAMACHABLO**

კახაბერ ქებულაძე, იზოლდა რუსაძე – რამდენიმე ეპიზოდი აკაკი წერეთლისა და კიტა აბაშიძის ურთიერთობიდან (ეძღვნება კიტა აბაშიძის დაბადებიდან 150 და აკაკი წერეთლის 180 წლისთავს)

182

**Kakhaber Kebuladze, Izolda Rusadze – SEVERAL EPISODES FROM THE NON-UNITY OF AKAKI TSERETELI AND KITA ABASHIDZE (DEDICATED TO THE 150TH ANNIVERSARY OF THE BIRTH OF KITA ABASHIDZE AND THE 180TH ANNIVERSARY OF AKAKI TSERETELI)**

დავით ჩოჩიშვილი – ებრაელები და ქართული ეკონომიკა (ძე-19 საუკუნის მეორე ნახევარი)

**Davit Chochishvili – JEWS AND THE GEORGIAN ECONOMY (SECOND HALF OF 19TH CENTURY)** 187

ვლადიმერ წერავა – გერმანელი მეწარმეები საქართველოში  
**Vladimer Tsverava – GERMAN ENTREPRENEURS IN GEORGIA**

193

ოთარ ჯანელიძე – აკაკი ხოშთარიას სპარსული კონცესიები  
**Otar Janelidze – AKAKI KHOSHTARIA'S PERSIAN CONCESSIONS**

199

„მეფის ქალაქის“ (ახალქალაქის) მშენებლობის ქრონოლოგიისათვის

საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს წარმოქმნის შემდეგ, ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში რამდენიმე ახალქალაქი წარმოიქმნა, მათ შორის, შიდა ქართლში, კახეთში, ჯავახეთში და სხვ.

ჩვენი ინტერესის საგანს კასპის მუნიციპალიტეტში, კასპიდან სამხრეთ-დასავლეთით, მდ. თემშის მარჯვენა ნაპირზე მდებარე ახალქალაქი წარმოადგენს.

ვახუშტი ბაგრატიონის ლოკალიზაციით ახალქალაქი „სხერტის ჭალის სამხრით არს თე- ძამზედ“<sup>1</sup>.

ახალქალაქის დაარსება შემთხვევითი არ არის. ეს ადგილები ძელთაგან „ვენახითა და ხი- ლით“ ნაყოფიერ ადგილებს წარმოადგენდა<sup>2</sup>, აქ გადიოდა თრიალეთ-მანგლისისა და შიდა ქარ- თლის დამაკავშირებელი მნიშვნელოვანი გზა. ახალქალაქიდან მიემართება გზები ერთაწმინდის, რკონის, იკვის, ქვათახევის ცნობილი მონასტრებისაკენ.

„თემშის“ ახალქალაქი ქართულ საისტორიო წყაროებში XIII საუკუნიდან ჩანს, სადაც რე- ზიდენცია ჰრისთავთერისთავ კახა მეჭურჭლეთუხუცესს<sup>3</sup>.

ახალქალაქი ასევე იხსენიება 1392 წელს ქართლ-კახეთ-მესხეთის საკათალიკოსო მამულე- ბის სითარხნის გუჯარში ოკამთან ერთად<sup>4</sup>.

თუმცა, ახალქალაქის ტერიტორია ჯერ კიდევ ანტიკური ხანიდან ჩანს დასახლებული. სერგი მაკალათიას სახ.გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში დაცულია ახალქალაქის ტერიტორიაზე მიკვლეული ბრინჯაოს ორი ცული, რომელიც გვიან-ბრინჯაო-ადრე რკინით თა- რიღდება<sup>5</sup>.

1908 წელს, ახალქალაქის მახლობლად, მიუკვლევიათ ბრინჯაოს ცულებისა და ზოდებისა- გან შემდგარი განძისათვის, რომელიც თიხის დიდ ჭურჭელში ყოფილა განთავსებული. განძი ექ- ვთიმე თაყაიშვილს შეუძენია კავკასიის მუზეუმისათვის<sup>6</sup>.

არ გამოვრიცხავთ, რომ ახალქალაქის ძელი სახელი ფავნისი იყო და მხოლოდ ფავნელთა ძალაუფლების დაკარგვის, დასახლების გაფართოებისა და სახასოდ (სამეფოდ) გამოცხადების შედეგად დაერქვა ახალქალაქი. დღეისათვის ფავნისი, ანუ გარიყულა ახალქალაქის სამხრეთ ნა- წილს წარმოადგენს, საიდანაც გზები მიემართება ერთაწმინდა-რკონისაკენ, ფავნისის წმ. გიორ- გის ეკლესია კი IX-X საუკუნეებით თარიღდება. ქტიტორებისა და ეკლესიის თანამედროვე

<sup>1</sup> ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება IV, თბ., 1973, გვ. 341,

<sup>2</sup> ვახუშტი ბატონიშვილი. გვ. 341

<sup>3</sup> ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა. შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობი- ლი და ახსნილი თევზო ურთიანიას მიერ. წიგნი II, თბ., 1897, გვ. 138-145. მართალია, საბუთში მითითებული არ არის, კახა რომელი ახალქალაქის მფლობელია, თემის, თუ ჯავახეთის, მაგრამ, შინაარსიდან გამომდინარე (სიგელი მიცემულია რკონის მონასტრისადმი და სოფელ ხოვლეს შეწირულობას ეხება. საბუთში ასევე იხსენიება მეტენის ღვთისმშობელი და კავთას შეწირული პარები, სოფელზე ხელისმომწერთა შორის არიან კახა ერისთავთერისთავის ცოლის ხათუას ძმა, ქართლის ერისთავთერისთავი ბექა, მანგლისის მთავარეპისკოპოსი არსენი და სხვ.), ვფიქრობთ, რომ საბუთში თემის ახალქალაქი უნდა ვიგულისხმოთ.

<sup>4</sup> ქართული სამართლის ტეგლუბი, ტ. III, საეკლესიო საკანონმდებლო ტეგლუბი (XI-XIX სს.). ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ისიდორე დოლიძემ. თბ., 1970, გვ. 178, დოკ. 23.

<sup>5</sup> გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმი (გსიემ), 7849

<sup>6</sup> ქართლის ცხოვრების ტოპორქეოლოგიური ლექსიკონი, თბ., 2014, გვ. 74.

მხატვრობიდან გამომდინარე<sup>1</sup>, ნაკლებად სავარაუდოა, მოცემული დროისათვის ამ ადგილებში მოსახლეობას არ ეცხოვრა. XVIII საუკუნის ბოლოს იოანე ბატონიშვილს ფავნისი და ახალქალაქი ცალ-ცალკე აქვს აღნიშნული<sup>2</sup>.

1609 წელს საქართველოში მოულოდნელად შემოვიდა ყირიმელი თათრების 60 ათასიანი ურდო, მანგლის-თრიალეთის გზით წამოვიდნენ, დაარბიეს ერთაწმინდა, ახალქალაქი და ცხირეთის საზაფხულო რეზიდენციაში მყოფ ლუარსაბ II-ზე აპირებდნენ მოულოდნელ თავდასხმას, მაგრამ გიორგი საკაძემ და ზაზა ციციშვილმა თემმის ნაპირზე, სხერტის ჭალასთან დაამარცხეს მომხდეულები, ისინი მტკვრის მარჯვენა ნაპირს აუყვნენ დოქს-ხილისთავის მიმართულებით, მაგრამ გორი მაშინ ადგილობრივმა ტერტერამ იხსნა, რომელმაც მდ. მტკვარზე გადებული ხილის ფიცრები აჰყარა და მტკერმა გორში გადასვლა ველარ მოახერხა. ხელმოცარული მტრის ურდო ტაშისკართან კიდევ ერთხელ დაამარცხა გიორგი საკაძემ და საქართველოდან განდევნა.

ახალქალაქის ხელახლი აღდგენა ქართლის მეფე როსტომის (1632-1658 წწ.) სახელთანაა დაკავშირებული.

როსტომმა ქართლში ჩამოსვლისთანავე ფართო აღმშენებლობითი და აღდგენითი საქმიანობა წამოიწყო. თანამეცხედრე დედოფალ მარიამთან ერთად, მის სახელს უკავშირდება სიმონ I-ის მეფობის ბოლოუაში დანგრეული გორის ციხისა<sup>3</sup> და მცხეთის დაქცეული „გუნბათის“<sup>4</sup> აღდგენა, განჯის გზაზე „გატეხილს ხიდს ზეით“, მდ. დებედაზე „გუნბეთიანი“ ხიდის აშენება<sup>5</sup>, ეკლესიების<sup>6</sup>, სასახლეების<sup>7</sup>, სარწყავი არხების<sup>8</sup>, გზების, წისქვილების განახლება-მშენებლობა<sup>9</sup> და სხვ.

როგორც ჩანს, ნაყოფიერი მიწებისა და სტრატეგიული მდებარეობის გამო, თემმის ხეობას მეფე განსაკუთრებით მფარველობდა. შემთხვევით არ არის, რომ ახალქალაქის მახლობლად, სოფ. თვალადში ჰქონია საზაფხულო სასახლე<sup>10</sup>.

როსტომს ახალქალაქში აუშენებია ქვიზეკირით ნაგები ციხე-გალავანი მრგვალი კოშკებითა და სათოფურებით, ეკლესია, მონასტერი და მისთვის „მეფის ქალაქი“ უწოდებია<sup>11</sup>.

ახალქალაქის, ანუ სამეფო ქალაქის მშენებლობას სოფლის ცენტრში მდებარე ღვთისმშობლის მონასტრის აღმოსავლეთის ფასადის ორი წარწერა გვაუწყებს. იგი გადმოუწერია პლატონ იოსელიანს ჯერ კიდევ 1850 წელს, რომელიც სრულად მოგვყავს: „მას უამსა ღდეს იჯდა ერან თურანსა ბედინერი ყავი ტელმწიფე შაჳ სეფი ...ქ. სახელითა ღუთისათა, ჩუტე საქართულოს ტელმწიფის შვილმან მეფეთ მეფემან პატრონმან როსტომ და თანამეცხდრემან ჩუტნმან დედოფალთ დედოფალმან პატრონმან მარიამ ტელმყავით აღშენებად თეძმის პირსა ზედა ქალაქი და სახელი უწოდეთ მეფის ქალაქი (ხაზგასმა ჩვენია - ი. ა.) და აღვაშენეთ საყდარი და მონასტერი ...ქალაქისა, ამის ძევიდრობისათვეს მეფის ქალაქელთა სომებთა ჩუენთა სახასოთა კაჭართა ქორონიკონს ტ, ..თოუტსა აპრილსა კდ“<sup>12</sup>.

<sup>1</sup> ეკატერინე პრივალოვა. შუა საუკუნეების ქართული პორტრეტის ისტორიიდან (XII საუკუნის საქტიტორო პორტრეტები ფავნისში), ჟურნ. „მეცნიერება“, 1966, № 8, გვ. 61-68.

<sup>2</sup> ბაგრატიონი ითანე. ქართლ-კახეთის აღწერა. ტექსტი გამოსცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებლები დაურთეს თინა ენუქიძე და გურამ ბედოშვილმა. თბ., 1986, გვ. 30.

<sup>3</sup> ელდარ მამისთვალიშვილი. გორის ისტორია, ტ. I, თბ., 2018, გვ. 169-171.

<sup>4</sup> ვახუშტი ბატონიშვილი. გვ. 346

<sup>5</sup> სარგის კაკაბაძე. ფარსადან გორგიჯანისძის ისტორია, ტფ., 1926, გვ. 32; 54

<sup>6</sup> საქართველოს ისტორიისა და კულტურის მეცნიერება, ტ. 5, თბ., 1990, გვ. 140-141

<sup>7</sup> ვახუშტი ბატონიშვილი, გვ. 341; გვ. სერგი მაკალათია. თემმის ხეობა, თბ., 1959, გვ. 15-16.

<sup>8</sup> იოსებ ალიმბარაშვილი. „შიდა ქართლის ქალაქ-სოფლების გასარწყავების საკითხი“, აკადემიკოს თეოფანე დავითათას 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენციის მასლები, შრომათა კრებული, ახალი სერია №3(82), თბ., 2011, გვ. 366-371

<sup>9</sup> საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 162

<sup>10</sup> სერგი მაკალათია. კავთურას ხეობა. თბ., 1960, გვ. 15

<sup>11</sup> სერგი მაკალათია. თემმის ხეობა, თბ., 1959, გვ. 15; საქართველოს ისტორიისა და კულტურის მეცნიერების, აღწერილობა, ტ. 5, გვ. 140.

<sup>12</sup> Пл. Иоселиани. Города существовавшие и существующие в Грузии, Тф., 1850, გვ. 27.

ე. ი. წარწერის მიხედვით, როსტომს სამეფო ქალაქში მისი კუთვნილი (სახასო, სამეფო) სომები ვაჭრები ჩამოუსახლებია. ცნობილია, რომ როსტომი განსაკუთრებით მფარველობდა სომებს (ამ შემთხვევაში გრიგორიანული აღმსარებლობის ქართველებს: თუმანიშვილებს, თურქესტანიშვილებს და ა. შ.) ვაჭრებს და შეღავათებსაც უწესებდა მათ. მაგ. 1649 წლის ბრძანების მიხედვით, თუმანიშვილების ყმებს სამოცი თუმნის ფარგლებში „არა ქალაქს, არა გორს და არა სხუაგან ბაჟი არ ეთხუებოდათ“<sup>1</sup>.

ხოსრო-მირზა შაპის „კაცი“ იყო და მისი კეთილგანწყობით სარგებლობდა. ეს მდგომარეობა ძალზე ხელსაყრელი აღმოჩნდა უმიწაწყლო სომხებისათვის, რომლებიც მეფის ინიციატივით სიხარულით მოდიოდნენ და სახლდებოდნენ განუწყვეტელი ომების შედეგად დანგრეულ ქალაქებსა და გაუკაცრიელებულ სოფლებში. როგორც ითქვა, როსტომ-ხანი მათ პრივილეგირებულ მდგომარეობაშიც აყენებდა და სამეფო ხარჯისგანაც ათავისუფლებდა<sup>2</sup>.

პლ. იოსელიანს გადმოუწერია ახალქალაქის ღვთისმშობლის ტაძრის მეორე წარწერაც, რომელიც მისი ქტიტორის ვინაობას გვამცნობს: „გვაგონა და მოგვახსენა ქალაქისა და საყდრისა ამის აღმენება კარისა საყდრისა ამისა ჩუტნისა ძღივანმან ყორლანაშვილმან მერაბ და ისი ვაღვაწეთ აღმენებად საყდრისა ამისა. ვინცა პსერვიდეთ მოიხსენიებდნენ მერაბს ყოველნივე“<sup>3</sup>.

მერაბ ყორლანაშვილი, როგორც „ხელმწიფის კარის მდივანი“, ასევე მოხსენიებულია 1635<sup>4</sup>, 1654<sup>5</sup> და 1661<sup>6</sup> წლების ქართულ საისტორიო საბუთებში.

მოგვიანებით, ღვთისმშობლის ძველი ეკლესია სიძველის გამო დაუნგრევიათ და მის ნაცვლად, გალავანს გარეთ, აუშენებიათ სომხური ტაძარი, რომლის ერთ მხარეს ჩაუშენებიათ ძველი ეკლესიიდან წამოღებული წარწერიანი ქვები.

როდის უნდა აეშენებინა როსტომს სამეფო ქალაქი? როგორც ვხედავთ, წარწერაში ქორონიკონი ბოლონაკლულია და მხოლოდ საწყისი „ტ“ განირჩევა, რაც ქართული წელთაღრიცხვით 300-ს ნიშნავს და 1600 წელს გვაძლევს. სამაგიეროდ, ზუსტად გვამცნობს თვესა და რიცხვს - აპრილის 24-ს.

ცნობილია, რომ როსტომი 1632-1658 წლებში მეფობდა, ხოლო „მეფის ქალაქი“ ირანის მმართველის შაპ-სეფის დროს აუშენებია, ეს თარიღი კიდევ უფრო შეიძლება დავიწროვდეს, რადგან შაპ-სეფი 1629-1642 წლებში განაგებდა ირანს. წარწერაში იხსენიება მარიამ დედოფალიც, რომელიც, უკვე როსტომის თანამეცხდრება.

როდის უნდა მომხდარიყო როსტომისა და მარიამის შეუღლება? როგორც ცნობილია, როსტომს პირველ მეუღლედ გორჯასპი აბაშიშვილის ქალი ქეთევანი ჰყავდა, მაგრამ იგი მაღევე გარდაიცვალა<sup>7</sup>.

დავით კარიჭაშვილის ცნობით, მარიამ დადიანთან როსტომის მეორე ქორწინებას ადგილი 1634 წელს ჰქონდა<sup>8</sup>.

ვახუშტი ბატონიშვილი როსტომ ხანისა და მარიამ დადიანის ქორწილის თარიღად 1638 წელს მიიჩნევს<sup>9</sup>. ვახუშტის ეს ცნობა დავით კარიჭაშვილსაც არ რჩება უყურადღებოდ, მაგრამ 1634 წლის არგუმენტის უპირატესობად იგი მიიჩნევს ხონისა და ილორის ხატების ზედწერი-

<sup>1</sup> სოსო ალიმბარაშვილი. ტინისხიდის ისტორია, გორი 2005, გვ. 105

<sup>2</sup> იოსებ ალიმბარაშვილი. საქართველო-სომხეთის ურთიერთობა XIII-XIX ს. 60-იან წლებში, წიგნში: საქართველო-კავკასიის ქვეყნების ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 2014, გვ. 103.

<sup>3</sup> პლ. იოსელიანი. გორი 2005, გვ. 28.

<sup>4</sup> ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, თბ., 1972, გვ. 70-72, დოკ. 20

<sup>5</sup> ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VIII, თბ., 1985, გვ. 441, დოკ. 850

<sup>6</sup> ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VIII, გვ. 442, დოკ. 851

<sup>7</sup> ვახუშტი ბატონიშვილი, გვ. 439

<sup>8</sup> დავით კარიჭაშვილი. როსტომ მეფე, ზ. ჭიჭინაძის გამოცემა, ტფ., 1894, გვ. 14.

<sup>9</sup> ვახუშტი ბატონიშვილი, გვ. 44

ლობებში იმერეთის მეფის გიორგის ტყვეობის ფაქტს, რომელსაც იმავე 1634 წელს პქონდა ადგილი<sup>1</sup>.

იმერეთის მეფე გიორგი 1637 წელს გარდაიცვალა<sup>2</sup>, ამიტომ ვაზუშტის თარიღი მართლაც საეჭვო უნდა იყოს, მაგრამ არც დავით კარიჭაშვილის მიერ მითითებული თარიღია (1634 წ.) ზუსტი.

როგორც ხონის, ასევე ილორის წარწერებში ქორონიკონით ვიღებთ 1636 წელს. ხონის ეკლესიის წმ. გიორგის ხატის წარწერაში, სადაც ლევან დადიანის მიერ ბალდადთან იმერეთის მეფე გიორგის ძლევაზეა საუბარი, ქორონიკონი 324-ია მითითებული<sup>3</sup>, რაც 1636 წელს გგაძლევს (324+1312=1636). ასევე 1636 წელია (ქორონიკონი ტკდ) მითითებული ლევან დადიანის მიერ ბალდადთან იმერეთის მეფე გიორგის, მისი შვილების: ალექსანდრეს, მამუკას და სიმამრის: კახთ ბატონის - თეიმურაზის ძლევის თარიღად ილორის წმ. გიორგის ხატზე<sup>4</sup>.

ზემოხსენებულ ქორწილზე საუბარია თვით როსტომის მიერ 1648 წელს გაცემულ სიგელში, სადაც, მართალის ქართლის მეფე ქორწილის წელს არ აკონკრეტებს, მაგრამ მითითებულია, რომ ქორწილი „იმავ წელს გარდაუხდია“, როდესაც კახთა მეფე თეიმურაზი დაუმარცხებია და იგი შვილებთან ერთად იმერეთში გახიზნულა<sup>5</sup>, ამ ფაქტს კი იმავე 1636 წელს პქონდა ადგილი<sup>6</sup>.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, როსტომ მეფესა და მარიამ დედოფალს „მეფის ქალაქი“ 1636-1642 წლებში უნდა აეშენებინათ.

როსტომის გარდაცვალების შემდეგ, „მეფის ქალაქის“ ფუნქცია და მნიშვნელობა, როგორც ჩანს, მალევე შემცირდა და XVIII-XIX საუკუნეების ისტორიულ დოკუმენტებში<sup>7</sup> ისევ ახალქალაქის სახელით ფიქსირდება, იოანე ბატონიშვილს XVIII საუკუნის ბოლოს ახალქალაქი „მოსახლენის“ კატეგორიაში გაჰყავს<sup>8</sup>, თუმცა, ქალაქად აღარ იხსენიება. განსაკუთრებით მძიმედ იმოქმედა მასზე „ლეკიანობამ“, რადგან ლეკების ერთ-ერთი გზა, სწორედ თემის ხეობაზე გადიოდა. ამის მიუხედავად, XVIII-XIX საუკუნეებში გაცემული საბუთებიდან ჩანს, რომ ახალქალაქში ჯერ კიდევ მოქმედებდა წისქვილი<sup>9</sup>, დუქანი, ქარვასლა<sup>10</sup>, სამღებროები<sup>11</sup>, სამჭედლო<sup>12</sup> და სხვ.

ახალქალაქის მოურავები გიორგი სააკაძის შთამომავალი თარხნიშვილები იყვნენ, ხოლო სამეფო ხელისუფლების გაუქმების შემდეგ მთლიანად დაუუფლნენ ქალაქს<sup>13</sup>. ამ გვარისაგან XVIII საუკუნის ბოლოს და XIX საუკუნის პირველ ნახევარში განსაკუთრებით ცნობილია ყორიასაულბაში ზაზა თარხნიშვილი და მისი ვაჟები დავითი, სოლომონი და ლუარსაბი. უფროსი ვაჟი დავითი, ერეკლე II-სა და გიორგი XII-ის დროს ფლობდა მინბაშის სახელოს. აღმოსავეთ საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ, შევიდა მათ სამსახურში, პოლკოვნიკის ჩინი

<sup>1</sup> დავით კარიჭაშვილი. როსტომ მეფე, გვ. 14, სქოლიო.

<sup>2</sup> ქრონიკები, II, გვ. 452.

<sup>3</sup> ექვთიმე თაყაიშვილი. არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, წიგნი II, ტფ., 1914, გვ. 276.

<sup>4</sup> ქრონიკები, II, გვ. 451.

<sup>5</sup> ქრონიკები, II, გვ. 463.

<sup>6</sup> ექვთიმე თაყაიშვილი. არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, წიგნი II, გვ. 276

<sup>7</sup> საქართველოს ისტორია ტოპონიმიაში, ტ. I, დ. მუხრანიშვილის რედ., თბ., 2010, გვ. 89; Акты Собранные Кавказскою Археографическою Коммисиою, т. I. Тифл. 1866, გვ. 467, დოკ. 575

<sup>8</sup> ბაგრატიონი იოანე. ქართლ-კახეთის აღწერა, გვ. 30.

<sup>9</sup> ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, გვ. 269, დოკ. 185.

<sup>10</sup> დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან. ტ. I (XV-XVIII სს.), ნიკო ბერძენიშვილის რედ., თბ., 1940, გვ. 159-160, დოკ. 225

<sup>11</sup> ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VIII, გვ. 673, დოკ. 695; საქართველოს ისტორია ტოპონიმიაში, ტ. I, გვ. 89.

<sup>12</sup> საქართველოს ისტორია ტოპონიმიაში, ტ. I, გვ. 88

<sup>13</sup> საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, ტ. 5, გვ. 140.

მიიღო და გორის მაზრის თავადაზნაურთა მარშალი გახდა, რის გამოც მათ ოჯახს „მარშლიანთ“ უწოდებდნენ. სწორედ მან აშენა სოფ. გარიყულაში ე. წ. „მარშლიაანთ“ სასახლე<sup>1</sup>.

XVII-XVIII საუკუნეებში ახალქალაქის მაცხოვრებელთა შორის ჩანან: გიორგი სააკაძის შვილიშვილები: დავითი, როსტომი და ზემთელი, დავითის ვაჟი ზაზა, ბეჟანა ნაზარაშვილი<sup>2</sup>, ახალქალაქის მამასახლისი ელისბარა და მისი ბიძაშვილი გიორგი, როსტევანიშვილი ბეჟანა, ჯავახიშვილი ფარემუზა<sup>3</sup>, სპანდიერაანთ არაქელა<sup>4</sup>, საბუაშვილი ტერტერა<sup>5</sup> და სხვ.

XIX ს. ბოლოს<sup>6</sup>, ექვთიმე თაყაიშვილს ახალქალაქში ელენე გრუზინსკაიას<sup>7</sup> სახლში უნა- ხავს ძვირფასი ხატები (სულ, ჩამონათვალში 26 ხატია), ხელნაწერები და წიგნები, ძირითადად, XVII-XIX საუკუნეებით დათარიღებული<sup>8</sup>.

საქართველოში რუსული ხელისუფლების დამყარების შემდეგ, ახალქალაქი ქალაქის ფუნ- ქციას კარგავს და გორის მაზრაში, ხიდისთავის უბანზე გაწერეს.

XIX ს. ბოლოს ახალქალაქის მოსახლეობა საგრძნობლადაა გაზრდილი და 507 კომლს (2333 სულს) შეადგენს, აქედან, დიდი უმრავლესობა კვლავ ქართველები და სომხები არიან<sup>9</sup>.

ახალქალაქს წითელ-ქალაქსაც უწოდებდნენ. ცნობილია, რომ წითელი (ძოწი, მეწამული) სამეფო ფერი იყო და სამეფო ქალაქებს სხვა ქვეყნებშიც ერქვათ წითელი ქალაქი<sup>10</sup>, თუმცა, სა- ქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, ბოლშევიკებმა, მათი სიმბოლიკიდან გამომდინარე, ახალქალაქს ისევ შეუცვალეს სახელი და 1921-დან წლიდან - 1946 წლის 2 ნო- ემბრამდე „წითელ ქალაქად“ იწოდებოდა<sup>11</sup>.

2002 წელს ახალქალაქში 1233 სული (576 კაცი, 657 ქალი) ფიქსირდება, მოსახლეობის 94% ეთნიკურად ქართველია<sup>12</sup>, ხოლო 2015 წლის ბოლო აღწერით - 1050 სული (522 კაცი, 528 ქალი)<sup>13</sup>.

ახალქალაქში ცხოვრობდა ცნობილი ქართველი ხალხოსანი მწერალი ქალი ეკატერინე გა- ბაშვილი.

აქვე, გარიყულაში მდებარეობს პოლონელი ინჟინრისა და არქიტექტორის ვასილი ბოლ- გარსკის მიერ 1885 წელს აშენებული სააგარაკო სასახლე და მამული, რომელიც დღეისათვის

<sup>1</sup> დაწვრ. ამ საკითხზე, იხ: იოსებ ალიმბარაშვილი. „მარშლიაანთ ხარჯები“, უკრ. „ისტორიანი“, № 2 (98), 2019 წლის თებერვალი, გვ. 30-37.

<sup>2</sup> დოკუმენტები ... ტ. I, გვ. 159-160, დოკ. 225.

<sup>3</sup> ქართული სამართლის ძევლები, ტ. IV, გვ. 269, დოკ. 185.

<sup>4</sup> დოკუმენტები ... ტ. I, გვ. 220, დოკ. 314.

<sup>5</sup> ქართული სამართლის ძევლები, ტ. VIII, გვ. 880, დოკ. 893.

<sup>6</sup> ექვთიმე თაყაიშვილს მითითებული არა აქვს, თუ როდის ნახა მითითებული სიწმინდეები ელენე გრუზინსკაიას სახლში, მაგრამ, ხატების ჩამონათვალში გვხვდება ორბელიანის ასულ თინათინისა და არქიმანდრიტ დოსითეოზის უხრწელი ნივთი, რომელიც 1899 წლის (ჩემფ) 1 თებერვლით თარიღდება. ელენე თარხან-მოურავი გარდაიცვალა 1903 წელს. აქედან გამომდინარე, ე. თაყაიშვილის ვიზიტი „გრუზინსკებთან“ 1899 – 1903 წლებს შორის უნდა შემდგარიყო.

<sup>7</sup> იგულისხმება ელენე ზაქარიას (ზაზას) ასული თარხან-მოურავი (1833-1903 წწ.), ალექსანდრე ბაგრატის ძე ბაგრატიონ-გრუზინსკის მეუღლე, რომელთანაც შეეძინა ცხრა შვილი, აქედან 7 ვაჟი (იხ: <https://br.rodovid.org/wk/Dibar:Tree/316937>).

<sup>8</sup> ექვთიმე თაყაიშვილი. არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, წიგნი I, ტფ., 1907, გვ. 207-213.

<sup>9</sup> Свод статистических данных о населении закавказского края извлеченные из посемейных списков 1886 г. Тифл., 1893, №1087.

<sup>10</sup> მაგ., მაროკოში ძველ საიმპერატორო ქალაქს ერქვა მარაქეში, ანუ წითელი ქალაქი. რუსეთში 1584 წელს მეფე თევდორე I-მა დააფუძნა ქალაქი იოშეარ-ოლა (ცარ्प-ოლა) იგივე ცარევოკოქშაისკი და სხვ.

<sup>11</sup> საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდორუმის საინფორმაციო-სტატისტიკური განყოფილება, „საქართველოს სსრ აღმინისტრაციულ ტერიტორიული დაყოფა 1949 წლის 1 სექტემბრისათვის“, თბ., 1949.

<sup>12</sup> საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერის ძირითადი შედეგები (საქართველოს სოფლების მოსახლეობა), ტ. 2, თბ., 2003, გვ. 228.

<sup>13</sup> მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერა, <http://census.ge/ge/results/census1/migration>

ხელოვანთა და მხატვართა თავშეყრისა, გამოფენებისა და სხვადასხვა საინტერესო პროექტების განხორციელების ადგილს წარმოადგენს.

*Ioseb Alimbarashvili*

*Gori State Teaching University*

**FOR THE CHRONOLOGY OF BUILDING A "KING'S TOWN" (AKHALKALAKI)  
RESUME**

Together with the unification of Georgia, several towns of Akhalkalaki were founded in the country, namely in Javakheti, Shida Kartli on the river Tedzami.

The further promotion of the town Akhalkalaki, located in Kartli, and changing it into a King's town, is connected with the name of King Rostom (1632- 1658). Upon arrival from Iran, the King began extensive construction works: bridges, caravanserais, channels, mills etc. Based on the activity, he especially encouraged Armenian merchants, whom he populated on Georgian territory and made allowances for them.

The years of construction of the King's town, or Akhalkalaki on the river Tedzami by King Rostom is analyzed and specified in the article. It is also proved by the Virgin Mary inscription, made by the King Rostom and his wife, Queen Mariam. However, the inscription, where the construction years were given, is not complete, it is damaged, and only by mentioning the reigning years of Iranian Shah Sefi I, and the wedding year of Rostom and Mariam, it is possible to define the possible construction years.

It is also possible to define the etymology of the second name of the King's town - "Red Town", which is specified in the article. Akhalkalaki was called "Red Town" in the Soviet period (1921 – 1946), though "Red Town" does not have anything to do with the Soviet symbolism. It is much older. Red color (crimson, garnet) is considered to be a royal one from the ancient times and in many countries "Red Town" was the name given to King's towns in Morocco (Marrakesh), Russia (Yoshkar – Ola) etc.

## ქართულ-ოსური კონფლიქტი და ახალგორი (1988-1991)

დღესაც ძალიან ბევრი ახალგორის მხარეს სამაჩაბლოდ მიიჩნევს, მაგრამ, აუცილებლობა მოითხოვს ითქვას, რომ ისტორიული ქსნის საერისთავო არასოდეს ყოფილა არც სამაჩაბლოს, არც ცხინვალის რევილის და, მითუმეტეს, არც ოსეთის ნაწილი, იგი ქსნის ერისთავებს ეკუ-ვნოდათ. მხოლოდ 1922 წლის 20 აპრილს, ბედის უკუღმართობის გამო მოხდა ისე, რომ მაშინდელი საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დეკრეტით ახალგორის რაიონი, ახლადშექმნილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქს დაუქვემდებარეს... ახალგორის ბედი ათეულობით სხვა ქართულმა სოფელმაც გაიზიარა, რასაც ადგილობრივი მოსახლეობის არაერთი სამართლიანი პროტესტი მოჰყვა<sup>1</sup>... სამწუხაროდ, აღარაფერი შეცვლილა, ახლანდელი ახალგორის მუნიციპალიტეტი 1922-1990 წლებში ზემოთხესნებული ოლქის შემადგენლობაში შედიოდა. უფრო მეტიც, 1935 წელს ახალგორს ისტორიული სახელწოდება შეუცვალეს და ლენინგრადი უწოდეს.<sup>2</sup>

ცხადია, ქართლის გულში ჩადებული ნაღმი მაშინ უნდა ამოქმედებულიყო, როცა საბჭოთა იმპერიას დაშლის საფრთხე შეექმნებოდა. ამის დასტურია თუნდაც საბჭოთა კავშირის პირველი და უკანასკნელი პრეზიდენტის მიხეილ გორბაჩოვის 1991 წლის სატელეფონო საუბარი საქართველოს პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიასთან. საბჭოეთის ლიდერი გამსახურდიას მიანიშნებდა, რომ დამოუკიდებლობის გამოცხადების შემთხვევაში საქართველო დაკარგავდა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიებს.<sup>3</sup> ეს არ იყო კრემლის პირველი მუქარა. გორბაჩოვი 1990 წლის ნოემბრში საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს - აკაკი ასათიანსაც აფრთხილებდა, რომ თუ საქართველოს კავშირიდან გასვლის მცდელობა ექნებოდა, პრობლემები შეექმნებოდა მის ავტონომიურ წარმონაქმნებს და, ზოგადად, ეროვნული უმცირესობებით დასახლებულ რევილებს. რუსეთის ამის გამოცდილება უკვე პქონდა 1918-1921 წლებში, როცა დემოკრატიულ საქართველოს სამჯერ ისები და ორჯერ აფხაზები აუმსხედრა.<sup>4</sup> დაძაბულობას ზრდიდა საქართველოს ისტორიაში ჩაუხედავი ცნობილი მოღვაწეების გამონათქვამებიც, მაგალითად, 1989 წლის ივნისში, ერთ-ერთ ონტერვიუში ანდრეი სახაროვა საქართველოს პატარა იმპერია უწოდა, რითაც სეპარატისტები კიდევ უფრო წააქეზა... კონფლიქტის ესკალაციას ხელი შეუწყო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ 1990 წლის აპრილში მიღებულმა სპეციალურმა კანონმა საბჭოთა ავტონომიების უფლებების გაზრდის შესახებ. სწორედ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ხელმძღვანელობის მიერ მეოცე საუკუნის 80-იანი წლების მეორე ნახევრისა და 90-იანი წლების დასაწყისში განხორციელებული დესტრუქციული პოლიტიკა გახდა ძირითადი მიზეზი საქართველოში ეთნოპოლიტიკური სიტუაციის დაძაბვისა. დ. პიპი-

<sup>1</sup> თოიძე ლ., ოსური ავტონომიის შექმნა საქართველოში, წიგნში „ოსთა საკითხი“, გამომცემლობა „პითაგორა“, 1996, გვ. 338-346.

<sup>2</sup> ახლოური დ., ახალგორის ისტორია უძველესი დროიდან ქსნის საერისთავოს გაუქმებამდე (1777 წ.), თბ., 2006, გვ. 3.

<sup>3</sup> გამანარია ჯ., ზვიად გამსახურდიას პოლიტიკა აფხაზეთში (1990-1993 წწ.), თბ., 2004, გვ. 3.

<sup>4</sup> ოხანაშვილი ნ., „ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების გამომწვევი მაზეზების თეორიული ანალიზი (სამხრეთ კავკასიის შემთხვევა)“, სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 2018, გვ. 52.

<sup>5</sup> ბულისკრია, მ., რუსეთ - საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომის საერთაშორისო შეფასების ისტორიისთვის. სადისერტაციო ნაშრომი. თბ., 2016, გვ. 85.

<sup>6</sup> ჩიტაძე ნ., საქართველოს ავტონომიური რესპუბლიკების სამართლებრივი სტატუსი: წარსული, აწმყო, მომავალი, თბ., 2011, გვ. 5.

ნაშვილის სამართლიანი შენიშვნით: „სამხრეთ ოსეთის“ პოლიტიკურმა კონფლიქტმა ფაქტიურად მიიღო „ქართულ-ოსური“ კონფლიქტის სახე, რომელსაც ეთნო-ნაციონალური ხასიათი ჰქონდა. მიუხედავად ყველაფრისა, იმის გამო, რომ კონფლიქტის თავდაპირველ პროვოცირებაში გაცილებით უფრო დიდი „წვლილი მიუძღვდა მოსკოვის იმპერიულ პოლიტიკას, ვიდრე ქართველ და ოს ხალხებს შორის არსებულ ეთნოსმორის წინააღმდეგობებს, ქართულ-ოსური დაპირისპირება, ვფიქრობთ, პოლიტიკური კონფლიქტი უფროა, ვიდრე ეთნიკური.“<sup>1</sup>

ცხინვალში სიტუაცია კიდევ უფრო გაართულა 1988 წლის ნოემბერში ჩამოყალიბებულმა რადიკალურმა მოძრაობამ „ადამონ-ნიხასმა“ (სახალხო ფრონტი), მისი უმთავრესი მიზანი რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთის გაერთიანება იყო. ადვილი მისახვედრია, ვისი დაკვეთით მოქმედებდნენ ოსი სეპარატისტები და მათი ლიდერი ალან ჩოჩიევი.

ცხინვალში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები მძაფრად აისახებოდა ოლქის მთელ ტერიტორიაზე და მათ შორის ახალგორის რაიონზეც.

„ადამონ-ნიხასმის“ პირველი ნაბიჯი გახსნდათ 1989 წელს ცხინვალში ჩატარებული მიტინგი, როთაც უპასუხეს იმავე წლის 15 აგვისტოს მიღებულ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებას ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის შესახებ და მოითხოვეს დადგენილების მიღება ოსური ენის განვითარების სახელმწიფო პროგრამის თაობაზე. ამას მოჰყვა 4 სექტემბერს საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტისა და სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს აღმასკომის მიერ მიღებული შესაბამისი დადგენილება, რომლის მთავარი ამოცანა ოსური ენის კონსტიტუციური სტატუსი იყო, იგი ქართულ და რუსულ ენებთან ერთად ოლქში სახელმწიფო ენად გამოაცხადეს. ვნებათაღელვა იზრდებოდა და შეიძლება ითქვას, რომ პიქს მაშინ მიაღწია, როცა „ადამონ-ნიხასმის“ ზემოქმედებით, 10 ნოემბერს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მეოცე მოწვევის სახალხო დეპუტატთა საბჭომ სამხრეთ ოსეთის სტატუსის ამაღლების შესახებ გადაწყვეტილება მიიღო, როთაც სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი გარდაიქმნებოდა სამხრეთ ოსეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად, მართალია საქართველოს შემადგენლობაში, მაგრამ სიტყვა „საბჭოთა“ მკვეთრად მიუთითებდა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე ისინი აღარ ცნობდნენ ჩვენს ორისდიქციას. როცა 1989 წლის 23 ნოემბერს საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერებმა ცხინვალში მრავალათასიანი მიტინგის ჩატარება მოისურვეს, მათ წინ სწორედ „ადამონ-ნიხასმის“ აღუდგა საბჭოთა კავშირის შინაგან ჯართან ერთად ლენინის სურათებით და ტრანსფარანტებით, სადაც მიგვანიშნებდნენ, რომ ოსეთი იყო, არის და იქნება საბჭოურიო... ამის კვალდაკვალ, ოლქის ქართულ სოფლებში და მათ შორის ახალგორის რაიონშიც, დაიწყო სოფლის პატრიოტული ორგანიზაციების ჩამოყალიბება, ერთ-ერთი პირველი ასეთი ორგანიზაცია ახალგორთან ახლოს მდებარე სოფელ იკოთში შეიქმნა.<sup>2</sup> პატრიოტული ორგანიზაცია ჩამოყალიბდა ქარჩოხის ხეობაშიც, რომელშიც სოფლის ახალგაზრდობასთან ერთად მოსწავლეებიც ვიყავით ჩართულები და ხშირად ანტიქართული გამოხტომების საწინააღმდეგოდ გამართულ მიტინგზე მონაწილეობის მისაღებად ფეხითაც გვიწევდა ქარჩოხიდან (რომელიც ქსნის ხეობის სათავეებთან ყველაზე ახლო დასახლება იყო) ახალგორში ჩასვლა... ასეთ მრავალათასიან მიტინგებს 1990-იანი წლების დასაწყისიდან სისტემატური ხასიათი მიეცა.

სიტუაციის დაძაბვა არ შეიმჩნეოდა ახალგორში მცხოვრებ ქართველებსა და ოსებს შორის, რადგან ოსების უმრავლესობა ქართულ პოზიციაზე იდგა. თუმცა იყო გამონაკლისი შემთხვევებიც; გაზეთ „სამაჩაბლოს“ 1990 წლის თებერვლის ნომერში გამოქვეყნდა ახალგორში მოქმედი

<sup>1</sup> პიპინაშვილი დ., სამხრეთ კავკასიის კონფლიქტები და რეგიონული სტაბულირობის პრიბლები, თბ., 2008, გვ. 77.

<sup>2</sup> შიდა ქართლის - სამაჩაბლოს რეგიონალური სახალხო ფრონტისა და წმინდა ილია მართლის საზოგადოების სამაჩაბლოს ფილიალის არაპერიოდული გაზეთი „სამაჩაბლო“, №3, თებერვალი, 1990, გვ. 6.

ანტიქართული მოძრაობის მონაწილეთა სია, გამოკვეთილი იყო მოძრაობის ლიდერები, აქტიური და რიგითი წევრები, მათ შორის ზოგს ოსებისათვის იარაღით დახმარებაში ეჭვმიტანილის შეფარებისთვის „ამხელდნენ“, ზოგს „ადამონ-ნიხასის“ მეგობრობისა და კრემლის აგენტობისთვის... სიაში 18 მოქალაქეა ჩამოთვლილი, ქალებიც და მამაკაცებიც... მათგან უმრავლესობა (ერთის გამოკლებით), უროვნებით ოსი გახლდათ, ყველა მათვანი კარგად იყო ცნობილი ახალგორის საზოგადოებისთვის, როგორც თანამდებობით, ისე სხვადასხვა პოზიციებზე მოღვაწეობით.<sup>1</sup> ჩვენთვის შეუძლებელია იმის დადგენა, თუ რამდენად მიუძლოდა ამა თუ იმ პირს ბრალი ანტიქართულ ქმედებებში და არც ახლაა ამის კვლევის აუცილებლობა, მაგრამ ერთი უნდა ითქვას, წყალი ახალგორშიც საკმაოდ იყო ამღვრული.

1989 წლის 10 ნოემბერს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას სამხრეთ ოსეთის სტატუსის მაღლების შესახებ გარკვეული რეზონანსი ახალგორშიც მოჰყვა; 12 ნოემბერს რუსთაველის საზოგადოების ლენინგორის რეგიონული ორგანიზაციის ინიციატივით დაბის ტერიტორიაზე ჩატარდა მიტინგი. მომზადდა სამპუქტიანი საპროტესტო მიმართვა, რომლის ადრესატებიც იყვნენ: საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მორიგი სესია, სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების პრეზიდენტი, სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტი. მიმართვაში ვკითხულობთ:

,1. ქალაქ ცხინვალში 10 ნოემბერს ჩატარებული სესია უნდა გამოცხადდეს არაკონსტიტუციურად, მის არცერთ გადაწყვეტილებას არ უნდა მიეცეს კანონის ძალა. წინააღმდეგ შემთხვევაში მივმართავთ საწინააღმდეგო ღონისძიებებს.

2. ფორმალური გაერთიანება „ადამონ ნიხასი“, რომელმაც მოახდინა ფსიქოლოგიური დაწოლა „დეპუტატებზე“ და ფაქტიურად მოახდინა ხელისუფლების უზურპირება, გამოცხადდეს კანონგარეშე. მისმა ლიდერებმა კი აგონ პასუხი მთელი სიმკაცრით.

3. საქართველოში, ქართველის, როგორც მკვიდრი ერის უფლების იგნორირებისა და ქართველებსა და ოსებს შორის შეუღლის გამღვივებელნი, გამოყვანილნი იქნენ საერთო სახალხო სამსჯავროზე და მათ მიმართ გამოყენებული იქნას მკაცრი ღონისძიებები.“

მიმართვას, საპროტესტო მიტინგის მონაწილეთა სახელით, ხელს აწერს სრულიად საქართველოს რუსთაველის რეგიონული ორგანიზაციის მუშა კომიტეტი.<sup>2</sup>

მიმართვას ახლავს დამატება, რომლის ადრესატიც საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეთორმეტე სესიაა. დამატება №3 - ა სესიას აცნობდა დაბა ლენინგორში შემდგარი როგორც რუსთაველის საზოგადოების, ისე ფართო საზოგადოებრიობის მონაწილეთაგან შემდგარი საკრებულოს გადაწყვეტილებას, სადაც მოწონებული იყო რუსთაველის საზოგადოების პრეზიდენტის აკაკი ბაქრაძის 14 ნოემბრის სატელევიზიო გამოსვლა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმების თაობაზე. საკრებულო ასევე დაუინებით მოითხოვდა ოლქის, როგორც ადმინისტრაციული ერთეულის დაუყოვნებლივ გაუქმებას, წინააღმდეგ შემთხვევაში აანონსებდა მკვეთრ საწინააღმდეგო ღონისძიებებს და ეროვნულ დაუმორჩილებლობას საოლქო, ოსური ხელისუფლებისადმი. „საქართველოში ქართველი არ უნდა იჩაგრებოდეს“ - ეს იყო მიმართვის ძირითადი ლაიტმოტივი, რომელსაც ხელს აწერდნენ სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების ლენინგორის რეგიონული ორგანიზაციის მუშა კომიტეტის თავმჯდომარე ვ. ღუნაშვილი, საზოგადოებრივი საკრებულოს თავმჯდომარე ი. ბაშარული და საკრებულოს მდივანი მ. ქარელი.<sup>3</sup>

როგორც ზემოთ აღინიშნა, ახალგორში მცხოვრები ოსი ინტელიგენციის გარკვეულ ნაწილს ანტიქართულ ქმედებაში სდებლენ ბრალს. თუმცა უმრავლესობა ემიჯნებოდა „ადამონ-ნიხასის“ და მათ თანამოაზრებს. ოლქის ტერიტორიაზე მიმდინარე მძიმე მოვლენების კვალდაკვალ

<sup>1</sup> გაზეთი „სამაჩაბლო“, №3, თებერვალი, 1990, გვ. 5-6.

<sup>2</sup> „ლენინელი“, №139 (5292), 18 ნოემბერი, 1989.

<sup>3</sup> „ლენინელი“, №139 (5292), 18 ნოემბერი, 1989.

თბილისში შეიქმნა „ოსური ასოციაცია სიმართლე“ („ირონასოციაცია რასძინად“), რომელშიც გაერთიანდა ოსი ეროვნების მოქალაქეთა დიდი ნაწილი. ასოციაციის მთავარი მიზანი სიტუაციის განმუხტება და ქართველთა და ოსთა მრავალსაუკუნოვანი მეგობრობის გაფრთხილება იყო. თანამოძმებს სოლიდარობა გამოუცხადა ლენინგრადის პირველი საშუალო სკოლის ოსი ეროვნების პედაგოგთა ჯგუფმა, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ ქალბატონები: თამარ კოზაევა, ნატალია ჯიოევა, ვალია გუჩმაზოვა, ნანი ჯიოევა, მერი ჩარაევა, ვერა კოტოლოვა და ბატონი თამაზ ქასოევი. „ყველას, ვისთვისაც დვირფასია საფრთხეში ჩავარდნილი ჩვენი შვილების, ჩვენი ახალგაზრდობის სიცოცხლე, ხალხთა შორის მმობა და მეგობრობა, შემოგვიერთონ თავიანთი ხმა, შევიძნენ ზემოთ აღნიშნულ ასოციაციის რიგებში და აქტიური მონაწილეობა მიღონ მის მუშაობაში“ - ასეთი მაღალი იდეალებით მოუწოდებდნენ ისინი ოსი ეროვნების მოქალაქეებს სოლიდარობისკენ.<sup>1</sup>

ახალგორის მოსახლეობაში ასევე მწვავე რეაქცია მოჰყვა ალან ჩოჩიევისა და მისი თანამოაზრების მიერ მხარდაჭერის გამოცხადებას აფხაზეთში, 1989 წლის ლიხნის შეკრებაზე მიღებული მიმართვისადმი, რომელიც საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობას აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საქართველოსგან გამოყოფას სთხოვდა. ჩოჩიევმა ტექსტს „ოსი ხალხის მიმართვა“ უწოდა და „ოსეთის ორი ნაწილის“ გაერთიანების იდეაც წამოაყენა. ოსური სახალხო ფრონტის ლიდერს რომ ყველა ოსი თანამოაზრედ არ ყავდა, ეს ჩანს 1989 წელს ქართულ პრესაში დაბეჭდილი ოსი მოქალაქის ალექსანდრე ქუბიევის წერილიდან, რომელიც იმ დროს სტაბილური იზოტოპების საკავშირო კვლევითი ინსტიტუტის განყოფილების გამგედ მუშაობდა. წერილში ვკითხულობთ: „როგორ ვუხდით ჩვენ სამაგიეროს ქართველ ხალხს, რომლის მიწა-წყალზეც დავემკვიდრეთ? რომელიც მმობას გვიწევს? არ გვანსხვავებს თავისიანებისგან? მნიშვნელოვანწილად თქვენი მოქმედების გამო, ახალ პრობლემებს ვუქმნით.. თქვენი წყალობით საქმე შეიძლება იქამდე მივიდეს, რომ ჩვენს მიწა-წყალზეც განმეორდეს აფხაზეთში დატრიალებული ტრაგედია.

ბატონო ალან, მე მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, სანამ გვიან არ არის, რომ სამხრეთ ოსეთის რუსეთის შემადგენლობაში შეყვანის ცდა არა მხოლოდ უსამართლოა ქართველების მიმართ და დამლუპველი ოსური ენის, ოსური თვითმყოფადობის განვითარებისთვის, არამედ მიუღწეველი მიზანიცა... შეჩერდით, ვიდრე არ დაიღვარა სისხლი, ვიდრე არ მომზდარა ის, რისი გამოსწორებაც შეუძლებელი იქნება.“<sup>2</sup> ცხადია, ყოველ ასეთ ანტიქართულ მიმართვას ემიჯნებოდნენ ახალგორში მცხოვრები ქართველები და ოსების უმრავლესობა.<sup>3</sup>

ქსნის ხეობის მოსახლეობისათვის ასევე მიუღებელი იყო „ადამონ-ნიხასის“ აქტივისტების პროექტი „სამხრეთ ოსეთში“ აღანის ეპარქიის აღდგენის თაობაზე, რომელიც რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის იურისდიქციის ქვეშ გააერთიანებდა ჩრდილოელ და სამხრეთელ ოსებს. ყოველივე ამას ვნებათაღელვა და საპროტესტო გამოსვლები მოსდევდა.

კულმინაციად შეიძლება მივიჩნიოთ სამხრეთ ოსეთის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს მიერ 1990 წლის 10 აგვისტოს მე-13 სესიის მიერ მიღებული დეკლარაცია სამხრეთ ოსეთის სუვერენიტეტის შესახებ. აღნიშნულის საპასუხოდ, 1990 წლის 4 სექტემბერს ახალგორში ჩატარდა მაშინდელი ლენინგრადის სახალხო დეპუტატთა მეოცე მოწვევის რაონული საბჭოს მეთვრამეტე რიგგარეშე სესია, რომელსაც უნდა განეხილა ცხინვალში მიღებული დეკლარაცია...

ლენინგრადის სახალხო დეპუტატთა რაისაბჭოს აღმასკომი, ქვეყნის ინტერესებთან ერთად, ადგილობრივი მოსახლეობის აზრსაც ითვალისწინებდა. აქედან გამომდინარე, სესიამ პირველ რიგში საოლქო საბჭოს მიერ მიღებული დეკლარაციისადმი ახალგორის მოსახლეობის დამოკიდებულების საკითხების კომისიის თავმჯდომარეს შალვა ჩოჩიელს მოუსმინა და ცნობად მიიღო...

<sup>1</sup> „ლენინელი“, №148 (5301), 9 დეკემბერი, 1989.

<sup>2</sup> <https://lessonsgeo.wordpress.com>

<sup>3</sup> „ლენინელი“, №136 (5289), 11 ნოემბერი, 1989.

მოსახლეობის უმრავლესობა ამჯერადაც ერთსულოვანი იყო - ახალგორის რაიონი აღარ უნდა ყოფილიყო ხელოვნურად შექმნილი ავტონომიის ნაწილი.

გასული საუკუნის ოთხმოციანი წლების ბოლოს, ეროვნული მოძრაობის აღმავლობის ხანამ ახალგორის რაიონის ოლქიდან გამოსვლის საკითხი წინა პლანზე წამოსწია, მაგრამ იგი ოლქის ცენტრში მიმდინარე მოვლენების შემდეგ კიდევ უფრო აქტუალური გახდა.<sup>1</sup>

ლენინგორის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს სესიამ ხუთაწესტიანი გადაწყვეტილება მიიღო:

1. სამხრეთ ოსეთის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს მიერ 1990 წლის 10 აგვისტოს მე-13 სესიის მიერ მიღებული დეკლარაციისადმი ლენინგორის რაიონის მოსახლეობის დამკიდებულების საკითხების კომისიის ინფორმაცია მიღებულ იქნას ცნობად.

2. სამხრეთ ოსეთის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს 10 აგვისტოს სესიის მიერ მიღებული დეკლარაცია სამხრეთ ოსეთის სუვერენიტეტის შესახებ დაგმობილ იქნას, როგორც კანონსაწინააღმდეგო დოკუმენტი, როგორც საქართველოს სახელმწიფო ბრივი მთლიანობის ხელყოფის ცდა.

3. აღნიშნოს, რომ დეკლარაცია მიღებულია საქართველოში დღეს შექმნილი საზოგადოებრივ-პოლიტიკური სიტუაციის თვალსაზრისით, იგი კიდევ უფრო ამწვავებს ეროვნებათა შორის ურთიერთობაში არსებულ პრობლემებს, ქართველი და ოსი ხალხების თანაცხოვრებას.

4. რამდენადაც სამხრეთ ოსეთის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს სესიაზე მიღებულ დეკლარაციაში უგულვებელყოფილია ლენინგორის რაიონის მოსახლეობის უმრავლესობის კანონიერი უფლებები, ლენინგორის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს სესია არ ცნობს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს უფლებამოსილებას რაიონის ტერიტორიაზე და მოუწოდებს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის რაიონებს არ ცნონ ს.ო.ა.ო სახალხო დეპუტატთა საბჭოს უფლებამოსილება თავიანთი რაიონის ტერიტორიაზე, სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭო იტოვებს უფლებას, მომავალში იმოქმედოს რაიონის მშრომელთა კეთილდღეობის ინტერესების უზენაესობის ნიშნით.

5. დაგმობილ იქნას საოლქო საბჭოს 1990 წლის 10 აგვისტოს, მე-13 სესიის მუშაობაში მონაწილე ლენინგორის რაიონიდან არჩეული იმ დეპუტატების ქმედება, რომლებმაც თავიანთი ამომრჩევლების აზრის გაუთვალისწინებლად დაიკავეს პოზიცია.

რაიონული საბჭოს სესიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას ხელს აწერენ: ლენინგორის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლი ნ. შ. ხოხაშვილი და ლენინგორის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის მდივანი ი. ნ. ხაჩიროვა.<sup>2</sup> ეს მართლაც უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტი, მოსახლეობის უმრავლესობის, მათ შორის, არაქართველების ინტერესებიდან გამომდინარე იქნა მიღებული.

სამხრეთ ოსეთის სახალხო დეპუტატთა საბჭოს მოთხოვნები, თანდათანობით კიდევ უფრო შორდებოდა რეალობას და ცდებოდა როგორც იმ დროს მოქმედი სსრ კავშირის, ისე საქართველოს სსრ კონსტიტუციებს. მათ 20 სექტემბერს გამართულ მეთოთხმეტე სესიაზე მიიღეს დეკლარაცია სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო სუვერენიტეტის შესახებ, რითაც ფაქტორულ გამოაცხადეს გასვლა საქართველოს შემადგენლობიდან. 16 ოქტომბერს გამართულ მომდევნო სესიაზე აირჩიეს აღმასრულებელი კომიტეტი ტორეზ კულუმ-

<sup>1</sup> ახლოური დ., ისტორიული დოკუმენტი ახალგორის სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქიდან გამოსვლის შესახებ და მისი მნიშვნელობა, თეზისები წარმოდგენილი გორის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და შიდა ქართლის საჯარო სკოლების ერთობლივ კონფერენციაზე, 2019.

<sup>2</sup> „ლენინელი“, №104 (5404), 6 სექტემბერი, 1990

ბეკოვის თავმჯდომარეობით.<sup>1</sup> საქართველოს ხელისუფლება, ცხადია, არ ცნობდა ასეთ ანტიქარ-თულ დადგენილებებს და შესაბამისი კანონებით აუქმებდა.

1990 წლის 22 ნოემბერს საქართველოს უზენაესმა საბჭომ ზვიად გამსახურდიას ხელ-მძღვანელობით ბათილად ცნო დადგენილება ავტონომიური ოლქის დემოკრატიულ რესპუბლიკად გარდაქმნის შესახებ, 11 დეკემბერს კი, საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის 104-ე მუხ-ლის მე-3 და მე-11 პუნქტების შესაბამისად, გაუქმა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი. ამ გადაწყვეტილების მიღებაში გარკვეული წვლილი შეიტანა ახალგორის მოსახლეობამაც, მათ გა-ცილებით აღრე უთხრეს უარი ოლქს და გამოუცხადეს დაუმორჩილებლობა, რაზეც ახალგორის რუსთაველის საზოგადოებაც მიუთითებდა ოლქის გაუქმების მეორე დღესვე: „გვინდა სიამაყით აღვნიშნოთ, რომ საქართველოს უზენაესი საბჭოს აღნიშნულ გადაწყვეტილების მიღებაში ჩვენი რაიონის რუსთაველის საზოგადოებას დიდი წვლილი აქვს შეტანილი, რის დასტურსაც წარმო-ადგენს მიმდინარე წლის 4 სექტემბრის ჩვენი რაიონის სესია, რომლის გადაწყვეტილებით ახალგორის რაიონი გამოვიდა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის დაქვემდებარებიდან.“<sup>2</sup>

ოლქის გაუქმების შემდეგ ახალგორი ახალ ცხოვრებას იწყებდა, 1990 წელს დაიბრუნა ისტორიული სახელწოდებაც, მაგრამ მოვლენები კარგს არც ქსნის ხეობას უქადდა და არც, ზოგადად, ქართველ და ოს ხალხს.

90-იანი წლების შემდეგ კიდევ უფრო გახშირდა ოსი ყაჩალების ცხინვალიდან გადმოსვლა და ქსნის ხეობის საზაფხულო საძოვრებიდან საქონლის ჯოგისა და ცხვრის ფატაცება. მაგალითისათვის ორ ფაქტს გავიხსენებთ: 1991 წლის 15 აგვისტოს ბანდიტებმა ცხრაწყაროს მთის საძოვრებიდან ქსნის ხეობელთა კუთვნილი 500-მდე სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყ-ვი გაიტაცეს, 28 აგვისტოს, მარიამობას, ოსებმა ყელის ტბის მიდამოებიდან უკანამხრის კოლმე-ურნების კუთვნილი ცხვრის ფარის ნაწილი - 1500-2000 სული ცხვარი გაირეკეს ცხინვა-ლისკენ.<sup>3</sup> ახალგორის პრეფექტურა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო ცდილობდა ხელი მანამდე შეეშალა გამტაცებლებისთვის, ვიდრე ცხინვალში გადავიდოდნენ, მაგრამ სხვადას-ხვა ცეცხლსასროლი იარაღით აღჭურვილი ყაჩალთა ბანდები უშეტესწილად ახერხებდნენ ნადავ-ლოთან ერთად „სამშვიდობოს“ გასვლას. ისინი არც შვეულფრენისთვის ცეცხლის გახსნას ერი-დებოდნენ და არც მოსალოდნელ ტრაგედიას.

ოსების შეირაღებულმა თავდასხმებმა და საძოვრებიდან პირუტყვის გატაცებამ განსაკუთრე-ბით დააზარალა ქარჩოხის ხეობა, მათ ხან ცხინვალში, ხან ჯავის ხეობაში და უფრო ხშირად ვლადიკავკაზში გადაჰყავდათ ქურდობითა და ავაზაკობით მოპოვებული ნადავლი, რის შედეგადაც 90-იანი წლების დასაწყისში ორ სოფელს მიდელანსა და ქენეანს ერთი უღელი ხარიც აღარ დარჩა, რაც გამოუვალ მდგომარეობაში აყენებდა იქაურ გლეხკაცეს.<sup>4</sup>

მართალია, 1991 წლის 23 მარტს, დაბა ყაზბეგში, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ზვიად გამსახურდიამ და რუსეთის საბჭოთა ფედერაციული რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ბორის ელცინმა ხელი მოაწერეს ერთობლივ ოქმს, სადაც, და-ფიქსირდა, რომ ავტონომიური ოლქის რეგიონში ვითარების სტაბილიზაციისათვის შეიქმნებოდა ორი ქვეყნის შინაგან საქმეთა სამინისტროების ერთობლივი რაზმი, რომელიც განაირაღებდა ოლქის ტერიტორიაზე არსებულ უკანონო ფორმირებებს<sup>5</sup>, მაგრამ რუსეთს ეს არ შეუსრულები-ა...

1991-1992 წლების დეკემბერ-იანვარში საქართველოში მიმდინარე სამოქალაქო ომის შემ-დეგ დამხობილ იქნა პრეზიდენტ გამსახურდიას ეროვნული ხელისუფლება, ძალაუფლება ჯერ

<sup>1</sup> პიპინაშვილი დ., სამხრეთ კავკასიის კონფლიქტები და რეგიონული სტაბულირების პრობლემები, თბ., 2008, გვ. 82.

<sup>2</sup> „ახალგორი“, №138 (5438), 12 დეკემბერი, 1990.

<sup>3</sup> „ახალგორი“, №80 (2525), 31 აგვისტო, 1991.

<sup>4</sup> ახლოური დ., სოფელი მიდელანი, თბ., 2006, გვ. 20.

<sup>5</sup> „საქართველოს რესპუბლიკა“, №58, 27 მარტი, 1991.

სამხედრო საბჭომ ჩაიგდო ხელში, შემდეგ კი სახელმწიფო საბჭოს გადააბარა, რომელსაც ედუ-  
არდ შევარდნაძე ჩაუდგა სათავეში. იგი პრობლემების დარეგულირების მიზნით შეეცადა ოსურ  
მხარესთან მოლაპარაკებას, მაგრამ უშედეგოდ...

*Davit Akhlouri*

*Gori State Teaching University*

**GEORGIAN OSSETIAN CONFLICT AND AKHALGORI (1988-1991)  
RESUME**

The work discusses with the causes of the Georgian Ossetian conflict in the late eighties of the last century and about the role of the Soviet Union in that conflict. It is also noteworthy that the Akhalgori district was part of the South Ossetian Autonomous Region from 1922 to 1990, and obviously the tense developments in Tskhinvali also reflected on it. The situation that was created in the first years of the conflict in Akhalgori is analyzed. The position of Georgian and Ossetian people living in the Ksani Gorge in connection with the events of that time is emphasized. Special attention is paid to the historical document related to the withdrawal from Akhalgori district.

At the end of the article, there are references to attacks by Ossetian in the Ksani Gorge, in which sheep and cattle were stolen. It shows the dire consequences that followed the first years of the Georgian-Ossetian conflict for both Georgian and Ossetian populations.

## ივანე ჯავახიშვილი ახალგაზრდების გარემოცვაში

გვიან, ვასილ ბარნოვი, მადლიანი ქართულით იტყვის „საქართველოს დედაქალაქში ქართული უნივერსიტეტი სავსებით სავსე ქართველი ახალგაზრდობით ქალით თუ ვაჟით ჭეშმარიტად ფრთაშესხმული ოცნება იყო. რა დროს აშენდა ეს დიდებული კერა განათლებისა? ეს მოხდა 1918 წლის 26 იანვარს, ახალი სტილით 8 თებერვალს“<sup>1</sup>.

1917 წლის დასასრულს, ივანე ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით, ქართველოლოგიური პვლევის გაღრმავებისა და სისტემატიზაციის მიზნით პეტერბურგის უნივერსიტეტში ჩამოყალიბდა „ქართველ სტუდენტთა წრე“. ამ წრის საქმიანობის შესახებ სხვადასხვა დროს წერდნენ ა. შანიძე (1928), ს. ყაუხჩიშვილი (1948), დ. გორიტიშვილი (1949), ს. ჯორბენაძე (1966), რ. მეტრეველი (1975) და სხვა მკვლევარები, მაგრამ წრის ნაღვაწის ყველა ასპექტი ჯერ-ჯერობით მაინც არაა გაშუქებული, წერდა პროფესორი გიორგი მჭედლიძე თეზისებში, რომელიც ივანე ჯავახიშვილის დღეებს მიეძღვნა ქუთაისში. ჩვენი აზრით ტენდენცია კვლავ გრძელდება.

1913 წელს მოხდა წრის ხელმძღვანელობის შეცვლა. ამ წელს აკაკი შანიძე თავმჯდომარეობდა წრის გამგეობას. მისი მოთხოვნით გამგეობის თავმჯდომარე აუცილებლად სტუდენტი უნდა ყოფილიყო. ახლად არჩეულნი იყენებ თავმჯდომარედ ვ. ლ. ფუთურიძე და მის მოადგილედ სიმონ ყაუხჩიშვილი. 1916 წელს გამოიცა წრის წევრთა მიერ შედგენილი ქართული ბიბლიოგრაფია<sup>2</sup>. ქართულ ერთდროულ გამოცემებში (1862-1910) მოთავსებული სტატიებისა და მასალების მაჩვენებელი „ქართული ბიბლიოგრაფიის“ რედაქტორი, სახელთა და საგანთა საძიებლის და დამატების შემგენელი იყო ყოფშიძე. იგი „წინასიტყვაობაში“ განმარტავს, რომ ბიბლიოგრაფიის ნაწილი, კერძოდ, „ივერიაში“ 1886-1896 წლებში გამოქვეყნებულ წერილთა საძიებელი, ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში (1897) შეუდგენია ივანე ჯავახიშვილს. „ქართული ბიბლიოგრაფიის“ ეს პირველი ნაკვეთი 150 გვერდიანია, მასში შესულია ქართულ პერიოდულ პრესი გამოქვეყნებული იმ სტატიებისა და მასალების მაჩვენებელი, რომელიც ენათმეცნიერების, ეთნოგრაფის, არქეოლოგიის, სამოქალაქო და საეკლესიო ისტორიის, ხალხური სიტყვიერებისა და ძველი მწერლობის საკითხებს ეხება. ბიბლიოგრაფია მოიცავს 1852-1910 წლებს და დაღაგებულია სტატიების ავტორთა გვარების მიხედვით. იგი დაიბეჭდა პეტროგრადის მეცნიერებათა აკადემიის განკარგულებით, ამავე სამეცნიერო დაწესებულების სტამბაში. გარდა უკვე დასახელებული პირებისა, ბიბლიოგრაფიის შედგენაში მონაწილეობდნენ შემდგომში ქართულ მეცნიერებაში კარგად ცნობილი მოღვაწეები. აქ ნათლად ჩანს ბატონი ივანეს დამოკიდებულება სტუდენტებისადმი. სხვა შემთხვევაში მან უარი განაცხადა პირად დახმარებაზე და მოუწოდა საზოგადოებას, რომ ახალგაზრდა მეცნიერებს დახმარებოდნენ. გარდა ამისა, საოცარია მასთან დამოკიდებულება ქუთაისელი სტუდენტებისა<sup>3</sup>.

ქუთაისის ისტორიული მუზეუმში დაცულია მასალები ივანე ჯავახიშვილის 100 წლის-თავთან დაკავშირებით. აქ დავანებულია ქუთაისელი სტუდენტების კონფერენციაზე გამოსვლის დროს წაკითხული მცირე ზომის სტატიები, სადაც ნათლად ჩანს ახალგაზრდობის დამოკიდებულება დიდი მეცნიერისადმი. მათი აზრით, ივანე ჯავახიშვილი მთელი ქართული ცივილიზაცი-

<sup>1</sup> ჯორბენაძე ს., ცხოვრება და ღვაწლი ივანე ჯავახიშვილისა, 1984, გვ. 405

<sup>2</sup> ძირითად გამოყენებულია ჯერ კიდევ ფონდში გაუფორმებელი ლიტერატურა და მასალები; რომელიც შემოტანილია პროფესორ გურამ გაბუნიას საოჯახო არქივიდან

<sup>3</sup> ივანე ჯავახიშვილის დღეები ქუთაისში, მუშაობის გეგმა და თეზისები, თბ., 1996, გვ. 8

ის სწორუპოვარი მკვლევარია, შეუფასებელია ყველა სამეცნიერო თვალსაზრისი, რომელიც კი თავისი დაუღალავი შრომით შექმნა და მიაწვდინა მასწავლებლებსა და მოწაფეებს, ის არ აკრიტიკებდა სტუდენტებს, არამედ ეხმარებოდა მათ საკუთარი რჩევებით. ივანე ჯავახიშვილს ძველი ქართული ლიტერატურის საფუძვლიანი შესწავლა მიაჩნდა აუცილებელ პირობად. სწორედ ამას მოუწოდებდა ახალგაზრდა თაობასაც. აღსანიშნავია, რომ პეტერბურგში, ივანე ჯავახიშვილის ინიციატივით ჩამოყალიბებულ ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრის შეკრებებზე საქართველოს ისტორიის საკითხებთან ერთად ქართული ლიტერატურის საკითხებსაც იხილავდნენ. ქუთაისელი სტუდენტების გამოსვლებში ჩანდა უსაზღვრო პატივისცემასთან ერთად დიდი სიყვარული და ნდობა.

ივანე ჯავახიშვილის საიუბილეო დღეები, ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის მოწინავე სტუდენტებმა ინტელექტუალური გამოსვლებით აღნიშნეს, რომელიც გაიმართა ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში, 1976 წელს. პროგრამაში ნათლადაა წარმოჩენილი, რომ 1976 წლის 23-24 აპრილს საქართველოს საისტორიო საზოგადოება და ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი აწყობენ ივანე ჯავახიშვილის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილ სამეცნიერო სესიასა და საიუბილეო საღამოს.

სტუდენტებმა კარგად იცოდნენ დიდი მეცნიერის თავდაუზოგავი მუშაობის ფასი. ლექციებზე კარგად შეისწავლეს და სიყვარულით გაეცნენ ივანე ჯავახიშვილის კვალიფიციურ ნაშრომებს. ახალგაზრდებმა არაჩვეულებრივი შეფასებებით წარმოგვიდგინეს თავიანთი შეხედულებები და გამოსვლები საიუბილეო დღეებში, ხოლო თავად ისტორიაშ საარქივო მასალების სახით შემოგვინახა მათი შეხედულებები.

თავდაპირველად ივანე ჯავახიშვილის საიუბილეო აღნიშვნის ინიციატივა სწორედ ამ სტუდენტებისაგან გაჟღერდა, რომელთაც სათავეში ედგნენ ცნობილი ისტორიკოსები ბატონები: დეკანი - პეტრე ვაჭრიძე და დეკანის მოადგილე - გურამ გაბუნია.

თავიანთ გამოსვლებში ახალგაზრდებმა დააფიქსირეს აზრი მათი თვალთხედვით ვინ იყო დიდი მეცნიერი - ივანე ჯავახიშვილი. როგორც მოსე ჯანაშვილი ამბობდა: „მკვლევარი იმ ბედნიერ ადამიანთა რიცხვს განეკუთვნება, რომლის შემოქმედება შარავანდედად ადგას ერის მოღვაწეობას. მან მოწამებრივი ცხოვრებით იცხოვრა და პირუთვნელობით იტვირთა - „გუთნის-დეობა თვით ქართული მძიმე ღრმად მხვნელი გუთნისა“.

ივანე ჯავახიშვილი იყო კაცი, რომელმაც ესოდენ რთულ პერიოდში შეძლო მეცნიერების დიდი ტაძრის მშენებლობა და მისი დიდ ქართულ საგანმანათლებლო კერად გადაქცევა! „ყოველი ნარკვევი, სადაც ივანე ჯავახიშვილმა გარკვეულად ჩამოაყლიბა თავისი პოზიცია ქართველი ერის ისტორიის შესწავლაში „იყო მამულიშვილობა და მეცნიერება“, რომელიც 1914 წელს ცალკე წიგნად გამოიცა თბილისში. ამავე ადროს, ახალი საზოგადოებრივი აზრის ამოძრავება! ასე რომ, ივანე ჯავახიშვილის დაუცხოობის მუშაობის შედეგად გახდა შესაძლებელი ქართული უნივერსიტეტის დაარსება და ამით ახალგაზრდობის ბედნიერ ადამიანებად გადაქცევა. დიდმა ივანემ შეძლო საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში გაფანტულ მეცნიერთა შემოკრება და მის რექტორად პეტრე მელიქიშვილის მოწვევა. რადგან, მისი აზრით უნივერსიტეტის რექტორი მისი პრესტიჟის ასაწევად სწორედ აღნიშნული პიროვნება და ცნობილი მეცნიერი გამოდგებოდა.

ივანე ჯავახიშვილი, როგორც დამოუკიდებელი პიროვნება, იყო ზნეობრივი სიწმინდის ეტალონი. ამაზე არაერთი მის მიერ ჩადენილი საქმე მეტყველებს. ახალგაზრდა თაობას ძალიან მოსწონდა ის, რომ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ მას შესთავაზა პრემიაზე წარდგენა ნაშრომისათვის „ქართველი ერის ისტორია“, მეცნიერმა მოკრძალებული პასუხი გასცა - მატერიალური შემწეობა და წახალისება ახალგაზრდა მეცნიერებს უფრო სჭირდებათო. ასეთი ადამიანური სისპერაციები სხვებისათვის გასაოცარი მაგალითი იყო. „ქართველი მეცნიერის ასეთი ნაბიჯი ილია ჭავჭავაძის ამ ქედმოუდრევებული კაცის ცხოვრების მთავარი ერის სატკივარის საკუთარ მხრებზე აღებას ნიშნავდა. და ამით საქართველოს უგვირგვინო მეფის გზის გაგრძელებას მთელი თავისი შინაგანი და გარეგანი მონაცემებით უჭერდა

მხარს“<sup>1</sup>. ასეთი ქმედება საბჭოთა მთავრობის ხელში ცოტა უცნაურად და საერთოდ სხვებისათვის დამაინტერესებლად გამოიყერებოდა.

ივანე ჯავახიშვილის მზრუნველი ხელი ჯადოქარივით წვდებოდა ქართული კულტურის საჭიროობოტო საკითხებს. მისმა ნაშრომებმა შორს გაუთქვა სახელი მშობელი ერის გმირულ წარსულს და ბრწყინვალე მიღწევებს.

არ არის ქართული ეროვნული მეცნიერების არც ერთი დარგი, რომლის განვითარებაში ივანე ჯავახიშვილს ფასდაუდებელი წვლილი არ შეეტანოს. ამ დიდი ადამიანის მეცნიერულ მემკვიდრეობას განცვილებაში მოჰყავს ყველა. ეს მემკვიდრეობა მრავალმხრივია და თან დიდი მეცნიერული პრობლემების გადაწყვეტას ემსახურება! როგორც ბუნებით გულწრფელი ადამიანი არასოდეს მალავდა იმ შეცდომებსა თუ ხარვეზებს, რომელიც ჩვენი მეცნიერების იმდროინდელ დონეს ახასიათებდა. მას სჯეროდა, რომ ხალხში ბევრი რამ იყო შემორჩენილი, რომლის შესწავლა წარსულის გასაღებს მოგვცემდა და ამიტომ მთელი სულითა და გულით მოითხოვდა ხალხური საუნჯის შესწავლა-გათვალისწინებას! წარსულის გაუთვალისწინებლობა, რაც ქართველმა ხალხმა შემოგვინახა საბედისწერო შეცდომამდე მივყართ - გვიმტკიცებდა განსვენებული მეცნიერი<sup>2</sup>.

ორმოც წელზე მეტი იღვაწა დიდმა ივანემ ქართველი ხალხის წარსულის, აწმყოსა და მომავლის საჭირობოროტო საკითხების გაშუქებისათვის. ყველგან და ყოველთვის დიდი მეცნიერი თავისი კეთილშობილური მოღვაწეობის დიდებულ ნაკვალევს ტოვებდა. იგი როგორც ცნობილი ისტორიკოსი და დიდი მეცნიერი სწავლობდა წარსულს, მაგრამ დიდ პატივს სცემდა მომავალს, სტუდენტებს, აყენებდა მას ქვეყნის სამსახურში, უკიდევანოდ ახარებდა აწმყოს მიღწევები. ეს გამოიხატებოდა იმ საკითხშიც, რომ როგორც მას აფასებდნენ სტუდენტები, ასევე თითონაც დიდ დახმარებას უწევდა ახალგაზრდა მომავალ თაობას და ეს რომ ნადვილად ასე იყო ნათლად ჩანს სერგო ჯორბენაძის ნაშრომში „ცხოვრება და ღვაწლი ივანე ჯავახიშვილისა“<sup>3</sup>.

1937 წელს გამოცხადდა კონკურსი სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიაში წევრებისა და წევრ-კორესპონდენტების ასარჩევად. წარდგენილ იქნა თბილისის უნივერსიტეტის ექვსი პროფესორი. აქედან სამი: ივანე ჯავახიშვილი, ნიკო მუსხელიშვილი, ივანე ბერიტაშვლი - ნამდვილ წევრებად, ხოლო აკაკი შანიძე, გიორგი ახვლედიანი და გიორგი ხაჭაპურიძე - წევრ-კორესპონდენტებად. აკადემიის დაარსებიდანვე რუსეთს მნიშვნელოვანი ღვაწლი აქვს შეტანილი საქართველოს ისტორიის შესწავლაში, ჯერ კიდევ საქართველოს რუსეთთან შეერთებამდე. აქ მარტო აკადემიკოსი გიულდენშდედტის მოგზაურობის გახსნება კმარა. ბუნებრივია, კიდევ უფრო გაძლიერდა აკადემიის მიერ საქართველოს შესწავლა რუსეთთან შეერთების შემდეგ. აქ ხომ ყველაზე მეტად გიგანტი ქართველოლოგი მარი ბროსე წარმოდგება. მან ხომ გზა გაუხსნა აკადემიაში თემურაზ ბატონიშვილისა და დიმიტრი ბაქრაძეს. ნიკო მარის მოღვაწეობა აკადემიაში ემთხვევა სომხურ-ქართულ ფილოლოგიის დაფუძნებასა და მის წარმატებებს. ივანე ჯავახიშვილი ამ დიდი წამოწყების აქტიური მონაწილეა. მან რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის დავალებით, რამდენიმე სამეცნიერო აკადემიაში მიიღო მონაწილეობა, უთანამშრომლია აკადემიის წარმომადგენლებთან, აკადემიის ქართველოლოგიის დარგში შესანიშნავი გამოკვლევები გამოაუქცევენ ბია. ახალი ასპარეზი გაეხსნა აკადემიას, რაც მას საიმპერატორო აკადემიის სახელი ჩამოშორდა და რუსეთის აკადემიად იქცა (1917 წელი), ამ დროს ორი ქართველი აირჩიეს აკადემიაში, სუმბათაშვილი-იუჟინი საპატიო აკადემიკოსად და გრიგოლ წერეთელი აკადემიის წევრ-კორესპონდენტად. 1925 წელს რუსეთის აკადემია სსრ კავშირის აკადემიად გარდაიქმნა, ამას ყველა სიხარულით შეხვდა, ისე როგორც აკადემიის 200 წლისთავის აღნიშვნას. ამასთან დაკავშირებით, ივანე ჯავახიშვილი წერდა: „მას შემდეგ რაც რუსეთის სამეცნიერო აკადემიის არსებობის 200

<sup>1</sup> ნადირაძე ზ., საოჯახო არქივიდან

<sup>2</sup> ს. ბასილაძე საოჯახო არქივიდან

<sup>3</sup> ჯორბენაძე ს., ცხოვრება და ღვაწლი ივანე ჯავახიშვილისა, თბ., 1984

წლისთავზე გამართულ ზეიმსა და საკავშირო აკადემიად გამოცხადების დროს საბჭოთა მთავრობამ და აღმასრულებელმა კომიტეტმა მთელ ქვეყანასა და მთელ ქვენიერებას მეცნიერების და მეცნიერთადმი თავისი პატივისცემა ამცნო და ნდობა გამოუცხადა, მთელი ქართველი მეცნიერები რუსეთის ხალხთან ერთად ამაყობდნენ ამ ძვირფასი საგანმურით<sup>1</sup>. ივანე ჯავახიშვილი წინააღმდეგობაში მოდიოდა საბჭოთა ხელისუფლებასთან, მაგრამ თუ რაიმე ჩვენი კეთილდღეობისათვის გაკეთდებოდა მას პირველი მიესალმებოდა არაჩვეულებრივი სტატიებით. სამეცნიერო შრომებითა და თავისი არაჩვეულებრივი სიტყვებით, რომელიც ხან აუდიტორიებში გაისმოდა, ხან შეკრებებზე და ზოგჯერ ინდივიდუალურ საუბრებში; მას ძალიან ახარებდა პალიმფსესტების აღმოჩნა, ჭაობების ამოშრობა, ახალი ინდუსტრიალიზაცია, არქეოლოგიური აღმოჩნები. ისტორიული მატიანების პოვნა, რადგან კარგად იცოდა, რომ ყველა ეს წარმატება მისი საყვარელი ქვეყნის - საქართველოს და მისი სათაყვანებელი ხალხის ქართველების სადიდებლად გამოდგებოდა. ივანე ჯავახიშვილი მხოლოდ ჩვენი წარსულის შენახვასა და მის ცხოვრებაში გამოყენებაზე ფიქრობდა მხოლოდ! ის ჩვენს ახალაღმოჩნდილ მემკვიდრეობას იყენებდა და საგანგებოდ უფრთხილდებოდა მომავალ თაობებს.

აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილს არ ეყო სიცოცხლე იმ ჩანაფიქრის განხორციელებისათვის, რაზეც მთელი ცხოვრება ოცნებობდა. მას ყველაზე მეტად ქართველი ხალხის თავისუფლების ხილვა სურდა. რაც ყველაზე მეტად იყო წარმოუდგენელი საბჭოთა პერიოდში. მაგრამ ის კი დანამდვილებით იხილა თუ როგორ დააარსა თბილისის ქართული სახელმწიფო უნივერსიტეტი, როგორ ღებულობდა აქ ქართველი ახალგაზრდები უმაღლეს განათლებას, როგორ იცვებოდა დისერტაციები, მაგრამ ვერ იხილა როგორ მტკიცდებოდა აღნიშნული დისერტაციები საქართველოში.

ივანე ჯავახიშვილმა მთელი თავისი ღრმად შინაარსიანი სიცოცხლე მეცნიერების სამსახურს შესწირა. იგი იყო ჭეშმარიტი წარმომადგენელი იმ მეცნიერთა კრებულისა, რომელიც კი არ ემიჯნება თავის ხალხს, არამედ მზადაა თავდადებით ემსახუროს მას. ასეთი იყო ის ყველა ქართველისათვის. ქუთაისი და იმერლები ხომ განსაკუთრებით უყვარდა. ამ სიყვარულმა და იმ თავდაუზოგავმა ძალამ იმიერ საქართველოში მრავალჯერ სიყვარულით აღნიშნა უდიდესი ქართველი მეცნიერის საიუბილეო ღლები ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტში, გელათის აკადემიაში, სხვადასხვა სკოლებში და მნიშვნელოვან დაწესებულებებში. ამიტომ მას მარადიული სიცოცხლე უწერია. ის არასოდეს გარდაიცვლება მანამ, სანამ ერთი საღად მოაზროვნე ქართველი მაინც არის ჩვენს დალოცვილ საქართველოში და ვიდრე გვყავს ისეთი წინაპრები, როგორიც ივანე ჯავახიშვილია.

აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის დამსახურება სამშობლოსა და ხალხის წინაშე მდგომარეობს არა მარტო იმაში, რომ მან შექმნა ახალი ეტაპი ისტორიულ მეცნიერებაში, არამედ იმაშიც, რომ მან სხვა ხალხებსაც მისცა საშუალება საქართველოს ისტორიულ-ლიტერატურული და კულტურული სიძველენი - სასულიერო ხასიათის წერილობითი ძეგლები, და ბევრი სხვა, ცნობადი გაეხადა არა მარტო სამეცნიერო საზოგადოებისათვის, არამედ საერთოდ ხალხისათვის ქართველი ადამიანებისათვის. მას სურდა საქართველოსათვის საჭირო საკითხები სასწრაფოდ დაემუშავებინა და მათ დამუშავებაში მონაწილეობა მიეღო ახალგაზრდა მეცნიერებს, სტუდენტებს და მათთან ერთად ძველი თაობის წარმომადგენელთა გამოცდილებაც გამოყენებინა.

ძვირფასი „ივანე ჯავახიშვილი პეტერბურგის უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებით, 1901 წლის მარტში, კვალიფიკაციის ასამაღლებლად გაგზავნილი იქნა ბერლინის უნივერსიტეტში, სადაც იგი დარჩა 1902 წლის აპრილამდე. ბერლინში ყოფნისას იგი მუშაობდა ორი დიდი გერმანული საისტორიო მეცნიერების ცნობილ წარმომადგენლებთან, პროფესორ ადოლფ ჰარნაკთან და აგრეთვე, სახელოვან ქართველოლოგთან ჰუკარტთან. აქ მან შეასრულა ორი დიდი სამუშაო: გერმანულ ენაზე თარგმნა VI საუკუნის 70-იან წლებში უცნობი

<sup>1</sup> ს.ჯორბენაძე, ცხოვრება და და ღვაწლი ივანე ჯავახიშვილისა, 1984, გვ. 105

ქართველი ავტორის მიერ დაწერილი თხზულება - „წამებაი და მოთმინებაი წმინდისა ევსტათი მცხეთელისა“. და ივანე საბანისძის მიერ VIII საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში დაწერილი „აბო თბილელის წამება“. პირველი თხზულების თარგმანი ა. ჰარნაკის წინასიტყვაობითა და კო-მენტარებით დაიბეჭდა პრუსის მეცნიერებათა აკადემის მოამბის XXXVIII ტომში, 1901 წელს, მეორე თხზულება კი გამოაქვეყნა კ. შულცემ თავის ტექსტებსა და გამოკვლევებში. ამ თხზულებათა გერმანულ ენაზე თარგმა დიდი მოვლენა იყო.

უცნაურია, რომ ივანე ჯავახიშვილმა ჯერ კიდევ ახალგაზრდობის პერიოდში დაიმკიდრა ქართული ისტორიული მეცნიერების პატრიარქის სახელი და შექმნა ახალი ეტაპი ქართული ისტორიოგრაფიის განვითარებაში. მისი მონუმენტური პიროვნება ძლიერ მკაფიოდ ჩანს ქართული კულტურის განვითარების ნახევარსაუკუნოვან მონაკვეთზე. კარგადაა ცნობილი მისი მეცნიერული ინტერესებისა და დაუღალავი მოღვაწეობის ფასი, მრავალმხრივი სარბიელი სავსებით კანონზომიერი იყო, რომ ამ მოღვაწეობის არეში მოექცა ისტორიული მეცნიერების მნიშვნელოვანი და თავისებური დარგი არქეოლოგიაც.

ისტორიული მეცნიერების თთქმის ყველა ძირითადსა თუ დამხმარე დარგს დაუდო მკვიდრი საფუძველი ივანე ჯავახიშვილმა. მან „შეძლო ქართული მეცნიერების დაკორდებული ყამირი ძლიერი მკლავით გაეხსნა“ [ნ. ბერძნიშვილი].

განსაკუთრებულია ივანე ჯავახიშვილის დამსახურება ქართული არქეოლოგიის განვითარების საქმეში. ის დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა არქეოლოგიას, რომელსაც დიდი როლი უნდა შეესრულებინა ქვეყნის უძველესი წარსულის შესწავლის საქმეში. არქეოლოგიურმა კვლევა-ძიებამ 70-იან წლებში მნიშვნელოვნად შეცვალა ქართველთა წარმოდგენა პირველყოფილი თემური და ანტიკური ხანის საქართველოზე და წინ წასწია ჩვენი ქვეყნის ისტორიის კვლევის საქმე. ივანე ჯავახიშვილის მოსაზრებანი ისტორიისა და მისი ძველ აღმოსავლეთთან ურთიერთკავშირის შესახებ სწორედ არქეოლოგიის მეობებით იქნა დასაბუთებული.

ივანე ჯავახიშვილი, 40 წლის მანძილზე, დაუღალავად ემსახურებოდა ქართული მეცნიერების აღმონაბეჭდის საქმეს. სწორედ ეს 40 წელი იყო ქართული ისტორიოგრაფიის არქეოლოგიის, ქართული პალეოგრაფიის, აღმოსავლეთმცოდნეობის სწრაფი აღმავლობის წლები, მაგრამ 1940 წლის 18 ნოემბერს გამოეთხოვა იგი დიდი შემოქმედებითი შრომით აღსავსე სიცოცხლეს, გამოეთხოვა ქართული კულტურის საინტერესო პერიოდს, როდესაც მისი შემოქმედება ამ გზაზე ფართო მასშტაბით მიმდინარეობდა, გამოეთხოვა თავის საყვარელი ისტორიული კვლევა - მიების საქმეს და კერძოდ არქეოლოგიას, რომელიც ასე მოექცა მისი აქტიური მოღვაწეობის არეალში. მან ვერ მოასწრო თუნდაც იმ „ზოგადი მონახაზის გაკეთება“, რომელიც მისი გეგმით „ქართველი ერის ისტორიის“ „შესავლის სამუშალდ განზრახულის“ III წიგნში უნდა შესულიყო და ენის ზნე - ჩვეულებათა ანალიზისა და ნივთიერი კულტურის ძეგლების მარაგის მიხედვით“ უნდა გაკეთებულიყო. მოუხდავად ამისა, ის, რაც ამ უდიდესმა მეცნიერმა მოასწრო ფასდაუდებელია, ქართველი ერის ისტორიაში<sup>1</sup>.

ყოველი ხანის წარმომავლობა რომანტიკულ ელფერს იძენს და ლეგენდების ბურუსით იმოსება. ამ საკითხის გადაჭრა უმნელეს ამოცანას წარმოადგენს. როთული ხასიათისაა ქართველი ხალხის ეთნოგენეზისიც და ჩვენის აზრით, მნიშვნელოვან სხვადასხვაობას იწვევს, ყველა დროის უცხოელ და ქართველ სწავლულთა შორის. აღნიშნულ პრობლემას სერიოზულად შეეხო მეხუთე საუკუნის ბერძნი მეცნიერი - „ისტორიის მამა“- ჰეროდოტე, 2500 წელს ეს საკითხი არ ჩამოსულა ქართველოლოგიის „ავანსცენიდან.“

აქ არ დარღვეულა ქუთაისლების პატივისცემის გამოხატვა დიდი ივანესადმი 1996 წლის 24-25 სექტემბერს ქუთაისის აკაკი წერეთლის უნივერსიტეტმა კვლავ აღნიშნა ივანე ჯავახიშვილის დღეები ქუთაისში. თეზისები რომელიც უშუალოდ ამ კონფერენციისათვის გამოიცა - გაუწყებდა დიდი ქართველი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის - ივანე ჯავახიშვილის

<sup>1</sup> გოგბერაშვილი თ., საოჯახო არქეოლოგი

დაბადებიდან 120 წლისთავისადმი მიძღვნილ საუნივერსიტეტთაშორისო სამეცნიერო სესიის გამართვას და გვაცნობდა მუშაობის გეგმასა და მოხსენებათა თემატიკას.ჩატარდა 3 სხდომა დაფიქსირებული იყო 22 მოხსენებელი. სულ წაკითხული იქნა 16 მოხსენება. საპატიო მიზეზით არ წაკითხულა ხუთი მოხსენება, მათ შორის ბატონ ომარ ლანჩჩავას უნდა წაეკითხა შემდეგი მოხსენება - „ივანე ჯავახიშვილის და ქართველი ხალხის ეთნოგრენზის ძირითადი საკითხები“. ბატონი ომარი ამ დროს ორმაგად იყო დატვირთული. ვანში მიმდინარეობდა არქეოლოგთა საერთაშორისო სიმპოზიუმი სწორედ ეს იყო მიზეზი. შეჯამებისას რამდენიმე შეკითხვას უპასუხა გურამ გაბუნიამ, რის გამოც ბატონმა ნოდარ შოშიაშვლმა და ლეგან სანიკიძემ დიდი მოწოდება გამოთქვეს<sup>1</sup>.

დიდი ქართველი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის ივანე ჯავახიშვილის ღვაწლი ჯერ კიდევ ცოცხალი ისტორიის კუთვნილებაა. ივანე ჯავახიშვილის ჯეროვანი შეფასება მომავლის საქმეა.

ქართული პოეზია ყოველთვის მდგარა თავის დიდ მოქალაქეობრივ პოზიციაზე და მხურვალედ გამოხმაურებია მშობლიური ერის ცხოვრებაში მომხდარ ყოველ მნიშვნელოვან მოვლენას. მისი მაღალი ყურადღების გარეშე არ დარჩენილა თითქმის არც ერთი ჭეშმარიტი მამულიშვილი. ივანე ჯავახიშვილის სახელი მის სიცოცხლეშივე გახდა პოეტური შთავონების წყარო: ლადო ასათიანმა, გიორგი ლეონიძემ კოლაუ ნადირაძემ, სიმონ ჩიქოვანმა, ალექსანდრე აბაშელმა, მაყვალა მრევლიშვილმა, რევაზ მარგიანმა და სხვებმა უძღვნეს ლექსები უდიდეს მეცნიერს, გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეს და შესანიშნავ ადამიანს. აქედან გამომდინარე, რევაზ მარგიანის პოეტური სიტყვებით დავასრულებ აღნიშნულ სამეცნიერო თემას; მისი სათაურია - „ქართლის ცხოვრების მემატიანეს“:

„და მიდგას თვალწინ  
ხალხის მამა ერის სინდისი,  
მოდის, წარსულით,  
მოაცილებს ერის გალობა.  
დგას მის წინაშე გაუტეხი  
დედა თბილისი  
და მარად მისი მადლიერი შთამომავლობა“

დიდი პატრიოტისა და მამულიშვილის ივანე ჯავახიშვილის სახელს კვლავ არაერთხელ დაუბრუნდება ქართული პოეზია, ქართველი მეცნიერები და სტუდენტები. დაიწერება კიდევ უფრო მეტი წიგნი. ჩვენს შთამომავლობას მართებს უფრო მეტი სიყვარული მომავალშიაც. ღადგან ასეტი ადამიანები იშვიათად იბადებიან...

<sup>1</sup> ივანე ჯავახიშვილის დღეები ქუთაისში, მუშაობის გეგმა და თეზისები, 1996, გვ. 9

***Lia Gabunia***  
*Akaki Tsereteli State University*  
**IVANE JAVAKHISHVILI AMONG STUDENTS**  
**RESUME**

In a department of Kutaisi Historical Museum which conserves a collection of the materials related to the 100th anniversary of Ivane Javakhishvili's birth there are small papers of a conference of Kutaisi students besides other unique materials. The papers clearly demonstrate the attitude of the young people towards the prominent scholar (the papers are from the rich family archive of Professor Guram Gabunia – a member of two academies). The young people believe that Ivane Javakhishvili is the greatest researcher of the entire Georgian civilization. All the scientific findings ensured through tireless work, which he provided for teachers and students, are invaluable. He did not criticize students. Instead, he helped them through his pieces of advice.

Ivane Javakhishvili considered an in-depth study of the ancient Georgian literature to be a necessity and encouraged the younger generation to work in this respect. In St. Petersburg "The Scientific Circle of Georgian Students", established for scientists and researchers of the history of Georgia on the initiative of Ivane Javakhishvili, studied the issues of the history of Georgia as well as those of the Georgian literature.

Apart from boundless respect, great love and trust were evident in the speeches of Kutaisi students.

The jubilee days of Ivane Javakhishvili were celebrated by successful students of the Faculty of History and Philology, showing great love and making intellectual speeches at Kutaisi Pedagogical Institute in 1976.

## გაგრის ბრძოლა

საქართველო არის მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი ქვეყანა, რომელიც თავისი უნიკალურობის გამო, მუდამ იყო როგორც მეზობელი, ისე არამეზობელი ქვეყნების ინტერესის ობიექტი, რაც მეტწილად საშინელ ომებსა და ქართველი მოსახლეობის ტანჯვა-წამებაში გადაიზრდებოდა, ხშირად კი საქართველოს ტერიტორიების დატაცებითა, ერის გენოციდითა და გადაგვარების მცდელობებით მთავრდებოდა.

მსოფლიო ისტორიაში, უძველესი დროიდან მოყოლებული, ქართველი ერი თავს იცავდა ისეთი დამპყრობლებისგან როგორებიცაა: რომაელები, ბიზანტიელები, ხაზარები, ირანელები, არაბები, თურქ-სელჩუკები, მონღოლები, ოსმალები და რუსები. უახლოეს ისტორიაში, კერძოდ, მე-20 საუკუნის 90-იან წლებსა და 21-ე საუკუნის დასაწყისში, საქართველომ ეროვნული ინტერესების დასაცავად მრავალი ბრძოლა გადაიტანა, რომელშიც მას რუსეთის ფედერაციის სახით ბევრად უფრო დიდ და მძლავრ დამპყრობელთან მოუწია დაპირისპირება.

ბოლო ორასი წლის განმავლობაში (გარდა 1918-21 წლებისა), საქართველოს რუსეთის მონობის უღლის ტარება მოუწია. 1991 წლის 9 აპრილს ქართველმა ერმა დამოუკიდებლობა კვლავ დაიბრუნა. საქართველომ თავისი პოლიტიკური გეზი დასავლეთისკენ აიღო და უმთავრეს პრიორიტეტად ჩრდილო-ატლანტიკურ აღიანსსა და ევროკავშირში გაწევრიანება დაისახა. რაც, რუსეთის მხრიდან, საფრთხედ იქნა აღქმული. ამასთანავე, გეოპოლიტიკურ ჭრილში, საქართველოს დაკარგვით, რუსეთი მთლიანად სამხრეთ კავკასიას, შავი ზღვის მნიშვნელოვან საზღვაო პორტებსა და სტრატეგიული მნიშვნელობის მარშრუტებზე კარგავდა კონტროლს.

რუსეთმა ჩრდილოეთ საქართველოში მცხოვრები ეთნიკურ უმცირესობათა, აფხაზებისა და ოსების, მოძმე ქართველების წინააღმდეგ წაქეზება მოახერხა. შედეგად მე-20 საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში კონფლიქტის კერძება იფეთქა. მალე კონფლიქტში „ეთნიკური უმცირესობის მხარდაჭერის მიზნით“ რუსეთიც ჩაერთო, რომლის ნამდვილი მიზანი კონფლიქტის კიდევ უფრო გაღვივება და რეგიონში ქაოსის დამყარება იყო. მიზანს მალევე მიაღწია და აღნიშნული კონფლიქტი მმათაშორის სისხლისმღვრელ ომში გადაზიარდა. ომში, რომლის ერთ-ერთი მძლავრი და გადამწყვეტი მოთამაშე „მშვიდობისმყოფელი“ რუსეთის ფედერაცია იყო.

აღნიშნულ კრიზისში რუსეთისთვის საკვანძო მიმართულებას აფხაზეთის რეგიონი წარმოადგენდა. შესაბამისად, მათი მხრიდან 1992-93 წლების აფხაზეთის ომში მეტი საშუალებები და ძალისხმევა იყო გამოყენებული. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ უშუალოდ აფხაზეთის ომში გადამწყვეტი როლი გაგრის ბრძოლამ ითამაშა, რომელიც აფხაზთა სეპარატისტული ფორმირებებისა და კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაციის ქვედანაყოფების გამარჯვებით დასრულდა. გაგრის ბრძოლამ გადაწყვიტა აფხაზეთის ომისა და ცხინვალის რეგიონის ბედიც.


1992-93 წლების აფხაზეთის ომში გაგრის რეგიონის მნიშვნელოვნობა კარგად არის ნაჩვენები დაზმირ ჯოჯუას აფხაზეთის ომის პერიოდიზაციაში.<sup>1</sup> სადაც პირველი პერიოდი ქართული მხარის წინსვლის პერიოდია, ხოლო მეორე პერიოდიდან კი გაგრის დაცემის შემდეგ იწყება ქართული მხარის თავდაცვაზე გადასვლისა და მიმდინარე პოზიციების შენარჩუნების პერიოდი, რომელმაც გადაწყვიტა ომის ბედი. მეზუთე პერიოდი ქართული მხარის უკან დახვითა და აფხაზეთის დაკარგვით სრულდება.

<sup>1</sup> დაზმირ ჯოჯუა. სოხუმის დაცემა. 2014, გვ. 78-80.

გაგრა, თავისი გეოგრაფიული მდებარეობითა და რელიეფის მახასაიათებლებით, თავიდანვე კრიტიკული მნიშვნელობის ტერიტორიად ითვლებოდა. იგი რუსეთისკენ მიმავალი საავტომობილო და სარკინიგზო მარშრუტების ერთადერთ სახმელეთო კარიბჭეს წარმოადგენდა. რელიეფის თვალსაზრისით, რეგიონის მიმდებარე ტერიტორიის 80% მთებსა და გორაკებს უჭირავს. შესაბამისად, ქალაქის მიმდებარე ტერიტორია არ იძლევა მოახლოების მარშრუტების მრავალფეროვნებას და ყველას ერთ, ვიწრო კალაპოტში აერთიანებს, რომელიც ნებისმიერ ძალას გადაადგილებასა და მანევრში მნიშვნელოვნად ზღუდავს.

გაგრის შესასვლელზე კონტროლის დაწესებას ქართული მხარისთვისაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. ამიტომაც აფხაზეთში ჯარის შეყვანის მეორე დღესვე, 15 აგვისტოს, ქართულმა მხარემ გაგრის რაიონის დაბა განთიადში საზღვაო დესანტი გადასხა,<sup>1</sup> რომელიც საქართველო-რუსეთის სახელმწიფო საზღვართან მდინარე ფსოუზე გავიდა და რუსეთ-საქართველოს საზღვარზე საქართველოს სახელმწიფო დროშა აღმართა. ამ ოპერაციით ქართულმა მხარემ განთიად-ლესელიძის ზონაზე კონტროლი დააწესა. ამავდროულად, ქართული ჯარის „შავნაბადა“-ს ბატალიონმა ოთხდღიანი ბრძოლის შედეგად, 19 აგვისტოს ქალაქ გაგრასა და დაბა კოლხიდაში შესვლა მოახერხა,<sup>2</sup> ამით ქართულმა მხარემ სტრატეგიული მნიშვნელობის საკვანძო ტერიტორიის, გაგრის ქედის დაკავება და მისი კონტროლზე აყვანა შეძლო.

17 აგვისტოს უკვე ორივე მხრიდან მოეწყო პიკეტები. აფხაზურმა მხარემ პიკეტები სოფელ ბზიფთან მოაწყო, ხოლო ქართულმა მხარემ სოფელ კოლხიდასთან.<sup>3</sup> ამ დროისთვის აფხაზი სეპარატისტების კონტროლს ექვემდებარებოდა მხოლოდ ბიჭვინთა-ახალი ათონის მონაკვეთი მდინარე გუმისთამდე; გუდაუთაში გახიზნული სეპარატისტული დაჯგუფება ალყაში იყო მოქცეული; ხოლო ტყვარჩელის მიმართულება კი - ბლოკირებული.



ვითარება აფხაზეთში 1992 წლის სექტემბრის ბოლოსთვის.

<sup>1</sup> დაზმირ ჯოჯუა. სოხუმის დაცვა. 2014. გვ. 82.

<sup>2</sup> [https://ka.wikipedia.org/wiki/აფხაზეთისომი\(1992-1993\)](https://ka.wikipedia.org/wiki/აფხაზეთისომი(1992-1993))

<sup>3</sup> დავით ლაცუბაძა, ვახტანგ ყოლბაძა, რაფიელ გელანტია, თეიმურაზ ჭაბრაკია, აფხაზეთის ლაბირინთი, 1996, გვ. 126.

გაგრის ვიწრო ხეობის გაკონტროლებით ქართულმა მხარემ მნიშვნელოვანი ამოცანა შეასრულა. მისი ჩაკეტვით საგრძნობლად შეზღუდა რუსეთის ფედერაციიდან სახმელეთო გზით აფხაზთა სეპარატისტების შეიარაღებითა და ტყვია-წამლით მომარაგება, ასევე მათი დაჯგუფების სხვადასხვა ეროვნების დაქირავებული და მოხალისე ბოევიკებით შევსება.

ამრიგად, აგვისტოს თვის ბოლოსთვის, აფხაზი სეპარატისტები ფაქტიურად იზოლირებული აღმოჩნდნენ. მართალია, აფხაზი სეპარატისტების ლოჯისტიკური უზრუნველყოფა აფხაზეთის რეგიონში განლაგებული რუსული სამხედრო ბაზებიდან, ასევე საპაერო და საზღვაო გზით ხორციელდებოდა, მაგრამ ეს საკმარისი არ იყო და დიდ ხარჯებთან იყო დაკავშირებული. მოხალისე ბოევიკებს, ძირითადად, კავკასიის ქედებზე არსებული რთული ბილიკების გადმოლახვა უწევდათ.

მოვლენების შემდგომი განვითარება შაბლონური იყო. 16 აგვისტოს გაგრაში შედგა შეთანხმებები,<sup>1</sup> ხოლო 3 სექტემბერს ქ. მოსკოვში გაიმართა რუსეთისა და საქართველოს დელეგაციის წევრების შეხვედრა.<sup>2</sup> თითქოს ყველა ეს შეხვედრა მიზნად ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარებას ისახავდა. 3 სექტემბრის „მოლაპარაკების შედეგად გადაწყდა, რომ 5 სექტემბრის 12 საათიდან აფხაზეთში ცეცხლი შეწყდებოდა. დოკუმენტი აფხაზეთიდან დაქირავებულთა რაზმების გაყვანას და ქართული საჯარისო ფორმირებების დისლოკაციის შეცვლასაც ითვალისწინებდა.“<sup>3</sup>

დღემდე პოლიტიკოსები, ისტორიკოსები თუ საზოგადო მოღვაწეები დაობენ ამ მოლაპარაკების წარმატებასა და წარუმატებლობაზე. ზოგი ამ მოლაპარაკებას საქართველოს დიპლომატიურ კრახად აღიქვამს. ზოგი თვლის, რომ შეხვედრა წარმატებული იყო, რადგან შეთანხმების დოკუმენტში საქართველოს საზიანოდ არაფერი წერია, უბრალოდ, რუსეთმა არაფერი გააკეთა ამ დოკუმენტის სისრულეში მოსაყვანადო. სამწუხაროდ, რუსეთთან მოლაპარაკებაზე წასვლა უკეთ მცდარი გადაწყვეტილება იყო, რადგან რუსეთთან მოლაპარაკებაში მოგებული მხარე არ არსებობს. მნიშვნელობა არ აქვს მოლაპარაკებისას რა გადაწყვეტილება იქნება მიღებული, ან შეთანხმების დოკუმენტში რა იქნება ჩაწერილი, რუსეთი მაინც თავის სასარგებლოდ იმოქმედებს და ნებისმიერი ძალისხმევით თავისი ჩანაფიქრის აღსრულებას შეეცდება. ამიტომაც, რუსეთთან არანაირი დიპლომატიური გარიგება არ შეიძლება შედგეს. მოლაპარაკებისას იგი რაიმე ელემენტარულ დათმობაზეც კი არ ფიქრობს, არამედ პირიქით, ყოველთვის, ნებისმიერი მეთოდით, ყველაფრის დაუფლებას ცდილობს.

აღნიშნულ დროს ქართულ მხარეს ორი სავარაუდო არჩევანი ჰქონდა: პირველი და საუკეთესო ვარიანტი - როგორც აფხაზი სეპარატისტების მფარველს, რუსეთის ფედერაცია წარმოადგენდა, ანალოგიურად საქართველოსაც უნდა მოექებნა შესაბამისი ზომისა და წონის პროტექესია სახელმწიფო და მასთან ერთად უნდა დამჯდარიყო მოლაპარაკების მაგიდასთან. მეორე ვარიანტი - 5 სექტემბრის შეთანხმება უნდა შესრულებულიყო ორივე მხრიდან ნაწილობრივ და ეტაპობრივად, ადგილსა და დროში წინასწარ გაწერილი გეგმის თანახმად, რომელიც საერთო, ნეიტრალური კომისიის მიერ გაკონტროლდებოდა.

მიუხედავად ამ შეთანხმებისა, როგორც გუმისთის, ასევე გაგრის ფრონტზეც, მცირე მასტეტების შეტაკებები და დანაშაულებრივი ქმედებები ხდებოდა. 5 სექტემბერს ქართულმა მხარემ შეთანხმება პირათლად შეასრულა და პოზიციები დატოვა, ხოლო აფხაზურმა მხარემ პირიქით, ქართველების მიერ დატოვებული პოზიციები დაიკავა და ჩარჩინილი, დაუცველი ქართველი მო-

<sup>1</sup> დავით ლაცუზბაძა, ვახტანგ ყოლბაძა, რაფიელ გელანტია, თემურაზ ჭახრაკია, აფხაზეთის ლაბირინთი, გვ. 126.

<sup>2</sup> ზურაბ პაპასქირი, ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან, წ. 2, 2007, გვ. 377.

<sup>3</sup> დავით ლაცუზბაძა, ვახტანგ ყოლბაძა, რაფიელ გელანტია, თემურაზ ჭახრაკია. აფხაზეთის ლაბირინთი, გვ. 128;

სახლეობის გარკვეული ნაწილი ამოხოცა.<sup>1</sup> ასევე 14 სექტემბერს გაგრასთან, სოფ. კოლხიდის მიმდებარე ტერიტორიაზე ქართულ და აფხაზურ ქვედანაყოფებს შორის მიმიჯ შეტაკებები გაიმართა.<sup>2</sup>

ფაქტები ცხადყოფს, რომ მოლაპარაკებებისა და შეთანხმებების სისრულეში მოყვანის პერიოდებს აფხაზები დროის გასაწელად, ძალებისა და ენერგიის აღსაღენად, უსაფრთხოების ზომების გასატარებლად, საკუთარი პოზიციების გასამყარებლად, დაჯგუფებების ბრძოლისათვის სათანადოდ მოსამზადებლად და ადგილობრივ მოსახლეობაში თავიანთი პოლიტიკის გასატარებლად იყენებდა. თანაც, ყოველი მოლაპარაკება აფხაზების საკეთილდღლეოდ მთავრდებოდა, რადგან მათი მხრიდან მიზანდასახულობა, სიფრთხილე და გონივრული გადაწყვეტილებები იკვეთებოდა.

ხოლო ქართული მხრიდან უყურადღებობას, წინდაუხედაობასა და არაპროფესიონალიზმს ჰქონდა ადგილი: მოწინააღმდეგე სათანადოდ არ ჰყავდათ შეფასებული, თავიანთ შესაძლებლობებში ზედმეტად იყვნენ დარწმუნებულნი და თვლიდნენ, რომ გამარჯვება უკვე განაღდებული ჰქონდათ. მიიჩნევდნენ, რომ ყველაფერს, დღეს თუ არა ხვალ, თავიანთ სასარგებლოდ დაასრულებდნენ. სინამდვილეში, ვერ აცნობიერებდნენ ვის ეომებოდნენ, ან მოწინააღმდეგე რა ხაფანგს უმზადებდათ.

25 სექტემბერს რუსეთის ფედერაციის უზენაესი საბჭოს სესია გაიმართა, რომელზეც აფხაზეთის დელეგაცია იქნა მიწვეული.<sup>3</sup> რაც რუსეთის მხრიდან საერთაშორისო სამართლის ნორმებისა და საქართველოს სუვერენული უფლებების დარღვევას ნიშნავდა. იმავე დღეს, რუსეთის პარლამენტის დადგენილების საფუძველზე, საქრთველოსთვის უკვე შეთანხმებული და გათვალისწინებული ტექნიკის, შეიარაღებისა და ტყვია-წამლის გადაცემა იქნა შეჩერებული... ხოლო კონფლიქტის დაწყებისთანავე გენერალ რეპინის ბრძანებით გუდაუთაში არსებული რუსული ბაზიდან აფხაზურ მხარეს გადაეცა დიდი რაოდენობის სამხედრო არსენალი.<sup>4</sup> იმ დროს საქართველოს ბრძოლისენარიანობისთვის აღნიშნული ქმედება ზურგში დანის ჩარტყმის ტოლფასი იყო. რუსეთმა, აღნიშნული ქმედებებით, ფაქტიურად თავისი მზაკვრული განზრახვა და ამბიციები გამოაშკარავა. რაც ქართულ მხარეს წინასწარ უნდა გაეთვალისწინებინა.

26 სექტემბერს გაგრაში, ქართულმა მხარემ, ერთ-ერთი მცირე შეტაკებისას მოწინააღმდეგის ჯარისკაცი ტყვევდ აიყვანა. დაკითხვისას გაირკვა, რომ უახლოეს მომავალში აფხაზი სეპარატისტების მიერ ქალაქ გაგრაზე ფართომასშტაბიანი შეტევა იგეგმებოდა. სამწუხაროდ, ქართული მხარის მიერ აღნიშნული ინფორმაცია არასერიოზულად იქნა მიჩნეული და არანაირი ყურადღება არ გამახვილდა.<sup>5</sup> ისევ და ისევ გამოიკვეთა საქმისადმი გულგრილი და ზერელე დამოკიდებულება, უცოდინრობისა და არაპროფესიონალიზმის აშკარა მორიგი მაგალითი ან ერის შეგნებული ღალატი. აღნიშნული ფაქტი სულ ცოტა უსაფრთხოების ზომების გაძლიერებას, ზემდგომ ინსტანციაში გადამოწმებასა და სადაზვერვო საშუალებების ამოქმედებას მოითხოვდა.

27 სექტემბერს “კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაციის” პრეზიდენტის მუსა შანიბოვის პატიმრობიდან გათავისუფლება<sup>6</sup> რუსეთის მხრიდან აფხაზი სეპარატისტებისადმი მორიგი ხელის შემწყობი გადადგმული ნაბიჯი იყო. 1992 წლის სექტემბერში, იგი რუსეთის პროკურატურამ საქართველოს ხელისუფლების თხოვნის საფუძველზე დააპატიმრა. ხოლო მისი გათავისუფლების მიზეზად რუსეთს ჩრდილოეთ კავკასიაში მისი მხარდამჭერი აქციები მოყავდა.<sup>7</sup> თითქოსდა რუსეთის ხელმძღვანელობამ კავკასიის მოსახლეობის ტკივილი და თხოვნა გულთან მიიტანა. რასაც იმავე დღეს ვ. არძინბას ოფიციალური განცხადება მოჰყვა, რომლის თანახმად იგი

<sup>1</sup> დავით ლაცუზბაძა, ვახტანგ ყოლბაძა, რაფიელ გელანტია, თემურაზ ჭახრაკია, აფხაზეთის ლაბირინთი, გვ. 130.

<sup>2</sup> გაზეთი „საქართველო“, 1992 წლის ნოემბერი.

<sup>3</sup> გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ 1992 წ. 2 ოქტომბერი

<sup>4</sup> იქვე

<sup>5</sup> [https://ka.wikipedia.org/wiki/აფხაზეთისომი\(1992-1993\)](https://ka.wikipedia.org/wiki/აფხაზეთისომი(1992-1993))

<sup>6</sup> ზურაბ პაპასქირი. ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან, წ. 2, გვ. 382.

<sup>7</sup> [https://ru.wikipedia.org/wiki/Конфедерация\\_горских\\_народов\\_Кавказа](https://ru.wikipedia.org/wiki/Конфедерация_горских_народов_Кавказа)

“კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაციის” შეიარაღებული ფორმირებების აფხაზეთიდან გაყვა-ნაზე უარს აცხადებდა.<sup>1</sup>

შედეგად მივიღეთ ის, რომ 3 სექტემბრის მოლაპარაკების დოკუმენტში ჩამოწერილი პუნქტები ქართულმა მხარემ დროულად და პირნათლად შეასრულა. მან აღნიშნული დოკუმენტის თანახმად თვის ბოლომდე თავისი შეიარაღებული ქვედანაყოფები გავრის ზონიდან გაიყანა. ხოლო რუსეთის მიერ შეგულიანებულმა აფხაზურმა მხარემ კი არა. ნათელი იყო, რომ რუსეთის აქტიური მხარდაჭერით აფხაზი სეპარატისტები საქართველოს წინააღმდეგ მზაკვრულ გეგმას ამზადებდნენ.

რეგიონში არსებულ ვითარებას კიდევ უფრო ამძაფრებდა მოქმედ ხელისუფლებასა და საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის ზ. გამსახურდიას მომხრეებს შორის არსებული დაპირისპირება. ფაქტობრივად, ქართული მხარეც ორად იყო გაყოფილი. თითქოს ორივე მხარეს საქართველოს კეთილდღეობა სურდათ, მაგრამ მათი ხშირი ურთიერთდაპირისპირება ქვეყნას აზიანებდა.

1992 წლის 30 სექტემბერს ზვიად გამსახურდიას მხარდაჭერებმა საქართველოს ხელისუფლების შეიარაღებული შენაერთები სენაკიდან გამოაძევეს,<sup>2</sup> ხოლო პირველ ოქტომბერს ზ. გამსახურდიას მომხრე ეროვნული გვარდის შენაერთებმა ქ. ხობი აიღეს.<sup>3</sup> ეს მოვლენები საერთაშორისო ასპარეზზე, საქართველოს მოსახლეობის ერთიანობისაკენ სწრაფვას ეჭვებეშ აყენებდა.

აფხაზზურმა მხარემ არც ეს მომენტი გაუშვა ხელიდან, მათ დაარღვიეს მოსკოვის შეთანხმება და 1 და 2 ოქტომბერს ქ. გაგრის მიმართულებით მასიური შეტევა განახორციელეს.

1 ოქტომბრის საღამოს 6:00 საათზე აფხაზმა სეპარატისტებმა და მისმა მხარდაჭერმა კოალიციამ წითელი ჯვრის საგუშაგო აიღო და ერთ საათში უკვე სოფ. კოლხიდას მიადგა. ამ ბრძოლაში ძირითად ძალისხმევას შამილ ბასაევის ბატალიონი და კაზაკთა შენაერთები წარმოადგენდნენ (ჯამში 600-მდე მებრძოლი). იმ საღამოსვე დაბა კოლხიდა აფხაზი სეპარატისტების დაქვემდებარებაში მოექცა.<sup>4</sup>

2 ოქტომბრის დიღის 6:00 საათზე აფხაზურმა მხარემ უკვე ქ. გაგრას შეუტია, ქალაქის შესასვლელ 4 კმ-იან ზოლს 109 მეტროლი ამაგრებდა. აქედან გამომდინარე, ქართული შენაერთები იმულებული იყვნენ უკან დაეხიათ. აფხაზი მეომრები ქალაქში მალევე შევიდნენ, ჯერ რკინიგზის სადგური აიღეს, შემდეგ კი ქალაქის ცენტრშიც შევიდნენ. იმავე საღამოსვე გაგრაც აფხაზების ხელში გადავიდა.<sup>5</sup> გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ შეტევის დაწყებამდე, 3 სექტემბრის შეთანხმების საფუძველზე, გაგრაში განლაგებულმა რუსულმა სამშვიდობო ძალებმა თავიანთი სადაცვირვებლო პოზიციები დატოვეს და თავიანთ ბაზაზე დაბრუნდნენ.<sup>6</sup>

კიდევ უფრო ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ აღნიშნულ პერიოდამდე რუსეთის მხრიდან აშკარა ჩარევასა და მასიურ სამხედრო მოქმედებებს ადგილი არ ჰქონია, ისინი მხოლოდ გარკვეულ მხარდაჭერასა და სპეციალური სახის უზრუნველყოფას ეწეოდნენ. გაგრის ბრძოლაში რუსული მხარის ჩართულობა უკვე ნათლად გამოიკვეთა. ამ ბრძოლაში რუსეთმა ჩართო არსებულ რეგიონში მის ხელთარსებული უახლესი თანამედროვე სამხედრო ტექნიკა: „ტანკები, ავიაცია. ...სამხედრო გემები СКР "Безуკоризненныи", КИЛ-25, ВТН-38, ВМ-66, ГА "Головин", 345-ე სადესანტო ბატალიონი, 529-ე საავიაციო (СУ-25, СУ-27, МИ-8), 643-ე

<sup>1</sup> დავით ლაცუზბაია, ვახტანგ ყოლბაია, რაფიელ გელანტია, თემურაზ ჭახრაკია. აფხაზეთის ლაბირინთი, გვ. 131.

<sup>2</sup> დავით ლაცუზბაია, ვახტანგ ყოლბაია, რაფიელ გელანტია, თემურაზ ჭახრაკია. აფხაზეთის ლაბირინთი, გვ. 131.

<sup>3</sup> დავით ლაცუზბაია, ვახტანგ ყოლბაია, რაფიელ გელანტია, თემურაზ ჭახრაკია, აფხაზეთის ლაბირინთი, გვ. 131.

<sup>4</sup> [https://ka.wikipedia.org/wiki/აფხაზეთისომი\(1992-1993\)](https://ka.wikipedia.org/wiki/აფხაზეთისომი(1992-1993))

<sup>5</sup> დავით ლაცუზბაია, ვახტანგ ყოლბაია, რაფიელ გელანტია, თემურაზ ჭახრაკია, აფხაზეთის ლაბირინთი, გვ. 131

<sup>6</sup> დაზმირ ჯოჯუა, სოხუმის დაცემა, გვ. 84.

საზენიტო-სარაკეტო პოლკები... რუსულმა ტანკერმა "ДОН" გუდაუთაში ჩამოცალა 420 ტონა დიზელის საწვავი და ბენზინი.<sup>1</sup>

ასევე აღსანიშნავია, რომ აფხაზი სეპრატისტების ხელში აღმოჩნდა ისეთი თანამედროვე შეიარაღება და ტექნიკა, რომელიც მათ კონფლიქტის საწყის ეტაპზე არ გააჩნდათ.<sup>2</sup> იმ დროის-თვის რეგიონში შემავალი სახმელეთო გზები ქართული დანაყოფებით კონტროლდებოდა, ამიტომ მათ აღნიშნული არსენალი მხოლოდ რეგიონში განლაგებული რუსეთის ბაზებიდან უნდა მიეღოთ.

რუსეთის სახმელმწიფო არა მარტო ეხმარებოდა აფხაზ სეპარატისტებს, არამედ უშუალოდ მონაწილეობდა თავისი სამხედრო მაღალჩინოსნებიანად. გაგრის რაიონში არსებული ქართული შენაერთების („თეთრი არწივი“, „მხედრიონი“, პოლიციის დანაყოფები) დასახმარებლად ქართულმა შეარებ დამატებითი დესანტის გადასხმა დააპირა, მაგრამ ცდა ამაო იყო, რადგან ზღვის აკვატორია მთლიანად ბლოკირებული იყო, რომლის დაბლოკვაში ლომის წილი რუსეთის 643-ე საზენიტო-სარაკეტო პოლკსა და სამხედრო-საზღვაო ფლოტს მიუძღვის. ამ ოპერაციას რუსეთის თავდაცვის მინისტრის მოადგილე, გენერალ-პოლკოვნიკი გ. კონდრატიევი ხელმძღვანელობდა.<sup>3</sup>

როგორც ვხედავთ, რუსეთის მხრიდან გაგრის ბრძოლა არ იყო მარტო „ჩაგრული ერისად-მი“ შეარდაჭერა, არამედ საქართველოს სახმელმწიფოს წინააღმდეგ დეტალურად დაგეგმილი და კარგად მომზადებული ოპერატიული დონის ბრძოლა, რომელშიც ჩართული იყო ბრძოლის ველის სამი კომბონენტი: ხმელეთი, ზღვა და ჰაერი, რაც ოპერატიული დონის მთავარი ოპერაციის ერთ-ერთი მახასიათებელია. რუსეთის მხრიდან ამგვარი აშკარა ჩარევა აღნიშნულ რეგიონში საკუთარი ინტერესების ხარისხს მიუთითებს. რუსეთისთვის გაგრის კარიბჭის გახსნა როგორც აფხაზ სეპარატისტებთან, ასევე თავიანთ ბაზებთანაც თავისუფალი და შეუფერხებელი სახმელეთო კომუნიკაციის საშუალებას იძლეოდა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქ. გაგრასა და მის მიმდებარე ტერიტორიას აფხაზი სეპარატისტებისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან ნოემბრიდან, ზამთრის როგორ პირობებში, მთის ბილიკების გამოყენება შეუძლებელი იქნებოდა. შესაბამისად, აღყაში მოქცეული სეპარატისტებისთვის რუსეთთან სახმელეთო კავშირის დამყარება კრიტიკულად მნიშვნელოვანი იყო, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი გაზაფხულამდე ვერ გასტანდნენ.

გაგრის დაცემის შემდეგ ქართულმა შენაერთებმა განთიადი-ლესელიძის მიმართულებით უკან დაიხიეს და საქართველო-რუსეთის საზღვრის გადაკეტვა სცადეს. ჩრდილოეთისკენ გადასული ქართული შენაერთების ნარჩენებისგან გია ყარყარაშვილი ერთიანი დაჯგუფების ჩამოყალიბებას შეეცადა, მაგრამ მარცხით გამოწვეული არსებული ვითარების გამო ეს ცდა უშედეგოდ დამთავრდა. ამიტომ, როგორც მოსალოდნელი იყო, 6 ოქტომბრისთვის აფხაზურმა შენაერთებმა ჯერ ლესელიძე დაიკავეს, შემდეგ განთიადში შევიდნენ და ბოლოს საქართველო-რუსეთის სახელმწიფო საზღვარზეც გავიდნენ.<sup>4</sup>

5 ოქტომბრის რადიოინტერვიუში საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ გაგრის ბრძოლასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ გაგრის ზონაში „სამხედრო ხელმძღვანელობა არ იყო ერთიანი. გაგრაში რომ სამხედრო წესრიგი და გამართული სამხედრო ქვედანაყოფები ყოფილიყვნენ, ასე არ მოხდებოდა. რაოდენობრივად ძალები იქ იყო“<sup>5</sup> ამ გამოსვლით პრეზიდენტმა გაგრის მარცხი საქართველოს სამხედრო ხელმძღვანელობას გადააბრალა. ნაწილობრივ მარ-

<sup>1</sup> დავით ლაცუბაძა, ვახტანგ ყოლბაძა, რაფიელ გელანტია, თემურაზ ჭახრავა, აფხაზეთის ლაბირინთი, გვ. 131-132.

<sup>2</sup> გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ 1992 წ. 3 ოქტომბერი

<sup>3</sup> დავით ლაცუბაძა, ვახტანგ ყოლბაძა, რაფიელ გელანტია, თემურაზ ჭახრავა, აფხაზეთის ლაბირინთი, გვ. 131-132.

<sup>4</sup> დაზმირ ჯოჯუა, სოხუმის დაცემა, გვ. 85.

<sup>5</sup> გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ 1992 წ. 6 ოქტომბერი

თალია, თუმცა გაგრის დაცემაში უდიდესი წვლილი თვით საქართველოს ხელისუფლებას მიუძღვის.

ქართული მხარის უპირველესი და ამასთანავე უდიდესი შეცდომა იყო ის, რომ მან 3 სექტემბრის მოსკოვის შეთანხმება პირნათლად შეასრულა და ქ. გაგრიდან სამხედრო შენაერთების მნიშვნელოვანი ნაწილი სექტემბრის თვეშივე გაიყვანა ისე, რომ მოწინააღმდეგის მხრიდან სათანადო ქმედებასა და რეაგირებას საერთოდ არ აკვირდებოდა. რაც ქართული მხარის ხელისუფლებისა და გენერალიტეტის მხრიდან მცდარი და საბედისწერო ნაბიჯი აღმოჩნდა, რომელიც მათ არაკომპეტენტურობას ან სამშობლოს დალატს უნდა დაგმორალოთ.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ქართული მხარის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფუნქციის, სადაზვერვო სამსახურის მიერ გამოვლენილი არაკვალიფიციურობა და უსუსურობა. ბრძოლებისა და შეტაკებების შეულებელებში არსებულ დროს მოწინააღმდეგებ ძალზე უფექტურად იყენებდა საკუთარი ძალებისა და ენერგიის აღსადგენად. ასევე მოლაპარაკებებისა და შეთანხემებების საკითხებსა და ვალდებულებებს მხოლოდ მოგებისა და გამორჩენის მიზნით ასრულებდა. ქართული მხარის დაზვერვის სისტემა აღნიშნულ საკითხებს დროულად ვერ აფიქსირებდა და სათანადო ინდიკატორებსაც ვერ ავლენდა. შესაბამისად ვერ მოხერხდა არსებული ვითარების გაანალიზება და რუსულ-აფხაზური კოალიციისგან მოსალოდნელი საფრთხეების დროული პროგნოზირება.

რუსეთის ხელისუფლების მიერ მუსა შანიბოვის გათავისუფლების, შემდეგ ვ. არძინბას კონფედერაციის შეიარაღებული ფორმირებების გაყვანაზე უარის გაცხადებას, და ბოლოს, აფხაზი ტყვის აღიარებითი ჩვენებას ქართული სარდლობის მხრიდან უნდა მოჰყოლოდა შემდეგი ზომები: კონფლიქტურ რეგიონებში უსაფრთხოების ზომების გამკაცრება, სათანადო სადაზვერვო სამუშაოების ჩატარება (განსაკუთრებით რუსეთის ბაზებისა და პორტების მიმდებარე ტერიტორიებზე), ძალების ხელახლა მობილიზება და მათი რეგიონებში ორგანიზებულად შეყვანა, სათა-დარიგო გეგმების მომზადება/ამოქმედება. უმოქმედობას კრიტიკული მნიშვნელობის სტრატეგიული ტერიტორიის დაუცველად დატოვება და შემდგომ მტრის ხელში იოლად ჩაგდება მოჰყვა. რამაც საბოლოო ჯამში გამოიწვია აფხაზეთის რეგიონის დაკარგვა. ასეთი მძაფრი მოვლენებისა და ასეთი მნიშვნელოვანი ინფორმაციის რეაგირების გარეშე დატოვება, სულ ცოტა, სამშობლოს წინაშე ჩადენილი დალატის ტოლფასი დანაშაულია.

გაგრის დაცემის მეორე მიზეზი საქართველოს მაშინდელ შეიარაღებულ ძალებში არსებული სავალალო მდგომარეობა იყო. თავდაცვის მინისტრის, თენგიზ კიტოვანის თქმით, შეიარაღებული ძალების „გარეგნული იერი თუ საქმიანობა ხშირად ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს“.<sup>1</sup> ამ ერთ წინადადებით ყველაფურია ნათქვამი. მაშინდელი ქართული ჯარი ახალი ჩამოყალიბებული იყო: არ ჰყავდა განათლებული და პროფესიონალი კადრები, არ არსებობდა ჩამოყალიბებული და გამართული სისტემა, ფუნქციებიც კი არ იყო გამიჯნული და არც სამხედრო სამსახურისთვის სათანადო პირობები არსებობდა. თავდაცვის სამინისტროს ბრიგადები და ბატალიონები ბოლომდე დაკომპლექტებულიც კი არ იყო.

აფხაზეთის ომში სამხედრო თვალსაზრისით მოშლილი იყო ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საბრძოლო ფუნქცია მართვა, კონტროლი და კავშირი. „არ არსებობდა ბატალიონებს შორის კოორდინაცია. ხშირ შემთხვევაში არ არსებობდა საერთო მეთაურობაც.“<sup>2</sup> ბრძოლაში წარმატების მისაღწევად მართვა და კონტროლი და სამხედრო დისციპლინა, საბრძოლო წვრთნასთან ერთად ერთმანეთისგან განუყოფელი სასიცოცხლო კომპონენტებია.

ძალოვან სტრუქტურებში დისციპლინა საერთოდ არ არსებობდა. აფხაზეთის ომში, კერძოდ გაგრაში „ყველა დაჯგუფებას საკუთარი მეთაური ჰყავდა და ყველა რაზმი თავისთვის იბრძოდა. გაგრაში არ არსებობდა დისციპლინა და ქალაქის დაცვის ერთიანი გეგმა. ჯარისკაცებს სანგრე-

<sup>1</sup> გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ 1992 წ. 2 ოქტომბერი

<sup>2</sup> [https://ka.wikipedia.org/wiki/აფხაზეთისომი\(1992-1993\)](https://ka.wikipedia.org/wiki/აფხაზეთისომი(1992-1993))

ბიც კი არ ჰქონდათ გათხრილი.<sup>1</sup> ნებისმიერ დროს ბრძოლის ველზე სამხედრო დისციპლინა გადამწყვეტ როლს თამაშობს. რთულ გარემო პირობებში (ცუდი ამინდი, რთული რელიეფი, შიმშილი, წყურვილი) უფრო მეტად მდგრადი და ამტანია ის ქვედანაყოფი, რომელსაც მტკიცე დისციპლინა გააჩნია და საერთო მიზნისკენ ერთიანი ძალებით იბრძვის. დისციპლინირებული და ერთ მუშტად შეკრული ქვედანაყოფი ფსიქოლოგიური წნევის დროს იშვიათად ტყდება, ასეთ ქვედანაყოფს შიდა არეულობა და პანიკის ნიშნები თითქმის არ ახასიათებს. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ასეთ ქვედანაყოფს აუცილებლად მართავს დისციპლინირებული, კარგად გაწვრთნილი და კომპეტენტური სამეთაურო რგოლი. „ნებისმიერი მართვა და კონტროლის უწინშვნელოვანესი ელემენტებია კარგად გაწვრთნილი და დისციპლინირებული ჯარისკაცები.“<sup>2</sup>

ძალოვანი სტრუქტურის როგორც მაღალ, ასევე დაბალ ეშელონებში ძალზე ხშირი იყო არაკომპეტენტურობა. იმ დროისთვის თვდაცვის მინისტრი თენგიზ კიტოვანი პროფესიით იყო მხატვარი, ხოლო შეიარაღებული ფორმირება „მხედრიონი“-ის დამარსებელი და ლიდერი ჯაბა იოსელიანი პროფესიით თეატრალური სპექტაკლის სცენარისტი იყო. ამავდროულად გახდათ ე.წ. „კანონიერი ქურდი“. მაღალი რანგის სამხედრო ოფიცრები ყოფილი საბჭოთა რუსეთის ყოფილი სამხედრო მოსამსახურები იყვნენ, რომელთა უმრავლესობას არანაირი პროფესიონალიზმი და განათლება არ გააჩნდა. შესაბამისად, მათ ბრძოლის ველზე პირადი შემადგენლობის მეთაურობა და დაქვემდებარებული ქვედაყოფების მართვა უჭირდათ. ამიტომაც თანდათანობით გახშირდა დეზერტირობა, მარადიორობა და უკანონო ქმედებები, რაც კიდევ უფრო ართულებდა ადგილობრივ მოსახლეობასთან ურთიერთობას და თანდათანობით, მათში ფორმიანებისადმი ზიზღს ნერგავდა.

ლოგიკურია, რომ ქვედა ეშელონებში, ტაქტიკურ დონეზე, პირად შემადგენლობაში სრული ქაოსი სუფევდა, რადგანაც ჯარისკაცებს სათანადო თეორიული ან პრაქტიკული ცოდნა არ გააჩნდათ, ელემენტალური იარაღის გამოყენება, საკუთარი თავის შენიღება და დაცვაც კი არ იცოდნენ. საამისოდ არც საკმარისი რაოდენობის მცოდნე კადრები არსებობდა და არც დრო.

19 სექტემბერს ქართული მხარის მიერ ბზიფიდან მამზიშხის მთის მიმდებარე ტერიტორიის დასაზვერად და მარშრუტის გადასაკეტად მიმავალ ქართველი მებრძოლებით სავსე სამგზავრო ავტობუსს გზაზე აფხაზმა ბოევიკებმა ცეცხლი გაუხსნა, რის შედეგადაც დაიღუპა 6 და დაიჭრა 14 მებრძოლი.<sup>3</sup>

აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ომების მონაწილე თავდაცვის სამინისტროს იმუქამინდელი სპეციალური ბატალიონის დაზვერვის უფროსის მაიორ მაიზერ გელოვანის გადმოცემით: შუადღით, დაზვერვაზე წითელი „იკარუსის“ ავტობუსით მიმავალ ქართულ ქვედანაყოფს გზაზე მტერმა ჩასაფრება მოუწყო. შედეგად ბევრი დაიხოცა და დაიჭრა.<sup>4</sup>

აღნიშნული ფაქტებით ნათლად ჩანს მაშინდელი სამხედრო მოსამსახურების საბრძოლო მომზადების დონე. რადგან მათ არ იცოდნენ, რომ დღისით, შუა გზაზე სამოქალაქო ავტობუსით სადაზვერვო ამოცანის შესრულება ყოვლად დაუშვებელია. რომ ნებისმიერ დავალება უნდა შესრულდეს უსაფრთხოების ზომების დაცვით. ასეთი ქვედანაყოფის საბრძოლო მზაობაზე ლაპარაკი ზედმეტია.

მიუხედავად გაგრის დაცემისა, სახალხო ლაშქარმა და ქართულმა შეიარაღებულმა ძალებმა სხვა მიმართულებებზე ფრონტის ხაზის შენარჩუნება მოახერხეს. ასევე შენარჩუნებულ იქნა ტყვარჩელის ბლოკადა.<sup>5</sup> მაგრამ გაგრის ბრძოლამ მაინც გადაწყვიტა აფხაზეთის ომის საბოლოო ბედი. ამ მარცხით ქართულმა მხარემ არამარტო სტრატეგიული მნიშვნელობის ადგილმდებარეობა დათმო, არამედ მან საქართველო-რუსეთის საზღვრის კონტროლიც დაკარგა. ხოლო აფხა-

<sup>1</sup> [https://ka.wikipedia.org/wiki/აფხაზეთისომი\(1992-1993\)](https://ka.wikipedia.org/wiki/აფხაზეთისომი(1992-1993))

<sup>2</sup> FM 5-0. THE OPERATIONS PROCESS. Headquarters Department Of The Army. March 2010, გვ. 1-3.

<sup>3</sup> <https://gmas.ge/2015/სიახლეები/გაგრის-დაცემა-1992-წლის-2-აგვის/>

<sup>4</sup> <https://for.ge/view/41060/omi-romelsac-ar-daviviwyebT.html>

<sup>5</sup> დაზმირ ჯოჯუა, სოხუმის დაცემა, გვ. 85.

ზურმა მხარემ რუსეთთან უკვე სახმელეთო კავშირი დაამყარა, რაც იმ დროისთვის აფხაზური მხარისთვის კრიტიკულ მნიშვნელობას ატარებდა. აფხაზი სეპარატისტების რუსეთ-საქართველოს საზღვარზე მიღწევის დღიდან ქართული მხარე თავდაცვით ბრძოლებზე გადავიდა.

ქართული შენაერთების მიერ გაგრის დატოვებას აფხაზების მხრიდან ქართველი მოსახლე-ობის თავიანთი საცხოვრებლებიდან აყრა, დევნა, გენოციდი და საერთაშორისო კონვენციებით აღიარებული სხვადასხვა დანაშაულობები მოჰყვა. ჩრდილო-კავკასიელ ბოევიკებთან და დაქირავებულთა შეიარაღებულ ფორმირებებთნ ერთად აფხაზი სეპარატისტების მხრიდან ადგილი ჰქონდა მშვიდობიანი მოსახლეობის მარცვას, ხოცვა-ულეტას, გაუპატიურებას; ადამიანების წამებას, ცოცხლად დამარხვას, სამიზნებად გამოყენებას; საავადმყოფოში დაჭრილთა დახოცვას, სამედიცინო ჰქონის მკვლელობებს.<sup>1</sup> რაც გარკვეულწილად ქართული ხელისუფლების ბრალიც იყო. რადგან მათ ვერ შეძლეს ადგილობრივი მოსახლეობის დროულად ინფორმირება და მათი საომარი ზონიდან ევაგუაცია.

გაგრაში ბრძოლის წაგებამ ასევე მნიშვნელოვნად იმოქმედა ქართულ შენაერთებსა და მებრძოლებზეც, განსაკუთრებით მათ მოტივაციასა და საბრძოლო სულისკვეთებაზე. ამ მარცხმა ზეგავლენა მოახდინა არამარტო მებრძოლებზე, არამედ ადგილობრივ მოსახლეობაზეც კი. გაგრის დაცემის შემდეგ „ვითარება აფხაზეთში, როგორც სამხედრო, ისე სამეურნეო-აღმინისტრაციული თვალსაზრისით, ფაქტობრივად უმართავი რჩებოდა.“<sup>2</sup>

გაგრის ბრძოლამ გადამწყვეტი როლი ითამაშა აფხაზეთის ომსა და ცხინვალის ომშიც, რომელიც რუსეთის, კონფედერაციის ძალებისა და დაქირავებული ბოევიკების მხარდაჭერით, აფხაზი სეპარატისტების გამარჯვებით დასრულდა. მარცხის მიზეზი იყო: ხელისუფლების მხრიდან უყურადღებობა და გულგრილობა; სამხედრო ხელმძღვანელობის მხრიდან (თუ ამას სამხედრო ერქვა) არაკომპეტენტურობა, გამოუცდელობა, მართვა და კონტროლის მოშლა, სამხედრო დისციპლინის არ არსებობა და საბრძოლო მომზადების უკიდურესად დაბალი დონე. ასევე ბრძოლაზე მნიშვნელოვნი ზეგავლენა მოახდინა ქვეყანაში არსებულმა ეკონომიკურმა კრიზისმა. ომის შედეგად ქართულმა მხარემ დაკარგა ასობით მებრძოლი; გაგრის მშვიდობიანმა ქართველმა მოსახლეობამ საკუთარ თავზე გამოსცადა ხოცვა, წამება, არაადამიანური სხვადასხვა სახის დანაშაულებრივი მოქმედობა; გადარჩენილები იქცნენ დევნილებად; ხელისუფლებისგან და ხელმძღვანელობისგან მიტოვებული ჯარი მორალურად და ფსიქოლოგიურად გატყდა; ამასთანავე, როგორც აფხაზეთის, ასევე ცხინვალის რეგიონის მშვიდობიან მოსახლეობაში დაუცველობისა და შიშის სინდრომმა დაისადგურა.

აფხაზეთის ომის გაანალიზება საშუალებას იძლევა ჩავუდრმავდეთ მიმდინარე დროისთვის თანდათანობით განვითარებულ პოლიტიკურსა და სამხედრო მოვლენებს; დავადგინოთ კრიზისის გამომწვევი ფაქტორები და მისი ომში გადაზრდის მიზეზები; გამოვიკვლიოთ დაშვებული შეცდომები და დანაშაულობები; გამოვავლინოთ მიღებული მცდარი და ჭეშმარიტი გადაწყვეტილებები; და საბოლოოდ დავასკვნათ რა უნდა შევინარჩუნოთ და რა უნდა გავაუმჯობესოთ სამომავლოდ, მსგავსი ვითარებისას წარმატების მისაღწევად.

<sup>1</sup> გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1992 წ. 7 ოქტომბერი

<sup>2</sup> ზურაბ პაპასქირი, ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან, წ. 2, გვ. 387-388.

*Otar Dolidze*  
*Sokhumi State University*  
**THE GAGRA BATTLE**  
**RESUME**

Georgia has taken its political course to the West since the independence, and prioritized membership of the North Atlantic Treaty Organization and the European Union, which was perceived by Russia as a threat. In the geopolitical context, with the loss of Georgia, Russia was losing control of the entire South Caucasus, important Black Sea ports and strategic routes.

Russia succeeded in enticing the ethnic minorities leaving in the north of Georgia against Georgians and at the beginning of the 90s of the XX century bloody fraternal wars broke out, whose one of the actors was "peacekeeping" Russia.

The key direction in this crisis was the region of Abkhazia. And the Gagra battle played a crucial role in the Abkhaz war. As a result of the war, the Georgian side lost hundreds of fighters. The peaceful Georgian population of Gagra experienced massacres, torture, inhuman and atrocities. The survivors became internally displaced. The army abandoned by the authorities and leadership became morally and psychologically broken. In addition, insecurity and fear reigned among both the peaceful population of Abkhazia and in the Tskhinvali region.

## ჭალატყის მაცხოვრის ჯვარცმის მონასტრის ისტორიიდან

სოფელი ჭალატყე (ზესტაფონის მუნიციპალიტეტი) პირველად მოხსენიებულია კაცხისადმი 1610-1630 წწ. შეწირულობის საბუთში, რითაც გულბუდა ჩხეტიძემ და მისმა მეუღლემ პაატა აბაშიძემ კაცხის მონასტერს შეწირეს ჭალატყეში მცხოვრები “ურია იოსება” მათი ცოლ—შვილითა და სახლ—კარითა<sup>1</sup>.

ჭალატყე ისტორიულად ჯვარცმის სახელობის მონასტრით — იგივე ეკლესითაა ცნობილი. თუმცა, ეს სოფელი შეუძლია საუკუნეებში თავისი მდებარეობითა თუ ეკონომიკური მდგომარეობითაც გამოიჩინდა. ჭალატყეს “არიან მოსახლენი ვაჭარნი, სომეხნი და ურიანი და ვაჭრობენ”<sup>2</sup> გამორჩეულობის მიუხედავად, სოფლისა და ტაძრის სპეციალური შესწავლა ჯერჯერობით არავის უცდია. ჩვენი ნაშრომის მიზანია წარმოვაჩინოთ ჭალატყის მაცხოვრის ჯვარცმის მონასტრის — იგივე სამრევლო ეკლესის შესახებ ისტორიულ ლიტერატურასა და ძეგლ პერიოდულ პრესაში გამოთქმული მოსაზრებები, შევავსოთ ისინი ახალი საარქივო დოკუმენტებით და წინა პლანზე წამოვწიოთ ჩვენი წინაპრების მისადმი გამორჩეული დამოკიდებულება.

სხვაგან ვერ დავიჩიმებ და ახლო-მახლო კი არსად მეგულება ასეთი ფართოგალავნიანი, თლილი ქვებით ოთხკუთხად ნაგები, ლეჩაქის ყურივით მოყვანილი ეკლესია — წერდა აფრასიონ მერკვილაძე<sup>3</sup>.

ჯვარცმის სახელობის მონასტრის მომხიბვლელობას ისიც განაპირობებდა, რომ გამორჩეულ ადგილას, იქ, სადაც მდ. ჩოლაბური “ურიების ღელეს” ერთოდა, გაშლილ ვაკეზე მდებარეობდა. აფრასიონ მერკვილაძე იმასაც აღნიშნავდა, რომ ჭალატყის ჯვარცმის სახელობის ეკლესია უწინ მონასტერი ყოფილა. ვახუშტი ბატონიშვილი 1703 წლის თურქების შემოტევაზე საუბრისას, როცა მათ ჭალატყის სამი თავდაცვითი ნაგებობა ააოხრეს, ჯვარცმის სახელობის მონასტერზე არაფერს ამბობს. “წარმოემართა სარასკარი იმერეთსა ზედა და ქეპას უბრძანა მისლვა არგუეთს. შემოვიდნენ და მოსწუეს არგუეთი ოსმალთა და მოადგნენ ჭალატყის კოშკებთა, რომელი განემაგრა აბაშიძეს თხრილებითა. განმაგრდნენ მეციხოვნები და მოსრგიდნენ მრავალთა ოსმალთა. შემდგომად მოუ და ისაყ ახალციხის ფაშა სპათა შემოტევებით, ალიღო თხრილი და მიუღინნა ქუშე მთხრელნი და წარმოვიდა თ თ. ხოლო შემდგომად შეთხრისა მისცეს ცეცხლი და გარდმოაბრუნვეს სამნივე იგი კოშკი ძირითურთ და დაირღუნენ. ეპა უცხო, რამეთუ მორჩა კაცი ერთი უნებელად და განუტევეს ოსმალთაცა”<sup>4</sup>. სავარაუდო ჯვარცმის მონასტრის პირვანდელი ნაგებობის დანგრევა და განადგურება შესაძლოა ამ წელს მომხდარიყო. მონასტრის ხელახალ აღდგენას სოლომონ პირველის სახელს უკავშირებენ. რაც აფრასიონ მერკვილაძის თქმით 1762 წელს მოხდა. საარქივო დოკუმენტებით ეს თარიღი თითქმის 20 წლითაა გადაწეული და 1781 წელია მითითებული. რომელი თარიღია სიმართლესთან ახლოს დაბეჯითებით ვერაფერს ვიტყვით. ცნობილი წიგნის “ქართული იერარქიის ისტორია”, 1825 წლის მონაცემების მიხედვით, ჯვარცმის მონასტერი 1760 წელს უნდა იყოს აშენებული. ქართული იერარქიის ისტორიის მიხედვით, ჭალატყის მონასტერის სახნავ-სათესი და სააგარაკო ტყე გააჩნდა. ჰქონდა საწინამდღვრო და ბერების ხის პატარა კელიები. მართავდა მღვდელ-მონაზონი გერასიმე (მერკვილაძე — ე.თ.). მასთან ერთად მოღვაწეობდა ერთი მღვდელი და ერთი მღვდელ-მონაზონი. აფრასიონ მერ-

<sup>1</sup> საისტორიო კრებული, 1928, გვ. 52

<sup>2</sup> ქართლის ცხოვრება, 1973, გვ. 756

<sup>3</sup> მერკვილაძე ა., ჯვარცმა, უკრნალი “მოგზაური”, №11, 1901, გვ. 1023

<sup>4</sup> ქართლის ცხოვრება, 1973, გვ. 864

კვილაძე მონასტრისთვის შეწირული ყმების გვარებსაც ასახელებს: “ქაცარიძე, რცხელიშვილი, გურეშიძე და სხვანი... აქვე უცხოვრიათ ურიებს (მებეგრედ), ღელის პირად, რომლის სახელწოდებაც “ურიების ღელე” აქვდან წარმომდგარა”<sup>1</sup>.

ურიების – ებრაელების ჭალატყეში ცხოვრება ჩვენს მიერ მიკვლეული შემდეგი დოკუმენტითაც დასტურდება: მარიამ დედოფალი 1797 (ჩლეზ) წლის კაცის მონასტრის განახლებულ შეწირულების წიგნში აღნიშნავს, რომ კაცის ეკლესია დაუქმებული ყოფილა და მისი კუთვნილი ვაჭრები “სამეფო ხარჯში” განუწესებიათ, მაგრამ როცა კაცის ეკლესის არქიმანდრიტი პეტრე გახდა, ძველი გუჯრები წარმოგვიდგინა, გვეველრა და „ჩვენც ახლად ასე დაგვიმტკიცებია, რომ ამ ორს მოსახლე ურიას ჭალატყეს ნამოსახლს ჯავრობეგაშვილს იაკობას და მის ძმებს, ელიშავაშვილს იოსებას და ყ-დ მის ძმებს ჩვენს სახასო ურიების სათხოვარისაგან განთავისუფლებათა და როგორც სხვათა საწინამძღვროთ მოსახლე ურიანი არიან, ისინც ისე დაგვედგინა, რომ შენს წმინდა ეკლესიას და მის წინა მდგომელს წინამძღვარს მსახურებდნენ და განუსვენებდნენ და ეს ჩემი წერილ-აღქმა მარად წელ აღსრულდებოდეს”<sup>2</sup>.

დამოწმებული დოკუმენტიდან ისიც ნათელი ხდება, რომ ებრაელები იმ ხანებში სახლობდნენ ჭალატყეში, როცა სამონასტრო ცხოვრება უფრო მაღალ დონეზე მიმდინარეობდა, შემდეგ სხვა ეკლესიებს წირავდნენ და სავარაუდოდ საცხოვრებლადაც სხვაგან გადადიოდნენ. ჭალატყეს ნამოსახლი ამას ნიშნავს და ისეთები, რომლებმაც აქაურობა დატოვეს, ბლომად იქნებოდნენ. თუმცა მათი აქ სახლობა, აფრასიონ მერკვილაძის თქმისა არ იყოს, ტოპონიმ “ურიების ღელეში” აირეკლა.

“ზედამდევი დეკანოზობა” მერკვილაძეს ჭერია, მაგრამ 1824 წელს დროებით იმერეთის ეპარქიის მმართველობას აქ დეკანოზობა მოუსპია. აფრასიონ მერკვილაძის აზრით, მონასტერი გაუქმებულა 1838 წელს არქიეპისკოპოსის სოფრონის ხელში<sup>3</sup>. საარქივო დოკუმენტის მიხედვით ჭალატყეს ჯვარცმის მონასტერი სამი წლით ადრე, 1835 წელს გაუქმებულა და დაუწყია ფუნქციონირება, როგორც სამრევლო ეკლესიას. ამ დროისათვის აქ ერთი მღვდელი, ერთი ბერი და ერთი დიაკვანი მოღვაწეობდა<sup>4</sup>. რაც შეეხება მერკვილაძეთა “ზედამდევ-დეკანოზობას”, აფრასიონ მერკვილაძე ჭალატყეს ჯვარცმის სახელობის ეკლესიაში ანდრია და გიორგი ვასილის ძე მერკვილაძების, საერთოდ ამ გვარის ტაძრისადმი გამორჩეულ დამოკიდებულებას ან მათ მღვდლობას უნდა გულისხმობდეს. ისტორიკოს მერაბ გეზევაძის წიგნში “ეგზარქოსობისდროინდელი იმერეთის ეკლესიები და მღვდლები” ჩამოთვლილია ის სასულიერო პირები, რომლებიც ამ პერიოდში, ეგზარქოსობისას, ჭალატყეს ჯვარცმის ეკლესიაში მსახურობდნენ: მღვდელმონაზონი პეტრე კვინიკაძე – 1838 წ.; მერკვილაძე ანდრია – 1812-1829 წწ.; მერკვილაძე გიორგი ვასილის ძე – 1812-1854 წწ.; ცქიტიშვილი იოსებ ოქროპირის ძე – 1842-1881 წწ.; დალაქიშვილი გიორგი ბესარიონის ძე – 1881-1891 წწ.; ფერაძე სოკრატ ლუკას ძე – 1891-1916 წწ.; ფერაძე კონსტანტინე – 1916-1917 წწ.<sup>5</sup>.

ჭალატყეს მაცხოვრის ჯვარცმის ეკლესიაში მომსახურე ზოგიერთი მღვდლის ბიოგრაფიულ დეტალებზე სათანადო ადგილას შეგწერდებით. აქ მხოლოდ იოსებ ოქროპირის ძე ცქიტიშვილის ბიოგრაფიულ მონაცემებს გაგაცნობთ.

იოსებ ოქროპირის ძე ცქიტიშვილმა საღმრთო წერა, გალობა და ტიპიკონი ტაბაკინის მონასტერში შეისწავლა. დიაკვნად და მღვდლად იმერეთის ეპისკოპოსმა ნიკიფორემ აკურთხა. 1843 წელს ბეღლევის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაშია. აქვდან გადმოიყვანეს ჭალატყე

<sup>1</sup> უერნ. „მოგზაური”, 1901, გვ. 1023

<sup>2</sup> ქუთაისის ისტორიული მუზეუმი. ისტორიული დოკუმენტი №132

<sup>3</sup> უერნ. „მოგზაური”, 1901, გვ. 1024

<sup>4</sup> ქცა ფონდი 21, საქმე 1139, ფურცელი 4

<sup>5</sup> ძ. კეზევაძე, ეგზარქოსობისდროინდელი იმერეთის ეკლესიები და მღვდლები, ქუთ., 2008, გვ. 149

ის ეკლესიაში. დაჯილდოებული იყო საგვერდულით, 1853-56 წლების რუსეთ—თურქეთის ომის სამახსოვრო მედლით. ჰყავდა ცოლი — სალომე ანდროს ასული და შვილები ნიკო და იოანე<sup>1</sup>.

1881 წლის ჭალატყის ეკლესიის “კრებულის უწყებანში” გკითხულობთ: “სოფლის ჭალატყის ეკლესია აშენებულ არს 1781 წელსა, იმავე ეკლესიისა მრევლის შრომით და ხარჯით. იგი არს ქვის, ცაი აქვს შეკრული ქვით, გარდახურული ყავრითა.

სამრეკლო აქვს.

ტრაპეზის მას შინა არის ერთი ჯვარცმის სახელზე შემოსილი. ბარბიმ—ფეშუმი თავის განწყობილობით აქვს ერთი ხელი ვერცხლის, სამღვდელო შესამოსელი აქვს ერთი ხელი კარგისა და სადიაკენო ... ხელი.

საღმრთო და საეკლესიო წიგნები აქვს სრულებით. კრებული ამა ეკლესიაზე არს შემდგომი: ერთი მღვდელი, დიაკონი... და ორი მედავითნე, რომელნიცა სცხოვრობენ თავ—თავის საკუთარ სახლში და აქვს თავ—თავის სამოსახლო, საყანე და ვენახიანი და ტყიანი ადგილები.

კრებულსა აქვს შემოსავალი მრევლისაგან მცირე და განუსამძღვრელი, ამისათვის თავიანთ თავს ირჩენდნენ მუშაობით და სხვა საშუალობით.

ამ ეკლესიასა აქვს ადგილები (რომლისგან წელიწადში შემოუდის — მან. —კაპ.

ეკლესია ესე შორავს ეპარქიის მთავრობის ბინას 37 ვერსტით და ბლალოჩინის ბინას 16 ვერსტით.

ამ ეკლესიაზე არ არის ზედმიწერილი ეკლესია.

ამა ეკლესიის სამრეკლოში არ არის სახლის ეკლესია.

აღწერილობა ამა ეკლესიის ქონებისა შედგენილი არის 1874 წელსა და ხელმოწერილ არს კრებულისამებრ და სტაროსტა”<sup>2</sup>.

როგორც ვხედავთ, ზოგიერთი მონაცემი არაა მითითებული და იგი ასევე დავტოვეთ.

გამოტოვებულია ძირითადად თანხის ოდენობები, რაც იმაზე მიუთითებს, რომ არ შემოსულა. მოტანილი ცნობებით შეგვიძლია დაგასკვნათ, რომ ჭალატყის მაცხოვრის ჯვარცმის ეკლესიას, მართალია, ძველი სახელი და დიდება აღარ გააჩნდა, მაგრამ საეკლესიო მსახურება წესისამებრ წარიმართებოდა.

1898 წლის “კრებულის უწყებანში” ჭალატყის მაცხოვრის ჯვარცმის ეპკლესია ჯვართამაღლების ეკლესიადა მოხსენიებული. აშკარაა, რომ ერთი და იგივე საეკლესიო ნაგებობასთან უნდა გვქონდეს საქმე. სავარაუდოდ, არც ახალი ეკლესია გახსნილა შიგნით, ის რომ სახელდებულიყო ჯვართამაღლების სახელზე. სასულიერო პირებიც ჯვარცმის ეკლესიისაა და მეურნეობაც იგივე.

ეტყობა, რაღაც სურვილი არსებობდა იმისა, რომ ჯვართამაღლებისა ყოფილიყო, მაგრამ ვერ განხორციელდა. “კრებულის უწყებანში” პირდაპირაა მითითებული ჯვართამაღლების — ჯვარცმის, რაც ოფიციალურ სახელდებას, ვფიქრობთ, გამორიცხავს.

1898 წლის “კრებულის უწყებანის” მიხედვით ჭალატყის ჯვართამაღლების იგივე ჯვარცმის ეკლესიაში ერთი მღვდელი და ორი მედავითნე მსახურობდა, რომელთაც თავ—თავიანთი მამულები გააჩნდათ. საეკლესიო საცხოვრებელი არ ჰქონდათ და საკუთარ სახლებში ცხოვრობდნენ.

1871 წლიდან ეკლესიას გააჩნდა სახნავი მიწა იონდონას სახელწოდებით. ეს ნაკვეთი იჯარით გლეხ ფილიმონ ქათამაძეს ჰქონია ცხრა წლით აღებული და წლიურად 22 მანეთს და 17 კაპიკს იხდიდა. ეკლესიასთან არსებობდა 1889 წელს გახსნილი საეკლესიო სამრეკლო სკოლა.

ახლა მღვდლები და მედავითნები ვნახოთ.

დიაკვნის შვილიშვილ, მღვდელ სოკრატ ლუკას ძე ფერაძეს ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის 4 კლასი ჰქონდა დამთავრებული. ყოვლადსამღვდელო გაბრიელ ეპისკოპოსმა 1865 წელს მედავითნედ განამწესა მარტოთუბნის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში. 1864-1872

<sup>1</sup> ქ.ც.ა., ფონდი 21, ანაწერი 1. საქმე 15561, ფურცელი 1

<sup>2</sup> ქ.ც.ა., ფონდი 21, ანაწერი 1. საქმე 15561

წწ. იყო ამავე ეკლესიის საეკლესიო სამრევლო სკოლის მასწავლებელი. დიაკვნად ეკურთხა 1872 წელს სვირის იოანე ნათლისმცემლის ეკლესიაში. მღვდლად ეკურთხა 1875 წელს ჩონთის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიაში. ერთხანს, მისივე თხოვნით, გაბრიელ ეპისკოპოსმა მარტოთუბნის წმ. გიორგის ეკლესიაში დაბრუნა, შემდეგ მეჩხეტურის, მერე არგვეთის ეკლესიებში მსახურობდა. 1883-1889 წწ. იყო სასულიერო წოდებიდან დეპუტატი ქუთაისის სამღვდელოების სასწავლო ოლქის ყრილობებზე დასასწრებად. ყოვლადსამღვდელო გაბრიელ ეპისკოპოსმა, მისივე თხოვნით, 1891 წელს განამწესა ჭალატყის ჯვარცმის იგივე ჯვართამაღლების ეკლესიაში, დაჯილდოებული იყო ენქერით.

ჰყავდა ცოლი – პელაგია ალექსის ასული და ორი შვილი – ლავრენტი მღვდელი და კონსტანტინე ჩიხტაურის სამრევლო სკოლის მასწავლებელი.

სოკრატ ფერაძის ბიოგრაფიის შემდგომ დეტალებს სხვა ადგილას მივუბრუნდებით. ახლა მედავითნები გავიცნოთ.

მედავითნედ მსახურობდა მღვდლის შვილიშვილი ტარიელ სპირიდონის ძე მერკვილაძე, რომელსაც ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის სამი კლასი ჰქონდა დამთავრებული. საღვთო კითხვა, წერა და გალობა ქუთაისის არქიელის ტაძარში ჰქონდა შესწავლილი. მედავითნედ ეპისკოპოს გერმანეს მიერ იქნა გამწესებული 1857 წელს.

მეორე ცოლთან, კესარია ქაიხოსროს ასულთან ჰყავდა ორი შვილი – ილარიონი და მედავითნე ალექსანდრე.

მეორე მედავითნედ მღვდლის შვილიშვილი, აზნაური ისმაილ ივანეს ძე ჩინჩალაძე მსახურობდა, რომელსაც ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის სამი კლასი ჰქონდა დამთავრებული. საღვთო წერილი და საეკლესიო წესები ქუთაისის საკათედრო ტაძარში ჰქონდა შესწავლილი. 1889 წელს მედავითნედ განამწესეს დილიკაურის წმ. გიორგის სახელობის ეკლესიაში, საიდანაც მისივე თხოვნით, კელავ მედავითნედ ჭალატყის ჯვართამაღლების იგივე ჯვარცმის ეკლესიაში განამწესე 1890 წელს. აქვე მასწავლებლობდა კიდეც. ცოლთან, ოლდა იოსების ასულთან ჰყავდა ვაჟი – აბო და ორი ქალიშვილი – ეკატერინე და ნინა.

ეკლესია შიგნით ღარიბულად ყოფილა მორთული, თუმცა სოფლის მკვიდრი მოსახლენი ყოველთვის ცდილობდნენ, აქ დაცული სიწმინდეებისთვის მოევლოთ და განეახლებინათ. 1902 წლის „ივერია“ აღნიშნავდა, რომ აქური საეკლესიო ნივთები არ ყოფილა შემკული ღირსეულად და ამავე წელს მაღალყოვლადუსამღვდელოესი ლეონიდეს განკარგულებით შემდგარა კომიტეტი მათ გასაახლებლად. კანკელის გაკეთება ცნობილი ხელოსნისთვის – ვარდენ გოცირიძისთვის, ხოლო ხატების შეძენა სოსიკო მერკვილაძისთვის მიუნდვიათ. გადაუწყვეტიათ, ეკლესია ქართველი წმინდანების – დავით და კონსტანტინეს, თამარ მეფის, დავით აღმაშენებლის, მირიან და სიდონიას, წმინდა ნინოს, შიო მღვიმელისა და იოანე ზედაზნელის, არჩილისა და ლუარსაბის ხატებით შეემკოთ, ყოველივესთვის კი აკრებილი და ეკლესიის მიერ დაზოგილი თანხა გამოეყენებინათ<sup>1</sup>.

ჭალატყის ეკლესიას ჰქონდა აგრეთვე როგორც აღვნიშნეთ, სახნავი მიწა, რომელსაც იონდონა ერქვა და იგი 2 დესეტინას და 88 კვ. საჟენს შეადგენდა. ეს მიწა ცხრაწლიანი იჯარით ჰქონდა მიღებული გლეხ სპირიდონ რცხელიშვილს და ევალებოდა წლიური 35 მან. და 60 კაბიკის გადახდა.

ეკლესიის კუთვნილება იყო წისქვილი ჩოლაბურზე, რომელიც რვაწლიანი იჯარით იყო გაცემული და წლიურად 15 მანეთს იხდიდა. იონდონას მამულსა და წისქვილს წლიურად ეკლესიისთვის 50 მანეთი შემოჰქონდა.

ეკლესიასთან 1889 წლიდან არსებობდა, აგრეთვე, ესეც აღვნიშნეთ, საეკლესიო–სამრევლო სკოლა, რომელსაც სასწავლო საბჭოსაგან 360 მანეთი ჰქონდა გამოყოფილი და სწავლობდა 18 გოგონა.

<sup>1</sup> „ივერია“, ჩვენებური ამბები, 1902

ჭალატყის ეკლესის საეკლესიო ქონების აღწერა ჩატარებულა 1879 წელს, რომელიც 1902 წელსაც გადაუმოწმებიათ და ყველაფერი ადგილზე აღმოჩენილა.

ამ დროსაც ჭალატყის მაცხოვრის ჯვარცმის ეკლესიაში სოკრატ ლუკას ძე ფერაძე მსახურობდა, რომელიც 1905 წელს სკუპით დაუჯილდოებიათ. 1909 წელს სინოდმა კამილავკით დააჯილდოვა. ამავე წელს უბოძეს, საეკლესიო—სამრევლო სკოლის 25 წლის სამახსოვრო მედალი, დაჯილდოებული იყო, აგრეთვე, იმპერატორ ალექსანდრე მესამის ხსოვნისადმი მიძღვნილი მედლით.

ამ დროისთვის სოკრატ ფერაძე წლიურად 555 მანეთს იღებდა ხელფასის სახით, აქედან 300—ს ხაზინა იხდიდა, კრებული კი 60 მანეთს, დანარჩენი შეწირულობიდან შემოდიოდა.

1914 წლისათვის მისი შვილებიდან მღვდელი ლავრენტი უკვე არგვეთის სამთავარხუცესო ოლქის მთავარხუცესი ყოფილა. მეორე ვაჟი კონსტანტინე კი დიაკონი.

მედავითნედ მსახურობდა 51 წლის (სავარაუდოდ, 1863 წელს დაბადებული) ალექსანდრე სიმონის ძე მერკვილაძე, რომელსაც ხელფასი 185 მანეთი ჰქონდა. ხაზინიდან 100, შეწირულობიდან 65 და კრებულიდან 20 მანეთი.

ალექსანდრე მერკვილაძემ საღვთო წერილი, გალობა და საეკლესიო წესები ქართულ ენაზე მოწამეთის მონასტერში შეისწავლა, 1885 წელს ყოვლად სამღვდელო გაბრიელმა საქარის წმ. გიორგის ეკლესიაში განამწესა მედავითნედ. აქედან არგვეთის ეკლესიაში გადაიყვანეს. 1903 წლიდან იყო ჭალატყის ჯვარცმის ეკლესიის პირველი მედავითნე.

შტატგარეშე მედავითნე იყო 81 წლის (სავარაუდოდ, 1833 წელს დაბადებული) ტარიელ სპირიდონის ძე მერკვილაძე, რომელიც ამ დროისთვის წმინდა სინოდისგან პენსიას იღებდა 100 მანეთის ოდენობით, მედავითნედ იმსახურა 46 წელი და 4 თვე და პენსიაზე გავიდა 1904 წელს.

1902, 1906 და 1913 წლებში ჭალატყის მრევლმა ეკლესიის მნათედ სიმონ ალექსის ძე რცხელიშვილი აირჩია.

ჭალატყის მრევლიდან ამ დროს 570 მამაკაცი და 470 ქალი ყოფილა. სოციალური კუთვნილების მიხედვით ასეთ სურათს ვღებულობდით აზნაური — 15, მოქალაქე — 16, დანარჩენი გლეხები<sup>1</sup>.

ჭალატყის ჯვარცმის ეკლესიის ამ აღწერილობაზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ საეკლესიო საქმიანობა არც ამ წლებში შენელებულა. აქ მოღვაწე სასულიერო პირები, აქაურთა არამარტო სულიერ მდგომარეობაზე ზრუნავდნენ, არამედ ცდილობდნენ განათლება შეეტანათ ხალხში, რაც რწმენის განმტკიცების საფუძველი შეიქმნებოდა.

ჭალატყის ჯვარცმის სახელობის ეკლესიის სიწმინდეთაგან აფრასიონ მერკვილაძე გამოყოვს რამოდენიმეს: გარდამოხსნას, ჯვარცმას, თომას თავსა და ხელნაწერ სახარებას <sup>2</sup>.

გიორგი ბოჭორიძის აღწერით ჭალატყის ჯვარცმის ეკლესიის გარდამოხსნა ზომით 180×110 სმ-ია, ოქრომეტრდითა და ფერადი ძაფითაა ნაკერი და აქეს ასომთავრული წარწერა (ბოჭორიძე, 1995, 186). ეს გარდამოხსნა გიორგი აბაშიძეს და მის მეუღლეს გულქანს შეუკერინებიათ და ჭალატყის ჯვარცმის მონასტრისათვის შეუწირავთ. 1925 წელს გიორგი ბოჭორიძემ ქუთაისში ჩამოიტანა და მუზეუმს გადასცა. ასევე, ქუთაისის მუზეუმში ინახება ჭალატყის ჯვარცმის ეკლესიაში დაცული ორი ოთხთავი, რომელიც აღწერილი აქვს როგორც გიორგი ბოჭორიძეს, ასევე ევსევი ნიკოლაძესაც.

ყოველივე ზემოთქმულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ ჭალატყის მონასტერი (მერმინდელი ეკლესია) მნიშვნელოვან როლს ასრულებდა მხარის საეკლესიო ცხოვრებაში. იყო სიძველებით ერთ-ერთი გამორჩეული საეკლესიო ნაგებობა, რომელსაც დიდ პატივს მიაგებდნენ ადგილობრივი მკვიდრნიც და სხვა კუთხის მცხოვრებლებიც.

<sup>1</sup> ქ.ც.ა., ფონდი 21, საქმე 25841

<sup>2</sup> შურ. „მოგზაური”, 1901, გვ. 1024

ჭალატყის მაცხოვრის ჯვარცმის ეკლესია ამჟამადაც ფუნქციონირებს და იქ აღვეთის ეპისკოპოსის მელქისედეკის ხელდასმით წირვისას მამა ადამი (ცინაძე) აღასრულებს.

*Eldar Tavberidze*

*Akaki Tsereteli State University*

**THE CHALATKHE CRUCIFIXION MONASTERY (RECENT CHURCH) AND ITS  
ANTIQUITIES  
RESUME**

The Chalatkhe Crucifixion Monastery (recent church) represented outstanding ecclesiastical institution in Western Georgia; the date of its initial formation is unknown. The renewal of the later period is associated with Solomon's first name and it must have taken place in 1762. The monastery existed until 1835 and was then functioned until 1924 as a parish church.

The destruction of the original structure of the Chalathkhe monastery could have occurred during Turkish invasion in 1703. The Jews were considered inhabitants of the monastery. According to historians, the Chalatkhe meant the city in the middle Ages. Armenians and Jews were lived there and trade.

The location of the Chalathkhe Monastery was the reason for its charm and because of it was famous ecclesiastical center.

Important antiquities were kept in the Chalatkhe Monastery (recent church). Among them is the Epitaphios, which is kept in Georgian Art Museum. Giorgi Abashidze and his wife Gulkani- the daughter of Bezhan Lortkipanidze are mentioned in the inscription of the Ephitaphios.

Giorgi Abashidze was factual ruler of Imereti in the beginning of the 18th century. He also owned the Chalatkhe as an outstanding trading center.

After the Epitaphios, the Crucifixion, which is kept here, is interesting, which was supposedly destroyed in 1924, but the inscription of Aprasion Merkviladze revealed that it was a piece of art.

Two Gospels dating back to 15<sup>th</sup>-16 centuries are preserved in the Church of Chalatkhe. However, there is an opinion that one of them might be of 11<sup>th</sup>-12 centuries.

Everything points out that the Chaladid Church played outstanding role in ecclesiastical life of the country.

ნატა თეთვაძე  
საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის  
სახელობის ქართული უნივერსიტეტი

**1942 წლის შეთქმულების ისტორიიდან**  
(კიტა ბუჩქიძე)

საქართველოს უახლესი ისტორიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მოვლენას წარმოადგენს 1942 წლის შეთქმულება, რომელიც „სამანელთა“ მოძრაობის სახელითაც არის ცნობილი. ამ მოვლენამ ცხადყო, რომ მიუხედავად 1921 წლიდან დაწყებული უწყვეტი რეპრესიებისა საქართველოში ეროვნული მოძრაობა არ შეწყვეტილა და როგორც კი ხელსაყრელი საერთაშორისო ვითარება შეიქმნა (ვგულისხმობთ 1941 წლის 22ივნის დაწყებულ საბჭოთა კავშირ - გერმანიის ომს) ქართველმა ახალგაზრდობამ საქართველოს დამოუკიდებლობისა და საბჭოთა სისტემის წინააღმდეგ ბრძოლა გააგრძელა.

1942 წლის შეთქმულებისა და კერძოდ ნიკიტა (კიტა) ბუჩქიძის მოღვაწეობის შესახებ რამდენიმე ნაშრომი დაიწერა, რომელთა შორის პირველ რიგში უნდა მოვიხსენიოთ როსტომ ჩხეიძის „დაწყევლილი თაობა“ (წიგნი პირველი,, თბილისი, 1992), და მისი საგაზეთო წერილები: „ჩანაწერები 1942 წლის შეთქმულებაზე“ (პირველი ნაწილი, გაზეთი „თბილისი“ 1992, № 4, 14 იანვარი, მეორე ნაწილი, გაზეთი „თბილისი“ 1992, №14, 30 იანვარი, მესამე ნაწილი, გაზეთი „თბილისი“ 1992, №19, 30 თებერვალი). დავით იუკურიძის „თუშთა შეთქმულება“ (თბილისი, 1997), რევაზ კვერენჩილაძის „საბუთები ლალადებენ“ (წიგნი პირველი, თბილისი, 2007; წიგნი მეორე, თბილისი, 2011) და „წამების გზა“ (წიგნი პირველი, თბილისი, 1999, წიგნი მეორე, თბილისი, 2005; წიგნი მესამე, თბილისი, 2007; წიგნი მეოთხე, თბილისი, 2017). ცალკე უნდა გამოვყოთ ჯარჯი აქიმიძის საგაზეთო წერილები (ავტორი აგროვებდა მასალას ფილმისათვის): „ურჩები“ (გაზეთი „ქართული ფილმი“ 1991, 30 ოქტომბერი, გვ. 2, გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ 1991, 23 აგვისტო).

1942 წლის შეთქმულების შესახებ გამოქვეყნდა მასალა, რომელთა შორის მნიშვნელოვანია თინათინ თუშმალიშვილისა და ლევან კვაჭაძის „1942 წლის შეთქმულთა მოსაგონრად“ (ჟურნალი „ჩვენი მწერლობა“ 2007, 29, 9 ნოემბერი, გვ. 25-28), თამარ შაიშ-მელაშვილის „ვარ უმტკიცესი რვალისა“ (ჟურნალი „ჩვენი მწერლობა“ 2007, №15); ზატა შევარდნაძის „სიზმრად ვნახე საქართველო“ (ჟურნალი „პირველი სხივი“, 1998, №27); მემუარები, რომელიც შევიდა კრებულში „კოტე ხიმშიაშვილი“ (თბილისი, 2010).

1942 წლის შეთქმულების მონაწილეთა და მათ შორის კიტა ბუჩქიძის შესახებ მასალები მოვიძიეთ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროის არქვიში. საარქივო მასალებმა საშუალება მოგვცა წარმოგვეჩინა კიტა ბუჩქიძის მოღვაწეობის ბევრი, დღემდე უცნობი მნიშვნელოვანი დეტალი, რომელიც ნათელს ფენს შეთქმულების აღმოცენებას და შეთქმულთა მოღვაწეობას.

1942 წლის შეთქმულების აღმოცენება დააჩქარა ხელსაყრელმა საერთაშორისო ვითარებამ. მხედველობაში გვაქვს 1941 წლის 22 ივნისს დაწყებული საბჭოთა კავშირ- გერმანიის ომი. 1941 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე გერმანიის არმიამ მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვა, გერმანელებმა დაიკავეს ლიტვა, ლატვია, ესტონეთი, ბელორუსია, უკრაინის დიდი ნაწილი, რუსეთის ფედერაციის დასავლეთი ოლქები და 1941 წლის შემოდგომაზე საფრთხე შეუქმნეს მოსკოვსა და ლენინგრადს. გერმანიის სწრაფმა გამარჯვებებმა შექმნა შთაბეჭდილება, რომ საბჭოთა კავშირი ომში დამარცხდებოდა. ეროვნულ პატრიოტულ ძალებს, როგორც უშუალოდ საქართველოში ისე ემიგრაციაში იმედი ჩაესახა, რომ საბჭოთა კავშირის დამარცხების შემთხვევა-

ში შესაძლებელი გახდებოდა 1921 წელს საბჭოთა რუსეთის აგრესის შედეგად დაკარგული სახელმწიფოებრიობის აღდგენა. როგორც შემდეგ გაირკვა ეს იმედი მოკლებული იყო რეალობას რის პირველ ნიშანსაც 1941 წლის დეკემბერში მოსკოვთან გერმანიის ჯარების მარცხი წარმოადგენდა. მაგრამ იმ ხანად (1942 წლის ზაფხული-შემოდგომა) არავინ უწყოდა თუ როგორ განვითარდებოდა მოვლენები საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტებზე და როგორ დამთავრდებოდა ომი. უფრო რეალურად ჩანდა საბჭოთა კავშირის დამარცხება. ყოველივე ზემოთთქმულმა განაპირობა ის, რომ 1942 წლის შეთქმულება შედარებით მოკლე დროში აღმოცენდა, თუმცა ცხადია, რომ იდეურად შეთქმულების მონაწილენი დიდი ხნიდან ემზადებოდნენ. მათვის მიუღებელი იყო არა მარტო საქრთველოს დამოუკიდებლობის მოსპობა რუსეთის მიერ არამედ ის პოლიტიკური რეჟიმი, რომელიც 1921 წლიდან დამყარდა საქრთველოში.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში დაცულ 1942 წლის შეთქმულების საქმის ძიების მასალებში დაცულია ერთი დოკუმენტი, რომელშიც ვკითხულობთ: „როცა ომი დაიწყო, როგორც აღვნიშნეთ, მათ (შეთქმულებმა -- ნ. თ.) საქართველოს მომავალი ომში გერმანიის წარმატებას და ომის შემდეგ გერმანიის დახმარებას დაუკავშირეს. მათი რწმენით, გერმანიისგან დამარცხებული საბჭოთა კავშირი დაიშლებოდა და გაჩნდებოდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შესაძლებლობა.“<sup>1</sup>

ტონის მიმცემი თბილისის სახელმწიფოს უნივერსტეტი აღმოჩნდა. უნივერსიტეტში არსებობდა სტუდენტთა და ასპირანტთა ეროვნულად მოაზროვნე და ანტისაბჭოურად განწყობილი ჯგუფი, რომლის თითქმის ყველა წევრს ვიღაც ჰყავდა რეპრესირებული: გიორგი ახობაძეს და მიხეილ საბაშვილს-მამა, გიორგი თარგამაძეს, აბო ფარესაშვილს, დავით ლაშქარაძეს-ძმები, თურმან შანშაშვილს და ზურაბ მისაბიშვილს-მამა და ნათესავები....

პატრიოტულად განწყობილი ქართველი ახალგაზრდობის პირველ ნაბიჯებს დავით იუკურიძე ასე ახასათებს: „ყველაფერი კი მართლაც 1941 წელს დაიწყო, ომის გაჩაღებისთანავე, უნივერსტეტსა და ავჭალის ქართულ დივიზიაში. თავდაპირველად შეთქმულებმა უნივერსტეტში შექმნეს პოლიტკური ორაგნიზაცია „სამანი“, რომელშიც გაერთიანდა პროფესორ-მასწავლებლების, ასპირანტებისა და სტუდენტების მცირე ნაწილი. „სამანს“ დღეს სხვადასხვანაირად შიფრავენ: „საქართველოს აყვავებისათვის მებრძოლი ინტერნაციონალი“, ზოგიერთები ამტკიცებენ, რომ ამ ორგანიზაციას „სამანი“ კი არა „სამნო“ ერქვაო და ასე განმარტავენ: „საქართველოს აყვავებისათვის მებრძოლი ახალგაზრდული ნაციონალური ორგანიზაცია“<sup>2</sup>

შეთქმულება, რომელიც 1941 წელს ჩაისახა იმავე წელს გასცეს, 1942 წლის იანვრიდან დაიწყო დაპატიმრებები. დაპატიმრებული და გასამართლებული იქნა 33 ადამიანი. აქედან 17 მათგანი დახვრიტეს, ხოლო დანარჩენს გადასახლება და პატიმრობა მიუსავეს.

საქართველოს შინაგან სამინისტროს არქივში 1942 ძიების მასალებში კიტა ბუაჩიძის შესახებ დაცულია დოკუმენტი, რომელიც გვაუწყებს:<sup>3</sup> „БУАЧИДЗЕ Никиту Михайловича, молодого драматурга имеющего доступ в отдельные семьи ответ. Работников в располагавшего широкими связями среди артистического мира, что должно было дать возможность к-р. Организации изучать через БУАЧИДЗЕ взаимоотношения между отделными чл. правительства, с последующим использованием недовольных из них в подходящий момент.“

<sup>1</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, ფონდი 6, საარქივო საქმე 4221549, ტომი 1, ფურცელი 41.

<sup>2</sup> დავით იუკურიძე. თუშთა შეთქმულება. თბილისი, 1997, გვ.3.

<sup>3</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, ფონდი 6, საარქივო საქმე 4221549, ტომი 14, ფურცელი 299.

კიტა ბუაჩიძე, ახალგაზრდა დრამატურგი, დააკავეს 1942 წლის 23 იანვარს. ამ ფაქტს მოწმობს დოკუმენტი დაპატიმრების თაობაზე. არქივში კიტა ბუაჩიძის შესახებ დაცულია დოკუმენტები (ფორმა №1 და №3), რომლის ტექსტსაც მოვიტანთ მთლიანად:<sup>1</sup>

**დადგენილება (ფორმა №1) კიტა ბუაჩიძის დაპატიმრების შესახებ დათარიღებულია 1942 წლის 23 იანვარს. საქმეს უძღვებოდნენ საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მესამე რანგის სახელმწიფო უშიშროების კომისარი ავესენტი რაფავა და საქართველოს სახელმწიფო უშიშროების საიდუმლო პოლიტიკური განყოფილების საგამომძიებლო ნაწილის უფროსი ლეიტენანტი არტაშეს მარქაროვი. პროკურორის მიერ სანქცია დაკავების შესახებ გაცემულია 1942 წლის 23 იანვრის 22:50 საათზე.**

განიხილეს ნიკიტა მიხეილის ძე ბუაჩიძის დანაშაულებრივი საქმიანობა. იგი დაიბადა 1914 წელს, დაბადების ადგილი – ხარაგაული, ეროვნებით ქართველი, უცოლშვილი, უპარტიო, ახალგაზრდა დრამატურგი, საქართველოს სსრ-ის მოქალაქე, უმაღლესი განათლებით, მცხოვრები მ. ბროსეს ქ. 8-ში. დადგენილი მონაცემებით, რეპრესირებული ჰყავდა ძმა. ფარული მასალებიდან გამოირკვა ნიკიტა ბუაჩიძის ანტისაბჭოთა განწყობა. როგორც ბრალდებულმა გიორგი ძიგვაშვილმა ჩვენებაში აღიარა, მან ჩააბა ნიკიტა ბუაჩიძე კონტრრევოლუციურ „ფაშისტურ“-მეამბოხე ორგანიზაციაში.

დაადგინეს: ნიკიტა ბუაჩიძეს შეეფარდოს დაპატიმრება და ჩხრეკა. ეჭვმიტანილს გააცნეს დადგენილება და ხელი მოაწერინეს (სშსა, 2:21-22).

**დადგენილება (ფორმა №3) ნიკიტა ბუაჩიძისათვის ბრალის წარდგენის შესახებ დათარიღებულია 1942 წლის 28 თებერვლით.**

აღნიშნული დადგენილების გამოტანისას იხელმძღვანელეს რსფსრ-ის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 128-ე და 123-ე და საქართველოს სსრ-ის დროებითი წესების 36-ე მუხლის მიხედვით და ბრალდებული პასუხისებაში იქნა მიცემული. რსფსრ-ის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 145-ე და საქართველოს სსრ-ის დროებითი წესების 45-ე მუხლის შესაბამისად ასლი გააგზავნეს პროკურატურაში.

ნიკიტა (კიტა) ბუაჩიძის საქმეს უძღვებოდნენ და ბრალის წარდგენის დოკუმენტს ხელი მოაწერეს საქართველოს სახელმწიფო უშიშროების კომისარიატის საიდუმლო პოლიტიკური განყოფილების უფროსმა, კაპიტანმა ირაკლი ნიბლაძემ და ამავე განყოფილების საგამომძიებლო ნაწილის უფროსმა ლეიტენანტმა არტაშეს მარქაროვმა.

ნიკიტა (კიტა) ბუაჩიძის შესახებ საგამომძიებო საქმეში (№1964) წერია: 1941 წელს, როდესაც გერმანიის ჯარები მოსკოვს უახლოვდებოდნენ და მეტად დაძაბული და რთული პერიოდი იყო, ის კონტრრევოლუციურ არალეგალურ-ნაციონალისტურ სამხედრო-მეამბოხე ორგანიზაციაში ჩაერთო „დამოუკიდებელი საქართველოს“ აღდგენის მიზნით. ორგანიზაციაში, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ჩართო მისმა ამხანაგმა გიორგი ძიგვაშვილმა. მას დავალებული ჰქონდა, შეესწავლა საქართველოს სსრ-ის მთავრობის ცალკეული წევრების საქმიანობა.

დაადგინეს: ნიკიტა (კიტა) ბუაჩიძე გამოცხადდა ბრალდებულად საქართველოს სსრ-ის სისხლის სამართლის კოდექსის 58/10 ნაწ. 2 და 58/11 მუხლებით. ბრალდებულს დადგენილება გააცნეს და ხელი მოაწერინეს (სშსა, 1:65-66).

<sup>1</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, ფონდი 6, საარქივო საქმე 4221549, ტომი 2, ფურცელი 21-22.

ამიერკავკასიის ფრონტის სამხედრო ტრიბუნალმა 1942 წლის 20 სექტემბერს ნიკიტა (კიტა) ბუაჩიძეს მოუსაჯა შვიდი წლით თავისუფლების აღკვეთა ქონების კონფისკაციით (განაჩენი №194) (სშსსა, 14:17-29).

1942 წლის შეთქმულების მონაცილენი ამიერკავკასიის ფრონტის სამხედრო ტრიბუნალმა გაასამართლა 1942 წლის 11-20 სექტემბერს. მოვიტანთ სასამართლო განაჩენიდან ამონარიდას:<sup>1</sup>

#### განაჩენი საქმე №194

##### №902 სრულიად საიდუმლოდ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სახელით

ამიერკავკასიის ფრონტის სამხედრო ტრიბუნალი

1942 წლის 11-20 სექტემბერი

ქ.თბილისში დახურულ სასამართლო სხდომზე შემადგენლობით:

თავმჯდომარე - სამხედრო აღვოკატი მე-2 რანგის ფომინი

წევრები: მე-3 რანგის სამხედრო იურისტი ზადაშვილ და სამხედრო იურისტი რომანოვიჩი

მდივანი-სამხედრო იურისტი ბერლოვსკი,

განიხილეს საქმე სამხედრო მოსმისაზურუების ბრალდება:

ნიკიტა მიხეილის ძე ბუაჩიძე დაბადებული 1914 წელს, საქართველოს სსრ-ს ხარაგაულის რაიონის სოფელ ხარაგაულის მკვიდრი, ქართველი, უმაღლესი განათლების მქონე, უპარტიო, ნასამართლეობა არ ჰქონია, დაკავებამდე - დრამატურგი.

ბრალდებული ძიგვაშვილი კონტრრევოლუციურ ორგანიზაციაში მისი ერთ-ერთი აქტიური ლიდერის - ჯოგლიძის მიერ იყო ჩართული, თავად ჯოგლიძისგან მიღებული მითითებით, 1941 წლის ნოემბერში ცდილობდა მის(ბუაჩიძის) ჩართვას კონტრრევოლუციურ ორგანიზაციაში. ბუაჩიძისა და არსენიძის საქმეში იკვეთება, რომ ბრალდებულებს გააცნეს ორგანიზაციის მიზნები და ამოცანები. შეთავაზეს მათთან მუშაობა ორგანიზაციაში და გაწევრიანება.

ბუაჩიძე და არსენიძე არ დათანხმდნენ გაწევრიანებას. ძიგვაშვილთან და ორგანიზაციის სხვა წევრებთან არანაირი კავშირი აღარ ჰქონდათ.

1941 წლის ოქტომბერში ძიგვაშვილს შოთა რუსთაველის ქუჩაზე შეხვდა კალანდაძის საქმეზე ბრალდებული. მან (ძიგვაშილმა) კონტრრევოლუციურ ორგანიზაციაში მისი(ბუაჩიძის) ჩართვა მიზნად დაისახა. მასთან საუბარში აცნობა, რომ არსებობდა ჯგუფი ავჭალაში, რომელიც მიზნად ისახავდა საბჭოთა ხელისუფლების დამხობას და სთხოვდა მას გარკვეული ინფორმაციის მიწოდებას მათი ჯგუფისთვის.

ისააკ სიმონის ძე იმერლიშვილმა, თოსებ გიორგის ძე იმერლიშვილმა, აქვსენტი გრიგორის ძე უთურგაძემ, გიორგი ვიქტორის ძე არსენიძემ, გიორგი ალექსანდრეს ძე კალანდაძემ, ნიკიტა მიხეილის ძე ბუაჩიძემ და ვახტანგ ივანეს ძე შიხაშვილმა ორგანიზაციის წევრების არსებობის შესახებ იცოდნენ. ამ უკანასკნელებმა მათ რევოლუციურ საუბრებსაც მოუსმინეს, თუმცა ისინი არ მონაწილეობდნენ. ხელისუფლებამ მათი დაკავება დღის წესრიგში არ დააყენა, ე.ი. სსრ სსკ-ის 58-12-ე სისხლის სამართლის მუხლი იქნა გათვალისწინებული მათთვის.

<sup>1</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, ფონდი 6, საარქივო საქმე 4221549, ტომი 14, ფურცლები 17-29.

ისააკ იმერლიშვილს, იოსებ იმერლიშვილს, აქვსენტი უთურგაიძეს, ვიქტორ არსენიძეს, გიორგი კალანდაძეს, ნიკიტა ბუაჩიძეს და ვახტანგ შიხაშვილს ბრალი წაუყენეს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მუხ.58-2,58-10 და 58-11 - აღიარების დაუდასტურებლად, მაგრამ მათი თანამონაწილეობა სამხედრო-ფაშისტურ ორგანიზაციაში და კონტრრევოლუციური აგიტაციის გავრცელებაში გამოძიებამ არ დაადასტურა.

---

ისააკ სიმონის ძე იმერლიშვილს, იოსებ გიორგის ძე იმერლიშვილს, აქვსენტი გრიგორის ძე უთურგაიძეს, გიორგი ვიქტორის ძე არსენიძეს, გიორგი ალექსანდრეს ძე კალანდაძეს, ნიკიტა მიხეილის ძე ბუაჩიძეს და ვახტანგ ივანეს ძე შიხაშვილს მიესავათ თავისუფლების აღკვეთა შვიდი წლის განმავლობაში. სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 31-ე მუხლის „ა“ „ბ“ და „გ“ პუნქტების მიხედვით პირადი ქონების ჩამორთმევით. ხოლო მუხ.58-2-ის მიხედვით, 58-10 და სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 58-11მუხ. სასამართლომ ისინი გაამართლა.

---

წინასწარი პატიმრობისა და სასჯელის ვადაა: ივანე ლაპიაშვილის 1942 წლის 11 იანვრიდან; აბო ნიკოლოზის ძე ფარეშიშვილის 1942 წლის 20 მარტიდან; ისააკ სიმონის ძე იმერლიშვილის 1942 წლის 20 თებერვლიდან; იოსებ გიორგის ძე იმერლიშვილის 1942 წლის 2 მარტიდან; აქვსენტი გრიგორის ძე უთურგაიძის 1942 წლის 20 თებერვლიდან; გიორგი ალექსანდრეს ძე კალანდაძის 1942 წლის 7 მარტიდან; ნიკიტა მიხეილის ძე ბუაჩიძის 1942 წლის 23 იანვრიდან; ვახტანგ ივანეს ძე შიხაშვილის 1942 წლის 20 თებერვლიდან; გიორგი გიორგის ძე ციბალაშვილის 1942 წლის 18 თებერვლიდან; თინათინ ბაგრატის ას. გონიაშვილის 1942 წლის 31 იანვრიდან და სიმონ სიმონის ძე გერგიშვილის 1942 წლის 20 მარტიდან.

---

განაჩენი საბოლოოა და გასაჩივრება შეუძლებელია.  
ნამდვილია სათანადო ხელმოწერებით

სწორია: თავმჯდომარე სამხედრო იურისტი/ფომინი/(სშსსა, 17-29).

დაბართი

„УТВЕРЖДАЮ“  
форма №1

23 января 1942 г  
НАРКОМВНУДЕЛ ГРУЗ. ССР.  
Комиссар Госбезоп. 3 ранга  
(РАПАВА)

Арест  
санкционирующую  
(Подпись Прокурора)  
23 января . 1942 г.  
22ч:50мин

**ПОСТАНОВЛЕНИЕ**  
(На арест)

Гор : ТБИЛИСИ 23 января 1942 г.  
Я -----НАЧ 5 ОТД СПО НКВД ГРУЗ ССР  
**должность отдел и орган**

**НКВД. ГССР:**

Нач. Следственного Отделения С П О Ст. ЛЕИТЕНАТ ГОСБЕЗОПАСНОСТИ  
МАРКАРОВ.

**рассмотрев поступившие в НКВД ГССР материалы о преступной деятельности**

**Фамилия, имя и отчество и другие**— БУАЧИДЗЕ Никита Михайлович 1914г.р., место  
рождения- с.Харагаули, грузинб холостого, б/п., маладой драматург, гр-и ГССР, б/п. с  
высшим образованием,

**установочные данные** : имеет репрессированного брата как врага народа,  
прож. Броссе № 8.

**НАШЕЛ:**

Проновольном изложении дается развернутая мотивировка необходимости ареста  
приходятся выдержки—

**из показаний содержание агентурных материалов-----**

**выдержки из актов обследованияревизии и т. И.---**

БУАЧИДЗЕ Никита Михайлович Настроенный против в Сов. власти  
завербовался нелегальную к-р. фашистко- повстанческую организацию,  
вел вербовочную работу, изобличается показаниям  
который признался и показал:

признавшевся участника организации ДЗИГВАШВИЛИ ГЕОРГИ.

**ПОСТАНОВИЛ:**

**Фамилия, имя и отчество-----** БУАЧИДЗЕ Никита Михайлович

<sup>1</sup> **проживающего по-----** ул. Броссе № 8.

**Подвергнут аресту и обыску.**

**„СОГЛАСЕН“ Нач----подпись НИБЛАДЗЕ**

Опер уп.----- Нач. 5-го  
Отделения С .П. О. Мл.  
Лейтенант  
ГОСБЕЗОПАСНОСТИ –  
ТАВДИШВИЛИ.

<sup>1</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, ფონდი 6, საარქივო საქმე 4221549, ტომი 1, ფურცელი 66-67.

**„УТВЕРЖДАЮ“**

28 февраля 1942 г.

НАЧАЛЬНИК СПО. НКВД. ГССР  
КАПИТАН ГОСБЕЗОПОСНОСТИ  
(НИБЛАДЗЕ )

**форма №3**

**ПОСТАНОВЛЕНИЕ  
о предъявления обвинения**

Город Тбилиси. 1942 г. 28 -02 дня

Я --начальник 5-го Отделения СПО НКВД ГРУЗ. ССР.

**должность отдел и орган** **нквд. гсср**

Ст. Лейтенант Госбезопасности –МАРКАРОВ

**звание и фамилии**

рассмотрев следственный материал по делу N1964 и приняв во внимание;что  
БУАЧИДЗЕ Никита Михайлович

**(фамилия, имя и отчество)-----**

**Перечислять все пункты обвинения\_\_\_\_\_**

В 1941г. в период наибольшего напряженного положения в стране- наступления герм. армии на Москву. вступил в к-р в нелегальную националистическую военно—повстанческую организацию, ставившую себе целью путем в ооруженного восстания —свержение сов. власти и установление „независимой Грузии“, в каковую был завербован своим товарищем, проходящим по данному делу ДЗИГВАШВИЛИ Георгием, от которого получил задание изучить взаимо отношения между отдельными членами правительство ГССР.

**П О С Т А Н О В И Л :**

Руководствуясь ст.ст. 128 и 123 УПК РСФСР привлечь БУАЧИДЗЕ НИКИТУ МИХАИЛОВИЧА в качестве обвиняемого Пр.ст.ст. 58 / 10 .02. УК, о чем объявить обвиняемому под расписку в настоящем постановлении.

**Копию постановления в порядке ст.146 УПК РСФСР направить ПРОКУРОРУ.**

**Следователь \_\_\_\_\_**

**“СОГЛАСЕН” Нач. 5 отделения Ст. лейтенант Госбезопасности**

**Настоящее постановление мне объявлено: 28.02.1942 г.**

Подпись обвиняемого : БУАЧИДЗЕ

Верно.

**Дело № 902**

**П р и г о в о р № 194**

**Именем Союза Советских Социалистических Республик**

**Военный Трибунал Закавказского фронта**

**11-20 сентября 1942г.**

В закрытом судебном заседании , в городе Тбилиси

**В с о с т а в е :**

Председательствующего –военного юриста 2 ранга ФОМИНА

Членов : военного юриста 3 ранга , ЗАДАШКО и военного юриста РОМАНОВИЧА

При секретаре-военном юристе БЕРЛОВСКОМ ,

Рассмотрел дело по обвинению военнослужащих :

---

**Буачидзе Никиту Михайловича**

1914 года рождения, из служащих, служащего, уроженца с.Харагаули , Харагаульского района, Грузинской ССР , Грузина , имеющее высшее образование , беспартийного , несудимого, до ареста – драматург .

---

Подсудимый Дзигвашвили, будучи вовлеченным в контрреволюционную повстанческую организацию одним из активных её руководителей – Джоглидзе, сам, согласно полученных от Джоглидзе указаний , в ноябре месяце 1941 года пытался вовлечь в к /р. Организацию подсудимых по делу **Буачидзе** и Арсенидзе, Последние им были проинформированы и ознакомленны с целями и задачами к /р. организации с предложением вступить в эту организацию и работать вместе с ними.

Буачидзе и Арсенидзе согласие вступить не дали и никакой связи ни с ним – Дзигвашвили, на с другими членами организации не поддерживали.

В октябре месяце 1941 года, Дзигвашвили, встретившись на ул.Шота Руставели с подсудимым по делу Каландадзе и имея цель вовлечь его в контрреволюционную повстанческую организацию, имел с ним контрреволюционный разговор , сообщив при этом о наличии в гор.Авчалах группы, имеющей своей целью свержение Советской Власти и просил его дать некоторые сведения для их группы.

---

Имерлишвили Исаака Семеновича, Имерлишвили Иосифа Георгиевича, Утургайдзе Аксентия Григорьевича, Арсенидзе Георгия Викторовича, Каландадзе Георгия Александровича, Буачидзе Никиту Михайловича и Шихашвили Вахтанга Ивановича в том, что они знали от участников военно-фашистской повстанческой организации о существовании последней, выслушивали их к-революционные разговоры, не принимая участия сами, однако органы власти до их ареста не поставили в повестность , т.е. в преступлении, предусмотренном ст.58-12 УК ГССР.

---

Предъявленное им же, т.е. Имерлишвили Исааку, Имерлишвили Иосефу, Утургайдзе Аксентию, Арсенидзе Виктору, Каландадзе Георгию, Буачидзе Никите и Шихашвили Вахтангу обвинение по ст.ст. 58-2,58-10ч, П и 58-11 УК ГССР-признать не доказанными, так как соучастность их к военно-фашистской повстанческой организации и распространении контрреволюционной агитации не нашло себе подтверждение на суденом следствии.<sup>1</sup>

---

Имерлишвили Исаака Семеновича, Имерлишвили Иосефа Георгевича, Утургайдзе Аксентия Григорьевича, Арсенидзе Георгия Викторовича, Каландадзе Георгия Александровича, **Буачидзе Никиту Михайловича** и Шихашвили Вахтанга Ивановича -

---

<sup>1</sup> საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, ფონდი 6, საარქივო საქმე 4221549, ფომი 14, ფურცლები 17-29.

подвергнуть лишению свободы в ИТЛ сроком на семь лет каждого с поражением в правах согласно ст.31 п.п." а "б" и "в" УК ГССР на ТРИ года каждого и с конфискацией лично принадлежащего им имущества. По ст.58-2, 58-10 ч.П. и 58-11 УК ГССР по суду их считать **оправданными**.

За часть предварительное заключение и срок меры наказания исчислять: Лапиашвили Ивану Федоровичу с 11-го января 1942 года; Парешишвили Або Николевича с 20-го марта 1942 года; Имерлишвили Исааку Семновичу с 20-го февраля 1942 года; Имерлишвили Иосифу Георгиевичу с 2-го марта 1942 года ; Утургайдзе Аксентию Григорьевичу с 20-го февраля 1942 года; Каландадзе Георгию Александровичу с 7-го марта 1942 года ; **Буачидзе Никите Михайловичу** с 23-го января 1942 года ; Шихашвили Вахтангу Ивановичу с 20-го февраля 1942 года ; Цибалашвили Георгию Георгиевичу с 18-го февраля 1942 года; Гонашвили Тинатине Багратовне с 31-го января 1942 года и Гергишвили Семену Семеоновичу с 20-го марта 1942 года.

**Приговор окончательный и обжалованию не подлежит.**

**Подлинный за надлежащими подписями**

**Отп..... экз**

**Разослано**

**по списку**

**22.9.42**

**Л.а.**

**ВЕРНО: ПРЕДСЕДАТЕЛЬ СТ. ВОЕННЫЙ ЮРИСТ /ФОМИН/**

*Nata Tetvadze*

*Saint Andrew the First-Called Georgian University of the Patriarchate of Georgia*

**1942 CONSPIRACY (KITA BUACHIDZE)**

**RESUME**

The Commissariat of Internal Affairs of the Soviet Socialist Republic of Georgia opened a plot of Georgian youth based on agents and other matter in January 1942. An aim of the plot was to restore the independence of Georgia, which it lost in 1921. The participants of the conspiracy were mainly students, graduates and postgraduate students of the State University Et. Among the arrested conspirators was the young playwright Nikita (Kita) Buachidze. Keith Buachidze was arrested on January 23, 1942 Od. investigation of conspiracy case started Axis. The conspirators were brought before the military tribunal of Transcaucasian fro Nt. Hearings were held on September 11-20, 1942 The verdict states that Kita Buachidze knew about the existence of the conspiracy organization, knew its purposes and, at least in November 1941, received an invitation to join the organization. The sentence also states that Kita Buakichidze did not inform the Commissariat of Internal Affairs about the organization of the tins. He was sentenced to 7 years pre-trial detention and 3 years deprivation of civil rights and confiscation of personal property.

ლელა თოგოშვილი  
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

**მუსიკალური კულტურა XI-XII საუკუნეების საქართველოში  
(საკითხის შესწავლისთვის)**

მცელი ქართული საისტორიო მწერლობის უნიკალური ძეგლი „ქართლის ცხოვრება“ მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის ანტიკური და შუა საუკუნეების ქართული მუსიკალური კულტურის შესახებ. XI-XII საუკუნეებში საქართველოში საკმაოდ იყო დაწინაურებული როგორც საულიერო, ისე საერო მუსიკალური კულტურა.

თამარის ისტორიკოსთა თხზულებებში შემონახულია მნიშვნელოვანი ცნობები იმ ეპოქის მუსიკალური ხელოვნების შესახებ. გრანდიოზულ სანახაობადაა წარმოდგენილი თამარის გამეფება, რომლის დროსაც ისმოდა მგალობელთა სიმღერა, „...ჰკრეს სპერმურთა, ბუკთა, ქოსთა და წინწილთა, და იყო ზარი და ზაჰმი ქალაქსა შინა, სიხარული და შუება და იმედი უიმედო-ქმნილთა“.<sup>1</sup> ანალოგიურად არის აღწერილი შოთა რუსთაველის მიერ თინათინის გამეფება.<sup>2</sup> თამარის ისტორიკოსთა თხზულებებში მოგვეპოვება პირველი ცნობები საქორწილო ლხინზე. „ისტორიანი და აზმანის“ ავტორი მოგვითხრობს: „ვითარ იყო ხუედრი და ოიგი ულუმბანობისა და შარავანდედობისა მათისა, ეგრეთ იქმნა ქორწილი სახედაუდებელი და იგავმიუწვდომელი, სიმრავლენი სახეობათანი, ძღუნობანი და ნიჭებანი თუალთა და მარგალიტანი, ოქრო ჭედილთა და უჭედელთანი, სიმდიდრეთა და ლართა კერულთა და უკერულთანი, მსგეფსადმი სიხარული, შუება, ძღუნობანი, გაცემანი“.<sup>3</sup> მეფე ქალის დავით-სოსლანზე ქორწინების ამბის გადმოცემისას ავტორი ენაწყლიანად უმატებს: „იყო ზმა მგოსანთა და მუშაითთა, სახიობათა მჭურეტელნი იყო რაზმთა სიმრავლე“.<sup>4</sup> ამ დიდი ქორწილისა და საინტერესო სანახაობის ამბავი ასახულია ხალხურ სიტყვიერებაშიც:

„ქალი ვიყავ, თამარ ქალი, საქართველოს დედოფალი,  
ჩემი საბედო ეს არი, ვინც რომ დამიმშვენა მხარი,  
დიღუბები ქორწილი ვქენ, სადაც რომ საყდარი არი,  
ასი სული ცხვარი დავკალ და ორასი ნიშა ხარი,  
ლურჯი სუფრა გაუშალე იქნებოდა ასი მხარი,  
ქვრივ-ობოლსა ვუწყალობე ოქრო-ვერცხლი დიდი ძალი“.<sup>5</sup>

„ისტორიანი და აზმანის“ ავტორი აღნიშნავს, რომ ლხინში მგოსნებიც მონაწილეობდნენ. მგოსანი, მემატიანის თქმით, ნაღიმის მონაწილეა. თამარ მეფის მიერ განმის ათაბაგის პატივსაცემად გამართულ პურობისას „...იყო სიხარული და ზმა მგოსანთა და მუშაითთა“.<sup>6</sup>

ივ. ჯავახიშვილი განმარტავს, რომ თამარის ისტორიკოსს „მგოსანი“ მოშაირე მომღერლებად ჰყავს ნაგულისხმევი. მეცნიერი წერს, რომ „მგოსანი“ ოთხთავის ქართულ თარგმანშიც გვხვდება, სადაც ნათქვამია, რომ, როდესაც იესო მივიდა „სახლსა მის მთავრისასა, იხილა მუნ მგოსნები და ერი აღმფოთებულიო“. ამ შემთხვევაში ქართული თარგმანის მგოსანი ფლეიტის დამკვრელს უნდა ნიშნავდეს. მაგრამ თამარის ისტორიკოსი მგოსნებში არა დამკვრელებს, არა-

<sup>1</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. II, თბ., 1959, გვ. 37.

<sup>2</sup> გ. ახვლედიანი, მუსიკალური ტრადიცია „ქართლის ცხოვრებაში“, ჟ. „მაცნე“, ისტორიის სერია, 1977, №4, გვ. 95.

<sup>3</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. II, თბ., 1959, გვ. 37.

<sup>4</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. II, თბ., 1959, გვ. 47.

<sup>5</sup> ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება, ქს. სიხარულიდის რედაქციით, ტ. I, თბ., 1961, გვ. 73.

<sup>6</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. II, თბ., 1959, გვ. 66.

მედ მოშაირე-მომღერლებს გულისხმობს. ამ სიტყვას მაშინ ქართულად ასეთი მნიშვნელობა ჰქონდა<sup>1</sup>.

ივ. ჯავახიშვილის განმარტებით, ტერმინი „მგოსანი“ ქართულში ძველი სპარსულიდანაა შემოსული (სანსკრიტულად „გოშა“ ხმას ნიშნავს, „გოშანა“-ხმამაღლა ლაპარაკს, ხოლო „გუ-სან“ ახალ სპარსულშიც მომღერლის სახელია). საქართველოში ამ ძველ სპარსულ სიტყვას დროთა განმავლობაში მნიშვნელობა შეეცვალა. მე-12 ს-ში საქართველოში მგოსანი არა ჩვეულებრივი რიგითი მომღერალი, არამედ საკუთარი შაირებისა და ლექსების მთქმელი ყოფილა.<sup>2</sup> საქართველოში ზოგჯერ პოეტი-მგოსანის სინონიმებად იხმარებოდა „სიტყვის მოქმედი“, „გამომეტყუელი“, „სიმღერის მწერალი“. მგოსანის ხელოვნებაში ერთად იყო შერწყმული პოეზია, სიმღერა და მუსიკა. მგოსანი იყო ერთდროულად პოეტი, მომღერალი და მესაკრავე. „მგოსანი“ გვხვდება ძველი ქართული მწერლობის ძეგლებშიც („ვისრამიანი“, იოანე შავთელია „აბდულმესიანი“, შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე-სიცრუისა“).<sup>3</sup>

„ისტორიანი და აზმანის“ ავტორი საერო მომღერალთა და მემუსიკეთა შორის მუტრიბებ-საც ახსენებს. თამარის ქორწინების გამო „იქმნა სიხარული გამოიუთქმელი, ვითა მართებს ნადიმსა და წყლიანობასა ამის სახლის დიდებულთა მოყმეთა, უკლებლობასა მრავალგვართა სახეობათა, მუტრიბთა და მოთამაშეთა განწყობილობათა“.<sup>4</sup> ავტორის ეს სიტყვები მიუთითებს სანადიმო-საწესო სიმღერების ფართოდ გავრცელებასა და მათ საჯარო შესრულებას. „ვისრამიანის“ მიხედვით, მუტრიბი არა მარტო მომღერალი, არამედ მეჩანგეც ყოფილა: „...გული და ენა ერთმანეთსა ასრე არ ემოწმებოდა, ვიდრე ავისა მუტრიბისა ხმა და ჩანგა“.<sup>5</sup> მუტრიბი არაბული წარმოშობის სიტყვაა და ერთდროულად გულისხმობს პოეტსა და მომღერალს, მუსიკალურ ინსტრუმენტზე დამკვრელს და მოცეკვავესაც.

მუსიკათმცოდნები გრ. ჩხიგვაძე და არჩ. მშველიძე აღნიშნავენ, რომ მგოსანთა და მუტრიბთა დამსახურებაა ქართული ქალაქური მუსიკალური ფოლკლორის წარმოშობა; მათი შემოქმედების ბურებრივი გაგრძელებაა ქართული ქალაქური პოეზია.<sup>6</sup> არჩ. მშველიძემ რუსულ ენაზე შეადგინა ქართული ქალაქური ხალხური სიმღერების კრებული, რომლის შესავალ წერილში აღნიშნავს: „მრავალი ისტორიული და ლიტერატურული დოკუმენტი ადასტურებს, რომ საქართველოს ქალაქებში უძველესი დროიდანვე არსებობდა სოფლურისაგან განსხვავებული თვითმყოფადი მუსიკალური კულტურა, ამის შესახებ ყველაზე ადრეულ ცნობებს XII ს-ის ისტორიულ ძეგლებში ვპოულობთ. ამ კულტურის მატარებელნი და გამავრცელებელნი იყვნენ სახალხო მოძღვრები, რომელთაც საქართველოში მგოსნები ეწოდებოდათ“.<sup>7</sup>

მგოსნების შემოქმედებაში ცენტრალური ადგილი სატრფიალო სიმღერებსა და ლირიკულ პოეზიას ეკავა. მგოსნების ისტორიული დამსახურება დიდია. მათ ქართულ ხალხურ მუსიკაში შეიტანეს ლირიკულ-რომანტიკული ელფერი; გაამდიდრეს იგი უანრობრივად და თემატურად.

თამარ მეფის ისტორიკოსები მგოსნის გვერდით მუშაითსაც ახსენებენ: „ იყო ზმა მგოსანთა და მუშაითთა“.<sup>8</sup> მ. ჩიქოვანი აღნიშნავს: „ ის გარემოება, რომ ლხინ-დღესასწაულებში მგოსანი და მუშაითი ერთად იხსენიებიან, საბაბს გვაძლევს, ნაწილობრივ მუშაითიც ფოლკლორულ

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები, თბ., 1938, გვ. 52.

<sup>2</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები, თბ., 1938, გვ. 53.

<sup>3</sup> გ. ახვლედიანი, მუსიკალური ტრადიცია „ქართლის ცხოვრებაში“, ქ. „მაცნე“, ისტორიის სერია, 1977, №4, გვ. 96.

<sup>4</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. II, თბ., 1959, გვ. 43.

<sup>5</sup> გ. ახვლედიანი, მუსიკალური ტრადიცია „ქართლის ცხოვრებაში“, ქ. „მაცნე“, ისტორიის სერია, 1977, №4, გვ. 97.

<sup>6</sup> გრ. ჩხიგვაძე, დავიცვათ ქალაქური ხალხური სიმღერების სიწმინდე, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1970, №43.

<sup>7</sup> არჩ. მშველიძე, გрузинские городские народные песни, М., 1961, стр. 11-12.

<sup>8</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. II, თბ., 1959, გვ. 47.

ნაწარმოებთა შემსრულებლებად მივიჩნიოთ. მუშაითთა რეპერტუარში შედიოდა სასიმღერო შაირები და საცეკვაო ლექსები, ესე იგი ისეთი ნაწარმოებები, რომელთა შესრულებაც შეთანხმებულია სხეულის რიტმულ მოძრაობასთან“<sup>1</sup> მუშაითი ანუ მოშაითი იმავე ტიპის შემსრულებელია, როგორიც იყვნენ საფრანგეთში ჟონგლიორ-მიმისტები. მუშაითი ცირკის მსახიობის წინამორბედია. მუშაითები უცხო ქვეწიდან ჩამოდიოდნენ და ქართველებს თავის რეპერტუარს აცნობდნენ.

დ. ჯანელიძის აზრით, მგოსნები, მუტრიბები და მუშაითები დრამატულ და პანტომიმურ ხელოვნებას განასახიერებდნენ.<sup>2</sup>

„ქართლის ცხოვრებაში“ აგრეთვე მგალობლები მოიხსენიებიან. თამარის პირველი ისტორიკოსი მგალობლებად საეკლესიო საგალობლების შემსრულებლებს მიიჩნევს. ამდენად, „გალობა“ თამარის ისტორიკოსთან საეკლესიო მუსიკის აღმნიშვნელი ტერმინია.

„ისტორიანი და აზმანის“ მიხედვით, „სიმღერა“ საერო მუსიკალური ტერმინია. მაგალითად, გიორგი III-ის სიკვდილის გამო, წერს ისტორიკოსი: „შუებათა წილ და სიმღრისა...“<sup>3</sup> აშკარაა, აქ „სიმღერა“ წმინდა ფოლკლორულ-მუსიკალური ტერმინია. ლიტერატურული ძეგლების მოწმობით, „სიმღერა“ მუსიკალური ტერმინის მნიშვნელობით შუა საუკუნეებზე ადრინდელი არ უნდა იყოს. ძველად „სიმღერა“ თამაშს ნიშნავდა და პირიქით, თამაში მღერასაც გულისხმობდა.<sup>4</sup>

თამარის ეპოქის საქართველოში „სიმღერა“ და „გალობა“ საკმაოდ განსხვავებული ცნებები იყო. საყურადღებოა, რომ „ვეზისტყაოსანში“ - ამ ღრმა ფილოსოფიურ და პუმანური იდეებით გამსჭვალულ ნაწარმოებში, არსად არ გვხვდება ტერმინი „გალობა“ . „სიმღერასაც“ ორგვარი მნიშვნელობა აქვს: თამაშის მნიშვნელობა და („მღერა ნარდისა“) და სიმღერის მნიშვნელობა („რა ესმოდის მღერა ყმისა“). ამ ტერმინის შესახებ თეომურაზ ბაგრატიონი აღნიშნავდა: „მღერა- როგვა, თამაშობა, ყრმათა და ვაჟთა შექცევა. თამაშა არაბული ლექსი არის, რომელსაც ჩვენ თამაშობას ვეძახით და ეს ლექსი ჩვენ ენაში დიდი ხანია შემოტანილია. მღერა ჩვენებური ქართულია, თამაშობას ნიშნავს, ხოლო სიმღერა საერო გალობა არის, ანუ სამღერალი რამ, სამღერელი გამოთქმანი და კვალად სამღერელი ამასაც ნიშნავს, რომ ეცინდეს კაცი კაცსა, ანუ ხალხში განიკიცხოდეს კაცი. გალობა მხოლოდ საღმრთოსი არის, საეროს მღერას გალობა არა ჰქვია. არაბულად თამაშა სვლასაც ჰქვია...“<sup>5</sup>

ქართველი მემატიანების თხზულებებში მემუსიკეთა შორის მოიხსენიაბიან მეებნენი და მეჩანგენი. ბასილ ეზოსმოძღვრის თხზულების („ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისა“) მიხედვით, მეებნენი მეჩანგენი სიმბიან ინსტრუმენტებზე დამკვრელნი და ხმით მომღერალნი არიან. თამარის ისტორიკოსის ცნობას ადასტურებს ხალხური გადმოცემაც: „იმ დროს აღმოსავლეთის მგოსნებისა და აშუღების ყოველივე ხელოვნება ქება-დიდებაში იღეოდა...სპარსეთის შაპს ძლიერ უყვარდა, როდესაც მისნი კარის მგოსანნი და აშუღნი თამარის სილამაზეს დამღეროდნენ და ადიდებდნენ“.<sup>6</sup>

საქართველოში ჩანგს ლხინის დროს აქდრებდნენ ხოლმე. ძველი ქართველი მემატიანები ცნობებს გვაწვდიან შრომის პოეზიის შესახებ. ბასილ ეზოსმოძღვრის თხზულებაში პირველად გვხვდება ცნობა სამიწათმოქმედო შრომის ამსახველი ლექსებისა და სიმღრების შესახებ. ბასილ

<sup>1</sup> მ. ჩიქვანი, ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, თბ., 1952, გვ. 53.

<sup>2</sup> დ. ჯანელიძე, ქართული თეატრის ისტორია უძველესი დროიდან XVIII საუკუნემდე, თბ., 1965, გვ. 393.

<sup>3</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. II, თბ., 1959, გვ. 24.

<sup>4</sup> გ. ახვლედიანი, მუსიკალური ტრადიცია „ქართლის ცხოვრებაში“, ჟ. „მაცნე“, ისტორიის სერია, 1977, №4, გვ. 98.

<sup>5</sup> გ. ახვლედიანი, მუსიკალური ტრადიცია „ქართლის ცხოვრებაში“, ჟ. „მაცნე“, ისტორიის სერია, 1977, №4, გვ. 99.

<sup>6</sup> დ. ჯანელიძე, ქართული თეატრის ისტორია უძველესი დროიდან XVIII საუკუნემდე, თბ., 1965, გვ. 75.

საგანგებოდ აქვს ხაზგასმული, რომ თამარს საქართველოში დიდი სახელი პქონდა გავარდნილი: „ყრმანი მემროწლენი... თამარის ქებათა მელექსეობდიან“.<sup>1</sup>

„მროწლე“ აღნიშნავდა „ნახირს“. ირკვევა, რომ მხგნელ-მთეველნი ველზე მუშაობის დროს, ასევე მწყემსებიც, სიმღრებს ასრულებდნენ და ლექსებს წარმოთქამდნენ. ეს ფაქტი დღეს სიფლის მეურნეობასთან დაკავშირებული ჩვენამდე მოღწეული მრავალი ხალხური სიმღრერით დასტურდება. მიხ. ჩიქოვანი აღნიშნავს: „შრომის სიმღრები და ლექსები უხსოვარი დროიდან თან სდევდა ადამიანის მოღვაწეობას. ეს სიმღრები, ლექსობანი უთუოდ პირდაპირ თუ არა, წინამორბედი მანც იყვნენ ჩვენი დროის გუთნურისა და ოოხნურ- ნადურისა“<sup>2</sup>.

თამარის ისტორიკოსთა ცნობები ადასტურებს შუასაუკუნეების საქართველოში განვითრებული ხალხური მუსიკალური შემოქმედების არსებობას.

„ქართლის ცხოვრება“ ქართული ხალხური საკრავების შესახებაც გვაწვდის ცნობებს. სიმებიანი საკრავებიდან გვხვდება ჩანგი, ებანი, ორდანო. სასულე, ჩასაბერი საკრავებიდან დასახელებულია საყვირი, ბუკი, ქარანა, ნესტვი, ოხრი და სხვ. დასარტყმელი საკრავებიდან - დაბდაფი, დუმბული, ქოსი, წინწილი და სხვ. საყვირი უფრო აღრეც გვხვდება წყაროებში. მაგალითად, წმინდა ნინოს შატბერდული ცხოვრების ავტორი წერს, რომ მეფის გამოსვლის დროს იყო ხმა „ოხრისა და საყვირისა“.<sup>3</sup> „ქარანა“ არის ვალდპორნის უძველესი ფორმის მსგავსი გრეხილი საკრავი. ქართულად მას შეესატყვისება „ძროხაკუდი“. თვით ტერმინი „ქარანა“ არაბული წარმოშობისაა. „ქარნუნ“ არაბულად ნიშნავს „რქას“.<sup>4</sup>

„ქართლის ცხოვრებაში“ ხშირად გვხვდება ბუკი. „მატიანე ქართლისა“ მოგვითხრობს, რომ, როდესაც ბაგრატ IV-ს სადარბაზოდ უნდა მიეღო სტუმრად მოსული თავისი სიმამრი (ოვ-სთა მეფე), „იყო სიხარული“ და ისმოდა ხმა „ბუკისა და დუმბულთა, საშინელი და მიუწვდომელი“. არზრუმის მხარეში ქართველთა ლაშქრობის დროს, იქაურებამ „ვითარცა განთხნდა, ჰკრეს ბუკთა და დაბდაბთა, და შეიქმნა ზაჰმი ქალაქთა შინა“.<sup>5</sup> თამარის პირველი ისტორიკოსი მოგვითხრობს, რომ, როდესაც საქართველოს ძლევამოსილი ჯარი ირანის ლაშქრობიდან თბილისში დაბრუნდა, თამარი „მხიარულითა პირითა გაეგება, ზეიმითა და დიდებითა...“ და ისმოდა ხმა „ბუკთა და დუმბულთა“.<sup>6</sup> „ისტორიანი და აზმანის“ ავტორი მოგვითხრობს, რომ თამარის ტახტზე აყვანის დროს „ჰკრეს საერმურთა, ბუკთა, ქოსთა და წინწილთა“.<sup>7</sup>

როგორც ვხედავთ, „ქართლის ცხოვრების“ თხზულებებში მუსიკალური საკრავების მრავალი სახელწოდება გვხვდება. მუსიკალური ტერმინების სიმრავლე და საკრავების ნაირსახეობა ნათლად მეტყველებს საქართველოში საერთოდ მუსიკისა და, კერძოდ, ინსტრუმენტული მუსიკის განვითარებაზე. მაგრამ ქართული მუსიკალური საკრავების სიმრავლისა და ნაირსახეობის მიუხედავად, ქართული ხალხური ინსტრუმენტული მუსიკა სათანადოდ ვერ განვითარდა. აქედან გამომდინარე, არც მდიდარი მუსიკალური ლიტერატურა შემოგვრჩა. ძველი ქართული მუსიკალური საკრავებიდან ამჟამად ბევრია ხმარებიდან გამოსული. მუსიკათმცოდნეთა აზრით, ეს განპირობებულია თვით ქართული, უაღრესად თვითმყოფადი და მდიდარი მრავალხმიანი სასიმღრეო შემოქმედებით, რომელმაც შეზღუდა საკრავების გამოყენების არე.<sup>8</sup> თამარის ისტორიკოსთა შრომებით დასტურდება შუა საუკუნეების საქართველოში საქორწილო და შრომის ამსახველი ლექსიმღრების, ქართველ მუსიკოს-შემსრულებლების, ქართული ხალხური საკრავების ფართოდ გავრცელება. „ქართლის ცხოვრება“ ასევე მოგვითხრობს ქრისტიანულ და წარმართულ მუსიკას

<sup>1</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. II, თბ., 1959, გვ. 146.

<sup>2</sup> მ. ჩიქოვანი, ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, თბ., 1952, გვ. 112.

<sup>3</sup> ვ. ლონდუა, თამარის ისტორიკოსთა შესწავლისათვის, საისტორიო მიებანი, II, თბ., 1973, გვ. 120-121.

<sup>4</sup> ვ. გვახარია, თამარისდროინდელი საერთო მუსიკა, ჟ. „ცისკარი“, 1966, №5, 177.

<sup>5</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. II, თბ., 1959, გვ. 59.

<sup>6</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. II, თბ., 1959, გვ. 109.

<sup>7</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. II, თბ., 1959, გვ. 27.

<sup>8</sup> ვ. ახვლედიანი, მუსიკალური ტრადიცია „ქართლის ცხოვრებაში“, ჟ. „მაცნე“, ისტორიის სერია, 1977, №4, გვ. 101.

შორის ბრძოლის შესახებ (წარმართულ მუსიკალურ ფოლკლორს ქრისტიანობისათვის ძლიერი მეტოქეობის გაწევა შეეძლო). ეს ბრძოლა ქრისტიანობის შემოსვლისთანავე დაწყებულა, თუმცა შემდგომ საუკუნეებში უფრო გამწვავდა. გიორგი მთაწმინდელის მიერ თარგმნილ (XI ს.) ბასილ დიდის თხზულებაში საუბარია იმის შესახებ, თუ როგორ „დასთხევდეს გესლსა...“ სტვირი სახალხო მოლექსის ხელში. მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება ჩანს ისეთი ხალხური შემსრულებლების მიმართ, როგორიც იყვნენ მეფიანდურენი, მენესტენი და, საერთოდ, მსახიობები.<sup>1</sup>

ეკლესიის მესვეურთა ზეგავლენით, ხალხური წარმართული სიმღერები ჯარშიც აუკრძალავთ. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი წერს: ამ მეფის დროს „ საემმაკონი სიმღერანი, სახიობანი და განცხრომანი, და გინება ღმრთისა სამულელი და ყოველი უწესოება მოსპობილ იყო ლაშქართა შინა მისესა“.<sup>2</sup> შეიძლება ვივარაუდოთ, რომ „ საემმაკონი სიმღერანი“ წარმართულ სიმღერებს გულისხმობს > მიუხედავად იმისა, რომ ქრისტიანული ეკლესია ილაშქრებდა საერო--წარმართული მუსიკის წინააღმდეგ, მან მაინც ვერ შეძლო მისი მოსპობა. სიმღერა ძალიან მჭიდროდ იყო დაკავშირებული ხალხის საქმიანობასთან და, მთლიანად, ცხოვრებასთან. ამიტომ, ეკლესიის მესვეურთა წინააღმდეგობის მიუხედავად, საერო-წარმართულმა მუსიკამ მყარად გაიკვლია გზა.

*Lela Togoshvili*

*Gori State Teaching University*

**MUSICAL CULTURE IN THE XI-XII CENTURY IN GEORGIA  
(FOR LEARNING THE ISSUE)  
RESUME**

Historical composition “Kartlis tskhovreba” (life of Kartli) includes very important materials of Georgian musical culture in the XI-XII century. Wedding and labour songs are mentioned in the compositions of the King Tamar’s historians. It is also mentioned about Georgian singers and musical instruments. These authors notes confirm that musical creation was at high level in the middle ages in Georgia.

<sup>1</sup> გ. ახვლედიანი, მუსიკალური ტრადიცია „ქართლის ცხოვრებაში“, ჟ. „მაცნე“, ისტორიის სერია, 1977, №4, გვ. 102.

<sup>2</sup> გ. ახვლედიანი, მუსიკალური ტრადიცია „ქართლის ცხოვრებაში“, ჟ. „მაცნე“, ისტორიის სერია, 1977, №4, გვ. 102.

გიორგი თობაშვილი  
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

**ძმები სიმენსები და საქართველო**

1847 წელს ბერლინში ფირმა „სიმენს და ჰალსკე“ დაარსა 31 წლის ინუინერმა ვერნერ სიმენსმა (1816 – 1892). იგი გახლდათ შემდგომში ბერლინის მეცნიერებათა აკადემიის წევრი. ბერლინის უნივერსიტეტის ფილოსოფიის დოქტორი. მან ამ საქმეში ჩართო თავის კომპანიონი იოან გეორგ ჰალსკე (1814 -1890), რომელიც ამ დროისთვის ცნობილი მექანიკოსი იყო უზუსტესი ხელსაწყოების დაზადებაში<sup>1</sup>.

ჰალსკე 1890 წელს გარდაიცვალა, მაგრამ ვერნერ სიმენსმა ჩათვალა რომ მისი სახელი უნდა შემორჩნოდა ფირმას მეცნიერების ნიშნად და იმ დიდი წელილისათვის, რაც ჰალსკემ შეიტანა პატარა სახელოსნოს გიგანტურ ფირმად გადაქცევაში. მაშინაც კი როცა 1892 წელს გარდაიცვალა ვერნერ ფონ სიმენსი, ასეთი ტრადიცია გაგრძელდა. მხოლოდ 1966 წელს ეწოდა გერმანულ ფირმას „სიმენსი“.

ახლად დაარსებული ფირმის წარმომადგენელი საქართველოში იყო ვერნერ სიმენსის ძმა ვალტერ სიმენსი, რომელიც იმავდროულად იყო „ჩრდილოეთ გერმანიის კავშირის“ კონსული თბილისში.

ვერნერ სიმენსის უმცროსი ძმა ვალტერ სიმენსი 1833 წლის 12 იანვარს დაიბადა გერმანიის მექანიკურების მხარის დასახლება მეცნიეროფში. სახლში დაწყებითი განათლების შემდეგ ვალტერ სიმენსმა უმაღლესი ტექნიკური განათლება მიიღო. მსახურობდა ვენაში, პარიზსა და ვარშავაში. შემდეგ კი 27 წლის ინუინერი საქართველოში ჩამოვიდა.

ვალტერ სიმენსი „სიმენს და ჰალსკეს“ პირველი წარმომადგენელია თბილისში. იგი შემთხვევით არ ჩამოსულა აქ. რადგან საქართველოში ძალზედ მომწიფდა თბილისი-ფოთის სატელეგრაფო ხაზის მშენებლობა.

კავკასიაში პირველი სატელეგრაფო ხაზი 1858 წელს თბილისი - კოჯორს შორის გაიყვანეს. სამუშაოებს გერმანული ფირმა „სიმენს და ჰალსკე“ აწარმოებდა. ახალი სატელეგრაფო ხაზების გაყვანაზე შეკვეთის მიღების შემდეგ კომპანიამ თბილისში თავისი განყოფილება გახსნა. ხელმძღვანელობა დაევალა ვალტერ სიმენსი. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ამიტომ ჩამოვიდა იგი თბილისში და ამავდროულად „ჩრდილოეთ გერმანიის კავშირის“ კონსულადაც დაინიშნა.

სიმენსის ფირმის წყალობით ელექტროტელეგრაფმა თბილისი ბორჯომთან, ქუთაისთან, ფოთითან, ერევანთან, ბაქოსთან, ვლადიკავკაზთან, სტავროპოლითან, მოსკოვთან დააკავშირა. ვალტერ სიმენსი აგრეთვე მუშაობდა სამთომომპოვებელ მრეწველობაში, საქართველოში ნავთობის მოპოვების დროს<sup>2</sup>.

1862 წლის 2 მარტს №328 ნებართვით ვალტერ სიმენსთან კავკასიის იმ დროინდელმა ჯარების სარდლის მოვალეობის შემსრულებელმა გრიგოლ ორბელიანმა გააფორმა ხელშეკრულება, თბილისსა და სტავროპოლს შორის ტელეგრაფის ხაზის მშენებლობაზე. 1863 წლის 12 იანვარს თბილისმა და სტავროპოლმა პირველი დეპტშები გაცვალეს ერთმანეთთან. ტელეგრაფის სადგურები ამუშავდა აგრეთვე დუშეთში, ვლადიკავკაზში და პიატიგორსკში. ამ ფაქტს გამოეხმაურა ილიასეული „ივერია“, რომელმაც დადებითად შეაფასა ეს მოვლენა. 1863 წლის 12 ივლისიდან თბილისში დაიწყო დეპტშების გაცვლა, როგორც რუსეთის, ასევე ევროპის ქვეყნების ქალაქებთან. ამის შემდეგ თბილისში დაიწყო დეპტშებით ყველა უმნიშვნელოვანესი და ახალი ამ-

<sup>1</sup> ან. კარბელაშვილი, ტრანსკონტინენტური ტელეგრაფის ხაზი საქართველოში, თბ. 2000, გვ. 11

<sup>2</sup> ბ. ფიფა, „დიდი ადამიანები საქართველოში, არგონავტებიდან როდონამდე“, თბ. 2011, გვ. 270

ბების მიღება საზღვარგარეთიდან. თბილისის გაზეთებში ფოსტით ჩამოტანილ ორი, სამი, ოთხი კვირის წინ მიღებულ ცნობებს აღარ ბეჭდავდნენ, არამედ უცხოეთის სააგენტოების მიერ წინა დღეს გავრცელებულ ინფორმაციებს. თბილისი მსოფლიო მაჯისცემას აპყვა. ალბათ ადვილად წარმოსადგენია იმ პერიოდში სატელეგრაფო კავშირების მნიშვნელობა, როცა საქალაქო და საერთაშორისო სატელეგრაფო კავშირებზე მაშინ მხოლოდ ოცნება შეიძლებოდა. ტელეფონი 1876 წელს გამოიგონეს<sup>1</sup>.

1865 წელს ფირმა „სიმენსმა და პალსკემ“ გაიყვანა ტელეგრაფი თბილისი-ერევანი-ჯულფა, რითაც რუსეთი უშუალოდ სპარსეთს დაუკავშირდა. 1868 წელს საექსპლუატაციოდ გადაეცა ხაზი თბილისი-ბაქო, თემერხან-შუმას განშტოებით. გრიგოლ ორბელიანის თანადგომით, საქართველოში სატელეგრაფო ხაზების მშენებლობაზე მიღებული კონტრაქტების გარდა, 1865 წელს ფირმას ასევე გადაეცა კონცერნია (იჯარა) შირაქში ნავთობის დამუშავებაზე<sup>2</sup>.

საქმეს ისეთი პირი უჩანდა, რომ ვალტერ სიმენსი კავკასიაში დიდი ხნით დარჩებოდა. მაგრამ 1868 წლის 8 ივნისს უბედურება მოხდა. სტუმრად მიმავალი ვალტერი ცხენიდან ჩამოვარდა და სასიკვდილოდ დაშავდა. 13 ივნისს თბილისის უძალლესი წოდების წარმომადგენლებმა და უამრავმა ხალხმა ის უკანასკნელ გზაზე გააცილა. ნეკროლოგში, რომელიც გაზეთ „კავკაზში“ გამოქვეყნდა, ვალტერ სიმენსზე საუბარი იყო როგორც „პიროვნებაზე, რომელიც ადამიანთა საერთო მასიდან გამოირჩეოდა თავისი ინდივიდუალობით“. თბილისი ვალტერს დასტიროდა არა მხოლოდ როგორც კონსულსა და მეწარმეს. არამედ, უწინარეს ყოვლისა, როგორც ადამიანს, რომელმაც პატივისცემა მოიპოვა თავისი საზოგადოებრივი და კერძო ქველმოქმედებით, რომელიც გამოირჩეოდა განსაკუტრებული, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი გულითადობით<sup>3</sup>.

1867 წელს „სიმენსმა“ თავის ბერლინის, ლონდონისა და პეტერბურგის კომპანიებთან ერთად მუშაობა დაიწყო სატელეგრაფო ხაზზე ლონდონი-კალკუტა. ამასთან დაკავშირებით 1869 წელს საქართველოში ჩამოვიდა კარლ სიმენსი და ჩამოიტანა ტელეგრაფის შავ ზღვაში გასატარებელი წყალქვეშა კაბელი. აღსანიშნავია ისიც, რომ კარლმა ლონდონში დამზადებული მიწის-ქვეშა მოსკოვ-თბილისის კაბელის ნაწილიც ჩამოიტანა. სამუშაოები 1870 წელს დასრულდა, როთაც მსოფლიოში ყველაზე გრძელი სახმელეთო ხაზის, უგრეთწოდებული „ინდოეთის ტელეგრაფის“ რომელიც კავკასიაში გადიოდა სოხუმი-ქუთაისი-თბილისი-ერევანი-ჯულფზე, საზეიმო გახსნა გაიმართა. კარლ სიმენსმა თბილისში გამართა ბანკეტი 70 კაცზე. თუ ევროპიდან ინდოეთში წერილი სამუშალოდ 42 დღეში ჩადიოდა, ტელეგრაფის სამუშალებით დეპტებს უკვე ნახევარ საათში იღებდნენ. ინდოეთის კონკრეტულმა ტელეგრაფმა 1931 წლამდე იარსება, თბილისის გავლით დეპტები მსოფლიოს 34 ქვეყანაში მოგზაურობდნენ<sup>4</sup>.

რაც შეეხება კარლ სიმენსის აქტიურად ჩართვა კავკასიაში განაპირობა იმანაც რომ მისი მეუღლე მარია მძიმედ დაავადდა და ექიმებმა კლიმატის შეცვლა ურჩიეს. კარლ სიმენსის ოჯახი თბილისში 1867 – 1868 წლებში ცხოვრობდა.

1869 წელს საქართველოში ჩამოვიდა კიდევ ერთი ქმა უილიამ სიმენსი. მან ლონდონიდან სოხუმში ინდოევროპული ტელეგრაფისთვის სპეციალური კაბელი ჩამოიტანა, რომელიც შავი ზღვის ფსკერზე უნდა გაეყვანათ. უილიამმა ლონდონში დაამზადა ასევე მიწის-ქვეშა კაბელი სატელეგრაფო ხაზისთვის მოსკოვი-თბილისი. ეს ხაზი ხშირად ზიანდებოდა კობი-გუდაურის მონაკვეთზე თოვლის ზვავების გამო, ამიტომ 1879 წელს ამ მონაკვეთზე სატელეგრაფო ხაზი მიწის-ქვეშ გაიყვანეს<sup>5</sup>.

კარლ სიმენს ჰყავდა უმცროსი ქმა ოტო. მან თავი გამოიჩინა აგრეთვე, როგორც ნიჭიერმა ინჟინერმა და ნავთობის საქმის ორგანიზაციონურმა. კერძოდ, მან შემოიღო ნავთობის მოსაპოვებ-

<sup>1</sup> ან. კარბელაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 19.

<sup>2</sup> უურ. „ისტორიული მემკვიდრეობა“, მმები სიმენსები და საქართველო, თბ. 2015, №11 (63).

<sup>3</sup> ბ. ფიფა, დასახ. ნაშრ., გვ. 271

<sup>4</sup> ბ. ფიფა, დასახ. ნაშრ., გვ. 272

<sup>5</sup> ბ. ფიფა, დასახ. ნაშრ., გვ. 272

ლად ჭაბურღილების ბურღვის მეთოდი, მანამდე არსებული რუტინული ხერხის ნაცვლად. როდესაც ნავთობის მოსაპოვებლად ჭებს თხრიდნენ. მანვე პირველად კავკასიაში, თბილისში დაიწყო ქუჩებისა და ტროტუარების ასფალტით დაფარვა, რაც ნავთობის ნარჩენებისგან მზადდებოდა<sup>1</sup>.

ოტო სიმენსმა ყველა ჩანაფიქრის განხორციელება ვერ შეძლო. 1871 წლის 23 სექტემბერს, ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ იგი გარდაიცვალა, როგორც ჩანს ქოლერისაგან, რომელიც მაშინ თბილისში მდვინვარებდა<sup>2</sup>.

უმცროსი მშები ვალტერი და ოტო თბილისში გარდაიცვალნენ და გვერდი-გვერდ არიან დაკრძალულნი, წერს ვერნერ სიმენსი თავის წიგნში „მოგონებანი ცხოვრების შესახებ“ -ვალტერი გარდაიცვალა ცხენიდან ცუდად ჩამოვარდნის შედეგად. იგი ლამაზი, ტანადი მამაკაცი იყო. სასიამოვნო მანერებით, რაც მის მიმართ ყველა ნაცნობს კეთილად განაწყობდა. ჩვენთან ის ყოველთვის სათუთი გრძნობით იყო დაკავშირებული. ოტო რამდენიმე წლის შემდეგ გარდაიცვალა სუსტი ჯანმრთელობის გამო, რომელსაც დიდ ყურადღებას არ აქცევდა.

სიმენსების უფროსი მმა და ფირმა „სიმენსი“ დამფუძნებელი ვერნერ სიმენსი საქართველოში სამჯერ იყო. პირველად იგი თბილისში 1865 წელს ჩამოვიდა, კავკასიის არმიის სარდალს, გენერალ-ადიუტანტს, პოეტ გრიგოლ ორბელიანს შეხვდა და მასთან ერთად ნავთობის მოპოვების საკითხები განიხილა. მეორედ ვერნერ სიმენსი თბილისში. 1868 წელს ჩამოვიდა ინდოევროპული ტელეგრაფის მშენებლობის დაწყებასთან დაკავშირებით, მესამედ - 1890 წელს თავის მმა კარლთან ერთად. რათა სპილენძის მაღარო დაეთვალიერებინათ. ვერნერი აღფრთოვანებული იყო საქართველოთი და ამჯერად თან ცოლი და ქალიშვილი ჩამოიყვანა.

საქართველოში და მთლიანად კავკასიაში მოგზაურობამ მის მეხსიერებაში ღრმა კვალი დატოვა, რის შესახებაც ის მოგვიანებით დაწერს თავის „მოგონებებში ცხოვრების შესახებ“ - იუწყება ვერნერ სიმენსის ბიოგრაფი ზიგფრიდ ფონ ვეიხერი. შეიძლება დაბეჯითებით ვივარაულოთ, რომ კავკასია, მისი ხელუხლებელი და შესანიშნავი ბუნებით, სიმენსში შინაგან სიმშვიდეს იწვევდა და ამით იყო მისთვის სასიამოვნო<sup>3</sup>.

როდესაც ვერნერ სიმენსი ფოთში ჩამოვიდა აქ მას დაზვდა მმა ვალტერი და ერთად განაგრძეს გზა ქუთაისისკენ. ისინი რიონით ჯერ ორპირში ავიდნენ გემით. (იყო ასეთი ქალაქი რიონზე სამტრედიასთან ახლოს. გ.რ.). აქედან ეტლით განაგრძეს გზა ქუთაისისკენ.

„რიონის ველის საზღვრების მშვენიერ გარემოცვაში მდებარეობს და მის თავზე აღმართულია უძველესი დროიდან განთქმული გელათის მონასტერი, რომელიც უკვე ძველი დროიდან წმინდად მიჩნეულ ადგილზე უნდა იყოს აგებული“.

თუმცა ცხენით ასვლა მონასტრამდე დამქანცველი აღმოჩნდა, მაგრამ დიდად ნასიამოვნები დარჩა ვერნერ სიმენსი მონასტრის დათვალიერებით.

„ეს ახლა უკვე უმეტესად ნანგრევებად ქცეული მონასტერი განსაკუთრებით განთქმულია თავისი პატარა ტაძრით, რომელიც ოთხ გრანიტის ბორზეა დაყრდნობილი. ეს ტაძარი უძველეს პერიოდს უნდა ეკუთვნოდეს, როგორც საერთოდ ბევრ სამშენებლორელიქვიის ასაკს კავკასიაში, არა როგორც ევროპაში საუკუნეებით, არამედ ათასობით წლებით ანგარიშობენ: გერმანელი მეცნიერი დაწვრილებით აღგვიწერს ქუთაისს და მის ისტორიულ ძეგლებს<sup>4</sup>.

თბილისი, რომელსაც ღრმა მდინარე მტკვარი კვეთს, ციცაბო კლდის ძირში, მის ჩრდილოეთით მდებარეობს და ესაა მთავარი მიზეზი იმისა, რომ ზაფხულობით ქალაქში ისეთი აუტანელი სიცხეა... ტფილისი არსებითად ორი ქალაქისაგან შედგება: ზემო - ევროპული ქალაქისგან და ქვემო - აზიური ქალაქისაგან. ისინი მკვეთრად არის გამიჯნული ერთი მეორისაგან. ევროპუ-

<sup>1</sup> ბ. ფიფია, დასახ. ნაშრ., გვ. 272

<sup>2</sup> ბ. ფიფია, დასახ. ნაშრ., გვ. 272

<sup>3</sup> ბ. ფიფია, დასახ. ნაშრ., გვ. 273

<sup>4</sup> ა. კარბელაშვილი, „ვინ იყო ვერნერ სიმენსი“? გაზ. „საბჭოთა აფხაზეთი“, სოხუმი, 1978 წელი 23 აგვისტო. გვ. 4

ლი ტფილისი სიამოვნებით და სიამაყით უწოდებს საკუთარ თავს აზიურ პარიზს, ყოველ შემთხვევაში, ამ ტიტულზე პრეტენზიას აცხადებს უშუალოდ კალკუტის შემდეგ...

სახლები ლამაზადაა განლაგებული პატარა კლდოვან ზღვის უბეში, მაღალი მთის მასივის ძირში.... მისი მიდამოები თვალწარმტაცია, განსაკუთრებით მწვანე საფარი, რომლის დიდებულების წინაშე ყველგვარი აღწერა უფერულდება. თავად ქალაქში გამაოცა ტირიფების გრძელმა ხეივანმა, რომელიც არაფრით ჩამოუვარდება ჩვენს ყველაზე მაღალ ტყის ხეებს, მათი ხშირ-ფოთლებიანი ტოტები გუმბათისებური კენჭერობიდან ზედ მიწამდეა დაშვებული...

კავკასიაში ამ მოგზაურობას ჩემი ცხოვრების ყველაზე სასიამოვნო მოგონებებს მიგაკუთნებ. „მეხილა კაცობრიობის აკვანი ყოველთვის იყო ჩემი სანუკვარი ოცნება“<sup>1</sup>

1890 წელს ვერნერ სიმენსი საქართველოში მესამედ ჩამოვიდა, როგორც ზიგფრიდ ფონ ვეიხერი თავის წიგნში „ვერნერ ფონ სიმენსი“ წერს „1840 წელს ამჯერად თავის ცოლთან ერთად, მან მესამედ და უკანასკნელად იმოგზაურა თავის საყვარელ კავკასიაში“.

დიახ გამოჩენილი გერმანელი მეცნიერი და გამომგონებელი ვერნერ ფონ სიმენსი ნამდვილად შეყვარებული იყო საქართველოზე.

ვერნერ სიმენსი გარდაიცვალა 1892 წელს. სახელგანთქმულმა ამერიკელმა გამომგონებელმა ა. ედისონმა მისი საფლავი გვირგვინით შეამკო, რომელსაც ასეთი წარწერა ჰქონდა: „ჩემს მეგობარს ვ. სიმენსს“<sup>2</sup>

მისის გარდაცვეალების შემდეგ ფირმა „სიმენსის“ საქმიანობა მისმა შთამომავლებმა გააგრძელეს.

ფირმა „სიმენსის“ დამფუძნებლები თბილისში სოლოლაკში, მაშინდელ სოდოვაიას (ახლანდელი ასათიანის ქუჩა) 30-ში ქირით ცხოვრობდნენ.

1998 წლის 25 ოქტომბერს ლადო ასათიანის ქუჩა 30 სახლის ფასადზე ვალტერ სიმენსის მემორიალური დაფის საზეიმო გახსნის ცერემონიალი ჩატარდა, რომელიც მისი გარდაცვალების 130 წლის იუბილეს მიეძღვნა.

დღეს გერმანიის ქალაქ მიუნხენში სიმენსის მუზეუმია, სადაც სათუთად ინახავენ მსოფლიოში ერთ-ერთ უმძლავრესი ელექტრო ტექნიკური ფირმა „სიმენსის“ დამაარსებლის ხსოვნას და ისიც კარგად იციან, რომ ვერნერ სიმენსისთვის საქართველო ძალზედ ახლობელი და საყვარელი ქვეყანა იყო. უნდა ავლინშოთ რომ 8 მმიდან 5 საქართველოში მოღვაწეობდა, მათგან კი ორი ვალტერი და ოტო თბილისშია არიან დაკრძალულნი. მმებმა სიმენსებმა დიდი წელილი შეიტანეს საქართველოში ტელეგრაფის განვითარების საქმეში და არა მარტო კავშირგაბმულობის საქმეში, ისინი ფლობდნენ და ამუშავებდნენ, როგორც ნავთობის ისე სპილენძის მაღაროებს.

<sup>1</sup> ბ. ფიფია, დასახ. ნაშრ., გვ. 274.

<sup>2</sup> ა. კარბელაშვილი, „ვინ იყო ვერნერ სიმენსი?“ გაზ. „საბჭოთა აფხაზეთი“, სოხუმი, 1978, 23 აგვისტო. გვ. 3

***Giorgi Iobashvili***  
***Akaki Tsereteli State University***  
**BROTHERS SIMENS AND GEORGIA**  
**RESUME**

The Simens company was founded in 1847 by the Simens family, where eight brothers (Werner, Henry, Ferdinand, Wilham, Friedrich, Carl, Voltaire, and Otto) grew up, living in Lenthe, near Hanover. Five brothers - Walter, Carly, Werner, Otto and Williams - lived and worked in Georgia.

In 1858 the Siemens company sent the first telegraph to the Transcaucasus line in the Caucasus. In 1860, the firm, led by Walter Siemens, drew a telegraph line from Tbilisi to Kutaisi-Poti. In 1863 Walter Simmons completed the construction of the Moscow-Tbilisi telegraph line. In 1865, the firm Siemens was given a concession on oil refining in Shirak.

In 1867, Siemens, together with companies in Berlin, London and St. Petersburg, began the construction of the London-Calcutta telegraph line. Carl Simmens arrived in this regard and brought cables to the Black Sea. This work was completed in 1870, making it the longest telegraph line in the world.

It was technical progress in Georgia. Indo-European telegraph equipment provided transmission from Europe to India from 1871 to 1931 and vice versa (Tbilisi, Kutaisi, Zugdidi, via Sokhumi). In addition, Siemens has planted a lot of technical innovations in Georgia and has given a significant impetus to industrial progress in the Caucasus.

Werner Simmens, the founder of the firm, has visited Georgia three times. He has seen and experienced a description of it here in his book of memories, where he writes, "Seeing the cradle of human culture - it has always been my cherished dream."

Werner Simmons died in 1872. Today in Muchen there is a Simens Museum where everything is exhibited, including exhibits that Simens enjoyed in Georgia.

In 1998, a memorial plaque commemorating the 130th anniversary of his death was opened at the home of today's Lado Asatiani Street-30 in Tbilisi.

პატრონიმიის გენეზისის საკითხები გივი ელიავას ეთნოგრაფიულ მემკვიდრეობაში

გამოჩენილი ეთნოგრაფის, არქეოლოგის, ფოლკლორისტის, ლექსიკოგრაფის, მხარეთმცოდნის, ქართული სიძველეებისა და სამუზეუმო საქმის ცნობილი მოამაგის, მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დამაარსებლისა და გარდაცვალებამდე მისი დირექტორის – გივი ელიავას ცხოვრება ჩვენი ქვეყნის ერთგული და შთაგონებული მსახურების შესანიშნავი მაგალითია. მან თანამედროვეთა შორის მუხლჩაუხრელი, ფუტკარივით მოფუსფუსე მეცნიერისა და მოქალაქის სახელი დაიმკვიდრა.

მისი, როგორც დროის პირუთვნელი მემატიანის ნაფიქრ-ნაკალმეეს მუდამ გამოარჩევდა სათქმელის სიახლე და ორიგინალობა. იგი არა მხოლოდ იკვლევდა, არამედ, როგორც მხარეთმცოდნე და სამეცნიერო მუშაობის ხელმძღვანელი, სამეცნიერო-კომპლექსური ექსპედიციებისა და ინდივიდუალური გასვლების გზით, თვითონ აგროვებდა მასალებს და აუნჯებდა მისივე დაარსებულ მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. უშუალო დაკვირვებით და ინფორმაცითა გამოკითხვით მოპოვებული ეთნოგრაფიული, ფოკლორული და ონომასტიკური მასალების, არსებული წერილობითი წყაროებისა და სამეცნიერო ლიტერატურის მონაცემების ანალიზის საფუძველზე, გ. ელიავა განიხილავდა ეთნიკური ისტორიის, საოჯახო თემის („თი”, „თური”, „დინი”), ტომობრივ-ტერიტორიული ლოკალიზაციის („სამოხიო”), განსახლების სტრუქტურის, სამეურნეო-ეკონომიკური ისტორიის, საოჯახო და საზოგადოებრივი ყოფის, წარმართული რწმენა-წარმოდგენებისა და ქრისტიანული რელიგიის ისტორიის, არქეოლოგიის, ფოლკლორის, ონომასტიკის, ლექსიკოგრაფიისა და ამჟღლოგრაფიის საკითხებს.

ღირსეული მამულიშვილის მრავალმხრივი, ფართო მასშტაბის სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობიდან საგანგებოდ წარმოვაჩენთ მის დამსახურებას პატრონიმიის გენეზისის საკითხების კვლევის საქმეში.

ოჯახის ისტორიის მკვლევართა მიერ დასაბუთებულია, რომ ინდივიდუალური ოჯახის წინამორბედ სოციალურ ერთეულს წარმოადგენდა საოჯახო თემი, რომლის გადმონაშთური სახეობაა XIX ს-ის ბოლომდე შემორჩენილი დიდი ოჯახი. ამ ტიპის ოჯახს ყველგან შესაბამისი სახელწოდება გააჩნია. გ. ელიავას შესწავლილი აქვს დიდი ოჯახის ბუნების გამომხატველი სახელწოდებები სამეგრელოში. მკვლევრის შეხედულებით, ინდივიდუალური ოჯახის წინამორბედი საოჯახო თემის აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულია **თი**, რაც დიდ ოჯახს, სახლს, სახლ-კარს აღნიშნავს. თი-დან ან პატრიარქალური ოჯახიდან გამოსული წევრი თისიანია, თუისიანია<sup>1</sup>.

სამეგრელოში ოჯახის, სახლის, სახლ-კარის (სახლობის) აღმნიშვნელი სიტყვა **თი(ი)** დღესაც იხმარება ცოცხალ მეტყველებაში, განსაკუთრებით აბაშის, მარტვილის, სენაკისა და ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე; ზოგან კი სიტყვის მნიშვნელობა (სემანტიკა) გაბუნდოვანებული ან მიჩქმალულია.

იოსებ ყიფშიძე **თი-ს** განმარტავს, როგორც სახლს, ოჯახს, გვარს, მეთაურს<sup>2</sup>. -თი სუფიქსის შესახებ აკად. ს. ჯანაშია შენიშნავს: „აქ უნდა გვქონდეს ოდესლაც თავისთავად არსებული სიტყვა, რომელსაც თავისთავად დადებული ექნებოდა „ოჯახის”, „გვარის” ცნება. სათანადო

<sup>1</sup> გ. ელიავა, აღბომი პატრიარქატიდან მომდინარე გვართა (გვარ-სახელთა) ამოსავალი ძირებისა, პატრონიმიის თანმიმდევრობით, სამეგრელოს მასალების შუქზე, ქუთ, 1998, გვ. 6

<sup>2</sup> კიპшиძე И., Грамматика Мингрельского (Иверьского) Языка, 1914, стр. 242

ძიების შედეგად ასეთი რამ მართლაც აღმოჩნდა. პროფესორი იოსებ ყიფშიძე თავის მეგრულ ლექსიკონში უჩვენებს თი სიტყვას<sup>1</sup>.

მივმართოთ სალექსიკონო მასალებსაც. გ. ელიავას განმარტებით, თი იგივეა, რაც „ოჯახი, სახლი”. დამოწმებული აქვს საილუსტრაციო მასალაც: მიდართუ მუში თიშა „წავიდა თავის სახლში”<sup>2</sup>. „მეგრულ სოციალურ-ეთნიკურ ტერმინთა კატალოგში” მკვლევარი განმარტას: თი – სახლი. დიდი გვაროვნული ოჯახი, პატრიარქალური ოჯახი”<sup>3</sup>.

მკვლევრის მიერ 1998 წელს გამოცემულ ალბომს ერთვის მცირე განმარტებითი ლექსიკონი. მასში თი განმარტებულია როგორც „ოჯახი, პატრიარქალური დიდი ოჯახი, რომელსაც სათავეში უდგას ეპონიმი, პატერი”<sup>4</sup>.

ო. ქაჯაიას „მეგრულ-ქართულ ლექსიკონში” სიტყვა თი (თის) ასეა განმარტებული: „ო-ჯახი; სახლი, სახლ-კარი”<sup>5</sup>.

ალიო ქობალიას „მეგრულ ლექსიკონში” თი, თით სიტყვის რამდენიმე მნიშვნელობიდან ერთ-ერთია ოჯახი, სახლი, გვარის განაყარი; ოჯახის საცხოვრისი<sup>6</sup>.

როგორც აღვნიშნეთ, თი მეგრულში უძველესი ლექსიკური ერთეულია და თავდაპირველად ერთიანი ოჯახის, ერთი გაუყრელი სახლობის აღმნიშვნელი ტერმინი იყო, მაგრამ დროთა განმავლობაში გვაროვნული, დიდი ოჯახების დაშლის შედეგად, პატარა ოჯახების, გვარის განაყოფთა ტერიტორიულ-ნათესაური მთლიანობის აღმნიშვნელი ტერმინი გახდა. „თი” ამასთანავე სუფიქსიცაა, რომელიც ცვლის ტოპონიმებში სა-ო და ლე-ე კონფიქსებს. სწორედ ამ კონფიქსებით იწარმოება გვარისაგან დასახლებული ადგილის სახელწოდება<sup>7</sup>.

პ. ცხადათ, აანალიზებს რა -თი ბოლოკიდურიან მეგრულ ტოპონიმებს, შენიშვნავს, რომ მსგავსი წარმოების მეგრულ ტოპონიმთა ნახევარზე მეტისათვის ამოსავალ ფუძეს პირის საკუთარი სახელი (ძირითადად) ან გვარი (იშვიათად) წარმოადგენს.

ამოსავალ ფუძეებად კოლხური საკუთარი სახელები ფიგურირებს ტოპონიმებში: გერია-თი გერია, გურ(ი)შია-თი გურიშია, გურა-თი გურა, ხუფა-თი ხუფა, კოკა-თი კოკა, ბობო-თი ბობო, ტურა-თი ტურა, ფუხუ-თი ფუხუ, ჩამა-თი ჩამა, გოჯი-თი გოჯი, ხახულია-თი ხახულია, მაჭვიტია-თი მაჭვიტია, იზდორე-თი იზდორე და სხვ. ამოსავალ ფუძეებად გვარები დასტურდება მკვლევრის მიერ დამოწმებულ ტოპონიმებში: შონია-თი//შონია, ბერია-თი//ბერია, თოლორდა-თი/-/თოლორდა(ვა)<sup>8</sup>. „თი, თავდაპირველად, როგორც ჩანს, ერთ ოჯახად, ერთ სახლში ცხოვრობდა, – წერს პაატა ცხადათა, – გვაროვნული დიდი ოჯახების დაშლის შემდეგ გამონაყოფი დიდი ოჯახები შორის არ მიდიოდნენ, იქვე ახლოს სახლდებოდნენ, რის შედეგადაც უწინდელი ოჯახურ-ნათესაური ერთიანობის ნაცვლად ჩამოყალიბება იწყო გვარის განაყოფთა ტერიტორიულ-ნათესაურმა ერთიანობამ. თი ერთიანი ოჯახის, ერთი სახლობის აღმნიშვნელ ტერმინად იქცა, გვარის განაყოფთა წევრების ცალკეული ოჯახების, ნათესაური და ტერიტორიული მთლიანობის აღმნიშვნელ ტერმინად. ერთი თი-ს წარმომადგენლები უფრო ახლოს იყვნენ ერთმანეთთან და ერთმანეთს შორის მეტ სისხლხორცეულ კავშირსა და ნათესაობას გრძნობდნენ, ვიდრე ამავე გვარის სხვა თი-ს წარმომადგენლებთან, სოციალურადაც და რელიგიურადაც ერთ სამოხიო-ს („საძმოს“) ქმნიდნენ. ზოგი თი რამდენიმე ათეულ ოჯახს აერთიანებდა”<sup>9</sup>.

<sup>1</sup> ს. ჯანაშია, მრავლობითი რიცხვის -თა-თ სუფიქსის ეტიმოლოგიისათვის. შრომები, III, თბ., 1959, გვ. 152

<sup>2</sup> გ. ელიავა, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, თბ.-ქუთ., 1997, გვ. 172

<sup>3</sup> გ. ელიავა, ეთნოგრაფიული სამეგრელო, ალბომი. ქუთ., 1989, 92

<sup>4</sup> გ. ელიავა, ალბომი პატრიარქატიდან მომდინარე გვართა (გვარ-სახელთა) ამოსავალი ძირებისა, პატრონიმის თანმიმდევრობით, სამეგრელოს მასალების შუქე, 1998, გვ. 23

<sup>5</sup> იხ. ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. II, თბ., 2002, გვ. 46

<sup>6</sup> ა. ქობალია, მეგრული ლექსიკონი, თბ., 2010, გვ. 315

<sup>7</sup> ო. ქაჯაია, საოჯახო თემი ძველ სამეგრელოში (ტოპონიმური მასალების მიხედვით). კრ., „ისტორიულ-ეთნოლოგიური ძიებანი”, ტ. XI, თბ., 2009, გვ. 432

<sup>8</sup> პ. ცხადათ, მთიანი სამეგრელოს ტოპონიმია (ენათმეცნიერული ანალიზი), თბ., 1985, გვ. 87

<sup>9</sup> იქვე, 89-90

**თი** ლექსიკური ერთეული „სახლის, ოჯახის” მნიშვნელობით პირველად დაიმტმა ი. ქობალიამ („ოში ანთასი ჩქიმი თის, აკა მეძობელიში თის”). სწორედ ამ ტექსტზე დაყრდნობით განმარტავდა იოსებ ყიფშიძე: „**თი – семья, двор**”<sup>1</sup>.

თი-ს დანიშნულებაზე სამეგრელოს ტოპონიმიაში ვრცელი და ამომწურავი მსჯელობა პირველად გივი ელიავამ წარმოადგინა თავის გამოკვლევებში. მსჯელობს რა მახათის ველზე 1960 წელს მიკვლეულ პირველყოფილ ადამიანთა სატომო საცხოვრისზე, გ. ელიავა იმოწმებს გადმოცემას ერთ-ერთი ციხე-კოშკის მებატონის შესახებ, რომელიც ადგილობრივი დიდკაცი ყოფილა, — ჭის გვარისა. ყველა გვარის სახელწოდება, მართალია, გვარის უხუცესის სახელისგან როდი წარმოსდგება — ზოგი გვარს მნიშვნელოვან ისტორიულ მოვლენას უკავშირებდა, ზოგი ადამიანთა სამეურნეო საქმიანობას, მაგრამ გვარის სახელწოდება ძირითადში მაინც მისი მეთაურის სახელისგანაა წარმომდგარი. მეტად საყურადღებოა ჭის მრავალრიცხოვანი გვარულობა, რომელიც, გ. ელიავას შეხედულებით, როგორც ჩანს, ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული გვარი ყოფილა და სამეგრელოს სხვდასხვა კუთხეში (ნახუნაო, კურზუ, ტყვირი) ესახლა<sup>2</sup>. თვით სოფლის სახელწოდების შესახებ მკვლევარი იმოწმებს თომა ფოჩხუას ნაამბობს, რომ აქ ცხოვრობდა მახას გვარი. მათ უხუცეს მახა, მახარია რქმევია. იყო დიდი ოჯახის პატრონი ყოფილა. აქ მისი თი, მისი ოჯახი იყო<sup>3</sup>. სოფელში, ნაოჭყადურის დასავლეთით შემორჩენილია ციხის უმნიშვნელო ნაშთი ხელოვნურ მიწაყრილზე. ამ ადგილს ჭითს ეძახიან<sup>4</sup>.

დიდი ოჯახის საცხოვრისებს მიუთითებს გ. ელიავა მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფ. კურზუში. ჩაწერილია გადმოცემა ორი გვარის ცხოვრებასა და ურთიერთობაზე. ეს გვარები ორ მოპირდაპირე სერზე ესახლა. ერთზე გაბიების თი (სახლი) იყო, მეორეზე — ჭილებისა. ცალ-ცალკე თი 18 მელოგინისაგან, ე. ი. 18 ცოლ-ქმრისაგან შედგებოდა (ზოგი გადმოცემის მიხედვით — 16). ჭილების გვარისკაცს შეურაცხყოფა მიუყენებია გაბიების ქალიშვილისათვის. ამ უკანასკნელს მომხდარის შესახებ ოჯახში დაუჩივლია, რასაც შედეგად მოჰყოლია გაბიების მიერ ჭილების ოჯახის წევრთა ამოწყვეტა. დახოცილთა საცხოვრებელი ადგილი ამიტომ იწოდება ნაჭილუდ. „ცხადია, — დასტენს გ. ელიავა, — აქ საქმე გვაქვს ორი პატრიარქის გაბისა და ჭილას დიდ გვაროვნულ სახლებთან (თი). ჭილა და გაბი ოჯახების (სახლების) მეთაურები, გვარის მამამთავრები, პატრიარქები უნდა იყვნენ და თურის, ე. ი. გვარის ფუძემდებლები. ამასთან, გადმოცემა მიუთითებს, რომ თითოეული „თი”, ოჯახი მრავალი მელოგინის, ანუ გამმრავლებელი წყვილისგან შესდგებოდა. უნდა ვივარაუდოთ, რომ მაშინ ჯერ კიდევ წყვილადი ოჯახი იყო გაბატონებული და არა მონოგამია...

ამ გადმოცემას იმ მხრივაც აქვს მნიშვნელობა, რომ „თი” და „თური” ჩვენს ენობრივ საგანძურში იმ უძველესი დროიდან მომდინარეობს და დიდ გვაროვნულ ოჯახს (სახლს) და გვარს აღნიშნავს. ამასთან ადგილის სახელწოდებაც, რომელიც „თი”-თ ბოლოვდება, ასეთი გვაროვნული სახლის „ნოხორზე” (ნასახლარზე) უნდა მიუთითებდეს. ის შემდგარი უნდა იყოს პატრიარქის სახელისა და „თი”-საგან, ე. ი. ამ პატრიარქის თი, ამ პირის ოხორი”<sup>5</sup>.

მოსაზრების ნათელსაყოფად გ. ელიავა ეხება აგრეთვე ტოპონიმების — ბობოთისა და კვაუთის ეტიმოლოგიას: ბობოთი ბობოს დიდი ოჯახის საცხოვრებელი ყოფილა, ხოლო იქ, სადაც დღეს სოფელი კვაუთი მდებარეობს, ოდესლაც ცნობილი კაცი, კვაუ სახლებულა, ე. ი. კვაუთი კვაუს ოჯახის საცხოვრისაი<sup>6</sup>.

**თი** რომ ოჯახის, სახლის აღმნიშვნელი ტერმინია მეგრულში, გ. ელიავას ეს სადავოდ არ ეჩვენება. დღესაც იტყვიან: სორე თიში თი „სადა მისი სახლი//ოჯახი; მეუ სქანი თიშა „წადი

<sup>1</sup> Кипшидзе И., Грамматика Мингрельского (Иверьского) Языка, с. 186

<sup>2</sup> გ. ელიავა, ჭყონდიდი-მარტვილი (ისტორიული მიმოხილვა), თბ., 1962, გვ. 51-53

<sup>3</sup> გ. ელიავა, აბაშისა და გეგეჭვირის რაონების ტოპონიმია, თბ., 1977, 66

<sup>4</sup> იქვე, გვ. 67

<sup>5</sup> გ. ელიავა, აბაშისა და გეგეჭვირის რაიონების ტოპონიმია, თბ., 1977, გვ. 10

<sup>6</sup> იქვე, გვ. 111

შენს სახლში”. თი მეგრულში უბრალო დაბოლოება არაა, იგი სრული სიტყვაა, არსებითი სახელია და აღნიშნავს ოჯახს, სახლს, სახლობას, მეურნეობას და არა მხოლოდ ერთი ცოლქმრული კავშირით შექმნილ უჯრედს. შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ თი სიტყვაში ი ბრუნვის ნიშანია და არა დამოუკიდებელი სიტყვის – თი-ს შემადგენელი ნაწილი. თუკი ო-ს სახელობითი ბრუნვის ნიშანდ მივიჩნევთ, მაშინ გ. ელიავას აზრით, ტოპონიმი ბობოთი მიცემით ბრუნვაში უნდა წარმოგვიდგეს ბობოთს ფორმით, მაგრამ მეგრული ენის მიცემით ბრუნვაში აღნიშნული სახელწოდება წარმოგვიდგება ფუძისეულად, ო-ს კვეცის გარეშე. მიცემით ბრუნვაში გვაქვს ბობოთი-ს და არა ბობოთ-ს. კითხვაზე – მის გამჭველის? „ვის დაარტყეს”, პასუხობენ: ბობოთის გამჭველის „ბობოთს დაარტყეს”. ამდენად, ტოპონიმის ფუძე მიცემით ბრუნვაში უცვლელი რჩება და მხოლოდ ბრუნვის -ი ნიშანი ემატება<sup>1</sup>.

მკვლევარი იქვე შენიშნავს, რომ მეგრული ენა მიცემით ბრუნვაში ყოველთვის როდი ინარჩუნებს ფუძისეულ -ი ხმოვანს. მაგალითად, ჯოლორი „ძაღლი” სიტყვის ფუძეა ჯოლორ-, ხოლო -ი სახელობითი ბრუნვის ნიშანია. აღნიშნული სიტყვა მხოლოდ სახ. ბრუნვაში ინარჩუნებს ამ ხმოვანს (ჯოლორ-ი), სხვა დანარჩენ შემთხვევაში ჯოლორ- ფუძე დაირთავს ბრუნვის ნიშებს და ყველა ბრუნვაში წარმოგვიდგება არა ჯოლორი, არამედ ფუძისეული ჯოლორ- სახით. მაგალითად, სახელობითში გვაქვს: ჯოლორ-ი მიკოირუ „ძაღლი აბია”, მაგრამ მოთხოვობით და მიცემით ბრუნვებში სიტყვას ეკვეცება -ი ხმოვანი: მუქ მეულალუ? ჯოლორქ მეულალუ „რამ დაუყევა? ძაღლმა დაუყევა”; მუს მათხოზეს? ჯოლორს მათხოზეს „რას გამოეკიდნენ? ძაღლს გამოეკიდნენ.” სახელთა ბრუნების ამ წესს, აღნიშნავს მკვლევარი, ტოპონიმი „ბობოთი” არ ემორჩილება<sup>2</sup>.

დამოუკიდებელი სიტყვის მნიშვნელობით აღჭურვილი თი სიტყვა მიუთითებდა ოჯახის, გვარის დასახლებას (ხორუას)... მაგალითად, გეჯეთი ნიშნავს გეჯეს სახლს... ასეთი თიები გვარის მამამთავრის, ფუძემდებლის სახელს ატარებდა. მაგალითად, ქუქითი ქუქის თი „ქუქის სახლი”. ასეთივე სახელწოდებანია: კოკათი, უშაფათი, ცანათი და სხვ. მკვლევრის დაკვირვებით, საყურადღებოა ის გარემოება, რომ გვარის მამამთავართა სახელები ბობო, ქუქი, კოკა, ქუთა, გეჯა და სხვ. წმინდა ქართული (მეგრული) სახელებია, რომელთაც დღესაც ხშირად შევხვდებით ხოლმე.

ტოპონიმიკურ მასალებზე დაყრდნობით თის სოციალური შინაარსისა და განსახლების არეალის შესწავლის საფუძველზე გ. ელიავა აღნიშნავს, რომ თი რიგ შემთხვევაში დიდ ტერიტორიას ფლობდა. იგი არა მარტო დიდი ოჯახის აღმნიშვნელი ტერმინი იყო, არამედ პატრონიმულ ერთეულსაც აღნიშნავდა, რამდენადაც პატრონიმული ორგანიზაციის შექმნა დიდი ოჯახის დაშლის შედეგს წარმოადგენდა. 24 საქორწინო წყვილისაგან შემდგარ ჭის ოჯახს ჭიითში ერთი ოხორი „სახლი”, კერა, ერთი თი ჰქონდა, სადაც იმართებოდა საერთო საოჯახო პურიბა, რასაც დიარა უნდა რქმეოდა (ა. ქობალია: დიარა ნადიმი, პურიბა, ლხინი; დიარაფა „ჭმევა, დაპურება”; შდრ. სვან. დიარ „პური”)...

მას შედეგ, რაც ჭიითში ჭისა და გაბის ოჯახებს შორის მოხდა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა, ჭის ოჯახი იძულებული გახდა თავდაპირველი საცხოვრისიდან განსახლებულიყო. იგი დაიძრა სამხრეთისაკენ და გაბითისაგან მოშორებით, მის სამხრეთ-დასავლეთით, ზეგანზე შექმნა ახალი საცხოვრისი. პატრიარქალური ოჯახი დაიშალა და ოჯახის წევრებმა ახალ საცხოვრისში, ერთმანეთთან ახლოს, ცალ-ცალკე დასახლებით თავთავისი ოჯახები შექმნეს, თუმცა გვარად დიდი მამის და პაპის სახელი გაიხადეს. ამ ახალ დასახლებას/საცხოვრისს ეჭიუ//ლეჭუ//ლეჭი შეერქვა. ეს უკვე ჭიშ თი კი არ არის, არამედ ჭიების გვარის ტერიტორიული საცხოვრისია,

<sup>1</sup> იქვე, გვ. 111-112

<sup>2</sup> გ. ელიავა, აბაშისა და გეგეჭკორის რაიონების ტოპონიმიკა, თბ., 1977, გვ. 112

პატრონიმული სამეურნეო ერთეულია, რომლის სახელწოდება უკავშირდება წინაპრის საკუთარ სახელს<sup>1</sup>.

სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში ჩვენი კვლევისათვის საინტერესო საკითხთან დაკავშირებით ორი მკეთრად განსხვავებული დებულება დომინირებს: 1. ფიქრობენ, რომ ძველ ქართულში გეოგრაფიული სახელწოდებების მატაროებელი -ეთ და მისი ვარიანტები: -ათ, -ით, -ოთ, -უთ, წარმოშობით მრავლობითობის, კრებითობის მაჩვენებელია<sup>2</sup>.

ძველევართა მეორე ჯგუფი (გ. ელიავა, პ. ცხადაია, ო. ქაჯაია, ა. ქობალია, ი. ქეკელია, დ. კარაცხელია, ნ. სულავა...) სამეცნიეროს ტოპონიმიაში გამოყოფს დიდი ოჯახის, გვარის, შთა-მომავლობის ცნების შემცველ მეგრულ თი სიტყვას.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ „თი” მეგრულში უძველესი ლექსიკური ერთეულია და თავდაპირველად ერთიანი, განუყოფელი ოჯახის, ერთი სახლობის აღმნიშვნელი იყო, მაგრამ დროთა განმავლობაში დიდი ოჯახების დაშლის შედეგად, ცალკეული პატარა ოჯახების, გვარის განაყოფთა ტერიტორიულ-ნათესაური მთლიანობის აღმნიშვნელი ტერმინი გახდა. „თი” ამასთანავე სუფიქსიცაა, რაც ცვლის ტოპონიმებში სა-ო და ლე-ე კონფიქსებს. სწორედ ამ კონფიქსებით იწარმოება გვარისაგან დასახლებული ადგილის (სოფლის, უბნის) სახელწოდება<sup>3</sup>.

ოჯახის ცნების შემცველ ამ სიტყვას აკად. ს. ჯანაშიამ დაუკავშირა გეოგრაფიულ სახელებში დადასტურებული სუფიქსები: -ათი, -ითი, -ოთი, -ეთი, -უთი.

ახუ, ბაბკო(ჩი), გალი, გერია, გურა, თამაზა, ლაკვიშია, მაჭვიტაია, შაშქია, წაკო, ხახულია და ა. შ., პირთა საკუთარი სახელებია. წინაპრის სახელზე თი ლექსიკური ერთეულის დართვით მიღებული გვარის განაყოფის (შტოგვარის) სახელები ტრანსლიტაციის გზით ტოპონიმებად იქცნენ (მაგ.: გურ(ი)შიათი, მაჭვიტაიათი, შაშქიათი, წაკოთი, პაპათი, ბაბკოთი, გალითი, თამაზეთი). ადამიანთა სიმრავლის, კრებითობის აღმნიშვნელი სიტყვის ქცევა გეოგრაფიული ობიექტის სახელად იშვიათი მოვლენა როდია სამეცნიეროში. -თი ბოლოკიდურიანი ტოპონიმები იმ ადგილებზე მიგვითითებს, სადაც ამა თუ იმ გვარის წარმომადგენლები კომპაქტურად სახლობდნენ, ერთ უბანს, მიკროუბანს თუ სოფელს ქმნიდნენ<sup>4</sup>.

და ბოლოს: გ. ელიავა არაერთ ნაშრომში დაბეჯითებით ამტკიცებს, რომ ტოპონიმები – ბობოთი, კვაუთი, კოკათი, ქორეთი, ქუქათი, ხორათი, ცანათი, სიგუათი და სხვ., პირთა სახელებისაგან წარმოსდგებიან. ეს პიროვნები გვარის მეთაურები, წინამძღოლები, ბელადები იყვნენ<sup>5</sup>. „აქ საქმე გვაქვს გვაროვნულ წყობილებასთან, კერძოდ, გვაროვნულ სახლთან, პატ-რიარქალურ ოჯახთან და მათი დასახლების ადგილებთან, რომელიც შემდეგში სოფლის ან დიდი დასახლებული ტერიტორიის საერთო სახელწოდებად განზოგადოვდა და მოაღწია დღემდე”<sup>6</sup>.

გვარის გვაროვნული წყობილების პირობებში სათავეში ედგა გვარის უფროსი, უხუცესი. ამ პიროვნების სახელით იწოდებოდა მთელი საგვარეულო. ეს ეთნიკური ძირები კოლხეთის ტერიტორიაზე უხსოვარი დროიდან არსებულია, გვაროვნული წყობილების პირობებში ჩასახულან, კოლხურ გვარტომთა შექმნას დასდებია საფუძვლად<sup>7</sup>. 1998 წელს გამოცემული აღბომის სა-

<sup>1</sup> გ. ელიავა, აღბომი პატრიარქატიდან მომდინარე გვართა (გვარ-სახელთა) ამოსავალი ძირებისა, პატრონიმის თანმიმდევრობით, სამეცნიეროს მასალების შუქე, გვ. 7-9

<sup>2</sup> მსჯელობისათვის იხ. თ. ზურაბიშვილი, ვ. თოფურია, ვ. დონდუა, ი. მეგრელიძე, ლ. გვენეტაძე...

<sup>3</sup> იხ. პ. ცხადაია, მთიანი სამეცნიეროს ტოპონიმია, გვ. 90-91

<sup>4</sup> ი. ქეკელია, საოცახო თემი ძველ სამეცნიეროში, იქ, XI, გვ. 432-433

<sup>5</sup> გ. ელიავა, სამეცნიეროს ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილის ტოპონიმიკა (ქართულ და რუსულ ენებზე. გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის II სამეცნიერო სესიის მასალები. ქუთ, გვ. 56-58

<sup>6</sup> გ. ელიავა, ჰერინგიდა-მარტვილი (ისტორიული მიმოხილვა), 1962, გვ. 111

<sup>7</sup> იხ. გ. ელიავა, სამეცნიეროს აღმოსავლეთ ნაწილის მოსახლეობის ისტორიულ-ეთნიკური ჩამომავლობა და შედგენილობა ტოპონიმიკურ მასალათა შუქე. გეგეჭკორის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის V სამეცნიერო სესია. მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები. თბ., 1965, გვ. 25, 27

თაურიც მოწმობს, რომ გ. ელიავას შეხედულებით, სამეგრელოში გვარები პატრიარქატიდან მომდინარეობენ<sup>1</sup>.

თი ბოლოკიდურიანი ტოპონიმების ასეთი ხანდაზმულობის შესახებ მკვლევრის თვალსაზრისი საეჭვოდ მიგვაჩნია<sup>2</sup>.

გვარსახელი, როგორც ენობრივი და სოციალური ფენომენი, აღ. ღლონტის მოსაზრებით, ქართველ ტომებში ადრინდელი ფეოდალიზმის ეპოქაში უნდა ჩასახულიყო. მისი ჩამოყალიბების პროცესი თითქმის დასრულებული ჩანს VII-VIII სს-ში<sup>3</sup>. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ადრინდელ ფეოდალიზმზე უფრო ადრეულ პერიოდში „ქართველთა შორის გვარსახელის არსებობის დასამტკიცებლად სათანადო მასალა არ მოგვეპოვება”<sup>4</sup>.

აქედან გამომდინარე, გივი ელიავას თვალსაზრისი, კოლხური გვარსახელების პატრიარქატის ეპოქიდან მომდინარეობის შესახებ საფუძველს მოკლებულია.

რა არის თური? გ. ელიავას მოსაზრებით, თური გვარია, გენია, სისხლით ნათესაური ერთობის უფრო წვრილი ერთეულის, შემდგომი გვარის სახელწოდებაა. თის დამლას ცალკეულ ოჯახებად, მელოგინეთა წყვილებად, შედეგად მოჰყვა ახალი გვარის შექმნა. სწორედ ამ ახალი გვარის აღმნიშვნელია თური. შეუ საუკუნეებიდან მოყოლებული კაპიტალიზმის ეპოქამდე, გვარი/თური, მტკიცე სისხლითნათესაურ ერთობას წარმოადგენდა<sup>5</sup>.

მკვლევარი თავის სალექსიკონი მასალებში „თურის” ასეთ განმარტებას იძლევა: „თური გვარი, სისხლით ნათესაობითი ერთობა. თინეფი თურეფი რენა „ისინი ერთი გვარისანი არიან”<sup>6</sup>.

უფრო ზუსტ განმარტებას გვთავაზობს ოთარ ქაჯაია: „თურ-ი (თურს) მოგვარე; სისხლით ნათესავი; ტომის, მოდგმის წარმომადგენელი<sup>7</sup>.

თურ(ი)კოჩი, ო. ქაჯაიას „მეგრულ-ქართული ლექსიკონის” მიხედვით, იგივეა, რაც „გვარკაცი; მოგვარე, ახლობელი, ნათესავი კაცი; ხოლო თურკათა ეწოდება „მოგვარეს, ახლობელს, ნათესავ ხალხს”<sup>8</sup>.

ა. ქობალიას განმარტებით, თური მეგრულში აღნიშნავს რჯულს, 5-6 კაცისაგან შემდგარ მოდგმას, გვარს, მოგვარეს, სახლეულს<sup>9</sup>.

თური სიტყვის მნიშვნელობით დაინტერესებულა ენათმეცნიერი პ. ცხადაია. მთიან სამეგრელოში, – შენიშნავს მკლევარი, – მრავალრიცხოვანი გვარის თურებად დაყოფა ჩვეულებრივი მოვლენა ყოფილა. თური წარმოსდგება თი-ური-დან, მოიცავდა 5-6 თაობას და იყოფოდა უფრო წვრილ ერთეულებად – „გამნაყრებად”. ეს უკანასკნელი მხოლოდ ორ-სამ თაობას მოიცავდა. პ. ცხადაიას დამოწმებული აქვს ინფორმატორთა განმარტებებიც: „თური არის ძმების ნაყარი. ჩემი თური არის ჩემი ძველის ნაყარი. ჩემი ნაყარია ჩემი შვილები, შვილიშვილები და მათი შვილები. გამნარყი უფრო ვიწროა, თური უფრო ფართოა”; „თური არის ერთი სისხლი და ხორცი. ვისი შთამომავლებიც ვართ, იმისი თური გვქვია”; „მე ვარ გულაიათური. გულაიას შვილები ყოფილან კოჩია, ესაია, შაქარია. მე კოჩიას გამნარყი ვარ”.

პ. ცხადაიას ვარაუდით, „სისხლით ნათესავთა გარკვეული ჯვუფის აღმნიშვნელი თი ტერმინისაგან წარმომავლობის -ურ სუფიქსით წარმოქმნილია თური, რაც ნიშნავს თი-ს წარმოადგე-

<sup>1</sup> გ. ელიავა, აღბომი პატრიარქატიდან მომდინარე გვართა (გვარ-სახელთა) ამოსავალი ძირებისა..., 1998

<sup>2</sup> მსჯელობისათვის იხ. პ. ცხადაია, მთიანი სამეგრელოს ტოპონიმია, გვ. 86-87

<sup>3</sup> ა. ღლონტი, ქართველური საკუთარი სახელები. ანთროპონიმთა ლექსიკონი. თბ., 1986, გვ. 48

<sup>4</sup> იხ. პ. ცხადაია, გვარები და გვართა დასახლებანი სამეგრელოში, თბ., 2000, 9

<sup>5</sup> გ. ელიავა, ეთნოგრაფიული სამეგრელო, აღბომი, გვ. 94

<sup>6</sup> გ. ელიავა, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, გვ. 175

<sup>7</sup> ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. I, თბ., 2001, გვ. 67

<sup>8</sup> იქვე

<sup>9</sup> ა. ქობალია, მეგრული ლექსიკონი, გვ. 321

ნელს, შთამომავალს. მაგ., გულაიათი არის „გულაიას შტო. გულაიას შთამომავლობა”, ხოლო გულაიათური იქნება გულაიას შტოს წარმომადგენელი, გულაიას ერთ-ერთი შთამომავალი”<sup>1</sup>.

თუკი თი ოჯახურ-ნათესაურ ერთიანობას გულისხმობს, თური ტერიტორიულ-ნათესაური ერთიანობის აღმნიშვნელია.

თური „გვარის” მნიშვნელობით ფიგურირებს გ. ელიავას მიერ მელენტი მხეიძისგან სოფ. კიწიაში ჩაწერილ ლექსში: ჩქიმ თურ სალხის აკოვკათანქ, გახარიაში თურ კათას, ჩქიმ დინოს იშო ქუდუბახუქ, ჩქინ თურიში ირ ნაფალაც. „ჩქმს გვარ ხალხს თავს მოვუყრი, გახარიას გვარის ხალხს, ჩქმს დინოს იქით დაგუბახებ, ჩქმი გვარის ყველა ნაყარს”<sup>2</sup>.

გ. ელიავა მის მიერ მოპოვებული ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული მასალების გაანალიზებით იმ დასკვნამდე მივიდა, რომ თური ერთი სისხლით ნათესაური ერთობიდან – თი-დან წამოსული გმინარყია, გამონაყოფია. „დანაწევრებული თური – გვარი, კლანი, გენი ცალკეულ უჯრედად განსახლდა, – წერს იგი, – ერთი ტერიტორიული ერთობით შემოიფარგლა, მაგრამ დიდი ოჯახიდან ცალკე გამოიყო თავისი მახორობით – სახლ-კარით, ცალკე შემოისაზღვრა თავისი და-სახლებით”<sup>3</sup>. მაშასადამე, გ. ელიავას აზრით, თური საოჯახო თემის დაშლა-დანაწევრების შედეგად წარმოქმნილი გვაროვნულ-ტერიტორიული თემია. დიდი ოჯახის ცალკეულ თიებად დაშლით შეიქმნა გარკვეული დასახლებული ტერიტორიული სივრცე – სოფელი, სადაც ცხოვრობს და საქმიანობს ართი თურკათა ერთი გვარისკაცი”, თიდან „დიდი ოჯახიდან” განსახლებული რამდენიმე სახლიკაცი.

მეგრულში მოყვარის, სისხლით ნათესავის, ტომის, მოდგმის წარმომადგენლის აღმნიშვნელი თური სიტყვა, პროფ. ნომადი ბართაას შეხედულებით, ბერიბრივად ემთხვევა ახალ სპარსულ ლექსებას – თურ. ამასთანავე, მეგრული თური და ახალი სპარსული თურ ერთსა და იმავე საგანს აღნიშნავენ. ახალ სპარსულში არის სიტყვა რ ც [ტურ] [თურ], ბ ქ ც [თირე] შემდეგი მნიშვნელობებით: 1. გვარი, ტომი, ოჯახი; 2. ბოტ. ზოოლ.: გვარი; სახეობა; ოჯახი; 3. სახე, გვარი; ჯგუფი; კლასი. ამ სიტყვის ფალაური ფორმაა ტერაკ, ხოლო ავესტური – ტატრყა”. მკვლევარი ვარაუდობს, რომ თური ქართულში უნდა შემოსულიყო სპარსულიდან<sup>4</sup>.

გ. ელიავას საფუძვლიანად აქვს შესწავლილი ნათესაური ურთიერთობის კიდევ ერთი ფორმა, რაც დინოს სახელწოდებით არის ცნობილი. დინო, მკვლევრის შეხედულებით, თურის დაყოფის პროცესს აღნიშნავს, თურიდან გამოსული ცალკე შტოს, ნოყოს, ნაყარის სახელია. „ეს ტოტი „თურის” შიგნით „დინოა”, „საჯიმალოა”, „სამხებია” (სვ.)... გვხვდება ერთგვარი გაუბრალოება – დინოს ეძახიან ჩხოროწყუში, წალენჯიხაში და სხვაგან თურს”<sup>5</sup>.

1979 წელს ჩხოროწყუს მუზეუმის სამეცნიერო სესიაზე წაკითხულ მოხსენებაში, ეთნოისტორიულ მასალებზე დაკვირვების შედეგად, მკვლევარი ვარაუდობს, რომ დიდი ოჯახები პატრონიმის გვიან ეპოქაში დაიშალა სისხლითნათესაურ სამმოებად – დინოებად<sup>6</sup>.

სხვა ნამრობში, ეხება რა ძირის „ოხვამურების” (საგვარულო საღოცავების) საკითხს, გ. ელიავა შენიშნავს, რომ ოხვამური აერთიანებდა ერთი წინაპრისაგან მომდინარე სისხლით მონათესავე რამდენიმე ოჯახს, ანუ დინოს... დროთა განმავლობაში დიდი ოჯახის დაშლას მოჰყვა

<sup>1</sup> პ. ცხადაა, მთიანი სამეგრელოს ტოპონიმია, გვ. 89

<sup>2</sup> იხ. გ. ელიავა, ხალხური ზეპირსიტყვიერი მასალები „თის”, „თურის” და „დინოს” შესახებ. გეგეჭკორის სარაიონთაშორისო სამსარეთმცოდნეო მუზეუმის XXVII სამეცნიერო სესია. მასალები. გეგეჭკორი, 1982, გვ. 75; მისივე, ეთნოგრაფიული სამეგრელო. აღბომი, გვ. 92

<sup>3</sup> გ. ელიავა, დინო, ნათესავი, სამოხიო სამეგრელოს წარსულის სოციალურ-ისტორიულ ყოფაში. ჩხოროწყუს მსარეთმცოდნეობის მუზეუმის II სამეცნიერო სესია. მასალები. თბ., 1979, გვ. 11-12

<sup>4</sup> იხ. ნ. ბართაა, ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობებიდან (მეგრული მასალების მიხედვით): დინო, კუტა, თური, ქვირა, მალახია ჩაფარე. საერთაშორისო კონფერენცია „ქართულ-ირანული ურთიერთობანი”, ტ. II, ქუთ., 2005, გვ. 6

<sup>5</sup> გ. ელიავა, ეთნოგრაფიული სამეგრელო, აღბომი, გვ. 88

<sup>6</sup> გ. ელიავა, დინო, ნათესავი, სამოხიო სამეგრელოს წარსულის სოციალურ-ისტორიულ ყოფაში. ჩხოროწყუს მსარეთმცოდნეობის მუზეუმის II სამეცნიერო სესია. მასალები, გვ. 12-13

**თურის და დინოს,** ე. ი. ერთი დიდი პაპისაგან, დედო ოჯახიდან მომდინარე რამდენიმე ოჯახის წარმოქმნა. ამ ოჯახებმა ერთი დინო შეადგინა. დინო ერთი დიდი ოჯახის განაყოფია, თურის (გვარის) ცალკე შტოა... უნდა აღინიშნოს, რომ **თური და დინო** ერთმანეთს არ გამორიცხავს, მაგრამ არც იდენტური ცნებებია. თურში შეიძლება რამდენიმე დინო იყოს და ერთ თურს ორი ან სამი **საოხვამურო „სალოცავი”** ჰქონდეს... ყველა დინოს თავისი საოხვამურო აქვს<sup>1</sup>.

„**მეგრულ-ქართულ ლექსიკონში**” გ. ელიავა **დინო** სიტყვის ასეთ განმარტებას წარმოგვიდგენს: „ერთი დიდაპატი შთამომავალნი ერთ გვარში, თურის (გვარის) ერთი ნოფო. ერთი ტოტი, ერთი ნაყარი”<sup>2</sup>.

**დინო** სიტყვის მნიშვნელობა, — დასმენს გ. ელიავა, — მიუთითებს შიდა სიახლოვეზე, უფრო ახლობლობაზე. გვარის/თურის შიგნით უფრო ახლო ნათესაობას, მახოენობას „ახლობლობას”, ფუძის მეზობლობას დინო ჰქვია, ოღონდ სისხლით ნათესაურ მეზობლობას<sup>3</sup>. მაშასადამე, მკვლევარი დინოს გაიაზრებდა, როგორც **დინოხოლების „შინაურს, შიდას”**.

მკვლევარი ნომადი ბართაია დაინტერესდა „დინო” სიტყვის სემანტიკური თუ ბგერობრივი მიმართებით ინდოევროპულ და სემიტურ, საერთო ფუძის მქონე ლექსებთან (სანსკრიტული, ფალაური, ახალი სპარსული, სომხური, თურქული). ოსურში ეს ტერმინი დასტურდება შემდეგი სახით — დინ, სომხურში — დენ, თურქულში — დინ. სამივე ენაში მისი საერთო მნიშვნელობა დაკონკრეტებულია და, რელიგიასთან ერთად, მაზდეანურ აღმსარებლობას აღნიშნავს, რაც ამ ტერმინის სომხურში ისლამის გავრცელებამდე დამკვიდრებას მიუთითებს. ამ ლექსემიდან უნდა იყოს მიღებული ბერძნული დინასტეია, რომლის მნიშვნელობაა „ძალაუფლება, ბატონობა, თავისუფლება, ძლიერება. ბერძნული სიტყვა დინასტია ნიშნავს ერთი და იმავე გვარის მეფეებს, რომლებიც მემკვიდრეობით აღიან ტახტზე. ეს სიტყვა ქართულში სწორედ ბერძნულიდანაა შემოსული. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ მეგრულში არსებული სიტყვა დინო ხმოვანზე ბოლოვდება, მაშინ, ნ. ბართაიას მოსაზრებით, იგი მეტ სიახლოვეს ავლენს ასევე ხმოვანზე დაბოლოებულ მის ავესტურ (დაენა — რელიგია), აქადურ (დენუ, დინუ — 1. დავის გადაწყვეტა არბიტრაჟის საშუალებით; 2. განაჩენის გამოტანა) და ასურულ (დინ, დინა 1. განაჩენი სასამართლოში, ვერდიქტი; 2. წესი, კანონი, ჩვეულება ან მანერა) ფორმებთან<sup>4</sup>. როგორც აღვნიშნეთ, **დინო** მეგრულში აღნიშნავს სახლეულს, ერთ გვარში დიდი პაპის შთამომავლობას, თურის შიდა განშტოებას.

გ. ელიავამ **სპეციალურად შეისწავლა** სამეგრელოში დღემდე შემორჩენილი სოციალური ტერმინის — **სამოხიოს** საკითხი. 1989 წელს გამოცემულ ეთნოგრაფიულ ალბომში მკვლევარი თავის შეხედულებას **სამოხიოსთან დაკავშირებით** ასე აყალიბებს: სამოხიო — სამახლობლო შინაც და გარეთაც. სამოხიო ტერიტორიულად უფრო ვრცელია და მოიცავს მთელ სოფელს, ან მის ერთ, ვრცელ, მეჭირისუფლე უბანს. მასში შედიან რამდენიმე გვარის სხვადასხვა დონის წარმომადგენლები. აქ მეზობლობაა უპირველესი პირობა და არა სისხლით ნათესაობა. წინათ, ძალიან შორეულ ეპოქაში, როცა თური არ იყო დაშლილი და ერთ ადგილზე სახლობდა, ქმნიდა ერთ სამოხიოს. როცა თური დინოებად დაიშალა და განსახლდა, ერთი თურის სხვადასხვა დინოს მეზობლად სხვა თურის რამდენიმე დინო დასახლდა. ისინი დამეზობლდნენ და შეადგინეს სამახოენი, სამახლობლონი, მეზობლობით საჭირისუფლო<sup>5</sup>. მაშასადამე, მკვლევრის დაკვირვებით, სამოხიო გულისხმობს ერთ ტერიტორიულ სივრცეში (სოფლის უბანი, კუთხე), ერთმანეთის

<sup>1</sup> გ. ელიავა, მხარეთმცოდნის თვალით, თბ., 1978, გვ. 103-104

<sup>2</sup> გ. ელიავა, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, 1997, გვ. 123

<sup>3</sup> გ. ელიავა, ეთნოგრაფიული სამეგრელო, ალბომი, გვ. 88-89

<sup>4</sup> ნ. ბართაია, ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობებიდან (მეგრული მასალების მიხედვით): დინო, კუტა, თური, ქვირა, მაღაზია ჩაფარე. II, გვ. 3-4

<sup>5</sup> გ. ელიავა, ეთნოგრაფიული სამეგრელო, ალბომი, გვ. 114

გვერდიგვერდ, სხვადასხვა გვარის წარმომადგენელთა თანაცხოვრებას. ე. ი. სამოხიო იგივეა, რაც მეზობელთა საახლობლო, სამეზობლო თემი<sup>1</sup>.

ო. ქაჯაიას მიხედვით, სამოხიო იგივეა, რაც უბანი, რეგიონი; მრევლი<sup>2</sup>. სამოხიო ა. ქობალიას „მეგრულ-ქართულ ლექსიკონში” განმარტებულია როგორც „საძმო, სამახლობლო, საჭირისუფლო, ასაბია”<sup>3</sup>.

გაანალიზებული მასალა გვიჩვენებს, რომ გივი ელიავას მიერ აღწერილი და შესწავლილი სამეგრელოს პატრონიმიული ორგანიზაცია კულტურის ტრადიციული ფორმების გარკვეული სპეციფიკურობით მსგავსებას ამჟღავნებს კავკასიაში წარმოჩენილ სოციალურ ინსტიტუტთან. ერთი დიდი ოჯახის გაზრდისა და სეგმენტაციის შედეგად ჩნდებოდა ერთი რეალური წინაპრი-საგან წარმოშობილი, ხუთი, ექვსი და მეტი თაობის აგნატური ჯგუფები.

რამდენადაც სამეგრელოში პატრონომიას არ გააჩნდა საკუთრების საგვარო ფორმა, უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს სოციალური ორგანიზაციის გარკვეული ტიპი არსებობდა განვითარებულ კლასობრივ წყობაში. მაშასადამე, უნდა გამოირიცხოს გ. ელიავას მიერ შესწავლილი გვარების ამოსავალი ძირების, პატრონიმის უშუალო კავშირი გვაროვნულ საზოგადოებასთან.

მეგრული „თის”, „თურის”, „დინოსა” და „სამოხიოს” შესწავლით დგინდება პატრონიმიული დასახლების სახე, საცხოვრებლის თავისებურება, ოჯახის წევრთა განლაგება სახლის შიგნით და მათი ქონებრივ-უფლებრივი მდგომარეობა.

*Igor Kekelia*

*Akaki Tsereteli State University*

## ISSUES OF PATRONYMIC GENESIS IN GIVI ELIAVA'S ETHNOGRAPHIC HERITAGE RESUME

Givi Eliava was a follower of the tradition of Georgian historians who, while exploring the issues of Georgian history, employed archaeological, folklore, ethnographic and linguistic data together with written sources which were sometimes scarce or not present. The main subject of many years of fruitful work by the scholar was Megrelia and especially its eastern part. Eliava's scholarly and research activities were based on invaluable historical, ethnographic, archaeological, folkloristic materials which were displayed in the well-known Martvili Local Museum.

Givi Eliava devoted several studies to the understanding of the genesis of patronymics. Researchers of family history have argued that the predecessor of the individual family was the social unit, the family community, the remnant of which is a large, extended family that survived until the end of the XIX century. This type of family possessed an appropriate name everywhere. Eliava studied the names expressing the nature of a large family in Megrelia. According to the researcher, the antecedent of an individual, core family is the lexical unit „Ti“, denoting a large family unit, house or a household. However, it must also be mentioned that Givi Eliava's view concerning the origin of the patriarchate of the Colchian surnames is unfounded.

By analyzing the obtained folk-ethnographic materials, Eliava concluded that „Turi“ is a tribal-territorial community formed as a result of the disintegration of the family community. The disintegration of the large family into several „Ti“ (separate groups) created a populated territorial

<sup>1</sup> გ. ქლიავა, აბაშისა და გევარებრის რაიონების ტოპონიმიკა, გვ. 68

<sup>2</sup> ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. II, თბ., 2002, გვ. 5-74

<sup>3</sup> ა. ქობალია, მეგრული ლექსიკონი, გვ. 581; სამოხიოს შესახებ იხ. დ. ჭითანავა, სამეზობლო თემის ერთი სახეობის შესახებ სამეგრელოში („სამოხიო“). ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძირანი, V, თბ., გვ. 2003

space – a village where several households separated from a large, extended family lived and worked.

G. Eliava thoroughly studied another form of kinship known as „Dino“. This lexical item, according to the researcher, marks the process of the division of „Turi“ and refers to a branch separated from it.

Concerning the question of ancestral shrines, G. Eliava notes that the „Okhvamuri „(shrine) united several families of blood relatives originating from one ancestor, or „Dino“. Over time, the breakup of a large family unit was followed by the formation of „Turi“ and „Dino“, i. e. formation of several families coming from one great grandfather, the initial family. These families formed one „Dino“. „Dino“ is a division of one big family; it is a separate branch of Turi (genus). It should be noted that “Turi” and „Dino“ are not mutually exclusive, but neither are identical concepts. There may be several „Dinos“ in a „Turi“ and one „Turi“ may have two or three „Saokhvamuri“ (shrines). The researcher referred to the Dino as a „Dinokholen“, or „an in-group“.

According to the researcher, separate lines of a family form a blood relationship and a specific, populated area in the village. The union is called „Dino“ whereas the area was referred to as „Samokhio“. „Samokhio“ derives from „Makhoenef“ (being close); „Makholo Medzobeli“ is the nearest neighbour or a close relative. Initially, the neighbourhood was limited to the „Samokhio“. The researcher addresses the issue of “Samokhio” in many other works authored by him. In the villages of Megrelia, in one territorial environment, there exists a social unity called “Samokhio” (neighbourhood). Eliava suggests that the territorial settlement and proximity of the blood relatives, members of the „Dinos“, formed after the break-up of large families constituted „Samokhio“ (close units of people sharing everyday life).

Through a certain specificity of traditional forms of culture, the patronymic organization of Megrelia, described and studied by Eliava, bears a similarity to the social institution represented in the Caucasus. As a result of the growth and segmentation of one large family, agnatic groups of five, six, and more generations emerged from one ancestor.

Since patronymics in Megrelia did not reveal an ancestral form of ownership. It must be assumed that this type of social organization existed in a developed class structure. Therefore the direct connection of the origins of the surnames, patronymics, studied by Eliava with the tribal community, should be excluded. The study of Megrelian „Ti“, „Turi“, „Dino“ and „Samokhio“ determines the type of patronymic settlement, the peculiarity of the dwelling, the location of family members inside the household, their property status and rights.

## როსტომ მეფე მემკვიდრეების ძიებაში და მათთან დაკავშირებული ისტორიები

ქართლის მეფე როსტომს (1633-1658) შვილი არ ჰყავდა. მთელი მისი მეფობის დროს გადაუწყვეტელ საკითხად იქცა ტახტის მემკვიდრის საკითხი, რაც მას და მის ერთგულ ქვეშვერდომებს დიდად აწუხებდათ. მათ სერიოზულად აფიქრებდათ, რომ მოსალოდნელ იყო ზანდაზმული მეფის ქმედითუუნარობის შემთხვევაში ქვეყნაში არეულობის დაწყება. მეფით უკმაყოფილო მსხვილ ფეოდალთა ერთი ნაწილი ცდილობდა მემკვიდრის საკითხის თვით მეფის წინააღმდეგ გამოყენებას. განსხვავებულ პოლიტიკური ონტერესებს შეეწირა როსტომ მეფის მემკვიდრეობის ოთხი კანდიდატი.

1. წყაროები არ მიუთითებენ, მაგრამ სავარაუდოა, როსტომ მეფე თავის მემკვიდრედ ამზადებდა მარიამ დედოფლის ვაჟს პირველი ქმრისაგან, სვიმონ გურიელისაგან<sup>1</sup>, ოტიას, რომელიც როსტომ მეფეს უყვარდა და საკუთარი შვილივით ზრდიდა. ოტია ზაალ არაგვის ერისთავის სიძე იყო. ის გორში გაურკვეველ ვითარებაში გარდაიცვალა “შეიქმნა დიდი გლოვა, ტირილი თორმეტს დღეს. იქვე გორს იყო ზარით ტირილი“. ფარსადან გორგიჯანიძე საკმაოდ დეტალურად და ხატოვნად გადმოგვცემს ოტიას დატირებას და გლოვას. თორმეტი დღის შემდეგ ოტია გორიდან მცხოვას წაასვენეს და იქ დაკრძალულეს.

ოტიას გარდაცვალებასთან დაკავშირებით და მისი სახელის უკვდავსაყოფად XVII საუკუნეში გორში გაჩნდა ან არსებულს ეწოდა ყოვლადწმინდას დასახლება. სავარაუდოა, დასახლებამ სახელი მიიღო ამჟამინდელი ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის ტაძრის მოპირდაპირე სკვერში, ძველად, სასწროის მოედანი რომ ერქვა, იქ, სადაც ჩვენს დროში აშენდა წმინდა მთავარანგელოზთა სახელობის ტაძარი. არსებული ცნობების მიხედავით, ამ ადგილას ქართლის დედოფალმა, როსტომ მეფის მეუღლე მარიამმა თავისი გარდაცვლილი ვაჟის სულისა და სახელის უკვდავსაყოფად ააგო ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მიძინების ეკლესია, რომელიც 1802 წლის გორის გეგმაზე აღნიშნულია მეორე სახელითაც – მთავარანგელოზის ეკლესია. მარიამ დედოფალი თავის 1664 წლის სიგელში გვამცნობს ამ ტაძრის აშენების დროსა და მიზეზსაც: “...შეწირულობისა წიგნი და სიგელი დაგიდევი და მოგართვი შენ, გორს ჩუქუპან აშენებულს თავარანგელოზის საყდარსა მას უამსა ოდეს მეფემ როსტომ ქართლის დედოფლად მოვიყვანა (1634 წ. – ე. მ.) თან ძე გურიელსა ჩუქუპი თვალის სინათლე შვილი ოტია და იმიზგან მოვძულდით ღ(მერ)თსა და მიცვალა ქვეყნასა ამასა ქართლისასა სანახებსა გორისასა და მისა საწოლსა ზედან ეკლესია აღვაშენეთ, დავახატვინეთ და შევამკევით...”<sup>2</sup> საფიქრალია, დასახელებული ტაძრის დიდი მნიშვნელობის გამო, ციხესა და ქალაქის გალავანს შორის დასახლებას, მისი სახელი დაერქვა.

<sup>1</sup> ლევან დადიანის წინააღმდეგ ძლიერი კოალიცია ჩამოყალიბდა სეტემბრის, სვიმონ გურიელის, მეფე გიორგი III-ის და ზოგიერთი მეგრელი დიდებულის მონაწილეობით. მათ ოდიშის მთავრის მოკვლა და მისი ნახევარი ძმის იესეს გამთავრება განიზრახეს. შეთქმულება წარუმატებლად დამთავრდა, ლევან დადიანი მიგზავნილი აფხაზის მახვილს გადაურჩა. ამის შემდეგ დაიწყო შურისძიება შეოქმულებზე. ლევანმა ლანჩხუთან ბრძოლაში დაამარცხა სვიმონ გურიელი, შეიპრო, თვალები დათხარა და ბერად აღვეცა, ხოლო მისი მეუღლე მარიამი – თავისი და, და მისი შვილი ოტია ოდიშში წაიყვანა. გურიის მთავარი გახდა პატრიარქი მალაქია (1625-1639). გურიის სამთავრო ლევან დადიანს დაემორჩილა და მას დადიან-გურიელადაც მოიხსენიებდნენ. სვიმონი იერუსალიმში წავიდა და ბერად შედგა, იცოცხლა ღრმად მოხუცბულობადე და თითქმის ნახევარი საუკუნის შემდეგაც, 1672 წელს, კიდევ ჰქონდა მიწერ-მოწერა თავის ნაცოლარ მარიამთან. ბროსე მ. საქართველოს ისტორია, II, 1900, 188.

<sup>2</sup> გორის სახელმწიფო ისტორიულ ეთნოგრაფიული მუზეუმი, №184.

მარიამმა თავისი შვილის ქონების ნაწილი იერუსალიმს გაგზავნა, ზოგი საყდრებსა და მონასტრებს შესწირა, “შვილის საფლავი მოაფენინა, სომხითში დარბაზის სოფელი სვეტიცხოველს შესწირა, მის გა(მ)დელი თავისის მხლებლებით შვილის საფლავზე დააყენა და სარჩო გაუჩინა”<sup>1</sup>.

2. ფარსადან გორგიჯანიძის გადმოცემით, იმერეთისა და ქართლის თავადები შეითქვნენ, რომ როსტომი მოეკლათ და ქართლის ტახტზე იმერეთის ბატონიშვილი მამუკა, გიორგი მეფის შვილი აეყვანათ. მამუკას ბეჟან ჩხეიძის ქალი ჰყავდა ცოლად, ამისდა მიუხედავად, ლევან დალიანს უნდოდა მისთვის შეერთო თავისი ქალი. მაგრამ, რადგან მამუკა ვერ დაიყოლია, დადიანმა ის, ჩხეიძეები მათ ახლობლებთან და მრავალ თავადიშვილთან ერთად იმერეთიდან გააძევა. ლტოლვილებმა ჩხეიძეების სიძესთან ერთად ახალციხის ფაშა საფართან შეაფარეს თავი. “ქართლის თავადი მეფეს როსტომს შემოეხვეწნენ და მოციქული მიუგზავნეს: “ამისთვის საქართველო არ წყნარდებისო, რომ შვილი, მმა და ახლო ნათესავნი არ გყვანანო და თქვენს საბოლოს ვერა ედვენო. ამისთვის მალე აიშლებიან და სხვას ბატონს ეძებენო. მამუკა ბატონიშვილის სიკეთე თქვენც მოგხსენებია, თავად ბაგრატონი და მერმე მეფის შვილი და თქვენი ნათესავი არისო, ახალციხით ჩამოაყვანინეთო იშვილეთო და თქვენც მოისვენეთ და საქართველოც მოასვენეთო და ქვეყანა დაწყნარდებაო. თუ ღმერთმა თქვენ ყმაწვილი მოგცესო, ეს თავის სამკვიდროზე გააბატონეთო. თუ თქვენ შვილი არ გაგიჩნდეს, სიდამდისინ ბრძანდებოდეთო, სურამის შესავალი საბატონიშვილო უბოძეთო, იმერეთიც ზედ აბიაო და იქიდამენც ხელს მოიმართავსო და თქვენად შვილად აკურთხეთო და ღმერთმან დიდ ხანს გაციცხლოსო, თქვენ უკან მაგას ვიბატონებთო”<sup>2</sup>.

ფარსადან გორგიჯანიძის გადმოცემით, ასე მოატყუეს ქართლის თავადებმა მეფე როსტომი და მამუკა ბატონიშვილი ჩამოიყვანეს თავის ჯარით. როსტომმა ყველა ძალიან კარგად მიიღო. მიუხედავად ამისა მათ შეიმუშავეს მეფის მოკვლის და მამუკას გამეფების გეგმა. როსტომი უნდა მოეკლათ სასახლის აბაზანაში (აბზანაში) იქ ჩასაფრებული მოღალატეების საშუალებით. შეთქმულებმა შეცდომით, ღამის სიბნელეში მერიქიფეთა უხუცესის ყმა დასჭრეს. მის ყვირილზე მიხვდნენ, რომ ის მეფე არ იყო და შეცდომით სხვა დაჭრეს, მას თავი მიანებეს და გაიქცნენ.

როსტომმა ცხადი იყო, რაც მოხდა, მაგრამ არ შეიმჩნია. რამდენიმე წნის შემდეგ მამუკას 10 ათასი მარჩილი გაუგზავნა და შეუთვალა, რომ ყანისა მერიდება, ვათოუ თავის კარზე გიხმოსო და მე კი უარის თქმა არ შემიძლიაო, ისევ ახალციხეში დაბრუნდი და თუ საჭირო იქნება აქედან დაგეხმარებიო. ბატონიშვილი მიხვდა, რომ როსტომმა ყველფერი იცოდა, დატოვა ქართლი და ისევ გადავიდა ახალციხეში საფარ-ფაშასთან. ასე დამთავრდა იმერელი ბატონიშვილის ქართლის ტახტზე აყვანის საქმე.

საბოლოოდ, მამუკა ლევან II დადიანის ტყვეობაში აღმოჩნდა, დააბრმავეს და წამებით აღმოხადეს სული. ამ გარემოებას დიდად შეუწუხებია იმერ-ამერის საზოგადოება, როგორც ლევან დადიანის მტრები, ისე კეთილისმდომნი. როდესაც მისი ლევან დადიანის თავს დატრიალებული ტრაგედია მაშინდელი ფეოდალური საზოგადოების მიერ აღქმული იქნა, როგორც ლევან დადიანის მიერ ჩადენილი მრავალი დანაშაულის, განსაკუთრებით კი მამუკა ბატონიშვილისადმი სასტიკი მოპყრობისათვის, ღმერთის მიერ მოვლენილი სასჯელი. “აბა აქ გაშინჯეთ, – წერს ფარსადან გორგიჯანიძე, – მართალი მღთისა, რომ მაგიერ ლევან დადიანს შვილი მოუკვდა და მამამ შვილის ტირილში ლახტი თავს გარდიკრა და შვილს ზედ დაკვდა დაუმარხავს... ყველამ ასრე თქვეს: ლევან დადიანის უშვილოდ გარდავლენა მამუკა ბატონიშვილის უსამართლომ მოსთხარა, სახლიან შვილიან გარდავლინდა. აბა ეს ნიშნათ ყველას გვეყოფა, აბა აქ გათავდება იესოს ქრისტეს ნაბრძანები სიტყვანი: რომლისათ საწყაოთ მიგიწყავსო, იმავე საწყავით მოგიწყვენო. აბა სამართალი აქ გათავდება და ნაძალადევი არვის შერჩების”<sup>3</sup>.

<sup>1</sup> ფარსადან გოგგიჯანიძის ისტორია. ს. კაკაბაძის გამოცემა. /საისტორიო მოამბე, 252.

<sup>2</sup> იქვე, 262.

<sup>3</sup> იქვე, 261.

მარიამ დეოფალმა, როდესაც თავისი ძმის, ლევან II დადიანის უღირსი საქციელი შეიტყო, “ვითაც თავის შვილს ოტიაზედ, ისრევე თმა გაშლით და მკლავ ჩახდით გულ მწუხარის ცრემლის ფრქვევითა მამუკა ბატონიშვილი მრავლის ქებით ტირილშიგან მოსთქვა და შავის ჩაცმით იგლოვა და სრულ ქართველნი თავადნი და დედანი და მანდილოსანნი, ვითაც საყვარელს შვილებსზედა, ისრე გულმწუხარათ გამოიტირეს. ნამეტნავად მრავლის სათანჯვის წამები-სათვის ამას სტიროდეს და ლევან დადიანს სწყევლიდეს. მეფემ როსტომ ქართველთა და ჯახთ ჯარით, მწარ ჩახდითა და თავსცემით, გულმწუხარათ გამოიტირეს, დადიანს სტრახვიდენ”<sup>1</sup>.

3. 1642 წელს როსტომ მეფემ შვილად და მემკვიდრედ აიყვანა ირანში აღზრდილი და გასპარსებული, ლუარსაბ I-ის შვილიშვილის შვილი ლუარსაბი. ლუარსაბი დაოჯახებული იყო. მას ცოლად ჰაყავდა როსტომის დისმვილის, ადამ სულთან ანდრონიკაშვილის (გავიხსენოთ, რომ შაპს ამის დასმა უნდოდა კახეთში თეიმურაზ I-ის მაგიერ) ასული. მეფის ამ მოქმედებამ ქართლის თავადების უკმაყოფილება გამოიწვია. ისინი ამბობდნენ: “ჩვენი მეფე ბერი და უშვილო არისო და ლუარსაბ ბატონისშვილიო თავისთვის შვილად და ჩვენად საბატონოთ მოიყვანაო და საქართველოს თავადებსაო ყველას მაგისის პაპის ვახტანგის მამული გვიჭირავსო და რა გაბატონდებაო, ყველას წაგვართვამსო და თავის შვილს საბატონიშვილოთ მისცემსო, ამას მოუვვაროთ რამეო. როსტომ მეფე ბერიკაცი არისო, დიდს არას გამოეკიდებისო. რა ცოცხალია, ვემსახურებითო და რა მიიცვალოსო, რომელიც ბატონათ გვინდოდესო, ყაენსა ვსთხოვოთო. ეს ფიცი და პირი მალვით შეკრეს და შეიფვიცნენ”<sup>2</sup>.

შეთქმულებმა განზრახულის განზროციელება შესძლეს 1652 წელს, როდესაც როსტომ მეფე განჯის გზაზე თაღოვან ხიდს, სოფელსა და ქარავანსარაის აშენებდა. მშენებლობის დასათვალიერებლად მეფე-დედოფალი და თავადაზნაურობა ჩავიდა. თავადიშვილებმა ბატონიშვილ ლუარსაბს ურჩიეს, რომ ის ექვსი დღე, რომელიც იქ უნდა ყოფილიყო, ნადირობაში გაეტარებინა. ლუარსაბმა მეფეს სთხოვა სანადიროდ წასვლის ნება მიეცა, მაგრამ უარი მიიღო. როდესაც მან თხოვნა გაუმეორა, როსტომმა ნება დართო. ღორზე ნადირობისას, გაურკვეველ ვითარებაში ლუარსაბს “ხელის თოფი ეცა (“ბატონიშვილს ლუარსაბს ძუძუსთან თოფი ჰკრეს და ზურგში გააგდებინეს”<sup>3</sup>) და სასიკვდილოდ დაიჭრა. მეფემ გარდაიცვლებამდე მოინახულა ლუარსაბი. როდესაც მან უმწეო ბატონიშვილი ნახა “შექმნა თავს ცემა და ტირილი და ბატონიშვილს გვერც მიუჯდა და გამოჰკითხა, თუ თოფი სითქენ გეცაო, ან იქთ ვინ და ვინ იდგნენო და ან გათგნეთო, თუ ვისი თოფი გეცაო. ბატონიშვილმან ასრე მოახსენა: თუ მოვრჩებიო, ჩემდ მკვრელს მე ვიპოვნიო და თუ მოვჰკვდებიო, თქვენ კარგად იყვენითო, რომელიც გიჯობდეთ ისრე ჰენითო”. ლუარსაბმა კიდევ ერთი დღე იცოცხლა და გარდაიცვალა. ფარსადანის თქმით, ყველა ტიროდა, განსაკუთრებისთ ის, ვისაც უხაროდა.

ცხედარი ავლაბრის გზით თბილისში ბატონიშვილის სასახლეში მიასვენეს. როსტომ მეფე და მარიამ დეოფალი “სწორამდისინ ბატონისშვილის სასახლეში ჭირისუფლათ ისხდენ... ჭამა, აღაპი, გაცემა თათრისა და ქართველთ წესისა გარდიხადეს და მკვდარი არდაველს შაპ სეფის საფლავში მიასვენეს... და დიდის პატივით მოასვენეს და შეიხ სეფის საფლავს ახლო მიწას მიიღეს”. მაშინ არსებული პოლიტიკური ვითარებისა (ავღანეთში ყანდაპარზე ლაშქრობის) და “თემის აშლილობის”, ე.ი. დამნაშავეების როსტომის წინააღმდეგ გამოსვლის შიშით, ლუარსაბის მკლელობის გამოძიება გეღარ გაგრძელდა. სიაოშ ბარათაშვილმა ბაინდურ თუმანისშვილს “დასწამა და ასრე უთხრა: შენი ნასროლი თოფის ფინდიხი ეცაო, — ამისთვის ისინი სამართალ-სზედ შეაბეს”<sup>4</sup>. მნიშვნელოვნ განსხვავებას ვნახულობთ “პარიზის ქრონიკაში”, რომლის თანახ-

<sup>1</sup> იქვე, 261.

<sup>2</sup> იქვე, 262.

<sup>3</sup> პარიზის ქრონიკა ანუ ცხოვრება საქართველო სა და დიდი მოურავის ამბები, გადმოტეჭდილი უკლებლივ 1829 წ. პარიზში აკადემიკოს ბროსეს-მიერ გამოცემულის დედნიდამ. მეორე გამოცემა ზ. ჭიჭინაძისაგან, თბილისი, 1903, 58.

<sup>4</sup> ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, 263-264.

მადაც ნათელი ხდება, რომ ლუარსაბი შეთქმულების და არა შემთხვევითობის მსხვერპლი გახდა<sup>1</sup>: “აღარას გამოეკიდნენ ამის მეტსა, რომ ბარათაშვილს შიოშა ათებული გზის დასაკარგავათ თუ (ე.ი. დამნაშავის კვალის დასაფარად – ე.მ.) სითქმაც თუმანიშვილი ბაინდური იყო, ბატონისშვილს თოფი იქითა ჰკრეს”<sup>2</sup>. იმის შესახებ, რომ უბედური შემთხვევის მოწმე აღმოჩნდა დაუყოვნებლივ აცნობეს როსტომ მეფეს.

ამგვარად, ლუარსაბის უნებური სიკვდილისა თუ მკვლელობის გამო და დამნაშავის გამოსავლენად, გატარებული იქნა ისეთი ღონისძიება, რომლის ანალოგი, გარდა ფარსადან გორგიჯანიძის თხზულებისა, არ იყის ქართულმა საისტორიო მწერლობამ. ვითარებას ართულებდა ისიც, რომ მკვლელის დადგენის საკითხმა ეთნიკური, ქართველებისა და სომხების, დაპირისპირების საშიშროება წარმოშვა. როგორც ფარსადან გორგიჯანიძე ამბობდა: “ქართლში ქართველნი მრავალნი და ძრიელნი არიან და სომხები ცოტანი და უღლონონი და მათგან (სომხებისაგან – ე.მ.) ამ რიგის საქმის თქმაც ძნელია, თორა და ქნა და ქართველთ უნდოდა ეს სისხლი სომებთაზედ დაეტეხა”. სომხების უღლონობა იმაში მდგომარეობდა, რომ ფიცით ეს საქმე არ გადაწყდებოდა, ამიტომ სიაოშ ბარათაშვილმა თქვა, რომ ბაინდურ თუმანიშვილმა ესროლა თოფი ლუარსაბ ბატონიშვილსო. ბაინდურმა უარყო ბრალდება. გადაწყდა სასამართლოზე შებმოდნენ ერთმანეთს სიაოში და ბაინდური და ღმერთის შეწევნით, გაიმარჯვებდა მართალი.

იმის გამო, რომ სამეფო სასამართლომ დამნაშავის დადგენა ვერ შეძლო, გადაწყვიტა ისეთი საშუალებისთვის მიემართა, რომელიც “სინათლეს მოპირენდა” მკვლელის ვინაობას. ქართულმა სამართალმა არ იცოდა ბრალდებულის წამებით გამოტეხვა<sup>3</sup>, განსხვავებით სხვა ქვეყნების სამართლებისაგან.

მეფემ ბრძანა ბრალდებული და ბრალდებული სასამართლოში დაეპირისპირებინათ. მართლაც გაიმართა სასამართლო, რომელიც საინტერესოა და ძლიერ ჰგავს შუა საუკუნეებში ევროპელი რაინდების მიერ თავიანთი სიმართლის დასამტკიცებლად გამართულ შერკინებას. ფარსადან გორგიჯანიძე საქმაოდ დაწერილებით აღწერს ორთაბრძოლა-დუელის მომზადებას და მის მსვლელობას. ისტორიკოსის მიერ აღწერილი ორთაბრძოლა არ შეიძლება ობიექტური იყოს, რადგან თვით ფარსადანი, როსტომ მეფე (საინტერესოა, რომ “პარიზის ქრონიკაში” ბაინდურ თუმანიშვილის გულშემატკივართა შორის დასახელებული არ არის მეფე როსტომი<sup>4</sup>) და ყიზილბაშები სომხების და, შესაბამისად ბაინდურ თუმანიშვილის გულშემატკივარნი იყვნენ, მარიამ დედოფალი და ქართველები კი სიაოშ ბარათაშვილს უჭერდნენ მხარს.

ვფიქრობ, მკითხველისათვის საინტერესო იქნება ფარსადანის თხზულების ის პასაჟი, სადაც გადმოცემულია ქართული “სასამართლოს” მსვლელობა და მისი შედეგი. სამართლისა და ტრადიციის მცოდნე ქართველებმა და სომხებმა ერთობლივად “მეფეს მოახსენეს: ამ რიგი საქმენიო უხმლოთ არ გარდასწყდებისო”. ჩანს, რომ ისეთი მძიმე დანაშაულის ბრალდება, რომელსაც ცილისწამებად აღიქვამს ბრალდებული, ქართული სამართლის მიხედვით, ბრალდებლისა და ბრალდებულის ორთაბრძოლით უნდა გარკვეულიყო – ვინ იყო მართალი და ვინ დამნაშავე. როსტომ მეფემ, რომელიც ნაკლებად იცნობდა ქართულ სამართალს, ბრძანა: თავიანთ რჯულში (ქართულ და სომხურში – ე.მ.) “როგორც მართებულად იყო მიჩნეული ისე გარდიხადონო”. ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რაც ორთაბრძოლის დაწყების წინ ხდებოდა: სიაუშმა და ბაინდურმა ერთმანეთს შეუთანხმეს ორთაბრძოლის გამართვის ადგილი და ამის შემდეგ ისინი უნდა მისულიყვნენ მეფის კარზე ერთმანეთთან საბრძოლველად. “მეფის ბძნება გათავეს, გაენდვნენ და ინანეს და თობა და თმობა აუთქვეს, ანდერძები გაათავეს და ეზიარნენ და ავის ნაქმარნი

<sup>1</sup> პარიზის ქრონიკა, 59.

<sup>2</sup> ბიჭიკაშვილი ი. თავად თუმანიშვილების საგვარეულოს ისტორიული ნარკვევი // [https://issuu.com/archivesgeorgia/docs/istoria-bibliografia\\_tumanishvilebi.5-6](https://issuu.com/archivesgeorgia/docs/istoria-bibliografia_tumanishvilebi.5-6)

<sup>3</sup> ჯავახიშვილი ივ. ქართული სამართლის ისტორია, წ. II // თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. VII, თბილისი, 1984, 353-354.

<sup>4</sup> პარიზის ქრონიკა, 59.

ინახეს და ვისთვისა შეცოდებინა, შეეხვეწნენ და შენდობა იშოვნეს და ვისაც რამე ემართა, გარდუხადეს. თავიანთი საყდრები დაიარეს და შესაწირავი მიართვეს და რაც შეეძლოთ გლახათა და ულონოთ მისცეს“.

ბაინდური და სიაუში თბილისში მივიღნენ და მეფის სასახლის პირდაპირ მტკვარს გაღმა, სადაც მათ საომარი ადგილი მიუჩინეს, იქ დადგნენ. ისეთი ადგილი იყო შერჩეული, რომლის ჭვრეტა ყველა მხრიდან შეიძლებოდა. ორივე იარაღით აღიჭურვნენ, ცხენებზე შესხდენ და მტკვრის გაღმა გავიდნენ. მეფემ მათ ექვსი იასაული სეკუნდანტებად მიუჩინა, რათა დაცული ყოვილიყო ბრძოლის წესები. ციხის კარები დაკეტეს, რომ აღარავინ შესულიყო და გასულიყო. მებრძოლები ერთმანეთის მოშორებით ამხედრებული იდგნენ. გამოღმიდან დაუძახეს – “ომისა და შეტევის დრო არისო“. უწინ ცხენ ჭენებით სიაოშ მიეჭრა ბაინდურს და “შუბი შემოსცა და ზედ შეამტკრია, ჯაჭვი გაუტეხა და გვერდში გასჩარა, შუბის პირი შიგ შეარჩინა. ამას უკან ბაინდურ მიუხდა და შუბი შესცა და ბარკალშიგ შეამტკრია და გასცილდა. აწ სიაოშ წაეწია და ლახტი სცა და გასცილდა. აწ კიდევ ბაინდურ მიეწივა და ლახტი სცა, მაგრა ვითაც თავისის სისხლით ხელი სოველი ჰქონდა, ლახტი გასხლტა და ცხენმან თავგამზიდვარობა უყო და სიაოშ ლახტის ცემით მისდევდა, ბაინდურ მალს ხელი წაიკრა და უკან უკუ ქნია და სიაოშს საცხვირეში მოახვედრა და ფიცხლავ ცხენით გადმოვარდა და თათართა და სომეხთაგან შეიქმნა ჭმა მაღლა – ალაპ ალაპ – ძახილი. ბაინდურ მოსაკლავად სიაოშს მიუხდა, იასაულებმან არ დაანებეს, მაგრა ცხენი მაშინაც მოუკლა“ მეფის ბრძანებით, მძიმედ დაჭრილი სიაუში მეციხოვნებს მიაბარეს. შედარებით მსუბუქად დაჭრილი ბაინდური თავისივე ცხენ-იარაღით გამოღმა გამოვიდა და მეფეს თაყვანისცა და ასრე მოახსენა: „მტერს უნდოდა შეგბმოდითო ორნივ უბრალონი ტყვილად შევიხოცენითო და თავის სადგომს წავიდა“.<sup>1</sup>

ფარსადან გორგიჯანიძის თხზულებიდან მოხმობილი ორთაბრძოლის განსხვავებული ნიუანსებით გადმოცემულია სომხერიდან ქართულად ნათარგმნ სიგელში, რომელიც გამოაქვეყნა თედო ქორდანიამ. სიგელის ავტორი ტენდეციურად აშუქებს ინციდენტს და მას ანტისომხურ ელფერს აძლევს. ჩნდება ეჭვი, რომ აღნიშნული სიგელით ისარგებლა ფარსადან გორგიჯანიძემ, ამიტომ აქვს მას სომხებისადმი თანაგრძნობის ტენდენცია და ზოგიერთი ისტორიული ფაქტიც არ არის სწორად გადმოცემული.

ნადირობისას მოკლული ტახტის მემკვიდრე ლუარსაბი, სიგელის ავტორს როსტომისა და მარიამის ბიოლოგიურ შვილად მიაჩნია<sup>2</sup>, რაც სიმართლეს არ შეეფერება, თუმცა ზოგიერთი ქართული ქრონიკაც ასეთ ინფორმაციას შეიცავს.<sup>3</sup> როსტომმა „ჰქმნა გამოძიება მომკვლელთა შვილისა თვისისათა და ვერ შეუძლეს გამოცნობად. და შემდგომად დაბჭეს ორსა კაცსა ზედა – ერთსა სახელად ბაადურსა სომხესა, ნათესავით მამიკონელსა, რომელი ითქმის თუმანიანად, და მეორესა სახელად შიოშ ქართველსა, ნათესავით ბარათიანსა“. რადგან დასახელებული პირები ახლოს იყვნენ იმ ადგლას სადაც მოკლეს ტახტის მემკვიდრე, ამიტომ დაბრალეს, რომ მათ ჩაიდინეს მკვლელობა ან იციან დამნაშავე და არ ამხელენ. დაიწყო მითქმა-მოთქმა: სომხები ამბობდნენ “ქართველს მოუკლავს“, ქართველები გაიძახოდნენ “სომებს მოუკლავსო“. რადგან სიმართლე ვერ გაირკვა, ამიტომ მოითხოვეს “სამართალიო“, იგულისხმებოდა “სამართლით მარტო ბრძოლობა; და რომელიც იძლიოს მას მოუკლავს ძე მეფისა მის“. გაიმარჯვა ბაადურმა. მეფემ ბრძანა: “რათა განთიად გამოიყვანონ შიოშ და ნაწევარ-ნაწევარ დასჭრან იგი და მიუყარონ ძალლთა“. შიოში გადაარჩინა მისმა ძმამ, მარიამ დედოფლის მოძღვარმა, მღვდელ-მონაზონმა ქრისტეფორემ. ის ეახლა დედოფალს „და ევედრა მის გამოხსნისათვის ძმისა მის თვისისა, და დედოფალი იგი ევედრა მეუღლესა თვისისა, და აღარ მოკლეს იგი“. შიოშის მთელი ქონება გადაეცა ბაადურს. „და ამის შემდგომად ქართველნი მცირედრე დამდაბლდნენ მზვაობრობათაგან თვის-

<sup>1</sup> ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, 264-265.

<sup>2</sup> ქორდანია ქრონიკები, II, 458.

<sup>3</sup> 1645 წლის ქართულ ქრონიკაში ვკითხულობთ: „ქს :ტლგ: მეფე როსტომ-მარიამ და ძე მათი პირმშო ლუარსაბ (?) სწირავენ მცხეთას...“ ქორდანია ქრონიკები, II, 456-457; იქვე, 466.

თა, ვინაიდგან ჰაოსიანთა სიმღერანი საყვედრებელი შეაწყვნეს ენასა მათსა<sup>1</sup> ზედა და ყოველისა ტაქტისა დასრულისა იტყოდნენ: “შიოს წადი ბაადურ მოვიდა“ რომელ არს: “შიოშ გაიქც – ბაადურ მოდის“. სიმღერასა ამასზედა ჰაოსიანთაგან ქართველთა ერცხვინებოდათ“. ასეთი სიმა-მაცისათვის, როგორც სიგელის ავტორი წერს, შაჳ აბას II-მ ბაადური მიიწვია თავისთან და “მისცა მას მთავრობა დიდი ტფილისის ქალაქისა“.<sup>2</sup> ზემოთ გადმოცემული ამბავი დათარიღებუ-ლია 1650 წლით (სხვა წყაროს მიხედვით, 1652 წელს).

4. როსტომ მეფემ განიზრახა მოკლული ლუარსაბის ძმა, თავისი ბიძის ვახტანგის შვი-ლის, თეიმურაზ მირზის შვილის შვილი ვახტანგი ეთხოვა თავის შვილათ. “ბძანა: ბატონიშვილს ლუარსაბსაო ძმა ჰყავს, ვახტანგ სახელათ ურქვიანო, იმას ჩემად შვილად მოვიყვანინებო და ბატონისშვილის ჯალაბს იმას შევრთავო, თათართ წესით ერგებისო, რადგან ორნივ მუსურმანი არიანო“ უკვე ითქვა, რომ ბატონიშვილ ლუარსაბს ცოლად ჰყავდა ადამ სულთან ანდრონიკაშ-ვილის ასული, რომელიც როსტომ მეფის დისშვილი იყო. ამგარად, ვახტანგი და ლუარსაბის ქვრივი ახლო ნათესავები იყვნენ.

ვახტანგი ყაზვინის მოურავი იყო. შაჳ აბას II მაზანდარანში იმყოფებოდა, როდესაც მას როსტომ მეფის წერილებით ეხლა ვინმე თურმანი, და როსტომ მეფის თხოვნა გადასცა. ამ დროს ვახტანგი ყაზვინში იმყოფებოდა. შაჳმა ვახტანგს რაყამი გაუგზავნა: “როსტომ მეფეს შვი-ლად უთხოვნიხარო, თურმან მანდ გიახლებისო, შენი საქმე კარგად გაირიგეთო და ჩვენს კარზე მოდითო<sup>3</sup> და ფეხს გვაკოცეო და აქიდამე წადიო“.<sup>4</sup>

ვახტანგის დედამ თქვა: როსტომმა უფროსი შვილი წამგვარა და მამიკლესო, ახლა შენც, რომ წაგიყვანოს მე ვიღა დამრჩება, მე შენს მეტი არავინ გამაჩინა, მე შენ არსად გაგიშვებ არც არვის მოვაკვლევინებ შენს თავს, ყაენთან წავალ და მოვთხოვ, რომ ვიდრე როსტომი ცოცხალია ქართლი შენ მოგცეს, ან ქართლის სიახლოვეს “ერთი საბატონო“ მოგცეს, რათა “როსტომ მეფის ხელის შემხხდავი არ იყოთო და ან როსტომ მეფეს უკან გაგისტუმროსო“<sup>5</sup>.

როგორც ჩანს, ვახტანგ ბატონიშვილს ჭკუაში დაუჯდა დედის ნათესამი და შუაკაცად გაგ-ზავნა ყაენთან, თურმანი კი საქართველოში გამოუშვა იმ პირობით, რომ როდესაც წამოსკლას დავაპირებ, გაგაგებინებო. ვახტანგმა თურმანს შესაფერისი პატივი არ სცა, არც დაასაჩუქრა, ისე გამოისტუმრა. ნაწყენმა თურმანმა როსტომ მეფეს მოახსენა: „თქვენ შვილად მოგყავსო და ის ძმის მოკლას თქვენ გაბრალებისო, მესისხლეს გეძახისო“. განრისხებულმა მეფემ ბრძანა: “შვილათ მინდოდაო, თუ ღმერთს ჩემთვის შვილი სდომებოდაო, ის მამცემდაო, ახლა სიდამდი-სინ ცოცხალი ვარო, თვითან ვიბატონებო, ჩემს უკან ვისაც უნდა, მისცენო“<sup>6</sup> (ქართლი – ე.მ.).

ვახტანგ ბატონიშვილის დედამ ყაენისგან ასეთი პასუხი მიიღო: „თუ შენს შვილს წასვლა არ უნდა, ნუ წავაო“. ამის შემდეგ ბატონიშვილი ვახტანგის ქართლის ტახტის მემკვიდრედ დანიშვნის საკითხი მოიხსნა და მალეც გარდაიცვალა. დამატებით ინფორმაციას ვიღეთ “პარი-ჟის ქრონიკიდან“: როსტომ მეფეს მუხრანის ბატონი ბახუტა ბეგი (ვახტანგი) გაუგზავნია ის-პაანში და ბატონიშვილი ვახტანგის წამოყვანა უბრანებია. მუხრანბატონი ისპაანში ჩავიდა, ყა-ენმა კარგად მიიღო, მაგრამ დავალება ვერ აღასრულა, ბატონიშვილი ვახტანგ გარდაცვლილიყო. როდესაც ეს ამბავი შეიტყო როსტომ მეფემ, ხოსია ბარათაშვილი გაგზავნა ყაენთან და ვახ-ტანგ მუხრანბატონი ითხოვა თავის მემკვიდრედ. შაჳმა ჯანიშინობა უბობა ვახტანგს და მრავა-ლი წყალობით გამოისტუმრა.

5. ბოლოს, როსტომის მემკვიდრე და ფრიად სანტერესო მეფე იყო ბაგრატიონების გვერ-დითი შტოს, მუხრანბატონების წარმომადგენელი, ვახტანგ V შაჳნავაზი (1658-1675).

<sup>1</sup> ოქვე. 459.

<sup>2</sup> ოქვე.

<sup>3</sup> ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, 265.

<sup>4</sup> პარიჟის ქრონიკა, 60.

<sup>5</sup> ოქვე.

<sup>6</sup> ოქვე.

*Eldar Mamistvalishvili*  
*Gori State Teaching University*

**ROSTOM KING IN SEARCH OF HEIRS AND STORIES RELATED TO THEM  
RESUME**

King of Kartli Rostom (1633-1658) had no children. Throughout his reign, the question of the heir to the throne remained unresolved, which worried him and his subordinates. They seriously thought that it was expected that if the senior king was incapacitated, chaos would erupt in the country. One part of the large feudal lords, dissatisfied with the king, tried to use the issue of the heir against the king himself. Four candidates for the succession of King Rostom were sacrificed to different political interests. The article presents short stories about each candidate.

## მძღვრეთის საქალაქო ცხოვრების ისტორიდან

ანოტაცია

ნაქალაქარი მძღვრეთის ისტორია დღემდე შეუსწავლელია. ნაშრომში დღემდე გამოუქვეყნებელ საისტორიო მასალაზე დაყრდნობით შევტელით აღგვედგინა მძღვრეთის საქალაქო ცხოვრების ფრაგმენტები. ქრონოლოგიურ-ფაქტობრივი მასალით ნაჩვენებია XVIIIს. 90-იან წლებში საქალაქო ცხოვრების დასუსტების და დაცემის რეალური ისტორია.

ჩვენამდე არ მოუღწევია არც ერთ საქალაქო ცხოვრების აღწერის დავთარს, მათ შორის მძღვრეთის, რაც ერთგვარად აძნელებს მძღვრეთის სავაჭრო-სამეურნეო და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის სრულყოფილი სურათის წარდგენას.

მძღვრეთის სავაჭრო-საქარავნო გზაზე მდგბარეობა განაპირობებდა ქარვასლების არსებობას, სადაც მუდამ მზად იყვნენ მგზავრთა გამასპინძლებისა და დაბინავებისათვის. სერგი მაკალათიას ხეობაში ექსპედიციისას შეუმჩნეველი არ დარჩენია ნაქულბაქევთა ნანგრევების ნაკვალევი, რომლის შესახებ დღიურში საინტერესო ჩანაწერიც დაუტოვებია.<sup>1</sup> 1679 წლის ნასყიდობის წიგნით ფარსადანი ვინმე შერმაზანას შვილისგან ქულბაქებს იძენს „დამეჭირა და ჩემი მამისეული კვიდრი ალალი მამული ორი ქულბაქი და და ქულბაქს ქვეშ სახლის გასყიდვა მოვინდომეთ, მოვედით ჩვენ... ჩვენის ნებაწადილობითა თქვენთანა და თქვენზედ მოგყიდეთ და გამოგართვით თქვენ-გან ლირებული ფასი...“<sup>2</sup>

ვაჭრობა ძირითადად დუქნებში იყო კონცენტრირებული. ქარვასლებთან ტრადიციულად გამართული სახელოსნო და სასურსათო დუქნებს შორის მოვაზრებთ ზაზა ფანასკერტელის სამკურნალო წიგნით დამზადებული სამედიცინო მედიკამენტების „საპაქიმო“ დუქნები. ფანასკერტელ-ციციშვილებს დუქნები იჯარით გაცემული ჰქონდათ სხვადასხვა დარგის ხელოსანზე და მათგან დუქნებში ვაჭრობის უფლებისათვის ქირას იღებდნენ, დუქნის შემოსავლიანობა გადამწყვეტ როლს ასრულებდა ქირის რაოდენობაზე. ჩვეულებრივ დუქნებში, სადაც პროდუქცია მზადდებოდა, შეიძლებოდა გაყიდულიყო მასში მყოფი ყმა ვაჭარ-ზელოსნით და იქვე მცხოვრები მისი ოჯახით. მედუქნის სოციალურ-ეკონომიკური სტატუსი არ იცვლებოდა. მართალია ქირის რაოდენობასა და მძღვრეთის დუქნების შემოსავლიანობაზე ცნობებს ჩვენამდე არ მოუღწევია, თუმცა თბილისში ციციშვილთა დუქნების ქირის ფასების შესახებ ცნობები შემოვინახა დოკუმენტურმა წყაროებმა.<sup>3</sup> 1673 წლის მამულის გაცვლის ერთადერთი წიგნის მიხედვით შესაძლებელი ხდება საჯინიბოსა და ქულბაქის სიდიდის დადგენა. შემოსავლიანი სავაჭრო-დუქნების ადგილის გაფართოების და კეთილმოწყობის მიზანი, საქმაოდ საინტერესოდა ახსნილი დოკუმენტში: „ესე წიგნი დაგიწერეთ და მოგეცით ჩუენ ხარატასშვილმან ელიზბარამა და ჩემა ძმამ შერმაზანამა ... თქუენ, ქალაქის მოურავს მანუჩარს და თქუენს შვილს სუფრაჩის იმამყულის და პატაბეგს. ასე და ამა პირსა ზედა, რომე მამასახლისისაგან ნასყიდი მამული გუაქონდა ... ის თქუენ მოგეცით და თქუენ იმ სახლების სანაცულოდ ჩუენს დერეფანში რომ თქუენი საჯინიბო იყო. ის მოგუეცით...“ verso-ზე კვითხულობთ: „მერმე არის ამ საჯინიბოს გუერდი ორი თქუენი ქულბაქის უკანა კედელი და საჯინიბოს სიგრძე რვა ადლი და განი ეჭუსი ადლი და ნახევარი.“<sup>4</sup>

<sup>1</sup> გსიემ-7463 / 13-17;

<sup>2</sup> საქართველოს ეროვნული არქივი, ფ.1450, დავთარი 18 ს.16, საბ. №67; ფ.1450, დავთარი 19, ს.160;

<sup>3</sup> ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, Hd-13032; სცსსა, ფ. 1449 ს. 1126;

<sup>4</sup> ხეც. Hd – 1785.

XVII-XVIII სს. მედუქნე-ხელოსანი იმავე დროს ვაჭარიც იყო. ვაჭარ-ხელოსანთა ფენის წარმომადგენლები გაერთიანებული იყვნენ საგანგებო საწარმოო და სავაჭრო ორგანიზაციებში. დოკუმენტური მასალის მიხედვით გვიანი შუასაუკუნეების ქალაქებში, ამქარში გაერთიანება ხდებოდა პროფესიული ნიშნის მიხედვით და როგორც ჩანს ამავე ნიშნით შეიქმნა სპეციალიზებული სახელოსნო და სავაჭრო უბნები, რომელთა არსებობას ადასტურებს მძოვრეთის უბნების სახელწოდებანი. პირველწყაროთა მონაცემებით და ჩვენეული ინტერპრეტაციით კომპაქტურად დასახლება ქალაქის ტერიტორიის გარკვეულ ნაწილში ხელსაყრელი იქნებოდა ამქრის წევრებისათვის, როგორც პროფესიული ასევე ვაჭრობის თვალსაზრისითაც. მძოვრელი ვაჭრების სიმრავლეზე მიუთითებს 1658 წლის საბუთში დაცული ცნობა, საიდანაც ცნობილი ხდება, რომ მარტო ციცი ციციშვილს 25 ვაჭარი 12 ურია ჰყავდა.<sup>1</sup>

გვიანფეოდალურ ხანაში მტკვარი კვლავ სანაოსნო მდინარედ რჩებოდა. ძამის ხეობიდან ტივებით ეზიდებოდნენ სოფლის მეურნეობის, ხელოსნური ნაწარმის სავაჭრო საქონელს და საშენ მასალას, რომლის ტრანსპორტირება საციციანოსთვის მეტად იაფი და მოხერხებული იყო. დედაქალაქის ბაზრის მზარდი მოთხოვნილებით და რეალიზაციით მიღებული მოგებით აიხ-სნება ციციშვილების გაზრდილი ინტერესი, ზოვრეთსა და დედაქალაქში აქტიურად ყოფილიყვნენ ჩართული სავაჭრო ურთიერთობებში. გიულდენშტეტს შეუმჩნეველი არ დარჩენია აღნიშნული სამდინარო ტრანსპორტის მნიშვნელობა.<sup>2</sup> მდ. მტკვარით ჩამოსულ ტივებზე ქალაქებს მძოვრეთს, ურბნისს, გორს ედვა გამოსაღები, ე.წ. „სალბაში“. „დასტურლამალის“ განმარტებით „რაც ტივი მოვა, ერთს უკეთეს ხეს საბატონოდ აიღებენ-ო“.<sup>3</sup> მეფე გიორგის და ბატონიშვილ თეიმურაზის ტივით სტუმრობაზე საუბრობს პლატონ იოსელიანი.<sup>4</sup> 1766 წლის მეფის განკარგულებით საციციანოს სარდალს ავალებენ ფიჭვის ტივებს სასახლის მშენებლობისათვის: „... სასახლისთვის ფიჭვის ხები გვნდა. ქართლში ფასი ყველას უთხარით, ოთხი ტივი თქვენს ყმათ უნდა გაგზავნონ. კად ფიჭვის ხე ოთხი ტივისა მოაჭრევინეთ და მტკვრის პირს ჩამოატანეთ, როგორც გინდა ისე ღირებულს, ფასს მივცემთ, უფასოთ ერთი ხე არ გვინდა ...“<sup>5</sup>

დოკუმენტური მასალების მიხედვით ციციშვილები ფლობდნენ სასახლეებს, დუქნებს, საჯინიბოებს,<sup>6</sup> საბაზიეროებს, სამღებროებს, წისქვილებს, ქარვასლებს, სახელოსნოებს არა მარტო მძოვრეთში, არამედ თბილისში. 1781 წლის თბილისის მოსახლეობის აღწერის დავთარის სტატისტიკური ცნობების მიხედვით<sup>7</sup> დავით ციციშვილს, სარდალ-მოურავს (სც) 208 კომლი ყმა ჰყავდა, რომელიც ბევრად აღემატებოდა ბატონიშვილების ყმების რაოდენობას.

დომენტი კათალიკოსმა თბილისში ციციშვილების სადავო მიწები თავის დისტულებს მიაკუთვნა დავის გადაწყვეტილების წიგნით<sup>8</sup> და იქვე საყდრის კურთხევის დასტურიც მისცა. მეფე ვახტანგ V-ის სარდალ-სახლთუხუცეს ზაზას „აუტიქათ სტეფანასაგან სამოცდათორმეტი და ნახევარი ადლი სავაჭრო ადგილი აუღია ქულბაქებისათვის.“<sup>9</sup> რაც მიანიშნებს ხელოსნობასა და სავაჭრო საქმიანობაში მის აქტიურ მონაწილეობაზე. სასახლეებს ფლობდნენ: დედაქალაქის მო-

<sup>1</sup> ხეც. Hd – 10381.

<sup>2</sup> გიულდენშტეტის მოგზაურობა საქართველოში, გერმანული ტექსტი, ქართული თარგმანითურთ გამოსცა გ. გელაშვილმა, ტ. I, თბ., 1962, გვ. 93.

<sup>3</sup> ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები, ლექსიკონები და საბიებლები დაურთო ი. სურგულაძემ, თბ., 1970, გვ. 83.

<sup>4</sup> 3. იოსელიანი, ცხოვრება მეფისა გიორგი მეცამეტისა, რედაქტორი, ა. გაწერელია, თბ., 1978, გვ. 83.

<sup>5</sup> სცსა, ფ. 1450 ს. დავთ. 52, საბ. №15.

<sup>6</sup> ხეც. Hd – 1785.

<sup>7</sup> ს. აკაბაძე, ქ. ტფილისის მოსახლეობის აღწერის ნუსხა, 1780-1781წლ. ახლო დროისა, საისტორიო მოამბე, წიგნი 1, ტფ., 1925, გვ. 227-231.

<sup>8</sup> ხეც. AD - 1337.

<sup>9</sup> სცსა, ფ. 1450, დავთ. 21 ს. 10.

ურავი მანუჩარ ციციშვილი<sup>1</sup>, ზაზა ციციშვილი,<sup>2</sup> უთორუთი,<sup>3</sup> მდიგანბეგი ფარსადანი,<sup>4</sup> ნაზირი ზაალი,<sup>5</sup> ქალაქის სარდალ-მოურავი დავითი და სხვ.

მოძიებული დოკუმენტები მიანიშნებს, რომ ციციშვილები არა მარტო ამუშავებდნენ საკუთარ წისქვილებს, ზოვრეთსა და დედაქალაქში, არამედ ყიდდნენ კიდეც საწისქვილე ადგილებს. ვინმე მეფურნიშვილის 1732 წლის ნასყიდობის წიგნში ვკითხულობთ: „, ნასყიდობის წიგნი და სიგელი დაგიწერეთ და მოგეცით ჩვენ ნოდარიშვილმა ფარსადან და ბიძა ჩემა სეხნიამ და მმამა ჩემა ალექსანდრემა ...ასე რომე დაგვჭირდა და მოგყიდეთ ... ვერაზე ერთი საწისქვილო სათავე ... ბოლო წყნეთურის ბაგების ბოლოს წყალი რომ ჩამოდის, იქამდინ საცა გინდა ერთი წისქვილი დააბრუნე ...“<sup>6</sup>

მეფე ერეკლეს სიძე, ქალაქის სარდალ-მოურავი დავით ციციშვილი<sup>7</sup> მეფის დავალებით ხელმძღვანელობდა სავაჭრო დუქნებისთვის ადგილების გამოყოფა-განაწილებას და მათ შშენებლობებს. ცხადია, თავადაც ფლობდა დუქნებს მძოვრეთსა და დედაქალაქში. დოკუმენტში გვითხულობთ: „.... სარდალ სახლთუხუცესო დავით! მერმე თავის დუქნების მასალა რაც იყოს, მოაცემინე. და ახლა, რომ დუქნებს აშენებენ, იქ ერთი დუქნის ალაგი მოეცით, დუქნი ააშენოს. და რაც იმ დუქნის ალაგის ქირა იყოს, ის ჩვენს სარქარში უნდა აძლიოს ხოლმე.“<sup>8</sup> ეს ის დროა, როცა თბილისში ყოველდღე შემოდიოდნენ ქარაგნები შემახიდან, ერევნიდან, თავრიზიდან, არზრუმიდან და „ოსეთის გზით“.

1750-იან წლებში საფრანგეთში ჩნდება ახალი პროექტი ფრანგული სავაჭრო კაპიტალის სპარსეთის მიმართულებით ახალი გზის გაკაფვის მიზნით, არა კასპიის ზღვით, სადაც ინგლისს ჰქონდა ვაჭრობა კასპიის ზღვის სანაპირო ქვეყნებთან, არამედ შავი ზღვით საქართველოზე გავლით. საფრანგეთის კონსული ყირიმში, პეისონელი თავისი საყურადღებო პროექტის განხორციელებით, ოსმალეთთან ვაჭრობის საწარმოებლად, სავაჭრო სახლს და საწყობების დაარსებას ვარაუდობდა თბილისში, ახალციხესა და ქუთაისში, სადაც ბაზრებზე საქონელს პირდაპირ გამყიდველისგანაც შეიძნენდნენ.<sup>9</sup> აღნიშნული პროექტი საქამაოდ დიდი პერსპექტივის მომტანი იქნებოდა ქვენის ეკონომიკური წინსვლისთვის. იმავდროულად „გაღმა მხარის“ სავაჭრო სტრატეგიული გზის აღდგენა-გამოცოცხლებას და მძოვრეთის საქალაქო ცხოვრების აღმავლობას საკმაოდ პერსპექტიულ გზას უსახავდა. სამწუხაროდ დარიალის სავაჭრო გზის გახსნის შემდეგ 1750 წ. სამეფო კარისგან უფრო რეალური და მხარდაჭერილი აღმოჩნდა რუსეთზე ორიენტაცია .

მძოვრეთში, როგორც ქართლის სამეფოს სასაზღვრო ქალაქში თავდაცვას, შეუვალობას და სიძლიერეს მოლაშქრეთა შეიარაღება, ე. ი მეაბჯრეთა საქმიანობა განსაზღვრავდა. 1483 წლის არადეთის ბრძოლამ<sup>10</sup> და XVIIIს. მეორე ნახევრის სამილაზვროს მოლაშქრეთა დავთარმა<sup>11</sup>

<sup>1</sup> სცსა, ფ. 1450, დავთ. №34, ს №74.

<sup>2</sup> სცსა, ფ. 1450, დავთ. 10, ს. №98.

<sup>3</sup> სცსა, ფ. 1450, დავთ. №10, ს. №98.

<sup>4</sup> ხეც. ს. 1313.

<sup>5</sup> ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VIII, სასამართლო არზა-ოქმები და კერძო-სამართლებრივი აქტები, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1985, გვ. 859.

<sup>6</sup> საქართველოს სიძველენი, ტ. II, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების გამოცემა, რედაქტორი ექვთ. თაყაიშვილი, თბ., 1909, დოკ. 249, გვ. 303.

<sup>7</sup> საქართველოს სიძველენი, ტ. III, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების გამოცემა, რედაქტორი ექვთ. თაყაიშვილი, თბ., 1910, დოკ. №19, გვ. 18-20.

<sup>8</sup> ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VII, სასამართლო არზა-ოქმები, ტექსტი გამოსცა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1981, გვ. 296;

<sup>9</sup> ს. კაკაბაძე, საფრანგეთის სავაჭრო კაპიტალი საქართველოს მიმართ მე-18 საუკუნეში, ს. კაკაბაძე ქუთაისის სახელმწიფო ინსტიტუტის შრომები, ტფ., 1940, 1, გვ. 117-122.

<sup>10</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. II; ტექსტი დადგნილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ თბ., 1959, გვ. 347.

მა<sup>1</sup> შემოგვინახა საინტერესო ცნობები მებრძოლთა საომარ აღჭურვილობასა და საბრძოლო შეიარაღებაზე. მათ შორის ურბნისსა და დეფოფლის მინდორზე არქეოლოგიური გათხრებით აღმოჩენილი <sup>2</sup> ჯაჭვის პერანგის ფრაგმენტები, რაც მმოვრეთში მისი წარმოების უძველეს ტრადიციაზე უნდა მიანიშნებდეს. ამ პერიოდის საქმაოდ ძლიერ საციციანოს ვფიქრობ, საამილახვროზე ბევრად ნაკლები რაოდენობის მოლაშქრე არ უნდა ჰყოლოდა და შეიარაღებაც დაახლებით ასეთივე უნდა ყოფილიყო. ზოვრეთის ციხის რესტავრაციისას, სადაც დღეს მამათა მონასტერია მნახველებს შეუმჩნეველი არ რჩებათ ქვის სხვადასხვა ზომის ჭურვების სიმრავლე, რაც ციხის დაცვისთვის ლოდსატყორცნი მანქანების გამოყენებაზე მიუთითებს. დოკუმენტები ნათლად მიუთითებენ ციციშვილების ზრუნვას შეგირდებისათვის მჭედლობის ხელობის სწავლაზე, რაც მასზე მოთხოვნილების განუწყვეტელ ზრდასა და სამჭედლოების სოფლებში სიმრავლეზეც მიგანიშნებს. მმოვრელი ციციშვილი ამილდაბარის სათხოვარ დოკუმენტში ვკითხულობთ: „აზრუმელი ალავერდა გახლავს მჭედელი, ცოლი შევრთე ... ორი-სამი ბიჭი აბარია, მჭედლობას სწავლობენ. სანამ ის ბიჭები ხელობას ისწავლილნენ, წყალობას ვითხოვ ის კაცი მე მებაროს. მერე თქვენი ყმა ისევ თქვენ მიირთვით. რადგან სოფლელთათვის მჭედლის ყოლა სახმარი არის.“ <sup>3</sup>

1737 წლის პირობის წიგნით ხელობის სწავლის სათხოვარით მისულ გიორგი მატიას-შვილს, უფლებას აძლევს ფარსადან დედაქალაქში დარჩენილიყო მხოლოდ ხელსაყრელი გარიგებით: „ესე წიგნი მოგართვით ... ბატონს ჩვენს, სარდარის შვილს, ფარსადანს. ასე რომე მე ქალაქში გავიზარდე. ხელობა ვისწავლე ... თქვენ შემოგეხვეწენით. ამიტომ რომ ქალაქში სახელო და უქალაქოდ ვერ დავრჩებოდი და ვერც სახელოს გავუშვებდი. თქვენც წყალობა გვიყავით და ქალაქიდამ აღარ აგვარეთ და ეს სამსახური დავიდევ თქვენი, რომე უნდა წელიწადში რვა მინალთუნი და სამი კოდი პური გემსახუროთ და გაძლიო.“<sup>4</sup>

მმოვრეთში ხელოსნური წარმოების ცალკეული დარგების განვითარებაზე წარმოდგენას გვაძლევს ჩვენს მიერ ეროვნულ არქივში მიკვლეული საციციანოს აღწერის დავთარი.<sup>5</sup> მმოვრეთსა და მის გარეუბნებში აღწერილ მცხოვრებთა შორის არიან ხელოსნები: ნალბანდი მურადა, მეწისქვილე შიო, მკერვალი მამუკა და მისი უმცროსი მმები, დალაქი ბერი, დალაქი პაპუნა, მეკურტნე, მეფურნე, ხაბაზი, დურგალი, მჭედელი, მღებარი გოდერძა. მართალია, ხელოსნებს შეგირდებიც ჰყავდათ, მაგრამ დავთარში ჩამოთვლილი ხელოსნები, ცხადია მმოვრეთში ხელოსნური წარმოების სრულყოფილ განვითარებაზე სრულ წარმოდგენას ვერ მოგვცემს.

XVII-XVIII სს. საქალაქო ცხოვრების საინტერესო წეს-ჩვეულება, „ჩირალდნით გაბრწყინება“ შემოგვინახა ქართულმა საისტორიო მწერლობამ. სადღესასწაულო დღეებში ქალაქის მცხოვრებლებს ბაზრის მორთვა, „ჩირალდნით გაბრწყინება“ პქონიათ წესად.<sup>6</sup> ვფიქრობთ, საციციანოს რეზიდენციაში საპატიო სტუმრის დახვედრისას, ტრადიციულ სადღესასწაულო დღეებსა და საისხარულო ამბებს გაჩირალდნებულ მმოვრეთში ზეიმობდნენ. მმოვრეთის მოქალაქეთა სიმრავლეზე მიგვანიშნებს გაყრის წიგნები და განჩინებანი სადაც ყმა-მამულების შესახებ.<sup>7</sup> 1701 - 1703წწ. მმებს, ედიშერ და პაპუნა ციციშვილებს გაყრის განჩინების მიხედვით მარტო მმოვ-

<sup>1</sup> ს.კაკაბაძე სამილახვროს დავთარი, მე17ს-ნის მეორე ნახევრისა, ტფ.1925, გვ.1-28; თავნაკლული ტექსტი სრულყოფილი სახით, (20-21 მოლაშქრის დამატებით) გამოცემული იქნა ი. დოლიძის მიერ. ი. დოლიძე, საამილახვროს მოლაშქრეთა დავთარი 1656-1696წწ. მაცნე, ფილოსოფიის, ფიქოლოგიის, ეკონომიკისა და სამართლის სერია, 1976, №3. გვ. 9.2-117.

<sup>2</sup> ლ. ჭილაშვილი ნაქალაქარი ურბნისი, ისტორიულ-არქეოლოგიური გამოკვლევა, თბ., 1964, გვ. 96.

<sup>3</sup> ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VIII, სასამართლო არზა-ოქმები და კერძო-სამართლებრივი აქტები, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და სამიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1985, გვ. 729.

<sup>4</sup> ზეც. Sd, ს. №1313.

<sup>5</sup> სცსა.ფ.1448, საქმე 5041.

<sup>6</sup> ორბელიანი პ., ამბავი ქართლისანი, ტექსტი დადგინა, შესავალი, ლექსიკონი და სამიებლები დაურთო ე. ცაგარებიშვილმა, თბ., 1981, გვ. 82, 104, 188.

<sup>7</sup> ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, სასამართლო განჩინებანი (XVI-XVIII სს.), ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და სამიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1972, გვ. 128-132.

რეთში 105კომლი ყმა ჰყოლიათ, მათ შორის ებრაელი და სომეხი ხელოსნები.<sup>1</sup> თუ გავითვალისწინებთ, რომ ედიშერისა და პაპუნას გარდა, ცხოვრობდნენ საგვარაულო სხვა შტოები, სამეფო კარის, ეკლესიის და სხვა საგვარეულოთა ყმები. მაგ. 1632-1658 წლებით დათარიღებულ საარქივო მასალაში უცნობი პირის კუთვნილი 30 კომლიდან, მძოვრეთში მცხოვრებ 10 კომლ ყმა-გლეხს ასახელებს.<sup>2</sup> ე. ი. გამოდის მართლაც ხმაურიანი და მრავალრიცხოვანი მოსახლეობით გამორჩეული რეზიდენცია უნდა ყოფილიყო.

მძოვრეთში სამღებროები ფანასკერტელ-ციციშვილებს ოდითგანვე პქნიათ. სამღებრო საქმიანობა ციციშვილთა საგვარეულოს საქმაოდ შემოსავლიან წყაროს წარმოადგენდა. ღებვის წესები, სამღებრო მცხარეთა შერჩევა, ფერთა მრავალფეროვნება ერთგვარ საგვარეულო საიდუმლოებას წარმოადგენდა, რაც მემკვიდრეობით გადადიოდა თაობიდან თაობაში. შალის ქსოვილების ღებვის ტექნოლოგიის გაუმჯობესებაზე მიგვანიშნებს ჩვენამდე მოღწეული XIXს. დამდეგის შალის ძაფის ღებვის რეცეპტები.<sup>3</sup>

საექსპორტო ნედლეულიდან განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ენდროთი გაჭრობა, მისი სიუხვით ყოველთვის გამოირჩეოდა მძოვრეთის ბაზარი. ტურნეფორის ცნობით ტფილისიდან და ქართლ-კახეთიდან ყოველწლიურად გადიოდა არზრუმისაკენ 2 ათასი საპალნე ენდრო, საღებავ მასალად დიურბეკის ქარხნებში, სადაც ამზადებდნენ ტილოებს პოლონეთისათვის. ენდრო ქართლ-კახეთიდან გადიოდა ინდოეთშიც, რაზეც ხაზგასმით მიანიშნებდა ტურნეფორი.<sup>4</sup> ფართო სატრანსპორტო გზების უქონლობის გამო 1736წ. ბაჟის ნუსხის მიხედვით ხარების საპალნით გადაპქნდათ. ენდროზე ბაჟს რომ საკმაო შემოსავლი მოჰქონდა მძოვრეთისთვის, ამაზე წარმოდგენას გვაძლევს ს.კაკაბაძე,<sup>5</sup> რომლის კვლევით „ტფილისის საბაჟოს შემოსავლის ერთი მეზუთედი - 600 მანეთი“ სწორედ ენდროზე მოდიოდა.

6. ბერძენიშვილი სამღებრო საქმიანობას სარფიან მაღალანაზღაურებად საქმედ სთვლიდა, სადაც ერთი საკაბეს შეღებვა ხუთი აბაზი ღირებულა.<sup>6</sup> ამ შემოსავლიან საქმიანობაზე იმდენად დიდი მოთხოვნა ჩანს ოსეთის გზის გახსნის შემდეგ, რომ ციციშვილებსაც დაუწყიათ ნაწარმის გატანა რუსეთში. დავით ციციშვილი მზადაა ვინც მეტ საიჯარო ფასს გადიხდის, დაწესებული პირობებით მასზე გასცეს იჯარით ბიძაშვილის სამღებრო, რომელიც „რუსეთს მივა და ხელი მაგ სამღებროთი უნდა მოიმართოს“. დოკუმენტების მიხედვით ქარელის სამღებროს იჯარა 5-6 თუმანი ყოფილა, მასში ვკითხულობთ: „დავით სარდალ-მოურავის იმედო, თენდო მღებარო! მერე ჩემი ბიძაშვილი გოგია რუსეთს მივა. ხელი მაგ სამღებროთი უნდა მოიმართოს. ორი წლის ვადით აგირავებს. თუ გინდა, ისევ შენ დაიგირავე, თუ არა, დაანებე ეგ სამღებრო. ვისაც უნდა, დაუგირავებს. ეგ ქვევრები რომ დაგიგლევია და სამღებროს სახლი დაგიქცევია, თუ გინდა ერთი თუმანი მიეც. წრეულს რომ ოთხ თუმნად აგილია, დაგიშვებია. ხუთ თუმნად უნდა შეუთავო, თუ არა, სახლი და ქვევრები დაანებე ... სამართლიანის გზით თუ გინდა შენ აიღე, თუ გინდა, დაანებე ორი წლით.“<sup>7</sup> დოკუმენტური წყაროების მიხედვით ციციშვილთა საგვარეულოს სამღებროები ძირითადად საიჯარო წესით აქვთ გაცემული. 1784 წელს სამღებროს იჯარით გასცემს გოგია ციციშვილი: „ ესე წიგნი მოგაროვი შენ, გოგიას ციციშვილსა, ასე რომა შენი სამღებრო

<sup>1</sup> ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VI, სასამართლო განჩინებანი (XVIII-XIX სს.), ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ო. დოლიძემ, თბ., 1977, გვ. 622-625.

<sup>2</sup> სცსა, ფ. 1448, საქმე 2318.

<sup>3</sup> მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, წიგნი III(აღმშენებლობა, სახელმწიფო ეკონომიკა, ქონება)მასალები შეარჩია და გამოსაცემად მოამზადა 6. ბერძენიშვილმა, თბ., 1955, გვ.556; ხეც. Hd-3624, Hd-3863.

<sup>4</sup> ჟოზეფ პიტონ დე ტურნეფორი მოგზაურობა აღმოსავლეთის ქვეყნებში, ფრანგულიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო მ.მგალობლიშვილმა, თბ., 1988, გვ. 32, 66;

<sup>5</sup> ს. კაკაბაძე, საქართველოს ეკონომიური ვითარების შესახებ მე-18 საუკუნეში, მნათობი 1924წ. №2 გვ. 228.

<sup>6</sup> 6. ბერძენიშვილი, სამღებროთა შესახებ XVIIIს. საქართველოში, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, თბ., 1937, ნაკვ, VI, გვ. 435.

<sup>7</sup> სცსა, 1448, საქმე 1162.

მიბოძე ექვს თუმნათ და ორ მინალთუნათ. ასე უნდა იჯარა მოგართვა, რომა ექვსის თვის თავს მოგართვა და ექვსი თვე, რომ გამოვიდეს, იმას გარდა რამთენი თვე გამოვიდეს, თვის და თვის თავს მოგართვა ხოლმე ხუთ-ხუთი მინალთუნი.<sup>1</sup> სამღებროდან შემოსავლის შესახებ საინტერესო ცნობა შემოგვინახა გიორგი ციციშვილის არზამ პავლე ციციანოვისადმი: „.... ჩვენის სახელოს სიგელი ... თქვენს ბრწყინვალებას ახლავს ... გვებრძანა შენი შემოსავალი არზით მომახსენეო. სადედოფლოს სამღებროდან წელიწადში რვა თუმანი გვებოძებოდა, ამას გარდა კოდის პურიდამ შვილი ურემი მებოძებოდა და კულუხიდამაც ერთი ურემი, აბრეშუმიდამ ერთი ლიტრა. საკომლოს ფული საკლა(ვი)ს ფასათ. ორივ აბაზი, ის ბატონისა იყო, აქედამ ამისათ(ვი)ს მერგებოდა ერთი თუმანი...“<sup>2</sup>

ქართული სამართლის მიხედვით სამღებროები სადედოფლო მონოპოლია იყო.<sup>3</sup> რაც შეეხება მძღვრეთის სამღებროს, თავიდანვე ფანასკერტელ-ციციშვილთა საგვარეულოს საკუთრება უნდა ყოფილიყო. ჩვენამდე მოღწეული დოკუმენტების სიმრავლის მიხედვით ნაზარალიხანის დროიდან ქალაქის არსებობამდე სამღებრო წარმოება ციციშვილთა ხელში ჩანს.<sup>4</sup> პაატა ციციშვილის 1769 წლის არზაში, მძღვრეთის სამღებროს წყალობის თაობაზე, თავგამოდებით ცდილობდა მძღვრეთის სამღებროს შენარჩუნებას მოდავე სახლისკაცებისაგან და ამასთან ითხოვდა დედოფლის სამღებროს იჯარით აღებას ქარელში: „.... მძღვრეთის სამღებრო უბოძებიათ მამის ჩემისათვის. ამას ვევედრებით მათს სიმაღლეს: ქარელში რომ სამღებრო არის, იმის იჯარას წყალობა მიყოთ. როგორც ბატონის პაპის თქვენის წყალობის წიგნი მქონდეს, ნურც თქვენ მამიშლით.“ მეფეს დაუკმაყოფილებია თხოვნა „.... ბატონს პაპას ჩვენს და ბიძას ჩვენს მძღვრეთის სამღებრო თქვენთვის უბოძებია. ჩვენ იმათს წყალობას არ მოგიშლით-ო“<sup>5</sup> 1777წ. პაატა ციციშვილის სამღებროდან წილის მოთხოვით დაუწყია დავა კიკოლა ნოდარისშვილს, „საერთო არისო სამღებრო და წილს არ მიდებსო.“<sup>6</sup> 1782წ. არზის მიხედვით პაატა ციციშვილისთვის დავა სამღებროზე ამჯერად ბიძაშვილ ივანე ციციშვილს წამოუწყია: „....ახლა ჩემი ბიძაშვილი ივანე მედავება. რადენჯელ წამედავნენ ჩვენი განაყოფები და სახლის კაცები, ყოველთვინ წყალობის წიგნები მიბოძეთ. ახლაც ერთი ოქმის წყალობას ვითხოვო...“<sup>7</sup> დავა 1783წ. საქეფო კარზე კვლავ გაგრძელებულა და პაატა ციციშვილს საბოლოოდ დარევან დედოფლის ოქმით მიუღია წყალობა.<sup>8</sup>

ციციშვილები დოკუმენტური წყაროების მიხედვით სამღებრო საქმიანობას ეწეოდნენ გორ-სა და სურამში. ნოდარ ციციშვილსგან გორში იჯარით აღებული სამღებროს ხარჯების გასწორების თაობაზე მირმან მირიმანიშვილი ამცნობს, რომ „ჩვენს სარქარზედ თოთხმეტი თუმანი და შვიდი მინალთუნი დარჩენილიყო.<sup>9</sup>“ სახლთუხუცეს ზაქარიას ბეითალმანი მამულები ჰქონდა მღებრიშვილისაგან ნასყიდი სურამში, სადაც სამღებრო საქმიანობასაც ეწეოდა.<sup>10</sup> შემოსავლიანი საქმიანობის გამო საგვარეულოში დავა სამღებროების წილის თაობაზე თითქმის სათავადოს გაუქმებამდე გრძელდებოდა.

<sup>1</sup> ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VIII, სასამართლო არზა-ოქმები და კერძო-სამართლებრივი აქტები, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ო. დოლიძემ, თბ., 1985, დოკ. № 933, გვ. 914.

<sup>2</sup> სცსა, ფ. 1448. აღწ. 1. ს. 9093.

<sup>3</sup> ქ. თაყაიშვილი, საქართველოს სიძველენი, ტ. 3, თბ., 1910, გვ. 298.

<sup>4</sup> ხევ. Hd-7349; Hd-8080; Hd-8052; Hd -13660;

<sup>5</sup> ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VII, სასამართლო არზა-ოქმები, ტექსტი გამოსცა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ო. დოლიძემ, თბ., 1981, დოკ. 153, გვ. 157;

<sup>6</sup> იქვე, დოკ. 386, გვ. 170.

<sup>7</sup> იქვე, დოკ.№566, გვ. 535.

<sup>8</sup> იქვე, დოკ.№620, გვ. 587.

<sup>9</sup> სცსა, ფ.1448, საქმე 1162.

<sup>10</sup> სცსა, ფ.1450ს. საქმე 36, №244.

სამღებროთა სიმრავლე მძოვრეთსა და ქარელში<sup>1</sup> მიგვანიშნებს მზარდ საფეიქრო წარმოებაზე, რომელიც დაკავშირებული იყო ხეობაში მეცხვარეობის განვითარების მაღალ დონესთან. ხელოსნობის ნაწარმი ნართი, ტილო, ტანსაცმელი, ხალიჩები, ფარდაგები, ნოხები, ხურჯინები, ტომრები, შალები, ტყავის ნაწარმი და სხვ. მზადდებოდა არა მარტო ადგილობრივი ბაზრის მოთხოვნილებისათვის, არამედ საგარეო ბაზარზე გასატანადაც. 1803 წლის შემოსავლების აღწერის დავთრის მიხედვით ივანე და დავით ციციშვილები სოფ. ქარელის სამღებროდან ერთ ბათ-მანზე ერთი რუბლს იხდიდნენ. წლის განმავლობაში ამოღებულ იქნა თითოეულისაგან 67 რუბლი. სამომავლოდ კაპიტან ისპრავნიკი იმედოვნებს სამღებროდან მეტი შემოსავლის ამოღებას.<sup>2</sup>

ციციშვილები გამოირჩეოდნენ საბაზიერო საქმიანობითაც, როგორც დედაქალაქში ასევე მძოვრეთში. 1684წ. ნასყიდობის წიგნი სწორედ საბაზიერო საქმიანობას ეხება: „საბოლოო ნასყიდობის წიგნი მოგეც მე, ციციშვილმა ბატონმა ზაალ და მომავალთა სახლისა ჩემისათა თქუნ, ორბელიშვილს მდივანბეგს ბატონს ორბელს ... ასე და ამა პირსა ზედა რომე, მოვინებეთ და მოგყიდეთ ქალაქს ჩვენი საბაზიერო გურგენის ნაქონი, აქათ აჯიშმამფურას ყმის აღუას სახლამდისი, უკან გურგენას დარბაზის მიდგომდის, დასავლეთით ნაზირი ზაალის სახლის კედლამდი და წინ შარამდის.<sup>3</sup> ნადირობა-გარობის ტრადიციას დასტურლამალის ცალკე თავი ეთმობა. შევარდნისა [და ქორის] ბუდეების შესახებ[კარი 61.] მოქმედი კანონი მოითხოვდა პასუხისმგებლობას ციციშვილებისგან: „კრკონის ბუდე - კრკონელთა შეინახონ. აბუხალოს ბუდე და გილიკის ბუდე-გვეძინელთ ებაროს. თრედვის ბუდე-თრედველთა და ერთობით ხვედურელთ შეინახონ..“ ავალებს „კარგად გაუფრთხილედნ“ წინააღმდევ შემთხვევაში „ბუდის თავს ყოველ წელიწადს ამ სოფლებს ოროლს მთავარს შავარდენს ვასყიდვინებთ, იცოდენ, არას გზით არ ვაპატივებთ-ო.“<sup>4</sup> აღნიშნული გადასახადები რაოდენ მძიმე იყო სათავადოს მამულებისთვის, კარგად ჩანს „აქტებში“ დაცულ დოკუმენტში.<sup>5</sup>

საბაჟო გვიანთვეოდალური საქართველოს ყოველ დიდსა და მცირე ქალაქში არსებობდა. მძოვრეთზე გამავალ სატრანზიტო - სავაჭრო გზასა და აღებული ბაჟის განკარგვაზე საინტერესო ცნობა შემოვინახა 1662წ. შაპინავაზის შეწირულების წიგნში<sup>6</sup> სათავადოს საზღვარზე შემოსულ სავაჭრო საქონელს არსებულ საბაჟოზე კონტროლს უწევდა სათავადოს მეთაური და საგვარეულო სახლი. XVIIIს. სავაჭრო-საქარავნო და სამიმოსვლო გზების დაცვა სამეფო კარის და იმ სათავადო სახლების მოვალეობად იქცა, რომელ სათავადოს ტერიტორიაზეც გადიოდა. ბაჟის ნუსხები, დასტურლამალის მიხედვით განსაზღვრული თრიალეთური ბაჟის აღების წესი და ცნობები სავაჭრო საქონლის საბაჟო ტარიფების შესახებ<sup>7</sup> წარმოდგენას იძლევიან მძოვრეთის ბაჟიდან მიღებული შემოსავლის სარგოზე.

მძოვრეთის ბაჟის საიჯარო ხელშეკრულებით გაცემის ცნობა შემოგვინახა 1729 წლის დოკუმენტმა: „ესე წიგნი მოგართვით ჩვენ ფირალიშვილმა გაბრიელამ, თქვენ ბატონს ბაგრატს, ასე რომ მძოვრეთის ბაჟი ბედინერის ვეზირის ბრძანებით და ბეირუთით ჩემის ნებაყოფლობით მომეცით ამ იანვრის დამდეგიდამ იმ იანვრამდის. ექვსი თუმანი თეთრი უნდა მოგართვა ...“<sup>8</sup>

<sup>1</sup> ხეც. Hd- 809 0; Hd-13660.

<sup>2</sup> Акты собранные Кавказскою археографическою комиссию, т. II ч. I, с. 72.

<sup>3</sup> ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VIII, სასამართლო არზა-ოქმები და კერძო-სამართლებრივი აქტები, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და სამიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1985, გვ. 859.

<sup>4</sup> ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები, ლექსიკონები და სამიებლები დაურთო ი. სურგულამებმ, თბ., 1970, გვ. 693-694.

<sup>5</sup> Акты собранные Кавказскою археографическою комиссию, т. I, с. 31.

<sup>6</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. II, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ; თბ., 1959, გვ. 224.

<sup>7</sup> ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები, ლექსიკონები და სამიებლები დაურთო ი. სურგულამებმ, თბ., 1970, გვ. 619.

<sup>8</sup> მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის, წიგნი II, მასალები შეარჩიადა გამოსაცემადმოამზადა ნ. ბერძნიშვილმა, თბ., 1955, გვ. 241.

შემოსავლიანი საბაჟო საქმიანობა, საგაჭრო და საქალაქო ცხოვრების აღმავლობა როგორც ჩანს საჭიროებდა სათანადო მფარველობას და წყალობას მეუტლის, მეკურტნისა და მეუნაგრის-თვის. ციცი ციციშვილის 1658 წლის წყალობის წიგნში მეუნაგრე ბაბანასადმი, ვკითხულობთ: „...წიგნი და ნიშანი დაგიწერეთ და მოგეცით ჩუენ ფანასკერტელმან ბატონმა ციციშვილმა ციცი-მან თქენ, ჩვენს ნამსახურს მეუნაგრეს ბაბანას, შვილთა თქუენთა ... რადგან ჩუენი ნამსახური იყავ და ფეშქაშიც მოგუაროთუ, ავდეგ და მეც ერთი კომლი ყმა მოგეც...“<sup>1</sup>

XVIII ს. 20-იან წლებამდე საინტერესო ცნობა, მძოვრეთის სტრატეგიულ მდებარებაზე ბუნებრივ სიმდიდრეზე, სამეწარმეო საქმიანობასა და შესაშურ შემოსავლებზე, რომელზეც სამე-ფო კარის მოხელეებსაც კი არ მიუწვდებოდათ ხელი, შემოგვინახა 1722 წლის „ღმრთაების გუჯარმა.“<sup>2</sup> მძოვრეთის ვაჭარ-ხელოსანთა, მოქალაქეთა საცხოვრებელ პირობებზე ცნობებს ვერ მივაკვლიეთ. მამის ხეობაში მცხოვრებ ებრაელთა ცხოვრების პირობებზე, წარმოდგენას გვიქმნის პროფ. ე. მამისთვალიშვილის მონოგრაფია.<sup>3</sup> XIX-XX ს. მიჯნაზე ქარელში მცხოვრები ებრაელი მოსახლეობის ცხოვრების პირობებით და ეკონომიკური მდგომარეობით ი. ჩორნი ფრიად კმაყოფი-ლი დარჩენილა, „ცხოვრობდნენ ისე როგორც ევროპულ ოჯახებში ყოფილა მოღებული.“<sup>4</sup>

საქართველოში ჩამოსული ბერძნი პატრიარქის, დოსითეოსისთვის ქართული მონასტრების გამოსასყიდი ვალის გადახდის დეტალური აღწერით ნათელი ეფინება ამ პერიოდის საერთაშო-რისო სავაჭრო გზებს და ვაჭრობით მიღებული შემოსავლებით ვალის გადახდის შესაძლებლო-ბას, რაშიც აქტიურად ჩართულნი ჩანან სამეფო კარზე დაწინაურებული ციციშვილებიც: „...ქართლისა კათალიკოზმა ნიკოლოზ ... ამიღახორმა გივმა და პაპუნა-ბეგ და დიანბეგმა ვახტანგ ... და დარბაისელთა დიდმა და ცოტამ. რადგან ინება ღმერთმან ... ჩვენის მონასტრის დახსნა ... მოგართვით სამოცი ათასი მარჩილი და გავგზავნეთ ჩუბნი კაცები გილანს, აბრეშუმი უნდა იყი-დონ და ცხრას თვეში უნდა იზმირს მივიღენ და როდისაც გაყიდონ აბრეშუმი, ფასი ბატონმა პატრიარქმა უნდა გამოართვას თურამეტი ათასი ოთხასი და ორმოცი და კიდევე აქუს პაპუასა იზმირს ცამეტი ათასი ასლანი; როდისაც ბატონი პატრიარქი მიბრძანდეს, ან ბურსას და ან სტრმბოლს უნდა უნდა მიართოს პაპუამ ... აღებული რაც იყო, პატრიარქმა წაიღო ... ამისი ან-გარიშით სულ სამოცი ათასი მარჩილი ქართლიდამე ... რაც ვალები იყოს და რაც ან გილანს გაგვიგზავნია, ან იზმირს არის ეს ყველა უკლებლივ უნდა ბატონს პატრიარქს მიებაროს ამ ჩუბნის კაცებისაგან ... სტამბოლს ჩუბნ რომ დავაბარეთ, თუ იმ ფასად არ გაუყიდეს, რომე-ლიც დაკლდეს ... პატრიარქმა წიგნი მოგუწეროს ...“<sup>5</sup>

საგარეო ვაჭრობაში ციციშვილთა საქმიანობის შესახებ მასალების სიმწირე სამწუხაროდ არ იძლევა ამ საკითხის დეტალურად გაშუქების საშუალებას. ამ მხრივ საინტერესოა დოკუმენ-ტი, რომელმაც შემოგვინახა ცნობა საციციანოდან 1750წ. ე. წ. „ოსეთის სავაჭრო გზის“ – (მძოვრეთი-რაჭა-ოსეთი-რუსეთი), მოკლე მონაკვეთის სავაჭროდ გამოყენების თაობაზე. 1729 წელს მირველ თუმანიშვილის მიერ გადაწერილი დასტურლამალის მინაწერით, ხელნაწერი ცი-ციშვილების აზნაურის პროტოპოპი გიორგი მაღრაძის საკუთრებაა. იგი რაჭის გზით 1783 წელს წასულა რუსეთში. მოუვლია „ყირიმი, პოლშა, ნოვა[როსია] ელისაბედის ქალაქი, ეკატი-რინესლავი, კლემენტუკი, კიავი, ალექსანდრია, ნიუნა დუბნა, ხარკოვი, ბელაგოროთი, ცარიცინი .... ვორონიში, ნახჩივანი, ჩერქეზ ქირმანი, სტავროპოლი, ასტრახანი, ყიზლარი, მოსდოგი და ხევზე მოვედით ქართლში მშვიდობით და უცნებლად“ (1786წ.). ვ. გაბაშვილის მოსაზრებით 1773-76 წლებში ირანის ქალაქ შირაზში, ქერიმ-ხან ზენდის კარზე შეიძლებოდა ყოფილიყო

<sup>1</sup> ხეც. Hd - 9653.

<sup>2</sup> ქართული სამართლის ძეგლები ტ. II; საერთ საკანონდებლო ძეგლები (X-XIX ს. ), ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და სამიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1966, გვ. 364-365.

<sup>3</sup> ემმისთვალიშვილი, ქართველ ქარალთა ისტორია, თბ., 1995, გვ. 118-124; 127; დავიდი, ი. იეპუდა ჩორნი და მისი ცნობები, ქუთაისი 1996, განთავით ს. 3-4.

<sup>4</sup> დავიდი, ი. იეპუდა ჩორნი და მისი ცნობები, ქუთაისი 1996, განთავით ს. 3-4.

<sup>5</sup> Акты собранные Кавказскою археографическою комиссию т. I, с. 26-27.

წარგზავნილი.<sup>1</sup> საგანგებო დავალების შემდგომ ირანიდან დაბრუნებული კელდასმულ იქნა მთავარდიაკვნად 1777 წელს და არ უნდა იყოს შემთხვევითი მისი მეორედ გამგზავრება რუსეთში. შესაძლოა მეფე ერეკლეს დავალებით 1783 წლის ტრაქტატის დადებას უკავშირდებოდეს. მოუკლია ყირიმი, პოლონეთი და სამხრეთ რუსეთის მთავარი ქალაქები. სავარაუდოდ, მოგზაურობისას ეწეოდა კომერციულ საქმიანობასაც. 1786 წელს უცხოეთიდან დაბრუნებულს ციციშვილთა ყმობიდან გამოსასყიდი თანხით თავი დაუხსნია და ყმა-მამული შეუძენია.

ამდენად, ისტორიული მასალების მიხედვით მძღვრეთში XVIIს. 30-იანი წლებიდან XVIIIს. „ოსმალობის“ პერიოდამდე სამეურნეო ხასიათის წინსვლა, ვაჭრობის გამოცოცხლება და საქალაქო ცხოვრების აღმავლობის ტემპები აშკარად შეიმჩნევა, მაგრამ დოკუმენტების მიხედვით ციციშვილების სავაჭრო ურთიერთობა ძირითადად უფრო სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის და ხელოსნური ნაწარმის ადგილობრივ ბაზარზე რეალიზაციით შემოიფარგლება. ვითარება რადიკალურად იცვლება XVIIIს მეორე მეოთხედიდან.

„ოსმალობის“ პერიოდის 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარის<sup>2</sup> მიხედვით საციციანოს ნაპირი „მცირე“ ქალაქის, მძღვრეთის უბნები ცალკე სოფელებად შეუტანიათ. ძამაში -7კაცი; სოფელი გორაზინა(ზღუდერი)- 56 კაცი, მის სიახლოეს ჩანაბეთში (ორთუბანი)-53 კაცი; ცალკე გამოყოფილია აქ მცხოვრები თავადები-28 კაცი. მინიშნებულია, რომ დასახლება ებრაელების მოდგმისანი არიან, ხსენებულ სოფელს მიწა არა აქვს, თუმცა იხდიან გადასახადებს მარცვლეულზე, ვენახზე, ღორზე, ხილზე. ამას მოსდევს ებრაელთა დასახლება გადამხდელუნარიანი მინიშნებულია 112 კაცი. დავთარში მინიშნებულია დასახლებაში - 15 დუქანი, სამღებროები, წისქვილები, რომელთაგან ნაწილი ციციშვილების საკუთრებაა. ვენახის მფლობელებად ძირითადად დასახელებული არიან ციციშვილები, სოფ. სუქითი (ჩვენი კვლევით სუქანაანთ უბანი მ.მ.)-45 კაცი. რამოდენიმე ჩანს სხვა საგვარეულოდან - კათალიკოსის ყმები და ოსმალო მოხელენი, რომელთა რაოდენობა დაუდგენელია. სულ მძღვრეთში გადამზდელუნარიანი -302 კომლია და იხდიან 1149 60 ახჩას.

ოსმალების დაწესებული მძიმე ხარკის გადახდაზე პასუხისმგებელი მებატონე ფანასკერ-ტელ-ციციშვილების მოვალეობა, ხარკის გადამზდელებზე არანაკლებ ტანჯვად იქცა, რადგან ოსმალო მოხელენი შეწერილ ხარკს უკლებლივ ითხოვდნენ. მაშინ როცა სიღატაკესა და უმწეობაში ჩავარდნილი ყმები გარბოდნენ შშობლიური აღილებიდან. მძიმე გამოუვალ მდგომარეობაში მყოფი ციციშვილები მამა-პაპეულ მამულებს ჩალის ფასად ჰყიდნენ, ან მამულებს აგირავებდნენ უცხოტომელებზე, რომლებიც ცდას არ აკლებდნენ მამულები თავად დაესაკუთრებინათ. 1733წ. დოკუმენტურმა წყარომ საინტერესო ცნობები შემოგვინახა ახალციხიდან გადმოსულ პასან აბდულ-ლაპის ძის მიერ მძღვრეთში მცხოვრები ფარსადან ზაზას ძე ციციშვილისაგან მამულის დაგირავების ვადის გასვლის შემდეგ როგორ ცდილობდა ამ მამულის დასაკუთრებას.<sup>3</sup> ვალებში ჩაგარდნილი, სამემკვიდრეო ყმა-მამულ დაკარგული ციციშვილები შემორჩენილ ყმათა ნაწილს თავად ჰყიდნენ, „ლეკობდნენ“ კიდეც და ამ სამარცხინო საქმიანობას აღარც თაკილობდნენ. ამის შესახებ მოგვითხრობს ქართლის ქალანთარის, მერალიბეგ ციციშვილის 1747 წ. არზა: „ოთარა ვახტანგის შვილმა ლეკი მოიყვანა და მძღვრეთის ციხეს სულ ყათლანი უყო ... ალექსანდრემ მითხრა: წავიდეთო, ჩვენს ქვეყანას ერთი გზა მივცეთო ... პაპუნას შვილი დავითი და პაატა იმერეთიდამ გადმოვიდნენ ... შევრიგდით ... ნათლობითა და შერიგებითა მამატყუილეს ... ძამის ციხეს უდალატეს ... სულ ყველას მოუსვა ხელი და თათრებს მიჰყიდა ... დასახოცი დახო-

<sup>1</sup> ვ. გაბაშვილი, დასტურლამალის 1729 წ. ხელნაწერი, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30, თბ., 1954, გვ. 57, 86-87.

<sup>2</sup> 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი, წ. I, ოსმალური ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლით, გამოკვლევით და ფაქსიმილებით გამოსაცემად მოამზადეს, ს. ჯიქამ და ნ. შენგელიამ, თბ., 2009, გვ. 166, 204-211.

<sup>3</sup> ს. ჯიქა, ოსმალური იურიდიული დოკუმენტები XVIII საუკუნის პირველი ნახევრის ქართლში, აღმოსავლური ფილოლოგია, თბ., 1969, გვ. 185-186.

ცეს, გასაყიდი გაყიდეს; ნახევარი ოსმალოს მიჰყიდეს და ნახევარი იმერლებსა.“<sup>1</sup> დოკუმენტს დაერთვის ძამის ციხეში მყოფი იმ აზნაურიშვილთა და გლეხთა დავთარი, რომელიც ამოწყვიტეს და ტყვებად გაყიდეს დავით და პაატა ციციშვილებმა. „ოსმალობა-ყიზილბაშობის“ პერიოდიდან კიდევ უფრო დასუსტდა და „დაყრუკდა“ მტკვრის მარჯვენა სანაპიროს სავაჭრო-სატრანზიტო გზის მნიშვნელობა. სამცხიდან ქართლში შემომავალი გზა ძირითადად კი ტყვეთა გაყვანის სარფიან გზად გადაიქცა. „ოსმალობის“ უმძიმეს ხანას დაემატა „ლეკიანობა“. დავეთანები მკვლევარებს, მართლაც ლეკებზე სასტიკი და ვერაგი მტერი თითქმის არ ჰყოლია საქართველოს. ლეკების თავდასხმები ქართლში 1717 წლიდან იწყება.<sup>2</sup> თუ XVIIIს. 30-იანი წლებიდან დაღესტნელთა შემოტევები ეპიზოდურ ხასიათს ატარებდა. XVIIIს. 50-იანი წლებიდან ოსმალებისგან წაქეზებული და მხარდაჭერილი „ლეკების“ თავდასხმები საკმაოდ ორგანიზებული და დამანგრეველი გახდა. დაიწყეს იერიშები ციხე-გალავნებში თავშეფარებულ მოსახლეობაზე. 1751წ. მეფე თეიმურაზი „დარბაზ ბატონ“ დიმიტრი ციციშვილს ... მოთარეშე ლეკების გასადევნად ზომების მისაღებად წერდა : ჩემის : დიდ : იმედს ... არაოდეს : არ დასავიწყარს : დარბაზ : ბატონს ... მაგ: საციციანოს: მხარეს : რომ ლეკი : არის : და ზემო : ქართლს : არბევს : ამილახორის შკლებს: და ზემო ქართლელებს: მივწერ. მანდეთ: წამოვლენ ერთათ: შეიყარენით : და: ღუთით: თამაშ: უყავით. თავდასხმით : იყოს : თუ ისე : იჯობინოთ : შებმა : როგორც : ამჯობინოთ.“<sup>3</sup>

პირველწყაროები საინტერესოდ გადმოგვცემს საბრძოლო ეპიზოდებს საციციანოში: „1754 წელს შეეპარნენ სამწევრის ციხეს, ნახევარი აიღეს, ნახევარი გაუმაგრდა, შემოადგნენ ციხესა ... გამოწვეს შიგნით კოშკი ცეცხლითა ... ტინისხიდი წაახდინა ლექს ჯარმა, შემოადგნენ დირბს, მიეშველნენ მეფენი ... სძლიეს ლეკთა .... შემოადგნენ წალკის ციხეს და აიღეს, აქედან იწყეს საციციანოზე თავდასხმა და აკლება ქართლისა. 1755წელს მიუხდნენ კვალად დამე სამწევრისის ციხეს გადავიდნენ კიბეებით შიგ შეუტყეს ადრე ციხოსანთა...“<sup>4</sup> პაპუნა ორბელიანის ცნობით,, შეიკრა გზები მტრისაგან, რომ მგზავრი აღარ გაატარეს, აღარც ზემო ქართლიდან ჩამოუშვეს და აღარც ახალციხისა ქვეყნიდამ ქარავნი“ იძარცვებოდა საციციანოს სოფლები, ტყვედ ერეკებოდნენ მოსახლეობას, იტაცებდნენ საქონელსა და ცხვრის ფარას, მეფემ საგანგებო ბრძანებაც გამოსცა დაცვის შესახებ.<sup>5</sup>

„ლეკიანობის“ შიშით ციციშვილებმა დაიწყეს მძოვრეთის მიტოვება და მტკვრის მარცხენა ნაპირას მდებარე სოფ. ქარელში დასახლება. იმ იმედით, რომ „მშვიდობიანობის“ დადგომისთანავე კვლავ დაუბრუნდებოდნენ რეზიდენციას. ქარელში მათი გადასახლების პირველ ფაქტს ადასტურებს 1763 წლის მორიგების წიგნი დიმიტრი ნაზირისა ალექსანდრე სარდლისადმი: „ ავი დროსაგან და მტრისაგან ქარელში დასახლება მოგვიხდა. მინდვრის მიწას შორს რომ იყო, ვეღარ მიუდექით ... საძოვარს, ჭალებს ხვნა დავუწყევით, ქარელის და აფნისის ... ავდექით ბატონს მეფეს მოვახსენეთ ... ასე გაგვარიგეს .... სანამდი ან ჩვენ წავიდეთ ჩვენ სასახლეშია და მამულშია, ან ჩვენი ყმა მოვიდეს თავის ... მამულზე, და ნახონ ... ღმერთმან ხელი მოგვიმართოს ... დავცალოთ ქარელი ... ქარელთ და აფნელთ ... ისევ დაიჭირონ საძოვრათ ჩემს ყმათაც და თქვენ ყმათაც“<sup>6</sup>. მტკვრის მარჯვენა სანაპიროს სოფლებში ლეკიანობის მძიმე შედეგებზე მანიშნებს ქართლ-კახეთის 1770წლის 5 აპრილის ნუსხა. ვ. გამრეკელის<sup>7</sup> მოსაზრებით ნუსხა ეფუძნება.

<sup>1</sup> სცსა, ფ.1448, საქმე, 5048 ა.

<sup>2</sup> სკაკაბაძე, საქართველოს ისტორია. ახალი საუკუნეების ეპოქა (1500-1810), ტფ..1922, გვ.139.

<sup>3</sup> სცსა, ფ. 1449, საქმე 3085.

<sup>4</sup> სცსა, ფ. 1 446, საქმე 703. პაპუნა ორბელიანი - <https://wikisource.org/wiki/>

<sup>5</sup> სცსა, ფ. 1448, საქმე 679.

<sup>6</sup> ქრისტიანი სამართლის ტებლები, ტ. IV, სასამართლო განჩინებანი (XVI-XVIII ს.), ტაქტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1972, გვ. 491, დოკ. №395.

<sup>7</sup> ვ.გამრეკელი, ზ. ცქიტიშვილი, 1770 წლის 5 აპრილის დემოგრაფიული ნუსხა, მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, თბ., 1973 №1, გვ. 150.

ნებოდა 1767 წ. აღწერას, რომლის არსებობა დასტურდება დოკუმენტურად.<sup>1</sup> ნუსხა ნამდვილად არ არის სრულყოფილი მნიშვნელოვანი ხარვეზების და უზუსტობების გამო, სადაც ვათხეულობთ: „არს აოხრებული და უმკვიდრო ქმნილი თრიალეთი ... არს აოხრებული ტაშირი, გუჯარეთი და სომხითი ... არს საბარათისშვილო ქვეყანა დიდი, ასისგან ერთი დარჩენილა. ხიზნათ არიან. ეს სომხითი და საბარათიანო არის ქვემი ქართლი ...“<sup>2</sup> სამწუხაროდ ქალაქებსა და პროვინციათა შორის არ სახელდება ისტორიული „გაღმა მხარი“ და მმოვრეთი. მოსახლეობის კომლობრივი და სულადობრივი გამოთვლისას მკვლევარებიც არ ახსენებენ ისტორიულ „გაღმა მხარეს“ და მმოვრეთს.<sup>3</sup> ცხადია, გაუკაცრიელებული და მოსახლეობისაგან დაცლილი რომ ყოფილიყო ამ დოკუმენტში უთუოდ აისახებოდა, რადგან 1770 წ. ნუსხა ერეკლე მეფის განკარგულებით შეუდგენიათ და გადაუციათ რუსეთის ხელისუფლების რწმუნებულ ანტონ მოურავოვისათვის (თარხნიშვილი). ამის შესახებ არც გიულდენშტედტი მიანიშნებს, რომელმაც 1772 წელს იმოგზაურა ძამის ხეობაში და მისივე თქმით ანტონ კათალიკოსისგანაც იღებდა საჭირო ინფორმაციას. მეფისთვის ცხადი გახდა, ამიერიდან ლეპების უფრო თავისუფლად შემოღწევა ძამის ხეობაში და ორგანიზებული პერმანენტული თავდასხმების მოსალოდნელი საფრთხე, მას შემდეგ, რაც „აოხრებულ და უმკვიდრო იქნა“ თრიალეთი და გუჯარეთი. ფაქტია, მწვავე რეალობად იქცა XVIII ს. მეორე ნახევრიდან „ლეპიანობის“ მიზანი, ქართლ-კახეთის ტერიტორიების სამემკვიდროდ დაჭრა. მეფეს ძამის ხეობასა და მბოვრეთში შექმნილი საგანგებო ვითარებიდან გამოსავლის საკმაოდ საინტერესო, გასაიდუმლოებული გეგმა შეუმუშავებია, რომელიც გენერალ ტოტლებენს ჩაუშლია. პანინისადმი 1770 წ. მიწერილ წერილში კვითხულობთ: „...მრავალ გზის დაღისტნელნი ლეპები შემორიგებულნი გუყოლიან რომელისამე მიზეზებითა-ზოგი ჩვენის ქვეყნის დაცვისათვის და ზოგი მტერზედ მოხმარებისათვის, და ერთი ამისთანა შემძლებელი კაცი მყვანდა შემორიგებული, რომლისაც მიზეზით დადესტნელნი მრავალნი კაცი ჩვენთან შემორიგებულნი იყუნენ, და ამათ ოსმანთ ქვეყნის ნატყვენავი და საქონელი ჰყუანდათ, რომ ოსმანთ ქვეყანას არბევდნენ, - ამისთანას ჩვენთან შემორიგებულს კაცს და ჩვენის ქვეყნის შესამატს კაცს მიუხდა სოფელსა ქარელს და ამოსწყვიტა იმ სოფლის კაცი: ევედრნენ ამ საქმის ესრეთ არ ყოფასა, მაგრა არც მოისმინა მათი ვედრება და არც დაიშალა, და ამ მიზეზით იმდენი კაცი აგვიშალა და მშვიდობიდამ დაგვიკარგა, და მტრად გაგვიხადა...“<sup>4</sup> ამდენად ავთენტური წყარო სათანადო დასკვნების გამოტანის შესაძლებლობას იძლევა: 1. მოსყიდული და გადმობირებული მეფის მომხრე ძამის ხეობაში ჩასახლებული დაღესტნელი ლეპების ოსმალთა საზღვარზე ხშირი, მოულოდნელი თავდასხმებით და ძარცვით, ფიქრობდნენ საბოლოოდ მტრობა და განხეთქილება ჩამოეგდოთ „ძველ მოკავშირებს“ შორის. 2. მიეღოთ ორივე შხრიდან სანდო ინფორმაცია ქართლ-კახეთში ლეპთა რაზმების თავდასხმების და ერთობლივი საბრძოლო გეგმების შესახებ, 3. რაც მისცემდა სამეფო კარს შესაძლებლობას „გაღმა მხარის“ დაცვისა და საზღვრისპირა სატრანზიტო გზის გაკონტროლების. ტოტლებენის ღალატმა იმდენად გადამტერა და გაახშირა „ლეპების“ და ოსმალების შეთანხმებული თავდასხმები. რომ 1774 წელს გამოიცა მეფე ერეკლეს განკარგულება „ოსმალოს მხრისკენ“ წასვლის აკრძალვის შესახებ.<sup>5</sup> ახალციხისაკენ მიმავალ გზაზე გახშირებულ ლეპთა თავდასხმებზე საუბრობს 1770 წ. საქართველოში მყოფი კაპიტანი იაზიკოვი ჩანაწერებში.<sup>6</sup> 1780 წ. მეფე ერეკლეს წერილში კავკასიის ხაზის მთავარსარდალ პოტიომქინისადმი, აღწერილია თავად ახალციხის ფაშას მიერ ქართველი ვაჭრე-

<sup>1</sup> სცსა, ფ. 1448, ს. 4533, 1377.

<sup>2</sup> ქართული სამართლის ძეგლები ტ. II, საერო საკანონმდებლო ძეგლები (X-XIXს.), ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და სამიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1966, გვ. 421.

<sup>3</sup> ვ. ჯაოშვილი, საქართველოს მოსახლეობა XVIII-XX საუკუნეებში, გვ.34-37.

<sup>4</sup> Грамоты и другие исторические документы, относящиеся до Грузии т. II (1768-1774 г.) под редакцией А. А. Цагарели, 1898г., стр.32.

<sup>5</sup> სცსა, ფ.1448 საქმე 392.

<sup>6</sup> Грамоты и другие исторические документы, относящиеся до Грузии т. I (1768-1774 г.) под редакцией А.А.Цагарели,1898г.,стр.186.

ბის გაძარცვის ფაქტები.<sup>1</sup> ამდენად, 80-იანი წლებიდან “ლეკებმა დაიდეს” ერთ-ერთი ყველაზე მარჯვე და მოხერხებული გზა ოსმალეთისკენ ტყვეთა გასაყვანად, საიდანაც ტყვები გაჰყავდათ ეგვიპტეში, ალჟირში, არაბეთსა და სხვა ქვეყნებში.

ბურნაშვილი არ არის ტენდენციური როცა წერდა: „გზებზე მიმოსვლა საშიშია, ვაჭრობა მთლიანად შეწყდა, სოფლები დაცარიელებულია ... მის უმაღლესობას არ შეუძლია შევროვილი ჯარის დიდხანს შენახვა, რადგან უული არ აქვს. მისი შემოსავალი თითქმის გაქრა.“ ლეკების ტყვების მძიმე ხვედრის ვერ გადაურჩნენ ციხე-სიმაგრეებში, კოშკებსა თუ გალავანს თავშეფარებული მოსახლეობა, ციციშვილებმაც თავად იწვიეს ტყვეობის მძიმე ხვედრი.<sup>2</sup>

90-იან წლებში ფაქტიურად მოსახლეობისაგან დაიცალა ისტორიული „გაღმა მხარი“, 1789 წლის დოკუმენტის მიხედვით სამეფო კარი მხოლოდ გამოღმა მხარის დაცვასლა ცდილობს.<sup>3</sup>

1794 წლის სტატისტიკურ ცნობაში, რომელიც ივ. ჯავახიშვილის მოსაზრებით 1794 წლის ხალხის აღწერის დავთრების ცნობებს ემყარებოდა გადამწერს მხოლოდ სასოფლო გადასახადების გადამხდელი სრულფუძიანი კომლები მკვიდრი მოსახლეობა (მემკვიდრეები) და ხიზანი აღურიცხავს. დავთარში მძოვრეთი სოფლებს შორის აღარ მოიხსენიება, ქარელი 106 კომლიანი დიდი სოფელია, სამწევრისის მკვიდრი -3 კომლი და 12 ხიზანია.<sup>4</sup>

იოანე ბატონიშვილის აღწერის მიხედვით ძამის ხეობის სოფლები,<sup>5</sup> მართალია ვახუშტისეული ნუსხის იდენტურია, მაგრამ განსხვავდება საინტერესო მინიშნებით-სახლობდნენ თუ არა მოსახლენი აღნიშნულ სოფლებში. აღწერის მიხედვით ძამის ხეობაში მოსახლენი მხოლოდ ქარელსა და სამწევრისშია, ხვედურეთის ხეობაში მხოლოდ სოფ. ხვედურეთში. მოსახლეობისაგან დაცლილია გვერდისძირის სოფლები და გუჯარეთის ხეობა. „გაღმა მხარის“ გაპარტაზება-გაუკაცრიელების საფრთხეს გადარჩენილი თითო-ოროლა მოსახლის ადგილზე დამაგრებას ისახავდა მიზნად 1794 წ. ერეკლე მეორის ბრძანება კარის მოხელეებისადმი ციციშვილების ყმების ოთხი წლით გადასახადებისაგან გათავისუფლების შესახებ.<sup>6</sup>

შევცადეთ მძოვრეთი 1802-1806 წწ. კამერალურ აღწერებში მოგვეძიებინა. ჩამოთვლილ სოფლებში (ქარელი, ურბნისი, ყინწვისი, ბრეთი, დირბი, არადეთი სასირეთი, ბრეძა, აბანო, წნისი) მძოვრეთი არ მოიხსენიება.<sup>7</sup> საქართველოს მთავარმართებლის კოვალენსკის ბრძანების 1802წ. თანახმად აღწერილი იქნა ქალაქებში (სიღნალი, თელავი, გორი, ლუშეთი) სავაჭრო სახლები, დუქნები, სავაჭრო ადგილები და სხვ. სადაც მძოვრეთის შესახებ ინფორმაცია არ ჩანს.<sup>8</sup> ცნობილია რა კამერალური აღწერების შედგენის განსხვავებული მეთოდები და ინტერესები, კანცელარიის საქმისადმი ზერელე დამოკიდებულება, სერიოზული ნაკლოვნება ზუსტი სტატისტიკური ვითარების დასადგენად, გავაგრძელეთ შემდგომი პერიოდის კამერალური აღწერებში სოფ. მძოვრეთის მოკვლევა. კამერალური აღწერების ეკონომიკურ ნაწილში<sup>9</sup> და 1814-1818 წლების კამერალურ აღწერებში<sup>10</sup> სოფლებს შორის მძოვრეთი აღარსად მოიხსენიება.

<sup>1</sup> В. Гамрекели Межкавказские политические и торговые связи восточной Грузии, Тб., I, 1980 док. №59.

<sup>2</sup> Бурнашев С. Картина Грузии или описание политического состояния царств Карталинского, Тиф. 1896 стр. 31.

<sup>3</sup> სცსსა, ფ. 1448, საქმე 1987.

<sup>4</sup> ივ.ჯავახიშვილი საქართველოს ეკონომიკური ისტორია, I თბ., 1930, გვ. 42.

<sup>5</sup> იოანე ბაგრატიონი, ქართლ-კახეთის აღწერა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებლები დაურთეს თ. ენუქიძემ და გ. ბედოშვილმა, თბ., 1986, გვ.32.

<sup>6</sup> სცსსა, ფ. 1450, დავთ. 24 ს.№34.

<sup>7</sup> სცსსა, ფ. 254, აღწ. №1 საქმე, 70; ფ.254, აღწ. №1, საქმე, 76; საქმე 80, გვ.26-28.

<sup>8</sup> სცსსა, ფ. 16, ს. 51.

<sup>9</sup> სცსსა, ფ. 254, ს. 402.

<sup>10</sup> სცსსა, ფ. 254, აღწ. 1, საქმე, 540, 542, 543, 545.

ამდენად, ჩვენს მიერ მოკვლეულ პირველწყაროთა შედარებითი ანალიზი მიგვანიშნებს, რომ XVIII ს. 90-იან წლებში მძოვრეთში საქალაქო ცხოვრების მაჯისცემა საბოლოოდ შეწყდა. სახელმწიფოებრიობის დაკარგვის აგტედითმა უამმა კი საბოლოოდ დავიწყებას მისცა ისტორიული ქალაქის არსებობა. ვფიქრობთ, ნაშრომი მოკრძალებულ წვლილს შეიტანს ნაქალაქარი მძოვრეთის ისტორიის შემდგომ კვლევაში.

*Manana Michitashvili*  
*Gori State Teaching University*  
**FROM THE HISTORY OF LIFE OF MDZOVRETI TOWN**  
**RESUME**

The history of old town of Mdzovreti is still not explored in the Georgian historiography. None of the books or records describing life of Mdzovreti Town reached us. This complicates recovery of comprehensive picture of Mdzovreti's socio-economic state or the trading and agricultural activities.

On the bases of historical material that is not yet published, the paper presents the fragments of life of Mdzovreti town that are as follow: the customs place, the falcon aviary, the dyeing facility, the trading activities and various crafts production. The paper describes life of the town in the 18<sup>th</sup> century through the analysis of chronological and factual material. It also clarifies the reasons of weakening and collapse of the town in the 90<sup>th</sup> of the 18<sup>th</sup> century. When the independence of the country was lost due to an ominous time, Mdzovreti town eventually effaced.

## ერთი ბრიტანული წყარო საქართველოს შესახებ

საქართველოს ისტორია, თანადროული ყოფა და მრავალფეროვანი ბუნება სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩვენთან სტუმრად მყოფ პიროვნებათა მხრიდან ყოველთვის წარმოადგენდა განსაკუთრებული ინტერესის საგანს. ამის დასტურად ის ფაქტიც შეიძლება ჩაითვალოს, რომ ჩვენს ქვეყნაში ჩამოსულ მოგზაურთა უმეტესობა არა მარტო დიდი ქალაქების ნახვით კმაყოფილდებოდა, არამედ ცდილობდა საქართველოს ცალკეული კუთხეებიც დაეთვალიერებინა.

ნათქვამის ნათელსაყოფად ამჯერად განსაკუთრებული ყურადღება მინდა მივაქციო იმ ცნობებს, რომელთაც საქართველოს შესახებ გვაწვდის ბრიტანელი დიპლომატი - აუგუსტუს ჰენრი მოუნსი (Augustus Henry Mounsey, 1834–1882). მან თავისი დიპლომატიური კარიერა 1857 წელს ლისაბორში დაიწყო, საიდანაც 1861 წელს ჰანოვერში გადაიყვანეს სამუშაოდ, 1862 წელს კი ვენაში განაგრძო მუშაობა.<sup>1</sup>

ა. ჰ. მოუნსის დიპლომატიურ კარიერაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ორ მოვლენას. მათგან პირველ რიგში აუცილებლად უნდა გავიხსნოთ 1867 წლის მაისში ირანის ქალაქ ბალფორუშში (დღევანდელი ქ. ბაბოლი) განვითარებული ტრაგიკული მოვლენები, რასაც ებრა-ელთა თემის ბევრი წარმომადგენელი ემსხვერპლა. აუგუსტ ჰენრი მოუნსი, „ბრიტანელ მინისტრ ჩარლზ ალისონთან ერთად, იმ დროისათვის თეირანში იმყოფებოდა და პირადად იყო ჩართული დაზარალებულთათვის საკომპენსაციო თანხის გაზრდის საქმეში, რისი ოდენობაც თავდაპირველად, ნასირ ალ-დინ შაჰის (ირანის შაჰი 1848-1896 წლებში - ო. ნ.) გადაწყვეტილებით, 16 ათასი თუმანი ყოფილა. ეს თანხაც, სხვადასხვა მინისტრთა და ოფიციალურ პირთა მიერ ფულის არამიზნობრივად ხარჯვის გამო 3800 თუმნამდე შემცირებულა“.<sup>2</sup>

ა. ჰ. მოუნსი კიდევ ერთი, ასევე ძალზე მნიშვნელოვანი, მოვლენის მომსწრე გამხდარა იაპონიაში მოღვაწეობის დროსაც. როგორც ცნობილია, 1876 წელს მან ამ ქვეყნაში დაიწყო დიპლომატიური საქმიანობა. 1877 წლის 29 იანვარს, ამ ქვეყნაში მისი მუშაობის დროს, კუნძულ კიუსიუზე იფეთქა საცუმას აჯანყებამ, რომელიც თითქმის რვა თვის განმავლობაში გმელდებოდა. ა. ჰ. მოუნსის იმდროინდელი მოღვაწობა საინტერესო იმ მხრივაცაა, რომ იგი აღნიშნული მოვლენის შესახებაც გვთავაზობს უაღრესად მნიშვნელოვან ცნობებს იმ წიგნით, რომელიც მან, როგორც ყოველივე ამის თვითმშილველმა პიროვნებამ, დაწერა და გამოსცა 1879 წელს.

1878 წელს ა. ჰ. მოუნსი დიპლომატიური მისით ჯერ ათენში გადაიყვანეს სამუშაოდ იქ არსებული ბრიტანული ლეგაციის მდივნად, 1881 წლის 16 აპრილს კი დედოფლის (საუბარია, 1837-1901 წლებში ბრიტანეთის დედოფლა ვიქტორიაზე - ო. ნ.) მიერ გენერალურ კონსულად და რეზიდენტ მინისტრად იქნა დანიშნული კოლუმბიის შეერთებულ შტატებში.<sup>3</sup>

ა. ჰ. მოუნსი საქართველოში, კერძოდ კი ფოთში, 1865 წლის დეკემბერში შემოვიდა კონსტანტინოპოლიდან. აქედან იგი თბილისში გაემართა. 1866 წლის იანვრის შუა რიცხვებში კი ჯერ ერევანში, იქიდან კი სპარსეთში გაემგზავრა.

უკან იგი 3 ივლისს გაემართა და ჯერ ბაქოში ჩავიდა, იქიდან ვოლგის სანაოსნო გზით ნიუნი ნოვგოროდს ესტუმრა, შემდეგ კი მატარებლით ინგლისში დაბრუნდა (ჩროსს 2014, 242-

<sup>1</sup> <https://www.revolvy.com/page/Augustus-Henry-Mounsey>

<sup>2</sup> David Yeroushalmi. The Jews of Iran in the Nineteenth Century: Aspects of History, Community and Culture, Brill's Series in Jews Studies, Vol. XL. Leiden and Boston, 2009, pp. 288.

<sup>3</sup> Newspaper "The London Gazette", May 6, 1881, pp. 2342.

243). სწორედ მისი იმდროინდელი მოგზაურული შთაბეჭდილებებია აღწერილი 1872 წელს ლონდონში გამოცემულ მის წიგნში - „მოგზაურობა კავკასიასა და სპარსეთში“ (A Journey Through the Caucasus and the Interior of Persia).

სენებული ნაშრომისადმი ინტერესს განსაკუთრებით ზრდის ის გარემოება, რომ იგი დღემდე შეუსწავლელ საისტორიო წყაროს წარმოადგენს ქართველ მკვლევართა მხრიდან.

მიუხედავად იმისა, რომ ა. ჰ. მოუნსის განსახილველ წიგნში ქართლის, როგორც ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რეგიონისა და მის შემადგენლობაში შემავალი ქალაქების დატაღურად დახასიათება მოცემული არ არის და ავტორი მათ შესახებ ცნობებს მხოლოდ სხვადასხვა სიტუაციური ეპიზოდების მოთხოვნის შედეგად გვაწვდის, ხსენებული ნაშრომი მაინც უნდა მივიჩნიოთ აღნიშნული თვალსაზრისით საგულისხმო ერთ-ერთ წერილობით დოკუმენტად.

თუმცა ობიექტურობა მოითხოვს, აქვე ისიც ითქვას, რომ ჩვენს ქვეყანასთან დაკავშირებით ავტორის მიერ გამოთქმული მოსაზრებები ყოველთვის არ შეესაბამება რეალობას და ბრიტანელი დიპლომატის შეფასებებში საკმაოდ ბევრი ფაქტობრივი შეცდომაა დაშვებული, რაც, ჩემი აზრით, იმჟამინდელი ცარისტული პოლიტიკის გავლენის შედეგად უნდა მივიჩნიოთ.

სწორედ ამის ნათელ დადასტურებად უნდა მივიჩნიოთ თუნდაც ის ფაქტი, რომ ა. ჰ. მოუნსი, რუსული კოლონიალიზმის მიერ დამკვიდრებული სტანდარტის გავლენით, ტერმინ საქართველოში ჩვენი ქვეყნის მხოლოდ აღმოსავლეთ ნაწილს მოიაზრებს და არა მთლიანად ქართულ სახელმწიფოებრივ სივრცეს. ნათქვამის დასტურად დავიმოწმებ შესაბამის ციტატას ტექსტიდან:

„სურამის ქედი ქმნის საზღვარს ორ პროვინციას - იმერეთსა და საქართველოს შორის, რომლებიც თავიანთი ბუნებრივი მახასიათებლებით, დღე-დამესავით განსხვავდებიან ერთმანეთის-გან. აქ ჩვენ დამშვიდობება მოგვიზდა ტყებთან და ძღიდარ ბუნებასთან, რათა ასეულობით მილით მოგზაურობა განგვევრობო უნაყოფო მთებითა და მოშიშვლებული მწვერვალებით გარშემორტყმული ხრიოკი ველების გასწვრივ იქ, სადაც ბუნებას სძინავს...“

უფერულ და არასტუმართმოყვარე რეგიონში ხუთ-ექვს საათიანი, თანმიმდევრული მოგზაურობის შემდეგ, ჩვენ პირველ ქართულ ქალაქ გორს მივაღწიეთ, რომელიც ლამაზად არის შეფენილი მაღლობზე და გადმოჰყურებს მდინარე მტკვრის ვრცელ ველებს. აქედან სრულად იშლება დიდებული კავკასიონისა და დიადი იალბუზის მწვერვალი... ტალახის კედლები და თავდაცვითი კოშკები ჯერ კიდევ აკრავს ქალაქს გარს, რაც იმის მანიშნებელია, რომ ქალაქი ადრე უფრო ნაკლებად იყო დაცული, ვიდრე ახლა, ამჟამინდელ მმართველთა ხელში...“

კავკასიაში, მაღალმთიან ადგილებში, ყოველი თოთხმეტი, თხუთმეტი მილის ინტერვალში სადგურებია განთავსებული, იქ მყოფებს კი სოფლის ცხენოსანი მცველებიც შეიძლება ეწოდოთ. ისინი, მსგავსად სპარსი კურიერისა, ჩაფარის სახელით არიან ცნობილნი. მათ მოვალეობაში არა მხოლოდ წესრიგის შენარჩუნება შედის, არამედ უსაფრთხოების მიზნით მოგზაურთა გაცილებაც. ჩემი აზრით, ყველა ისინი წარმოადგენენ ადგილობრივ მცხოვრებლებს, რომლებიც თვითნაკეთი შაშხანებით არიან შეიარაღებულნი... ისინი აგრეთვე ატარებენ კაზაკთა ტანისამოსს და აქვთ გრძელი დანა... მე არასოდეს მქონია შესაძლებლობა მათი გმირობა გამომეცადა, თუმცა გამიგონია, რომ თავდასხმის დროს, რიცხობრივ უმცირესობაში ყოფნის შემთხვევაში, ჩაფრები ნაკლებ ეფექტურები არიან, ეტლითა და ცხენით მგზავრობისას ინციდენტის დროს კი, პირიქით, უაღრესად სასარგებლონი.

პირადად ჩვენ მგზავრობის დროს წვრილ თავადაზნაურთა ექვსი წარმომადგენელი გვახლდა, რომელთაგანაც ორი უმაღვე გაიქცა უახლოეს სოფელში დახმარების სათხოვნელად და მაღლე ისინი ოცდაათ გლეხთან ერთად დაბრუნდნენ. მათ შეძლეს ჩვენი ცხენებისა და ეტლების იქამდე მითრევა, სანამ ჩვეულებრივი გზა დაიწყებოდა“.<sup>1</sup>

<sup>1</sup> Augustus Mounsey. A Journey Through the Caucasus and the Interior of Persia, London, 1872, pp. 33-35.

გარდა მოგზაურობასთან დაკავშირებული ამბების მოთხოვნისა, ა. ჰ. მოუნსის ხსენებული წიგნი სხვა მხრივაც წარმოადგენს უაღრესად მნიშვნელოვან ნაშრომს. კერძოდ, მასში ძალზე საინტერესოდაა წარმოჩენილი არა მხოლოდ საქართველოს, არამედ ზოგადად რუსეთის იმპერიის ყოფით ცხოვრებაში იმხანად არსებული მდგომარეობა. მეტი სიცხადისათვის მოვიყვან შესაბამის ადგილს წიგნიდან:

„საფოსტო გადაზიდვებისათვის კავკასიაში ტელეგა გამოიყენება. იგი შეიძლება დავხასიათოთ, როგორც მართვულხედის ფორმის ყველაზე უხეში ხის ფუთი, რომელიც ოთხ ბორბალზეა შედგმული და მხოლოდ ერთ მგზავრს იტევს და სამგზავროდ უაღრესად არაკომფორტულია. იგი კარგ გზებზეც კი ჯაყჯაყებს და ყოველგვარ უუფუნებას არის მოკლებული... ერთხელ, ჩემმა მეგობარმა მსგავსი ტრანსპორტით თბილისიდან სანკტ-პეტერბურგამდე იმზავრა; ცხრა დღე--ღამის მოგზაურობის შემდეგ, დანიშნულების ადგილზე მისვლისას, იგი ცოცხალ-მკვდარი გადმოვიდა ტელეგიდან... მსგავსი ტრანსპორტით სამოც-სამოცდათსაათიანი მოგზაურობა რუსეთში ჩვეულებრივ მოვლენად ითვლება.

უკეთეს შემთხვევაში არსებობს მგზავრთა ოთახები, რომლებიც ხის საწოლით, ბუხრით, ან ღუმელით, გამონაკლის შემთხვევაში კი მაგიდითაც და სკამებითაც არის კეთილმოწყობილი. ფანჯრებს აქვს ჩარჩო, რომლებშიც ხანდახან მინაც არის ჩასმული. ფოსტის მოხელე ვალდებულია ერთჯერადად მოიტანოს შეშა და გაახუროს ღუმელი, მაგრამ თუკი ამის საჭიროება კიდევ შეიქნა, მაშინ დამატებითი თანხა იქნება გადასახდელი. იგი ასევე ვალდებულია შემოგთავაზოთ სამოვარი, რომელიც ნახშირით თბება და წარმოადგენს საუკეთესო მოგზაურებას წყლის სწრაფად გასაცხელებლად. ფუურუნების ყველა ამ საგნით მგზავრი, რომლისთვისაც მოგზაურობის იდეა მჭიდროდ არის დაკავშირებული პირველი კლასის სალონის მქონე კუპესთან და ფეშენებელურ სასტუმროსთან, აუცილებლად იგრძნობს თავს ისე, როგორც საკუთარ სახლში და გაატარებს საოცარ ღამეს...

ქვეყნის მმართველის ადიუტანტთან (A. D. C. of the Governor of the country) ერთად მგზაურობის შედეგად მე ზემოთ აღნიშნული არაერთი დისკომფორტი ავიცილე თავიდან. თუმცა, მიუხედავად ამ სასიამოვნო გარემოებისა, ჩვენი მგზავრობა დაუბრკოლებლად მაინც არ წარმართულა. ქუთაისის დატოვება 27-ში (დეკემბერს - ო. 6.) ოოვლსა და ქარბუქში მოგვიწია, რის გამოც გზის პირველი მონაკვეთის გავლას ოთხი საათი მოვანდომეთ.

მეორე დღეს ქარი ჩადგა და წინ გადაიშალა მშვენიერი ქვეყანა. ჩვენ ავუყევით რიონის ქარიან ნაპირებსა და მთებს, რომლებიც ყვავილებთან ერთად დაფარული იყო ციხე-კოშკებისა და ეკლესიების ნანგრევებით. ერთი მონაკვეთი ძალიან ცუდი შეგვხვდა... თვით ჩემი მეგობრის კომფორტულ ვაგონშიც კი იგრძნობოდა ძალზე ძლიერი რყევა. სწორედ ამის შემდეგ დავიწყეთ ასვლა 3000 ფუტის სიმაღლეზე მდებარე სურამის ქედზე<sup>1</sup>!

დასასრულ კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, რომ ა. ჰ. მოუნსის ხსენებული წიგნი უდავოდ წარმოადგენს ერთ-ერთ საინტერესო წერილობით დოკუმენტს შესაბამისი პერიოდის საქართველოში არსებული მდგომარეობის შესასწავლად. მიუხედავად იმისა, რომ ბრიტანელი დიპლომატი კონკრეტული ქალაქისა და რეგიონის დეტალურ აღწერასა და შეფასებას იშვიათად ახდენს, მის მიერ მოწოდებული ცნობები გარკვეულწილად მაინც წარმოადგენს მეტ-ნაკლებად ფასეულ მასალას შესაბამისი პერიოდის ჩვენი ქვეყნის ისტორიის შესასწავლად.

<sup>1</sup> Augustus Mounsey. A Journey Through the Caucasus and the Interior of Persia, London, 1872, pp. 28-31.

*Otar Nikoleishvili*  
*Akaki Tsereteli State University*  
**ONE BRITISH MATERIAL ABOUT GEORGIA**  
**RESUME**

Georgia, because of its strategic location and importance, have always been under the special interests of the foreign visitors. One of those persons was a British diplomat and traveler Augustus Henry Mounsey (1834–1882). During his career, Augustus Henry Mounsey served as a diplomat in Portugal, Germany, Austria and Japan.

He visited our country in the winter of 1865-1866. He described impressions of this journey in his book “A Journey Through the Caucasus and the Interior of Persia, which was published in London in 1872. Besides this, that he traveled around almost whole Georgia, he didn’t give us the detailed information about cities and regions of our country.

As it known, Augustus Henry Mounsey’s above-mentioned book is not widely-studied for the researchers of the history of Georgia. That’s why, we can say, that the author’s description and opinions are very valuable for the study of the history of that period of our country.

გიორგი სოსიაშვილი  
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

**გორის არქივში დაცული ივანე ჯავახიშვილის ერთი უცნობი წერილის შესახებ**

1921 წლიდან, საქართველოს ოკუპაციის შემდეგ ქვეყანა ბოლშევიკურმა ტერორმა მოიცვა. საბჭოთა ხელისუფლების რეპრესიები თავს დაატყდა საზოგადოების ყველა ფენას. ძალადობრივი გზით დამყარებული რეჟიმის სუსტი იგრძნეს მწერლებმა, მეცნიერებმა სასულიერო მოღვაწეებმა.<sup>1</sup> ბოლშევიკები ფიზიკურად უსწორდებოდნენ განსხვავებული პოლიტიკური შეხედულების მქონე ადამიანებს. ქონებას ართმევდნენ შეძლებულ გლეხებს. რომელთაც საარჩევნო ხმის უფლებაც ეპრძალებოდათ.<sup>2</sup> სოფლის კრების მიერ გამოტანილი განაჩენი ხშირად ხელისუფლებისათვის არასაიმედო ადამიანების გადასახლების მიზეზი ხდებოდა.<sup>3</sup> ბოლშევიკური ტერორი თავს განსაკუთრებით თავად-აზნაურებს დაატყდათ. წარჩინებულ საგვარეულოთა წარმომადგენლები საზოგადოებისათვის მავნე პირებად იყვნენ მიჩნეულნი. ამ პერიოდის დოკუმენტებში, რომლებიც რეპრესირებულ თავად-აზნაურებს ეხება, ქონებაჩამორთმეული ადამიანების დასჯის მთავარ მიზეზად აღნიშნულია: “როგორც თავადი და დაუძინებელი მტერი მშრომელებისა”, “როგორც თავადი და ხალხის მოუსვენარი მტერი და არა მუშა”, ან “მსხვილი მემამულე, ხალხის მტერი და თვით არა მუშა”, “როგორც მავნე პირები საზოგადოებისათვის“.

საზოგადოებისათვის მავნებლებად გამოცხადებულ ადამიანებს ართმევდნენ მიწას, საცხოვრებელ სახლს, უძრავ-მოძრავ ქონებას, პირუტყვს.<sup>4</sup> გასაბჭოების შემდეგ რეპრესიების მძიმე დარტყმა მიიღო ქართულმა ინტელიგენციამ. ბოლშევიკური ხელისუფლება ქონებას ართმევდა: მწერლებს, მეცნიერებს, საზოგადო მოღვაწეებს. “არასაიმედო” ინტელექტუალური ელიტის არაერთი წარმომადგენელი სწორედ ასეთი ტერორის მსხვერპლი გახდა. გამონაკლისი ამ მხრივ, არც ქართული საისტორიო მეცნიერების ფუძემდებლის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამაარსებლის ივანე ჯავახიშვილის ოჯახი აღმოჩნდა. გორის რაიონულ არქივში დაცული დოკუმენტები ნათელ წარმოდგენას გვიქმნის იმ მძიმე წნების შესახებ, რომელშიც დიდი მეცნიერი იყო მოქცეული. როგორც ჩვენს ხელთ არსებული დოკუმენტებიდან ჩანს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის ქონების რეკვიზიცია, ჯერ კიდევ მნიშვიგური ხელისუფლების დროს განუხორციელებიათ.\* სოფელ ხოვლეში ივანე ჯავახიშვილის კუთვნილ სახლში მეწარმე სკოლა გახსნეს, ხოლო ბოლშევიკური ხელისუფლების დამყარების შემდეგ სკოლასთან ერთად ჯავახიშვილების საცხოვრებელში ბინა დაიდო ადგილობრივმა რევკომმა. სახლის დაბრუ-

<sup>1</sup> გ. სოსიაშვილი, საბჭოთა ხელისუფლების ანტირელიგიური პოლიტიკა შიდა ქართლში, (XX საუკუნის 20-იანი წლები), დოკუმენტები გამოსცა, შესავალი და შენიშვნები დაურთო პროფ. გიორგი სოსიაშვილმა, თბ., 2013, გვ. 455.

<sup>2</sup> გ. სოსიაშვილი, დიცის ისტორია, თბ., 2011, გვ. 49.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 43.

<sup>4</sup> გ. სოსიაშვილი, XX საუკუნის I მეოთხედის უცნობი დოკუმენტები ივანე ჯავახიშვილის ცხოვრების შესახებ, "ანალები" № 9, 2013, გვ. 76. გ. სოსიაშვილი, შიდა ქართლის ისტორიის საკითხები, თბ., 2011, გვ. 9.

\* საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის არსებობის პერიოდში 1918-1921 წ.წ რა დროს ჩამოართვეს ხოვლეში არსებული საცხოვრებელი სახლი ივანე ჯავახიშვილს უცნობია. დიდი მეცნიერი პირველი რესპუბლიკის დროს აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობას ეწეოდა, მან მონაწილეობა მიიღო ეროვნული დროშისა და სახელმწიფო გერბის შემუშავებაში, ჩართული იყო განათლების რეფორმისა და საბუზემზო საქმის განვითარებაში, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ ივანე ჯავახიშვილი 1919 წელს პარიზის საზავო კონფერენციაზე გასაგზავნი დელეგაციის წევრადაც შეარჩია. თუმცა, აღნიშნულ კონფერენციაზე მისი გამგზავრება ვერ მოხერხდა. ო. ჯანერლი, ივანე ჯავახიშვილის კვალდაკვალ, თბ., 2018, 27-31.

ნების შესახებ 1922 წლის 15 აგვისტოს ივანე ჯავახიშვილმა თხოვნით მიმართა შინაგან საქმე-თა სახალხო კომისარს. წერილში ვკითხულობდა:

“შინაგან საქმეთა კომისარს ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის პროფ. ივ. ა. ჯავახიშვილის

### განცხადება

გორის მაზრის სოფ. ხოვლეში მაქვს სახლი თავის კარმიდამოთი, რომელშიც სოფლის სკოლა მოათავსეს და რეგაომიც არის ჩამდგარი. ღობე აღებულია და დამწვარი. აქ-იქ მოავირის ნაწილებიც შეშად დაუწვათ, ფანჯრებითგანაც მინები ამოუღიათ. ერთი სიტყვით სახლი მთლად გაცარცული და განადგურებულია. რადგან სახლი მე მჭირდება მაგის მეტი არა მქონდა რა, ამიტომ გთხოვთ განკარგულება გასცეთ, რომ ჩემი სახლი დაუყოვნებლივ განათავისუფლოს რევ-კომმა და სკოლამ. სკოლისათვის სხვა შენობა იყო ნაყიდი და ფული ჰქონდათ მიღებული შენობის ასაგებად, თუ ფული დახარჯეს და სახლი არ ააშენეს, ეს მათი ბრალია და არა ჩემი. ამას გარდა ვითხოვ იმ აუნაზღაურებელ ზარალის მაგიერ საშუალება მომეცეს ჩემი წინათ საუცხოვოდ და ყოველისფრით მოწყობილი სახლი, აწ გაცარცულ-განადგურებული იმდენად მაინც აღ-... (ამ ადგილზე დოკუმენტი დაზიანებულია და სიტყვა არ იკითხება, სავარაუდოდ უნდა ეწეროს “აღდგეს”-გ. ს) რომ შიგ დგომა და ცხოვრება შეიძლებოდეს. ხორკლიანი მავთულით და ძემვით იყო გაკეთე(დოკუმენტი ამ ადგილზეც დაზიანებულია და სიტყვა ბოლომდე ვერ იკითხება-გ. ს) ეხლა უბრალო ფიჩის ღობე მაინც იქმნეს შემოვლებული. მხოლოდ სამეცნიერო და საზოგადოებრივ ასპარეზზე მომუშავეს ჩემი სოფელში მყოფი სახლი ერთადერთი საზაფხულო მყუდრო კუთხე მქონდა და სადაც მუშაობით დაღლილსა და ქალაქის პარიო მობეზრებულს ორი-სამი თვის განმავლობაში დასვენება შემძლო. ოთხი ზაფხული შესრულდა, მეხუთე მიდის, რაც არ დამისვენნია. გთხოვთ, სათანადო განკარგულებას, რომ ჩემი სახლი დამიბრუნდეს.

სახელ. უნივერსიტეტის რექტორი პროფ. ივ. ჯავახიშვილი 1922. 15. VIII<sup>1</sup>

ივანე ჯავახიშვილის მიერ ხელისუფლებისადმი გაგზავნილ წერილს რეზოლუციის სახით მიწერილი აქვს:” კომუნალურს დაჩქ. (კომუნალურს დაჩქარებით). 16. VIII. როგორც ჩანს, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა დიდი მეცნიერის წერილი განსახლილველად კომუნალურ განყოფილებას გადასცა. კომუნალურმა განყოფილებამ ივანე ჯავახიშვილის თხოვნა დადებითად გადაწყვიტა და, სავარაუდოდ, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს სპეციალური სამსახურებრივი ბარათიც წარუდგინა. ამის თქმის საფუძველს გვაძლევს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისაგან გორის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის სახელზე 1922 წლის 31 აგვისტოს გაგზავნილი წერილი:

“გორის აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარეს.

გიგზავნით რა ამასთანავე ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის პროფესორ ივანე ჯავახიშვილი განცხადებას განკარგულებისათვის, გთხოვთ მიიღოთ მხედველობაში ხსენებული ჯავახიშვილის ერთის მხრივ უანგარო საზოგადოებრივ მოღვაწეობა სამეცნიერო დარგში და მეორეს მხრივ მისი ქონებრივი შევიწროება, რომელიც ამ უამად გართულებულია, მისი ავადობიდაც, და ამოვწუროთ ყოველი საშუალება, რათა ამ განცხადებაში აღნიშნული სახლი თავის კარმიდამოთი დაგებრუნოს მას სრულ განკარგულებაში, და შედეგი ამისა მაცნობოთ, რაც შეიძლება დაჩქარებით.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი შალვა ტალახაძე

საქმეთა მმართველი (გაურკვევლად არის ხელმოწერა, სავარაუდოდ უნდა იყოს ცინკაბე)

კომუნალური განყ. გამგე პ. კიზირია.<sup>1</sup> ვიდრე შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისაგან გან გამოგზავნილი წერილი გორის აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომაზე განი-

<sup>1</sup> საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანო, გორის რაიონული არქივი, ფონდი, № 3, საქმე №11, აღწერა №2, გვ. 29-30.

ხილებოდა გორის აღმასრულებელი კომიტეტის თამვჯდომარეს აღნიშნულ წერილზე რეზოლუციის სახით მოუწერია:

“ერთი რომ სახლი მენშევიკების ყოფილი მთავრობის დროს იყო ჩამორთმეული მეორე რომ ადგილობრივ გლეხებს შორის გამოიწვევს დიდ აღელვებას და მესამე ერთად ერთი სახლია სადაც შეოლდა არის მოთავსებული და სხვა სახლი იქ არ არის სკოლისათვის. პრეზიდიუმის სხდომაზე ქურდაძე. <sup>1</sup> აღნიშნული მინაწერიდან უნდა დავასკვნათ, რომ გორის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ქურდაძემ ივანე ჯავახიშვილის ქონების საკითხი განსახილველად ადგილობრივ პრეზიდიუმს გადასცა. გორის აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომა, რომელსაც ივანე ჯავახიშვილის ქონებასთან დაკავშირებით შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი-ატიდან გამოგზავნილი წერილი უნდა განეხილა 1922 წლის 12 სექტემბერს ჩატარდა. სხდომას თავმჯდომარეობდა მოწონელიძე. თამჯდომარის გარდა სხდომას ესწრებოდა ზუთი წევრი, გიორგაძე, ქურდაძე, ბუხნიკაშვილი, იანოვიჩი, ყანჩელი. აქედან სხდომის მდივანი იყო-გრიგოლ ყანჩელი.

გორის სამაზრო აღმასკომის პრეზიდიუმის სხდომის ოქმის: “ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის პროფესორ ჯავახიშვილის სახლის დაბრუნების შესახებ”, დადგენილების ნაწილში კვითხულობთ: “დაადგინეს: ვინაიდან პროფესორ ივანე ჯავახიშვილის სახლი ჯერ კიდევ ყოფილ მენშევიკების მთავრობის მიერ ყოფილა რეკვიზიციით ჩამორთმეული და მის უკან დაბრუნებით ადგილობრივ გლეხებს შორის გამოიწვევს დიდ აურზაურს და უკამაყოფილებას და მესამე სახლში მოთავსებულია შრომის სკოლა და მისი დახურვა შეუძლებელია, რადგან სხვა შესაფერისი შენობა სკოლისათვის სოფ. ხოვლეში არ მოიპოვება, ამიტომ სახლის დაბრუნებაზე უარი ეთქვას”.<sup>2</sup> 3 გორის აღმასრულებელ კომიტეტს პრეზიდიუმის დადგენილების ასლი შინაგან საქმეთა სახალხო კომისარისთვის გაუგზავნია:

“შინაგან საქმეთა სახალხო კომისარს

თქვენს ა/წ აგვისტოს 31 № 8806 მოწერილობაზე ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ ივანე ჯავახიშვილისათვის სახლის დაბრუნების შესახებ გიდგენთ გორის სამაზრო აღმასკომის პრეზიდიუმის დადგენილების ასლს მოგახსენებთ, რომ აღმასკომის შეუძლებლად მიაჩნია სახლის უკან დაბრუნება. აღმასკომის თავმჯდომარე:

მდივნი:<sup>4</sup> (აღნიშნული ტექსტი ფინქრით არის ნაწერი, სადაც არ არის მითითებული არც აღმასკომის თავმჯდომარის და არც მდივნის ვინაობა. როგორც ჩანს, ეს დოკუმენტი შინაგან საქმეთა კომისართან გასაგზავნი წერილი პროექტია. გაზავნილი ვარიანტი ჯერ მიკვლეული არ არის. არ გამოვრიცხავთ, რომ ცენტრალური ხელისუფლება ოფიციალური წერილებით (იგნე ჯავახიშვილის დასარწმუნებლად) გორის აღმასკომის ავალებდა დიდი მეცნიერის სახლის დაბრუნების საკითხის განხილვას და დადებითად გადაწყვეტას, ხოლო ირიბად ის ქონების დაბრუნებას ძალით აჭიანურებდა. გორის რაიონულ არქივში კიდევ ერთი დოკუმენტია დაცული, რომელიც ახალქალაქის თემის აღმასკომის პრეზიდიუმის სხდომის ოქმის ამონაწერს წარმოადგენს. როგორც ირკვევა, სხდომა 1923 წლის 3 მარტს ჩატარებულა.

“ამონაწერი ახალქალაქის თემის აღმასკომის პრეზიდიუმის ოქმიდან 1923 წ. 3 მარტის კრებისა. ივანე და გიორგი ალექსანდრეს ძე ჯავახიშვილის სახლის ჩამორთმევის შესახებ. მოისმინეს: ხოვლის სასწავლებლის შენობა, რომელიც ეკუთვნილა ივანე და გიორგი ალექსანდრეს ძე ჯავახიშვილებს, რომელი შენობაც გამოირკვა, რომ სოფ. ხოვლისათვის დიდ საჭიროებას წარმოადგენს, დაადგინეს: ჩამორთმეული იქნას ჯავახიშვილების სახლი და გადაეცეს ხოვლის

<sup>1</sup> საქართველოს არქივის ტერიტორიული ორგანო, გორის რაიონული არქივი, ფონდი, № 3, საქმე №11, აღწერა №2, გვ. 28.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 28.

<sup>3</sup> იქვე, ფონდი №3; ანაწერი 1, არქივი 12; ოქმი №29, გვ. 47-49.

<sup>4</sup> საქართველოს არქივის ტერიტორიული ორგანო, გორის რაიონული არქივი, ფონდი, №3, საქმე №11, აღწერა №2, გვ. 27.

სასწავლებელს აღმასკომის განკარგულებაში". დოკუმენტს ხელს აწერს აღმასკომის თავმჯდომარე ჩიტიაშვილი და მდგვანი მეზურნოვი. პრეზიდიუმის სხდომა, როგორც აღვნიშნეთ ჩატარდა 1923 წლის 3 მარტს, ხოლო სხდომის ოქმის ამონაწერი შედგენილია 1924 წლის 15 აპრილს.<sup>1</sup> იმ მიზნით, რომ ივანე ჯავახიშვილს საცხოვრებელი სახლი არ დაბრუნებოდა, ცენტრალური ხელისუფლების მითითებით ადგილობრივმა თემის აღმასრულებელმა კომიტეტმა კიდევ უფრო გაართულა ქონების გადაცემის საქმე. ახალქალაქის თემის აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის გადაწყვეტილებას ადასტურებს ერთი დოკუმენტიც, რომელიც ახალქალაქის თემში ქონებაჩამორთმეული მემამულების ნუსხაა. აღნიშნულ ნუსხაში მითითებული არაან ივანე და გორგი ჯავახიშვილები, რომელთაც აღმასკომის 1923. III, №14 გადაწყვეტილებით საცხოვრებელი სახლი ჩამოერთვათ. შენიშვნაში აღნიშნულია, რომ მათი სახლი დანგრეული იყო. ეს ერთგვარი ხრივი იყო, იმისათვის, რომ ხელისუფლებას მთავრობის ერთ-ერთი დადგენილების თანახმად ჯავახიშვილების საცხოვრებლის ჩამორთმევა და მისი სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემისათვის გამართლება მოეძებნა.<sup>2</sup> არსებობს კიდევ ერთი დოკუმენტი, საიდანაც ჩანს, რომ ჯავახიშვილების საცხოვრებელი ხელისუფლებამ ხოვლეს სკოლას გადასცა, საბუთს აწერია: "გორის რაიაღმასკომების გამგებლობაში მყოფი როგორც სახელმწიფო, ისე ჩამორთმეული ყველა ქონება". აღნიშნულ ნუსხაში დასახელებულია ხოვლეში მცხოვრები გიორგი ჯავახიშვილი (ივ. ჯავახიშვილის უმცროსი ძმა), რომელსაც მიწის რევკომის №14 გადაწყვეტილებით ჩამოერთვა სახლი (სწორედ ის საცხოვრებელი, რომელსაც ეხება ზემოთ წარმოდგენილი დოკუმენტები) 2 წისქვილი, ვერმორელის აპარატი 1 ცალი, დოკუმენტს ახლავს შენიშნული, სადაც აღნიშნულია, რომ ჯავახიშვილების საცხოვრებელი გადაეცა ხოვლეს სკოლას.<sup>3</sup> დოკუმენტი 1924 წლით თარიღდება. ივ. ჯავახიშვილის ცხოვრების და შემოქმედების მკვლევარი ს. ჯორბენაძე, იმ პერიოდში არსებული პოლიტიკური კონიუქტურის პირობებიდან გამომდინარე გვერდს უვლის იმ წენებზე საუბარს, სადაც დიდ მეცნიერს უხდებოდა მოლვაწეობა. ს. ჯორბენაძე წერს: "საბჭოთა ხელისუფლება საქართველოში ვ.ი. ლენინის პირდაპირი მითითებით ახორციელებდა ფრთხილ, ფაქიზ დამოკიდებულებას ქართველი ინტელიგენციისადმი და, გასაგებია, მისი ყველაზე დიდი კერის – თბილისის უნივერსიტეტისადმი".<sup>4</sup> საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ივ. ჯავახიშვილი შეხვდა მთავრობის წარმომადგენლებს და როგორც ს. ჯორბენაძე აღნიშნავს, ხელისუფლებისაგან გარკვეული გარანტიები მიიღო. მამა ორახელაშვილმა ივ. ჯავახიშვილს სრული ხელშეუხებლობა აღუთქა. <sup>5</sup> თუმცა, ხელისუფლებასა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის ურთიერთობა მაღლ შეიცვალა. ს. ჯორბენაძე ურთიერთობის დაძაბვის მიზეზად განათლების სახალხო კომისარიატის მიერ წამოწყებულ რეფორმას მიიჩნევს, რაც უმაღლესი სასწავლებლების მოწყობის თვალსაზრისით ივ. ჯავახიშვილის მოსაზრებებს ეწინააღმდეგებოდა. სწორედ ეს გახდა იმის საფუძველი, რომ ივანე ჯავახიშვილმა 1923 წლის 26 იანვარს რექტორის თანამდებობა დატოვა. თუმცა, უნივერსიტეტის პროფესურის დიდი მონდომებით და განათლების სახალხო კომისარის დ. კანდელაკის ჩარევის შემდეგ ივანე ჯავახიშვილი 1923 წლის 30 მარტს კვლავ რექტორი გახდა. ივანე ჯავახიშვილის პროტესტი მარტოოდენ განათლების სისტემაში დაწყებული რეფორმით არ იყო განპირობებული. ბოლშევიკური ხელისუფლება დაუფარავად დევნიდა მეცნიერს, რისი საფუძველიც დიდი მამულიშვილის მკაფიოდ გამოხატული ეროვნული პოზიცია და შეუგალი პრინციპები იყო. სახალხო განათლების კომისარის თხოვნა ივანესადმი დათანხებულიყო რექტორად არჩევას, განპირობებული იყო ქართველი ინტელიგენციის განწყობის გათვალისწინებით, ხელისუფლება მოერიდა უნივერსიტეტში თავმოყრილი ინტელექტუალური

<sup>1</sup> გორის სახელმწიფო არქივი, ფონდი №3; საქ. №25, აღწერა №1, გვ. 21.

<sup>2</sup> გ. სოსიაშვილი, XX საუკუნის I მეოთხედის უცნობი დოკუმენტები ივანე ჯავახიშვილის ცხოვრების შესახებ, გვ. 79.

<sup>3</sup> გორის სახელმწიფო არქივი, ფონდი №3; საქ. №101, აღწერა №1, გვ. 9.

<sup>4</sup> ჯორბენაძე ს., ცხოვრება და ღვაწლი ივანე ჯავახიშვილისა თბ., 1984, გვ. 276.

<sup>5</sup> ჯორბენაძე ს., ცხოვრება და ღვაწლი ივანე ჯავახიშვილისა თბ., 1984, გვ. 276.

ელიტის წინააღმდეგ ღია მოქმედებას, ეს კომპრომისი გარკვეული ტაქტიკით იყო ნაკარნახევი. დიდი მეცნიერის წინააღმდეგ ბოლშევიკურმა ხელისუფლების მიერ წამოწყებულმა კამპანიამ პიქს 30-იან წლებში მიაღწია.<sup>1</sup> სწორედ ამ დროს მიმდინარეობდა ივ. ჯავახიშვილის “შხილება”, რასაც მისი უნივერსიტეტიდან გაძევება მოჰყვა.

*Giorgi Sosiashvili*

*Gori State Teaching University*

**ABOUT ONE UNKNOWN LETTER BY IVANE JAVAKHISHVILI  
PRESERVED IN GORI ARCHIVES  
RESUME**

Georgia had been the subject to repression since the 25<sup>th</sup> of February in 1921 after its occupation. The Bolsheviks started persecuting of the people having different political opinions. Repressions were especially severe towards the people belonging to noble families. The great Georgian historian Ivane Javakhishvili could not avoid of the Bolsheviks' terror as well. Certain documents protected at Gori Region Archive confirm that the own house of the founder of Tbilisi State University was given to the school in the village of Krovle.

---

<sup>1</sup> გურული ვ., ივანე ჯავახიშვილის, უნივერსიტეტისა და საქართველოს ტრაგედია 1930-1936 (დოკუმენტები და მასალები) კრებულში: „პოეტური სულის მეცნიერი, გიორგი ნადირაძე 80“, თბ., 2012, გვ. 127-148.

## ზოგიერთი საკითხი გრიგოლ გველესიანის საზოგადოებრივ-პოლიტიკური წახნაგებიდან

თვალსაჩინო პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე გრიგოლ ივანეს ძე გველესიანი (1870-1926 წწ.) მთელი სიცოცხლის მანძილზე მეტად ნაყოფიერ შემოქმედებით საქმიანობას ეწეოდა. თავისი მრავალრიცხოვანი პუბლიცისტური წერილებით, კულტურულ-საგანმანათლებლო და სხვადასხვა საზოგადოებრივი საქმიანობით, იგი მაშინდელი ცხოვრების პირუთვნელ მემატიანედ წარმოგვიდგება. არ დარჩენილა მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი და აქტუალური საკითხი, რასაც გრიგოლ გველესიანი თავის პუბლიცისტურ წერილებში არ შეხებია.

აი, როგორ შეფასებას აძლევდა მის საქმიანობას პუბლიცისტი გ. მებუკე: „ გრიგოლ გველესიანის უურნალისტური მოღვაწეობა იყო უმწიკვლო და უანგარო, საზოგადოებრივი ინტერესების და საზოგადო საქმისადმი ერთგულებით ნაკარნახევი. მან პირველმა წამოჭრა მთელი რიგი საკითხები, რომლებიც იმ დროისათვის პროგრესულ სულისკვეთებას ამჟღავნებდნენ. მისი პუბლიცისტური წერილები, ეკონომოკური და უფლებრივი ნაკვევები დიდი ერუდიციით იყო დაწერილი და მათ ფართო გამოხმაურება ქონდა. გრიგოლ გველესიანის აინტერესებდა ჩვენი ცხოვრებისა და კულტურის ყოველი მხარე. იგი მთელი ათეული წელი ჩვენი მაშინდელი ცხოვრების მემატიანე იყო. მან იცოდა საინტერესო წერილების წერა და საჭიროოროტო საკითხებზე ყურადღების გამახვილება, რაც მაშინდელი ქართული საზოგადოების დიდ ნაწილს გულში ხვდებოდა... გრიგოლ გველესიანი იმდროინდელ ქართულ მწერლობაში თითქმის ერთადერთი პუბლიცისტი იყო, რომელიც მოწინააღმდეგის მიმართ ლანძღვა-გინებას არ მიმართავდა, დინჯი და პატივისცემით აღსავსე კილო ჰქონდა“<sup>1</sup>.

1918 წლის 22 აპრილს ამიერკავკასიის სეიმის მიერ ახალი სახელმწიფოს – ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის (საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი) – შექმნას გრ. გველესიანი გაზეთ „ხალხის მეგობარში“ ვრცელი წერილით „ამიერ-კავკასიის და-მოუკიდებლობა“ გამოეხმაურა<sup>2</sup>.

გრ. გველესიანი აღნიშნავდა, რომ ამიერკავკასიის ნორჩი სახელმწიფოს დამოუკიდებლობის მტრად სოციალ-დემოკრატიას ვერ მივიჩნევდით, მაგრამ თვით პარტიის პოლიტიკურ ტაქტიკას ქვეყანა დაღუპვის კარამდე მიჰყავდა. ასეთი ტაქტიკის მატარებელი ქართული სოციალ-დემოკრატია ვერ გახდებოდა ამიერკავკაციის დამოუკიდებლობის დაცვის გარანტი, რადგან იგი რუსეთის ცენტრალურ წეს-წყობილებას მიიჩნევდა კველაზე საუკეთესო და ერთადერთ გზად დემოკრატიის გაერთიანებისა და მისი ინტერესების დაცვისა. პუბლიცისტის თქმით, მარქსისტების ერთი ჯგუფის შეხედულებით, ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის აღიარება „აუცილებლობის იძულებამ“ განაპირობა და ფიქრობდა, რომ იძულების ზეგავლენით მოპოვებული დამოუკიდებლობა „არც ისე დიდი უბედურებას“ წარმოადგენდა.

გრ. გველესიანი აკრიტიკებდა ყველა იმ ადამიანს, ვისაც რუსეთის გარეშე პოლიტიკური არსებობა შეუძლებლად მიაჩნდა. მისი აზრით, ასეთ ხალხს მონობის შხამი ისე გასჯდომია ძვალ-რბილში, რომ მათთვის ყოველივე ახალი უცხო და მიუღებელი იყო. ავტორის თქმით, პოლიტიკური ორიენტაციის საკითხი კვლავ დღის წესრიგში რომ დამდგარიყო, ქართველი სოციალ-დემოკრატები, პირს კვლავ რუსეთისკენ იბრუნებდნენ, რადგან პუბლიცისტის განმარტებით, ქართველი სოციალ-დემოკრატები დღიდან თავისი გაჩენისა ებრძოდნენ დამოუკიდებლობას,

<sup>1</sup> მებუკე გ., რევოლუციამდელი ქუთაისის საზოგადო მოღვაწეები, გაზ. „ქუთაისი“, N74, 14 აპრილი. 1962

<sup>2</sup> იხ. გაზ. „ხალხის მეგობარი“, N153, N154, N156, 1918

ამიტომ მათ ვერ დავისახავდით ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის მტკიცე და ერთგულ დამცველად. გრ. გველესიანის შეხედულებით, ქვეყნის დამოუკიდებლობა არც იძულებითი პროცესი და, მით უფრო, არც უბედურება იყო. მისთვის მიუღებელია სოციალ-დემოკრატია პოზიცია, რომ თუ აუცილებლობა არა, დამოუკიდებლობა ჩვენ გვაწყენდა. დამოუკიდებლობას თავისთავად დიდი ღირებულება აქვს, ვინაიდან ეს იგივე თავისუფლებაა; თავისუფლება კი დემოკრატიის, მთელი ერის განვითარების საუკეთესო პირობა და საწინდარია. დამოუკიდებლობა შეუძლებელია ფედერაციის შემაფერხებელი იყოს. მართალია დღეს ცალკე ვართ, მაგრამ ეს ხელის შემშლელი სულაც არ იყო, რომ ხვალ რუსეთს და მთელ მსოფლიოს შევექრათ თავისუფლება კავშირით. ეს დროისა და გარემოების საქმეა. ამიერკავკასიის დამოუკიდებლობა რუსეთის დიდი რევოლუციის შედეგია. ამ გზით მოპოვებულ თავისუფლებას, როგორც ნორჩ მცნარეს, მოვლა-პატრონობა სჭირდება. ეს საქმე კი, შენიშვნავს გრ. გველესიანი, ისეთ საიმედო ხელში უნდა იყოს, „რომელ-შიც მერყეობის ფსიხიკას არ დაუსადგურებია ამ საკითხის მიმართ, რომელსაც უნარი შესწევს მედგრად შეებრძოლოს ყოველ შინაურს თუ გარეშე მტერს ამ დამოუკიდებლობისას. ყოველ შემთხვევაში, ასეთი მედგარი მებრძოლი ის ვერ იქნება, ვისაც რუსეთის ორიენტაცია თავის ურყევ მრწამსათ გარდაუქცევია, ვინაიდან ყოველი სხვა ორიენტაცია, გარდა საკუთარი თავის ორიენტაციისა, დამოუკიდებლობის მომსპობია“<sup>1</sup>.

ამიერკავკასიის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ერთ-ერთ უდიდეს მტრად პუბლიკისტი რუსულ ნაციონალიზმს მიიჩნევდა, რომელიც ვერ ეგუებოდა სხვა ერების მიერ დაწყებულ ბრძოლას თავისუფლებისათვის. არსებითად ველიკორუსული ნაციონალიზმი ვერ ურიგდებოდა და ახაგრულ ერთა ეროვნულ მეობას და მათ ტერიტორიას თავისი „საკულტურო მისიის“ სათარეშოდ თვლიდა<sup>2</sup>.

აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში ბევრია ისეთი, ვინც რუსეთზე ლოცულობს და რუსეთის გარეშე ხსნას ვერსად პოულობს. ისეთ კონსერვატორს, რომელსაც შეჩერებული ჰირი ურჩევნია შეუჩეველ ლხინს, რომ პკითხოთ, თუ რატომ არ მოსწონს დამოუკიდებელი სახელმწიფო ცხოვრება, მყისვე გიპასუხებთ – ჩვენ მათრახის გარეშე, უმფარველოდ ცხოვრება არ შევვიძლია, რადგან რუსეთმა მოგვცა მყუდრო ცხოვრებაო. დიახ, რუსეთმა მისცა მას მყუდრო ცხოვრება, მაგრამ მანვე მოჰკლა მასში ადამიანი და ამას ვეღარ გრძნობს მონურ ცხოვრებაში ხანგრძლივად მყოფი მონა. თავისუფლების ინსტინქტი, გრ. გველესიანის შეხედულებით, ადამიანის ბუნების თანდაყოლილი თვისებაა, მაგრამ თუკი ამ ინსტინქტს ვარჯიში აკლია, ის თანდათან სუსტდება და ჩლუნგდება. ქართველ ერსაც ასე დაემართა. რუსეთის დესპოტური რეჟიმი მასში სისტემატურად კლავდა თავისუფლების ინსტინქტს.

გრიგოლ გველესიანი სამართლიან გულისწყრომას გამოხატავს თანამედროვე ქართველის მიმართ და წერს: „ჩვენ, ცოტა არ იყოს, უცნაურობის წინაშე ვდგევართ: ქართველი კაცი, რომელიც ომის შორეულ ასპარეზზე დიდს სიმამაცეს იჩენდა, დღეს იგი - სულით დაძაბუნებული, თითქოს გარეშე პასიური მაყურებელია სამშობლოს უბედურებისა“<sup>3</sup>.

მისი აზრით, საკუთარი ერის მიმართ ასეთი განწყობით ყოფილა გამსჭვალული ქართველ სოციალ-დემოკრატია სოციალურ-პოლიტიკური მოძღვრება, რომლებიც სამშობლოს ალმაცერად უცქერენ. მათ ანტიქართული პროპაგანდით შეძლეს, რომ დღეს ქართველებს მამულიშვილური ინსტინქტები მოუდუნეს. პუბლიცისტის განმარტებით, ქვეყნის სიყვარული იმდენად განელებულა, რომ წმინდა მოქალაქეობრივ მოვალეობად აღარავინ მიიჩნევდა, ერის დაცვას იმ ცეცხლისგან, რომელიც თითქოს ლამობდა მის ერთიანად განადგურებას.

გრ. გველესიანი აღნიშნავს, რომ ამიერკავკასიამ უარყო რუსული ორიენტაცია, ცეცხლით და მახვილით გაბატონებული იქაური ბოლშევიკური მთავრობა და თვითგამორკვევის გზას დაადგა. ეს საკმარისი იყო ბოლშევიკებისა თუ მობოლშევიკო ჯგუფისთვის, რომ განგაში აეტეხათ.

<sup>1</sup> იხ. გაზ. „ხალხის მეგობარი“, N153, 1918, გვ. 1-2

<sup>2</sup> იხ. გაზ. „ხალხის მეგობარი“, N156, 1918, გვ. 1-2

<sup>3</sup> იხ. გაზ. „ხალხის მეგობარი“, N154, 1918, გვ. 2-3

სახალხო კომისართა საბჭომ პროტესტით მიმართა ამიერკავკასიის სეიმს – როგორ გაბედეთ ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების უკუგდება, დამოუკიდებლობის გამოცხადება და საზავო მოლაპარაკების ცალკე დაწყება<sup>1</sup>. ბოლშევიკები იმუქრებიან და მუქარა სისრულეში მოჰყავთ კიდეც, ორ განაპირა ქალაქს – ბაქოს და სოხუმს უკეთ მოადგნენ და ცდილობენ მთელი ამიერკავკასიის დაპყრობას და ბოლშევიკური მთავრობის ხელისუფლებაში მოყვანას. „ამას ეძახიან ისინი თვითგამორკვევას – ჯერ, გინდა-არ გინდა, მე მიცანით და შემდეგ გეძლევათ ნება თვითგამორკვევისაო...“<sup>2</sup>.

როგორც ქართულ ისტორიოგრაფიაშია აღნიშნული, საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის პოლიტიკურმა ძალებმა, მართალია, შეძლეს საბჭოთა რუსეთისგან ჩამოცილება, თუმცა ამიერკავკასიაში დამოუკიდებელი სახელმწიფო არ შექმნილა და საერთაშორისო ასპარეზზე ამიერკავკასია (სამხრეთ კავკასია) კვლავ რუსეთის ტერიტორიად განიხილებოდა<sup>3</sup>.

პეტლიცისტი გულისტკივილს გამოხატავს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოში რუსეთის ბოლშევიკური მთავრობის შემოსევას დიდი სიხარულით ეგებებიან დამოუკიდებლობის მტრები. ავტორს არც სომხეთში გამოცხადებული დამოუკიდებლობა აკიწყდება და დასძენს, რომ დამოუკიდებლობის გამოცხადებით სომხობაშიც დიდი მერყეობას ქონდა ადგილი. მას, როგორც ოსმალეთის საუკუნოვან მტერს, არა სწამს ამ უკანასკნელის მიერ ნაკარნახევი დამოუკიდებლობისა, თუმცა აქვე შენიშნავს – დამოუკიდებლობის გამოცხადება უოსმალეთოდაც მოხდებოდა, თუკი სომხეთი საზოგადო მოღვაწენი სომხეთის საკითხის გადაწყვეტას საერთაშორისო მფარველობას ანდობდნენ. უკანასკნელ პერიოდში რუსეთისა და ოსმალეთის სომხებმა რუსეთისკენ დაიწყეს ცქერა, რადგან ხსნას მისგან მოელოდნენ. ავტორის აზრით, რუსეთის მიმართ ასეთი განწყობა ტრადიციულად დღესაც გრძელდება, იმის მიუხედავად, რომ დიდი რუსეთი, როგორც საფრთხე ოსმალეთისა, უკვე აღარსად არის. „მათ აკიწყდებათ, რომ პოლიტიკურად და ეკონომიკურად ერთიანად დამხობილ-დაწერილი რუსეთი თვით საჭიროებს შველას და არავისათვის საშიშროებას ვეღარ წარმოადგენს. მათ აკიწყდებათ, რომ პოლიტიკური დამოუკიდებლობა, განმტკიცებული და გამაგრებული სხვადასხვა გარანტიებით, თავისთვავად დიდი ღირებულებაა და უკეთესი პირობაა ერის კეთილდღეობისა“<sup>4</sup>. გარეშე მფარველს ყოველთვის სჯობს შინაური ზავი და სოლიდარობა

<sup>1</sup> ბრესტ-ლიტოვსკის 1918 წლის 3 მარტის საზავო ხელშეკრულებაში აისახა რუსეთ-ოსმალეთის დაპირისპირება საქართველოს ისტორიული ტერიტორიის მიმართ I მსოფლიო ომისა (1914-1918) და ომისშემდგომ პერიოდში. I მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ (1914) სამხრეთ-დასავლეთი საქართველო დიდი პოლიტიკის ფურადღების ცენტრშია. ამ დროისთვის რუსეთი ანტანტის სამხედრო-პოლიტიკური ბლოკის, ხოლო ოსმალეთი სამთა კავშირის წევრი იყო. სამხრეთ კავკასია და, მათ შორის, სამხრეთ-დასავლეთ საქართველო ფრონტისპირა რეგიონს წარმოადგენდა. ოსმალეთის არმია შეეცადა თბილისისა და ბათუმის დაკავებას, მაგრამ რუსეთის არმიის წინააღმდეგობის გამო აღნიშნული ჩანაფიქრი ვერ განახორციელა. შესაძლებელი გახდა საკუთრივ ისტორიული ნაწილის, კერძოდ, აღმოსავლეთ ანატოლიის დაკავება (მსჯელობისთვის იხ. საქართველოს ისტორია, XX საუკუნე, პროფ. ვ. გურულის რედაქციით, თბ., 2003, გვ. 43). რუსეთის 1917 წლის ობერვალის რევოლუციის შემდეგ ქვეყანას დროებითი მთავრობა მართავდა, რომელმაც მარტ-ოქტომბერში შეძლო სამხრეთ კავკასიაში თავისი თურისდიქციის შენარჩუნება, მაგრამ მას შემდეგ, რაც ბოლშევიკებმა დროიბითი მთავრობა დაამსხა (1917 წლის 24-25 ოქტომბერი), ხელისუფლების სათავეში მოსული საბჭოთა რუსეთის მთავრობა უუნარო აღმოჩნდა და ვეღარ შეძლო ამიერკავკასიაში თურისდიქციის შენარჩუნება. საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის პოლიტიკურმა ძალებმა საბჭოთა რუსეთთან ყოველგვარი კავშირი გაწყვიტეს. ასე შეიქმნა 1917 წლის 15 ნოემბერს სამხარეო ხელისუფლების ორგანო ამიერკავკასიის კომისარიატის სახით, რომლის თავმჯდომარეულ უვეგნი გეგეჭკორი იყო (იხ. დოკუმენტი მას დამატებით მომდევ საქართველოს საზღვრები საერთაშორისო ხელშეკრულებებში (1918-1921), თბ., 2013, გვ. 6-7). საბჭოთა რუსეთის მიერ ბრესტ-ლიტოვსკში გერმანიასა და მის მოკავშირებითან (ავსტრია-უნგრეთი, ოსმალეთი და ბულგარეთი) სეპარატული ზავის დადებას განაპირობებდა ის, რომ საბჭოთა რუსეთი, როგორც პოლიტიკურად, ისე ეკონომიკურად მძიმე მდგომარეობაში იყო, ომის გაგრძელება აღარ შეძლო და ვ. ლენინი ხელისუფლების დაკარგვის რეალური საფრთხის წინაშე იდგა.

<sup>2</sup> იხ. გაზ. „ხალხის მეგობარი“, N156, 1918, გვ. 2

<sup>3</sup> გურული ვ., საქართველოს საზღვრები საერთაშორისო ხელშეკრულებებში (1918-1921), თბ., 2013, გვ. 7

<sup>4</sup> გაზ. „ხალხის მეგობარი“, N156, 1918, გვ. 2

მეზობლებთან. გრ. გველესიანი შეუწყნარებლად მიიჩნევს ოსმალებსა და სომხებს შორის ჩამო-ვარდნილ სიძულვილს და საკითხისადმი ასეთ დამოუკიდებულებას შემდეგნაირად ხსნის: „ერთი საქმეა ბრძოლა დესპოტიურ მთავრობასთან და მეორე საქმეა ხალხი, რომელზედაც არ შეიძლება ვსოფათ – ეს ცუდია, ის კი კარგიო“<sup>1</sup>.

რაც შეეხება ამიერკავკასიის მუსლიმებს, იგი დღესდღეობით დამოუკიდებლობას იცავს იმ-დენად, რამდენადაც ეს მის ერთმორწმუნე ოსმალეთს მოუხდება და რომლისადმი ერთგულებაც მან უკვე საკმაოდ დაამტკიცა. დამოუკიდებლობის უპირატესობას მას უკარნახებს მისი პირდაპირი ეკონომიკური ინტერესები, რომელნიც განვითარების შესაფერ პირობებს მოკლებულნი იქნებოდნენ ოსმალეთში, როგორც კულტურულად და ეკონომიკურად ჩამორჩენილ ქვეყანაში. ავტორის თქმით, ძველი რეჟიმის დროს, რუსეთი მუსლიმებისათვის დედინაცვალი იყო და თითქმის ასეთად დარჩა დღემდე, ვინაიდან შესამჩნევი ცვლილებები მათ ცხოვრებაში ამ უკანასკნელმა ვერ შეიტანა. რუსულმა ბოლშევიკურმა ტალღამ კავკასიის მუსლიმები ისეთ დღეში ჩააგდო, რომ კიდევ დიდი ხანია საჭირო, რათა რუსეთზე გული ოდნავ მაინც მოუბრუნდეს.

გრ. გველესიანი ყურადღებას ამახვილებდა და საფუძლობდა ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის დაცვის გარანტიებზე და ასეთად მიიჩნევდა პოლიტიკურ ნეიტრალიტეტს, ანუ კოლექტიურ გარანტიას სახელმწიფოთა მუდმივი ხელშეუხებლობის შესახებ და სახელმწიფოთა რომელიმე კავშირში შესვლას. პუბლიცისტი ერთსაც და მეორესაც შესაძლებლად მიიჩნევს. ყოველი ზომა უნდა იქნას მიღებული იმისათვის, რომ ბათუმის საზავო კონფერენციაზე ან მომავალ კონგრესზე გაფორმდეს ნეიტრალიზაცია ამიერკავკასიისა და თუკი ეს არ მოხერხდა, მაშინ ჩვენი შესვლა რომელიმე კოალიციაში აუცილებელია. ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის დამოუკიდებლობის დაცვის მიზნით გრ. გველესიანს აუცილებლობად მიიჩნევდა მთელი ენერგია და ფიქრი მუდმივი ჯარის შექმნისკენ მიემართა<sup>2</sup>.

ავტორი ამიერკავკასიისთვის დამოუკიდებლობის მინიჭებასა და შენარჩუნებაში ხედავდა ფედერაციის გზით პოლიტიკური ავტონომიის მოპოვებას. მისი განმარტებით, სრული დამოუკიდებლობა და ავტონომია ერთნაირი ღირებულება იყო. იგი აკრიტიკებდა სოციალ-დემოკრატ ცენტრალისტებს, რომლებიც აცხადებდნენ: უკიდურესობამ გვაიძულა, თორემ დამოუკიდებლობას როგორ გამოვაცხადებითო, თითქოს დამოუკიდებლობა ისეთი მავნე და საშინელი რამ ყოფილიყო, რომელსაც ყოველი ჭრათმყოფელი უნდა ერიდებოდეს. გრ. გველესიანის აზრით, ქვეყნას დამოუკიდებლობის მოპოვება იმიტომ უხარის, რომ ამ გზით და ასეთ პირობებში ადვილია საკუთარი პოლიტიკური იდეალების განხორციელება. ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის სიმტკიცეს, ავტორის შეხედულებით, იქ მობინადრე ერთა კრიტიკულ სიტუაციაში საჭირო ერთსულოვნება, სოლიდარობა, შეგნებულად ერთად მოქმედება და ერთად ყოფნა განაპირობებდა. საჭიროა „სასტიკი ბრძოლა ყოველივე ისეთ მოვლენასთან, რაც შეთანხმებით მოქმედებას შეუძლებელ ჰყოფს. ესეც ერთი საწინდარია ჩვენი ნორჩი სახელმწიფოს სიმკვიდრისა!“<sup>3</sup>.

გრიგოლ გველესიანს სამწუხაროდ მიჩნდა ის ფაქტი, ამიერკავკასიის მოსახლეობა მოკლებული იყო, ერთსულოვნებას, აზრისა და მოქმედების მთლიანობას, რაც ხელს უშლიდა ახალი პოლიტიკური რეჟიმის განმტკიცებას. ერთა შორის შეუღლისა და განხეთქილების გაღვივებას, განსაკუთრებით თვითმპყრობელობითი რეჟიმის ქვეყნებში, ბევრი რამ უწყობდა ხელს. ავტორის თქმით, დემოკრატიული წეს-წყობილების პირობებში ხელისუფლების მთავარი მიზანი უნდა ყოფილიყო ისეთი პოლიტიკის გატარება, რაც გამოიწვევდა ერთა შორის გამთიშველ ძალთა წინააღმდეგ სასტიკი ბრძოლას მათ სრულ დამარცხებამდე.

ასეთია გრიგოლ გველესიანის ვრცელი წერილის ძირითადი არსი ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის საკითხებზე. უნდა ითქვას, რომ მეცნიერების, განათლებისა და კულტურის სადარაჯოზე მყოფი პუბლიცისტი მამულიშვილური პოზიციებიდან აფასებდა საზოგადოებისათვის სა-

<sup>1</sup> იქვე

<sup>2</sup> გაზ. „ხალხის მეგობარი“, N158, 1918, გვ. 2-3; გურული ვ., დასახ. ნაშრ., გვ. 10

<sup>3</sup> იქვე

ჭირბოროტო საკითხებს და ცდილობდა, რომ სამშობლოს აღორძინების საქმეში თავისი წვლილი შეეტანა<sup>1</sup>.

სამწუხაროდ, ამ ღრმად მოაზროვნე პუბლიცისტის შემოქმედებითი მემკვიდრეობა სათანადოდ შესწავლილი და შეფასებული არ არის, თუ მხედველობაში არ მივიღებთ რამდენიმე მცირე ზომის გამოკვლევას და საგაზეთო სტატიას<sup>2</sup>. ცალკე კრებულად უნდა გამოიცეს გრიგოლ გველესიანის საგაზეთო სტატიები და ხელნაწერები. ქართველი მკითხველი ელის მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ობიექტურად შემფასებელ მჯვდევარს.

*Kakhaber Kebuladze, Igor Kekelia*

*Akaki Tsereteli State University*

## **SOME OF THE QUESTION FROM GRIGOL GVELESIANI'S PUBLIC-POLITICAL INCITEMENT RESUME**

Among the most renowned Georgians of the first decades of the 20<sup>th</sup> century, Grigol Gvelesiani's (1870-1926) role as a publicist is remarkable. He was an individual who always cared for the Georgian literature. He was in the center of Georgian intellectual and political circles.

Dedication to the society was the main motive of the activities of a distinguished public figure and publicist Grigol Gvelesiani. Among his multitude of articles he published exactly a century ago (1918) in the newspaper the "Khalkhis Megobari (People's Friend)" attracts our attention in terms of his views about the issues of Transcaucasian Federation. The work presents the analysis of Grigol Gvelesiani's political thinking based on the article.

Grigol Gvelesiani spent most of his life in the city of Kutaisi, from where he closely followed Georgian intellectual life. He dedicated numerous outstanding works to various actual problems that the society faced. He was particularly passionate about national problems. This question along with the issues of the Georgian political life is discussed in this following work.

Gvelesiani as one of the leaders of the Socialist-Federalist Party, actively supported national-territorial autonomy of Georgia and specifically, establishment of Transcaucasia Federation. Later on, he was one of the supporters of the 1918 Georgian Declaration of Independence. Grigol Gvelesiani's letter titled "Independence of Transcaucasian Federation," which was published exactly 100 years ago on local newspaper "People's Friend" is the most vivid manifestation of Gvelesiani's national spirit.

<sup>1</sup> გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა”, N64, 1991, გვ. 3-4

<sup>2</sup> იხ. გაზ. „ქუთაისი”, N74, 1962:3; N217, 1970, გვ. 3-4; ზარნაძე მ., გრიგოლ გველესიანი – პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე, ქუთაისის მუზეუმის მასალები, ქრ. IX-X, ქუთ., 1998, გვ. 46-54

## ჯონ ჭერლო - დაზვერვის დიდოსტატი

დაზვერვას საუკუნეების ისტორია აქვს. მას ზშირად იყენებდნენ და საქმაოდ ეფექტურადაც ჯერ კიდევ ჩვენს ერამდე.<sup>1</sup> საინტერესოა აღინიშნოს, რომ დიდი მეფის დავით აღმაშენებლის დროს დაზვერვამ, იგივე მსტოვართა სისტემამ, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საქართველოს აღორძინების, მნიშვნელოვანი გამარჯვებების და გაერთიანების ისტორიაში.<sup>2</sup> ეს სისტემა ეფექტურად რომ მოქმედებდა, ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ აღმაშენებლის ოცდათვექვსმეტწლიანი მეფობის ხანგრძლივ პერიოდში, შეთქმულებას მეფის წინააღმდეგ ადგილი არ ჰქონია.

XVII საუკუნის შუა ხანების ინგლისის ბურუჟაზიული რევოლუცია წარმატებით დამთავრდა. მეფე ჩარლზ I სიკვდილით დასაჯეს და ინგლისი რესპუბლიკად გამოცხადდა. მოვლენათა მსვლელობამ ინგლისი ოლივერ კრომველის დიქტატურამდე მიიღვანა, როდესაც 1653 წლის დეკემბერში ის გახდა ინგლისის ლორდ-პროტექტორი. მონარქის დამხობის შემდეგ, ინგლისში მმართველობის ასეთი ფორმის შემოღება, რა თქმა უნდა, ხელოვნური იყო. ის ეყრდნობოდა არმიის ერთგულებას და თვითონ კრომველის ავტორიტეტს და გავლენას. თავისთავად, მმართველობის ასეთი ფორმა, ახალი ხელისუფლების ძლიერებაზე მეტყველებდა, მაგრამ იმავე დროს, შეიცავდა არსებით საფრთხეს. პირველ რიგში, ეს იყო ფაქტორი, რომ მთელი სახელმწიფო სისტემა ერთ ადამიანზე იყო გათვლილი; მეორე მხრივ, მთელი საგარეო და საშინაო პოლიტიკა, ე. ი. სახელმწიფოს ბედი დამოკიდებული იყო ერთი ადამიანის სიცოცხლეზე. აქედან გამომდინარე, მარტივი დასკვნის გაკეთებაც შეიძლება: ოლივერ კრომველის მოულოდნელ ავადყოფობას ან გარდაცვალებას შეეძლო წაეშალა ინგლისის ბურუჟაზიული რევოლუციის ყველა მიღწევა და შედეგი, რომლისთვისაც თავგამოდებით იბრძოდნენ ინგლისის ბურუჟაზია და ჯენტრი.

ბუნებრივია, პროტექტორატის, როგორც მმართველობის ფორმის, ეს ხარვეზი კარგად ეს-მოდათ არა მარტო თვითონ კრომველს და მის მომხრებს, არამედ მის მოწინააღმდეგებსაც და პირველ რიგში - როიალისტებს. ჩარლზ II-ის მომხრები ცდილობდნენ დაებრუნებინათ სამეფო ხელისუფლება და კანონიერი მონარქი, რომელიც აღადგენდა მათ პრივილეგიებს და დაუბრუნებდა რევოლუციონერების მიერ წართმეულ მიწებს. თავისი მიზნების მიღწევას, როიალისტები იმ შემთხვევაში შეძლებდნენ, თუ მოახერხებდნენ ლორდ-პროტექტორის მოკვლას. აქედან გამომდინარე, როიალისტები ქმნიდნენ საიდუმლო საზოგადოებებს, გეგმავდნენ სხვადასხვა ხასიათის შეთქმულებებს თუ თავდასხმებს ლორდ-პროტექტორის წინააღმდეგ<sup>3</sup>, რათა ეხსნათ ინგლისი საძულველი მმართველისგან. ასეთ პირობებში, დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა დაზვერვის საქმიანობას. საინტერესოა, რომ ”კრომველმა პირადად შეიმუშავა თავისი დაზვერვითი სამსახურის აგების ზოგიერთი პრინციპი, მაგალითად, შემოიღო წესი, რომ არც ერთ აგენტს არაფერი არ უნდა სცოდნოდა იმაზე მეტი, რაც მას მოქმედებისათვის სჭირდებოდა და მეტადრე სხვა აგენტების მუშაობა, თუ ამას უკიდურესი საჭიროება არ მოითხოვდა”<sup>4</sup>. აქეთ უნდა ითქვას, რომ მიუხედავად დიდი ძალისხმევისა, როიალისტების ყველა მცდელობა წარუმატებლად დასრულდა. არცერთ შეთქმულებას, არცერთ თავდასხმას ლორდ-პროტექტორის წინააღმდეგ სერიოზული გართულებაც კი არ გამოუწვევია. კრომველის არა მარტო სიცოცხლე, არამედ ძალაუფლებაც სრულად იყო დაცული. ბუნებრივად იბადება კითხვა, რამ განაპირობა ასეთი შედეგი? პასუხი

<sup>1</sup> ა. სონდულაშვილი. დაზვერვის ისტორიიდან. თბ., 2008.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 17-19.

<sup>3</sup> ე. ჩერნიაკი. ხუთასწლიანი ფარული ომი. თბ., 1969, გვ. 173.

<sup>4</sup> იქვე.

ერთმნიშვნელოვანია, ამაში დიდი წვლილი მიუძღვდა კრომველის თანამებრძოლს, ძალიან ჭკვიან და ეშმაკ პოლიტიკოსს ჯონ ტერლოს. სწორედ ის აღმოჩნდა კრომველის გვერდით, მისთვის ყველაზე საჭირო და მნიშვნელოვან დროს.

ჯონ ტერლო იყო უბრალო სამრევლო მღვდლის შვილი. ინგლისში, სამოქალაქო ომის დროს, ტერლოს არაფრით არ გამოუჩენია თავი. თავისი კარიერა დაიწყო იმით, რომ დანიშნეს ოლივერ სენტ-ჯონის მდივნად, როდესაც ის გააგზავნეს 1651 წლის მარტში დიპლომატიური მისით ნიდერლანდებში<sup>1</sup>. უნდა აღინიშნოს, რომ ეს დიპლომატიური მისია მთლიანად წარუმატებელი და უაზრო აღმოჩნდა, რამაც გარკვეულწილად განაპირობა ოლივერ სენტ-ჯონის წასვლა პოლიტიკური ასპარეზიდან, მიუხედავად იმისა, რომ ის იყო ოლივერ კრომველის ცნობილი თანამებრძოლი.

უდავოდ საინტერესოა, შექმნილ ვითარებაში, როგორ შეძლო უბრალო მღვდლის შვილმა მიეღწია ისეთი მაღალი მდგომარეობისათვის საზოგადოებაში, რომ გახდა ლორდ-პროტექტორის ყველაზე მნიშვნელოვანი მრჩეველი. ამაში დიდი როლი შეასრულა იმ ფაქტმა, რომ ჯონ ტერლოს თავიდანვე არ სკერლოდა სენტ-ჯონის დიპლომატიური მისის წარმატებისა და დაუფარავად ლაპარაკობდა, რომ კრომველისა და სენტ-ჯონის გეგმა დაედოთ კავშირი ჰოლანდიასთან, ვერ განხორციელდებოდა. ტერლო იყო ერთადერთი, ვინც ამას ამბობდა და ამით საკუთარ კარიერას საფრთხეს უქმნიდა. ამის მიუხედავად, ის რეალურად აფასებდა სიტუაციას და გაბედულად მოქმედებდა. მან მრავალჯერ აცნობა ჰოლანდიდან სახელმწიფო მდივან უოლტერ ფროსტს, რომ ინგლისის მთავრობის მიზანი გადაექცია ჰოლანდიელებთან გაერთიანება და კავშირი მუდმივ ლიგად, რომელიც დაიცავდა მათი ქვეყნების ინტერესებს, ვერ განხორციელდებოდა, რადგან ჰოლანდიისათვის ამას არაფერი მოპქონდა. აქედან გამომდინარე, ჰოლანდია უპირატესობას ანიჭებდა არა კავშირს, არამედ ხელსაყრელ პირობებს ვაჭრობასა და ზღვაოსნობაში. ტერლო რეალურად აფასებდა სიტუაციას და ეს დაადასტურა სენტ-ჯონის დიპლომატიური მისის წარუმატებლობამ.

ოლივერ კრომველი ჭკვიანი ადამიანი იყო და გარდა იმისა, რომ თავის გარემოცვაზე ზრუნავდა, გონიერი ადამიანების შერჩევასაც ახერხებდა. როგორც ჩანს, კრომველი იცნობდა ტერლოს სამართლიან და ზუსტ შეფასებას დიპლომატიური მისის თაობაზე და საჭიროდ ჩათვალა მისი დაწინაურება. 1652 წლის 29 მარტს ტერლო დანიშნეს სახელმწიფო საბჭოს მდივნად, მალე კი - 1652 წლის დეკემბერში, პარალელურად ხდება საგარეო საქმეთა კომიტეტის მდივანი<sup>2</sup>. ბუნებრივია, ორივე ეს თანამდებობა საშუალებას აძლევდა ტერლოს უფრო საფუძვლიანად გაცნობოდა სახელმწიფოს საშინაო და საგარეო საქმეებს. თუმცა, უნდა აღინიშნოს, ერთი შეხედვით, ტერლოს უცნაური მდგომარეობა - ის თითქოს არ არის დაინტერესებული ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრებით და პრაქტიკულად არ მონაწილეობს მასში, მიუხედავად იმისა, რომ მნიშვნელოვანი სახელმწიფო პოსტები ჰქონდა დაკავებული. როგორც ჩანს, ტერლო შეგნებულად იქცეოდა ასე, არ სურდა ზედმეტი ყურადღების მიქცევა. სინამდვილეში, ის ყურადღებით აკვირდება ყველაფერს, რაც ქვეყანაში ხდება, თუმცა ჩუმად არის და ლოდინის ტაქტიკა აქვს არჩეული. ასეთმა ვითარებამ კიდევ უფრო გააკვირვა ოლივერ კრომველის გარემოცვის წევრები - პოლიტიკოსები და ცნობილი ოფიცერები, რომლებიც არავითარ ყურადღებას არ აქცევნ ტერლოს და მის დანიშვნას მნიშვნელოვან თანამდებობებზე თვითონ კრომველის სრულიად გაუგებარი კაპრიზებით ხსნიდნენ.

ამასობაში, მიიწურა 1653 წელიც და დეკემბერში კრომველი ხდება ლორდ - პროტექტორი. გადის ცოტხა ხანი და 1654 წლის ივლისში, მისი ბრძანებით, ჯონ ტერლო ინიშნება ინგლისის დაზვერვისა და საჯაშუშო ქსელის უფროსად<sup>3</sup>. უნდა ვივარაუდოთ, რომ კრომველი ძალიან კარგად იცნობდა ტერლოს და დარწმუნებული იყო მის პოტენციურ შესაძლებლობებში და

<sup>1</sup> Английская буржуазная революция XVII в., Под ред. Акад. Е. А. Косминского. М., 1954, т. I, с. 460.

<sup>2</sup> Дж. Эйлер. Восстание или революция? СПб., 2004, с. 158.

<sup>3</sup> The writings and speeches of Oliver Cromwell. Ed. Abbott W. C. Cambridge, 1937-1947, vol. 3, p. 78.

რაც მთავარია, მის ერთგულებაში. ამის შესახებ მეტყველებს ის ფაქტიც, რომ 1653 წლის 3 მაისიდან ტერლო ხელმძღვანელობს საფოსტო სამსახურსაც<sup>1</sup>. თავისი სპეციფიკით, ეს სამსახური მნიშვნელოვან სტრუქტურას წარმოადგენდა დაზვერვის სამსახურისათვის. ამდენად, ტერლოს ხელში აღმოჩნდა დიდი ძალაუფლება და მის წარმატებულ საქმიანობაზე მნიშვნელოვნად იყო დამოკიდებული თვითონ ქვეყნის პრესტიუზი და მდგომარეობა. ტერლოს საქმიანობა წარმატებული რომ იყო იქიდანაც ჩანს, რომ კრომველის ინიციატივით 1655 წლის 5 სექტემბერს, სახელმწიფო საბჭოს ბრძანებით ქვეყანაში რაიმე ახალი ამბების დაბეჭდვა მხოლოდ ჯონ ტერლოს თანხმობით იქნებოდა შესაძლებელი<sup>2</sup>.

ამ პერიოდიდან მოყოლებული, ტერლო შეიძლება ჩაითვალოს ინგლისის ერთ-ერთ ყოვლისშემძლე პიროვნებად. თანდათანობით, ფარდა ეხდება იმ საიდუმლოს, როდესაც ტერლო თითქოსდა გარიყელი იყო პოლიტიკური ცხოვრებიდან, თუმცა ეკავა მნიშვნელოვანი თანამდებობები როგორც სახელმწიფო საბჭოში, ისე საგარეო საქმეთა უწყებაში. როგორც აღმოჩნდა, ამ პერიოდში ის არა მხოლოდ მოლოდინის რეჟიმში იყო, არამედ ბევრს მუშაობდა და სულ რაღაც წელიწადნახევარში შეძლო შეექმნა კარგად განმტოებული და საკმაოდ დაბალანსებული საჯაშუშმ ქსელი. ტერლოს ძალისხმევით შეექმნილმა სტრუქტურებმა მოიცვა არა მხოლოდ საკუთარი სახელმწიფო - ინგლისი, არამედ იმ დროისათვის მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი ევროპული სახელმწიფოები. თავისი მრავალრიცხოვანი ჯაშუშების მეშვეობით ტერლოს შესაძლებლობა პქონდა საქმის კურსში ჩაეყენებინა ლორდ-პროტექტორი, უცხოეთის მონარქების თუ პოლიტიკოსების საქმიანობისა და განზრახვის შესახებ: ”ის თავის ქამარში ატარებდა ევროპის ყველა ხელმწიფოს საიდუმლოებებს”<sup>3</sup>. იმის წყალობით, რომ ტერლო პირადად აკონტროლებდა დაზვერვასაც და მილიციასაც, ერთდროულად, როიალისტების არცერთი შეთქმულება წარმატებით არ დასრულებულა და ასე იყო მანამდე, ვიდრე ტერლო ხელისუფლებაში იყო.

ტერლოს მიერ შეექმნილი საჯაშუშმ ქსელი იმდენად ეფექტურად მუშაობდა, რომ ”დაკითხვებზე გამომძიებლები ავლენდნენ ისეთ ცოდნას კონსპირაციული ჩანაფიქრების წრილმან დეტალებზეც კი, რომ დამნაშავენ ჩიხში ექცევონენ და ამას ჯადოქრობით ხსნიდნენ”<sup>4</sup>. ტერლოს თავისი ინფორმატორები პყავდა ჩარლზ II-ის გარემოცვაშიც. ასეთი იყო ჯოზეფ ბემფილდი, რომელსაც როიალისტები ენდობოდნენ და საიდუმლო ოპერაციებსაც ანდობდნენ. ამიტომ გასაკვირი არ იყო, რომ ტერლო საქმის კურსში იყო, რასაც როიალისტები გეგმავდნენ.

რაც შეეხებოდა ფოსტისადმი კონტროლს, ის საშუალებას აძლევდა ტერლოს შეთქმულთა მთელი მიმოწერა კონტროლის ქვეშ ჰქონდა. ჯაშუშები ტერლოს სანდო ინფორმაციით ამარაგებდნენ როიალისტთა გადადგილების შესახებ და თვითონ ტერლოს სიუხიზლებ და ყურადღებამ ბევრჯერ იხსნა კრომველი თავდასხმისგან. ერთი ასეთი შემთხვევა მოხდა 1654 წლის ზაფხულში, როდესაც ორმა როიალისტმა, ჩარლზ მეორის თანხმობით, სცადა კრომველის მოკვლა. მათი გეგმა იმაში მდგომარეობდა, რომ პროტექტორი ყოველთვის ერთი და იმავე გზით დადიოდა ჰემპტონ-კორტში და არასოდეს არ ცვლიდა თავის ამ ჩვევას. თავდასხმის დღეს, ტერლოს რჩევით, პროტექტორმა ნავით ისარგებლა და ქალაქებარე სასახლეში მდინარით მივიდა. ამასობაში, შეთქმულები დააპატიმრეს<sup>5</sup>.

1655 წლის მარტში სოლბერიში მოხდა როიალისტური ამბოხება, მაგრამ მან ვერ მიიღო ფართო მასშტაბი და სხვა როიალისტების დიდი მხარდაჭერა. ამაში დიდი იყო ტერლოს როლი, რომელმაც დიდი ხნით ადრე გაიგო შეთქმულთა გეგმები და ხელი შეუშალა ამბოხების ლიდერებს ერთმანეთთან შეეთანხმებინათ ამბოხების კონკრეტული თარიღი. ამ შემთხვევაში, ტერლოს

<sup>1</sup> Ibidem.

<sup>2</sup> Ibidem, p. 82.

<sup>3</sup> А. Т. Павлова. Кромвель. М., 1980, с. 298.

<sup>4</sup> Ст. Вольский. Кромвель. М., 2002, с. 227.

<sup>5</sup> Дж. Эйлмер, указ. Соч., с. 165.

ინფორმირებულობამ ჩაშალა ამბოხებულთა გეგმები<sup>1</sup>. საქმე იმაში იყო, რომ ვინმე მანინგი, ტერლოსთან მუდმივ მიმოწერაში იყო და იმავე დროს, ჩარლზ მეორის გარემოცვაში ტრიალებდა. ამასთანავე, ის როიალისტების ერთ-ერთ აშკარა მომხრედ იყო მიჩნეული<sup>2</sup>. 1655 წლის დამდეგს მანინგი გერმანიის ქალაქ კიოლნში ჩავიდა როიალისტების იატაპქეშეთის ყალბი რწმუნებებით. იგი მრავალ საჭირო ცნობას იღებდა ბევრი როიალისტისგან, მათ შორის გრაფ როჩესტერისგან და დაუყოვნებლივ უგზავნიდა ტერლოს. მანინგი ძვირადლირებული აგენტი იყო. ტერლო მას, იმ დროისთვის უზარმაზარ თანხას უხდიდა, რომელიც შეადგენდა 1200 გირვანქა სტერლინგს წელიწადში<sup>3</sup>.

თავისი საქმიანობით, ტერლო გახდა კრომველის ყველაზე უფრო საიმედო და ერთგული თანამებრძოლი, პროტექტორატის ყველაზე მტკიცე და მყარი დასაყრდენი. მისი სიფრთხილე, სიმშვიდე, თადარიგიანობა და უნარი ბრწყინვალედ გამოეყენებინა მიღებული ინფორმაცია, ხშირად ეხმარებოდა პროტექტორს საგარეო პოლიტიკის სფეროშიც. ამიტომ არ არის შემთვევითი, რომ ბევრი ისტორიკოსი ტერლოს მიიჩნევდა არა მარტო მზვერავად, არამედ დიპლომატადაც<sup>4</sup>. ამ მხრივ, საინტერესოა ჯონ ტერლოს რჩევები, რომელმაც დაარწმუნა კრომველი, რომ დაეტკიცებინა ცნობილი სანავიგაციო აქტი (ძირითადად სენტ-ჯონის შედგენილი), რომელიც ძირითადი საბაბი გახდა პოლანდიასთან ომისა 1652-1654 წლებში.

ტერლოს მზვერავი ქალებიც ჰყავდა სამსახურში. ერთ-ერთი მათგანი იყო ლამაზი ახალგაზრდა ქალი დაიანა ჯენინგსი. „იგი მოხერხებულად ასაღებდა თავს სულ ახლახან დუელში მოკლეული როიალისტის გრაფ დერბის ამ ქვეყნად არარსებული ბიძაშვილის ქვრივად“<sup>5</sup>. დაიანა ჯენინგსი დაუახლოვდა პოლკოვნიკ რობერტ ფელიპსს და მიგან გაიგო კრომველზე თავდასხმის დეტალები. ჯენინგსი დიუნკერკიდან სწრაფად გაემგზავრა ინგლისში და ტერლოს აცნობა შეთქმულთა გვარები და მათი მიმოწერის საიდუმლო.

ეჭვს გარეშეა, რომ ტერლოს საქმიანობა მის სტრუქტურებთან ერთად, ლორდ-პროტექტორს საქმაოდ ძვირი უჯდებოდა, მაგრამ ამაში დახარჯული ფული მრავალჯერადად იყო ანაზღაურებული. სხვადასხვა შეფასებით, ისტორიკოსები ასახელებენ სხვადასხვა ციფრს: მაგალითად, ანტონია ფრეიზერი ასახელებს ხუთი ათას ფუნტ სტერლინგს წელიწადში<sup>6</sup>, რაც საკმაოდ უმნიშვნელო თანხად გამოიყერება. ა. პავლოვა 70 ათას ფუნტ სტერლინგს მიუთითებს წელიწადში<sup>7</sup>, რაც ასევე არ მოჩანს დიდ თანხად იმ დიდი სამუშაოს დასაფინანსებლად, რასაც ეწეოდა ტერლო თავის სამსახურთან ერთად. ბუნებრივია, კრომველს არ ენანებოდა თანხები და არ ითვლიდა ტერლოს საქმიანობაზე დახარჯულ ფულს. ეს გამომდინარეობდა იმ რეალობიდან, რომ ტერლოს სამსახურის ეფექტური საქმიანობის შედეგად, კრომველის ხელისუფლება მყარად იდგა და წარმატებით ფუნქციონირებდა. ტერლოს ერთგულების წყალობით, ლორდ-პროტექტორი მშვიდად ასრულებდა თავის სიცოცხლეს და ავადმყოფობის გამო გარდაიცვალა 1658 წლის 3 სექტემბერს და არა შემთხვევითი თავდასხმისა თუ შეთქმულების შედეგად.

ჯონ ტერლო ჭეშმარიტი პროფესიონალი და უზარმაზარი ინფორმაციის მფლობელი იყო. ალბათ ეს იყო მიზეზი, რომ ინგლისში მონარქიის რესტავრაციის შემდეგ, ახალი მეფე ჩარლზ მეორე, ზოგჯერ რჩევის მიზნით მიმართავდა ხოლმე ტერლოს<sup>8</sup>. კრომველის გარდაცვალების შემდეგ, 1659 წელს ტერლო გადააყენეს დაკავებული თანამდებობიდან და საიდუმლო სამსახურის უფროსად თომას სკოტი დანიშნეს.

<sup>1</sup> ე. ჩერნიაკი, დასახ. ნაშრ., გვ. 175.

<sup>2</sup> დ. იუ. ანგლია პიდ ვლასტი ცტიართო. СПб., 2001, თ. 2, ც. 64-65.

<sup>3</sup> ე. ჩერნიაკი, დასახ. ნაშრ., გვ. 175.

<sup>4</sup> ანგლიუსკა ბურჯუაზნა რევოლუცია ..., უკა. სიტ., თ. II, ც. 45.

<sup>5</sup> ე. ჩერნიაკი, დასახ. ნაშრ., გვ. 176.

<sup>6</sup> An. Fraser. Cromwell: our chief of man. London, 1975, p. 485.

<sup>7</sup> ა. თ. პავლოვა, უკა. სიტ., ც. 298.

<sup>8</sup> ე. ჩერნიაკი, დასახ. ნაშრ., გვ. 178.

**Vazha Chochia**  
*Gori State Teaching University*  
**JHON TERLO – INTELLIGENCE GRANDMASTER**  
**RESUME**

After the victory of the English bourgeois revolution, in 1653 in England established a protectorate regime, which was significantly dependent on the Lord-Protector Oliver Cromwell. Monarchists tried to restore the monarchy and the return of the lost privileges, which posed a threat to the new regime. Cromwell took care of safety and was able to select a reliable and professional people. Such was Jhon Terlo, which in July 1654 was appointed as the Head of intelligence and spy network. Jhon Terlo great creative talent displayed in this arena and soon was able to create a wide network of intelligence, who worked effectively and in the information collected.

Intelligence had its informants Charles II's entourage, therefore no wonder then, that Cromwell was aware of the activities of the monarchists. Terlo's contribution was to prevent an attack on Cromwell and monarchists possible uprisings broke down. Terlo was not only a good spy, but also he was an excellent diplomat. Cromwell often enjoyed his counsel and trusted him infinitely. Terlo sustained their position until Cromwell's death.

## ზუტნერები და ქუთაისი

მეუღლესთან - ცნობილ მწერალთან არტურ გენდაკარ ზუტნერთან (1850-1902 წე.) ერთად, XIX საუკუნის ბოლო მეოთხედის ქუთაისში, რამდენიმე წელიწადი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა სახელგანთქმული ავსტრიელი მწერალი და უურნალისტი, მშვიდობის დარგში, ნობელის პრემიის ლაურეატი (1905 წ.) ბერტა ფონ ზუტნერი (1843-1914 წე., სწორედ ასე მოიხსენიება იგი დაქორწინების შემდეგ. მისი ნამდვილი გვარ-სახელი ბერტა ზოფია ფელიციტა კინსკი იყო). ისინი 1876 წელს საქორწინო მოგზაურობით ეწვივნენ საქართველოს და ცოლ-ქმარს ჩვენი ქვეყანა ისე მოეწონა, რომ ცხრა წელიწადი (1876-1885) დარჩნენ აქ და ამ ხნის განმავლობაში ჯერ გორდში ცხოვრობდნენ, შემდეგ ქუთაისში, ბოლოს კი თბილისა და ზუგდიდში<sup>1</sup>.

საქართველოში ცხოვრების დროს მიღებული შთაბეჭდილებები და მოგონებები ბერტა ფონ ზუტნერს აღწერილი აქვს 1909 წელს შტუტგარტში გამოცემულ “მემუარებში”, რომელიც პროფესორმა ნოდარ კაკაბაძემ ქართულად თარგმნა და კომენტარებით გამოსცა ეს წიგნი (ბ. ზუტნერი, 1999). როგორც ირკვევა მიუხედავად იმისა, რომ ბერტა ზუტნერმა სამწერლობო მოღვაწეობა საქათველოში დაიწყო, ქართულ თემატიკაზე მას სხვა არაფერი აქვს დაწერილი, გარდა მოგონებებისა. მისი მეუღლის მხატვრული და პუბლიცისტური თხზულებების უმეტესობა კი საქართველოს და კავკასიოს თემას ეძღვნება. ესენია რომანები: “დარეჯანი, მეგრელ ზნეთა სურათი”, “აზნაური”, “შამილი”, “აჭარლები”, “იბერიელნი”, წერილების ციკლი “ვეფხისტყაოსანზე” და სხვ.<sup>2</sup>

ბერტა 1843 წლის 9 ივნისს დაბადა პრაღაში კინსკების საგვარეულო სასახლეში. მამა გრაფი ფრანც იოზიფ კონსკი გახლდათ ავსტრიის იმპერიის ფელდმარშალ-ლეიტენანტი. ბერტას დაბადებისას მოხუცი გრაფი ახალი გარდაცვლილი იყო.

ბერტას დედა ზოფია ვილჰელმინე კიორნერი, გაღარიბებული აზნაურის ქალიშვილი გახლდათ. 20 წლისა სიმდიდრის გამო ცოლად გაჰყვა 50 წლით უფროსს გრაფ კინსკის. დაქორწინებიდან მოხუცი გრაფი მალე გარდაიცვალა. ბერტას დედამ ვერ შეაღწია ვენის სასახლეში, რადგან ავსტრიელი არისტოკრატია ამ ქორწინებას თანაბრად არ თვლიდა. ის ფული, რომელიც მოხუცი გრაფისგან დარჩა, ზოფიამ (ბერტას დედამ - ვ.წ.) წააგო კაზინოებში პომბურგში, ბადენ-ბადენში და ვისბადენში<sup>3</sup>.

ბერტას მეუღლე ბარონი არტურ გენდაკარ ზუტნერი ცოლზე 7 წლით უმცროსი იყო. იგი ერთ დროს მდიდარი და არისტოკრატიული წარმოშობის ბარონ კარლ ზუტნერის უმცროსი ვაჟიშვილი გახლდათ (კარლ და კაროლინე ზუტნერებს ჰყავდათ 4 ქალიშვილი და 3 ვაჟიშვილი), ჰქონდათ ვენაში სასახლე და საგვარეულო მამული სასახლითა და კოშკით, ვენიდან ასე 80 კმ-ში სოფელ პარმონდორფში.

<sup>1</sup> ნიკოლეიშვილი ავ., ნიკოლეიშვილი ოთ., ევროპელი ავტორები ქუთაისის შესახებ (XV-XIX სს), ქუთ., 2012, გვ., 196

<sup>2</sup> ფიფინი ირ., სვანიძე რ., ევროპული ავტორები ქუთაისის შესახებ: ბერტა ფონ ზუტნერი, აწსუ, პუმა. მეცნ. ფაკულ., საერთ. კონფ. მასალები. III, ქუთ., 2017

<sup>3</sup> ზუტნერი ბ., ქართველებთან და საქართველოში, წიგნი შეადგინა, მოგონებების ფრაგმენტი თარგმანი და შესავალი დაურთო ნოდარ კაკაბაძემ. თბ. 1999, გვ. 7

ბერტა ფონ ზუტნერს შტეფან ცვაიგმა საგანგებო - ესე მიუძღვნა, ხოლო თავისი მემუარების წიგნში “გუშინდელი ქვეყანა” მას “ჩვენი დროის დიდებული, სულგრძელი კასანდრა და პაციფიზმის უუძემდებელი უწოდა”<sup>1</sup>.

გერმანელმა კინორეჟისორმა პაროლდ ბრაუნმა, 1952 წელს გადაიღო ბერტა ზუტნერის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ფილმი “მსოფლიოს გული”.

ბერტა ფონ ზუტნერზე დიდძალი ლიტერატურაა შექმნილი. აღვნიშნავთ მხოლოდ რამდენიმეს - 1959 წელს გერმანიაში გამოქვეყნდა იოზეფ შტოლრაიტერის წიგნი “ბერტა ფონ ზუტნერი - მშვიდობისთვის მებრძოლი ქალის ცხოვრება”. ვენაში დაიბეჭდა ოსკარ იან ტაუშინსკის რომანი “კაცთმოყვარენი ყველაზე ძლიერნი არიან”, რომელიც ბერტა ზუტნერის ცხოვრებას ეხება. ბერტა ზუტნერის ასევე სრული ბიოგრაფია ეკუთვნის ვენელ ბრიგიტე ჰამანს, რომელიც პირველად დაიბეჭდა 1986 წელს. ბერტა ზუტნერზე გამოკვლევები და სტატიები მრავალია, რომელთა ჩამოთვლას აქ აღარ შევუდგებით.

რაც შეეხება ბერტა ზუტნერის და მისი მეუღლის არტურ გენდაკარ ფონ ზუტნერის შესახებ ცნობებს, ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, განსვენებული მკვლევარის, სოლომონ ცაიშვილის ღვაწლს საქართვლოში ზუტნერების მოღვაწეობის შესწავლის საქმეში, მან საინტერესო ნარკვევები გამოაქვეყნა, ქართული კულტურის წინაშე, მათი დამსახურების შესახებ<sup>2</sup>. ზუტნერების მოღვაწეობა სრულყოფილად გამოიკვლია პროფესორმა ნოდარ კაკაბაძემ, რომელმაც არაერთი საინტერესო სტატია მიუძღვნა მათ, და ბოლოს, 1999 წელს გამოაქვეყნა ბერტა ზუტნერის მოგონებები საქართველოზე თავისი თარგმნითა და კომენტარებით.

როგორც აღვნიშნეთ, ბერტას თავად უწევდა საარსებო საშუალებების მოპოვება, რადგან დედამ მამისაგან დატოვებული ქონება გაფლანგა. მან მუშაობა დაიწყო ზუტნერების ოჯახში მომვლელად (გუვერნიორად). აქ იგი შეუყვარდა ბარონის 25 წლის ვაჟს არტურს, რომელსაც ქალმაც თანაუგრძნო, მაგრამ ქორწინების წინააღმდეგ წავიდნენ ვაჟის მშობლები. შეუყვარებულები მაღულად დაქორწინდნენ და საქართველოსაკენ გამოსწიეს<sup>3</sup>. აქ მათ ეგულებოდათ გულკეთილი მეგობრები - სამეცნიერო დედოფალი ეკატერინე და მისი ასული სალომე დადიანი-მიურატისა.

ეკატერინე დადიანი ერთხანს პარიზში ცხოვრობდა (1861-1868 წწ.), მისი ოჯახი შედგებოდა ორი ვაჟისა და ერთი ასულისაგან. უფროსი ვაჟი ნიკო, მაშინ 17 წლისა, ქალიშვილი სალომე 16, ხოლო უმცროსი ვაჟი ანდრე - 14 წლისა იყო. ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანისა თავისი შვილებითურთ ბინადრობდა ვეკერლინის სახლის პირველ სართულზე<sup>4</sup>.

ეკატერინე დადიანის ოჯახში ბერტას ყველა კონტენინას ეძახდა. პირველად ასე უწოდა დადიანის ოჯახის მეგობარმა, იტალიელმა მარკიზმა ალმორინიმ და ეს სახელწოდება შერჩა ბოლომდე. სულ მოკლე ღროში ბერტა გახდა ინტიმური მეგობარი ეკატერინე დადიანისა. მათ შორის დაფარული თითქმის არა იყო რა. ერთხელ ეკატერინე გამოუტყდა ბერტას: ამას წინათ კინაღამ ხელმეორედ გავთხოვდით. წარსულ ზაფხულში ბიარეცაში, ესპანეთის უდიდეს და უმდიდრეს არისტოკრატს ჰერცოგ ოსუნას მისი ხელი უთხოვია. მაგრამ დედოფალს უარყვია ესპანეთის უდიდესი არისტოკრატის წინადადება: ის ხომ თავისი ბავშვების მომავლისათვის ცხოვრობდა აქ უმთავრესად, და, გარდა ამისა, ეკატერინეს საოცრად ენატრებოდა თავისი სამშობლო. ეკატერინე დადიანს ბერტასთვის წარუდგენია ერეკლე მეორის შვილიშვილი ირაკლი ბაგრატიონი (ალექსანდრე ბატონიშვილის ვაჟი), მათ შორის დამყარებულა მეგობრული ურთიერთობა.

1868 წლის მაისის პირველ რიცხვებში აშილ მიურატი და სალომე დადიანი დაქორწინდნენ. სალომე დადიანს, როგორც თავისი უახლოესი მეგობარი ბერტაც ჰყოლია ქორწილში მიწ-

<sup>1</sup> კაკაბაძე ნ., რუხაძე ნ., კავკასია და საქართველო გერმანულ ლიტერატურაში. თბ., 1963, გვ. 8

<sup>2</sup> იხ. „დროშა”, 1955, №5, 1957, №7

<sup>3</sup> ცაიშვილი ს., ორი ავსტრიელი მწერალი საქართველოს შესახებ. უკრ. „მნათობი”, №7, 1963, გვ. 153

<sup>4</sup> კაკაბაძე ნ., რუხაძე ნ., დას. ნაშრ. გვ. 34

<sup>5</sup> იქვე, გვ. 38

ვეული და მასთან შემდგომშიც აგრძელებდა მეგობრობას. ისინი ერთმანეთს წერილებით უკავშირდებოდნენ, რადგან აშილ მიურატი, როგორც საფრანგეთის არმის ოფიცერი აღჟირში იყო მივლინებული<sup>1</sup>.

ბერტა თავის ქართველ მეგობართან არ წყვეტდა წერილობით ურთიერთობას. საქართველოში დაბრუნებულმა ეკატერინემ ბერტა მეუღლესთან ერთად მიიპატიუ ზუგდიდში.

1874 წლის გაზაფხულზე ეკატერინე დადიანმა ბერტას შეატყობინა, ნიკომ შეიყვარა რუსეთის მეფის ალექსანდრე II-ს ახლო მეგობრის, გრაფ ადლებერგის ქალიშვილით. შემდგომ წერილში კი წერდა, რომ ქორწილი მალე იქნებაო. მესამე წერილში კი ბერტას წერდა, თუ როგორ გადაიხადეს ქორწილი პეტერბურგში.

1876 წლამდე ბერტამ და არტურმა ვერ მოახერხეს საქართველოში ჩამოსვლა. ისინი ოდესიდან ჩამოვიდნენ ახლად შეუღლებულ ნიკო დადიანსა და მარია (მერი) ადლებერგთან ერთად ფოთში, შემდეგ კი ქუთაისში. ქუთაისში ცოლ-ქმარს დახვდა ეკატერინე ჭავჭავაძის გაგზავნილი მსახური, რომელმაც ცოტაოდენი ფრანგული იყოდა. მან ცოლ-ქმარი მოათავსა ქუთაისის საუკუთესო სასტუმროში, რომელიც ფოთის სასტუმროსთან შედარებით, ფეშენებელურ შთაბეჭდილებას ტოვებდა. ბერტა თავის მოგონებებში იხსენებს, რომ იმ დროს ძალზე ცხელოდა და ის და მისი მეუღლე აივანზე იმყოფებოდნენ, აქვე საუზმობდნენ, სადილობდნენ და ვახშმობდნენ<sup>2</sup>.

ქუთაისში ცოლ-ქმარ ზუტნერებს შეხვდა დადიანების ოჯახის მეგობარი საფრანგეთიდან გრაფი როსმორდიუკი (როზმორდიუკი), რომელსაც ჰყავდა მეგრელი მეუღლე და ქართულადაც შესანიშნავად საუბრობდა. გრაფი 25 წელი საქართველოში ცხოვრობდა. სწორედ ეს პიროვნება გამხდარა ზუტნერების თარჯიმანი. მას წარუდგენია ქუთაისის საზოგადოებისათვის, მათ შორის, გენერალ ნესტორ წერეთლისათვის. მან ცოლ-ქმარი ზუტნერები გენერალ ნესტორ წერეთელთან (1830-1883 წწ.) წაიყვანა იჯახში, სადაც დიდებული საღამო გაიმართა.

ბერტა ზუტნერი თავისი მოგონებების წიგნში იხსენებს ქუთაისში, ნესტორ წერეთელთან გატარებულ საღამოს, იხსენებს წერეთელის შესანიშნავ ასულს, ნინოს, და იქ მოწყობილ საღამოზე მიღებულ ღრმა შთაბეჭდილებებს. იგი მოუხიბლავს ქართულ ცეკვას და თამადას. სტუმრებს შორის ფრანგული ენის მცოდნენი საკმაოდ ყოფილან... იმ საღამოს ფორტეპიანოზე ბარონი ზუტნერი თურმე საკუთარ ვალს უკრავდა<sup>3</sup>. მეორე დღეს არტური და ბერტა გორდში ავიდნენ, სადაც მათ ეკატერინე დედოფალი ელოდებოდა. ისინი აქ თითქმის ერთი წელი დარჩნენ, შემდეგ კი ქუთაისში დაბინავდნენ და არსებობისათვის აუცილებელი საქმეც გამონახეს. არტური ქუთაისელ გოგონებს გერმანულ ენას, ხოლო ბერტა სიმღერასა და მუსიკას ასწავლიდა<sup>4</sup>.

1877 წელს, როცა გამოცხადდა რუსეთ-თურქეთის ომი, ცოლ-ქმარმა ზუტნერებმა გადაწყვიტეს ფრონტის წინა ხაზზე წასლიყვნენ. ამისთვის მათ გენერალ-გუბერნატორ დიმიტრი ივანეს ძე სვიატოპოლკ-მირსკის (1825-1899 წწ.) განცხადებით მიმართეს ბრძოლის ველზე სანიტრებად ვიმუშვებოთ, მაგრამ სარდლობისაგან უარი მიიღეს<sup>5</sup>.

საყურადღებოა, რომ არტურ ზუტნერი ერთადერთი პირველი უცხოელი კორესპოდენტია, რომელიც რუსეთ-თურქეთის ომის ამბებს გერმანულ ენაზე აქვეყნებდა. ცნობილ ეუე ფრეირე რესე-ში. გულხელდაკრეფილი არც ბერტა დარჩა. ის აქტიურად მონაწილეობდა ომით დაზარალებულთა სასარგებლოდ ქუთაისელი მანდილოსნების მიერ გამართულ საღამოებსა და წარმოდგნებში<sup>6</sup>.

<sup>1</sup> წვერავა ვ., თავბერიძე ე., ზუტნერები ქუთაისში. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქუთაისის სამეცნიერო ცენტრის შრომები. XVIII, თბ., 2006, გვ. 107

<sup>2</sup> კარბელაშვილი ა., ბერტა ფონ ზუტნერი. თბ., 1990, გვ. 5

<sup>3</sup> კარბელაშვილი ა., დასახ. ნაშრ. გვ. 5

<sup>4</sup> სურმანიძე რ., ქართულ-გერანული ურთიერთობათა ისტორიიდან. ბათ., 2017, გვ. 84

<sup>5</sup> სურმანიძე რ., დასახ. ნაშრ. გვ. 85

<sup>6</sup> იქვე

მალე არტური წერილებს წერს საქართველოსა და ქართველების შესახებ და გზავნის სამშობლოში, სადაც სიამოვნებით ბეჭდავენ. ამას მისი პატარა მოთხრობებიც მოჰყვა. ამგვარად, სტუმარი, რომელსაც აღრე თითქმის არაფერი დაეწერა, საქართველოში მწერლად ჩამოყალიბდა და რომანების წერასაც მიჰყო ხელი. ანალოგიური ბედი ერგო ბერტასაც, რომელიც როგორც მწერალი საქართველოში დაიბადა და გერმანული უურნალის საავტორო ეგზემპლარი და პონორიც პირველად სწორედ აქ აიღო<sup>1</sup>.

რაკი ბერტას მეუღლე ვახსენეთ, გვინდა აღვნიშნოთ, რომ მის შესახებ 1884 წელს ასე წერდა გაზეთი “დროება” (№279) „ეს რამდენიმე წელიწადია, რაც ჩვენში ცხოვრობს ერთი ავსტრიელი, რომლის სახელით ხშირად იყო ნახსენები. ჩვენს გაზეთში და რომლის წერილებსაც “ვეფხისტყაოსანზე”, “დროების” მკითხველები უჰქველია, წაკითხავდნენ. ეს ლიტერატორი დროგამოშვებით პბეჭდავს თავის ფელეტონებს ვენის ერთ გავლენიან გაზეთში, რომელიც სამინისტროს ორგანოდ ითვლება. ერთი ამ ფელეტონთაგანი ეხლა წინ გვიდევს და იქნება საყურადღებო იყოს მისი წაკითხვა ჩვენის მკითხველისათვის... ავტორი ლაპარაკობს იმ შთაბეჭდილებებზედ, რომელიც მას გამოუტანია ერთის საღამოდან და განაგრძობს: “ახლა შევეღით მეორე ყრილობაზედ დასასწრებლად. ერთი მოქალაქის სახლში, სადაც შედარებით შესანიშნავს საქმეზედ იქნება ლაპარაკი, სახელდობრ, რუსთაველის გამოჩენილი პოემის “ვეფხისტყაოსნის” მდიდრულ გამოცემაზედ სურათებით,. ერთის, თავის ქვენის ნამდვილის შვილის ბ. ქართველიშვილის მეოხებით აიწყო ეს საქმე და შესრულებაც მალე ეღიორსება, რადგან მან ამ საგნისათვის უხვად ათას თუმნამდე ფული გადასდო... ბაასი გაიმართა ფრიად პატიცემული პოეტის თავადი ილია ჭავჭავაძის თავჯდომარებით და დიდხანს არ გასტანა. უმთავრეს მუხლებზედ მალე შესთანხმდნენ და ეხლა იჩინა თავი ძველმა ქართულმა ჩვეულებამ, ენა ყველას ადვილად გაეხსნა და ლაპარაკი, ასე გაჩადდა, როგორც ცეცხლის ალი მხიარულ ბუხარში”<sup>2</sup>.

1882 წელს, ეკატერინე ჭავჭავაძის გარდაცვალების შემდეგ, ზუტნერები საცხოვრებლად გორდიდან გადადიან თბილისში. არტურმა მუშაობა დაიწყო. ავეჯის ფაბრიკაში მხატვარ გამფორმებლად. ბერტა კი უცხო ენისა და მუსიკის გაკვეთილების მიცემას განაგრძობდა. თბილისში ცხოვრების ოთხი წლის განმავლობაში ისინი გაეცვნენ ქართულ მწერლობას, იმდროინდელ მოღვაწეებსა და მწერლებს<sup>3</sup>.

როგორც ცნობილია “ვეფხისტყაოსნის” საორგანიზაციო კომიტეტმა “ვეფხისტყაოსნის” თარგმა სთხოვა იონა მეუნარგიას, როგორც ფრანგულის საუკეთესო მცოდნეს. რათა იგი წაეკითხა მხატვარ ზიჩის, რომელიც გამოცემის ილუსტრირებას კისრულობდა. 1884 წლის 16 დეკემბერს პეტერბურგში მყოფ ნიკო ნიკოლაეს, იონა მეუნარგია ატყობინებდა, რომ მან ცოლ-ქმარი ზუტნერები სამეგრელოში, თავის სოფელ ცაიშში წაიყვანა, რათა იქ კიდევ ერთხელ ბეჯითად წაეკითხათ და გაესწორებინათ მისეული ფრანგული თარგმანი<sup>4</sup>. რედაქტირება ხდება ფრანგულად და გერმანულად და როცა ის დასრულდა, ილია ჭავჭავაძის მითითებით დაუყოვნებლივ გადაეცა ზიჩის. მანაც, ამ ტექსტის მიხედვით შექმნა ილუსტრაციები, რომლებიც “ვეფხისტყაოსნის” 1888 წლის მდიდრულ გამოცემაში მოთავსდა.

ამრიგად, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ პირველად ისინი “ვეფხისტყაოსანს” ფრანგული თარგმით გაეცნენ. პოემით აღფრთოვანებული ბერტა შემდგომში წერდა: „იმ შორეულ მხარეში ჩვენს წინაშე გადაიშლა მივიწყებული სამყარო, სამყარო XIII საუკუნისა“. არტურ ზუტნერმა სპეციალური ნაშრომი მიუძღვნა “ვეფხისტყაოსანს”<sup>5</sup>.

ილიასეული “ივერია” (№229) 1886 წელს იუწყებოდა: “ბარონ სუტნერს (ზუტნერს - ვ.წ.), რომელმაც ისეთი მშვენიერი წერილი დასწერა ჩვენს “ვეფხისტყაოსანზე და რომელმაც

<sup>1</sup> იქვე

<sup>2</sup> კარბელაშვილი ა., დასახ. ნაშრ. გვ. 5

<sup>3</sup> ცაიშვილი ს., ორი ავსტრიელი მწერალი საქართველოს შესახებ. უურ. „მნათობი“, №7, 1963, გვ. 154

<sup>4</sup> ჩიქვინიძე ი., საქართველო ზუტნერების ოვალით, უურ. „საქართველო ევროპა-ამერიკა“, №1, თბ., 1997, გვ. 129

<sup>5</sup> ტაბაღუა ი., საქართველო საერთაშორისო არენაზე XVIII საუკუნის მეორე ნახევარი. თბ. 1978, გვ. 40

იცის საქართველოს ცხოვრება, განსაკუთრებით სამეგრელოს, დაუწერია ნემეცურს ენაზე ახალი რომანი, სახელად „აზნაური“. ბარონ სუტნერს (ზუტნერს - ვ.წ.) აქვს დაწერილი საქართველოს ცხოვრებიდანვე რომანი კიდევ დარეჯანი, მაგრამ სამწუხაროდ, ეს რომანი ჩვენში (საქართველოში - ვ.წ.) არ მოიპოვება”<sup>1</sup>.

თავის წიგნში (მემუარები) ბერტა ფონ ზუტნერი იხსენებდა ქუთაისის ზოგიერთი მაშინ-დელ ამბავს, თუნდაც იმას, რომ ქუთაისში და მის მახლობლად ბევრი კამეჩები ყოფილა და მათ არამარტო ტვირთს აზიდვინებდნენ, არამედ წველიდნენ კიდეც. რომ ქუთაისის სასტუმრო ძალ-ზედ კარგად იყო მოწყობილი, ყოველ ოთახში პირსაბანი იღა. ქვეშაგები სუფთა იყო, რომ აქ იხილეს ლამაზი შენონები, განსხვავებული ტიპის პიროვნებები, კარგი ჩაცმულობა. ბერტა აღ-ნიშნავს, რომ წერეთლების სახლი ერთ-ერთი საუკეთესო იყო ქუთაისში.

საინტერესო ის, რომ ბერტა საქართვლოში დაიბადა, როგორც მწერალი, განსაკუთრებით კი ქუთაისში, სადაც მან პირველად დაწერა თავისი ლიტერატურული ნაწარმოები “მარაო და წინსაფარი”, ბერტას სიხარულის საზღვარი არ ჰქონდა, როცა მან ამ ნაწარმოებში “ჰონორარი” აიღო. ომის შემდეგ ბერტა სისტემატურად წერდა და კალაბი ხელიდან არ გაუგდია. ბერტა თა-ვის ლიტერატურულ მოღვაწეობას თბილისა და ზუგდიდშიც აგრძელებდა.

ბერტა ზუტნერი თავის მემუარებში შენიშნავს: მართალია, ჩვენ საქართველოში ყოფნისას სიმძიდრე და ქონება არ შეგვიძნია, მაგრამ აქ ჩამოვყალიბდით ლიტერატორული და მწერლებად. კრიტიკა გვაქებდა. რედაქტორები სულ ახალ, ახალ ნაწარმოებებს გვიკვეთავდნენ და გა-მომცემლები უყოფმანოდ ბეჭდავდნენ ნაშრომებს. არტურ ზუტნერის კავკასიურ ნოველებს და რომანებს ევროპაში, ბერტას თქმით, საკმაო პოპულარობა მოუპოვებია.

ბერტას დედის გარდაცვალების შემდეგ ცოლ-ქმარი ზუტნერები ცხრაწლიანი ცხოვრების შემდეგ საქართველოდან მიემგ ზავრებიან და თან მიაქვთ სიყვარული და თბილი მოგონებები სა-ქართველოსა და ქართველებზე. საინტერესო დეტალებია, თუ როგორ ჩავიდნენ ავსტრიაში და მოინახულეს ბერტას დედის საფლავი. ასევე როგორ შეხვდნენ მათ არტურის ოჯახში ამდენხნი-ანი განშორების შემდეგ<sup>2</sup>. ცოლ-ქმარი ზუტნერები ევროპაში აგრძელებენ აქტიურ საზოგადოებ-რივ და ლიტერატურულ საქმიანობას. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შტეფან ცვაიგმა ბერტას სპეციალური ესე მიუძღვნა და თავის მემუარებში - ჩვენი დროის დიდებული, სულგრძელი “კა-სანდრა” და პაციოზმის ფუძემდებელი უწოდა.

ცოლ-ქმარმა ზუტნერებმა მონაწილეობა მიიღეს პააგის სამშვიდობო კონგრესის მუშაობა-ში, სადაც ავტორიტეტული სიტყვა თქვეს ომის წინააღმდევე<sup>3</sup>.

ბერტა ზუტნერი მშვიდობისთვის ბრძოლის თავისებურ სიმბოლოდ იქცა. მისი რომანი „ძირს იარაღი“ დიდი შემოქმედებითი ტილოა. მთელ მსოფლიოში გახმაურებული ეს რომანი, რომელიც თავის დროზე ევროპის ყველა ენაზე ითარგმნა, მშვიდობისმოყვარეთა მასებში პოპუ-ლარობით სარგებლობდა<sup>4</sup>. სწორედ ამის გამო, მას, 1905 წელს, ნობელის პრემია მიენიჭა. იგი იყო მთავარი ინიციატორი არა მარტო ავსტრიის მშვიდობის საზოგადოების შექმნის და შემდეგ ამ საზოგადოების პრეზიდენტი, არამედ მან აგრეთვე დიდი ამაგი დასდო გერმანიის მშვიდობის ასოციაციის დაარსებასაც. იგი იყო მონაწილე თითქმის ყველა საერთაშორისო სამშვიდობო კონ-გრესისა და კონფერენციისა, რომელზედაც გამოდიოდა მგზებარე, ანტიმილიტარისტული სიტყ-ვებითა და მოხსენებებით. მისი დაუინებული თხოვნითა და გავლენით ჩაება სამშვიდობო მოძრაო-ბაში ალფრედ ნობელი. ბერტა წერილობით მიმართავდა მსოფლიოში გამოჩენილ ადამიანებს, მო-უწოდებდა და თხოვდა მათ ჩაბმულიყვნენ სამშვიდობო მოძრაობაში<sup>5</sup>.

<sup>1</sup> კარბელაშვილი ა., დასახ. ნაშრ. გვ. 5

<sup>2</sup> ზუტნერი ბ., დასახ. ნაშრ., გვ. 81-83

<sup>3</sup> ერემეშვილი ირ., ზუტნერები და ქუთაისი. გაზ. „ახალი ქუთაისი“, 15 ნოემბ., ქუთ., 1996, გვ. 5

<sup>4</sup> ჩიქვინიძე ი., საქართველო ზუტნერების თვალით, უკრ. „საქართველო ევროპა-ამერიკა“, №1, თბ., 1997, გვ. 132

<sup>5</sup> კაკაბაძე ნ., რუხაძე ნ., კავკასია და საქართველო გერმანულ ლიტერატურაში. თბ., 1963, გვ. 74

ბერტა ზუტნერის უკანასკნელი ვრცელი ნაწარმოებია მისი მემუარები, რომელიც მან 1909 წელს გამოსცა შტუტგარტში. ოოგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 1999 წელს პროფ. ნ. კაკაბაძემ თარგმნა ეს წიგნი ქართულად და კომენტარებით გამოსცა. მასში ავტორს მოთხოვობილი აქვს თავისი შინაარსიანი და საინტერესო თავგადასავალი. აქ საგრძნობი ადგილი უკავია მის ცხოვრებას საქართველოში. მას ერთი თავი დათმობილი აქვს ქუთაისის შესახებ.

არტურ გუნდაკარ ზუტნერი გარდაიცვალა 1902 წელს, ხოლო ბერტა 1914 წელს. გარდაცვალებას გამოეხმაურა ქართული პრესა. გაზეთმა “ცნობის ფურცელმა” (№2016, 14 დეკ. 1902 წ. გვ. 2), ამასთან დაკავშირებით მცირე ნეკროლოგიც გამოაქვეყნა<sup>1</sup>. ასევე გაზეთები “სახალხო გაზეთი”, “იმერეთი”, “თემი” და სხვ.<sup>2</sup>

ამრიგად, ცოლ-ქმარმა ზუტნერებმა, რომლებმაც საქართველოში თითქმის 10 წელი დაჰყვეს, ბევრი საგულისხმო ნაშრომი შექმნეს. მათი ლიტერატურული მემკვიდრეობა, ბელეტრისტულ-პუბლიცისტური და კრიტიკულ-ისტორიული ნარკვევები უდაოდ მრავალ საგულისხმო, საინტერესო ცნობებს შეიცავს საქართველოს ცხოვრებისა და ქართულ ლიტერატურაზე, იმდროინდელ ქართველ მწერლებსა და მოღვაწეებზე, მათთან მეგობრულ და საქმიან ურთიერთობებზე.

რაც შეეხება ბერტა ზუტნერისა და მისი მეუღლის მოღვაწეობას ქუთაისში, სადაც ისინი მწერლებად ჩამოყალიბდნენ, რადგან თავის მემუარებში ბერტა იხსენებს, რომ პირველი მოთხოვობა აქ დაწერა ქუთაისში “მარაო და წინსაფარი”, დღეს სადაც ისინი ცხოვრობდნენ, 1877-1878 წწ., მემორიალური დაფაა გაკეთებული, ესაა თამარ მეფის №13. დიდია აკაკი წერეთლის უნივერსიტეტის პროფესორის ქ-ნ ირმა ყიფიანის ძალისხმეული მემორიალური დაფის შექმნაში, რათა ის სათანადო ადგილას ყოფილიყო გაკრული.

ბერტა და არტურ ზუტნერები საქართველოს ჭეშმარიტი მეგობრები, ქართული კულტურისა და ისტორიის დიდი დამფასებლები არიან, ამიტომ ვალდებული ვართ, ისინი დავაყენოთ იმ უცხოელ სწავლულთა გვერდით, ვისი სახელიც საქართველოში დიდებით არის მოსილი.

**Vladimer Tsverava  
Akaki Tsereteli State University  
THE SUTNERS AND KUTAISI  
RESUME**

The first woman Nobel Prize winner, Bertha Sutner lived in Tbilisi, with her husband Arthur, for almost ten years (1876-1886). In Paris she had got acquainted with the Queen of Megrelia, Ekaterine Dadiani, and her family. They became very good friends. After that, they used to write to each other. Soon, Bertha married to Arthur Von Sutner. Ekaterine Dadiani invited them to Megrelia. The Sutners arrived there and settled in Gordi. They were greeted warmly there. The Sutners were impressed with the Georgian's hospitality; they started to give lessons in foreign languages and music to Georgian children in Kutaisi. As a writer Bertha was born in Kutaisi. They lived in Kutaisi. Tamar Mepe Street N13. The house has a memorial plaque with the inscription: "In 1877-1878, Austrian writer and pacifist, Bertha von Sutner lived here".

After Ekaterine Dadiani died, they moved to Tbilisi, and were greatly supported by Georgian public activities. In 1886, the Sutners went to Europe and proceeded their literary and public activities. Bertha Sutner wrote the novel "Down with Arms", the book contains some interesting information about the peace and she was awarded with the Nobel Prize. In 1909, she published the book about the life in Georgia and Georgian literature, about Georgian writers and public figures and about the Sutner's friendly and business relationships with them.

<sup>1</sup> სურმანიძე რ., დასახ. ნაშრ. გვ. 92

<sup>2</sup> ტაბაღუა ი., საქართველო საერთაშორისო არენაზე XVIII საუკუნის მეორე ნახევარი. თბ. 1978, გვ. 43

### ბაღვაშები და ატენის „ქუეყანა“

საქართველოს X-XI საუკუნეების ისტორიაში უაღრესად მნიშვნელოვანი როლი უკავია ბაღვაშების ერთ-ერთ უძლიერეს ფეოდალურ სახლს - როგორც დადებითი (კულტურულ-აღმშენებლობითი და საგანმანათლებლო), ასევე უარყოფითი (პოლიტიკური) თვალსაზრისით.

ამავე პერიოდში ატენის „ქუეყანა“ განსაკუთრებული დატვირთვა შეიძინა, განსაკუთრებით, მას შემდეგ, რაც ქვემო ქართლი საქართველოს სამეფოს ერთიან სივრცეში შემოვიდა და სტრატეგიული და უმოკლესი გზისა და საბაჟო შემოსავლების ზრდის მიზნით, ბაგრატ IV-მ აქ ქალაქი დაარსა.

მშენებლობის ფართო მასშტაბებზე მიუთითებს ატენის სიონის არაერთი წარწერა, სადაც გიორგისა და დამიანეს მიერ „ზღუდის შექმნაზე“, ატენის სარქალის მიერ „ზღუდების ქმნაზე“, ბაგრატის მიერ „კალაპოტის შექმნაზე“<sup>1</sup> და სხვა სამუშაოებზეა საუბარი.

ჯერ კიდევ VIII-IX საუკუნეებში ატენის „ქუეყანა“ ადგილობრივი მმართველების - მამულების სამემკვიდრეო დომენი იყო, ხოლო ატენის სიონი მათ სამვალეს წარმოადგენდა.

კლდეკარის საერისთავო ლიპარიტ ბაღვაშვი IX საუკუნის შუა ხანებში, ან ცოტა მოგვიანებით დაარსა, რომელიც თავის სამემკვიდრეო არგვეთის მამულიდან (კაცხიდან) გადმოვიდა და თრიალეთის მხარეში დამკვიდრდა. ა. ბაქრაძის მოსაზრებით, ბაღვაშთა აღმოსავლეთ საქართველოში გადმოსვლა და ახალი საერისთავოს დაარსება განპირობებული იყო აფხაზთა სამეფოს გაძლიერებით. ამ გარემოებამ აიძულა ლიპარიტი ქართლში დამკვიდრებულიყო, სადაც აფხაზთა მეფის ხელი კერ მისწვდებოდა. ამავე თვალსაზრისით, მან იპატრონა არა გუარაბ მამფალი, რომლის სამფლობელოშიც შედიოდა ეს ტერიტორია, არამედ დავით ბაგრატის ძე (876-881 წ.).<sup>2</sup> ამ უკანასკნელის სამფლობელო შედარებით შორს იყო და ამის გამო, მისი ემობაც ნომინალური იქნებოდა<sup>3</sup>.

როგორც ცნობილია, არაბთა ბატონობის გადავარდნისთანავე დაიწყო ბრძოლა „ქართლსაზედა“, რომელშიც აქტიურად ჩაერთვნენ: „ქართველთა მეფე“ ადარნასე, აფხაზთა (ეგრისის) მეფე კონსტანტინე და სომხეთის მეფე სუმბატ ტიეზიკარელი. ამ დაპირისპირებაში, ქართლი, საბოლოოდ, კონსტანტინეს დარჩა<sup>4</sup>.

კონსტანტინეს მემკვიდრე გიორგი II (922-957 წწ.) და მისი ძე ლეონ III (957-967 წწ.), შედა ქართლს მთლიანად ფლობენ და სადგომად ატენი გაუხდიათ: „გამოილაშქრა გიორგი აფხაზთა მეფემან, ჩავიდა კახეთად, მოსწვა და ასწყუდა, და წარვიდა თუსადვე. ქვეყნად. კუალად დადგა ატენს და ძე მისი ლეონ იყო ერისთავად ქართლისა“<sup>5</sup>.

<sup>1</sup> ლაპიდარული წარწერები I, (აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო, V-X სს.), შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნ. შოშაშვილმა, თბ., 1980, გვ. 205-208

<sup>2</sup> ცნობილია, რომ ამ ამბავს აშოტ კურაპალატის მომდევნო ვაჟის და ატენის „ქუენისა“ მფლობელის - გუარამ მამფლისა და მისი ძის ნასრის დავითთან დაპირისპირება მოჰყვა. ამ კონფლიქტს შეეწირა დავით კურაპალატი (+881 წ.), მაგრამ ასევე აშოტები მამფლითა შთამომავლობაც

<sup>3</sup> ბაქრაძე ა. ორიალეთისა და ატენის ეპიგრაფიკული ძეგლები, როგორც ისტორიული წყარო, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XX-ბ, თბ., 1959, გვ. 55.

<sup>4</sup> ონენ დრასხანაგერტელი. სომხეთის ისტორია. სომხური ტექსტი ქართული თარგმანით, გამოკვლევითა და საძიებლებით გამოსცა ე. ცაგარებაშვილმა. თბ., 1965. გვ. 110-111.

<sup>5</sup> ქართლის ცხოვრება I, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1955, გვ. 268.

მოგვიანებით, აფხაზთა მეფები შიდა ქართლის გაღმამხარს<sup>1</sup> კარგავენ და იგი ადგილობრივ ფეოდალთა ხელში გადადის, რომელთა შორის ტბელთა ფეოდალური გვარი დაწინაურდა და მათ შორის უფროსი „ქართლის უფლად“ იწოდებოდა.

მტკვრის მარცხენა სანაპიროზე წარმოიშვა ერთი ისტორიული „ქვეყანა“ ცენტრით უფლისციხეში, ხოლო მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე მეორე „ქვეყანა“ - რატი ბაღვაშის საერის-თავოს სახით, ცენტრით ატენში<sup>2</sup>.

ატენის მფლობელ ბაღვაშთაგან, პირველი მიქაელია, რომელმაც ეს ქვეყანა 940 წელს მიიღო სიგელით ბაგრატ I-საგან (937-945 წწ.) და 945 წელს თავისი დაფინანსებით ატენის ტაძარს ზღუდე აუშენა. მისი ქტიოტორული გამოსახულება ატენის სიონის სამხრეთ ფასადზე ორფიგურიან ქტიოტორულ რელიეფზეა დაცული<sup>3</sup>.

მალე აფხაზეთში ლეონ III-ის მემკვიდრებს: დიმიტრისა და თეოდოსს შორის დაპირისპირება დაიწყო, ამიტომ ისინი ქართლისათვის ვეღარ იცლიან. დიმიტრიმ ძმას დაასწრო, დალატით „თვალები დასწვა“ და ციხეში გამოკეტა, მაგრამ დემეტრე თავად უძეო იყო და მისი სიკვდილის (+975 წ.) შემდეგ „აღარა დარჩა მეცდრი აფხაზეთისა და ქართლისა“<sup>4</sup>. ასეთ შემთხვევაში დასავლეთ საქართველოს მესვეურნი იძულებული გახდნენ ტახტზე ისევ უსინათლო თეოდოსი აეყვანათ (975-978 წწ.).

დასავლეთ საქართველოში არეულობით კახელებმა ისარგებლეს და ქართლის პოლიტიკური ცენტრი უფლისციხე დაიკავეს.

ქვეყნის შინააშლილობის უამს გამოჩნდნენ პროგრესული ძალებიც, რომელთა მთავარი მიზანს ქვეყნის გაერთიანება წარმოადგენდა. ერთ-ერთი ასეთი პიროვნება იყო „კაცი ძლიერი და ერმრავალი“ იოანე მარუშისძე<sup>5</sup>, რომელმაც ტაოს მმართველს დავით III კურაპალატს შესთავა-

<sup>1</sup> „გაღმა მხარში“ შედიოდა შიდა ქართლში, მტკვრის მარჯვენა ნაპირის გვიანდელი სათავადოები: სათარხნო, საჯავახისინო და საციცანინი (იხ: ნიკო ბერძნიშვილი. ფეოდალური ურთიერთობიდან XV საუკუნეში (დოკუმენტები კრიტიკული წერილით), მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. I, თბ., 1937, გვ. 68, საბ. № 1242, შენიშვნა 3)

<sup>2</sup> დავით მუსხელიშვილი. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, ტ. II, თბ., 1980., გვ. 222.

<sup>3</sup> ელენე კავლელიშვილი. დიმიტრი მელვინეთხუცესიშვილი და ვერეს დმრთისმშობლის სახელობის ეკლესიის წარწერები, გორის სახელმწიფო სახატავლო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრის შრომათა კრებული № 13; თბ., 2016, გვ. 66-67.

<sup>4</sup> მატიანე ქართლისად, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 272

<sup>5</sup> სამწუხაროდ, „მატიანე ქართლისაღი“ ავტორი, ამ უაღრესად საინტერესო პიროვნების დასახასიათებლად მხოლოდ ორიოდ სიტყვას „იძეტებს“ - „კაცი ძლიერი და ერმრავალი“. იოანე მარუშის ძე ნაშრომში სულ სამჯერ ჩნდება და სამჯერებე ძალზე მნიშვნელოვანი ფუნქციით. რა უნდა იყოს მემატიანის სიტყვაძუნწობის მიზეზი, პიროვნული ანტიპათია, რაც შეიძლება მარუშისძის ქვეყნაში უსაზღვრო გავლენით იყო გამოწვეული, თუ სხვა რამ? თუმცა, მემატიანის „უთმებლის“ მიუხედვად, ფაქტია, რომ ქვეყნაში ბეჭრი რამ მარუშისძის „კითხულია“. დავაკვირდეთ, ჯერ კოდვ ცოცხალნი და საღ-საღამათნი არიან ქართლის კანონიერი მფლობელები - ბაგრატის მამა გურგენი (+1008 წ.) და პაპა - ბაგრატ II „რევენი“ (+994 წ.), მაგრამ არა მათი, არამედ აფხაზთა მეფის მიერ ქართლის ერისთავად დაგენილი მარუშისძის წინადადებით გადმოჰყავს დავით III კურაპალატს ბაგრატი თავისი შობლებით ქართლში 975 წელს და აღმოსავლეთ საქართველოს მესვეურთ ბაგრატის მორჩილებას უბრძანებს. პროფ. ზურაბ პაპასქირი კითხვას სვამს: „რამდენადმე გაუგბარია, თუ ბაგრატი ქართლს იღებდა, როგორც აფხაზეთის სამეფო გვარის წარმომადგენელი - აფხაზთა მეფე გიორგი II-ის შვილიშვილი (უთუოდ ეს ასეც იყო), და დასავლეთ საქართველოს სამეფო კარის სანქციით, მამინ რატომ უნდა გამხდარიყო საჭირო ბაგრატის გამზრდელის (და არა მაძის ან თუნდაც პაპის „ქართველთა მეფის“) ასეთი აქტიური ჩარევა ამ ამბებში“ (ზ. პაპასქირი. ერთანა ქართული ფეოდალური სახელმწიფოს წარმოქნა და საქართველოს საგარეო-პოლიტიკური ძღვომარეობის ზოგიერთი საკითხი, თბ., 1990, გვ. 24, სქოლოთ).

მეორე და, კიდევ უფრო საგულისხმო ფაქტი, დავით კურაპალატს ქვეყნის მთავარი ციტადელის უფლისციხის კლიტე-გასაღებნი, არა ბაგრატის მამა-პაპამ, არამედ იოანე მარუშის ძემ ჩააბარა. აქც ბაგრატ II-სა და გურგენის როლი უფლისციხის დაგავებაში უმნიშვნელო.

და, მესამეც, ისევ იოანე მარუშის ძის ნება-წინადადებით („ამანვე ივანე მარუშის ძემან ინება, რათა მოიყვანოს ბაგრატ მეფედ აფხაზეთისა“) და დავით III კურაპალატის ნება-დართვით დაიდგა ბაგრატ III-მ აფხაზთა მეფის გვირგვინი, რითაც საფუძველი ჩაეყარა საქართველოს ერთანა სამეფოს ჩამოყალიბებას.

ზა, ან თვითონ დაეჭირა ქართლი, ან მისი შვილობილისათვის - ბაგრატისათვის ებოძა: „ძესა გურგენისსა, ასულის წულსა გიორგი აფხაზთა მეფისასა, რომელსა ეყოდა დედულად აფხაზეთი და ქართლი“<sup>1</sup>.

975 წელს დავით III დიდი ჯარით გამოემართა ატენის ხეობით და ქვახვრელს დადგა. ამ ცნობისთანავე კახელები „ვითარცა მეოტნი“ აიყარნენ და ქართლს გაეცალნენ. დავით კურაპალატს ქვახვრელთან ითანე მარუშის ძე მიეგება და უფლისციხე გადასცა. ტაოს მეფემ ქართლელებს ბაგრატის მორჩილება უბრძანა, მისი მცირეწლოვანების გამო „თანაგამგებლად“ მამამისი გურგენი დაუნიშნა, აქ „დღენი მცირედი დაყვნა“ და უკან გაბრუნდა.

ქართლელმა დიდებულებმა ახალი ბატონი არ ინტეს და „იწყეს კუალად მედგრობად ზაკულებით“<sup>2</sup>, კახეთიდან ლაშქარი მოიწვიეს, უფლისციხეში მყოფი ბაგრატი და მისი მშობლები შეიპყრეს და კახეთს გაგზავნეს.

ამ ამბის შეტყობისთანავე დავით კურაპალატი თრიალეთის გზით დიდი ჯარით კახეთს გადავიდა, კახელებმა ზავი არჩიეს, გურგენი, გურანდუხტი და ბაგრატი უკან გამოუშვეს და უფლისციხეც დათმეს, მაგრამ წირქოლისა და გრუას ციხეები თავისად დაიჭირეს.

ბაგრატი მალევე იძულებული გახდა ქართლიდან აფხაზეთს გამგზავრებულიყო, რადგან მისი ბიძის, უსინათლო და უმემკვიდრეო თეოდოსის წყალობით „ქვეყანა განირყუნა და შეიცვალა ყოველი წესი და განგება, პირველთა მეფეთა განწესებული“<sup>3</sup>.

საქმეში ისევ ითანე მარუშისძე ჩაერია, დავით კურაპალატს ბაგრატის აფხაზეთში გამეფება სთხოვა და კიდეც მიიღო თანხმობა. ბიძის გარდაცვალების შემდეგ, 978 წელს ბაგრატ III აფხაზთა მეფედ ეკურთხა და ქვეყანაში წესრიგის დამყარება ენერგიულად დაიწყო.

წასვლამდე მან უფლისციხეში გურანდუხტი დატოვა და ადგილობრივებს დედის მორჩილება უბრძანა. ქართლის დიდაზნაურები ფორმალურად გურანდუხტს მართლაც ემორჩილებოდნენ, თუმცა, „თითეულად განაგებდეს საქმესა ქართლისასა“, ამიტომ ბაგრატს ხელახლა მოუხდა

---

რა რჯიდა ითანე მარუშის ძეს ბაგრატის ქართლში გამეფებით? წესით, „დე ფაქტო“ მდგომარეობა მისთვის მისაღები უნდა ყოფილიყო. მას აფხაზთა მეფისაგან პქონდა მიღებული ქართლის ერისთავობა და გავლენა ისედაც არ აკლდა. ქართლის დიდებულებიც „თკუულად განავებდნენ“ საკუთარ ქვეყნებს. სწორედ გარე და შიდა საფრთხეების სწორი ანალიზი და დროული გააზრება უნდა ყოფილიყო ის მიზეზი, რამაც უბიძგა სახელმწიფოურნოვად მოაზროვნე მარუშის ძეს, გადაედგა ესოდენ მნიშვნელოვანი ნაბიჯი და ქვეყნის მტკიცე ხელის ქვეშ გაერთიანების აუცილებლობა დაენახა.

აღსანიშნავია, რომ ქვეყნის პოლიტიკურ გაერთიანებას წინ უსწრებდა საეკლესიო გაერთიანება. დასავლეთ საქართველო საუკუნეების განმავლობაში კონსტანტინოპოლის საპატიოარქოს ექვემდებარებოდა და სწორედ X ს. შუა სანებში შეუერთდა მცხეთის დედა-ეკლესიას (მიზრობოლიტი ანანია ჯაფარიძე). საქართველოს სამცირეულო კლესის ისტორია, მეორე გამოცემა, თბ., 2009, გვ. 565). არ არის გამორიცხული, ითანე მარუშის ძეს აქაც შეეტანა თავისი წვლილი.

სამწუხაროდ, თითქმის არაფერი ვიცით ითანე მარუშის ძეს შემდგომი ბედის შესახებ. მემატიანე ამ შემთხვევაშიც დუმს. ცნობილია, რომ მარუშიანები სვანეთის საერისთავოს, კერძოდ, დალის ხეობის მფლობელები იყვნენ მეტყვიდრეობით. მათ საპატიო ადგილი ეკავათ აფხაზთა სამეფო კარზე და მეფედ კურთხევის დროს მათი მოვალეობა მეფისათვის ხმლის შებმა შეადგენდა (როზეტა გუჯჯანი. დალის სვანეთის (კოდორის ხეობის/ზემო აფხაზეთის) ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა, კრებულში: „საქართველოში არსებული კონფლიქტები და მშვიდობის პერსექტივები“, თბ., 2009, გვ. 15). მარუშიანთა კიდევ ერთი ცნობილი წარმომადგენელი იყო ზვიად მარუშიანი, რომელიც კუმურდოს ტაძრის 864 წლის სამშენებლო წარწერაშია მოხსენიებული.

შემდგომში მარუშიანებისაგან წარმოსდგნენ დასავლეთ საქართველოს დიდი საგვარულოები - ვარდნისმეუბი და დადიანები (მიხეილ ბახტამი, დასავლეთ საქართველოს ფეოდალური საგვარულოების ისტორიიდან (XI-XIII საუკუნეები), თბ., 2008, გვ. 11; 26).

<sup>1</sup> მატიანე ქართლისად, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 272.

<sup>2</sup> სულხან-საბას მიხედვით, „ზაკვა“ არის „პირით სიყვარულს იჩემებდეს და გულით ბოროტი დაიმარხოს“, (იხ: სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. I, თბ., 1991, გვ. 275).

<sup>3</sup> მატიანე ქართლისად, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 275.

ქართლში გადმოსვლა. ეს ფაქტი მიუღებელი აღმოჩნდა დიდებულთათვის. მათ ქავთარ ტბელი<sup>1</sup> იწინამძღვრეს და მოღრისთან დაუხვდნენ აფხაზთა მეფეს, მაგრამ დამარცხდნენ.

ბუნებრივია, ქართლელ დიდაზნაურებს ენერგიული და „მტკიცე ხელის“ ბაგრატის მორჩილებას ისევ გურანდუხტის „ხელქვეითობა“ ერჩიათ, ამიტომ დედა-შვილს შორის უთანხმოების ჩამოვდება სცადეს, და, როგორც ჩანს, მიაღწიეს კიდეც, რადგან ამ პერიოდისათვის ბაგრატსა და დედამისს შორის მთლად იდეალური ურთიერთობა არ ჩანს. მხედველობაში გვაქვს „მატიანე ქართლისა-ს“ ავტორის „დიპლომატიურად“ ნათქვამი ფრაზა: „მოვიდა უფლისციხეს (ბაგრატ III - ი. ა.) და აღიღო ციხე დედისაგან თ-სისა“<sup>2</sup>. ჩვეულებრივ შემთხვევაში, აღბათ მემატიანე იტყოდა: დედამ „მიუბოძა“, ან „გადასცა ციხე თ-სიო“ - და არა „დედისაგან აღიღოო“.

როგორც ზაზა ალექსიძე წერს, „მატიანე ქართლისაის“ ავტორი რატომღაც ცდილობს მკითხველს ისეთი შთაბეჭდილება შეუქმნას, თითქოს გურანდუხტის ნების გარეშე მოხდა ეს კონფლიქტი, სინამდვილეში მნელი არა იმის მიხვდრა, რომ ქართლის აზნაურობა და გურანდუხტი ერთ ბანაკში არიან“<sup>3</sup>.

ბაგრატისა და დედამისის ურთიერთობას ნათელს ჰქონის სიონის გერჯიუმ ერპასანის ძის სომხური წარწერა, რომელიც ატენის სიონის დასავლეთის ფასადის ცენტრალურ წახნაგზეა ამოკვეთილი და სადაც ნათქვამია, რომ ბაგრატმა აიძულა ქართველთა დედოფალი უფლისციხე დაეთმო<sup>4</sup>. ისიც გასათვალისწინებელია, რომ გერჯიუმი აღწერილი მოვლენის თანამედროვე და თვითმხილველია.

პარუირ მურადიანი დედა-შვილის დაპირისპირებას 980-988 წლებს შორის ათავსებს<sup>5</sup> (ანუ, ბაგრატის მიერ აფხაზეთის დაკავებიდან - ბაგრატისა და დავით კურაპალატის დაპირისპირებამდე).

ზემოთ მოტანილი წარწერიდან ირკვევა, რომ ბაგრატისადმი ქართლის აზნაურთა წინააღმდეგობა, გურანდუხტ დედოფლის მიერ ამ უკანასკნელთა მხარდაჭერის გარეშე არ მომხდარა. ნიშანდობლივია, რომ დიდებულთა დამარცხებისა და უფლისციხის დაბრუნების შემდეგ, ბაგრატმა დედას ქართლის „გამგეობა გამოართვა“, თვითონ დაიჭირა<sup>6</sup>, საქმეები მოაწესრიგა და ამჯერად, დედასთან ერთად, ისევ აფხაზეთს გაეშურა, რითაც დედოფალს მოუსპო დამოუკიდებელი, სეპარატიული პოლიტიკის გატარებისა და დიდაზნაურთა მხარდაჭერის საშუალება<sup>7</sup>.

ისიც საგულისხმია, რომ წარწერაში გურანდუხტი მოხსენიებულია, არა როგორც „დედოფალი“ ზოგადად, არამედ როგორც „ქართველთა დედოფალი“. „სწორედ ეს უნდა ყოფილიყო ქართლის აზნაურთა პოლიტიკური იდეალი - ჰყოლოდათ თავიანთი ადგილობრივი ხელისუფალი.

<sup>1</sup> ტბელთა ფეოდალური სახლი შიდა ქართლში დიდ გავლენას ჯერ კიდევ X ს. დასაწყისიდან ფლობდა. ერედვის (914 წ.), დოლოთის (914 წ. ახლო) და ტბეთის ბორცვისკვრის (X ს. შუა წლები) წარწერებიდან ასევე ცნობილია ტბელთა რამდენიმე თაობა: ივანე ტბელი, მისი ძე ქავთარი, ქავთარის ძეები: პატრიკი, ოქროპირი და ქავთარი (იხ: გორგი ოთხმეტური. შიდა ქართლის მთანეთის ეპიგრაფიკა, წიგნში: „ოსთა საკითხი“, აკაკი ბაქრაძისა და ომარ ჩუბინიძის რედ., გორი-თბილისი 1996, გვ. 135-137).

<sup>2</sup> მატიანე ქართლისათ, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 276.

<sup>3</sup> ზ. ალექსიძე, ატენის სიონის სომხური წარწერები, თბ., 1978, გვ. 56.

<sup>4</sup> პ. მურადიანის მიხვდვით, წარწერა შემდეგი შინარჩინისაა: „მე [დავწერ] გერჯიუმ ერპასანის ძემ, ვინც წაიკითხავს ამას, იმ ზაფხულს, როდესაც აფხაზთა მეფე ბაგრატმა აიძულა ქართველთა დედოფალი დაეთმო, ხოლო მომდევნო წელს დაიკავა უფლისციხე, რათა...“. („Сие [написал] я Герджиум сын Ерзасана - Кто прочитает это, в то лето, когда царь абхазов Баграт заставил царицу грузинскую отстать [от сговора], и в следующий год занял Уплисцихе дабы ») (П. Мурадян. Армянская эпиграфика Грузии, Ереван, 1985, გვ. 107). ოდნავ განსხვავებულად კითხულობს წარწერას ზაზა ალექსიძე: „ეს მე გეგოუმ ერპასანის ძე, ვინც ამას კითხულობს, ღმრთის მქანდაკებელი (მოიხსენიეთ). ბაგრატ აფხაზთა მეფე როცა დედოფალს ქართველთა შეედავა და (სატახტო) უფლისციხე დაიკავა“ ზ. ალექსიძე, ატენის სიონის სომხური წარწერები, თბ., 1978, გვ. 52.

<sup>5</sup> П. Мурадян. Армянская эпиграфика Грузии, Ереван, 1985, გვ. 107-108.

<sup>6</sup> ივანე ჯავახიშვილი, თხზულებანი, ტ. II, თბ., 1983, გვ. 126

<sup>7</sup> დავით მიხდორაშვილი. უფლისციხე შუა საუკუნეებში, თბ., 2008, გვ. 23.

„ერთი სიტყვით, ქართლში შექმნილია განვითარებული ფეოდალიზმისათვის დამახასიათებელი სოციალურ-პოლიტიკური სიტუაცია, როდესაც ფეოდალურ არისტოკრატიას ძლიერი ცენტრალიზებული სახელმწიფო ხელისუფლების ნაცვლად სურს ჰყავდეს ადგილობრივი მარიონებული მთავრობა, რათა „თითოეულად განაგებდეს საქმეთა ქართლისათა“ - აღნიშნავს ზურაბ პაპასქირი<sup>1</sup>.

ქართლის დიდებულები ბაგრატ III-ის „მტკიცე ხელს“ იოლად არ შეეგუვნებ. კლდეკარის ერისთავმა რატი ბაღვაშმა ატენის ციხე გაამაგრა, ეპლესიაც ააგო<sup>2</sup> და იქმდან დაუწყო ბრძოლა ქვეყნის გამაერთიანებელ მეფეს.

თავდაპირველად ბაგრატმა მშვიდობიანად სცადა კონფლიქტის მოგვარება და რატი ბაღვაში კლდეკარის ერისთავად შეიწყნარა, მაგრამ გაძლიერებული მთავარი „არა მორჩილებდა კეთილად ბაგრატ მეფესა“<sup>3</sup>. როგორც ნ. ბერძენიშვილი წერს: „საქმე, უცჭველია, იმაში იყო, რომ „კეთილად მორჩილობა“ სულ სხვადასხვანაირად ესმოდათ ბაგრატ მეფესა და ლიპარიტ ბაღვაშს ...თრიალეთი და ატენი ბაღვაშს წყალობად არ მოუღია ბაგრატისაგან ...ბაღვაშთა წინაპარმა „ქვეყანანი თრიალეთისანი“ შეიძყრნა და პატრონიც თვითონ შეარჩია. ასე რომ ის თავს მოხელე ერისთავად, დიდებულ მოსაქარგავედ კი არ გრძნობდა, არამედ ყმადნაფიცად და მხოლოდ ამ პირზე ეწადა „მორჩილება“ - ბაგრატი კი მთავრებს, ყმადნაფიცებს არ ითმენდა და მხოლოდ „მოსწრაფედ მორჩილებას“ ერისთავ-მოსაქარგავებს სცნობდა. ეს იყო ახალი, რაც ბაგრატს შემოჰკონდა“<sup>4</sup>.

მართლაც, ბაგრატ III ჯარის შეკრებას შეუდგა თავგასული ფეოდალის წინააღმდეგ, მაგრამ მისმა მოწინააღმდეგებმა დავით III კურაპალატი დაარწმუნეს, „ბაგრატს შენი მოკვლა სწადიაო“ და შვილობილის წინააღმდეგ აამხედრეს. შინაურ დაპირისპირებაში შვილის მხარეს დადგა გურგენი, სამაგიეროდ, ბაგრატის პაპა ამავე სახელით - „რეგვენად“ წოდებული, დავით კურაპალატს მიეწმო, რადგან „ეშინოდა ძისა თვისისა გურგენისაგან წალებასა მეფობისასა“.

როგორც ჩანს, დავით კურაპალატს თავისი მხედრობა ეცოტავა და „უტმო ყოველთა მეფეთა სომხითისასა“<sup>5</sup>. გურგენსა და დავით კურაპალატს შორის ბრძოლა მოხდა „გარდათხრილ-თა თავსა შავშეთისასა“, გურგენი იძლია და წევთის (ჯიხეს შეაფარა თავი).

კრიტიკულ მომენტში ბაგრატ III-მ დიპლომატიურად გადაწყვიტა კონფლიქტი. იგი მარტოდმარტო ეახლა დავით კურაპალატს, „შენდობა“ სთხოვა და აუწყა: „ვითარმედ სხუასა არა რომლისა თვის მოვიდე, გარნა არა მორჩილებისათვის რატისაო“.

დავით კურაპალატმა შვილობილს შეცოდება აპატია და რატი ბაღვაშის დამორჩილებაზე თასწორი მისურა: „მითავისუთობისა რატის ზეთა, დაიმორჩილე ვითარება სახით გწადინან“<sup>6</sup>.

<sup>1</sup> ზურაბ პაპასექირი. ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს წარმოქმნა და საქართველოს საგარეო-პოლიტიკური მდგრადირობის შოთარო საკონტა თბ. 1990 კვ. 69.

<sup>2</sup> წარწერის მიხედვით, ეკლესიის შენებლობა რატი ლიპარიტისქ ბაღვაშს უწარმოებია: „ქრისტე ადიდე ორსავე ცხოვრებასა აქა ხორციელებრ და წინაშე შენისა სულიერებრ რატ ერისთავი ძე იგი ლიპარიტ ერისთავისა, რომელმან აღაშენა ეს სახლი ღმრთისათ და ბჟევ ცათად წმინდა ეკლესია სალოცველათ სულთა მათისა”. წარწერა დათარიღდებულია 982-989 წლებით (ლაპიდარული წარწერები I, გვ. 202-203). არის თვალისაზრისი, რომ რატი ბაღვაშმა ეკლესია კი არ ააშენა, არამედ განაახლა (იხ: საქართველოს ისტორიისა და ხუროთმოძღვრების ძეგლთა აღწერილობა, გ. V, თბ., 1990, გვ. 60).

<sup>3</sup> ქართლის კხოვლუბა, I, 23: 276.

<sup>4</sup> ნიკო ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები, გ. VIII, თბ., 1975, გვ. 319.

<sup>5</sup> მატიანე ქართლისავ, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 277. სომხების (ანისისა და ყარსის მმართველების) დავით კურაპალატისადმი მორჩილება დასტურდება ასოდიკის ცნობითაც (იხ: Всебощая история Стефаноса Таронского, Асохика про прозванию, пер. Н. О. Эмина, Москва 1864, გვ. 131).

<sup>6</sup> მაგიანე ქართლისავ, ქართლის კეოვრება, I, გვ. 277.

ლიპარიტ თანა, შევეღრა ბაგრატ აფხაზთა მეფესა და მისცა ციხე თჯსი (ატენის - ი. ა.) ბაგრატს და თჯთ დაჯდა მამულსა თჯსთა არგუეთს<sup>1</sup>.

ბაგრატის მიერ რატი ბაღვაშის დამორჩილების „ნებადართვის“ დავით კურაპალატისეული ფორმა ერთობ საინტერესოა. როგორც ჩანს, დიდი ფეოდალის მეფისადმი მორჩილების ფორმა იმ დროსათვის სხვადასხვა სახის იყო. ეს ჩანს მემატიანის მინიშნებაშიც - რატი „არა მორჩილებდა კეთილად ბაგრატ მეფესაო“. ბაგრატის მიერ რატი ბაღვაშის დამარცხების შემდეგ მეფე-ფეოდალს შორის მორიგება შედგა: ერისთავთერისთავმა მეფეს ატენის ციხე დაუთმო, შვილი ლიპარიტიც „პატრონს შეავეღრა“, სამაგიეროდ, თავისი სამკედლო მამული - არგვეთი უკლებლივ შეინარჩუნა. როგორც ნიკო ბერძნიშვილი წერს: „ამ გამოთქმაში „შევეღრა“ მთელი მოვლენა იგულისხმება. ჩანს პატრონი და ვასალი ისე მორიგდნენ, რომ რატი ხელს აიღებდა თრიალეთზე, მაგრამ ისე, რომ კლდეკარსა და თრიალეთს პატრონი რატის შვილს ლიპარიტს უწყალობებდა. ასე რომ ლიპარიტს საერისთავო კლდეკარ-თრიალეთი ამიერიდან მამისაგან მემკვიდრეობით მიღებული კი აღარ ჰქონდა, არამედ მეფისაგან ნაწყალობევი. გარდა ამისა, ბაგრატ მეფეს ამ თავისი ერისთავთერისთავისათვის საერისთავო ქვეყანა შეუმცირებია. მაინც და მაინც მტკვრის სამხრეთი ქართლი ატენის ციხით XI საუკუნეში კლდეკარის ერისთავს კი აღარ ეპყრა, არამედ საკუთრივ სამეფო იყო“<sup>2</sup>.

სწორედ ბაღვაშთა მფლობელობის დროს უნდა მოეწვიათ ატენის სიონის სარესტავრაციო სამუშაოების საწარმოებლად თოდოსაკის მეთაურობით სომეხ-ქართველი კირით-ხურონი, რაც, სათანადოდ აისახა სიონის წარწერებში<sup>3</sup>.

საინტერესოა, რატომ უნდა აერჩია რატი ბაღვაშს თავის სამფლობელოს უმთავრესი ჭაბრის, ატენის სიონის შესაკეთებლად თოდოსაკის არცთუ ძლიერი პროფესიონალთა ჯგუფი, რო-

<sup>1</sup> ბაღვაშთა საგვარეულოდან ცნობილია ლიპარიტ I (კლდეკარის საერისთავოს პირველი მფლობელი), ბაგრატ III-სთან მეტობლი რატი ბაღვაშის მამა (ლიპარიტ II) და მე (ლიპარიტ III), ბაგრატ IV-ის მოწინააღმდეგე და ბაღვაშთა ყველაზე ცნობილი წარმომადგენელი - ლიპარიტ IV და დავით აღმაშენებლის თანამედროვე ლიპარიტ V. რატის სახელით ორი ბაღვაშია ცნობილი: ატენის ღვთისმთაბლის ეკლესიაში მოხსენიებული (დაახლ. 980-989 წწ.), რომელიც 1021 წელს მოიკლა შირიმინის ოში და დავით IV-ის თანამედროვე, რომლის გარდაცალებით დასრულდა ბაღვაშთა საგვარეულოს ისტორია, რადგან, დავით აღმაშენებლის მემატიანეს ცნობით, „აღარავინ დაშთა საყოფელად მათთა მკვიდრი“. ხსენებული საგვარეულოდან სხვადასხვა დროს ასევე იხსენიებიან ნიანია და ივანე ბაღვაშებიც. ვრცლად, რატი ბაღვაშის შთამომავლებისა და შემდგომი ბედის შესახებ, ის : მიხეილ ბახტაძე-დასავლეთ საქართველოს ფეოდალური საგვარეულოების ისტორიიდან (XI-XIII საუკუნეები), თბ., 2008, გვ. 32-35. მისივე: „ბაღვაშთა და ორბელთა ნათესაობის შესახებ“, „საისტორიო კრებული“ (წელიწდეული), ტ. II, თბ., 2012, გვ. 13-25; ა. ბაქრაძე თრიალეთისა და ატენის ეპიგრაფიული ძეგლები, როგორც ისტორიული წყარო, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XX-ბ, თბ., 1959, გვ. 55-78.

<sup>2</sup> ნიკო ბერძნიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VII, თბ., 1974, გვ. 319.

<sup>3</sup> ერთ-ერთი ასეთი ცნობილი წარწერა ეკუთხის სიონის სომეხ რესტავრატონის თოდოსაკს („მე თოდოსაკ მაშენებელი ამ წმინდა ეკლესიისა“), რაც გახდა XIX საუკუნეში საქართველოში მყოფი ზოგიერთი ევროპელი და რუსი მოგზაურის (დიუბუა დე მონპერე, მარი ბროსე, გრავინია უვაროვა) სიონის ჭაბრის შეცდომით დათარიღების საფუძველი. ფრედერიკ დიუბუა დე მონპერემ ატენის სიონი X-XI საუკუნეებით დაათარიღა, შესაბამისად, თოდოსაკიც ამ პერიოდის რესტავრატორად მიჩნია და ჩათვალა, რომ ატენის სიონი VII საუკუნის სიმური არქიტექტურის რიცხიმეს ტაძრის პროტოტიპს წარმოადგენს (Fr. Dubois de montpereux. Voyage autor du Caucaze, chez les Tcherkesses et les Abkases, en Colchide, en Géorgie en Arménie et en Crimée, III, 1839-1843, p. 212-214). მონპერეს ცნობაზე დაყრდნობით, მარი ბროსემ და გრავინია უვაროვამ ატენის სიონი ბაგრატ IV-ის მიერ აშენებულად, და, თოდოსაკიც ამ პერიოდის ხუროთმოძღვრად მიჩნიეს (M. Brossset, Rapports sur un voyage archéologique dans la Géorgie et dans l' Arménie, exécuté en 1847-1848 SPB 1849, VI. p. 21-25; Христианские памятники графинии Уваровой, Материалы по археологии Кавказа, вып. IV, Москва 1894, გვ. 148). თამარ მესხი თოდოსაკს სულაც ბიზანტიელ (ბერძნ) ხუროთმოძღვრად, ხოლო მის თანაშემწევს გრიგოლი დაასს ბაღვაშთა ფეოდალური სახლის წარმომადგენლად მიჩნევს (თამარ მესხი. ბერძნული ელემენტები ატენის ხეობის ტოპონიმიკაში და ატენის სიონი, გვ. 47, 52). მოგვიანებით, ატენის სიონში აღმოჩენილმა VIII-IX საუკუნეების წარწერებმა (იხ: გურამ აბრამიშვილი. ატენის სიონის სამი გრაფიტი, „მათობი“, 1984, № 9, გვ. 164-168) საბოლოოდ გააბათილა სომეხი ხუროთმოძღვრის მიერ სიონის თავდაპირველი აშენების ვერსიის უსუსურობა.

დესაც იმ დროისათვის ტაო-კლარჯეთსა თუ იმერეთ-აფხაზეთში მშენებელთა ასეთი არაერთი ჯგუფი და „გალატოზთა ზედამდეგი“ იყო?

გიორგი გაგოშიძე თვლის, რომ რატი ბაღვაშს დაზიანებული სიონის აღსაფეხნად თავის სამეფოში მოღვაწე მშენებელ-მოქანდაკები ტაშირ-ძორაკეთის მეფე გურგენმა გამოუგზავნა. ამ შემთხვევაში ქტიორი რატი ბაღვაში ტაშირ-ძორაკეთის მეფის რეკომენდაციებს ითვალისწინებდა და ოსტატთა კონფესიური კუთვნილება მისთვის მეორე რიგის საკითხი იყო<sup>1</sup>.

მისივე აზრით, შესაძლოა, კლდეკარის ერისთავს და ატენის პატრონს მაღალპროფესიონალი მშენებლების მოწვევის საშუალება არ ჰქონდა, რადგან ასეთი ოსტატების საქმიანობას სამეფო ხელისუფლება აკონტროლებდა და მათ დაკვეთებს ასრულებდნენ. თუ გავითვალისწინებთ, რატი ბალვაშის დაპირისპირებას ბაგრატ III-სთან, ნათელი გახდება, თუ რატომ მოიწვია დიდმა ფეოდალმა ქვემო ქართლში მოქმედი ოოდოსაკის ამქარი და არა ტაო-კლარჯეთიდან წამოსული ოსტატები<sup>2</sup>.

ოღონდ, აქ საკითხავი ის არის, თუ X ს. 80-იან წლებში თოდოსაკი და მისი ჯგუფი მართლაც რატი ბაღვაშმა ჩამოიყვანა ატენში, როგორ მოხდა, რომ კლდეკარის ამბიციური და ზევადი ერისთავობისთვი ატენის ღვთისმშობლის შედარებით მცირე ეკლესის წარწერაში ღვთისადმი მოკრძალებულია და შენდობას ითხოვს (იხ: შენიშვნა № 20), ხოლო მის მიერ მოწვეული გადამთიელი თოდოსაკი მთავარი ტაძრის ერთ-ერთ ცენტრალურ ადგილას გამორჩეული ზომისა და ფერის ასოებით<sup>3</sup> მის ამშენებლად აცხადებს თავს და ქტიტორის სახელს არ ახსენებს (იხ: შენიშვნა № 27)? თუ ატენის სიონის ტაძრის აღდგენას მართლაც X ს. 80-იანი წლების დასაწყისში ჰქონდა ადგილი რატი ბაღვაშის ინიციატივით, რატომ არ აისახა მისი სახელი სიონის მთავარი ტაძრის წარწერებში? ამ პერიოდში (975-989 წწ.) ბაგრატ III-ის გავლენა ატენსა და ქართლზე ჯერ კიდევ სუსტია და მისი მოუხსენიებლობა სიონის ტაძრის წარწერებში გასაგებია, მაგრამ რატი და ლიპარიტ ბაღვაშები როგორ შეეგუვნენ ამ ამბავს? ხომ არ შეელია მეფესთან დაპირისპირებული კლდეკარის ერისთავობისთავი თოდოსაკის ამბიციებს ტაძრის აღდგინის, ან სხვა წყალობის სანაცვლოდ?

გიორგი I-ის (1014-1027 წწ.) მთავარ საზრუნავს ტაოს მიწების შენარჩუნება და ბასილი „ბულგართმმუსვრელთან“ ომი წარმოადგენდა, ამიტომ ატენის საკითხმა დროებით უკანა პლანზე გადაიწია. ბალვაშებმა მეფესთანაც დათბეს ურთიერთობა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც რატი ბალვაში შირიმნის ომში (1021 წ.) დაიღუპა, ხოლო ზვიად ლიპარიტის ძემ ფანასკერტის ციხეში გარდაცვლილი ბაგრატ III-ის ნეშტი ბედიის მონასტერში გადმოასვენა და დაკრძალა. შესაძლოა, ამ დაშსახურების გამო მიიღო გიორგი I-სგან ზვიად ბალვაშმა ამირსპასალარის სახელო.<sup>4</sup>

თუმცა, ბალვაშებმა სამეფო კართან მშვიდობიანი ურთიერთობა დიდხანს ვერ შეინარჩუნეს და ატენისათვის ბრძოლა ბაგრატ IV-სთან ლიპარიტ ლიპარიტის ძემ განაახლა. იგი ბაგრატის ნახევარმმას (გიორგი I-ის ალდესთან ქორწინებით) დემეტრეს შეეკრა, ბიზანტიის იმპერატორის ბასილი II-ის დახმარუბითაც ისარგებლა, „მიერთნეს სხვანიცა ვინმე დიდიბეჭლი და აზნაურნი“

<sup>1</sup> გიორგი გაგოშიძე. ატენის სიონის აღდგენითი სამუშაო X საუკუნის მიწურულს (თოდოსაკი და მისი ამქარი), „საქართველოს სიმღელენი”, № 21, ობ., 2018, გვ. 129. გიორგი გაგოშიძე თოდოსაკის მშენებელთა ჯგუფის აღსანიშნავად ხმარობს ტერმინს „ამქარის“. „ამქარი“ („კამქარი“) საპარაზო სიტყვაა და თანამოსაქმეს, ხელობით ამხანაგს ნიშნავს. შოთა მესხიას ვარაუდით, ეს ტერმინი ქართულში მხოლოდ XVII-XVIII საუკუნეებში შემოვიდა და X ს. მოგლენებთან მისი ხმარება ანაქრონიზმია (შოთა მესხია. სისტორიო ძიებანი, II, გვ. 509-519). მისივე გადმოცემით, „ამქრის“ შესატყვისად, ძველ ქართულში ტერმინი „ოფიკალი“ იხმარებოდა (იქვე, გვ. 518-519)

<sup>2</sup> გიორგი გაგოშიძე. ატენის სიონის აღდგენითი სამუშაო X საუკუნის მიწურულს, გვ. 130.

<sup>3</sup> მართლაც ყურადღებას იქცევს თოდოსაკის წარწერაში ასოების ზომა და ფერი. ასოების მოყვანილობა სიმაღლეში 11,5-12 სმ-ს აღწევს, ხოლო სიგანე 4-5 და 8-9 სმ და წითელი ფერითაა შეღებილი.

<sup>4</sup> ალინა ბალიშვილი. ბაღვაშები, ქურნ. „აია”, № 2, ობ., 1998, გვ. 53.

და ატენის ციხის აღება სცადა, მაგრამ ვერ აიღო, „რამეთუ ციხეთა-უფალნი კაცნი მტკიცე იყვნეს ერთგულობასა ზედა ბაგრატისასა“<sup>1</sup>.

გარკვეული წინააღმდეგობების შემდეგ, სულა კალმახელმა და მესხმა დიდებულებმა 1057<sup>2</sup> წელს ლიპარიტი და მისი ძე ივანე შეიპყრეს და ბაგრატ IV-ს მიჰვარეს, ხოლო მეორე ვაჟმა ნიანიამ გაასწრო. ლიპარიტმა შვილი ბაგრატს შეავედრა, თვითონ ბერად აღიკვეცა<sup>3</sup> და საბერ-მნეთში წავიდა. მცირე ხნის გასვლისას, მასთან ჩავიდა ივანეც<sup>4</sup>.

ბაღვაშთა „ექსორით“ ისარგებლა ბაგრატ IV-მ და ატენში ფართო მასშტაბის სამშენებლო სამუშაოები წამოიწყო მირიან თარხონის ძისა და გორგანელ ციხისთავის მეთაურობით „სამეფო ზერისა“ და ამჟამინდელი ატენის დედათა მონასტრის ტერიტორიაზე, რის შემდეგ, ბაღვაშების ყოფილი მამულები ორბელებს უბოძა და ყმებიანად დაასახლა.

ამჟამინდელი ატენის დედათა მონასტერი, საუკუნების განმავლობაში ორბელიანების სასახლეს წარმოადგენდა. ციხესაც ორბელთა ციხეს უწოდებენ. ორბელიანები კი ქვემო ქართლელი დიდებულები იყვნენ. მეტიც, ქართულ და სომხურ ისტორიოგრაფიაში გაზიარებულია თვალსაზრისი, რომ ორბელები ბაღვაშთა განაყრებს წარმოადგენდენ<sup>5</sup>. XII საუკუნიდან ორბელთა საგვარეულო სამვალე უკვე ბეთანია ჩანს<sup>6</sup>. არ გამოვრიცხავთ, რომ „ატენის ქალაქის“ ფუძემდებელი მირიან თარხონის ძე, ორბელთა საგვარეულოს წარმომადგენელი, ატენში ყმებიანად გადმოსახლებულიყო. ბაგრატ IV-ს, ატენის სიონის რესტავრაციისა და ქალაქის მშენებლობის საფასურად, მათვის „სასახლენი ადგილი და საქულბაქენი“ შეეთავაზებინა კუთვნილ „სამეფო ზვარში“.

მირიან თარხონის ძისა და ლიპარიტის მეტოქებას ხედავს სარა ბარნაველიც, რადგან მას უჭირავს იგივე ადგილები, რაც კლდეკარის ერისთავებს ეჭირათ ბაგრატ III-ის დროს. მეტიც, იგი თვლის, რომ „მატიანე ქართლისადს“ ზემოთ მოტანილ მინიშნებას - ლიპარიტის ამაო მცდელობის შესახებ ატენის ციხის აღების თაობაზე, „რამეთუ ციხეთა-უფალნი კაცნი მტკიცე იყვნეს ერთგულობასა ზედა ბაგრატისასა“, ბაგრატ IV-ის ერთგულ ადამიანებში, სწორედ მირიან თარხონის ძესა და გორგანელ ციხისთავს მიიჩნევს<sup>7</sup>.

ბაღვაშებსა და ორბელებს შორის კიდევ იყო განსხვავება: მართალია ბაღვაშები ერისთავები იყვნენ, აქედან გამომდინარე, მათი მიწა სახელმწიფო საკუთრებად ითვლებოდა და მხოლოდ მისი დროებითი განმკარგავები იყვნენ, მაგრამ ატენის ხეობასა და კლდეკარში მათ მიწები ბაგრატის წინაპრებიდან მიიღეს დაახლ. 100 წლის წინათ და თანდათანობით მკვიდრ მამულად აქციეს, ორბელები კი მეფისაგან იღებდნენ წყალობის სახით, ანუ პირობით მიწისმფლობელებად და „მოსაკარგავედ“ გამოდიოდნენ, რაც ერთგული სამსახურის საფუძველზე დამყარე-

<sup>1</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 298.

<sup>2</sup> თევდო ქორდანია ლიპარიტისა და ივანეს დატყვევებას ბაგრატის მიერ 1055 წლით ათარიღებს (იხ.: ქრონიკები, I, გვ. 200), რადგან საქართველოდან გადახვეწილი ნიანია გარდაიცვალა ანისში 1055 წლის ახლო ხანებში (ქართლის ცხოვრება I, გვ. 228).

<sup>3</sup> ლიპარიტ ლიპარიტის ძე ბერად აღიკვეცა ანტონის სახელით და ეშმარებოდა ათონის ივერთა მონასტერს. მას, მონასტრის წინამდვრის თეოდორესათვის, ლვთისმშობლის ეკლესის აღორძინების მიზნით, 100 დრაპენი შეუწიავს, ხოლო 56 დრაპენი - მონასტრის მმობისათვის, რის გამოც მონასტრის სააღაპე წიგნში შეუტანიათ. იგი გარდაიცვალა 1064 წელს კონსტანტინებოლში, გადმოასვენეს და დაკრძალეს ბაღვაშების საგვარეულო საძალეში კაცის მონასტერში. რაც შეეხება ივანე ლიპარიტის ძეს, ისიც იხსენიება ათონის ივერთა მონასტრის აღაპებში. მას მონასტრისათვის ორი ცხენი „ტაიგზი კარგნი“ შეუწიავს. გარდაიცვალა, მამის მსგავსად, საბერძნეთში „ექსორიაში“ მყოფი (უღერე მეტრეველი). ათონის ქართველთა მონასტრის აღაპე წიგნი, თბ., 1998, ტაბულა 34, 55, გვ. 142-143, 211-212).

<sup>4</sup> ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი, ტ. II, გვ. 150

<sup>5</sup> მიხეილ ბახტაძე. ბაღვაშთა და ორბელთა ნათესაობის შესახებ, საისტორიო კრებული (წელიწდეული), ტ. II, თბ., 2012, გვ. 13-25

<sup>6</sup> გალერი სილოგავა. ბეთანიის წარწერები, „მაცნე“, 1993, № 1, გვ. 91-150

<sup>7</sup> სარა ბარნაველი. ატენის ახალი წარწერები, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, VII, № 1-2, 1946. გვ. 88.

ბული სამართლებრივი ურთიერთობა იყო<sup>1</sup>. ამით მეფე ორ საქმეს აკეთებდა, ბაღვაშების ძლიერ და ოპოზიციურ ძალას ასუსტებდა, მათ მაგიერ ნათესავ ორბელებს იერთგულებდა და ვაჭრობის აღორძინების საქმესაც ხელს უწყობდა ატენის სტრატეგიულ ხეობაში.. ამით მეფე ორ საქმეს აკეთებდა, ბაღვაშების ძლიერ და ოპოზიციურ ძალას ასუსტებდა, მათ მაგიერ ნათესავ ორბელებს იერთგულებდა და ვაჭრობის აღორძინების საქმესაც ხელს უწყობდა ატენის სტრატეგიულ ხეობაში. ქართველ მეფეთა ეკონომიკური ინტერესი სომხების საქართველოში გადმოსახლებისას, შემდგომშიც არაერთხელ დაფიქსირებულა. მაგ., ცოტა მოგვიანებით, იგივე გააკეთა გორის ქალაქად ქცევისას დავით IV აღმაშენებელმა.

ატენმა კიდევ უფრო დიდი ფუნქცია შეიძინა დავით IV აღმაშენებლის დროს. 1094 წელს მეფემ საბოლოოდ მოუღო ბოლო ბაღვაშთა ბატონობას კლდეკარსა და ატენში და ისინი სამეფო დომენად გამოაცხადა. აქვე განათავსა სამეფო საჭურჭლე, სადაც არა მარტო ადგილობრივ მოჭრილი, არამედ ევროპულ მიმოქცევაში არსებული მონეტები: დუკატი და ბოტინატიც ინახებოდა<sup>2</sup>. დიდი მეფე ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ იგი საკუთარი სისხლით მოგებულია და თავის მემკიდრეს - დემეტრეს ანდერქს უტოვებს, ფასულობიდან გამომდინარე, თუ ამ განძს შეელიოს, დავითისათვის უახლოეს ადამიანს - მის მოძღვარს უბოძოს სრულად („ხოლო დუკატი და პოტინატი ატენისა საჭურჭლისა, იგიცა ჩემის სისხლითა მოგებული, თუ ელეოდეს მეფე დიმიტრი, ყოველი მისცეს მოძღვარსა ჩემსა“)<sup>3</sup>.

გარდა პოლიტიკურ-ეკონომიკურისა, X-XII საუკუნეებში ატენი ქვეყნის კულტურის ერთერთ მძლავრ და მნიშვნელოვან ცენტრადაც იქცა. აქ იმართებოდა მწიგნობართა, მეცნიერთა და მგოსანთა თავისრიცხვები, მსჯელობები, პაექტობები და სხვ., რომელთა დამადასტურებელი წარწერები ატენის სიონმა მრავლად შემოგვინახა<sup>4</sup>.

<sup>1</sup> მარიამ ლორთქიფანიძე. მიწისმფლობელობის ფორმების საკითხისათვის X-XI სს. საქართველოში, მსკი, ნაკვ. 34, 1962, გვ. 9.

<sup>2</sup> ქონიგები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა. შეაბრილი, ქრონილოგიურად დაწყობილი და ახსინდი თევზ ჟორდანიას მიერ. წიგნი II (1213 წლიდან 1700 წლებამდე). თბ., 2018, გვ. 52; ქართლის ცხოვრების ტოპორაქეოლოგიური ლექსიკონი, გელა გამყრელიძის რედ., თბ., 2013, გვ. 63.

<sup>3</sup> ქართული სამართლის მეგლები, ტ. II, საერო საკანონმდებლო მეგლები X-XIX სს.), ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და სახეებლები დაურთო ისიდორე დოლიძე. თბ., 1965, გვ. 20, დოკ. 8). ცნობილია, რომ „ბოტინატი“ ბიზანტიის იმპერატორ ნიკიფორე III ბოტინატის (1078-1081 წწ.) დროიდან იქრებოდა ბიზანტიაში და საქართველოში გადახდის ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგნდა, ხოლო ოქროს დუკატი პირველად კონსტანტინე X-სა (1059-1067) და მისებილ VII დუკას (1071-1078) მიერ იქნა მოჭრილი (იხ: რუპაზ ქებულაძე. საქართველოში კულტური თქმოს დუკატების მიმოქცევის საკითხისათვის (XI-XIX სს) საქართველოს მუცნიერებათა აკადემიის მაცნე, თბ., 1965, № 4, გვ. 86-87). არ გამოვრიცხავთ, რომ იგივე ევროპული მონეტა დავითის მამიდის მართა-მარიამის დროს გაჩნილიყო საქართველოში, რადგან იგი ორგზის იყო ბიზანტიის დედოფლალი (მიხეილ VII-ის და ნიკიფორე III-ის მეუღლე) (იხ: ანა კომენჯ, ვოიორი კოდინჯ, თანე სკილიცეს გამორძელებული, „გეორგიკა“ ბიზანტიილი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. VI, ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ფაუხისშვილმა, თბ., 1966, გვ. 64-71, 156, 163-165). ატენის სიონის ფერსკულ წარწერებში ქტიტორთა რიგში გამოსახულ სუმბატ აშოტის ძის შესწირავში დასახელებულია ბოტინატიც. სუმბატ აშოტის ძე ბაგრატიონთა რიგის წარმომადგენელი და ატენის ქვეყნის მირმელი მემკიდრეა, რომელსაც დავით IV-ის ზეობაში დაუბრუნებდა თავისი სამეტკვიდრეო დომენი, ხოლო მისი გამოსახვა ატენის სიონში 1094-1096 წლებით თარიღდება (ფრესკული წარწერები I, ატენის სოონი, გვ. 31) დასაშვებადა, რომ მონეტები დავით აღმაშენებლს მოეჭრა აღილობრივ ზარაფხანაში. როგორც ცნობილია, იგი თავად ჭრიდა ქართულ-ბიზანტიური ვერცხლის მონეტებს (იხ: ირაკლი ფალავა. შეასაუკუნოვან საქართველოში ნუმიზატიკური ვერცხლის ანალიზი (VIII-XIII სს.), საღისერტაციო ნაშრომი იღიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე ისტორიის დოქტორის აკადემიური სარისხის მოსახლეობლად, თბ., 2015, გვ. 173), თუმცა, ანდერძში დავით IV გარევევით მიუთითებს „დუკატი და ბოტინატი ატენისა საჭურჭლისა, იგიცა ჩემის სისხლითა მოგებულიონ“, ანუ, ამ საქმეში სხვის მონაწილეობას გამორიცხავს. ზემონათქვამდან გამომდინარე, დუკატისა და ბოტინატის არსებობა დავით აღმაშენებლის დროინდელ საქართველოში ეჭვს არ უნდა იწვევდეს.

<sup>4</sup> მაგ., თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში გაზიარებულია თვალსაზრისი, რომ სწორედ ატენის სიონშია მხედრული დამწერლობის ერთ-ერთი პირველი ნიმუში და ქართული ანანის რიგი ა-ნიდან ტ-მდე, რომელიც არაუგიანეს X საუკუნის მიწურულით თარიღდება (ფრესკული წარწერები I, ატენის სოონი, გვ. 50-55). იგივე

ატენი და ტანას ხეობა ამის შემდეგაც ყოველთვის იყო ბაგრატიონთა სამეფო კარის ფურადღებისა და ზრუნვის საგანი.

მონღოლთა ბატონობის დროს ატენი კვლავ მნიშვნელოვან პუნქტს წარმოადგენს. უამთაალ-მწერელი, აბალა ყაენის მიერ დავით ულუსადმი მამულის წყალობის მითითებისას, ატენს გამორჩეულად მოიხსენიებს („ყაენმა აბალა მრავალნი ნიჭი და ძღუენი წარავლინა მეფესა დავითს წინა და ქართლს მრავალნი და ატენი მისცა“)<sup>1</sup>.

1249 წელს მონღოლთა მიერ საქართველოში გამოგზავნილი დავით რუსუდანის ძე და დავით ლაშას ძე, თავდაპირველად თბილისში ერთად შეუდგნენ მეფობას, მაგრამ, აჯანყების შემდეგ, დავით ნარინი იძულებული გახდა ქუთაისში გადასულიყო. მალევე მასთან აღმოჩნდა დავით ულუც.

მამიდაშვილმა კარგად მიიღო ბიძაშვილი, მაგრამ, მათ შორის სიმშვიდე დიდხანს ვერ შენარჩუნდა. აღმოჩნდა, რომ „ორი მეფე ზედმეტი იყო“<sup>2</sup> ქვეყნისათვის. ადგილობრივი დიდებულებიც ორ ნაწილად გაიყვნენ. რაჭის ერისთავმა კახაბერ კახაბერის ძემ დავით ულუს გამეფებას დაუჭირა შეარი. ბედიან ჯოანშერის ძე დავით ნარინის შეარეს დადგა.

შეთქმულება ჩავარდა, რის გამოც, უფროსი დავითი იძულებული გახდა მონღოლებს შერიგებოდა და აღმოსავლეთ საქართველოში დაბრუნებულიყო. მას თან გამოჰყვა კახაბერის ძე, რომელსაც იმერეთში აღარ დაედგომებოდა. ერთგულების სანაცვლოდ, დავით ლაშას ძემ რაჭის ერისთავს ატენის ხეობა უბობა<sup>3</sup> და მისი ასული გვანცა (დემეტრე II თავდადებულის დედა, რომელიც მონღოლებმა ხერხემალში გადაამტვრიეს) ცოლადაც შეირთო<sup>4</sup>.

თუმცა, კახაბერ კახაბერის ძემ დავით ნარინის ორგულობა არ მოიშალა. მასავით გამყიდველ ღალდურთან ერთად, აბალა ყაენის ირანში ეხლა, 30 ათასიანი ჯარი გამოსთხოვა საკუთარი მეფის წინააღმდეგ, თრიალეთი გადაიარა და მოულოდნელად თავს დაეცა აბანოში მყოფ მეფეს, მაგრამ მისი ხელში ჩაგდება ვერ მოახერხა. გაწბილებულ რაჭის ერისთავს და მის თანამზრასველებს ისლა დარჩენოდათ, ისევ თავისი ქვეყნის „ცარცვა-გლეჯით მოეოხებინათ გული“<sup>5</sup> და აბალა ყაენთან ხელცარიელნი დაბრუნებულიყვნენ.

ამის შემდეგ რაჭის ერისთავი აბალა ყაენისათვისაც „ზედმეტი“ აღმოჩნდა. იგი იძულებული გახდა საქართველოში დაბრუნებულიყო და ყველასაგან მოძულებულს ატენში დაედო ბინა, მაგრამ მას, მამისაგან განსხვავებით, აღარც დავით ულუს მემგვიდრე დემეტრე II სწყალობდა („არა პატივ ეპყრა არცა ყაენისა და არცა დიმიტრი მეფისაგან ორგულობისათვს მეფეთასა“)<sup>6</sup>.

შეიძლება ითქვას, ტაძრის ინტერიერში გამოვლენილი ერთ-ერთი პირველი ქართული ლექსის, წმინდა წერილიდან და ძველი აღთქმიდან მოტანილი არაერთი ციტატის შესახებაც (ფრესკული წარწერები I, ატენის სიონი, გვ. 56-72). თამარ მესხი სავსებით სწორად მანიშნებს, რომ ბაღვაშები, რომლებიც მფარველობდნენ საზღვარგარეთის ქართულ საგანებებს: იერუსალიმის ჯვრისა და სინას მონასტრებს და არაერთ აღაპისა თუ სულთა მატიანეში იხსენიებიან, მათი დაკვეთით იწერებოდა ოთანე ოქროპირის ხელნაწერები, მოიჭედა არაერთი ხატი, შეუძლებელია, მათ სამკვიდრო მატულში - ატენში გულხელდაგრეფოლნი მსხდარიყვნენ და არ გამორიცხავს, რომ იმდროინდელი ხელნაწერები და საეკლესიო სიწმინდეები (მათ შორის, მიქაელ, ივანე, რატი ლიპარიტ ბაღვაშების შეწირულობები), ბაღვაშებთან დაპირისპირების გამო, საქართველოს სამეფო კარის ინიციატივით, ატენის სიონიდან შედარებით დაცულ გელათის მონასტერში გადაეტანათ და დღისათვის გელათის საგანძურის სახელით ვიცნობდეთ (თამარ მესხი. ბერძნული ელუამეტი ატენის ხეობის ტოპონიმებაში და ატენის სიონი, გვ. 53-57).

<sup>1</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. II, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხებიშვილის მიერ, თბ., 1959. გვ. 267.

<sup>2</sup> ივ. ჯავახიშვილი. „თხზულებანი“, ტ. III, თბ., 1982, გვ. 73

<sup>3</sup> საგულისხმოა, რომ კახაბერ კახაბერისძე ბაღვაშეთა შთამომავალია (იხ: მ. ბახტაძე. დასავლეთ საქართველოს ფეოდალური საგვარუულოების ისტორიადან (XI-XIII საუკუნეები), თბ., 2008, გვ. 32-35; ა. ბაღდაშვილი. ბაღვაშები, II, გვ. 99), გამოდის, რომ დავით ულუმ მას ატენის ხეობა კი არ უბობა, არამედ წინაპართა წყალობა განუახლა.

<sup>4</sup> აღინა ბაღიშვილი. ბაღვაშები, ნაწილი II, უერნ. „აია“, № 7, თბ., 1999, გვ. 105-106

<sup>5</sup> ივ. ჯავახიშვილი. „თხზულებანი“, ტ. III, გვ. 91.

<sup>6</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 275.

რაჭის ერისთავ ყოფილს, როგორდაც მოუხერხებია დავით ნარინისათვის თავის შევეღრება და „პირველი შეცოდების“ პატიება. რუსუდანის ძეს ფიცის ქვეშ შეუნდვია კახაბერ კახაბერისძისათვის დანაშაული და მისი ყოფილი მამული სრულად დაუბრუნებია, მაგრამ, მცირე უამის გავლისთანავე „იწყო მათვე მამა-პაპათა კუალთა სვლად“ და ჯავახეთში მდგარ მონღოლთა ათასისთავ ალიფანთან მიწერ-მოწერა გააბა, მოულოდნელად თავს დასხმოდნენ ქუთაისში მყოფ მეფეს და ხელო ეგდოთ იგი.

საბოლოოდ, სამართალმა იზეიმა. მოღალატეს „მიეგო მისაგებელი ბოროტი და სიცრუე მისნი თხემსა მისსა ზედა დაუჯდა“<sup>1</sup>. მეფემ ორგული ქვეშევრდომი შეიძყრო, „პირველ თუალი დასწუა და მერმე ერთი წელი და ერთი ფეტი მოჰკუეთა“ და ორი შვილი „ექსორიობად ჰყო“ კონსტანტინოპოლს, რითაც „აღიხოცა ნათესავი მისი და საქსენებელი მათი“<sup>2</sup>.

*Ioseb Alimbarashvili*  
*Gori State Teaching University*  
**THE BAGHVASHS AND THE COUNTRY OF ATENI**  
**RESUME**

The Baghvashs are one of the most powerful and influential feudal lords in the 11th-12th centuries of Georgian history. They played an important role in the political, economic and cultural life of Georgia during this period and were serious opponents of the royal family, but we should not decrease their merit in terms of cultural development of the country, both on the territory of Georgia and abroad.

The article studies and analyzes the reasons of moving the Baghvashs from the Argveti Saeristavo (Imereti) to Kartli and the establishment of the Kldekari Saeristavo, the vicissitudes of their struggle against the kings of united Georgia: Bagrat III, Bagrat IV, Giorgi II, David IV the Builder, the connections of the Baghvashs with the highest representatives of the Byzantine Imperial Court, Seljuk Turks and their further fate.

<sup>1</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ 275.

<sup>2</sup> ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ 275.

## სოფელი თინიკაანი XVIII საუკუნის მეორე ნახევარსა და XIX საუკუნის დასაწყისში

ქარჩოხის თემის სოფელი თინიკაანი მდებარეობს მდინარე ქსნის მარჯვენა მხარეს, ახალგორიდან 34 კილომეტრის დაშორებით, ზღვის დონიდან 1520 მეტრზე.<sup>1</sup> სოფლის სახელწოდება აქ დასახლებული თინიკაშვილებიდან მოდის. მათი წინაპარი ფშაველი გაბიდაური ქსნზე სოფელ ხოშარადან გადმოსახლებულა, რაზეც ცნობილი ეთნოგრაფი რ. თოფჩიშვილიც ამახვილებს ყურადღებას: „საისტორიო საბუთებითა და ეთნოგრაფიული მონაცემებით ირკვევა, რომ თინიკაშვილები ქსნის ხეობაში მიგრირებულნი არიან ფშავიდან და მათი ადრინდელი გვარი იყო გაბიდაური“.<sup>2</sup> შემდგომში თინიკაშვილებიდან მომდინარე გვარებია: ახლოური, ბალაშვილი, ხოკრიშვილი, დადეგაშვილი...

თინიკაანი ისტორიული სოფელია; 1985 წლის ივლისში საქართველოს ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველოს პასპორტიზაციის განყოფილების ექსპედიციამ სწორედ თინიკაანის ადრეფეოდალური ხანის სამების ეკლესიაში მიაკვლია ხევისთავის ინსიგნიას, რომელიც საკურთხეველზე იღო. ეს გახდათ ბრინჯაოსაგან ჩამოსხმული ოვალური ფორმის შტანდარტის შუა, ძირითადი ნაწილი. იგი შემდგომში გადატანილი იქნა ქსნის ხეობის ისტორიის, არქეოლოგიისა და არქიტექტურის მუზეუმ-ნაკრძალში. მისი დათარიღების სავარაუდო ვერსია ძველი წელთაღრიცხვით IV საუკუნეა. ექსპედიციის მონაწილის, ქსნის ხეობის ისტორიის ცნობილი მკვლევარის ვ. ლუნაშვილის დასკვნით: „დღევანდელი ახალგორის რაიონის ტერიტორიაზე, ქსნის ხეობაში, არასრულ არქეოლოგიურ მონაპოვართა შედეგად ადრეანტიკურ ხანაში - ძვ. წ. IV ს. ოთხ ადგილას ლოკალიზდება სახევისთავოს ცენტრები: საძეგურის, ყანჩაეთის, იკოთის და თინიკაანის სახით... ადრეანტიკური ხანის შტანდარტი, როგორც ხევისთავის ინსიგნია, შესაძლებელია ხმარებაში ყოფილიყო, როგორც წინაფეოდალურ ასევე ფეოდალურ პერიოდში, სანამ არსებობდა მცირე ადმინისტრაციული ერთულები - ხევები“.<sup>3</sup>

სამების ეკლესია დარბაზული სახისაა, აგებულია მოწითალო ფერის ფლეთილი ქვით, ჩრდილოეთით ჭარის აგების თანადორული მინაშენი აქვს, რომელსაც უკავშირდება ჩრდილოეთ კედელში გაჭრილი კარი. ეკლესიის კამარა ცილინდრულია. აღმოსავლეთით ცენტრში გაჭრილი სარკმლის ძირში და საკურთხევლის ცენტრში განლაგებულია ტრაპეზის ქვები. არქიტავრული სარკმელი დასავლეთ კედელშიცაა განთავსებული. სარკმელების თავზე ფილებია, რომელებზეც ბოლნური ჯვრებია გამოსახული. მინაშენის ინტერიერში, სამხრეთ კედელზე შემორჩენილია ბრტყელი, ვერტიკალური შვერილი (პილასტრი), რომელზეც დაბჯენილია კედლის თაღები.<sup>4</sup>

როგორც აღვის, ისე თინიკაანის სამებას, ოქროსკარიანის სახელით იხსნიებდნენ, ჭიშკარი მოჭედილ-მოვარაყებული ყოფილა ოქროს ფურცლებით და ძვირფასი ქვებით. სამლოცველოს გალავნის შიგნით, რომელიც 706 კვ. მეტრია, დასავლეთით მიშენებული ჰქონდა მარანი და საქვაბე, სალოცავს ამშვენებდა ადრეული ხანის ფრესკები, რომელიც დღეს წვიმის წყლითაა ჩამორცხილი... ოქრო-ვერცხლის ყოფილა საეკლესიო ინვენტარი, მათ შორის ხატ-ჯვრები. სახევისთავოს სასულიერო ცენტრს ტრადიციულად სწირავდნენ ოქროს ფულს. წლების განმავლობაში მოგროვილი განძის მეშვეობით მოავარაყეს ჭიშკარი. სამწუხაროდ, სამლოცველო უწმინდეური

<sup>1</sup> თინიკაანი, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია (ქსე), ტ. 4, თბ., 1979, გვ. 683

<sup>2</sup> თოფჩიშვილი რ., ეთნოისტორიული ეტიუდები, წიგნი I, თბ., 2005, გვ. 188-189

<sup>3</sup> ლუნაშვილი ვ., ხევისთავის ინსიგნია ქარჩოხის ხევიდან, ნარკვევები ქსნის ხეობის წარსულიდან, I, პუბლიკაციები, 1997, გვ. 121-126

<sup>4</sup> ის., შიდა ქართლი, ახალგორის მუნიციპალიტეტის არქიტექტურული მემკვიდრეობა, ტ. IV, თბ., 2008, გვ. 87

ხელის მიერ გაიძარცვა, წაღებულ იქნა როგორც ზატები, ჯვრები, ისე ჯვარგამოსახული ოქროს კარები... სოფლის უხუცესთა გადმოცემით, განმდინარეობის მიზანი ამოწყვეტილა...

12 გვარი ლოცულობდა სამებაში: თინიკაშვილები, ბალაშვილები, ახლოურები, ხოკრიშვილები, კარელიძები, პავლიაშვილები, ლოთიშვილები, ელოშვილები, ოგბაძეები, წიპტაურები, შატაკიშვილები, წიკლაურები. დღესასწაული იმართებოდა ამაღლებიდან მეთერთმეტე დღეს.<sup>1</sup>

სოფლის ღირშესანიშნაობებიდან აღსანიშნავია აგრეთვე გვიანი შუა საუკუნეების ერთაბრძანებულობის ეკლესია, რომელიც სასაფლაოს ტერიტორიაზეა აგებული სხვადასხვა ზომის ფლეთილი ქვით. შემორჩენილი კედლებიდან ყველაზე მაღალი დასავლეთის კედელია. აღმოსავლეთით ქარჩოხის მკვიდრს ვასო პავლიაშვილს მცირე სათავსი აუშენებია, სადაც „ლომისის“ სახელობის, ვერცხლის ფირფიტებით მოპირკეთებულ ტოლმქლავა ჯვარს ინახავდნენ. ცენტრში დისკზე ყვავილია გამოსახული, შუაგულში კი სერდოლიტის ძვირფასი ქვა არის ჩასმული. ვერცხლის ბურთულაზე დამაგრებულ ჯვარზე ამოკაწრულია მხედრული წარწერა:

„თბაფის, კა, მევნი ქყლ: ლომისა მთავარ; მოწამე, წმინდა გიორგი, ჩავლელ, ხორასნს, წვლებით, მოველ, მოგებით, გუკლეთებივარ, პავლეთ, შვლებთ, თავსი, საქონლი და მ.“ ტაძარში ინახება დიდი ზომის წმინდა გიორგის ვერცხლის ჯვარი, რომელიც ჭედური ხელოვნების ნიმუშია.<sup>2</sup> შემთხვევითი არაა ერთაბრძანებულობის ტაძარში პავლიაშვილის მიერ ლომისის ჯვრის-თვის სათავსოს აგება და მასზე ზრუნვა, როგორც გ. ჯალაბაძე აღნიშნავს: თინიკაშვილების და პავლიაშვილების, აგრეთვე დოჩიაშვილების და ელოშვილების სახელოს შეადგენდა ლომისის დეკანოზობა და მნათეობა“.<sup>3</sup> ისტორიულად ცნობილია, რომ მტერზე გამარჯვების აღსანიშნავად, ადრექრისტიანულ ხანაში ქარჩოხელებს სამღვთო პატიოსანის სახელზე სალოცავი აუშენებიათ, რომლის ხატები და ჯვრები თინიკაანში ინახებოდა. საღვთოობას მთიელები აღდგომიდან 51-ე დღეს აღნიშნავდნენ, სწირავდნენ საკლავს, ხდიდნენ დიკის არაყს, ჭვავისგან ხარშავდნენ ლუდს. „სამღვთოს ხატ-ჯვარს ერთაბრძანებულებიდან თავის დროშებით გამოაბრძანებდნენ ხატობის წინა დღისით დეკანოზების, მნათეების, ტარასტის ხელდასმით. იარაღში ჩამჯდარი ახალგაზრდა ყმაწვილკაცების გუნდთან ერთად გაივლიდნენ ქართულ-ოსურ სოფლებს, რომელთაც ყველას თავისი ბიჯა (საჭმელ-სასმელი - დ. ა.) გამოჰქონდათ. იმართებოდა ლუდის სმა, ხანმოკლე ქეიფი. ბოლოს ხატს მიაბრძანებდნენ სამღვთოს სალოცავში, სადაც კვლავ გაახელებდნენ ლუდის სმას და ქეიფს ღამის მთევლები.

მეორე დღეს იმართებოდა დღეობა, დამწყალობება, საკლავების დაკვლა, ერთურთის გაცნობა, ცეკვა-სიმღერა. დღის ბოლოს დეკანოზთა ხელით ხდებოდა ხატ-ჯვრისა და დროშების წაბრძანება სოფელ თინიკაანში ერთაბრძანებულების სალოცავში<sup>4</sup>. ბოლო დროს ერთაბრძანებულ-ში ლომისობის დღესასწაულს აღნიშნავდნენ. დეკანოზები ხვთისო და ანზორ პავლიაშვილები იყვნენ. ლომისობა ოთხშაბათს აღინიშნება. სამშაბათს 5 საათიდან უკვე უქმობდნენ. დეკანოზი ხატებს ლომისაში წაბრძანებდა, იშლებოდა პურმარილი, ინთებოდა სანთელი. ღამისთევეს შემდეგ ხატებს და ჯვრებს პავლიანის ხუთსართულიან კოშკში დააბრძანებდნენ, იქ რჩებოდა შაბათამდე. შაბათს თინიკაანში დააბრუნებდნენ, კიდევ ერთხელ გაიშლებოდა სუფრა, შესწირავდნენ საკლავს. სანამ მოსახლეობა „ლომისობის შაბათს“ აღნიშნავდა, ხატები გარეთ იყო დაბრძანებული, მათი სალოცავში დაგანების შემდეგ რიტუალი დასრულდებოდა.

თინიკაანში, სოფლის სასაფლაოზე, სადაც აღრე ღვთისმშობლის ეკლესია მღგარა, აგებულია ასევე ნიში, რომელიც მეოცე საუკუნით თარიღდება. ძველი ეკლესის ნაშთებიდან შემორჩენილია საძირკვლის მცირე ფრაგმენტი. ნიშის ასაგებად გამოყენებულია შირიმის ქვა.

<sup>1</sup> ვრცლად იხ., ქენქაძე ვ., სამება ოქროს კარებიანი, წიგნში „ქსნური ზეპირსიტყვიერების ქარაგოზი“, თბ., 2008, გვ. 54-57

<sup>2</sup> შიდა ქართლი, IV, 2008, გვ. 85-86

<sup>3</sup> ჯალაბაძე გ., ქსნის ხეობის მოსახლეობა, წიგნში „ქსნის ხეობა“, თბ., 1975, გვ. 15

<sup>4</sup> ქენქაძე ვ., სამღვთო დაუნებელი, წიგნში „ქსნური ზეპირსიტყვიერების ქარაგოზი“, თბ., 2008, გვ. 19-20

სოფელში შემორჩენილია კვადრატულ ფორმასთან მიახლოვებული შუა საუკუნეების კვირაცხოვლის ნაგებობის ნაშთი. მასალად ფლეთილი ქვაა გამოყნებული. სახურავი ჩამონგრეულია და სალოცავის შიდა ნაწილი მიწით და ქვითაა დაფარული.<sup>1</sup>

სოფლის უკან, დაახლოებით 300 მეტრის მოშორებით მდებარეობს ყვავილების ნიში, რომელიც ბოლო დრომდე მოქმედი იყო; სოფლის მკვიდრის - მარი თინიკაშვილის ცნობით (დაბ., 1986 წელს) კვირაცხოვლობიდან ერთი კვირის შემდეგ, მომდევნო ორშაბათს, რომელიც უქმედლევდ ითვლებოდა, სალოცავისთვის აცხობდნენ ტკბილეულს და ანთებდნენ ბაზმებს. ბაზმა ეწოდებოდა ტაფაზე დახლილ ცეცხლწაკიდებულ ნიგოზს... სალოცავი ბავშვებისთვის იყო განკუთვნილი და იქ სანთლის ანთება მიღებული არ ყოფილა. სალოცავთან მდგარა ასევე რკინის დიდი ზომის ჭიქა, ე.წ. „კრუშკა“, სადაც ხურდა ფულს სწირავდნენ.

რაც შეეხება მოსახლეობის შესახებ ცნობებს; სამთავისის საყდრის გამოსავლის დავთარში (XVIII საუკუნის მეორე ნახევარი) თინიკაშვილების 14 კომლია აღწერილი:

26. ქ. თინიკაშვილის ლოთეს ბერის მამულს ამეს ბეგარი: პური ჩანახი ხუთი, ცხვარი ერთი, ქათამი ერთი, კვერცხი ხუთი.

27. ქ. თინიკაშვილის ლოთეს ბასილის მამულს ამეს ბეგარი: პური ჩანახი ხუთი, ცხვარი ერთი, ქათამი ერთი, კვერცხი ხუთი.

28. ქ. თინიკაშვილის მოურავის აბრამის მამულს ამეს (ტექსტისთვის ადგილია დატოვებული - დ. ა.)

29. ქ. თინიკაშვილის ბერის მამულს ამეს ბეგარი: პური ჩანახი სამი, ჩებიჩი (1 წლის მალი თხა - დ. ა.) ერთი, ქათამი ერთი, კვერცხი ხუთი.

30. ქ. თინიკაშვილის მახარას მამულს ამეს ბეგარი: პური ჩანახი ექვსი, თხა ერთი, ქათამი ერთი, კვერცხი ხუთი.

31. ქ. თინიკაშვილის გიორგის მამულს ამეს ბეგარი: პური ჩანახი რვა, ცხვარი ერთი, ქათამი ერთი, კვერცხი ხუთი.

32. ქ. თინიკაშვილის თადილას მამულს ამეს ბეგარი: პური ჩანახი ოთხი, თხა ერთი, ქათამი ერთი, კვერცხი ხუთი.

33. ქ. თინიკაშვილის შერმაზანის მამულს ამეს ბეგარი: პური ჩანახი რვა, ცხვარი ერთი, ქათამი ერთი, კვერცხი ხუთი.

34. ქ. თინიკაშვილის ივანეს მამულს ამეს ბეგარი: პური ჩანახი ათი, ცხვარი ერთი, ქათამი ერთი, კვერცხი ხუთი.

35. ქ. თინიკაშვილის ბასილის მამულს ამეს ბეგარი: პური ჩანახი ოთხი, თხა ერთი, ქათამი ერთი, კვერცხი ხუთი.

36. ქ. თინიკაშვილის იმედას მამულს ამეს ბეგარი: პური ჩანახი ოთხი, ჩებიჩი ერთი, ქათამი ერთი, კვერცხი ხუთი.

37. ქ. თინიკაშვილის გიორგის მამულს ამეს ბეგარი: პური ჩანახი ოთხი, ცხვარი ერთი, ქათამი ერთი, კვერცხი ხუთი.

38. ქ. თინიკაშვილის ბასილის მამულს ამეს ბეგარი: პური ჩანახი ოთხი, ცხვარი ერთი, ქათამი ერთი, კვერცხი ხუთი.

39. ქ. თინიკაშვილის ზურაბას მამულს ამეს ბეგარი: პური ჩანახი ოთხი, ცხვარი ერთი, ქათამი ერთი, კვერცხი ხუთი<sup>2</sup>.

გადასახადს იხდიან ნატურით, პურით, ცხვრით ან თხით, ქათმით და კვერცხით. აღწერაში მოხსენიებულია მოურავი აბრამ თინიკაშვილი, რომელიც 1774 წლის ქსნის საერისთავოს სტატისტიკური აღწერით ქენქანის მოსახლეთა შორის გვხვდება, ხოლო მომდევნო 1783 წლის აღწერით ახალდაბის (შემდგომში ბალაანის) მკვიდრია. აბრამ თინიკაშვილი გახლავთ სწორედ თი-

<sup>1</sup> შიდა ქართლი, IV, 2008, გვ. 86-88

<sup>2</sup> ქართული სამართლის ძეგლები (ქს), საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIX ს.ს.), ტ., III, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და სამიებლები დაუროვ. ი. დოლიძემ, თბ., 1970, გვ. 1046-1047

ნიკაშვილების განაყარი შტოს - ბალაშვილების წინაპარი ძმასთან გიორგი (გრიგოლ) თინიკაშვილთან ერთად. თუ რა გადასახადს იხდიდა მოურავი ან იხდიდა თუ არა საერთოდ, ეს დავთარში მითითებული არ არის.

1774 წლის აღწერით თინიკანში უკვე 10 კომლი გვხვდება, კომლებში საუბარია იქ მცხოვრები მამრობითი სქესის წარმომადგენლების შესახებაც:

„ქ: თინიკანთ ლოთეს შვილი კომლია. თავი გ ბერი იმედა და გიორგი აქავ თინიკანთ მამუკას შვილი კომლი. ა. თავი ბ ბასილა და ივანე აქავ თინიკანთ ირემას შვილი კომლი თავი დ ბერი ივანე, ღ“თისია და თევდორე აქავ თინიკანთ ბერის შვილი კომლი ა თავი ბ შერმაზან და ღარიბა აქავ თინიკანთ იმედას შვილი კომლი. ა თავი ა სიხარულა აქავ თინიკანთ ბერის შვილი კომლი. ა თავი ბ ბასილა და გაბიდური აქავ თინიკანთ გამიხარდის შვილი კომლი. ა თავი დ ივანე ღ“თისია ქიტესა და ბერი აქავ თინიკანთ დათუნას შვილი კომლი. ა თავი ე გელა გიორგი ბერი იმედა ზურაბა და დათუნა“

აქავ თინიკანთ ფოცხვერის შვილი კომლი ა თავი ბ თადილა და შერმაზან

აქავ თინიკანთ ბერის შვილი კომლი ა თავი ა მახარა“. <sup>1</sup>

10 კომლში 27 მამრობითი სქესის წარმომადგენელია. აღწერაში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს საკუთარი სახელი „გაბიდური“. აღნიშნულ ფაქტზე ყურადღებას ამახვილებს რ. თოფჩიშვილი: „სოფელ თინიკანთკარში მკვიდრობდა „თინიკანთ ბერის შვილი თავი ბ, ბასილი და გაბიდაური“. ამ შემთხვევაში გაბიდაური საკუთარი სახელია, „ბერი“ - მამის სახელი და „თინიკანი“ (თინიკაშვილი) - გვარსახელი... თინიკაშვილების გვარშიც გვარსახელი საკუთარ სახელად იქცა. ისევე როგორც დორეულების გვარში, თინიკაშვილების გვარშიც მოყვანილი მაგალითი ერთადერთი როდია. იმავე აღწერით სოფელ კორინთაში მკვიდრობდა „თინიკანთ ავთანდილის შვილი გაბიდაური“ <sup>2</sup> საკუთარი სახელი გაბიდაური გვხვდება თინიკაშვილების განაყარ ხოკიშვილებში - „ქ. აქავ ხოკის შვილი ა თავი დ გიორგი ივანე გ ა ბ ი დ ა უ რ ი (ხაზგასმა ჩვენია - დ. ა.) და ბერი. <sup>3</sup> ხოლო გაბიდა გვხვდება ბალაშვილებში და ახლოურებში. <sup>4</sup> ახლოურთში ერთ-ერთ შტოს, წინაპრის გაბიდა (გაბრიელ) ახლოურის პატივსაცემად, გაბიდა-ანთ ებახდნენ.

1783 წლის აღწერაში თინიკაანის მცხოვრებნი არა გვარით, არამედ მამიშვილობით მოიხსენიებიან:

„ქ. ლოთეს შვილი კომლი ა თავი ბ ბასილა და ივანე

აქავ ბერის შვილი კომლი ა თავი ბ იმედა და გიორგი

აქავ ირემას შვილი კომლი ა თავი გ მღვდელი თევდორე ბერუა და ღვთისია

აქავ დათუნას შვილი კომლი ა თავი გ ივანე იმედა და ხახალა

აქავ ბერის შვილი კომლი ა თავი ა მახარა

აქავ თადილას შვილი კომლი ა თავი ბ შერმაზან და ქიტესა

აქავ შერმაზანის შვილი კომლი ა თავი ბ მგელია და გიორგი

აქავ ბერის შვილი კომლი ა თავი ბ ბასილა და აბრამ

აქავ ბერის შვილი კომლი ა თავი ბ შერმაზან და ღარიბა“. <sup>5</sup>

აღწერილია სულ 9 კომლი და 19 მამაკაცი. როგორც ვხედავთ, 1774 წლის მონაცემებთან შედარებით, 1783 წელს შემცირებულია როგორც კომლების, ისე სოფელში მცხოვრები მა-

<sup>1</sup> თაყაიშვილი ე., ქსნის საერისთავოს სტატისტიკური აღწერილობა (ქსსა), სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 45, თბ., 1951 გვ. 41

<sup>2</sup> თოფჩიშვილი რ., დასახ. ნაშრ., 2005, გვ. 188-189

<sup>3</sup> თაყაიშვილი ე., დასახ. ნაშრ., 1951, გვ. 11

<sup>4</sup> იხ., 1873 წლის კამერალური აღწერები, სცსა, ფონდი 254, საქმე № 29

<sup>5</sup> თაყაიშვილი ე., დასახ. ნაშრ., 1951, გვ. 10-11

მაკაცების რაოდენობა 27-დან 19-მდე, რაც მკვეთრი სხვაობაა. ეს შესაძლებელია გამოწვეული ყოფილიყო თინიკაშვილების ნამატი მოსახლეობის ქართლის ბარში გადასახლებით, რასაც, როგორც ამ პერიოდში, ისე მომდევნო წლებში სისტემატური ხასიათი ჰქონდა. 1783 წლის აღწერაში მითითებულია სასულიერო პირი - მღვდელი თევდორე. ქსნის ხეობაში და მითუმეტეს, ქარჩხის თემში არცთუ ისე ხშირად ვწვდებით მღვდელს, რომელიც იმ პერიოდში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ხეობის სასულიერო და საერო ცხოვრებაში, იგი უძღვებოდა როგორც საეკლესიო, ისე სწავლა-აღზრდის რთულ საკითხს. არა მხოლოდ მეთვრამეტე საუკუნის ბოლოს, არამედ მეოცე საუკუნის პირველ ნახევარშიც კი მთაში წერა-კითხვა მოსახლეობის დიდმა ნაწილმა არ იცოდა.

ქსნის ხეობის სტატისტიკურ აღწერილობებში კიდევ ერთი გარემოება იქცევს ყურადღებას: 1774 წლის მონაცემებით ცალკე ოჯახი იყო თინიკაანთ ლოთეს ოჯახი, რომელშიც სამი მამაკაცი ინიციებოდა: ბერი, იმედა და გიორგი. მომდევნო 1783 წლის აღწერით, იმედა და გიორგი ბერის შვილებად არიან მოხსენიებული. ცხადია, ისინი თინიკაშვილები არიან... ამავე აღწერაში ცალკე კომლია ლოთეს შვილების - ბასილის და ივანეს ოჯახი... საფიქრებელია, ხომ არ იყენებ ლოთიშვილები თინიკაშვილებიდან მომდინარე? მიუხედავად იმისა, რომ ხალხის ხსოვნაში მათი სახლიკაცობის შესახებ არაფერია შემორჩენილი, ვფიქრობ, საკითხი მაინც დამატებით კვლევას საჭიროებს, მითუმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისის პირველ რუსულ კამერალურ აღწერაში თინიკაშვილების გვერდით ლოთიშვილებსაც ვწვდებით კიდევ ერთ ახალ გვართან - შადნიაშვილებთან ერთად.

რუსულ აღწერაში რამდენიმე დასახუსტებელი კორექტურული შეცდომაა: თინიკაშვილი უმრავლეს შემთხვევაში - თინაკაშვილადაა მითითებული, ლოთიშვილის ნაცვლად - ლოთიაშვილს წერებ. შეცდომითაა სოფლის სახელწოდებაც - თიხის კანდ-კარი...

აღწერის მიზედვით 1804 წელს თინიკაანში 11 კომლს უცხოვრია, ყველა მათგანი ქართველია:

1) ივან ლოთიაშვილი (ლოთიშვილი - დ.ა.), 3 მამაკაცი, 3 ქალი, 2 დღის სახნავი მიწა, 8 დღის - სახნავად გამოუყენებელი, 20 თივა. გადახდილი აქვს ხორბალი ორ ნახევარი ლიტრა, ფული - 50 კაპიკი, ქათამი და 5 კვერცხი, სულ: 82 1/2 კაპიკი.

2) თადილა ლოთიაშვილი (ლოთიშვილი - დ. ა.), 5 მამაკაცი, 4 ქალი, 1 დღის სახნავი მიწა, 5 დღის - სახნავად გამოუყენებელი, 10 თივა. გადახდილი აქვს ხორბალი 10 ფუთი, ფული - 25 კაპიკი, ქათამი და 5 კვერცხი, სულ: 47 1/2 კაპიკი.

3) სიხარული ლოთიაშვილი (ლოთიშვილი - დ. ა.), 5 მამაკაცი, 9 ქალი, 1 დღის სახნავი მიწა, 5 დღის - სახნავად გამოუყენებელი, 10 თივა. გადახდილი აქვს სულ: 47 1/2 კაპიკი.

4) აბრამ თინიკაშვილი, 7 მამაკაცი, 8 ქალი, 13 დღის სახნავი მიწა, 8 დღის - სახნავად გამოუყენებელი, 20 თივა. გადახდილი აქვს ხორბალი 7 ლიტრა, ფული - 1 მანეთი და 25 კაპიკი, ქათამი და 5 კვერცხი, სულ: 1 მანეთი და 93 1/2 კაპიკი.

5) კაცია თინიკაშვილი (თინიკაშვილი - დ. ა.), 8 მამაკაცი, 3 ქალი, 5 დღის სახნავი მიწა, 4 დღის - სახნავად გამოუყენებელი, 12 თივა. გადახდილი აქვს ხორბალი 2 ლიტრა, ფული - 25 კაპიკი, ქათამი და 5 კვერცხი, სულ: 53 1/2 კაპიკი.

6) გლახა თინიკაშვილი, 2 მამაკაცი, 1 ქალი, 1 დღის სახნავი მიწა, 3 დღის - სახნავად გამოუყენებელი, 8 თივა. გადახდილი აქვს ხორბალი 1 ლიტრა, ფული - 5 კაპიკი, ქათამი და 5 კვერცხი, სულ: 25 1/2 კაპიკი.

7) მახარაბელი თინიკაშვილი, 4 მამაკაცი, 2 ქალი, 1 დღის სახნავი მიწა, 3 დღის - სახნავად გამოუყენებელი, 2 თივა. გადახდილი აქვს ხორბალი 2 ფუთი, ფული - 4 კაპიკი, ქათამი და 5 კვერცხი, სულ: 18 1/2 კაპიკი.

8) გიორგი თინიკაშვილი, 6 მამაკაცი, 2 ქალი, 1 დღის სახნავი მიწა, 4 დღის - სახნავად გამოუყენებელი, 2 თივა. გადახდილი აქვს ხორბალი 2 ფუთი, ფული - 4 კაპიკი, ქათამი და 5 კვერცხი, სულ: 18 1/2 კაპიკი.

9) ქიტესა თინიკაშვილი (თინიკაშვილი - დ. ა.), 7 მამაკაცი, 5 ქალი, 2 დღის სახნავი მიწა, 5 დღის - სახნავად გამოუყენებელი, 2 თივა. გადახდილი აქვს ხორბალი 2 ფუთი, ფული - 8 კაპიკი, ქათამი და 5 კვერცხი, სულ: 22 1/2 კაპიკი.

10) ნინია თინიკაშვილი, 3 მამაკაცი, 4 ქალი, 2 დღის სახნავი მიწა, 4 დღის - სახნავად გამოუყენებელი, 6 თივა. გადახდილი აქვს ხორბალი 1 ლიტრა, ფული - 10 კაპიკი, ქათამი და 5 კვერცხი, სულ: 30 1/2 კაპიკი.

11) ნინია შადინიაშვილი, 2 მამაკაცი, 2 ქალი, სახნავი მიწა არ აქვს, 7 დღის - სახნავად გამოუყენებელი, 7 თივა. ასევე გადახდილი 30 1/2 კაპიკი.

იმ დროისთვის თინიკაანში ცხოვრობდა 52 მამაკაცი და 43 ქალი, მათ საკუთრებაშია 29 დღის სახნავი მიწა, 56 დღის - სახნავად გამოუყენებელი, 99 თივა. გადახდილი აქვთ 5 მანეთი და 70 კაპიკი 1/2 კაპიკი. <sup>1</sup> საკუთრივ თინიკაშვილები 7 ოჯახია, 37 მამაკაცი და 25 ქალი, ლოთიშვილები - 3 ოჯახი, 13 მამაკაცი და 16 ქალი, შადინიაშვილები - 1 ოჯახი, 2 მამაკაცი და 2 ქალი. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ აღწერაში მითითებული აბრამ თინიკაშვილი, მოურავი აბრამი არ არის, მოურავის შთამომავლები თანადროულ აღწერაში ახალდაბის (ბალაანის) მოსახლეთა შორის გვჩვდებიან პაპა თინიკაშვილის ოჯახის სახით, რომელშიც 10 მამაკაცი და 6 ქალია, მათ მფლობელობაშია 41 დღის სახნავი მიწა, 42 დღის უხნავი, 130 თივა. თუ დავაკვირდებით, პაპა თინიკაშვილს სახნავი და უხნავი მიწების თითქმის იგივე რაოდენობა აქვს, რაც თინიკაანში მთელ სოფელს. ცნობილია, რომ პაპა თინიკაშვილის შთამომავალ ბალაშვილებს აღრინდელ სამკვიდროში - თინიკაანში ჰქონდათ მამულები, რომელსაც კოლექტივიზაციამდე ამუშავებდნენ. <sup>2</sup>

როგორც ვ. ქენქაძე წერს: ქარჩოხში ძველ სახევისთავო სოფელ თინიკაანს საკმაოდ დიდი სათიბი ადგილები ჰქონდა ქარჩოხისა და ცხრაზმის ხეობის წყალგამყოფ ვარმულთისა და ცოცხვიროს მთებზე, რომელიც „ხატიმთად“ იწოდებოდა.<sup>3</sup> გარდა იმისა, რომ თინიკაშვილების ბიძაშვილები ცხოვრობდნენ ახალდაბაში, ვაკეში, ახლოურთში, კორინთაში, ასევე დიდი ნაწილი გადასახლდა ბალთაში, ქართლის სოფლებში. გადასახლებულთა შორის ორი ძმა თინიკაშვილიდან ერთი კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ ოკამში დამკვიდრებულა, მეორე გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოჭურში. 1889 წლს ოკამშია დაკრძალული ჯერ კიდევ თინიკაშვილის გვარის მატარებელი ესტატე. მისი შთამომავლები დადეგაშვილად დაწერილან. გვარი მომდინარეობს სიტყვებიდან „დადექ აქ“. <sup>4</sup> გ. ჯალაბაძე თინიკაშვილებისგან გასულებად მიიჩნევს დოჩიაშვილებსაც.<sup>5</sup>

1804 წლის კამერალურ აღწერას წინ უძლოდა 1803 წლის იოანე ბატონიშვილის საუფლისწულოს აღწერა, რომლის მიხედვით „თიგნი-კარის“ (თინიკაანთკარის) მოსახლეობა შედგება 9 კომლისაგან, 26 მამაკაცი და 12 ქალი. <sup>6</sup>XIX საუკუნის დასაწყისის ამ ორ აღწერას შორის სხვაობა მკვეთრია...

2002 წლის აღწერით თინიკაანში 26 მცხოვრები იყო, 13 მამაკაცი და 13 ქალი. <sup>7</sup> გვარი რამდენიმე შტოსგან შედგებოდა: თოხლიანი, ბასილაანი, მგელიანი, პაპიზარიანი, ხოლოფაანი.

დღეს, სამწუხაროდ, სახევისთავოს ძველი ცენტრი, ისტორიული სოფელი თინიკაანი ოკუპირებულია და მოსახლეობისაგან მთლიანად დაცლილი. ვ. ქენქაძის სიტყვებით, რომ ვთქვათ: ამ

<sup>1</sup> გორის ისტორიულ ეთნოგრაფიული მუზეუმი (გსიემ), ყოფილი ქსნის საერისთავოს მოსახლეობის აღწერა 1804 წ., შემოსული 1956 წლს, №7486, გვ. 71-73

<sup>2</sup> ახლოური დ., სოფელი ახლოურთი, სერიიდან „ქსნის ხეობის ისტორია“, ტ. I, თბ., 2019, გვ. 28

<sup>3</sup> ქენქაძე ვ., ქარჩოხელი ჩოხოსნები, წიგნში „ქსნური ხალხური ფაბლიო“, თბ., 2010, გვ. 22

<sup>4</sup> ახლოური დ., დასახ. ნაშრ., 2019, გვ. 30

<sup>5</sup> ჯალაბაძე გ., ქსნის ხეობის მოსახლეობა, წიგნში „ქსნის ხეობა“, თბ., 1975, გვ. 15

<sup>6</sup> Акты, собранные Кавказской археографической комиссией: Том II. Тифлис, 1868, стр. 82

<sup>7</sup> საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერის მირითადი შედეგები (საქართველოს სოფლების მოსახლეობა), ტ. II, თბ., 2003, გვ. 120

, „დიდი წარსულის მქონე, სხვადასხვა გვარებისა და სოფელების წარმომშობ სოფელში 2010 წლის მობრძანებას აღარც კაცი შეხვედრია, აღარც ქალი და აღარც ბავშვი. არც ძალას დაუყეფია და არც მამალს დაუყივლია. დრომ... თავისი საზოგადო მწარე პირით გადაყლაპა ოქროს კარებიანი „სამების“ პატრონი, სახევისთავოს ხატების შესაკრებ-საბრძანისი, ხევისთავის საჯდომი სოფელი თინიკანი. შეუბრალებელი სისახტიკით დაანელა და გააქრო ქსნის ხეობის 2008 წლის ოკუპაციამ სოფელი”.<sup>1</sup> თინიკანიდან დევნილი მოსახლეობა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში აგრძელებს ცხოვრებას. 2016 წლის აღწერის მონაცემებით საქართველოში 988 თინიკაშვილია დაგიქსირებული, უმრავლესობა ცხოვრობს გორის მუნიციპალიტეტში - 297, თბილისში - 255, ქუთაისში - 4, რუსთავში - 81, მარნეულში - 1, ზუგდიდში - 5, გარდაბანში - 1, ქობულეთში - 4, თელავში - 4, სოხუმში - 2, გურჯაანში - 2, ხაშურში - 9, წყალტუბოში - 4, სამტრედიაში - 3, ჭიათურაში - 1, ლაგოდეხში - 1, ქარელში - 40, კასპში - 55, მცხეთა-ში - 64, თერჯოლაში - 1, ყვარელში - 14, გულრიფში - 2, დუშეთში - 10, ბორჯომში - 5, დმანისში - 2, დელოვლისწყაროში - 21, ხონში - 1, თეთრიწყაროში - 3, ხარაგაულში - 1, ცხინვალში - 12, ახალგორში - 70, ყაზბეგში - 5, საზღვარგარეთ - 8.<sup>2</sup> ახალგორში მუნიციპალიტეტში მცხოვრებ თინიკანშვილებში დევნილი მოსახლეობა იგულისხმება, რომლებიც, ძირითადად, თინიკანში და კორინთაში ცხოვრობდნენ.

*Davit Akhlouri*

*Gori State Teaching University*

## **THE VILLAGE OF TINIKAANI IN THE SECOND HALF OF THE XVIII CENTURY AND THE BEGINNING OF THE XIX CENTURY RESUME**

The paper talks about the history of the village of Tinikaani in Akhalgori Municipality in the second half of the XVIII century and the beginning of the XIX century. Historical sources of the relevant period are reviewed: Samtavisi's salary book, statistical descriptions of Ksani Saeristavo 1774 and 1783, data of Ioane Batonishvili 1803 principality and 1804 first Russian chamber descriptions According to which the demographic and economic situation of the village is analyzed. An important place is given to the historical monuments of the village, the religious and ethnographic life, the reasons and consequences of the migration of the population to the Kartli plain. A recent demographic picture is also given, highlighting the dire situation of the old village of Tinikaani in the Karchokhi gorge after the August 2008 war. Today, like many other villages in the Ksani Valley, it is occupied and completely deserted.

<sup>1</sup> ქენქაძე კ., ხელოსანი ხელოსნის მტერია, წიგნში „ქსნური ხალხური ფაბლიო“, თბ., 2010, გვ. 34

<sup>2</sup> აგაშანტირაძე კ., ქართული და ქართულ-ებრაული გვარ-სახელები, თბ., 2017, გვ. 217

ელდარ თავბერიძე  
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**აკაკი წერეთლი კრწანისის ბრძოლაში იმერლების დალატის შესახებ**

გაზეთ „კვალის“ 1895 წლის 40 ნომერში დაიბეჭდა აკაკი წერეთლის სტატია „ბ. იონა მეუნარგია და მისი დიპლომატია“, რომელიც იყო პასუხი მეუნარგიას წერილზე, სადაც იგი თბილისის სპარსთაგან აოხრებას იმერლების დალატით ხსნიდა.

ეს ამბავი არ იყო ახალი, მანამდეც ვრცელდებოდა აზრი იმერთაგან კრწანისის ბრძოლაში უმოქმედობასა და დალატზე. ბრძოლის მონაწილე ისტორიკოსი დავით ბატონიშვილი დამარცხებას იმერთა „უხეირო“ მოქმედებას მიაწერდა, რომელთაც ბრძოლის ნაცვლად ხალხის ძარცვა დაიწყეს<sup>1</sup>.

პ. ბუტკოვიც მიუთითებს, რომ ბრძოლის ველზე ერეკლე მეორე კველამ მიატოვა და მათ შორის პირველი სოლომონ მეორე გაიქცაო<sup>2</sup> XIX საუკუნის ბოლოს სომეხმა მწერალმა ერიცოვმა ერთ-ერთ სომხურ გაზეთში გამოაქვეყნა წერილი, სადაც აღნიშნავდა, რომ იმერლებმა ერეკლეს უდალატეს, მათ 12, ხოლო სპარსელებმა 14 სექტემბერს აიღეს თბილისიო<sup>3</sup>. იგივე გაიმერა შემდევში სომეხმა ისტორიკოსმა ვოსკერჩიანმა, რომლის ცნობებსაც ეყრდნობოდა იონა მეუნარგია თავის წერილში. გენ. გუდოვიჩიც იმპერატორისადმი 23 სექტემბერს მიწერილ წერილში აღნიშნავდა, რომ ერეკლე არა მარტო იმერთა ჯარმა, სოლომონმაც მიატოვა ბრძოლის ველზე და იმერლებს თბილისის დაცვაში მონაწილეობა არ მიუღიათო<sup>4</sup>.

კრწანისის ბრძოლაში იმერთა დალატზე სპეციალური კვლევა არავის ჩაუტარებია. თუ არ ჩავთვლით ზ. ჭიჭინაძის ნაშრომს და მ. რეხვიაშვილის წიგნში შეტანილ პარაგრაფს. ერთი ამათვანი ყოველნაირად ცდილობს დაასაბუთოს იმერთა დალატი, მეორე კი პირიქით, ცდილობს უარყოს და უკუაგდოს იგი. აქედანვე ვიტყვით, ეს ამბავი გამოძახილი უნდა იყოს იმ გამცემლობისა, ერეკლე მეორის კარზე რომ გაბატონებულიყო და რაღაც მიზეზის მოძიებით ცდილობდნენ, სხვებზე გადაეტანათ ყურადღება, მიერუბათებინათ თავიანთი მზაკვრული განაზრახი. თორებ ამის უარსაყოფად მარტო ის ფაქტიც იქმარებს, რომ იმერთა ჯარი 2-3 ათასამდე აღწევდა ამ ომში, ერეკლემაც ამდენზე მეტის შეგროვება ვერ მოახერხა. რომ არა გამცემლობა და დალატი ზოგიერთი თავადისა, ქართველთა ჯარი ალბათ საგრძნობლად მეტი იქნებოდა.

დავიწყოთ იმით, იყო თუ არა სოლომონ მეორე ერეკლესთან ერთად ბრძოლის ველზე და იმერთა ჯარმა დაარბია და გაძარცვა თუ არა თბილისი? თვითონ ერეკლე მეორე 15 სექტემბერს მირიან ბატონიშვილს წერდა: „10 სექტემბერს აღა-მაჟმად-ხანი თბილისის მოადგა... იმერეთის მეფეს სოლომონს ჰყავდა, აგრეთვე, 1000 კაცმდე, დავამარცხეთ რა მოწინავე ჯარები, გამოვ-ბრუნდით“<sup>5</sup>. ამდენად ნათელი ხდება, რომ 10 სექტემბერს ბრძოლაში სოლომონ მეორე ერეკლეს გვერდიგვერდ იბრძოდა და ამაზე არავის უნდა ჰქონდეს სადავო. ამ აზრს იზიარებს ს. კაკაბაძეც თავის წიგნშიც „კრწანისის ომი“<sup>6</sup>.

<sup>1</sup> ბატონიშვილი დ., ახალი ისტორია, თ. ლომოურის გამოცემა. თბ., 1941, გვ. 23

<sup>2</sup> Бутков П.Г., Материалы для новой истории Кавказа, -СПб, 1869, с. 36

<sup>3</sup> ჭიჭინაძე ზ., „მეცე ერეკლესა და აღა-მაჟმად-ხანის ომი და ამ ომში იმერლების დალატი მართალია თუ არა“, თბ., 1895, გვ. 24

<sup>4</sup> ცინცაძე ი., აღა-მაჟმად-ხანის შემოსევა საქართველოში, თბ., 1963, გვ. 205

<sup>5</sup> ცაგრელი А.А., Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, относящиеся к Грузии, Типография Императорской Академии Наук, Санкт-Петербург, 1898, с. 105

<sup>6</sup> კაკაბაძე ს., „კრწანისის ომი“, გამომც. მეცნიერება, თბ., 1991, გვ. 107

რაც შეეხება 11 სექტემბრის კრწანისის ბრძოლას, ზ. ჭიჭინაძის ცნობით, იმერთა ჯარი ორად გაიყო. ერთი 1500 მეომარი, სოლომონის სარდლობით სოლანლუდს უნდა დამდგარიყო, რადგან სპარსთა ერთი ნაწილი თელეთსა და შავნაბადას შორის იდგა, მეორე ნაწილი კი, ზურაბ წერეთლის სარდლობით, თვით ერეკლესთან იყო კრწანისის ველზე, მაგრამ ზურაბ წერეთლმა ავადმყოფია მოიმიჩება და ბრძოლაში აღარ ჩამბულაო <sup>1</sup>. არც ეს ცნობა უნდა იყოს მართალი, რადგან მემატიანეთა უმეტესი ნაწილი ზურაბ წერეთლს ბრძოლის ველზე ასახელებს და მისგან ბრძოლაში ჩაუბმელობას უარყოფს. თეიმურაზ ბატონიშვილი წერს, რომ „...იმერთა შეედრობანი იყვნეს მძღვანელობასა ქვეშე ზურაბ წერეთლისასა, დადგინეს იგინი მარჯვენით კერძო მეფისა“<sup>2</sup>. ასევე თეიმურაზ ბატონიშვილი იმასაც აღნიშნავს, რომ 11 სექტემბერს სოლომონმა და ერეკლემ ერთად დატოვეს თბილისი: „...ოდეს განვიდა მეფე ტფილისით, განუტევა მეფე იმერეთისა სოლომონ, შვილიშვილი თვისი სამეფოდ თვისად, რომელ ბრძვეს შეედრობაცა მისთა მტერთა სახელოვნად“ <sup>3</sup>.

მაშ, რატომ უნდა გაჩერილიყო ცნობა იმერთა დალატის შესახებ. ან ის ამბავი რამ წარმოშვა ხალხში რომ იმერლებმა თბილისის გაძარცვა არ იქმარეს, ქართლის სოფლებს შეესივნენ, 10 ათასი ტყვედ წაასხეს და შემდეგ გაჰყიდეს. სარწმუნო უნდა იყოს ცნობა იმის შესახებ, რომ იმერლებს სურსათი შემოაკლდათ და სოლომონს შესჩივლეს, ქალაქში სახლები დაკეტილია, რამდენიმეს გაღების უფლება მოგვეც, რომ სურსათი ვიშოვნოთ და შიმშილით არ დავიხოცოთ. სოლომონს ჯარისათვის მართლაც მიუცია ამის ნება და ეს უნდა ქცეულიყო იმერთაგან დედაქალაქის დარბევისა და გაძარცვის გამოძახილად. თუმცა იმერლებისაგან ქალაქის დატოვებიდან რამდენიმე საათში აღა-მაჰმად-ხანის ჯარებმა ძირფესვიანად გადაწვეს და გაძარცვეს დედაქალაქი.

ასევე სარწმუნოდ გამოიყურება თეიმურაზ ბატონიშვილის ცნობა იმის შესახებ, რომ ზურაბ წერეთელმა თავისი ყმებისაგან შექმნა 40 კაციანი ჯგუფი, რომელსაც თხოვა ჩამოშორებოდა ჯარს, ეძარცვა სოფლები და ნაალაფარი შუაზე გაეყოთ<sup>4</sup>. ეს ფაქტიც, ზურაბ წერეთლის ბუნებიდან და ხასიათიდან გამომდინარე, არ გამოიყურება არაობიერტურად, იგი ხომ „ვერცხლით სნეული“ პიროვნება იყო და ფულის მოხვეჭვისათვის ყველაფერზე თანახმა გახლდათ.

ამდენად, იმერთა ლალატისა და დედაქალაქის გაძარცვის რაღაც კონკრეტულ შემთხვევებს მართლაც შეიძლება პერიოდა აღვილი, რომელიც ხალხმა მთელ იმერეთზე, კუთხეზე გაავრცელა და არად ჩააგდო კრწანისის ველზე დაცემული 1500 იმერის გმირობა და ვაჟკაცობა<sup>5</sup>.

ეს ვრცელი ექსკურსი აკაკი წერეთლის „კვალში“ გამოქვეყნებული წერილის ანალიზისათვის დაგვჭირდა, სადაც ავტორი მკეთრად ილაშქრებს იმერთა შესახებ კრწანისის ბრძოლაში ვითომ ჩადენილი ღალატის შემთხველთა წინააღმდეგ. „ამგვარ საისტორიო ცილისწამებას დიდი და უტყუარი საბუთი ეჭირვება და არა სოფლური უსაფუძვლო მითქმა-მოთქმა, რომლითაც ბ. მეუნარგა ხელმძღვანელობს. მართალია, აგრე ასი წელი შესრულდა, რაც ეს ხმები დადის, მაგრამ არც ერთს შევნებულს და წინდახედულს ჭეშმარიტებად არ მიუღია, თუ არ უმეცარსა და სხვისი ფეხის ამყოლს<sup>6</sup>. აკაკი უპირველესად ამ აზრის გასაქარწყლებლად აღ. ორბელიანის ცნობებს ეყრდნობა და ერთგვარი რეზიუმის სახით გვთავაზობს მას: “ამ ხმებს ავრცელებენ თვით იმ ვაიბატონების შვილები და შვილიშვილები, რომელთა პირდაპირ მოღალატობა დამტკიცებულია, ავრცელებდნენ იმ განზრახვით, რომ ცოდვა თავიდან აეცილებიათ იმერლებზე გადაბრალებით. დღეს ისტორიულად გამოაშკარავდა და გათვალისწინებული გვყავს მტყუანი და მარ-

<sup>1</sup> ჭიჭინაძე ზ., „მეფე ერეკლესა და აღა-მაჰმად-ხანის ომი და ამ ომში იმერლების ღალატი მართალია თუ არა“, თბ., 1895, გვ. 22

<sup>2</sup> ბატონიშვილი თ., გაზეთი „ივერია“, №51, 1891

<sup>3</sup> იქვე

<sup>4</sup> ბატონიშვილი თ., გაზეთი „ივერია“, №51, 1891

<sup>5</sup> რეხვიაშვილი გ., იმერეთის სამეფო 1462-1810 წწ., თბ., 1989, გვ. 324-325

<sup>6</sup> გაზ. „კვალი“, №40, 1895

თალი. აი, ვინ იყვნენ მტრები: 1. ის, ვინც მოიწვია აღა-მაპმად-ხანი საქართველოში და გზის ხარჯათაც ასი ათასი მანეთი გაუგზავნა. 2. ისინი, ვინც ცდილობენ, რომ აოხრებულ საქართველოზე თავისი საკუთარი სამეფო აეგოთ. 3. ის, ვინც შორიდან აბრიყვებდა ორივე მხარეს და მოლა მასრადინივით ფიქრობდა: ვინც დაეცემა, მე დამრჩებაო. და 4. ისინი, ვინც ფულს არიგებდენ მოღალატების მოსასყიდლათ. მოღალატები იყვნენ, რომელთაც ფული მიიღეს და გაჭირვების დროს გადუდგნენ მეფესა და საქართველოს<sup>1</sup> აკაკის ეს მოსაზრება ბევრი რამითაა გასათვალისწინებელი. ჯერ ერთი იმით, რომ იმერლების ღალატზე აჟიოტაჟის ატეხვა და მასზე ურადღების მაქსიმალური გამახვილება ჩრდილში აყენებდა კრწანისის ბრძოლაში დამარცხების ნამდვილ მიზეზს, თავადთა ერთი ნაწილის მართლაც მოღალატურ ქმედებას ჩქმალავდა და უკანა პლანზე გადაპქონდა. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, ნაყალბევი და შეთითხნილი ღალატით დამალულიყო ძირითადი, ნამდვილი არსი დამარცხებისა და იავარქმნისა.

როგორც ვთქვით, აკაკის ეს ნაწილები აღ. ორბელიანის ცნობათა ერთგვარ დასკვნად გამოდგება. ცნობილია, რომ მგოსანი დიდად აფასებდა მის შეუდრეკლობას, პრინციპულობას, ობიექტურობას და მართალია, დაუსახელებლად (პოლემიკური წერილი ამას არც საჭიროებდა), მაგრამ მაინც გააუდერა მისთვის სანდო და ეჭვშეუვალი ის შეხედულებანი, რაც 1832 წლის შეთქმულების მოთავეს გააჩნდა და მთელი სიცოცხლე ერთგულებდა კიდეც.

აღ. ორბელიანის ცნობით, სოლომონი “აბანოს კართან” მდგარა ათასი მეომრით და უცდიდა ერეკლეს ბრძანებას. პაპას შიკრიკი გაუგზავნია, მაგრამ იგი სპარსელებს დაუტყვევებიათ. ამასობაში სოლომონისათვის ვიღაცას უცნობებია, რომ ერეკლე მეფე დამარცხდა, ქართველთა ჯარი სულ გაწყვიტეს ყიზილბაშებმაო „ყმაწყილი კაცი სოლომონ ამ გაებულს ტყუილით მოიტაცეს და საჩქაროთ იმერეთისაკენ გასწიეს“<sup>2</sup>. ასე იყო თუ ისე, იმერთა ლაშქარი და მათი ქმედება იმ გაუგებრობის მსხვერპლი შექმნილა, რაც საერთოდ არსებობდა კრწანისის ბრძოლის წინა პერიოდის ქართლ-კახეთის სამეფოში, როცა მოხუცი, 75 წლის მეფის ზოგიერთმა კანონმა დიდად არივ-დარია სამეფოს საშინაო და საგარეო საქმეები.

აკაკი „პვალში“ გამოქვენებულ წერილში აკრიტიკებს დავით ბატონიშვილის აზრს, თითქოს იმერლების სოლომონის გამეფების დროს მათი თავდასხმა გაეხსენებინოთ და სამაგიერო გადაეხადოთ: „არავის შეუძლია მაგალითი გვიჩვენოს ისტორიაში, რომ იმერლები თავის მომძე ამერლებს ანუ ქართლელებს მტრულად მოკიდებოდნენ. საქართველოს გაყოფის შემდეგ, მართალია, ერთმანეთში მოუხდებოდათ ხოლმე შეტაკება, მაგრამ ეს მოსდიოდათ უფრო მოყვარულის მოსაზრებით და არა მტრულად“<sup>3</sup>. მეტად დამაფიქრებელი აზრია ჩაქსოვილი ამ სიტყვებში, ნათლად გამოსჭვივის ქვეყნის ერთიანობის სურვილი, კუთხე-მხარეებს შორის მოყვრული დამოკიდებულება და ყოველგვარი მსხვერპლის გაღების წადილი, ოღონდ ქვეყანა ერთიანი და ერთსულოვანი იყოს.

დიდ მგოსანს ერეკლეს ის შეცდომაც არ ავიწყდება, როცა იმერეთის თავადებმა შეერთება და გაერთიანება თხოვეს. მან კიდევ “სოლომონის დასკუპება მოინდომა ტახტზე” და სამი სამეფოს, რაც დიდწილი საქართველოს გაერთიანებას უდრიდა, ხელი შეუშალაო.

აკაკის ეს წერილი იმითაც არის საყურადღებო, რომ არა მარტო პოლემიკაა იონა მეუნარგიასთან, არამედ იმერთა ვითომ ღალატის უარყოფის ბევრი დამამტკიცებელი საბუთი მოჰყავს. დიდი მგოსანი აღნიშნავს, რომ კრწანისის ბრძოლის მონაწილეებს ჩვენც მოვსწრებივართ, გვინახავს, შევხვედრივართ, გვისაუბრია და სიმართლის გარკვევა ამიტომ არ გვიჭირსო. აკაკის მოჰყავს სოლომონ მეფის მეღვინეობურუცესის სვიმონ წერეთლის მოგონება, რომელიც ბევრი რამითაა საინტერესო და საყურადღებო.

სვიმონ წერეთლის ცნობით, სოლომონს ერეკლესაგან გამოგზავნილი შიკრიკი მოუვიდა, რომელმაც მეფეს მისი პაპის დანაბარები გადმოსცა – ყიზილბაშები თავდასხმას გვიპირებენ და

<sup>1</sup> იქვე

<sup>2</sup> ორბელიანი აღ., აღა-მაპმად-ხანის შემოსვლა ქ. თბილისში, მოამბე, 1895, გვ. 38-39

<sup>3</sup> გაზ. „პვალი“, №40, 1895

დაგვეხმარეო. იმ დღესვე ხლებია ზურაბ წერეთელს რევაზ ანდრონიკაშვილის გამოგზავნილი შიკრიკი, რომელმაც რა უთხრა სახლთუხუცესსა და რაზე ისაუბრეს, ჩვენთვის გაუგებარი დარჩაო. ეს ცნობა მეტად საგულისხმოა. იგი ნათელს პფენის ზურაბ წერეთლის მთელ შემდგომ საქმიანობას (კრწანისის ბრძოლის პერიპეტიიებს ე.თ.). როგორც ჩანს, ზურაბ წერეთელმა თავიდანვე იცოდა ქართველ თავადთა ერთი ნაწილის განწყობილება, საქმის კურსში იყო მათი განხრახვისა და სურვილის შესახებ და მთელი შემდგომი პერიოდი სწორედ მათ სასარგებლოდ მოქმედებდა.

სვიმონ წერეთლის მოგონებაში აღნიშნულია, აგრეთვე, რომ მეფე სოლომონის ამბის შეტყობისთანავე დარბაზი შეუკრებია და რჩევა უთხოვა. ყველა თანახმა ყოფილა ოთხივე სასარდლო ჯარებით მიშველებოდნენ ერეკლეს, ერთად-ერთი ზურაბ წერეთელი მდგარა უარზე, მაგრამ ქაიხოსრო წერეთელს, სარდალს იმერთა ჯარებისა ზაქარია ანდრონიკაშვილის (სოლომონ მეფის მამინაცვალი) წერილი წარუდგინა, სადაც აღნიშნული იყო, რომ ირაკლი მეფეს მოღალატეები გამოუჩნდნენ, ხმებს ავრცელებენ, თითქოს ყიზილბაშებთან აზრი არ ქონდეს ომს და თქვენც შეცდომაში არავინ შეგიყვანოთ. ამ სიტყვებს დიდად უმოქმედია და დახმარების სასარგებლოდ გადაუწყვეტია დარბაზობის საკითხი<sup>1</sup>. როგორც ვხდეავთ, იმერთა კარზეც ყოფილა ორი დაჯგუფება – ერთი ერეკლეს დახმარების მოწადინე, მეორე დაყოვნების მოსურნე. ორივე ამათ თავიანთი მოკავშირეები პყავდათ ქართლ-კახეთის სამეფოში და მათი ინსტრუქციით მოქმედებდნენ. ამდენად, უკვე ნათელი ხდება ზურაბ წერეთლის, იმ ხანად მეფის შემდეგ პირველი კაცის, თუ არ მეფის სწორის, ამ ომში ჩადენილი ღალატი საიდან იღებდა სათავეს.

სვიმონ წერეთელი ამ ბრძოლის მონაწილე სოლომონის მეღვინეოუხუცესი იყო, სულ მას ვახლდი, ოღონდ ტრაპიზონში უეცარმა გარდაცვალებამ დამაშორა ჩემს საყვარელ მეფესო – აღნიშნავს მოგონებაში. ძნელია რაიმე ტენდენციურობა დასწამო მის მონათხრობ-გადმონაცემს, რადგან იგი არაფრით დაინტერესებული პიროვნება არ ჩანს, ცდილობს სიმართლე თქვას. მისი მონათხრობი ზურაბ წერეთლის ამ ბრძოლაში თავიდანვე წინასწარგანზრახული ღალატის შესახებ ემთხვევა ყველა სანდო წყაროს. ისტორიკოსები სვიმონ წერეთლის მოგონებას იშვიათად იყენებს ხოლმე, ამიტომ მთლიანად მოვიტანთ სვიმონ წერეთლის მოგონების იმ მონაკვეთს, რომელიც ბრძოლის მიმდინარეობას ეხება: „ქალაქში რომ ჩავედით, ხოჯოხანი (აღა-მაჰმად-ხანს ეძახდნენ – ე.თ.) ქალაქზე მომდგარ იყო. პირველი ბრძოლა ჩვენ, იმერლებმა, ვიტვირთეთ. ორი დღე ვიბრძოლეთ. გამოლმით ჩვენ ვიღებით მაღლობზე და გაღმით ყიზილბაშები. მათი რიცხვი უთვაღლავი იყო. ჩვენ კი მხოლოთ ორი ათასი იმერელი ვიყავით, რადაგანაც ერთი წილი ჩვენგანი ქუმელა გურამიშვილს გაუგზავნეს, ორასიოდე თათარი და სხვა კანტაკუნტათ ქართლელ-კახელები. კვირა დღე იყო. მტერმა რომ გვიცოტავა, მოვმართა, მაგრამ ჩვენ ბრძანება გვქონდა და ადგილიდან არ დავძრულვართ. ჯერ თოფები მივახალეთ და მერე ხმლით დავიწყეთ მოგერება. შვიდჯერ გავაძრუნეთ, იმათ ახალ-ახალი ჯარები ენაცვლებოდათ, ჩვენ კი ჯერ არ გვეჭირვებოდა გამონაცვლება. საოცარი გულდამშვიდებით იბრძოდენ ჩვენი თათრები და ქართლ-კახელები კი ჯიქივითა ხტოდენ და საფარში აღარ დგებოდენ. ორჯელ სამჯელ კიდეც გაჰყვენ და მიდიეს უკუქცეულ მტერს. რაჭველი გოცირიძე, დათუნას სახლის შვილი, გაიტაცა ბრძოლის სიმთვრალემ და მარტო-მარტო სერამდის აჰყვა გაქცეულ თათრებს. ისინიც მოუბრუნდენ და შემოჰკრეს ირგვლივ. საოცარი სანახავი იყო მისი თავგამოდება. შემოატრიალა ხმალი და ირგვლივ კალო გაიკეთა, იცოდა, რომ ვერ გადარჩებოდა, მაგრამ მაინც არ უნდოდა, რომ მათ ხელში თავი ჩაეგდო. ეს რომ დაინახეს მისმა ამხანაგებმა, ახალგაზრდა იმერლებმა, გულმა აღარ მოუთმინათ და შეუტიეს; ერთი ასს ებრძოდა, მოკლეს გოცირიძე, ზედ სამასამდე ჩვენებიც დააკვდა, მაგრამ ზედ ყიზილბაშების ხორაც დადგეს. მაშინ ბრძანა მეფე ირაკლიმ: „აჩქარდენ, საქმეს გამიფუჭებენ“; მოავლო ბაირალს ხელი და თითონ წაუძღვა ერთიანათ ჯარს. ახალგაზრდა შვილიშვილი ადგილზე დაპტოვა და მიბრძანა, მეც არ მოვშორდებოდი, მაგრამ ჩვენ მეფე-საც გულმა აღარ მოუთმინა, მიაშურა ხმალ და ჩვენც მივყევით. დიდი მეფე სოლომო-

<sup>1</sup> გაზ. „კვალი“, №40, 1895

ნის ხლებულს ბევრი ლაშქრობა გამომივლია, ბევრ ომში ვყოფილვარ, მაგრამ ამისთანა ბრძოლა არ დამინახავს. თუ წინ ბნელი არ გადაგვლობებოდა, შორს გავრეკავდით მტრებს, გამარჯვება, მაინც, რასაკვირველია, ჩვენი იყო. სიხარულს საზღვარი არ ქონდა. ბევრი მოიკლა ჩვენები, საწერეთლო აზნაურიშვილები; დაჭრილებიც ბევრი იყო, ჭირისუფლებმა წუწუნი დაიწყეს, თავთავის მკედრებს ტიროდენ და იმდენზე გაულისდენ, რომ ღამე თავდასხმას უპირებდენ: აღარც სარდლებისა პჯეროდათ და აღარც მეფის, მაშინ მეფე ირაკლიმ უთხრა ჩვენ ბატონ მეფეს: ამეღლამ აქ ბრძოლა აღარ იქნება, აქ საჭირო აღარა ხართ, თქვენ წადით, თბილისში მოისვენეთ და ხვალ რო შეგატყობინოთ, მზათ იყავთ, მომეშველეთო. შეგბრუნდით ქალაქში და მივამახარობლეთ გამარჯვება. საკვირველია! ზოგიერთებს არ ეჭაშნია, თურმე ღალატობას შედგომოდნენ და დიდი ჩურჩული იყო. ჩვენ რას მივცვდებოდით! მეორე დღეს დიღა ადრე აბანოებთან ვიდექით მზათ და ირაკლის ბრძანებას მოველოდით; ჩვენ გვიკვირდა, რომ იქ ბრძოლა იყო და ჩვენ კი არას გვატყობინებდენ. უცაბათ ვიღაცვიდაცები შემოიჭრნენ ქალაქში და ხმა დაყარეს, რომ იარკლი დამარცხდა და ყიზილბაშები ქალაქში შემოდიანო. ამ ღროს აბაშიძე და მისი ჯარი ზარბაზნებთან დატოვებული რომ იყვნენ, დიდი შეწუხებულები მოვიდნენ და გვითხრეს: „ქართველები გაწყდნენ, ზარბაზნები წაგვართვეს, დიდ ძალი ჯარი მოგვაწვა, თავს უშველეთ. ვისაც შეგიძლიათო“. მაშინ ბრძანა მეფე სოლომონმა: „ღმერთო ჩემო! რა მიზეზია, რომ ჩემი დაბარებული ჯარი ამდენ ხანს არსად ჩანსო? მაშინ შემეძლო, რომ მე დავხვედროდი ჩემის იმერლებით ხოჯა-ხანს, გინდ მთელი თეირანი ჩემზე მოერეკაო! მაგრამ ახლა რაღა ვქნა, ერთი მუჭა ჯარით, როცა აქაურობა მოღალატეებით ყოფილა სავსეო! ტირილი დაიწყო და დაგაპირეთ დაბრუნება იმერეთისაკენ. მერე კი გავიგეთ, თუ რა მიზეზით არ მოგვეშველენ იმერეთიდან დაბარებული სასარდალოები, მაგრამ რაღა ღროს? ღმერთმა ჰკითხოს მოღალატეს!“<sup>1</sup>.

სვიმონ წერეთლის მოგონებიდან ირკვევა, რომ სოლომონ მეფეს უფრო მეტი ჯარის გამოყვანა შეეძლო, მაგრამ დარბაზობის დამთავრებისთანავე თვითონ სამი ათასი მეომრით მიშველებია ერეკლეს, დანარჩენი მერე უნდა მისულიყვნენ. მოგონების ავტორი 20 ათას კაცს ასახელებს, რაც გადაჭარბებული ჩანს, მაგრამ ზოგიერთმა იმერელმა თავადმაც, რომ ქართლ-კახეთიდან მოწვდენილი ხმის წყალობით, ბრძოლას თავი აარიდა, ფაქტია. სვიმონ წერეთელი ამ ღალატში ზურაბ წერეთელს ადანაშაულებს. როგორც ჩანს, სახლთუხუცესმა თვითონ თავი აარიდა კრწანისის ბრძოლაში მონაწილეობას, მაგრამ ზოგიერთები მაინც შეაყოვნა და რევაზ ანდრონიკაშვილის შემონათვალის აღსრულება ნაწილობრივ მაინც შეძლო.

სვიმონ წერეთელის ზემოთ მოყვანილი აღწერა ბრძოლისა კი ბევრი რამითაა საგულისხმო. თავიდანვე ვიტყვით, რომ იყი თითქმის ემთხვევა ალ. ორბელიანის ცნობებს კრწანისის ბრძოლის შესახებ. მათი შეჯერებით კი ნათელი ხდება, რომ კრწანისის ბრძოლაში იმერთა ღალატი შეთხულია – ჯარის არასწორი განლაგება, შიკრიკთა მიერ ხმების დაყრა და სხვა, იმაზე მიუთითებს, რომ ერეკლეც არ იყო ამ ომისათვის მზად, მოუმზადებლობამ, ზოგიერთ თავადთა მოღალატურმა საქციელმა კი თავისი შედეგი გამოიღო.

რაც შეეხება ქალაქის გაძარცვის ფაქტს, სვ. წერეთელიც არ უარყოფს, რომ ბრძოლიდან დაბრუნებისთანავე, როცა ქალაქში შემოვიდნენ, ქალაქის მელიქს, მიუხედავად იმისა, რომ ნაბრძანები ჰქონდა, მათოვის ყველაფერი დაემზადებინა, ორი დღის მშივრები კი იმერეთამდე როგორ ჩავაღინდეთ, ვაჭრებს ღუქნები დაკეტილი ჰქონდათ და ისინიც მეფის მოღალატურ პოლიტიკას ანხორციელებდნენო, რამდენიმე ღუქანი გავტეხეთ და მხოლოდ სურსათი ავიღეთ, რის-თვისაც სოლომონი დიდად გაგვირისხდა<sup>2</sup>. ამდენად, იმერთა ჯარიდან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რაღაც შამთხვევას მართლაც შეიძლება ჰქონდა ადგილი, მაგრამ მიღალატე თავადებმა ამით ისარგებლეს, აქცენტი მასზე გადაიტანეს, რომ თავიანთი ღალატი როგორმე მიეჩქმალათ და მიეჩუმათებინათ, თორებ რამდენიმე ღუქნის გატეხვა არ შეიძლება ქალაქის დარბევისა და

<sup>1</sup> კაკაბაძე ს., „კრწანისის ომი“, გამომც. მეცნიერება, თბ., 1991, გვ. 108-109

<sup>2</sup> კაკაბაძე ს., დასახ. ნაშრ., გვ. 13-14

გაძარცვის ფაქტად აღქმულიყო. უკეთეს შემთხვევაში თვით ქალაქის მელიქს უნდა უზრუნველეყო იმერთა ჯარი პროდუქტით.

ამდენად აკაკის ეს წერილი საკმაო სიცხადით ასაბუთებს კრწანისის ბრძოლაში იმერთა დალატის შესახებ იმ დროისათვის გავრცელებულ ცრუ ხმებს, ილაშქრებს იონა მეუნარგიას იმ შეხედულებათა წინააღმდეგ, რომლებიც სომხურ წყაროებში გაჩნდა და აჩვენებს, თუ, რა მიზეზითა და მიზნით გავრცელდა ისინი.

ასეთი მკვეთრად გამოხატული ბრალდებით ადანაშაულებდა აკაკი ისტორიის გამყალბებებს, იმ აზრის შემთითხვნელ ადამიანებს, რომლებიც არამარტო ისტორიულ ფაქტებს უარყოფნენ, არამედ კუთხეებს შორის შუღლსა და მტრობასაც აღვივებდნენ.

*Eldar Tavberidze*

*Akaki Tsereteli State University*

**AKAKI TSERETELI ABOUT THE IMERETIANS BETRAYAL IN THE KRTSANISI  
STRUGGLE  
RESUME**

In the newspaper 'Kvali', 1895, N40 was published Akaki Tsereteli's article 'Iona Meunargia and his diplomacy', replaying to Meunargia's latter which dealt with the Imeretians betrayal for saving Tbilisi from Persian destroy.

In his article Ak. Tsereteli stands against the fact as if the Imeretians were to be blamed in it. 'The historical slander like this should have evidences, and not simple unfounded rumors, which are headed by Meunargia. Nearly 100 years have passed since that these rumors are spoken about. Not a single educated and literate person concerns this as a fact, but ignorant'. The rumors like these are spread by off-springs of those real betrayers, whose purposes were to blame the imeretians.

Tsereteli's letter is important not only for its polemics with Iona Meunargia, but it shows lost of facts of imeretians being innocent. The poet noticed that they had met, had seen and had spoken to Krtsabisi Struggle participant, and it was not difficult to reveal the truth. The author blames the forgers of the historical facts, those who refused not only the historical facts, but tried to stimulate the conflict between the different parts of Georgia.

ლელა თოგოშვილი  
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

**„ნასყიდობის ინსტიტუტი“ XIX საუკუნის რეფორმამდელი ხანის საქართველოში  
(საკითხის შესწავლისათვის)**

საქართველოში მიწაზე კერძო საკუთრება ანუ ე. წ. „ნასყიდობის ინსტიტუტი“, აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილის აზრით, ადრეული ფეოდალიზმის ხანაში უკვე არსებობდა. იგი წერს, რომ „ყიდვა-გაყიდვის სფეროში იყო მოქცეული რაგინდარა მიწები, ე.ი. საკუთრების უფლება ფართოდ იყო გავრცელებული წარმოების ამ ძირითად საშუალებაზე, რაც, თავისთავად, საზოგადოებრივი ურთიერთობის მაღალი განვითარების ნიშანია“.<sup>1</sup> ეს ინსტიტუტი ნიკო ბერძენიშვილს საკუთრივ ქართულ ნიადაგზე წარმოშობილად მიაჩნია. მისი შემუშავების საფუძველი საქართველოში ინტენსიური მიწათმოქმედება უნდა ყოფილიყო.

ქართული ფეოდალური სამართლი მტკიცედ იცავდა ნასყიდობას. ვახტანგის სამართლის მიხედვით, ხელმწიფის გარდა არავის შეეძლო „ნასყიდი“ მამულის ხელისხლება. თუმცა, მეფე-საც კი, როგორი მძიმე სასჯელიც არ უნდა ყოფილიყო, არ უნდა მოეშალა „ნასყიდი“.<sup>2</sup> ნასყიდ მამულს არ ეკისრებოდა საბატონო გადასახადები და მის პატრონს, გლეხი იქნებოდა თუ ფეოდალი, სრული უფლება ჰქონდა თავად მიეღო გადაწყვეტილება მზითვად გატანების, გაყიდვის ან გაჩუქებასთან დაკავშირებით. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ფეოდალური დაქავშულობის ხანაში საქართველოში ჰქონდა ადგილი მებატონის მხრიდან გლეხის ნასყიდი მიწის მითვისებას და მასზე გადასახადის დაწესებას, მაგრამ ეს ქართული ფეოდალური სამართლის იურიდიული ნორმების დარღვევა იყო და იშვიათ მოვლენას წარმოადგენდა. ასე რომ არ ყოფილიყო, გაუგებარი იქნებოდა გლეხების შეუწელებელი სწრაფვა მიწების შეძენისადმი.

გლეხების მიერ მიწების შეძენა შედარებით იშვიათ მოვლენას წარმოადგენდა ადრეფეოდალურ - ბატონყმურ ხანაში. პროფესორი ი. ანთელავა მიუთითებს, რომ XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან, სასაქონლო - ფულად ურთიერთობათა და ვაჭრობა - ხელოსნობის განვითარების ფონზე ეს პროცესი ინტენსიურ ხასიათს ღებულობს.<sup>3</sup> ხელნაწერთა ინსტიტუტის და ისტორიული არქივის სათანადო ფონდებში არსებული მიწის ნასყიდობის ათასობით სიგელ-გუჯრები მიუთითებს იმაზე, რომ XIX საუკუნიდან სულ უფრო ძლიერდება გლეხების მონაწილეობა ხსენებულ ოპერაციებში. გამომდინარე იქიდან, რომ რეფორმამდელი ხანის რუსეთისათვის მიწების ყიდვა-გაყიდვის პროცესში ყმა-გლეხობის მონაწილეობა შედარებით უცხო მოვლენას წარმოადგენდა, რუსეთის ხელისუფლება არც საქართველოში დაინტერესებულა გლეხობის მიერ ნასყიდი მიწების სტატისტიკური აღრიცხვით. სწორედ ამიტომ ამ მოვლენის შესახებ მსჯელობა შესაძლებელი ხდება არაპირდაპირი დოკუმენტებით. სახელდობრ, ბატონყმობის გაუქმების შემდეგ, საწესდებო სიგელების შედგენის დროს, დასავლეთ საქართველოს დროებითვალდებულმა გლეხებმა მომრიგებელ მოსამართლეებს წარუდგინეს 63 ათასზე მეტი მიწის ნასყიდობის სიგელი, მომდევ-

<sup>1</sup> ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1964, გვ. 370.

<sup>2</sup> ორჯონიშვილი ე., „ნასყიდი“ მიწის როლი გლეხის მეურნეობაში და ბატონყმობისაგან თავდახსნის პროცესი XIX საუკუნის რეფორმამდელი ხანის საქართველოში, „მაცნე“, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 1. 1974, გვ. 58.

<sup>3</sup> ანთელავა ი., ცვლილებები XVIII საუკუნის საქართველოს ფეოდალურ მიწათმფლობელობაში. „მაცნე“, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 1972, N1, გვ. 95.

ნო წლებში კი 1876 წლამდე - კიდევ 21 ათასი სიგელი. აღმოსავლეთ საქართველოს გლეხობამ მხოლოდ ერთი - 1867 წლის განმავლობაში 1235 მიწის ნასყიდობის წიგნი წარადგინა.<sup>1</sup>

რუსეთის ხელისუფლება და ქართველი მემამულები ყოველმხრივ ცდილობდნენ შეეზღუდათ გლეხთა საკუთრება. ამ მიზნით ისინი მხოლოდ ნოტარიული წესით დამტკიცებულ ნასყიდობის სიგელებს სცნიბდნენ კანონიერად, რაც გლეხებს იშვიათად ჰქონდათ. შეზღუდვების მიუხედავად, 1865-1867 წლების განმავლობაში ქუთაისის გუბერნიის გლეხებმა წარდგენილი 19763 სიგელის საუძველებელი 10258 დესეტინა მიწის დამტკიცება შეძლეს.<sup>2</sup> 1871 წლისათვის კი დასავლეთ საქართველოში 15000 კომლს დაუმტკიცეს რეფორმამდელ პერიოდში შეძნილი მიწები.<sup>3</sup>

ცნობები გლეხობის ხელთ არსებული ნასყიდი მიწების შესახებ გაბნეულია სხვადასხვა წლებისა და სხვადასხვა მაზრების კამერალურ აღწერებში. თუმცა მათი ისტემატური აღრიცხვა მოცემულია მხოლოდ 1818 წლის გორის მაზრის საბატონო, სახელმწიფო და საეკლესიო გლეხების კამერალურ აღწერაში. ამიტომაც გორის მაზრის 1818 წლის აღწერებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. 1818 წელს გორის მაზრაში აღწერილ იქნა 3275 საბატონო გლეხი. აღწერიდან ვლინდება, რომ გორის მაზრის საბატონო გლეხების ხელთ იყო ნასყიდი მიწა 3597 დღიური, ესე იგი მათ მფლობელობაში არსებული მიწების 18,5% მათ საკუთრებას შეადგენდა.<sup>4</sup> ირკვევა, რომ გლეხები საკმაოდ ხშირად ყიდულობდნენ დიდი ფართობის მიწას. 10, 20, 40 და მეტი დღიური ნასყიდი მიწის პატრონი გლეხები მეურნეობას თითქმის მთლიანად საკუთარ მიწებზე აწარმოებდნენ, რაც მის მფლობელს პირადი დამოუკიდებლობის მოპოვების საშუალებას აძლევდა. მაგალითად, სოფელ სათემოში მცხოვრებ სიმონ ფარახელაშვილის მფლობელობაში იყო 30 დღიური ნასყიდი მიწა, ჰყავდა 18 სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, მოჰყავდა 200 კოდი მარცვლეული.<sup>5</sup> სოფელ ბერშუეთში მცხოვრებ დიმიტრი ბიძინაშვილს ჰქონდა 20 დღიური ნასყიდი მიწა, ჰყავდა 18 სული პირუტყვი, მოჰყავდა 200 კოდი მარცვლეული. ასევე ბერშუეთელ გლეხს გოგია წიკლაურს ჰქონდა 12 დღიური ნასყიდი მიწა, მოჰყავდა 200 კოდი პური, ჰყავდა 20 სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი და 300 ცხვარი. მეჯვრისხევში მცხოვრებ დიმიტრი ხომასურიძეს ჰქონდა 50 დღიური ნასყიდი მიწა, მოჰყავდა 200 კოდი პური და ა.შ..უნდა ვივარაუდოთ, რომ დასახელებული გლეხები თავის მეურნეობებში დაქირავებულ შრომას იყენებდნენ. ასეთი გლეხები, ბატონყმურ ურთიერთობაში ჩაბმულობის მიუხედავად, სოფლის ბურუუაზიულ ელემენტებად გვევლინებიან. ამის ვარაუდის შესაძლებლობას გვაძლევს ის გარემოება, რომ ასეთი გლეხების მეურნეობა მთლიანად საკუთარ მიწებზე იყო გაშლილი და მათი მოსავლის დაახლოებით 50% მაინც საბაზროდ უნდა ყოფილიყო წარმოებული. 1818 წელს გორის მაზრაში აღწერილ იქნა 859 კომლი სახელმწიფო გლეხი. მათ შორის ნასყიდი მიწა ჰქონდა 102 კომლს, ანუ 11,9%-ს. მათი ნასყიდი მიწა იყო 679 დღიური, ესე იგი, სახელმწიფო გლეხების მფლობელობაში არსებული მიწების 18% მათი საკუთრება იყო. საეკლესიო გლეხების 748 კომლიდან ნასყიდი მიწა ჰქონდა 140-ს 1593 დღიურის რაოდენობით, რაც მათ მფლობელობაში არსებული მიწების 25,7%-ს შეადგენდა. სულ გორის მაზრაში 1818 წელს სამივე კატეგორიის გლეხთა 4878 კომლი იქნა აღწერილი. 600 კომლს საკუთარი მიწა ჰქონდა, რაც საერთო რაოდენობის 12,5%-ს შეადგენდა. 35,8%-ს, ანუ გლეხობის უმეტეს ნაწილს დიდი ფართობის ნასყიდი მიწები ჰქონდა. ზოგ შემთხვევაში გლეხებს „ნასყიდი“ ჰქონდათ 40, 50, 60, 80 და 200 დღიურიც კი. დიდი ფართობის ნასყიდი მიწა გლეხს მთლიანად ათვასუფლებდა ამ ძი-

<sup>1</sup> Панцхава А., К вопросу о развитии аграрных отношений в дореформенной Восточной Грузии, М., 1957, стр. 159.

<sup>2</sup> საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი (სცსია), ფ. 220, საქ. 883, ფურც. 154.

<sup>3</sup> ბენდიანიშვილი აღ., აგრარული ურთიერთობანი საქართველოში 1890-1917 წლებში, თბ., მეცნიერება, 1965, გვ. 93.

<sup>4</sup> ორჯონიძე ე., „ნასყიდი“ მიწის როლი გლეხის მეურნეობაში და ბატონყმობისაგან თავდახსნის პრცესი XIX საუკუნის რეფორმამდელი ხანის საქართველოში, „მაცნე“, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 1. 1974, გვ. 59.

<sup>5</sup> საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი (სცსია), ფ. 254, ან. I, საქ. 542.

რითადი საწარმოო საშუალებით მომარაგების ბატონყმური ფორმებისაგან. როგორც ჩანს, 1818 წელს გორის მაზრაში გლეხობის მფლობელობაში არსებული მიწების ერთი მეხუთედი უკვე საკუთარი იყო. ცხადია, XIX ს-ის 30-40-იანი წლებიდან, როდესაც სწრაფი ტემპით განვითარდა სასაქონლო-ფულადი ურთიერთობა, გლეხობის გარკვეული ნაწილის ხელში კიდევ უფრო მეტი მიწის ფართობი მოიყრიდა თავს. უნდა ვიგულის ხმოთ, რომ დაახლოებით ასეთივე მდგომარეობა იქნებოდა სხვა მაზრებშიც. განსაკუთრებით ეს ეხება დასავლეთ საქართველოს, სადაც ყველაზე უფრო ძლიერად შეინიშნებოდა გლეხების მიღრეკილება მიწების შემნის საკითხისადმი. დ. გოგოლაძე წერს, რომ 1855 წელს მარტო ქუთაისის მაზრაში მთელი მიწების ერთი მესამედი სახელმწიფო გლეხების საკუთრებას წარმოადგენდა. დაახლოებით ასეთივე შეფარდება უნდა ყოფილიყო იმერეთ-გურიის საბატონო გლეხების მიწათმფლობელობაშიც. 1865 წელს ქუთაისის სამოქალაქო გუბერნატორი აღნიშნავდა, რომ აღნიშნულ გლეხთა სარგებლობაში არსებული მიწების ერთი მესამედი ნასყიდ ანუ საკუთარ მიწებს უნდა შეადგენდესო.<sup>1</sup>

XIX ს-ის 80-იანი წლებისთვის ქუთაისის გუბერნიის სახელმწიფო გლეხებს 43344 დესეტინა მიწა ჰქონდათ ნასყიდი. ამ მიწების უმეტესი ნაწილი (ნახევარი მანც) რეფორმამდელ ხანაში უნდა იყოს შემნილი, რაც იმაზე მიუთიებს, რომ XIX ს-ის დასაწყისიდანვე, ბატონყმობის გაუქმებამდე გაცილებით ადრე, გლეხობას სერიოზული იერიში ჰქონდა მიტანილი ფეოდალურ საკუთრებაზე და ბატონყმობის რღვევა დაწყებული იყო.

XIX ს-ის რეფორმამდელი ხანის საქართველოში სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის და ვაჭრობა-ხელოსნობის განვითარების პარალელურად გაძლიერდა გლეხობის მისწრაფება არა მარტო მიწების შემნისა, არამედ პირადი თავისუფლების მოსაპოვებლადაც.

XIX ს-ის პირველი ნახევარი საქართველოში ბატონყმური ურთიერთობის გამწვავებით ხასიათდება. გაიზარდა ფულზე მოთხოვნილება, რის გამოც მებატონები თვითნებურად ზრდიდნენ გლეხებზე დაკისრებულ ბეგარა-გადასახადებს, ამბიმებდნენ მათ უფლება-მოვალეობებს. თავის მხრივ, გლეხობა ყოველივე ამას ანტიბატონყმური ბრძოლის გააქტიურებით პასუხობდა. გლეხობა ბატონყმობისაგან თავის დასაღწევად ყველა საშუალებას მიმართავდა. ეს შეიძლებოდა ყოფილიყო იურიდიული გზით თავისუფლების მოპოვება, ან მუდმივი საცხოვრებელი ადგილიდან აყრა, ან კიდევ სხვა კუთხეებში გაქცევა და ხიზნად დაჯდომა, ასევე გარკვეული საზღაურის გადახდით თავის გამოსყიდვა.

ბატონყმობისაგან თავგამოსყიდვა ქართული ფეოდალური სამართლით არ იყო აკრძალული. ბატონისა და ყმის ურთიერთშეთანხმების საუძველზე, გარკვეული საზღაურის გადახდით, გლეხს შეეძლო თავისუფლების მოპოვება. თუმცა, ასეთი შემთხვევები იშვიათი იყო XVIII საუკუნეში. ამ მოვლენამ შედარებით ფართო ხასიათი მიიღო XVIII ს-ში.<sup>2</sup> XIX ს-ის შუა ხანებისათვის ეს პროცესი კიდევ უფრო გაძლიერდა. XVIII საუკუნისაგან განსხვავებით, უკვე იშვიათი გამონაკლისებით ხდებოდა ერთხელ თავგამოსყიდული გლეხის ხელახლი დაყმევება. ამ პროცესის გაძლიერების მიზეზი, ერთის მხრივ, იყო ყმა გლეხების ეკონომიკური ექსპლოატაციის გაძლიერება და მათი უფლებრივი მდგომარეობის გაუარესება, ხოლო მეორეს მხრივ კი სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის განვითარება, რაც ამ ურთიერთობაში ჩაბმული გლეხობის ნაწილს სათანადო თანხის დაგროვებისა და პირადი თავისუფლების მოპოვების საშუალებას აძლევდა გარდა ამისა, ამ პროცესს რუსეთის იმპერიის ხელისუფლებაც უწყობდა ხელს, რომლის მიზანი იყო საქართველოში სახაზინო უწყების ყმა-მამულის გამრავლება. ამას ადასტურებს 1831 წელს გამოცემული კანონი, რომლის თანახმად დავალიანებული მებატონის ყმა-მამულის საჯარო ვაჭრობით გაყიდვის დროს გლეხებს თავის გამოსყიდვის უფლება ეძლეოდათ. 1842 წელს გამოცემული კანონის თანახმად კი, ასეთივე უფლება მიენიჭათ გლეხებს კერძო შეთანხმებით ყმა-მამულის გაყიდ-

<sup>1</sup> გოგოლაძე დ., საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარება გვიანფეოდალურ ხანაში: საადგილმამულო ურთიერთობა 1800-1864 წწ., თბ., 1971, გვ. 164.

<sup>2</sup> Антелава И.Г., Государственные крестьяне Грузии в первой половине XIX века, т. I: До крестьянской реформы 1864 года, Сухуми, 1955, стр. 106.

ვის დროს. 1848 წელს გამოვიდა კანონი, რომლის მიხედვით ბატონყმობისაგან განთავისუფლებულ გლეხებს ნება ეძლეოდათ სახელმწიფო უწყებაში ჩარიცხულიყვნენ ან მოქალაქებად ჩაწერილიყვნენ.<sup>1</sup>

გლეხების მიერ თავის გამოსყიდვის შემთხვევები, სტატისტიკურად აღრიცხული, მხოლოდ ქუთაისის გუბერნიაშია ცნობილი, და ისიც მხოლოდ 1850 წლიდან 1864 წლამდე. ამ აღრიცხვით დადასტურებულია 1314 შემთხვევა. მაგრამ არის მოსაზრება, რომ მთლიანად საქართველოში XIX ს-ის პირველი ნახევრის პერიოდში გაცილებით მეტი უნდა ყოფილიყო თავგამოსყიდვის შემთხვევები. ასეთი ვარაუდი გამოიქვა დ. გოგოლაძემ, რომელმაც თავდახსნის 300- მდე საბუთი შეისწავლა. ხელნაწერთა ინსტიტუტისა და ისტორიული არქივის სათანადო ფონდებში მიკვლეული 1805 საბუთიდან ვლინდება, რომ ბატონყმობისაგან განთავისუფლდა 1967 კომლი.<sup>2</sup> ყოველივე ეს მეტ საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ XIX ს-ის რეფორმამდელი ხანის საქართველოში გლეხების მიერ თავის გამოსყიდვა არც თუ ისე იშვიათ მოვლენას წარმოადგენდა. დასავლეთ საქართველოში თავის გამოსყიდვის ცნობილი შემთხვევებიდან ჩვენამდე მხოლოდ ერთმა მესამედმა მოაღწია. ამიტომ ანალოგიურად უნდა ვიმსჯელოთ აღმოსავლეთ საქართველოზეც. უნდა ვივარაუდოთ, რომ აღმოსავლეთ საქართველოშიც გაცილებით მეტი იქნებოდა ასეთი შემთხვევები და საბატონო გლეხების 12-18 % მანც უნდა ჩავთვალოთ თავგამოსყიდულად, რაც ცოტა არ არის.<sup>3</sup>

წმირი იყო ისეთი შემთხვევები, როდესაც მებატონისაგან გაქცეული და სხვა კუთხეში გადასახლებული გლეხი აღარ ემორჩილებოდა მის ასაყრელად მოსულ მებატონეს და ეს უკანასკნელიც იძულებული იყო სათანადო ანაზღაურების მიღებით გაეთავისუფლებინა თავისი ყოფილი ყმა. ეს უმთავრესად შეეხება დასავლეთ საქართველოდან კახეთსა ან ქართლში გამოქცეულ გლეხებს. მაგალითად, 1841 წელს იმერელმა თავადმა დავით წულუკიძემ ასეთი შინაარსის თავდახსნილობის წიგნი გადასცა თავის ყმას იოსებ ყიზილეიშვილს: „...შენ გარდმოხველ იმერეთიდამ უნებლიერ ჩემდა და იმყოფებოდი თელავის ქალაქსა შინა, რომლისათვის მეც გარდმოველ საქართველოს ყმათა ჩემთა გარდასასახლებლად მუნვე თავის სამკვიდრებელსა ადგილმამულსა, გარნა შენ არ ისურვე და არც დაემორჩილე დაეთამხმე ბრძანებასა ჩემსა იმერეთს გარდაყვანისათვის და მე ვინაიდგან მივხედე აზრსა და სინდისსა შენსა ესრეთითა სახითა, ამისთვის დაგრძელებულ ვითარცა ისურვე და დაგახსნევინე (თავი) ყმობისა ჩემისა თვინიერ შენი მამულისა“.<sup>4</sup> 1818 წელს ასეთივე შინაარსის საბუთი გადასცა იმერელმა აზნაურმა ვახტანგ სვანიძემ საგარეჯოში გადახვეწილ თავის ყმებს სვიმონ, ხუცია, დათიკა და მახარე ზალიკანიანებს: „მამის ჩვენის ნასყიდი იყავით და იმერეთიდამ საქართველოში წამოხვედით, მოვედ მე თქვენ წამოსაყვანად და აღარ გამომყევით, პატიოსანნი კაცნი შუა შემოიყვანე და თავის დახსნა მთხოვთ, მეც ვისმინე თქვენი თხოვნა და თავი დაგახსნევინე“.<sup>5</sup> მებატონისაგან გაქცეული გლეხი ფულის გადახდით

<sup>1</sup> Антелава И.Г., Государственные крестьяне Грузии в первой половине XIX века, т. I: До крестьянской реформы 1864 года, Сухуми, 1955, стр. 108.

<sup>2</sup> ორჯონიკიძე ე., „ნასყიდი“ მიწის როლი გლეხის მეურნეობაში და ბატონყმობისაგან თავდახსნის პროცესი XIX საუკუნის რეფორმამდელი ხანის საქართველოში, „მაცნე“, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 1. 1974, გვ. 62.

<sup>3</sup> ორჯონიკიძე ე., „ნასყიდი“ მიწის როლი გლეხის მეურნეობაში და ბატონყმობისაგან თავდახსნის პროცესი XIX საუკუნის რეფორმამდელი ხანის საქართველოში, „მაცნე“, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 1. 1974, გვ. 62.

<sup>4</sup> ორჯონიკიძე ე., „ნასყიდი“ მიწის როლი გლეხის მეურნეობაში და ბატონყმობისაგან თავდახსნის პროცესი XIX საუკუნის რეფორმამდელი ხანის საქართველოში, „მაცნე“, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 1. 1974, გვ. 63.

<sup>5</sup> ორჯონიკიძე ე., „ნასყიდი“ მიწის როლი გლეხის მეურნეობაში და ბატონყმობისაგან თავდახსნის პროცესი XIX საუკუნის რეფორმამდელი ხანის საქართველოში, „მაცნე“, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 1. 1974, გვ. 63.

იხსნიდა თავს იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ის დიდი წნის წინ იყო გადმოხვეწილი თავის სამკვიდრო ადგილ-მამულიდან.

ბატონიშვილისაგან თავდახსნისას გლეხები სარგებლობაში მიცემული ადგილ-მამულის გამოსყიდვასაც ცდილობდნენ. მაგრამ იმდენად სასურველად მიაჩნდათ პირადი თავისუფლების მოპოვება, რომ ხშირად მოელი თავისი ადგილ-მამულის და სახლ-კარის დათობასაც არ ერიდებოდნენ და უმიწაწყლოდ იხსნიდნენ თავს. შესწავლილი საბუთებით ირკვევა, რომ განთავისუფლებული გლეხების დაახლოებით ნახევარი ქონების გამოსყიდვასაც ახერხებდა. თავდახსნის წიგნებში იშვიათად არის მითოებული გამოსყიდული მიწის ფართობი. თუმცა, იმ მცირერიცხოვნი საბუთებიდან, სადაც ეს აღნიშნულია, ჩანს, რომ ქონებით თავგამოსყიდული გლეხების უმეტესობა სავსებით უზრუნველყოფილი იყო ძირითადი საწარმოო საშუალებით - მიწით. ზოგიერთ კომლს სახნავ-სათესი მიწა მცირე რაოდენობით ჰქონდა.<sup>1</sup> ასეთ შემთხვევაში მისი ძირითადი საქმიანობა, ხვნა-თესვის ნაცვლად, ვაჭრობა-მრეწველობა იყო, ზოგს საკუთარი დუქანი ან სამღებრო ჰქონდა გახსნილი, ან დიდ ფართობზე გაშენებულ ვენახს ფლობდა.

XIX საუკუნეში დამკვიდრებული წესის თანახმად, ყველა თავდახსნილი გლეხი სახელმწიფო უწყებაში გადადიოდა. მაგრამ, ფაქტობრივად, ქონებით თავდახსნილი ყმა უკვე მესაკუთრე გლეხს წარმოადგენდა და სოფლის ბურუუაზიულ ელემენტად გვევლინება.

იმის გამო, რომ ქართულ დიპლომატიკაში არ იყო მიღებული თანხის აღნიშვნა, ვერ ხერხდება გამოსასყიდი თანხის რაოდენობის დადგენა. ნასყიდობისა თუ თავდახსნის წიგნებში, როგორც წესი, თანხის რაოდენობის ნაცვლად წერდნენ: „მივიღეთ ფასი სრული რითაც ჩვენი გული შესჯერდებოდა“. მხოლოდ XIX ს-ის 40-50-იანი წლებიდან თანდათან ჩნდება საბუთები მითითებული თანხით. გამოსასყიდი თანხის რაოდენობა 50-დან 3000 მანეთამდე ვერცხლით მერყეობდა და უმთავრესად გლეხის ეკონომიკურ შეძლებასა და ბაზონისა და გლეხის ურთიერთშეთანხმებაზე იყო დამოკიდებული. მაგალითად, 647 კომლიდან 80-ს გადაუხდია 1000 მანეთი და მეტი, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ყოველი მერვე კომლი გამოსასყიდად საქმაოდ მნიშვნელოვან თანხას იხდიდა.<sup>2</sup> ყურადღებას იპყრობს ერთი საბუთი, სადაც ჩანს, რომ 1857 წელს თავად რამაზ ანდრონიკაშვილის ყმა-მამულით საჯარო ვაჭრობის დროს ერთბაშად თავი გამოისყიდა 57-მა კომლმა.<sup>3</sup> საჯარო ვაჭრობის დროს ადგილ-მამულით თავგამოხსნისათვის, ამ 57-მა კომლმა ერთბაშად 30116 მანეთი გადაიხადა. საჯარო ვაჭრობის დროს გლეხებს ეძლეოდათ ერთთვისი ვადა. თუ ისინი ამ წნის განმავლობაში ვერ მოახერხებდნენ გამოსასყიდი თანხის შეტანას, მაშინ საჯარო ვაჭრობით გაიყიდებოდნენ. უნდა აღინიშნოს, რომ ასეთ ვითარებაში გლეხები არ მიმართავდნენ მევახშებს, ვინაიდან ნასესხები ფულით თავგამოხსნის შემთხვევაში კრედიტორისათვის ქონების დაგირავება იმავე სასამართლოში უნდა მომხდარიყო, სადაც ხდებოდა თავდახსნის წიგნების დამტკიცება ან საჯარო ვაჭრობის აქტების შედგენა-გაფორმება. 1805 საბუთიდან მხოლოდ სამი შემთხვევა ისეთი, როცა გლეხებმა ნასესხები ფულით დაიხსნეს თავი და ფულის მსესხებელთან დააგირავეს მთელი თავისი გამოსყიდული ქონება. დანარჩენ შემთხვევაში გლეხები გამოსყიდული ქონების სრული ბატონ-პატრონი იყვნენ.

მაშასადამე, XIX ს-ის რეფორმამდელ ხანაში ფართო ხასიათს ღებულობს გლეხის მიერ გარკვეული საზღაურის გადახდით მიწების შეძენა და პირადი თავისუფლების მოპოვება. ეს პროცესი გააქტიურდა სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის განვითარების შედეგად, რასაც ხელს უწყობდა რუსეთის იმპერიის კანონმდებლობაც. ადგილ-მამულიანად განთავისუფლებული გლეხების უმეტესობა მესაკუთრუ იყო და სოფლის ბურუუაზიას წარმოადგენდა. უმიწაწყლოდ განთავისუფლებული გლეხების ნაწილი კი სოფელში რჩებოდა და იძულებული იყო სამუშაო ძალა

<sup>1</sup> საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. V, 1970, გვ. 124.

<sup>2</sup> ორჯონიერე ე., „ნასყიდ“ მიწის როლი გლეხის მეურნეობაში და ბატონიშვილისაგან თავდახსნის პროცესი XIX საუკუნის რეფორმამდელი ხანის საქართველოში, „მაცნე“, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 1. 1974, გვ. 70.

<sup>3</sup> საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი (სცსია), ფ. 254, ფურც. 15.

გაეყიდა. მათი ნაწილი ქალაქებში სახლდებოდა და დღიური მუშებისა და წვრილ ვაჭარ-ხელო-სანთა რიგებს ავსებდა. ქალაქში დასახლებულები მოქალაქეები ანუ გრაჯданე ხდებოდნენ. ყო-ველივე ეს იმაზე მიუთითებს, რომ ფეოდალურ-ბატონიური წყობილება კრიზისს განიცდიდა და მისი რღვევა გარდაუვალი იყო.

*Lela Togoshvili*

*Gori State Teaching University*

**"PURCHASING INSTITUTE" IN PRE-XIX CENTURY REFORM GEORGIA  
(TO STUDY THE ISSUE)  
RESUME**

In the pre-nineteenth century reform period, it became widespread for peasants to buy land for a certain fee and gain personal freedom. This process was intensified as a result of the development of commodity-money relations. It was also facilitated by the legislation of the Russian Empire. Under the 1848 Act, peasants exempted from serfdom were allowed to enroll in state agencies or register as citizens. The current situation was an indicator of the crisis of the feudal-dictatorial relationship and its breakdown.

### არტურ ლაისტი - "კავკაზიშე პოსტის" რედაქტორი

იმ უცხოელთა შორის, ვინც იშვიათი გამძლეობით და მაღალი შეგნებით სიბერემდე მიიტანა საქართველოს მწერლობისა და ისტორიის სიყვარული, ეს იყო მხოლოდ არტურ ლაისტი. მან თავისი ცხოვრება დაუკავშირა საქართველოს, გახდა ქართველი ხალხის გულითადი მეგობარი და მოჭირნახულე. დაწერა მრავალი წიგნი და გამოკვლევა ქართველ მწერლებსა და საზოგადო მოღვაწეებზე.

არტურ აღლუმის-ძე ლაისტი დაიბადა 1852 წელს პოლონეთის ქალაქ ბრესლაუში (ვროცლავი) გერმანელი პედაგოგის და პუბლიცისტის ოჯახში. 22 წლის ასაკში დაიწყო ჟურნალისტური მოღვაწეობა, ერთდროულად ვარშავის სამ გერმანულ საგაზეთო გამომცემლობასთან თანამშრომლობდა<sup>1</sup>.

არტურ ლაისტმა საქართველო ნიკო ნიკოლაძის წერილებით გაიცნო, შემდეგ ევროპაში მოგზაურობისას შეხვდა მწერალს და ეპიგონოური რომანტიზმის წარმომადგენელს, ფრიდრიხ ბოლენშტედტს, რომელიც კარგად იცნობდა საქართველოს. იგი აქ ცხოვრობდა და ამ ქვეყანას მრავალი ნაწარმოები მიუძღვნა. არტურ ლაისტის ინტერესი იმდენად დიდი იყო, რომ საქართველოში ჩამოსვლამდე შეისწავლა ქართული ენა, შეაგროვა მასალები და პერიოდულად აქვეყნებდა გერმანულ და პოლონურ ჟურნალ-გაზეთებში.

არტურ ლაისტის პუბლიკაციები საქართველოსადმი დიდი მოწონებით და სიყვარულით გამოიჩინდა, ამიტომ არაერთხელ გამოეხმაურა ქართული პრესა მის პუბლიკაციებს. ილია ჭავჭავაძემ არტურ ლაისტი 1884 წელს საქართველოში მოიწვია.

არტურ ლაისტის საქართველოში ჩამოსვლას ქართველი საზოგადოება დიდი სიყვარულით და ინტერესით შეხვდა. მის საპატივცემულოდ გაიმართა დიდი წვეულება. ამ წვეულებაზე ილია ჭავჭავაძემ მიმართა სიტყვა-სადღეგრძელოთი, რომელიც მჭერმეტყველობის ნიმუშს წარმოადგენს და ასახავს უცხოეთიდან საქართველოში მოსიყვარულე მეგობრების ჩამოსვლას. ამიერიდან (იგულისხმება 1884 წელი - გ.ი.) უთქვამს ილიას - “პირუთვნელი სიტყვა არტურ ლაისტისა მიჰყენს განათლებულ ქვეყანას - ამ ამბავს, რომ სადღაც არის ერთი პატარა სამოთხე, რომელსაც საქართველო ჰქვიან, და იმ პატარა სამოთხეში ცხოვრობს პატარა ერი, რომელსაც უცემს დიდი გული კაცობრიობის წარმატების, სიყვარულისა და ბედნიერებისათვის<sup>2</sup>.

არტურ ლაისტი რომელსაც ილიამ “სულით და გულით ახლობელი უწოდა”, დიდი ერთგულებით განიმსჭვალა და მთელი სიცოცხლის განმავლობაში, ქართული ეროვნული კულტურის პროპაგანდას ეწეოდა გერმანულენოვან სამყაროში.

ერთი წლის შემდეგ არტურ ლაისტი საკუთარი ნებით ჩამოვიდა საქართველოში, სადაც ივანე მაჩაბლის დახმარებით “ვეფხისტყაოსნის” თარგმანს მიჰყო ხელი. 1892 წლიდან იგი საბოლოოდ დამკიდრდა საქართველოში და აქვე, როგორც თვითონ უწოდებდა “სამშობლოს ნაცვალ” ქვეყანაში 75 წლისა, 1927 წელს მიიცვალა.

მთელი ორმოცი წელი არტურ ლაისტი გერმანელთა შეუცვლელი ელჩი იყო საქართველოში. ბევრი რამ დათესა და გააკეთა თავისი ერის სიყვარულისთვის ჩვენს ქვეყანაში. ამ ხნის განმავლობაში იგი იყო განუყრელი მეგობარი ილია ჭავჭავაძისა, ასევე აკაკი წერეთლისა და მაშინდელი გამოჩენილი ქართველი მოღვაწეებისა.

<sup>1</sup> რ. სურმანიძე, ქართულ-გერმანული ურთიერთობანი, ბათუმი, 2017, გვ. 101

<sup>2</sup> ს. არველაძე, მორეული თავისიანი, ქუთაისი, 2003, გვ. 39

თავის მოგონებათა წიგნში “საქართველოს გული” გერმანელი მწერალი არტურ ლაისტი ხაზგასმულად აღნიშნავდა ილიას პიროვნების ერთ მაღალ თვისებას - სხვათა ნიჭის დანახვის, აღმოჩენის უნარს და ზრუნვას ამ ნიჭის ყოველმხრივი გამოვლენისათვის.

არტურ ლაისტი ცდილობს ქართველები დაახლოვოს გერმანელ ხალხთან, გააცნოს ერთმანეთის მიღწევები. ეხმარება სწავლა მოწყურებულ ქართველ ახალგაზრდებს ისწავლონ გერმანიაში და დაუუფლონ პროფესიებს. ამ საქმეში შუამდგომლობს გერმანიის მთავრობასთან, რათა სტუდენტებს გამოუყონ სტიპენდიები. აარსებს გერმანელ-ქართველთა საზოგადოებას, გერმანული ენის კურსებს!

როგორც ცნობილია მე-19 საუკუნის დასაწყისიდან რუსეთის იმპერიაში გრძელდება გერმანელთა გადმოსახლება, ისინი ასევე ჩამოასახლეს საქართველოში. ცხოვრობდნენ რამდენიმე კოლონიად (დასახლებად). ურთიერთობდნენ ქართულ საზოგადოებასთან, უზიარებდნენ ერთმანეთს თავიათ გამოცდილებებს. დროთა განმავლობაში საქართველოში მცხოვრებმა გერმანელმა კოლონისტებმა და მათმა შთამომავლობამ თავიათი სიტყვა თქვეს. აქ მათ ქონდათ რუსეთის ხელისუფლებისაგან სასათბურე პირობები, აშენებდნენ ეკლესიებს, სკოლებს და ბოლოს მათ დაარსეს გერმანულენოვანი გაზეთი “კაუკაზიშე პოსტი”, რომლის პირველი რედაქტორი გახლდათ არტურ ლაისტი.

თბილისში გერმანულენოვანი პერიოდული ორგანოს დაარსება, ჯერ კიდე მე-19 საუკუნის ოთხმოციან წლებში უცდიათ, მაგრამ ეს ჩანაფიქრი მაშინ ვერ განხორციელებულა, მხოლოდ 1906 წელს მიიღეს კავკასიელმა გერმანელებმა მშობლიურ ენაზე გაზეთი. 18 ივნისს გამოვიდა “კაუკაზიშე პოსტის” პირველი ნომერი. მკვლევარ ლევან ბრეგაძის აზრით, გაზეთი დაარსდა 1906 წელს და არა 1909 წელს როგორც ეს გაზიარებული იყო მანამდე<sup>2</sup>. ეს საქართველოში დასავლეთეროპულ ენაზე გამომავალი მესამე პერიოდული ორგანო გახლდათ. მანამდე თბილისში ორი ფრანგულენოვანი ჟურნალი გამოდიოდა. ორივე ჟურნალი ჟ. მურიეს მიერ იყო დაარსებული.

“კაუკაზიშე პოსტის” პირველი ნომრის ბოლო მეთვრამეტე გვერდზე ასე წერია, პასუხისმგებელი რედაქტორი: არტურ ლაისტი, გამომცემელი: კურტ ფონ კუჩენბახი<sup>3</sup>.

ა. ლაისტი ამ გაზეთს 1909 წლის 21 ივნისამდე ხემძღვანელობდა, თუმცა 1906 წლის მეორე ნომრიდან დაწყებული 1908 წლის 13 იანვრის ნომრის ჩათვლით “კაუკაზიშე პოსტს” მხოლოდ კუჩენბახი აწერდა ხელს, როგორც გამომცემელი და რედაქტორი, ამავე ნომერში დაბეჭდილი სარედაქციო განცხადებიდან ვგებულობთ, რომ მთელი ამ დროის განმავლობაშიც ფაქტობრივად რედაქტორიცა და გამომცემელიც არტურ ლაისტი ყოფილა<sup>4</sup>.

სარედაქციო კომიტეტის წინადადებით, ამიერიდან “კაუკაზიშე პოსტს”, როგორც გამომცემელი და პასუხისმგებელი რედაქტორი ბატონი არტურ ლაისტი მოაწერს ხელს, ის არის “კაუკაზიშე პოსტის” დამაარსებელი და ამის გამო ყველაზე შესაფერი პიროვნებაა ამ პოსტისთვის. თავის დროზეც “კაუკაზიშე პოსტის” პირველ ნომერს მან მოაწერა კიდევაც ხელი, როგორც პასუხისმგებელმა რედაქტორმა. ბატონი კურტ ფონ კუჩენბახი მხოლოდ ნომინალურად აწერდა ხელს როგორც გამომცემელი და პასუხისმგებელი რედაქტორი, რასაც მისი აქვე დაბეჭდილი განცხადებაც ადასტურებას<sup>5</sup>.

არტურ ლაისტი ფაქტობრივად სრულ სამ წელიწადს რედაქტორობდა “კაუკაზიშე პოსტს” და არა წელიწადნახევარს, როგორც წერენ ბატონები მანსვეტაშვილი და რევიშვილი. არტურ ლაისტის მიერ ხელმოწერილი ბოლო 1909 წლის 21 ივნისის ნომრის ( 52) გამოსვლის შემ-

<sup>1</sup> თ. სახოკია, საქართველოს გული, თბ. 1984, გვ. 76

<sup>2</sup> ლ. ბრეგაძე, მოგზაურობა ”კაუკაზიშე პოსტის ფურცლებზე”, თბ. 2010, გვ. 16

<sup>3</sup> ლ. ბრეგაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 16

<sup>4</sup> ლ. ბრეგაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 17

<sup>5</sup> ლ. ბრეგაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 17

დეგ გაზეთის გამოცემა ორი თვით შეფერხებულა. 23 აგვისტოს გამოსულ ნომერს ხელს ალექ-სანდერ მოსლერი აწერს, როგორც რედაქტორ-გამომცემელი.

არტურ ლაისტს ყავდა მხარდამჭერები, ქართველი ხალხის მეგობრები და მოყვარულები გერმანელებს შორის, მას ჰქონდა უდიდესი ავტორიტეტი და ზეგავლენა “კაუკაზიშე პოსტში“.

როგორც ავღნიშნეთ გაზეთის სათაურია “კაუკაზიშე პოსტ” - “კავკასიის ფოსტა“, ანუ “კავკასიის გაზეთი“, სათაურიდან უკვე ჩანს, რომ ის განკუთვნილია, არა მარტო თბილისის, ან საქართველოს გერმანელებისთვის, არამედ მთელი კავკასიის გერმანელებისთვის. გაზეთი გამოდიოდა ყოველ კვირა დღეს.

გაზეთის გამოცემა პირველად შეწყდა 1911 წლის ნოემბერში, ძირითადად ფინანსური ხელ-მოკლეობის გამო. მისი გამოცემა განახლდა ოთხი თვის შემდეგ 1912 წლის 25 მარტს. მეორედ მისი გამოცემა შეწყდა პირველი მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ რამდენიმე წლით, მთავრობის შეტევის შედეგად. შემდეგ ისევ განახლდა<sup>1</sup>.

გაზეთის დანიშნულების შესახებ მის ერთ სარედაქციო (შესავალ) წერილში აღნიშნულია: “მთელი კავკასიის ტერიტორიაზე დაქაქსული არიან გერმანელები და მოუთმენლობით ელიან ჩვენს გაზეთს, რომელიც წარმოადგენს ერთადერთ გერმანულ გაზეთს, მათთვის ერთერთ დამაკავშირებელ საშუალებას გარესამყაროსთან“.

გაზეთის შინაარსზე მის ერთ-ერთ სარედაქციო წერილში აღნიშნულია: “გაზეთის შინაარსი იქნება ფართო და საინტერესო ყველა გერმანელისათვის, როგორც კოლონიებში, ისე ქალაქებში. თემატიკა იქნება მეტად მრავალფეროვანი: ჩვენი შინაური საქმეები, საგარეო პოლიტიკა, სოფ-ლის მეურნეობა, საოჯახო მეურნეობა, გასართობი რუბრიკა და ა.შ. მთავარი ამოცანა “კაუკაზიშე პოსტისა“ იქნება ის რომ სარკისებურად აირეკლოს კავკასიის მთელი გერმანელი დასახლების ცხოვრება<sup>2</sup>.

ამ მოვალეობას “კაუკაზიშე პოსტი“ კარგად ასრულებდა. ის მართლაც სარკისებურად არეკლავდა კავკასიის და განსაკუთრებით საქართველოს გერმანული დასახლების ცხოვრებას. აქ ასახული იყო ფორმები, ბრძოლა სხვადასხვა დაჯგუფებებსა და მიმდინარეობებს შორის, სამეურნეო საქმიანობა, ეკონომიკა, ფინანსები; ქონებრივ-სოციალური დიფერენციაცია; განათლების საქმე, კულტურული ცხოვრება; მოახალშენეთა მონაწილეობა რუსეთის ადმინისტრაციულ აპარატში, დამოკიდებულება სახელმწიფო სათათბიროსთან; ბრძოლა მათ წინააღმდეგ გაჩაღებულ ველიკორუსულ-შოვინისტურ კომპანიასთან; მათი კავშირი რუსეთის სხვა გერმანულ კოლონიებთან, გერმანიასთან და სხვა.

მაგრამ გაზეთი არა მარტო არეკლავდა გერმანელი კოლონისტების ყოფას, არამედ აქტიურად ეხმარებოდა მათ ცხოვრებაშიც, როგორც უკვე ავღნიშნეთ, ისევე როგორც გერმანელთა და-სახლებები (რომლისგანაც ეს გაზეთი განუყოფელი იყო) გარკვეულ როლს თამაშობდა მთლიანად საქართველოს ცხოვრებაში.

ამგვარად “კაუკაზიშე პოსტის“ დაარსებით გერმანელენოვან სამყაროს საშუალება მიეცა სისტემატურად, კვირაში ერთხელ მიეღო ინფორმაციები, კავკასიიდან, საქართველოდან. მართალია გაზეთის უმთავრესი მიზანი გერმანელ კოლონისტთა ინტერესების მომსახურება იყო და უპირატესად მათთვის საჭირობო საკითხებს ეხმაურებოდა, მაგრამ მის ფურცლებზე შეუძლებელია არ ასახულიყო ქართველი და კავკასიის ხალხთა ცხოვრება, ბოლოს და ბოლოს “კაუკაზიშე პოსტი“ თბილისში გამოდიოდა, ხოლო ეს ქალაქი არაოფიციალურად ამიერკავკასიის დედაქალაქად ითვლებოდა. გაზეთში არ იყო არცერთი სტატია მკვლელობებზე, ძარცვაზე და ადმინისტრაციული ხასიათის ცვლილებებზე, რაც გაზეთის დამაარსებლის და მისი პირველი რედაქტორის, ქართველი ხალხის დიდი მეგობრის არტურ ლაისტის დამსახურებაა.

<sup>1</sup> მ. შოშიაშვილი, თბილისის გერმანული გაზეთი “კაუკაზიშე პოსტი” (1906-1921) ქრ, საქართველო და ევროპის ქვეყნები, V, თბ., 1991, გვ. 51

<sup>2</sup> მ. შოშიაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 51

საქართველოში დამკვიდრებულმა გერმანელმა მწერალმა, ჟურნალისტმა და მთარგმნელმა იცოდა ქართული ენა, საქართველოს ისტორია, ქართული ლიტერატურა, იმდროინდელი ქართული საზოგადოების შუაგულში ტრიალებდა და აშუქებდა კიდეც ყოველივე ამას თავის გაზეთში. თუმცა ამავე დროს იმასაც ითვალისწინებდა, რომ ასეთი მასალები პირველყოვლისა გერმანელი ძვითხველისთვის უნდა ყოფილიყო საინტერესო და სასარგებლო.

გაზეთი “კაუკაზიშე პოსტი” გერმანულ-ქართულ კულტურულ ურთიერთობათა ისტორიის მიშვნელოვანი ფურცელია, მისი მეშვეობით 1906 - 1914 წლებში გერმანულენოვან სამყაროს შესაძლებლობა ჰქონდა სისტემატურად, კვირაში ერთხელ ინფორმაციები მიეღო საქართველო-დან. საქართველოსა და კავკასიისადმი მიძღვნილი მასალების ავტორებად გვევლინებიან, როგორც თბილისის მკვიდრი გერმანელები, ასევე რუსეთის იმპერიის სხვა რეგიონებში მცხოვრები გერმანელენოვანი მოღვაწეები.

არტურ ლაისტზე, როგორც თავისი მეორე სამშობლოს - საქართველოს კეთილდღეობისათვის მზრუნველ ლიტერატორზე სრულყოფილ წარმოდგენას ვერ შევიქმნით, თუ არ გავითვალისწინებთ აქმდე უცნობ მის პუბლიცისტურ მოღვაწეობას კავკასიის გერმანელთათვის დაარსებულ ამ პერიოდულ ორგანოში.

*Giorgi Iobashvili*

*Akaki Tsereteli State University*

**ARTHUR LEIST THE EDITOR OF "KAUKASISCHE POST"  
RESUME**

Among many foreign, Artur Leist was the only person with rare strength and the highest state of consciousness who carried the love of classical Georgian literature and history the whole life. He connected his life to Georgia and became the devoted friend to Georgian people. He wrote a lot of work and research about Georgian writers and public figures.

Georgian writer Ilia Chavchavadze called Arthur Leist "related with soul and heart", as he propagandized our national culture among the German community. In 1892, he decided to permanently settle in Georgia, second native land where he died at the age of 75 in 1927. In the last decade of 19 century Russian government nationality in Georgia, among them was German Colonists too, with this treatment he tried to have base in Caucasus. German colonists got along well with Georgians. They studied a lot from each other. In 1906, there was real celebration, when the German colonists were allowed to open the newspaper with the name "Kaukasische Post" or "Caucasus Post" or "Caucasus newspaper". According to the title of newspaper you can guess how important it was for not only German community living in Georgia or Tbilisi but also for the whole Caucasian German community. The newspaper was published in every Sunday.

The first editor and publisher of the newspaper was the true friend of Georgian people Arthur Leist. The publication of newspaper was stopped in November, 1911, because of financial problems but renewed in March, 1912. The second time it stopped was at the beginning of the World War II but soon renewed again.

The importance of newspaper is clearly shown in its publication letter: "German people are settled on all Caucasus. They are looking forward of any publication of our newspaper, which is the only German newspaper and the only connection to the outer world".

We couldn't make the completed picture of honored writer Arthur Leist, if we don't take consideration his unknown editorial work in the above mentioned newspaper, which was published for Caucasian German community.

## ქართველ მეფე-მთავართა მისიონერების საქართველოში ყოფნით დაინტერესების მოტივები

კათოლიკე მისიონერების საქართველოში მოღვაწეობას საქართველოში დიდი ხნის ისტორია აქვს. პირველად მისიონერები XIII საუკუნეში მოვიდნენ. განსაკუთრებით გაძლიერდა რომის ინტერესი საქართველის მიმართ, რასაც თეატრი და ფრანცისკანი მისიონერების მისიების დაარსება მოჰყვა XVII-XVIII საუკუნეებში. ზოგადა მისიონერების ძირითადი საქმიანობა კათოლიკობის პროპაგანდა იყო, მაგრამ მკვიდრი მოსახლეობის კარგი დამოკიდებულების მოსაპოვებლად ისინი სხვადასხვა ხელობასაც (მკურნალობა, მხატვრობა, სხვადასხვა სახის ხელოსნობა...) ფლობდნენ, რის გამოც მათ მიმართ საქართველოს მეფე-მთავრებს და სხვა ფეოდალებს პრაგმატული ინტერესი ჰქონდათ.

კათოლიკე მისიონერების საქართველოში ჩამოყვანით დაინტერესების პირველ დაფიქსირებულ მაგალითს წარმოადგენს პორტუგალიელი მისიონერის ანტონიოს ჩანაწერი, რომელიც სამცხის ათაბაგ მანუჩარს შეხვდა ირანში 1597 წელს. ანტონიო მოგვითხრობს: “მანუჩარ ხან მთავარმა, რომელიც ქართველების ერთი სამთავროს პატრონია, ესრედ მთხრა ისპაპანში, დიდად მოხარული ვიქენები, უკეთუ რავდენიმე თქვენი მღვდელი წამომყვება ჩემს სამეფოში და თუ ერთ მკურნალსაც თან წამოიყვანს უფრო დიდად პატივცემული იქნებიან“.<sup>1</sup>

1631 წელს როცა გორის მისიონის ხელმძღვანელი დონ პეტრო ავიტაბილე თეიმურაზ I-ის ბრძანებით რომში გაემგზავრა, მას დაავალეს, რომ პაპისათვის ეთხოვა მკურნალები და მხატვრები გამოეყოლებინა. ამის შესახებ ვიგებთ პაპ ურბან VIII-ის მიერ კათალიკოს ზაქარიას-თვის გამოგზავნილი წერილიდან. პაპი წერს, რომ ავიტაბილესაგან „სცნობთ მიზეზსა, თუ რატომ არ მოჰყავს თან ამ საშიშ გზაში თქვენ მიერ ნათხოვნი მკურნალები და მხატვარნი“.<sup>2</sup>

საქართველოში პატრიკის ყოფნით, რომ პრაგმატული მოსახრებით იყვნენ დაინტერესებული, კარგად ჩანს იმერეთის მეფე ბაგრატის მიერ რომში გაგზავნილი წერილიდან: „ჩენ მაგიერად ფრანგსა პატრი სერაფიონს და მის ამხანაგებს მრავალნი მოკითხვა მოგახსენეთ. აწე თუ ჩვენი თავი უნდათ ორიოდე კარგი მეცნიერი და კაი აქმი პატრი მათის კაი საუქმო წამლებით და წიგნებითა მოვიდე და ღვთით ვეცდებით, რომ ალავიც გაუჩინოთ და სარჩოს საქმეც გაურიგოთ და როგორიც წიგნიც უნდოდეთ იმისთანა წიგნიც რომის პაპს მუწეროთ. სიკეთის მეტი ამ ქვეყანას მაგათ არა უშამს რა ესემცა არ გიქნათ რომე არ წამოხვიდეთ“. ასეთივე შინაარსი-საა რაჭის ერისთავის შოშიტას წერილი გაგზავნილი იმავე სერაფიონსადმი.<sup>3</sup> ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ორივე წერილი – მეფისა და ერისთავისა, მათი შინაარსიდან გამომდინარე, ერთი და იგივე პირის დაწერილი უნდა იყოს. მეფეც და ერისთავიც კაპუცინებს გასამრჯელოსთან ერთად პპირდებიან პაპთან გაუგზავნონ ისეთი წერილი, (რა თქმა უნდა, მისიონერების საქებარი), როგორსაც ისინი ისურვებდნენ. მეფე ან ერისთავი პირველ რიგში პაპსა და მის კურიას, მისიონერების უშუალო ხელმძღვანელებს რომში აცნობებდნენ მათი წარმომადგენლების კეთილსინდისიერების და იმ ეკონომიკური შეჭირვების შესახებ, რასაც ისინი განიცდიდნენ რომიდან უყურადღებობის გამო. იქვე აუცილებლად იქნებოდა თხოვნა მათდამი, ვისაც ეხებოდა, რომ სასწრაფო და ქმედითი დახმარება აღმოჩინათ მისიონერებისათვის.

ამგვარი პათოსითაა დაწერილი შაპნავაზის 1675 წლის ივლისის წერილი, რომლის ერთ, ჩემი აზრით, განსაკუთრებით საინტერესო ფრაგმენტს ქვემოთ გავეცნობით. დაგვიანებული შემწე-

<sup>1</sup> თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, თვ., გვ. 83.

<sup>2</sup> თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 121.

<sup>3</sup> თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 244.

ობით შეწუხებულმა კაპუცინებმა პატრი რაფაელი გაგზავნეს რომში და წერილები გაატანეს. მათ შორის იყო შაპნავაზის ორი წერილი, ერთი პაპის, მეორე კი კაპუცინების გენერლისათვის.

მეფე პაპ კლემენტე X-ს სწერდა, როგორ მიიღო თავის სამეფოში კაპუცინები და შეუწყო ხელი მათს კეთილად მოწყობას, მაშინ როდესაც მათ რომიდან არავითარ ყურადღებას არ აქცევენ. “ამდენი ხანია აქ არიან არც ჯამაგირი მოუვიდათ, აღარც თქვენი წყალობა. ეს არ ვიცით, თუ გამოუგზავნეთ რამე და არ მოუვიდა. თუ არ მოიგონეთ და არ გამოუგზავნეთ, ეს ვერ შევიტყეთ სადაც სხუაგან, ან ისპაანს და თავრეზს, სადაც გარეშემოში თქვენის სახელით დადგენილი პატრიები არიან, ყველას წელიწადში ჯამაგირი მოუვა. ამათ ხუთი წელიწადია არა მოსვლია რა, თუ ჩუენს ქუეყანას ყოფისათვის არას უგზავნით და არას ნადვლობთ, ჩუენც არ დავაყენებთ, საყდარს ისევ დავუქცევთ და ამათ გამოვყრით, თუ მათი აქ დვომა ვინდათ, ჯამაგირი მართალი გაურიგეთ როგორც სხუა ალავის დვომს პატრებს აქუს<sup>1</sup> და ეს პატრი რაფაელი ისევ გამოვზავნეთ. ამან ჩუენის ქუეყნის ენა იცის და ყოველს კაცს იცნობს და ყველანი ეწყობიან და ყველას სიყვარული აქუს და თქუენის სახელისათვის დიდათ სჯობს ამის აქ ყოფა“. ასეთივე შინაარსისაა და იმავე ტონითაა დაწერილი შაპნავაზის წერილი კაპუცინების გენერალ პატრ ბონვენტურა ლეკარტისადმი.<sup>2</sup>

მრავლისმთქმელი კითხვა დაუსვამს უან შარლენისათვის ოდიშის მთავრის ლევან III-ის მეუღლეს, შაპნავაზის ძმისწულს, დედოფალ თინათინს თეატრინელი მისიონერების და სხვა მრავალი სტუმრის თანდასწრებით: “მეითხა, თუ რატომ არ ჩამოდიან სამეგრელოში ის ევროპელი ხელოსნები, რომლებმაც ასე მშვენივრად იციან ლითონის, აბრეშუმისა და შალეულის დამზადება და რატომ ჩამოდიან მხოლოდ ბერები, რომელთაც ვერაფერში გამოიყენებ და არც სასურველი არიან?“<sup>3</sup> ვფიქრობ, ამონარდს არ სჭირდება გაანალიზება. დედოფალმა თქვა ის, რასაც ფიქრობდა მაშინდელი მოსახლეობის დიდ უმრავლესობა, რომ არაფერი ვთქვათ, ოდიშის მთავრის გარემოცვაზე.

ერეკლე II-მ თავისთან დაიბარა პატრი ლეონარდო, ეს უკანასკნელი რომში აცნობებს: “ფრიად პატიცემულო და ლირსო მამაო. ტფილისი 18 აგვისტოს 1760 წ. იმედი მაქეს... რომ ერეკლე საქართველოს მეფემ ორგზის მეტად ალერსიანი წერილით მიმიწვია... როგორც წინეთ გაცნობე, აქ მომიწვიეს ვითარცა ექიმი, რადგან საქართველოს მეფის თემურაზის ასული, ერეკლეს და, ავად არის. ეს მგზავრობა ჩემთვის სასარგებლო იმ მხრივ არის, რომ თავისუფლად ვემსახურები სულიერად ამ კათოლიკე ერს“.<sup>4</sup>

როდესაც ერეკლემ წერილი მისწერა უფროს პატრს და “პატრი გიორგის პატარა გორის საზოგადოებისათვის“ გაგზავნა მოსთხოვა, მან პატრი ანდრია გააგზავნა, რადგან სხვა არავინ ჰყავდა ქართული ენისა და ექიმობის მცოდნე.<sup>5</sup>

1782 წლის 10 იანვარს კაპუცინი ფორთუნათო რომში აცნობებდა, რომ ეჩმიაძინის სომეხ პატრიარქს ერეკლესათვის შეუთავაზებდა, რომ საქართველოდან კაპუცინები განდევნე და სამაგიეროდ ჩემი ხარჯით ერთ კარგ ექიმს ევროპიდან ჩამოგიყვანო. როგორც ჩანს, მეფესა და პატრიარქს შორის შეთახნება შესდგა. პატრიარქს დანაპირები შეუსრულებდა.<sup>6</sup> ალბათ, დასახელებული ფაქტი ჰქონდა მხედველობაში კაპუცინ ანდრიას, როდესაც წერდა (1790 წ.), რომ სომხებმა ერეკლეს კაპუცინების განდევნა თხოვეს და შვიდასი თუმანი შესთავაზეს. მეფეს უპა-

<sup>1</sup> როგორც მ. თამარაშვილი წერდა, პროპაგანდამ საქართველოში იმატომ გამოვზავნა კაპუცინები ბერები, რომ ისინი გამოირჩიოდნენ თავიანთი დატაკი ცხოვრებით, მაგრამ მათ ვერ გამართლეს კონკრეტურაციის იმედი. თამარაშვილი მ., ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე /რედაქცია გაუკეთეს, წინასიტყვაობა დაურთეს და გამოსაცემად მომზადეს ზაზა ალექსიძემ და ჯუმბერ ოდიშელმა, თბ., 1995, გვ. 618.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 246-247.

<sup>3</sup> უან შარდენის მოვზაურობა საქართველოს სხვა ქვეყნებში (ცნობები სქართველოს შესახებ) / ფრანგულიდან თარგნა, გამოკვლეულა და კომენტარები დაურთო მზა მგაღობლიშვილმა, თბ., 1975, გვ. 222.

<sup>4</sup> თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 378

<sup>5</sup> იქვე, გვ. 385-386.

<sup>6</sup> იქვე, გვ. 399-400.

სუხია: “მე და ჩემი სახლობა უექიმოდ ვერ დავრჩებითო”. სომხები დაპპირდნენ მეფეს ევროპელი ექიმის ჩამოყვანას თავიანთი ხარჯით და მართლაც კონსტანტინოპოლიდან ჩამოყვანეს ფრანგი მკურნალი, რომელიც ისეთი ვერ გამოდგა, როგორიც მეფე ერეკლეს უნდოდა.<sup>1</sup>

სოლომონ მეფე პაპ პიუს VI-ს: “ამას მოგახსენებთ: ვედრებას ვყოფთ წინაშე მათსა, ორი აქიმი ასრეთი გვიწყალობო ყოვლისა სნეულების. თიაქარის, ჩამოსულის, თუ ჩამოუსვლელის კარგად იცოდეს, თქვენეულად, თქვენ რომ გეკადრებათ. ერთი სათიც, კარგი გვიბოძოთ, ბატონონი”. 1778 წლის აგვისტო.<sup>2</sup>

პაპი პიუს VI სოლომონ I-ს: „... ამ ჩვენი გრძნობის თქვენდამი გამოცხადებისათვის, დიდის სიამოვნებით ვისმენთ თქვენს სათხოვარს ერთის ექიმის გამოგზავნის შესახებ. თქვენის წადილის კმა საყოფლად, რაოდნათაც შეგვიძლია, ვეცდებით. ეხლა ვბრძანეთ წარმოგივლინოთ საჩუქრად საათი. გვნებავს ეს საათი შეინახოთ იმის სახსოვრად, რომ თქვენთვის ვზრუნავთ”.<sup>3</sup>

ადვილი არ აღმოჩნდა ექიმების მოძებნა. ფულის უქონლობის, გზის სიშორისა და სირთულის გამო თავს იკავებდნენ. ბოლოს, როგორც იქნა ერთმა ფრანგმა, ავინიონის უნივერსიტეტის პირველმა ექიმმა პიერ დელონგშანმა განაცხადა თანხმობა. პროპგანდასა და მას შორის მიმდინარეობდა მიმოწერა, მაგრამ არაა ცნობილი ჩამოვიდა იმერეთში თუ არა.<sup>4</sup>

1787 წ. 3 აგვისტოს პატრი ანდრია რომში აუწყებდა ქართველი კაპუცინი გორელი ანტონის გარდაცვალებას. ანტონი დახელოვნებული ექიმი ყოფილა და თითქმის მუდამ ერეკლესთან იყო და მის კარისკაცებსაც ის მკურნალობდა. ანდრია ითხოვდა, რომ რომში კაპუცინებში მონოზნად მყოფი, გარდაცვლილის თანამებულე და სეხნია, თბილისელი ანტონა, გაეწვრონათ ექიმობაში და საქართველოში გამოეგზავნათ.<sup>5</sup>

პატრი ანდრია 1790 წლის 20 იანვრის წერილში წერდა, რომ სომებ მღვდლებს “ჩვენი ექიმები ცოტათი აშინაურებს და გვიმეგობრებს. ეს რომ არ იყოს მცირე რამეც კმარა, რომ დაგვიწყონ ჩვენ და ჩვენს კათოლიკებს დევნულება”.<sup>6</sup>

პატრი ანდრია ითვალისწინებდა რა დასავლეთ საქართველოში კათოლიკე პატრების არამყარ მგომარეობას, იმერეთის მეფის განწყობა-სურვილებზე დამოკიდებულ ყოფნა-არყოფნას იმერეთის სამეფოში, 1799 წელს რომში გაგზავნილ წერილში აღნიშნავდა: „... სოლომონმა ვგონებ, ახლა გონიაში დააყენოს ორი პატრი, გარნა ჩვეულები დაგვარ, ბევრ ხანს არ გასტანოს მისმა სიკეთებ, მანც არა უშავს რა, ისევ დაბრუნდებიან ახალციხეს; ხოლო შემდგომ, როდესაც დასჭირდებათ ექიმები, კვალად მოუწოდებენ, როგორათაც აქამდე მუდამ შერებოდენ“.<sup>7</sup>

პროპაგანდისათვის გაგზავნილ წერლში ვკითხულობთ: „მე ძმა ონოფრიო ოანჯანოვი, მღვდელი და დეკანოზი სარატოვის პრეფექტურისა რუსეთის იმპერიაში, უფროსი და დეკანოზი სარატოვის პრეფექტურის კათოლიკე ეკლესიებისა და მოწესე მოქადაგეთა მმათა (დომინიკანელთა). “მდაბლად გაუწყებ შემდეგს. მე საქართველოს ქალაქ ტფილისში დაბადებული, 17 წელიწადი დავყავი პატრი კაპუცინებთან. ოცდაორი წელიწადია რაც ჩემს სამშობლოს გავშორდი და პოლონეთში მოქადაგე მძებთან, გამოსაცდელი დროს გატარების შემდგომ, მონაზონად შევდეგი. მათი უსამღვდელოსოების მიტროპოლით არქიეპისკოპოსის, სტანისლავ სეთცევიჩის თანხმობით და ეგრეთვე ჩვენის წესის პროვინციალის ნებით საქართველოში მოვედი სანახავად და სანუგეშოდ დედახემისა და სხვა დანარჩენ ნათესავებისა. მაგამ რა მოვედი, ნუგეშის მაგიერ შევსწუხდი. ჯერ იმის გამო, რომ იმერეთში მყოფ კაფუცინი პატრი ნიკოლა რუთინიანელი დაბრე-

<sup>1</sup> თამარაშვილი მ., პასუხად სომხის მწერლებს რომელიც უარყოფებ ქართველ კათოლიკობას . ისტორიული გამოკვლევა, თბ., 2008, გვ. 80.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 396.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 397.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 405-406.

<sup>6</sup> იქვე, გვ. 406.

<sup>7</sup> იქვე, გვ. 395.

კოლებას აძლევს, რისგამო ჩვენს კათოლიკებს განსაცდელი მოელის კათოლიკე სარწმუნოების დატოვებისა... წმიდა კრების უმორჩილესი მონა, მმა ონოფრიო ოანჯანოვი, გორი, 28 აპრილს 1803<sup>1</sup>.

კაპუცინები საქართველოს შეილებს ლათინის ტიბიკონზე იმიტომ არ აკურთხებდნენ, რომ შემდგომ მათ არ დაეჩრდილათ ლათინი მისიონერები. მის გამო ხსენებული ლათინის წესის მღვდლის ტფილელის ონოფრიოს მოსვლა საქართველოში სასიამოვნოდ არ დაურჩათ. რა დაყარა ხმა, საქართველოში დარჩენას ვაპირებო, კაპუცინები შეშფოთდნენ და 5 ივნის 1803 წ. კი-ლეც რომში მისწერეს თავიანთი მწუხარება და დარდი: “სამი თვე იქნება, რაც აქ მოვიდა პოლონეთიდგან ერთი პატრი დომინიკიანი, აქ დაბადებული, თავის დედის სანახავად; მაგრამ ახლა ვეღარ გადაუწყვეტია წასვლა და აქ დარჩენას აპირებს“.

ის მღვდელი უქმად არ ატარებდა დროს, ბევრს შველოდა თავისი ხელობით, მაგრამ მაინც კი მისიონერების გული ვერ მოიგო.<sup>2</sup>

წერილში დასახელებული პატრი ნიკოლა თავის უფროსის ბრძანებას აღარ ემორჩილებოდა. ის შესანიშნავი ექიმი იყო და ქართველები პატივს სცემდნენ. მისიონერებს მისი საქართველოდან გაძევება უნდოდათ, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწიეს. მისმა უფროსმა რომს მისწერა, პროპაგანდამაც პეტერბურგს თხოვა, საქართველოს მთავარმართებელმაც ბრძანება მიიღო. ბოლოს პატრი ნიკოლა იტალიაში წასვლას დასთანხმდა და გზას დაადგა. გაიარა ქუთაისში, სა-დაც მისიონერს მისი ნაცნობი ერეკლე II-ის შვილები – იულონი და ფარნაოზი დახვდნენ. არც მათ და არც მეფე სოლომონ II-ს მისიონერ-ექიმის გაშვება არ უნდოდათ. ბატონიშვილებმა რომში წერილი გავზავნეს, რომელშიც წერდნენ პატრი ნიკოლას კარგი კაცობის შესახებ. „ჩვენც უმეტესად ვითხოვთ ვედრებით რომელ მისცეთ უმაღლესი ბრძანება პატრი ნიკოლოზს ჩვენთან ყოფისა...“<sup>3</sup>

ბატონიშვილები პაპს პირდებოდნენ, როგორც წინათ თავიანთ სამეფოში, პატივს მიაგებდნენ პატრებს “ერთის წილ ათას იმდენს მიიღებენ პატივსა და სიყვარულსა“.

სულ სხვა ტონში იყო დაწერილი სოლომონ მეფის წერილი: თქვენმა უმაღლესობამ კეთილ ინებოს და ჩვენი სიყვარულისათვის პატრ ნიკოლას ნება მისცეს ჩვენთან დარჩეს. წინააღმდეგ შემთხვევაში ძალით არ დავიჭროთ, გამოგიგზავნით, მაგრამ შემდეგში კი აღარც ერთ პატრს დავაყენებოთ აქ; ყველა იძულებულნი გახდებიან აქედან წავიდნენ, ერთ დარჩება უმწყებსოდ. მაგრამ იმედი გვაქვს, არ ინებოთ, რომ ეს მოხდესო.<sup>4</sup>

ვფიქრობ, ამ მცირე წერილით გასაგები ხდება, რომ მისიონერებს ქართველი მეფე-მთავრები მხოლოდ პრაგმატული მოსაზრებით ეგუებოდნენ მათს საქმიანობას.

<sup>1</sup> იქვე, გვ. 488-489.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 490.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 491.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 492.

*Eldar Mamistvalishvili*  
*Gori State Teaching University*

**MOTIVES OF INTEREST IN THE PRESENCE OF GEORGIAN KINGS-CHIEF  
MISSIONARIES IN GEORGIA**  
**RESUME**

The work of Catholic missionaries in Georgia has a long history in Georgia. Missionaries first appeared in the 13th century. Rome's interest in Georgia intensified, leading to the creation of Theatines and Franciscan missionary missions in the 17th and 18th centuries. In general, the main activity of the missionaries was the promotion of Catholicism, but in order to gain a good attitude of the indigenous population, they also mastered various crafts (medicine, painting, various crafts ...), so Georgian kings and other feudal lords showed a pragmatic interest in them.

### მძოვრეთის მწიგნობრული კერის ისტორიდან

ნაშრომის მიზანია მძოვრეთის მწიგნობრული კერის ისტორიის შესწავლა და ფანასკერ-ტელ-ციციშვილთა ღვაწლის შეფასება ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში. ეროვნული ერთიანობისათვის თავდადებული მებრძოლი, ზაზა ფანასკერტელი სახელმწიფოებრივ მოღვაწეობასთან, ერთად მეცნიერულ და მწიგნობრულ საქმიანობას ერთმანეთთან შესანიშნავად ათავსებდა. საცი-ციანოს ფუძემდებლის ტრადიციებს აგრძელებდნენ მისი შთამომავლები, რომელთაგან ცნობილია არაერთი პოეტი, მთარგმნელი და გადამნეუსხეველი მწიგნობარი. მედიცინის მცოდნებ და შესანიშნავმა მკურნალმა დიდი წვლილი შეიტანა ამ დარგის განვითარებაში. მის სახელს უკავშირდება ქართული მედიცინის ისტორიის უნიკალური შედევრი, „სამკურნალო წიგნი კარაბადინი“<sup>1</sup>, რაც მიანიშნებს ზაზას განსწავლულობას და მეცნიერულ ცოდნას მედიცინაში. სიმბოლურია, რომ ფანასკერტელ-ციციშვილთა საგვარეულო საძვალეში, ყინწვისის ეკლესიის ეგვტერში სამკურნალო მცენარეები ამშვენებენ ზაზა ციციშვილის ფრესკას. მისი სახელმწიფო და საზოგადოებრივი მოღვაწეობა სათანადოდ იქნა დაფასებული. 1987 წელს დიდი ზეიმით აღინიშნა ზაზა ფანასკერ-ტელ-ციციშვილის დაბადებიდან 550 წელი და „სამკურნალო წიგნის“ შექმნის 500 წლისთავი.

XV საუკუნის მეორე ნახევრის ხელნაწერის (Q-877) არშიაზე ქარაგმული წარწერით ხშირად გვხვდება ფრაზები, „ბრძენმთავარი“, „დიდი ფანასკერტელი“, „პატრონი ფანასკერტელი მკურნალი ზაზა“ და სხვ. მისი სახელი სათავადოში ერთგვარ სავიზიტო სახელად იქცა. ტექსტის რამოდენიმე განსხვავებულ კონტექსტში, „პატრონის“ ეპითეტით რამოდენიმეჯერ მოიხსენიება ავტორი. სამკურნალო წიგნის ხელნაწერის გვერდზე -177რ-ზე ზაზასადმი მიმართვით იწყება: „ქრისტე ღმერთო, ადიდე ორთავე შინა ცხოვრებითა ბრძენთმთავარი ფანასკერტელი ზაზა, ამინ.“ ხელნაწერმა შემოგვინახა მხოლოდ ერთი გადამწერის ვინაობა: „ქრისტე შეიწყალე მჩხრეკელი ამისა ულირსი მახარებელი ამინ.“ ანდერძ-მინაწერებში ორჯერ მოიხსენიება მახარებელი. 1482 წ. ჭარმაულთა მიერ მირთმეული ანდერძის წიგნის ბოლოს იკითხება: „დაიწერა ქსრო ჭელითა მცხეთის ქადაგის მახარებლისათა და მოწამეც არის.“<sup>2</sup> 1492 წელს მახარებელს კონსტანტინე მეფის მიერ მცხეთის კათალიკოსისათვის მიცემული სიმტკიცის წიგნიც გადაუწერია.<sup>3</sup> ამ დამატებითი ცნობებით გაირკვა „მჩხრეკელის“, ანუ მწერალის ვინაობა - კონსტანტინე მეფის მდივანმწიგნობარი მცხეთის ქადაგი მაღალაძეების საგვარეულოს წარმომადგენელი, კალიგრაფი მახარებელი ივანიას ძე მაღალაძე. ხელნაწერის მინაწერის მიხედვით, „ქრისტე ღმერთო, ადიდე დავითი, ძე მეფეთა მეფისა კონსტანტინესი“ დავთ ბატონიშვილი მეფედ არ მოიხსენიება, რაც ხელნაწერის დათარიღების სამუალებას იძლევა (1479-1505 წწ.). ზაზამ, როგორც ჩანს, სიცოცხლეშივე გადააწერინა „კარაბადინი“ სათანადო კომპეტენტურობით გამორჩეულ მახარებელს XV საუკუნის 80-იან წლებში. ტექსტი ნაწერია მხედრულად ღია და მუქი ყავისფერი მელნით, მხატვრობის ნიმუშები და თავკაზმულობანი შესრულებულია წითელი და შავი მელნით.

„კარაბადინის“ პირველ წიგნში განხილულია მედიცინის ზოგადი საკითხები, პიგიენისა და დიაგნოსტიკის პრინციპები, ფარმაკოლოგიური საშუალებანი, სადაც განხილულია „სამკურნალ-

<sup>1</sup> ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილი, სამკურნალო წიგნი, კარაბადინი ტექსტი მოამზადა, გამოკვლევები, შენიშვნები, საძიებლები და ლექსიკონი დაურთო პროფ. მ. შენგელიშვილი, თბ., 1978.

<sup>2</sup> ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა. შევსებულია, ქრონოლოგიურად დალაგებული და ახსნილია თ. უორდანის მიერ. ტ. II. ტვ., 1897, გვ. 306.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 309.

წამლო“ საშუალებათა ძირითადი ფორმები, მათი გამოყენებისა და ტექნოლოგიის საკითხები. ზაზას სამკურნალო წიგნში საინტერესოდაა აღწერილი სადიაგნოზო საშუალებანი, სნეულის გამოკითხვის, დაავადებათა გამოცნობის ხერხები, ავალმყოფთა გასინჯვის და გამოკვლევის ჩატარების მეთოდები, სადაც გამოკვლევისას ექიმი სარგებლობს წინასწარ შედგენილი უაღრესად რაციონალური სქემით.

ცავად არის გამოყოფილი მოწამვლები, მათი კლინიკა და შხამსაწინააღმდეგო საშუალებანი, მათ შორის შხამიანი ისრის ჭრილობის მკურნალობისთვის. ამ მხრივ მედიცინის მკვლევრები უნიკალურ „სამკურნალო წიგნად“ მოიხსენიებენ, რადგან ეს საკითხი არც ერთ დღემდე ცნობილ ქართულ სამკურნალო ძეგლში არ ყოფილა აღწერილი ასეთი სისრულით. საინტერესოდაა გადმოცემული აგრეთვე სადიაგნოზო საშუალებანი, დაავადებათა გამოცნობის ხერხები, ავალმყოფთა გასინჯვის მეთოდები და სხვ. სამწუხაროდ აფთიაქის ან, „სასწაულოს“ ნაშთები არ აღმოჩნდა ნაქალაქარში ჩატარებული დაზვერვითი საველე ექსპედიციებით. მმოვრეთში სამედიცინო კერის არსებობის საფუძველს იძლევა ქვემო საციციანოს ოეზიდენციაში, სოფ. ნიჩბისში (მცხეთის მუნიც.) XVII საუკუნის „ზაზას ციხის“ კედელში, 1992 წელს ციხის გაწმენდითი სამუშაობისას აღმოჩნდილი თახჩებიანი ნაგებობა - „აფთიაქი“,<sup>1</sup> რომლის დაარსება ზემო ციციშვილთა საგვარეულო ტრადიციას უკავშირდება. თახჩების სიახლოვეს აღმოჩნდა სააფთიაქო ინვენტარი, მოჭიქული კერამიკული და ფაიფურის ჭურჭლის დიდალი ნამსხვრევები, ასევე სხვადასხვა ზომის ფერადი მინის ჭურჭლი.

ზაზა ფანასკერტელის სამკურნალო წიგნის, „კარაბადინის“ ერთადერთი ეგზემპლარი (Q - 877) ვახტანგ VI-ს განუახლებია. სავარაუდოდ ვახტანგ V ნაზარალისხანის მეფობისას (1658-1676 წწ.), მოწინავე სადროშოს სარდალ სახლთუხუცეს, ზაზა ციციშვილის მკვლელობის და ციციშვილთა საგვარეულოს შევიწროება-დარბევის შემდგომ დაიდო ბინა ხელნაწერმა სამეფო კარზე, რასაც გვაუწყებს შემდეგი მინაწერი: „ქ. ჩვენ საქართველოს გამგებელმან ბატონიშვილმან პატრონმან ვახტანგ თვითეულად ფურცლად მოშორებული კარაბადინი ესე შევაწყობინე და შევაკრევინე საჭმარად და სასარგებლოდ კაცთავის და საჭმარად ყოველთა ქ კ სტ ჟ ზ“ (1709 წ.). როგორც ანდერძიდან ჩანს ფურცელ-ფურცელ დაშლილი კარაბადინი „შეუმოსავთ“ ძვირფასი ყდით, არშეიბზე განუთავსებიათ ტექსტთან დაკავშირებული შენიშვნები და განმარტებანი. 1724 წელს ვახტანგის მიერ უნდა იყოს წაღებული რუსეთში. მისი გარდაცვალების შემდეგ „სამკურნალო წიგნი“ ბატონიშვილ ბაქარის ხელში გადასულა. XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ბაქარის შვილიშვილის - გიორგი ალექსანდრეს ძის საკუთრება გამხდარა, რომელიც 1852 წელს სოფ. ლისკოვოში უძროდ გარდაცვლილა. უნიკალური ხელნაწერი Q-877 ამჟამად ინახება მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში.

ცნობილ პოლიტიკურ მოდვაწეს, ღრმად მოაზროვნე და განსწავლულ „მკურნალს“ ლიტერატურულ-მწიგნობრული საქმიანობითაც გამოუჩენია თავი. შეუკრებია და ერთ წიგნად გადაუწერინებია იოანე ოქროპირის „სწავლანი“.<sup>2</sup> ხელნაწერის 190 რ-ის ქვედა არშიაზე ტექსტის ხელით, ნუსხურით მიწერილია: „ადიდე ღმერთო ბატონი ფანასკერტელი ზაზა ორთავე შინაცხოვებათა“. გადამწუსხველი, ზაზას დამსახურებას საგანგებოდ ასე განმარტავს: „ეს წიგნი ყოველივე ბატონმან ზაზამან შემოკრიბა“.<sup>3</sup> უკანასკნელი ფრაზა მიანიშნებს, რომ იოანე ოქროპირის „სწავლანი“ ცალ-ცალკე შეუკრებია და ერთ წიგნად გადაუწერინებია. მწიგნობრული მემკვიდრეობის ტრადიციასთან ერთად საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ფანასკერტელ-ციციშვილთა ღვაწლი, საზღვარგარეთ არსებული სავანეებისთვის გაღებული დიდი შეწირულებანი.

<sup>1</sup> ს. სალუქვაძე, პასუხი უსაფუძვლო კრიტიკის გამო, მაცნე, ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, თბ., 1993, № 1, გვ. 177-178.

<sup>2</sup> ხევ. H-1674;

<sup>3</sup> საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფილი მუზეუმის ხელნაწერები (H კოლექცია), შედგენილი და დასაბჭიდად დამზადებული ე. მეტრევლის მიერ, ტ. 4, თბ., 1950, გვ. 108.

ქვეყნის ეროვნული ერთიანობისათვის თავდადებული სახელმწიფო მოღვაწე, ზაზა ფანას-კერტელი სათანადოდ აფასებდა საზღვარგარეთის სამონასტრო კერძის რელიგიურ-კულტურულ, სახელმწიფო ბრივ და საერთაშორისო მნიშვნელობას. მონასტრისთვის ძალზე მძიმე გაჭირვების უამს იერუსალიმში „დიადი საქონელი“ გაუგზავნია. ასეთი მზრუნველობისთვის მონასტრის კრებულს ზაზა ფანასკერტელისთვის წირვა და საუკუნო აღაპი განუწესებია. აღაპში (№118) ვკითხულობათ: „ქ. ამას დღესა წირვა და საუკუნო აღაპი ფანასკერტელისა-ც(ი)ციშვილისა ზაზასი. რაოდენცა მღ(უ)დელი იყოს, წირვისა ნუ დაკლებს. ს(ა)წირავი მონასტრით მიეცემოდეს. ნუვინ დაკლებთ. ვინცა დაკლოს, კანონს ქუ(ე)შე იყოს, დღის დაჭირებაში(გ)ან ვიყვნიოდა და დიადი საქონელი მოგ(უ)ვიდა, და მისთ(კ)ს გაუჩინეთ.“<sup>1</sup> ამ საგვარეულო ტრადიციას აგრძელებდნენ მისი შთამომავალნი.

XV საუკუნის მეორე ნახევარსა და XVI საუკუნის დამდეგის საზოგადო მოღვაწე, ზაზა ფანასკერტელის შვილი, სამეფო კარის დარბაისელი მერაბ ციციშვილი ქტიტორული მოღვაწეობით არის ცნობილი. ჭეშმარიტ მამულიშვილს, არც საზღვარგარეთ სამონასტრო სავანე დარჩენია მზრუნველობის გარეშე. 1902 წელს სინას მთაზე და იერუსალიმში ექსპედიციისას ნიკო მარის შედგენილმა, იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქოს ქართული ხელნაწერების მოკლე აღწერილობის ანდერძ - მინაწერმა მეტად საინტერესო ცნობა შემოგვინახა მის შესახებ: „...ჯვარო პატიოსანო, შე ცოდვილი აქა იე[ლ]უსრუმს(!) მოსრული სვიმონიშვილი საბა ... ციციშვილს მერაბს შ ~ ს დ ~ ნ მისნი ც(ო)დვ(ა) ~ ნი ... მწვედა გარჯილი ვარა, თქვენმ ~ ნ მზემ~ნ, დამიჭირ“ ს ურჯულოთა, ქრ“ეს მტერთა თათართა, მრავალ ხანსა სატყვეოს შემაგდეს; საქონელი მეახლა ბატონის ჩემისა მერაბისი, მისი ვერა მიპოვს. ჩემთვის ს“ხარჯო იყო მოცემული ორამოცი ფლური, რაცა მე წამართვეს, სხვა მრავალი ჭირი გარდამჯდა. ბოლოს მიშველა ღ~ნ, მოველი აქა იტრუსალემს.”<sup>2</sup> ამონარიდის მიხედვით მას საკმაოდ დიდი შეწირულება გაუგზავნია ვინმე საბა სვიმონიშვილის ხელით, რომელსაც ხიფათით აღსავსე გზა გაუკლია იერუსალიმამდე თავისი ბატონის ბრძანების შესრულებისას. იერუსალიმსა და სინას მთაზე მოღვაწეობდა ზაზა ციციშვილის შთამომავალი მროველი ეპისკოპოსი შიო.

XIV-XV საუკუნეების იერუსალიმური ბერძნული საპატრიარქოს ქართული ხელნაწერის მინაწერს მოსდევს საინტერესო ცნობა მროველი ეპისკოპოსის შიო ციციშვილის ღვაწლის შესახებ, რომელიც წმინდა ადგილების დაბრუნებისათვის ბრძოლაში ერთგულად ედგა ბენა ჩოლოფაშვილს. კახეთის მეფე გიორგის (ავ გიორგის 1511-1513 წწ.) სახლთუხუცესის, იერუსალიმში ჯვრის მამად მივლინებულ ბენასთან ერთად იგი იერუსალიმში 1512 წელს ჩასულა.<sup>3</sup>

ბენა ჩოლოფაშვილის მოსახსენებელში ვკითხულობთ: „პატრონსა მეფეთ-მეფისა გ“ის, ძესა მეფისა ალექსანდრესსა, ცოდვანი მისნი შეუნდენს იესო ქრისტემან ღ~ნ, ა~ნ. მისგა[ნ] ჯუარის მამად მოვლინებულსა ჩოლოფაშვილსა ს~ ხლის უხუცესა ბენასა და მშობელთა მისთა შეუნდეს ღ~ნ, ა~ნ: ვინცა შენდობა გუიბრანოს, მათცა შეუნდეს ღ~ნ, ა~ნ, ა“ ნ. ცოდვილსა ციციშვილსა მროველ ყოფილსა შიოს შეუნდენეს ღმერთმა. ვინცა ბრძანოთ, თქუენცა შეგინდენეს. აქა, მე და სომეხნი დავისარჩლენით იაკობ წმიდისა საყდარზედა, და დიდი ჭირი და სარჯელი გარდამხდა ცოდვილსა ბენასა მმანო. ნებითა ღ~თისაითა აქა ფრანგთა გოლგოთა დავაგდებინე და მათი ყუელა გარეთ გამოუყარე, კანდელი და რაცა მათი იყო, მე ცოდვილმა ბენ, ამინ.“<sup>4</sup> როგორც ამონარიდიდან ჩანს იერუსალიმის წმინდა ადგილების მფლობელობაზე ჩამოვარდნილ

<sup>1</sup> ქ. მეტრეველი, მასალები იერუსალიმის ქართული კოლონის ისტორიისათვის, XI-XVII თბ., 1962, გვ. 90, 150;

<sup>2</sup> ნიკო მარი, იერუსალიმის ბერძნული წიგნსაცავის ქართული ხელნაწერების მოკლე აღწერილობა, დასაბეჭდად მოამზადა ე. მეტრეველმა, თბ., 1955, გვ. 36.

<sup>3</sup> А. Цагарели, Памятники грузинской старины в Святой земле и на Синае, Православный палестинский сборник, т. IV, 1, Выпуск первый (СПб, 1888), стр. 167-68;

<sup>4</sup> ნიკო მარი, იერუსალიმის ბერძნული წიგნსაცავის ქართული ხელნაწერების მოკლე აღწერილობა. დასაბეჭდად მოამზადა ე. მეტრეველმა, თბ., 1955, გვ. 36.

დავაში დიდი შემართებით უპირისპირდება სომხურ საპატრიაქოს და ფრანგებს - „ფრანცისკელებს“. გაბედული თავდასხმებით იბრუნებს გოლგოთას და წართმეულ ქართულ მონასტრებს. იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ბერძნულ ხელნაწერთა კოლექციის ნუსხაში (№132) დაცული ხელნაწერის 344 verso-ze მიწერილი ანდერძის მიხედვით ბერნამ განაახლა წმ. თევდორეს ეკლესია. მის მწიგნობრულ საქმიანობაზე მზრუნველობა ჩანს ჩანაწერში: „ქ. ამა წიგნისა მეორედ შემკაზმავსა, ჩოლოყას შვილსა ბერნასა შეუნდნეს ღ ნ. ქ სა სბ (1514 წ.) შეიკაზმა და ამა კუირასა, დღესა სამშაბათსა, მეორესა უამსა დამისასა, შევაბი აღდგომის კარნი, ნებითა ღთისათა. შენდობა ყავთ მადლსა ღ“ თისსა, ბმანო.“<sup>1</sup>

ბერნას მრავალმხრივი მოღვაწეობა სიღრმისეულად არის შესწავლილი მეცნიერების: ე. მეტრეველის, ე. მამისთვალიშვილის, გ. ჯაფარიძის, ქ. შარაშიძის მიერ. ამიტომ საკვლევი თემიდან გამომდინარე მხოლოდ ავღნიშნავთ, რომ ბერნა ამ მნიშვნელოვან საქმეში თანამებრძოლთა კრებულიდან საგანგებოდ ასახელებს შიო ციციშვილს, რაც მროველი ეპისკოპოსის დამსახურებულ ღვაწლზე მიანიშნებს. სიცოცხლის ბოლო წლები მროველ ეპისკოპოსს სინას მთის ქართულ სავანეში გაუტარებია. მის შესახებ უკანასკნელი ცნობა დაცულია სინას მთის მატიანის მოსახესნებელში; „ციციშვილს მროელს შიოს შ ~ ს ღ ~ ნ. მის ძმას ვახტანგს შ ~ ს ღ ~ ნ, და თანამეცედრებისა როდამს შ ~ ს ღ ~ ნ.“<sup>2</sup>

1538 წელს დაიწერა „მარხვანი“ ზაზა ფანასკერტელის შთამომავლის „ქაიხოსროს ბრძანებითა ... აწყურისა ქალაქსა და მონასტერსა და სახელგანთქმულისა ფანასკერტელთა და აწციციშვილისა“.<sup>3</sup>

მმოვრეთის მწიგნობრულ კერაში (XVIII ს.) დაიწერა საციციანოს წინამძღოლის მეფე თემურაზ პირველის თანამებრძოლის, დედოფლის სახლთუხუცესის, ნოდარ ციციშვილის „ბარამგურიანი.“ ამ პოემის ქართული რედაქციის ავტორობაზე მიანიშნებს “არჩილინგში” დაცული ცნობა: „ფარსადანის ძემ ნოდარ თქვა ქება ბარამ-გურის, შვიდთა იყლიმთა ხელმწიფეთა ხოტბა სრული...“

ნოდარ ციციშვილი „ბარამგურიანის“ შესავალში თავად გვაძლევს ცნობებს პოემის წარმომავლობისა და მისი სპარსული ვერსიების შესახებ. შესავალში აღნიშნავს, რომ პოემაში გადმოცემული ამბავი სპარსულად „უთქამს“ ნიზამი განჯელს, ხოსრო დეპლევისა და ჯამის, ხოლო ჩაღათურ ენაზე ნავოის. მეცნიერები ეთანხმებიან კ. კეკელიძის შეფასებას, რომ ნოდარის ნაშრომი არის არა თარგმანი, არამედ გადმოკეთება გადამუშავება და წარმოადგენს თავისებურ ქართულ რედაქციას, ისეთს როგორიც არის ნიზამისაგან მომდინარე აღნიშნული პოემის სპარსულ-თურქული რედაქციები. ნოდარი არ ჩამოუკარდება არც ნიზამის გამგრძელებლებსა და მიმბაძელებს, არც თვით ნიზამის. ზოგიერთი მისი სურათი გაცილებით უკეთესია, ვიდრე ნიზამისა.<sup>4</sup> საყურადღებო და მრავლისმთქმელია ნოდარ ციციშვილის პოემის კეკელიძისეული შეფასება: „გასაკვირი არაა, რომ ჩვენ პოეტს რუსთაველიდან აუღია 16-მარცვლიანი შაირი, ისე მთელი პოეტური აქსესუარი ... ფრაზეოლოგია. ერთი სიტყვით კითხულობთ ნოდარის პოემას და ფიქრობთ, რომ „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრულ სამყაროში იმყოფებით. ამით აიხსნება ის დიდი პოპულარობა, რომელიც „ბარამგურიანის“ მოუპოვებია ჩვენში“.<sup>5</sup> დ. კობიძე, კეკელიძის შეფასებას იმეორებს, „იმდენად თავისებურია კომპოზიცია პოემისა ... იმდენად მოხეხულადაა ჩაქსოვილი ამ მასალაში ეროვნული და ქრისტიანული ელემენტი, რომ მიბაძვა ორიგინალობამდე ადის და

<sup>1</sup> იქვე გვ. 36-37.

<sup>2</sup> ივ. ჯავახიშვილი, სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, თბ., 1947, გვ. 242.

<sup>3</sup> ზეც. Н -1698.

<sup>4</sup> კ. კეკელიძე ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, II თბ., 1981, გვ. 404-405.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 405.

დასძენს, რომ მისი შემოქმედება რუსთველის დიდი პოეზიის მზითაა გამთბარი. მისი პოეტური მეტყველება ქართული პოეზიის არეშია მოქცეული, რაც ორიგინალობაზე მეტყველებდა.<sup>1</sup>

როგორც წინასიტყაობაში ამბობს ავტორი, დაიწერა „მზის მსგავსი პატრონის“ საქებად: „ქებად, თნებად და ნების საყოფელად ვიღაც მზის მსგავსის პატრონისა ... წმიდათა მიმსგავსებული, ქაწულთა თანახმობილი.“ პოემა, რომ მარიამ დედოფლისადმია მიძღვნილი, მეფე როსტომთან შერიგების შემდგომ, ამას ადასტურებს ჩვენს მიერ აღმოჩენილი და სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანილი საარქივო დოკუმენტი, სადაც ნოდარ ციციშვილი მოიხსენიება მარიამ დედოფლის სახლთუხუცესად: „ქ. ჩვენ ციციშვილი პატრონი ნოდარ სახლის : უხუცესი: პატრონი : ამზაბეგ: და: მდივანი : ბირთველი: ჭელმწიფეს : მეფეს : პატრონის : როსტომის ბრძანებითა : მივედით : სამწევრის: კაციას [ოტიას] : ყორჩიბაშისა: ბაადურისა : სარდლის: პაპუნასი: საცილობელის : მამულების : გასარიგებლად : რომელიც : საფიცარი: არ: იყო : ისრე : შევარიგეთ : სხვა: რაც : ერთმანეთში : ნაძალადევი : იყო : მიწა : სარდლის: ყმათა: ფიცი: დავადეჭთ და გამოიფიცეს...“<sup>2</sup> შორსმჭვრეტელი და მოქნილი პოლიტიკური აღლოს მქონე როსტომ მეფე თეიმურაზის აქტიური მხარდამჭერის, გავლენიანი და უძლიერიერესი მოწინააღმდეგის, ნოდარ ციციშვილის, 1643 წლიდან შემორიგების შემდეგ, საკმაოდ მაღალ სამოხელეო სახელოს ბოძებით ცდილობდა მისი სრული ნდობის და ერთგულების მოპოვებას.

ხელნაწერის (H -932) დასასრულში მოიხსენიება ავტორი: „დასრულდა წიგნი ესე ბარამიანი ბრძანებითა ნოდარ ციციშვილისაგთა, მისგანვე სპარსული[დან] ქართულად ნათარგმანები და ნათქვამი ლექსად.“

ნაწარმოების დაწერის დროის დადგენა ადვილად ხერხდება პოემაში ნოდარ ციციშვილის-გან ქართული მწერლობის ისეთი ძეგლების მოხსენიებით, როგორიცაა: „როსტომიანი“, „ლეილ-მაჯნუნიანი“, „იოსებ ზილიხანიანი“ და თეიმურაზ პირველის „ვარდბულბულიანი“ და „შამი-ფარვანიანი“, რომელიც თეიმურაზს დაუწერია 1648-1655 წლებში. ისტორიული წყაროების მიხედვით ნოდარ ციციშვილი გარდაიცვალა 1658 წელს, შესაბამისად ნაწარმოები უნდა დაწერილიყო 1655-1657 წლებში. საბედნიეროდ ჩვენამდე მოაღწია ლიტერატურული ძეგლის ხუთმა ხელნაწერმა.<sup>3</sup>

ტრადიციულად ნოდარ ციციშვილის თხზულება მოიხსენიება „ბარამგურიანის“ სახელწოდებით. კ. კეჩელიძემ იგი „შვიდი მთიების“ სახელწოდებით გამოსცა 1930 წელს.

სახელოვან ქართველ მეცნიერებისგან „ბარამგურიანის“ ნოველების წყაროთა ძიება და მათთან ქართული ვერსიების დამოკიდებულების გარკვევა თითქმის საუკუნეს ითვლის, რაც თავის მხრივ ნოდარ ციციშვილის შემოქმედების ორიგინალობაზე მიანიშნებს.

XV-XVIII საუკუნეების ქართული პოეზია რუსთაველის „ვეფხისტყაოსნით“ საზრდოობდა. ეპოქის ქარტეხილებით მოტანილი უიმედობის განცდას “ვეფხისტყაოსანი” პატრიოტიზმის, ვაჟ-კაცობის, წრფელი სიყვარულის და უანგარო მეგობრობის იღებით გამარჯვების მოპოვების იმედს უსახავდა. ამ უშრეტ წყაროს ეწათვებოდნენ პოეზიის მოტრფიალენი და ცდილობდნენ თავიანთი სულიერი განწყობა და სიყვარული მიმბაძველობით გამოეხატათ. „ვეფხისტყაოსნის“ ინტერპოლატორის სახელითაა ცნობილი, როსტომის სამეფო კარის სახლთუხუცესი (1636-1646 წწ.) ნანუჩა (მანუჩარ) ციციშვილი.

სამეფო კარის სახლთუხუცესის სახელოთი მანუჩარ ციციშვილი უკანასკნელად გვხვდება 1646 წლის რამოდენიმე დოკუმენტურ წყაროში.<sup>4</sup> საგარაუდოდ მისი გარდაცვალების შემდგომ მისი ძმა, ყაია (1648-1658 წწ.) მეგკვიდრეობით იღებს სახლთუხუცესობის თანამდებობას, რომ-

<sup>1</sup> დ. კობიძე, ქართულ-სპარსულ ლიტერატურული ურთიერთობანი, ბარამგურიანის გარშემო, თბ., 1969, გვ. 161-162.

<sup>2</sup> სცხია, ფ. 1448, ს. 2316.

<sup>3</sup> ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული ხელნაწერთა ნუსხები: A -664; A-860; H -932; S -4529; S -4627.

<sup>4</sup> ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, სასამართლო განჩინებანი (XVI-XVIII სს.), ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და სამიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1972, გვ. 85, 691.

ლის შესახებ ცნობები XVII ს. 50-იანი წლების დოკუმენტებში აღარ მოიხსენიება. სავარაუდოდ იგი ამ დროს გარდაცვლილი უნდა ყოფილიყო. მისი ასული ანუკა ცოლად შეურთავს პაპუნა ციციშვილის ვაჟს, ცნობილ მოღვაწეს, დომენტი კათალიკოსის დისტულს, ზაზა ციციშვილს, რის შემდგომ ეს ორი დაპირისპირებული საგვარეულო შტო საბოლოოდ შერიგებულან.

მეფე პოეტი, არჩილი მიუხედავად იმისა, რომ როსტომმა თავის მემკვიდრედ მამამისი ვახტანგ მეხუთე აირჩია და სიცოცხლეშივე დაუთმო სამეფო ტახტი. სპარსოფილობის გამო, ირანელებთან შეურიგებელ მებრძოლ თეიმურაზს ამჯობინებს. ნანუჩას შემოქმედებისადმი არჩილის ტენდენციური დამოკიდებულება, არა მარტო განსხვავებული იდეურ-პოლიტიკური ორიენტაციით აიხსნება, არამედ ნანუჩას სიძის, ზაზა ციციშვილის მკვლელობის გამართლების მცდელობით. ზაზას „დანაშაული“ სამეფო კარის მიერ კვალიფიცირებული იყო როგორც ღალატი მეფისა და ქვეყნის წინაშე, მისი ახლო ნათესავები შესაბამისად სამეფო სახლის მტრებად ითვლებოდნენ. მხოლოდ ამით შეიძლება აიხსნას ნანუჩა ციციშვილის ნამოღვაწარის დაუმსახურებელი შეფასება:

„ნანუჩა რუსთვლის ნათქვამში ბევრი რამ ჩაურევია,

საბრალოს ვერ შეუწყვია, წმინდა რამ აუმღვრევია...“

მაშინ როცა „ზაზიანის“ გამლექსავი მამუკა მდივანი, თავისი ეპოქის მწერალთა შორის გამორჩეულ ადგილს მიაკუთვნებს. თავაქალაშვილი მას მოიხსენიებს: „მანუჩარ მწერალს, ტკბილი სიტყვისა მხმობელსა,“ რომელიც ყოველთვის „ერიდებოდა სიტყვასა უშვერსა და საგმობელსა.“<sup>1</sup> ნანუჩას პოეზიისადმი იმდროინდელი საზოგადოების გულისხმიერ დამოკიდებულებაზე მიუთითებს არჩილის გულისტყაივილით გამოთქმული ჩივილი „რუსთველს არ ვიტყვი, ნანუჩას რას-თვის აქებთ და მე არა-ო“.

განსხვავებული იდეურ-პოლიტიკური ორიენტაციის გამოა მხოლოდ მიუღებელი თეიმურაზ ბატონიშვილისთვის ნანუჩას ინტერპოლაციათა საკითხი: „პარგი კაცი ვინმე იყო, ღმერთმა აცხონოს, მაგრამ დიას ცუდი პიტიკოსი ბრძანებულა, რომ „ვეფხისტყაოსნიში“ თავის მოგონილი ლექსები შეურთავსო.“ ეს მაშინ, როცა ნანუჩას გერლით „ვეფხისტყაოსნის“ ინტერპოლატორთა თაობების (იოსებ ტფილელი, მესხი მელექსე, გიორგი თუმანიშვილი და სხვ.) მუშაობა წახალისებულ-დაფასებული ჩანს, რომელთაც რუსთაველის გენიალური პოემისადმი უსაზღვრო სიყვარული აერთიანებდათ.

ზაქარია ჭიჭინაძის შეფასებით „ნანუჩა ციციშვილი იყო ქართველი მწიგნობარი ... პქონდა მდიდარი ბიბლიოთეკა ქართული წიგნებისა. ამ კაცს საქართველოში ბრძნად სახავდნენ ... ბერნაირი ლექსებისა და მოთხრობების წერას აკუთხებდნენ. მაგრამ მისმა ნაწერებმა ჩვენამდე ვერ მოაღწია“.<sup>2</sup>

ცნობილი ფაქტია, რომ „ვეფხისტყაოსნის“ 1712 წლის გამოცემით საფუძველი ჩაეყარა მეცნიერულ რუსთველოლოგიას. ვახტანგ VI-ის 1712 წლის „ვეფხისტყაოსნის“ სტამბურად გამოცემას საფუძვლად დაედო XVII საუკუნის მეორე ნახევრის ცნობილი პოლიტიკური მოღვაწის, სახლთუხუცეს ზაზა ციციშვილის დაკვეთით, გადაწერილი იშვიათი და ძვირფასი შემკულობით გამორჩეული, ილუსტრირებული ხელნაწერი, (Q-1082) ე. წ. „ზაზასეული ვეფხისტყაოსნი“<sup>3</sup>.

ხელნაწერი გადაწერილი იყო XVII საუკუნის 60-იანი წლებში. წიგნის მხატვრულად შემკიბა - გაფორმება ორგანულად იყო დაკავშირებული წიგნის მაღალი კალიგრაფიული კულტურის დამკვიდრებულ დონესთან, რაზეც მიანიშნებს „ზაზასეული ხელნაწერის (Q- 1082) გადაწერის, ცნობილი კალიგრაფის, პოეტის, სასულიერო მოღვაწის, (ნიკორწმინდის მღვდელმთავარი, 1660 წლიდან ტფილისის მიტროპოლიტი) იოსებ ტფილელის (საკაძის) მინაწერი. რო-

<sup>1</sup> ქ. ქეგელიძე, ალ. ბარამიძე ძელი ქართული ლიტერატურის ისტორია, თბ., 1969, გვ. 302;

<sup>2</sup> ზ. ჭიჭინაძე, ქართული მწერლობა XVII-XVIII საუკუნეებში, თბ., 1888 გვ. 58;

<sup>3</sup> ხეც. ფ. Q-1082.

გორც ჩანს, ზაზასეული უძველესი ვეფხისტყაოსნის აღნიშნული ხელნაწერი, მეფე ვახტან V-ის (1658-1676 წწ.) მემკვიდრის, ლევან ბატონიშვილის, გამგებლობაში გადასულა, რასაც ადასტურებს ხელნაწერზე (Q-1082, 181r), გადაფხეკილი, სარდალ-სახლთუხუცესი ზაზას სახელი. მამისგან ხელნაწერი მემკვიდრეობით ვახტანგ VI-ს გადასცემია და სწორედ ეს ხელნაწერი იქნა გამოყენებული 1712 წელს “ვეფხისტყაოსნის” სტამბური წესით გამოცემისას. სიმბოლურია, რომ მეფე პოეტს ვახტანგ მეექვსეს ქართული ტრადიისთვის არ უღალატია, მამისეული უძვირფასესი საგანმური მზითვეში გაატანა თავის მშვინიერ ასულს, თამარს, მომავალ დედოფალს, მეფე თეომურაზ II-ის თანამეცხედრეს. თავის მხრივ მეფე ერეკლე მეორემ დედისეული ძვირფასი „ვეფხისტყაოსანი“ მზითვად უბოძა თავის ასულს თეკლა ბატონიშვილს.

პლ. იოსელიანის ცნობით აღნიშნული უნიკალური ხელნაწერი მის ვაჟს ალექსანდრე ორბელიანს (1802-1869 წწ.) მიხეილ ვორონცოვისათვის მიურთმევია საჩუქრად 1853 წელს. ცნობილია, რომ 1832 წლის მონაწილეს და შამილთან საიდულო კავშირის ბრალდებაში ეჭვმიტანილთან, ვორონცოვს არ ჰქონდა კარგი დამოკიდებულება. იცოდა რა ორბელიანმა მისი დიდი ინტერესი ძველი ქართული სიგელ-გუჯრებისა და ხელნაწერებისადმი, ამ ძვირფასი საჩუქრით ფიქრობდა ვორონცოვის გულის მოგებას. ხელნაწერის ადგილსამყოფელი მიკვლეული იქნა ვორონცოვის არქივში 1933 წელს. ხელნაწერი (Q-1082) ლენინგრადის ისტორიულ-არქეოგრაფიული ინსტიტუტის მ. ვორონცოვის არქივიდან ჩამოიტანეს 1935 წელს.

ზემოაღნიშნული მასალებიდან აშკარად ჩანს, როგორი რუდუნებით ამდიდრებდნენ ფანას-კერტელ-ციციშვილები საკუთარ წიგნთსაცავებს ძვირფასი ხელნაწერი წიგნებით. მათი მწიგნობრული საქმიანობა უკავშირდებოდა კალიგრაფების მომზადებას, ქართული ხელნაწერი წიგნების გამრავლებას, ძველი ხელნაწერებიდან გადაწერას, ახალი ნუსხების დამზადებას და „ჯაზულითა და დახატვითა“ შექობას. სწორედ მათი თაოსნობით გადაურჩა დაღუპვას ბევრი უნიკალური ხელნაწერი. მე-17ს. გადამწერებს შორის<sup>1</sup> თვალსაჩინო ადგილი უკავია ბედისმწერლიშვილების გვარს. ამ საგვარეულოს დახელოვნებული მდივან-მწიგნობრები ფარემუზ, იესე და ნათანაელ ბედისმწერლიშვილები ციციშვილთა კარზე მოღვაწეობდნენ, თუმცა გვაქვს შემთხვევები, როცა დამკვეთნი ცნობილი სამეფო კარის გავლენიანი პირები ჩანან, რომელთა შორისაა შაჰნავაზის მეუღლე მარიამი, დომენტი კათალიკოსი და სხვ. კათალიკოსის ახლო ნათესაური ურთიერთობა ფანასკერტელ-ციციშვლთა ოჯახთან საფუძველს იძლევა ამ ფაქტს ახსნა მოექცენოს. დომენტი კათალიკოსის 1671 წ. ციციშვილთა სადავო მიწის წიგნში დაცული ცნობის მიხედვით, თავად კათალიკოსი საუბრობს თავის დისტულებზე: „ჩემს დისტულს ზაზასა და ზაალსა. ასრე რომ როდესაც კურთხეული ჩემი და, დედათქენი, დედისიმედი მიცვალა და თქუნ ყინცვისს წასასვენებლად მოინდომეთ და ასე მოგუახსენეთ ...ჩუენ ეს მოვინდომეთ, რომ ნიჩბისს თქუნის სასახლის სიახლეს აგეშენებინათ საყდარი და იქ მიგელოთ მიწათ ... თქუნც დაგუიჯერთ. საყდრის აშენების საფიცრის წიგნი გამოგართვით, რომ ავაშენებთ და საძირკველი ვაკურთხეთ და ჩუენვე გავაჭრევინეთ.“<sup>2</sup> ფარემუზ ბედისმწერლიშვილის სახელს უკავშირდება ნუსხურით გადაწერილი „მარწვანი“<sup>3</sup>

ფარსადან ნოდარის ძის დაკვეთით ნათანაელ ბედისმწერლიშვილს გადაუწერია „სახარება“, რომელიც შესწირა „ცხოველს ჯვარს“. მის მიერაა გადაწერილი 1621 წლის „დავითნი“ (H-16), „ბიბლია“ (H-1207) და „უამნი“ 1672 წლის (H-1755).

იესე ბედისმწერლიშვილს გადაუწერია „უამ-გულანი“, მეფე ვახტანგ V-ის კარზე დაწინაურებულ, გავლენიან სარდალ - პალატ-უხუცესის, პაპუნა ფანასკერტელ-ციციშვლის უმცროსის, ზაალის, დაკვეთით გარდაცვლილი დედის, მეფის ბიბაშვილის, დედისიმედის „სულისა საო-

<sup>1</sup> ა. ბაქრაძე, XVI –XVIII სს.საქართველოს საკათალიკოსო და სათავადო მდივან-მწიგნობართა ქრონოლოგიური რიგი, პალეოგრაფიული ძეგლანი I, თბ., 1965, გვ. 26-28.

<sup>2</sup> ქართული სამართლის ძეგლები ტ. III, საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები, (XI—XIX სს.), ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1970, გვ. 569.

<sup>3</sup> ხეც. Q - 663.

ხად და ძეთა სადღეგრძელოდ“ ხელნაწერის 231 გვერდზე საინტერესო მინაწერში ვკითხულობთ: „... ფ~დ ცოდვილმა ფანასკერტელმა ციცისშვილმა სარდარისა-პალატ - უხუცის პაპუნას ძემან ზაალ და თ~ მეცხედრემან ჩ ~ ნმან ასულმან ამირეჯიბისამან ბატონმან მარიამ ვიგ(უ)-ლეთ და ვიგულისმოფენეთ და აღვაწერინეთ წ ~ ღ სე და ს~ლთა განმანათლებელი უნაკ-ლულო და ყი~თრთ აღსრულებული ჯაზულითა და დახ(ა)ტკთა ესე უძ-გულანი ს(უ)ლისა ჩ ~ ნისა საოხად და ძეთა ჩ ~ ნთა სადღეგრძელოდ და სასურველისა ჩ ~ ნისა მშობლისა სასულიეროდ და მოსაესენებლად ქართველთ მეფის დის, დედის-იმედის საოხად, შემოგწირეთ მცირე ესე შეს(ა)წირავი შენ საშინელსა და ცათა უმაღლესსა ვედრებისა დ ~ ის მშობელსა ...“ წარწერის მიხედვით ხელნაწერი გადაწერილია 1661 წელს.<sup>1</sup> გადამწერის შესახებ ხელნაწერის ბოლო მინაწერში ვკითხულობთ: „უფალო, შეიწყალე ფრიად ცოდვილი იესე ამ შაბათ-კურიაკის მწერალი ... რაც ოდენ ძალ მედვა, სიკეთესა და სიმართლესა და რიგს ვეცადე ...უცე-ბად წერისათვის ნუ მწყებთ ...“ აღნიშნული „უძ-გულანი“ №342 ვასილ არჩილის ძე ცი-ციშვილმა შესწირა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას.

მბოვრეთის მწიგნობრულ ტრადიციას არ ღალატობდნენ ზოვრეთის მხარეში ცნობილი ცი-ციშვილების აზნაურიშვილები, რომელთა შორის ქარელში საგანმანათლებლო - აღმზრდელობით საქმიანობით ცნობილია დომენტი წინამდღვრიშვილი. 1787 წელს მისთვის აღსაზრდელად იოანე მამუჩაშვილი მიუბარებიათ. განათლებული მწიგნობარი და კალიგრაფი იოანე შემდგომ ბატონიშვილებს გაჰყოლია პეტერბურგში და იქ მოღვაწეობდა. პეტერბურგში დაუსრულებია თავისი პოემა, რომელშიც თავის მოძღვარ დომენტი წინამდღვრიშვილის ღვაწლს შთამბეჭდავად იხსენებს:

„დომენტიმ ისე მიმიღო, არ შეედრება მამაცა,  
არც დაიშურვა წიგნები, მასვა, მაჭამა, ჩამაცვა.“

გიგი მიქაძის კვლევით, რომელმაც საგანგებოდ შეისწავლა “ვეფხისტყაოსნის” ხელნაწერი (H-783), სრულიად შემთხვევით არაკვალიფიციური გადამწერის ივანე დავითის ძე სომხიევის წყალობით ტექსტში მოხვდა დამოუკიდებელი ლექსი, „სალომე იმედის ასული თანამეცხდრე წინამდღვრიშვილის დომენტი მღვდლისა“: მიქაძის მოსაზრებით საკმარ შესაძლებლობის ამ პოეტ ქალს ეკუთვნის ლიტერატურულ მუზეუმში დაცული „ვეფხისტყაოსნის ნაკლული ადგილების შევსება. რუსთველური შაირითვე დაწერილი მოკლე და გრძელი ანდერძი „ანბანთქება.“<sup>2</sup> საის-ტორიო დოკუმენტებში ვხდებით ციციშვილთა საგვარეულოს პოეტი ქალების სახელებს: მარია-მი, სოფიო, რახაილ და სხვ. რომლებსაც თავიანთი შემოქმედებით მოკრძალებული წვლილი შეპქონდათ ეროვნული კულტურისა და მხატვრული სიტყვიერების საგანმურში.

XVIII ს. ბოლოსა და XIX ს. დამდეგს მძოვრეთიდან ქარელსა და ხვედურეთში გადმო-სახლებული ციციშვილთა ნაწილი აქვე აგრძელებდა მწიგნობრულ და მთარგმნელობით საქმიანობას. ეწეოდნენ ქველმოქმედებას სცენისმოყვარულთა დასის საქმიანობაზე, სკოლების, ბიბლიო-თეკების დაარსებასა და მათ ფუნქციონირებაზე. 1886 წლის ივერია იუწყებოდა ქარელსა და ხვედურეთში „ციციშვილის სახლში გაუმართავთ ქართული წარმოდგენა ... დეკორაციები და ფარდა ქარელშივე შეუმზადებიათ“<sup>3</sup> ადგილობრივ მაყურებელთა გარდა, სცენისმოყვარულებს ტფილისიდან და ბათუმიდან ორთქმავლით ქარელში ჩამოსვლის შესაძლებლობაზე დამატებით აცნობებდნენ: „ქარელი საუცხოო ადგილია და ყოვლის მხრივ ხელს მოუმართავს ხსნებულს საქმეს შვიდს საათზე საღამოთი ტფილისიდამ მოდის ორთქმავალი, რვაზე საღამოთივე ბათუმი-დამ ... ორთავე მხრიდამ შეუძლიანთ ხალხს ქარელში ჩამოსვლა ... თვით ციციშვილები ოთხმო-ცამდე სახლობაა“<sup>4</sup>

<sup>1</sup> საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფო საზოგადოების ყოფილი მუზეუმის ხელნაწერები (H კოლექცია), ტ. I, თბ., 1946, გვ. 252-255.

<sup>2</sup> გ. მიქაძე, ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა კრიპტოგრამები, საოუბილეო კრებული, შოთა რუსთაველი, თბ., 1966, გვ. 365.

<sup>3</sup> ივერია, 1886 წ. №166; №212.

<sup>4</sup> ივერია, 1886 წ. №212.

1900 წლის ცნობის ფურცელი<sup>1</sup> ოუწყებოდა, რომ თავად ნ. ირ. ციციშვილს დიდი ადგი-ლი შეუწირავს კეხიჯვარში სოფლის სკოლის ასაშენებლად. სკოლაც მაღე აუშენებიათ, მასწავლებელი ქალიც დაუნიშნავთ. ამავე ნომერში დამატებით ოუწყებიან ქარელში სამკითხველოს და-არსების თაობაზე.

ციციშვილთა მწიგნობრულ საქმიანობაში განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ერეპ-ლე მეფის შვილთაშვილი, სარდალ მოურავ დავით ციციშვილის შვილიშვილი, შემოქმედებითი ნიჭიერებითა და განსწავლულობით გამორჩეული ლიტერატორი - მწერალი და მთარგმნელი და-ვით ევსტათის ძე ციციშვილი. „პალმასობაში“ იგი წარმოგვიდგება ვოლტერიანელთა და ენციკ-ლოპედისტების იდეებით გატაცებულ „ვოლტარიანელად“. პეტერბურგიდან საქართველოში დაბ-რუნებული დავით ციციშვილი ცხოვრების გარკვეულ დროს ქარელში ატარებდა. ხანდაზმულო-ბისას აანალიზებდა რა სამშობლოზე თავსდატეხილ ქარტეხილებს, ამჯობინა ქარელში თავის მამულში გადასულუყო საცხოვრებლად. აქვე ეწერდა ლიტერატურულ და მთარგმნელობით საქ-მიანობას, თუმცა დედაქალაქის ლიტერატურულ წრეებთან მჭიდრო ურთიერთობა არასოდეს შეუწყვეტია. მის განსწავლულობას დიდ პატივს სცემდნენ და ქარელის მდიდარ ბიბლიოთეკას ხშირად სტუმრობდნენ გამომცემლები<sup>2</sup> და საზოგადო მოღვაწეები. ძამის ხეობაში მოგზაურო-ბისას დავით ციციშვილი მასპინძლობასთან ერთად დიმიტრი მეღვინეოთხუცესიშვილს<sup>3</sup> დიდ დახ-მარებას უწევდა ძამის ხეობის ნახევრად დანგრეული ისტორიული ძეგლების აღწერასა და წარწერების მოძიება-აღნუსხვაში.

1849 წელს მარი ბროსესადმი გაგზავნილ წერილში მწერლის, დავით ციციშვილის მოღ-ვაწეობის შესახებ აცნობებდა „საქართველოს დიდებულთა შთამომავლობის აღწერას მაღე მო-გართმევ. ახლა აწერინებს თეთრად“თა დავით ციციანოვი, რომელმაც შეადგინა.“<sup>4</sup> ისტორიულ საციკიანოსა და გორის მაზრიდან გაგზავნილი საინტერესო „რაპორტების“ გამო დიმიტრი მეღ-ვინეოთხუცესიშვილის ღვაწლს დიდად აფასებდა მარი ბროსე: „გაგიმარჯოს, გიმადლით, რომ საციკიანოსი და გორის მაზრის დასავლეთის ეს ნაწილი გივლია, რომელი მე არ მინახავს, უთუოდ ბევრი გიშოვნია იქ ღირსი ხსოვნისა, ზედწერილები საყდრებისა და მონასტერთა.“ იმ-დროინდელი ქართველი საზოგადოება განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდა ამ მოგზაურობისადმი და მასალები სისტემატურად იძეჭდებოდა „კავკაზის“ ფურცლებზე.<sup>5</sup>

დავით ციციშვილის „ცისკარში“ გამოქვეწებულ წერილს „ცოდნისათვის განჯაფისა,“<sup>6</sup> თან ერთვის „ცისკრის“ რედაქტორის, ივ. კერესელიძის საინტერესო ცნობა: „უამსა მოგზაურო-ბისა ჩემისასა ამა წელს, ვიმყოფებოდი რა ჩვენის თანამედროვეს მწერლის თ. დავით ციციშვი-ლის სახლში, სოფ. ქარელს, სადაცა მაჩუენა თავისნი მრავალი მშვენიერნი თხზულებანი, მათ შორის ვპოვე აღწერა ზემოხსენებულის განჯაფისა, რომელსაცა ვბეჭდავთ ჩვენს ჟურნალ-ში“. ორმოცდაათიან წლებში აქტიურად თანამშროლობდა „ცისკართან“, ბეჭდავდა ლექსებს, მოთხრობებს, აქვეყნებდა რუსულიდან ნათარგმნ მასალას.<sup>7</sup> 1848 წელს რუსულიდან თარგმნა „ველისარი“, რომელიც მთარგმნელის მიერ ფანქრით არის შესწორებული.<sup>8</sup>

<sup>1</sup> ცნობის ფურცელი, 1900 წ. №1179

<sup>2</sup> კავკაზი, 1852, № 35, №3 6, № 37; ცისკარი 1857, № 12.

<sup>3</sup> ხეც. დიმიტრი მეღვინეოთხუცესიშვილის პირადი არქივი № 8.

<sup>4</sup> შ. ხანთაძე, დიმიტრი მეღვინეოთხუცესიშვილის წერილები მარი ბროსესადმი, საისტორიო მოამბე, თბ., 1952, გვ.13.

<sup>5</sup> მ. მიჩიტაშვილი, ისტორიკოსი და არქეოლოგი დიმიტრი მეღვინეოთხუცესიშვილი, პეტერიდული სამეცნიერო ჟურნალი ინტელექტი, 2 (5), თბ., 1999, გვ. 108. ხეც. მარი ბროსეს პირადი საარქივო ფონდი № 9.

<sup>6</sup> ცისკარი 1857, № 12.

<sup>7</sup> ცისკარი, 1857, № 7, გვ. 13-34; №9, გვ. 9-26; №10, გვ. 36-68; ცისკარი 1858, № 1, გვ. 12-15; №11, გვ. 135-174; №12, გვ. 214-245.

<sup>8</sup> საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფო საზოგადოების ყოფილი მუზეუმის ხელნაწერები (S კოლექციისა), ტ. II, თბ., 1961, გვ. 195.

თხზულებაში „შემოკლებული მოთხრობა ქცევათა და ჩვეულებათათვის ქართულთა ერთა და უძმითი-უძმად ცულილებათათვის მათთა, შეთხზული თავადის დავით ფანასკერტელ-ციციანოვისგან 1849-სა წელსა“ ავტორი გულისწუხილს გამოთქვამს იმაზე, რომ „უკეთუ რომელიმე ქართული უბნობს ქართულისა თანა, მაშინ შორის ათთა ქართულთა ლექსთა იტყვის ოთხთა რუსულად“<sup>1</sup>, ენა, მამული, სარწმუნოების „სიყვარული და ერთგულება, როგორც ჩანს გენეტიკურად იდო მასში. თავსდატეხილ რუსიფიკაციის საშიშროებაზე აშკარად და მეტად გაბედულად მიგვანიშნებს, „ცისკრის“ ამავე ნომერში, რუსულიდან ნათარგმნ ლექსზე დართული შინაგანი განწყობის სიმტკიცის და სახელმწიფოებრივი იდენტობის შთამაგონებელი სტრიქონები: „მოგიძლვით ქართველთ მკითხველთა, მაგრამ დაგსძინებ თხოვასა: ღვთის გულისათვის ნუ ჰყარგავთ ძველის ენისა ხსოვასა, საკიცხველია ყოველგან მოგატყვევს დიდსა გლოვასა, გვეტყვიან: თვისი დაპკარგეს, სხვისას ვერ ჰყოფენ შოვას.“

1822-24 წლებში ქარელში თარგმნის რუსულიდან ქრისტერის „მეტაფიზიკას“. მისი მწიგნობრული მოღვაწეობიდან ცნობილია, „ქცევანი და ჩვევანი საქართველოსანი“<sup>2</sup>. 1849 წელს ქართულად თარგმნა უა - უაკ რუსოს ერთ-ერთი ტრაქტატი. მისი განვლილი გზა მოჩანს წიგნის წარწერაში: „ჰსჯა, დაჯილდოვებული დიუონის აკადემიისგან 1750 წელსა, კითხვასა ზედა ამის აკადემიისასა წინადადებული, რომელ აღიდვინება, ჰსწავლათა და ხელოვნებათა შეეწეოდა წარმართვასა ზნეთა ანუ ყოფა ქცევათასა - შეთხზული უფლის უან-უაკ რუსოს მიერ, მეორედ გამოცემული მოსკოვს 1727 წელსა, რუსულ თარგმანიდან ითარგმნა დავით ესტატეს ძე ფანასკერტელის ციციანოვის მიერ 1849 წ. სოფ. ქარელში.“ („აღდგინება ჰსწავლათა და ხელოვნებათა შეეწეოდა წარმართვასა ზნეთა ანუ ყოფა-ქცევათასა“). დავით ციციშვილისგან ამ ტრაქტატის თარგმნა არ იყო შემთხვევითი. დიდი მოაზროვნის, უან-უაკ რუსოს იდეები მკვეთრად გასძევს მის შემოქმედებას. აშკარად ჩანს XIX საუკუნის პირველი ნახევრის გამოჩენილი ქართველი მოღვაწეების მსგავსად, ქვეყნის მძიმე მდგომარეობაზე, ეროვნულ და მწვავე სოციალურ საკითხებზე გამოხატული პროტესტის მკვეთრი მხარდამჭერა. ამ წიგნის თარგმნის გამო ლევან ასათიანის შეფასებით, ვოლტერიანელმა და ენციკლოპედისტების იდეებით გატაცებულმა ციციშვილმა ამით მოიხადა ვალი ქვეყნის წინაშე: „უნდა ითქვას სიმართლე, რომ ეს წიგნი, ცოტა არ იყო შეუფერებელი იყო XIX ს. პირველ ნახევარში ქართული სინამდვილისათვის. მაშინ როდესაც თითქმის დავიწყებული გვქონდა ნაციონალური კულტურის ყველა მიღწევა, როდესაც ანბანიდან ვიწყებდით სწავლას, კერძოდ, არ გვქონდა დროის შესაფერი სალიტერატური ენა, რომელიც მოითხოვდა რეფორმაციას ... ეს ტრაქტატი და კულტურისა და სწავლა-განათლების უარყოფით გავლენაზე ლაპარაკი ცოტა უცნაური გაუგებრობა იყო, ჩვენი აზრით, რუსოს ქართულად თარგმნა მაინც სიმპტომატური იყო იმ დროს.“<sup>3</sup> ვფიქრობთ, მისი შემოქმედება ევროპული განმანათლებლური იდეების უკანასკნელი, მაგრამ მეტად მგრძნობიარე გამოძახილი იყო, რომელიც ასპარეზს უთმობდა ახალი ეპოქის, 60-იანი წლების შეუპოვარ მებრძოლ თაობას.

დიდმა პატრიოტმა და მეცნატმა იასონ ციციშვილმა საოჯახო ბიბლიოთეკიდან უნიკალური ხელნაწერები, შესწირა წერა-კითხვის საზოგადოებას.<sup>4</sup> სამუზეუმო ექსპონატების ჩანაწერთა, 1885-1913 წლების დავთარის მიხედვით, თავად იასონ ციციშვილმა დაპირებული ხელნაწერი წიგნები „წერა-კითხვის საზოგადოებას“ 1894 წელს გადასცა: 39 რუსული წიგნი, 23 ქართული, ძველი დოკუმენტები, რუსულ-ქართული ლექსიკონი, 8 რუსული დოკუმენტი და 1

<sup>1</sup> ივერია, 1891, №122.

<sup>2</sup> ხელ. S-1489

<sup>3</sup> ლ. ასათიანი, რჩეული ნაწერები, ტ. I., თბ., 1958, გვ. 97.

<sup>4</sup> საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფო საზოგადოების ყოფილი მუზეუმის ხელნაწერები ( ს კოლექციისა), ტ. II, თბ., 1961, გვ.195; 222; 227-228.

საბეჭდი მოწყობილობა.<sup>1</sup> ნაწერებში ბევრია საყურადღებო წიგნი და ბარათი, რომელთა დიდი ნაწილი საქართველოს სამეფოს არსებობის უკანასკნელ დროს შეეხებოდა.<sup>2</sup>

თავადი იასონ ციციშვილი „გვარიანი მხატვარი ყოფილა.“ იცოდა რა თეატრის მნიშვნელობა, მისი მოსაზრებით „დიდი ზნეობითი სკოლა,“ იყო და პირდებოდა საზოგადოებას სცენის-თვის „ახალ დეკორაციას და ფარდას საგანვებოდ შეამზადებდა“. <sup>3</sup>

ამდენად, მძოვრეთი საუკუნების მანძილზე ყურადღებას იპყრობდა, არა მხოლოდ თავისი ისტორიული წარსულით, საფორტიფიკაციო ნაგებობებით, ხუროთმოძღვრებისა და მხატვრობის შედევრებით, არამედ მწიგნობრული კულტურის ტრადიციებითაც. ფანასკერტელ-ციციშვილებს მწიგნობრული და მთარგმელობითი საქმიანობით, საზღვარგარეთ მწიგნობრული კერებისადმი გაღებული დიდი შეწირულობებით, სცენისმოყვარულთა და წერა-კითხვის საზოგადოებისადმი ქველმოქმედებით დიდი წვლილი შეპქონდათ ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში.

*Manana Michitashvili*

*Gori State Teaching University*

**FROM THE HISTORY OF MDZOVRETI AS THE LITERACY CENTER  
RESUME**

The paper presents Zaza Panaskerteli- Tsitsishvili not only as a good ruler of Satavado but a scientist and a big book lover. He perfectly knew medicine science and contributed to its development in Georgia through “Medical Handbook – Karabadin” which is the unique masterpiece offering the History of Georgian Medicine.

The paper also enlists and describes the offsprings of the Tstsishvili-Panaskerteli family (Merab Tsitsishvili, Shio Tsitsishvili, Nodar Tsitsishvili, Manuchar Tsitsishvili, Nanucha Tsitsishvili, Davit Tsitsishvili, Iason Tsitsishvili and others) who contributed to the scholarship tradition of the family. There were many poets, translators and scholars from this family.

Another merit of the Panaskerteli- Tsitsishvili family that is highlighted in the paper is a generous contribution and donation to Georgian monasteries located abroad. The analysed historical material clearly shows how the Panaskerteli-Tsitsishvili family gradually enriched their bibliophiles with valuable handwritten books. The family trained calligraphers, copied Georgian manuscripts, rewrote the texts from old books, made inventory with illustrations and illuminations around pages of the texts. Many of the books survived and reached us because of the efforts taken by the family. The part of Tsitsishvili who moved from Mdzovreti to Kareli and Khvedureti by then end of the 18th century and the beginning of the 19th century continued scientific and translation activities. The family supported theatrical actors and their performances, donated for establishment and functioning of schools and libraries.

Thus, the late antiquity town of Mdzovreti has attracted the attention for centuries not only due to its interesting past, a high level of town lifestyle, the fortification facilities, the architectural and artistic masterpieces but literacy culture and traditions that existed there.

<sup>1</sup> სცსსა, ფ. 1448, დავთ. 481, ს. 6853.

<sup>2</sup> ივერია, 1890, №31.

<sup>3</sup> ივერია, 1890, №212.

### ქართულ-ოსური ურთიერთობები და სამაჩაბლო

XVII საუკუნეში დიდი ლიახვის ხეობის ზემო წელზე ჩრდილოეთ კავკასიიდან გადმოსული ოსების ჩამოსახლება დაიწყო. ოსთა ახალშენები უმეტესწილად მთიანი ზოლის სოფლებში გაჩნდა. საბჭოთა ეპოქაში საქართველოში ოსთა მიგრაციის ხელოვნური დაძველება ხდებოდა და საკითხის კვლევა ისტორიული ფაქტების დამახინჯებით მიმდინარეობდა. სამწუხაროდ, ამ საქმეში ნებისთ, თუ უნებლიერ არაერთმა ქართველმა მეცნიერმაც შეიტანა წვლილი. კომუნისტური პარტიის იდეოლოგების დიდმა „რუდუნებამ“, საქართველოში მცხოვრები ოსებისათვის ხანგრძლივი ისტორია შეექმნათ, ფრთხი შეასხა ოს ფსევდომეცნიერებს, რომლებმაც კვლევის საგნად აქციეს ოსთა საქართველოს ტერიტორიაზე უძველესი დროიდან ცხოვრების მითი. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არსებული ისტორიოგრაფია შესწავლილი აქვს პროფ. რ. თოფჩიშვილს, რომელმაც საკადრისი პასუხი გასცა ფაქტების დამახინჯებაში დახელოვნებულ, სეპარატისტთა სამსახურში მყოფ ოს ისტორიკოსებს.<sup>1</sup>

როგორც ცნობილია, მონაცემთა შემოსევების შედეგად რუსეთის სამხრეთ ველებზე არსებული ოსთა გაერთიანება მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. ამ ლაშქრობების შედეგად გადარჩენილი ოსები ჩრდილოეთ კავკასიის მთიანეთში დამკვიდრდნენ. საისტორიო წყაროების მიხედვით, სამხრეთ რუსეთის ველებიდან ჩრდილოეთ კავკასიის მთიანეთში შემოსული ოსების საქართველოში ჩამოსახლება XVII საუკუნის II ნახევრიდან დაიწყო. კავკასიაში მოსული სკვით-სარმატული და ალანური მოდგმის ტომების დამკვიდრების შედეგად კოლხურ-ყობანური კულტურის შექმნაში მონაწილე ხალხის (ქართულ წყაროებში შემორჩენილი ტერმინი „ოვსი“, „ოვსები“ სწორედ ამ ძეველი ხალხის აღმნიშვნელი ეთნონიმი იყო) ასიმილიცია მოხდა. ალანებმა კავკასიური წარმოშობის სხვა ხალხებიც შეავიწროვეს და მათი ტერიტორიები მიითვისეს. ამის საილუსტრაციოდ შეგვიძლია დავასახლოთ დვალები.<sup>2</sup> დვალთა ნაწილი საქართველოს დაბლობში ჩამოსახლდა, ხოლო ნაწილი ალანებს შეერთა. დვალებით დასახლებულ ტერიტორიაზე ოსური ენა გაბატონდა. ვახუშტი ბატონიშვილი მკვეთრად მიჯნავდა დვალთა ენას ოსური ენისაგან: „ენა აქვთ ძველი, დვალური და აწ უბნობენ ოსურს.“<sup>3</sup> დვალთა გაოსების პროცესი, როგორც რ. თოფჩიშვილი აღნიშნავს, ერთდროული აქტი არ ყოფილა. მათი ეთნიკური ასიმილაციის პროცესი ხანგრძლივი დროის განმავლობაში (რამდენიმე თაობის განმავლობაში) მიმდინარეობდა და ის, ძირითადად, XVI–XVII საუკუნეების მიჯნაზე განხორციელდა.<sup>4</sup> XVII საუკუნის I ნახევარში დვალეთში ჯერ კიდევ ცხოვრობდნენ ქართველები (ქართული გვარისანი).<sup>5</sup> XVIII საუკუნის დვალეთის მოსახლეობას უკვე ეთნიკური ოსები წარმოადგენდნენ. დვალეთში ფეხის მოკიდების შემდეგ, XVII საუკუნის I ნახევარში ოსების ერთი ნაწილი თერგის ზემო წელზე (თრუსოში) დასახლდა, ნაწილი კი დიდი ლიახვის ხეობის სათავეში - მაღრან-დვალეთში. კავკასიონის ქედის სამხრეთ მხარეს გადმოსულმა ოსებმა თანდათან უფრო ქვემოთ ჩამოინაცვლეს.<sup>6</sup> ვახუშტი

<sup>1</sup> რ. თოფჩიშვილი, საქართველოში ოსთა ჩამოსახლებისა და შიდა ქართლის ეთნოისტორიის საკითხები, თბ., 1997, გვ. 73-122.

<sup>2</sup> მიტრობილიტი ანანია ჯაფარიძე, ქართველთა დენაციონალიზაცია XVII-XX საუკუნეებში, თბ., 1997, გვ. 379.

<sup>3</sup> ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 639.

<sup>4</sup> რ. თოფჩიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 73.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 40.

<sup>6</sup> იქვე, გვ. 140.

ბატონიშვილი დიდი ლიახვის ხეობის აღწერისას აღნიშნავს: „სუერს ზეით, რომელი ლიახვს ხეობა აღვსწერეთ, არს უვენახო, უხილო, მსახლობელი არიან ოსნი, დუალნი...“<sup>1</sup>

როგორც ამ ცნობიდან ჩანს, XVIII საუკუნის I მეოთხედისათვის ოსები დიდი ლიახვის ხეობის მხოლოდ მთიან ადგილებში სახლობდნენ. გერმანელი მოგზაურის იოპან ანტონ გიულ-დენშტედტის ცნობით, XVII საუკუნის 70-იან წლებში დიდი ლიახვის სათავეში არსებული მხარე - მაღრან-დვალეთი მთლიანად ქართული იყო. გიულდენშტედტი ქართულ-ოსურ შერეულ ადგილებად მიიჩნევს: სას, ჯომალს, გუდისს, ჯაუკომს.<sup>2</sup>

თავდაპირველად დიდი ლიახვის მთიან ზოლში ჩრდილოეთ კაგასიიდან ოსების ჩამოსახლებას საქართველოს სამეფო კარი ხელს უწყობდა. XVII საუკუნის შუა წლებით დათარიღებული დოკუმენტიდან ირკვევა, რომ ქართლის მეფე როსტომი თავის მოხელეებს მითითებას აძლევს, ჯავის ზემოთ ჩამოსახლებული ოსებისათვის თომაშვილი ხონთქრისა და მისი შვილის ხაჩისათვის არაფერი დაწავებინათ და თუ სხვა ოსებიც ჩამოვიდოდნენ, არც მათთვის შეეშალათ ხელი.<sup>3</sup>

დიდი ლიახვის ხეობის ზემო წელზე ჩრდილოეთიდან ოსების ჩამოსახლებით და მთიანი ადგილების ათვისებით მაჩაბლებიც იყვნენ დაინტერესებულები. ამ მხრივ, მათ სამეფო ხელისუფლება მხარდაჭერას უცხადებდა და ათვისებულ სახასო მიწებს საკუთრებაში აძლევდა. ქართლის მეფემ შაჰესულიხანმა 1704 წელს ბაადურ მაჩაბლის შვილებს ფირანს და ბორტის წყალობის წიგნი უბოძა. დოკუმენტში ვკითხულობთ: „ამას წინათი ჩვენი სახასო მთის ადგილები მამა შენს ბაადურს აეშენა, პატრონს მეფეს მამაჩვენს და პატრონს მეფეს ჩვენს ძმასაც თქვენთვის ასე წყალობა ექმნა, რომა იმაში თქვენის სახლისკაცებისათვის წილი არ დ/ა/ედვა...რადგან სახასო ადგილი აგეშენა, ხელმწიფე/თ/, თქვენთვის ებოძათ. ამაში შენს სახლის კაცო ხელი არა ჰქონდათ. თქვენი მთის ალაგი ისრე ისევ თქვენ გიბოძეთ, რომ თქვენს სახლის კაცებს იმაში ხელი არავისა აქვს.“<sup>4</sup> საქართველოში ოსების გადმოყვანას სხვა წარჩინებულებიც ცდილობდნენ. მოვლენის თანამედროვე იესე ბარათაშვილის მიერ შეკილებისადმი დაწერილ ანდერძში ვკითხულობთ: „ოსეთში კაცი გავგზავნე თსების საშოვნელად, ბევრი დამე-ხარჯა, მეპირებიან და ჯერ არა ჩანს რა, – ეგების ყმა გაგიმრავლდესთ.“<sup>5</sup>

XVIII საუკუნის დასაწყისში მაჩაბლების საკუთრებას არამარტო დიდი ლიახვის ხეობის მთიან ნაწილში ჩამოსახლებული ოსები წარმოადგენდნენ, არამედ პირიქითა კავკასიაში მცხოვრები დვალები (შესაძლოა, უკვე ოსებთან ასიმილირებულები). ეს ნათლად ჩანს მეფე ალიყულიხანის 1714 წლის 25 მაისის წყალობის სიგელიდან, რომელიც ფარსადან და ალხაზ მაჩაბლებს ებოძათ: „რა რიგადაც სხვათ მაჩაბლებს თავისი მთის კაცნი და დვალნი ემსახურებოდნენ, თქვენ რაც დაასახლოთ, ისე გემსახურნენ.“<sup>6</sup> აღნიშნულ დოკუმენტზე დაყრდნობით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ გვიან შეასაუკუნებში შიდა ქართლის მთიან ზოლში და კავკასიონის პირიქითა მხარეს არსებულ ისტორიულ დვალეთზე მაჩაბლების გავლენა ვრცელდებოდა. ისინი დაინტერესებულები იყვნენ მთის აუთვისებელ ადგილებში ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრები ოსების ჩამოსახლებით, რაც მათ შემოსავლის წყაროს გაზრდიდა. XVIII საუკუნის II ნახევარში ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II შიდა ქართლის მთიანეთში ოსების ჩამოსახლების პროცესს ხელს უწყობდა და ამ მიზნით ოსებს გარკვეულ პროცესიებს აძლევდა. 1794 წელს ერეკლე II-მ ოს

<sup>1</sup> ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 372.

<sup>2</sup> გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა, ტ. II, თბ., 1964, გვ. 67.

<sup>3</sup> ჯ. გვასალია, შიდა ქართლი და ოსური პრობლემა, კრებ: „ოსთა საკითხი“, ა. ბაქრაძისა და ო. ჩუბინიძის რედ. გორი-თბილისი, 1996, გვ. 96.

<sup>4</sup> ს.ე.ა.ს.ც.ა. ფ. 1450, დავთ, 26, საბ. №158.

<sup>5</sup> ა. თოთაძე, ოსები ქართულ მიწა-წყალზე, კრებ. „ოსთა საკითხი“, ა. ბაქრაძისა და ო. ჩუბინიძის რედ. გორი-თბილისი, 1996, გვ. 209-210.

<sup>6</sup> ს.ე.ა.ს.ც.ა. ფ. 1450, საბ. 205.

თუჯუკო კუდუხაშვილს თარხნობა და აზნაურობა უბობა, რადგან თუჯუკომ ჩრდილოეთ კავკა-სიიდან ოსები გადმოასახლა.<sup>1</sup>

დიდი ლიახვის ხეობაში ჩამოსახლებულ ოსებს სამეფო ხელისუფლებისაგან მამულის მიღების სანაცვლოდ, სხვა ოსების ჩამოსახლებისთვისაც უნდა შეეწყოთ ხელი. ამის შესახებ საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის ოსი ივანე ელფანაშვილის თხოვნა ერეკლე მეორისადმი: „აჩა-ბეთს სამი საღალო მამული გვაქვს, ერთი მე მიბოძეთ, იმ ორი საკვამლოსთვინაც კაცს ვიშოვნი, ზედ დავდგებით.“<sup>2</sup>

საქართველოში ჩამოსახლებულ ოსებს, რომლებიც მეფის ხელისუფლებისადმი ერთგულე-ბით გამოირჩეოდნენ, XVIII ს. II ნახევარში სამეფო კარი გასამრჯელოს უხდიდა.<sup>3</sup>

ოსთა ჩამოსახლებამ სამაჩაბლოს მთელ რიგ თემებში ადგილობრივი მოსახლეობის სრული განადგურება გამოიწვია. ამას მოწმობს 1621-1650 წწ. მამულის ნასყიდობის წიგნი ვინმე ივანე და ზაქარიას მიერ ქუაბულ და ზაალ მაჩაბლებისადმი. საბუთში ვკითხულობთ: „გასათავებული წიგნი და ნიშანი მოგახსენეთ ჩუენ ჭო....ო(?) ივანემ და ზაქარია და ჩუენთა შვილთა შერმაზან, ინდომა, გარსევან და არჯაბან, თქუენ მაჩაბლსა პატრონსა ქუაბულსა და ზაალს და მისთა ძმა-თა და მომავალთა სახლისა შენისათა, ამოსწყდა ზემო ჯავა და დაუკაცურდა ოვსთაგან. ღმერთი იყო მოწამე ასე ამოწყდა, რომე კაცის ნაშენები აღარ იყო რა. მოგყიდე ზემო ჯავას ძიგანიძის მამული... ძიგანიძე მისი მემკვიდრე დაკარგული იყო და ფასი იმისიც ავიდეთ. აწ მოგვიყიდა ჩუენი მკუიდრი მამული შემოუცილებელი ყოვლის მებატონისაგან... ასეთს დროს მოგყიდეთ რომ ორგან-სამგან დედამ შვილი შეჭამა. კაცმა ცოლი გაყიდის და თავად დარჩის. ჩუენ თავათ ასე დაგვემართა, რომე ათის სულის ჯალაბისაგან ხუთის მეტი აღარ მორჩა... ღმერთმან დაგიმად-ლოს, რომ ჩუენი მკუიდრი მამული იყიდეთ და დაგუარჩინეთ, თვარამ სრულებით ამოსწყდე-ბით.“<sup>4</sup>

აღნიშნული დოკუმენტი ნათლად გვიხატავს დიდი ლიახვის ხეობაში შექმნილ იმ მძიმე ვი-თარებას, რომელიც ოსთა ჩამოსახლებამ განაპირობა. არაერთი ოსი მეცნიერი ზემოთ წარმოდგე-ნილი დოკუმენტის თვითნებურ პერიფრაზირებას ცდილობდა, რათა თანამედროვე საზოგადოების, თუ მომავალი თაობებისათვის ოსი მოახალშენების მიერ ქართულ ეთნოსზე თავსდატეხილი უბედურება დაემალა. ოსმა ისტორიკოსებმა გ. თოვოშვილმა და ი. ცხოვრებოვმა, საბუთის ის ადგილი, სადაც აღნიშნულია: „ამოწყდა ზემო ჯავა და დაუკაცურდა ოვსთაგან“, მიზანმიმართუ-ლად დამახინჯებით თარგმნეს რუსულ ენაზე: „Вымерла верхняя Джава и не стало там осетин.“<sup>5</sup>

გ. თოვოშვილი უფრო შორსაც წავიდა და ოსებისაგან ჯავის ამოწყვეტის ზემოსენებულ დოკუმენტზე ასეთი კომენტარი გააკეთა: „საბუთი მრავალმხრივაა საინტერესო. იგი ადასტურებს დიდი ლიახვის შუა დინებაზე ოსთა მოსახლეობას. ზემო ჯავა ოხრდება. ამას ემატება შიმშილი, რომელმაც სულ გააუკაცურა მხარე. ბევრი ამოწყდა, ზოგმაც მკვიდრი მამულის გაყიდვის გზით არსებობაც კი შეინარჩუნა, მაგრამ მძიმე ფეოდალური დამოკიდებულების უღელში გაჰყო თავი. ასეთ პირობებში მაჩაბლების ფეოდალური გვარი, რომლის აღზევება სწორედ მაშინ მიმდინარე-ობს, სარგებლობს სხვა წვრილი ფეოდალებისა თუ მიწათმფლობელებისა მძიმე მდგომარეობით და ჩალის ფასად ხელთ იგდებს ამოწყვეტილ მამულებს...“<sup>6</sup> ოსი მეცნიერი შეგნებულად გვერდს

<sup>1</sup> ჯ. გვასალია, შიდა ქართლი და ოსური პრობლემა, კრებ. „ოსთა საკითხი“, გვ. 98.

<sup>2</sup> ბ. გამყრელიძე, ოსების განსახლების საკითხისათვის საქართველოში, კრებ. „ოსთა საკითხი“, ა. ბაქრაძისა და ო. ჩუბინიძის რედ. თბ., 1996, გვ. 194.

<sup>3</sup> ს.ე.ა.ს.ც.ა. ფ. 1448, საბ. № 9210.

<sup>4</sup> დოკუმენტი საქართველოს სოციალური ისტორიიდან, ნ. ბერძნიშვილის რედ. ტ. I, თბ., 1940, გვ. 364, №510.

<sup>5</sup> История Юго-Осетий в документах и материалах (С др. времен до конца XVIII века), сост. Г. Д. Тогошвили и И. Н. Цховребов, т. I, Цхинвал, 1962, стр. 103.

<sup>6</sup> ბ. თოვოშვილი, საქართველო-ოსეთის ურთიერთობა XV-XVIII სს., თბ., 1973 გვ. 166.

უკლის ჯავის გაუკაცურების რეალურ მიზეზს. როგორც რ. თოფჩიშვილი მიუთითებს: „გ. თო- გოშვილს საბუთის არასწორი წაკითხვითა და გაყალბებით არასწორად აქვს ფაქტები წარმოდ- გენილი. საბუთი სულაც არ ადასტურებს დიდი ლიახვის მთიან ნაწილში XVII საუკუნეში ოსუ- რი მოსახლეობის არსებობას. საბუთით აშკარაა, რომ ზემო ჯავაში ამოწყდა ქართული მოსახ- ლეობა ოსთა თავდასხმებისგან.“<sup>1</sup>

ქართლში ჩამოსახლებული ოსები ადგილობრივი მოსახლეობას ძარცვავდნენ. „დამნაშავე ოსებს“ ახსენებს XVIII საუკუნის II ნახევარში საქართველოში ნამყოფი გერმანელი მოგზაური იოპან ანტონ გიულდენშტედტი. დიდი ლიახვის ხეობის აღწერისას ევროპელი მეცნიერი აღნიშ- ნავს: „სხლებში ჯერ კიდევ არის პატარა ქვითკირის ეკლესია, რომელშიც ჯერაც დგას ვერ- ცხლით მოჭედილი ჯვარი. ის არის 2 ფუტი სიმაღლისა და 40 წლის წინათ თავადმა მაჩაბელ- მა და მისმა მეუღლებ შემოსწირეს. თავადს აქ ჰქონდა საზაფხულო სახლი. [ეს ეკლესია] ახლა მხოლოდ დამნაშავე ოსებს ემსახურება თავშესაფრად.“<sup>2</sup>

XVII საუკუნეში ოსთა მცირე ჯგუფების საქართველოში შემოდინება ჯერ კიდევ ფრაგმენ- ტულ ხასიათს ატარებდა. ოსების მიგრაციის ასეთი ეპიზოდების შესახებ ქართულ ნარატიულ ტექსტებსა თუ დოკუმენტურ მასალებში არაერთი ცნობაა შემონახული. მიგრირებული ოსების ახალშენები დიდი და პატარა ლიახვის ხეობების მთიან ზოლში XVII საუკუნის II ნახევარსა და XVIII საუკუნის 30-იან წლებში შეიქმნა.<sup>3</sup>

აღსანიშნავია, რომ XVIII საუკუნის ბოლოს, ოსების ცხინვალში ახალმოსახლეობის მხო- ლოდ ერთეული შემთხვევები გვაქვს. ამ ფაქტის შესახებ ძალზე საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის 1782 წლით დათარიღებული ერთი ნასყიდობის წიგნი, მიცემული ოსყოფილი ივანეს მიერ დავითა ფორაქაშვილისადმი, სადაც ვკითხულობთ: „ქ. ...ესე უთოო დრო დაუდებელი და მიზეზ შემოუღებელი ჩემის თავის მოსყიდობის წიგნი და სიგელი დაგიწერე და მოგეცი მე ოს ყოფილმა ივანემ და მომავალმა სახლისა ჩემისამა ყოველმა შენ ფორაქაშვილს ადამას შვილს დავითასა, ძმასა შენსა ბეჟანსა და იოსებსა და მომავალსა სახლისა შენისასა ყოველსავე ასე რომე მე ოსი ვიყავი ცხინვალს ჩამოველ მოვინათლე ცოლი შევირთე და დავდექი და ცხინვალს ვალში ჩავვარდი მრავლის გარჯილობით ვეცადე და ჩემის ვალის გარდახდა ვეღარ შევიძელ მოველ და ჩემის ნებით თავი მოგყიდე და ღირებული ფასი ავიდე და ჩემს ვალებს მოვრჩი და ჩემი თავი ნასყიდათ მოგეცი დ თ ნ ჩემი თავი მშვიდობაში მოგახმაროს რაგვარათაც სხუათ ალალს მონასყიდეს მოხმარებოდეს არავინ იყოს შენი მოცილე და მოდავე თვინიერ დ თ ის მე- ტი თუ ჩემს თავს წამოგედაოს ვინმე ბატონი ან ყმა და ან ჩემი მონათესავე კაცი პასუხის გამ- ცემი მე ვიყო არის ამისი მოწამე ყორდანაშვილი ოსეფა, პაუშტრის შვილი ჩერქეზ აკოფა, ავ- ლაბრელი მისირელი დემეტრე მეფურის შვილი დავითა და მე მუშრობის შვილს იოსებს ამ ოს ყოფილს ივანეს სიტყვით დამიწერია და მოწამეცა ვარ. აღიწერა მკათათვის კგ ქ ქ ს უო. ქ. მე ოსეფა ყორდანაშვილი ამ სიგლის მოწამე ვარ ივანეს სიტყვით ოსეფა. ქ. დედოფლის მდივან მოლარეთ უხუცესი სილომონ ამ ნასყიდობის სიგლის მოწამე ვარ მკათათვის კზ ქ ქ ს უო.“<sup>4</sup>

როგორც მივუთითებდით, ჩამოსახლებული ოსები ადგილობრივ მოსახლეობაზე ძალადობ- დნენ. გადასახადის გადახდაზეც უარს ამბობდნენ, რასაც სამეფო ხელისუფლება უპასუხოდ არ ტოვებდა. სეხნია ჩხეიძის ცნობით, ლიახვის და ქსნის ხეობებში ერეკლე II და თეიმურაზ II ჯარი შეიყვანეს და განმდგარი ოსები მორჩილებაში მოიყვანეს.<sup>5</sup>

<sup>1</sup> რ. თოფჩიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 99.

<sup>2</sup> გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოცდება დაურთო გ. გელაშვილმა, ტ. I, თბ., 1962, გვ. 101.

<sup>3</sup> რ. თოფჩიშვილი, საქართველოში ოსთა ჩამოსახლებისა და შიდა ქართლის ეთნოისტორიის საკითხები, გვ. 219.

<sup>4</sup> ს.ე.ა.ს.ც.ა. ფ. 1446. №1625; გ.ს.ი.ე.მ. 8059.

<sup>5</sup> გ. სოსიაშვილი, ოსინობა და სამაჩაბლო, წიგნში: „მიებანი“, თბ., 2007, გვ. 30.

ამ ფაქტს ადასტურებს პაპუნა ორბელიანიც. მისი გადმოცემით, XVIII ს. 40-იან წლებში გივი ამილახორის აჯანყების დროს, „დაუწყეს ცემა ოსთ ზემო-ქართლს.“<sup>1</sup> ქართლისა და კახეთის მეფეთა მიერ ოსების წინააღმდეგობა დაძლეულ იქნა. მცირე ხანში მათ არაგვის ხეობის ოსებმაც მიბაძეს, რომლებმაც გადასახადებზე უარი თქვეს და არაგვის ხეობაში მეფის მოხელეებს გზა გადაუკატეს. ერეკლე არაგვის საერისთავოს ჯარს ჯიმშერ თუშთ მოურავი უსარდლა და თვითონაც უკან მიჰყვა. ოსებმა იერიშს ვერ გაუძლეს, უკან დაიხიეს და კოშკებში გამაგრდნენ. ერეკლეს ბრძანებით ორმოცი კოშკი აიღეს და ამბოხებული ოსები დაიმორჩილეს. ბრძოლაში ხმალდახმალ იტრმოდა ერეკლე II, რომელიც, პაპუნა ორბელიანის გადმოცემით: „ვითა ვახტანგ გორგასალ თხუთმეტის წლისა მბრძოლი ოსეთში და დამჯაბნი ბუმბერაზთა, ეგრე მეფე ერეკლე უმხნეს იქცეოდა.“<sup>2</sup>

ქართლში ჩამოსახლებული ოსების დაუმორჩილებლობა სხვა წყაროებითაც დასტურდება. 1779 წელს, ბარძიმ მაჩაბელის მიერ სამეფო ხელისუფლებისადმი გაგზავნილი წერილით ირკვევა, რომ დიდი ლიახვის ხეობაში მცხოვრები ოსები სამი წლის განმავლობაში დაკისრებულ ბეგარაზე უარს ამბობდნენ: „ღმერთმა თქვენი რისხვა მამცეს, თუ ასერა სამი წელიწადია მე იმათი ბეგარა მენახოს, უკუმდგარნი გახლანან. არავის არ ზოგავენ, სვერი იმათ დააცლევინეს.“<sup>3</sup>

დიდი ლიახვის ხეობის მთან სოფლებში მცხოვრები ოსები ბარძიმ მაჩაბელს ერეკლე II-მ უბობა. მოგვიანებით, 1798 წელს, გიორგი XII-მ ბარძიმ და ზაზა მაჩაბლებს ერეკლე II-ის წყალობა განუახლა და მთაში მცხოვრები ოსები საკუთრებაში დაუტოვა.<sup>4</sup>

როგორც ჩანს, ბარძიმ მაჩაბელს განდგომილი ოსები შემოურიგებია და მათ მიერ დაკავებული კეხვის ციხეც გაუთავისუფლებია. ამ დამსახურების გამო, გიორგი XII მემკვიდრე დავით ბატონიშვილმა ბარძიმს, ძველი წყალობის გარდა, სახასო მამულებიც უბობა: „თქვენ როგორც შეგეფერებოდათ, ისე გაისარჯენით, მთლად დიდის ლიახვის ოსები შემოგვარიგეთ, თქვენი ყმანი და სხვისი ყმანი და კეხვის ციხეც აიღევით. რისთვისაც სახასო მამულები გვიბოძებია.“<sup>5</sup>

სამაჩაბლოში ჩამოსახლებული ოსების მიერ ადგილობრივი მოსახლეობის ძარცვა-გლეჯაზე მოგვითხრობს 1797 წელს შედგენილი დავით ელიოზიშვილის არზა დარეჯან დედოფლისადმი: „...ჩემს სახლისკაცს მოუხსენებია, რომ აღამახმადხანის დროს არეულობაში ჩემი სახლის კაცის კაცი ეკლესიური ოსის ჯარით მომიხდაო და ეკლესიაც დამიწვა და ჩემი და ჩემის კაცის ხუთასი კოდი პური წაიღოო. ერთი მოხსენება ასე რომ ჩემი კაცი არსად არ მისძლოლა, რომ ქრცხინვალის ხეობიდან და სხვა სოფლებიდან რამთონი ათასი კოდი პური წაიღეს ოსებმა კარგად მოგხსენებია.“<sup>6</sup>

ერეკლე II-მ ოსები საგანგებოდ გაფრთხილა: „რაც ოსები ხართ, ყველამ გაიგონეთ! თქვენი სიავკაცე ქართლში დიახ გამრავლდა, რომ ქვეყანა გიჩივის... ვინც ჩვენი ორგული ხართ და ამ ბრძანებას არ დაემორჩილებით ისეთ რისხვას მოგაყენებთ, რომ არას კაცს არ მოსვლოდეს და არც ჩვენ მამულში თქვენს გვარს და გაუშვებთ.“<sup>7</sup>

1791 წელს შედგენილ ერეკლე II-ის ბრძანებაში აღნიშნულია, რომ თუ მძარცველი ოსი ქართველებთან შეტაკებაში დაიღუპებოდა, პასუხი არავის მოეთხოვებოდა: „ესეც მიბრძანებია, რაც ოსი ან ქურდობაზე მოკვდება ან მიხდომაზე იმას სისხლი აღარ გაუჩნდებათ და არც მიეცემათ.“<sup>8</sup> ერეკლე II უკმაყოფილებას გამოხატავდა ადგილობრივ მცხოვრებლებზეც, რომლებიც ოსების მოგერიებას ვერ ახერხებდნენ: „ქ. რა დაგემართათ და რა მოხდა, ოცი ლეკი მოვა,

<sup>1</sup> პაპუნა ორბელიანი, ამბავნი ქართლისანი, თბ., 1981, გვ. 100.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 113.

<sup>3</sup> ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VII, ი. დოლიძის რედ. თბ., 1979, გვ. 440.

<sup>4</sup> ს.ე.ა.ს.ც.ა. ფ. 1448. №1087.

<sup>5</sup> ს.ე.ა.ს.ც.ა. ფ. № 1450, დავთ. 26, საბ. №162.

<sup>6</sup> ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VII, გვ. 447.

<sup>7</sup> მ. კეპელია, ერეკლე II-ის განჩინებანი სამაჩაბლოში ბოროტმოქმედების აღ-საკვეთად, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, №25, 1991, გვ. 1.

<sup>8</sup> იქვე.

თქვენ გახდენსთ, ოცდა ათი თქვენ გახდენსთ. რომ მას ვერ გასცემთ თუ ყველანი ერთად არ შეიყარენით. და ოსები ცოლებს და შვილებს გტაცებენ და კმა ვერ გაგიციათ. სირცხვილი არა გაქვსთ და ნამუსი. და ეს იცით, როცა თქვენი მეზობელი აღარ იქნება, აღარც თქვენ იქნებით. ქვეყანაში თავი როგორდა გამოგეყოფათ, რომ იმათგან გეშინოდესთ. მაგდენს სოფელს და მაგდენს კაცსა თქვენ უნდა მისცეთ. რაც მაგათ დაეკარგებათ, როგორც ჩვენი განაჩენი არის, ისე. რომელიც სოფელი მაგათ ახლო არის, იმათ უნდა გადიხადონ. რომელიც იმ გვარნი კაცნი ხართ, რომ შეგიძლიათ და არა იქ, ჩვენ იმას გარდავახდევინებთ. სულ აგიკლებთ. მე საბრალოს კაცთან საქმე არა მაქვს რა. რომელიც უფროისი კაცნი ხართ, თქვენ გადაგახდევინებთ.<sup>1</sup> 1795 წლით დათარილებულ ერთ-ერთ სიგელში, რომლითაც ერეკლე II ბარძიმ და ზაზა მაჩაბლებს დიდი ლიახვის მთიან ნაწილში, ასევე ჯავის ხეობაში ჩამოსახლებული ოსების წყალობა განუახლა, საუბარია ოსების მიერ ადგილობრივი მოსახლეობის ამოხოცვის და სოფლების გადაწვის შესახებ.<sup>2</sup> ოსების მიერ ადგილობრივ მოსახლეობაზე ძალადობის შესახებ არაერთი სხვა დოკუმენტიც არსებობს.<sup>3</sup>

მბარცველი ოსების გარდა, შიდა ქართლის მთიან ზოლში მშვიდობიანი ოსური მოსახლეობაც დამკვიდრდა, თუმცა, მათი ერთი ნაწილი ქართველი წარჩინებულების კუთვნილ ტერიტორიებს თვითნებურად იკავებდა. ამის შესახებ ნათელ წარმოდგენას გვიქმნის 1791 წლით დათარილებული, ქსნის ხეობაში მცხოვრები როსტომ უურულის მიერ იოანე ბატონიშვილის სახელზე შედგენილი ერთ-ერთი დოკუმენტი, სადაც ვკითხულობთ: „ქ. ღ[მერ]თ[მან] მათის უმაღლესობის მეფის ძის იოანეს ჭირი მომცეს თქვენს მონას უურულს როსტომს. მერმე ამას მოგახსენებ ჩემი ყოვლა]დ მოწყალევ ხელმწიფევ, რომ ისროლის ხევზედ ერთი კომლი კაცი მყუანდა თქვენი წყალობა, მამა-პაპის მემკვიდრე და ის ჩემი კაცი აიყარა და წავიდა და იმისის მამულის წყალობა დამემართა თქუენგანა და ოსი გუსი რომ გახლავს ტბაზედა, იმას მიაბარეთ ის მამული და უბრძანეთ, რომ რაც რამ ურგებოდეს თავისის მამულისა, ამ უურულს როსტომს ემსახურეო. სამი წელიწადი არის რომ ის მამული მე მებოძა და ის კაცი სჭამს და ჩემთვის ერთის ფულისა არა მოუცია რა. წყალობა ვითხოვ, თუ იმ მამულის წყალობა დამემართება, რომ ერთი ოქმი მებოძოს გლახა ბოქაულთ ხუცის შვილზედა, რომ ის ჩემი მამული მე მებოძოს. გევედრები რომ მოწყალება დამემართოს, თქვენს მეტი შემბრალებელი არავინა მყავს.“<sup>4</sup> როგორც ჩანს, როსტომ უურულის მამული ისროლის ხევში ჩამოსახლებულობა ოსმა გუსმა მიისაკუთრა. იოანე ბატონიშვილმა თავის მოხელეებს უურულისთვის მამულის დაბრუნება დაავალა. ჩამოსახლებულ ოსს მამულით სარგებლობისას მიღებული შემოსავლის გადახდაც დაეკისრა: „რაერთი ხანიც გუსის უჭამია და მისთვის არა ურგია რა, ისიც სამართლიანის საქმით გამოურთვით.“<sup>5</sup>

1796 წელს, პატარა ლიახვის ხეობაში, კერძოდ, სოფელ ვანათში ჩამოსახლებულ ოსებს და ადგილობრივ ქართულ მოსახლეობას შორის მშვიდობიან თანაცხოვრების უზრუნველყოფის მიზნით, სისხლის დაუღვრელობის „ფიცის წიგნი“ დაიდო. შეთანხმების დარღვევის შემთხვევაში ოსებს და ქართველებს თითო თუმანი უნდა გადაეხადათ მებატონისა და მოურავისადმი, ხოლო თუ ვინმე მოღალატე გამოერეოდა, სოფელს მისი ხარი უნდა დაეკლა.<sup>6</sup> შიდა ქართლის მთიანეთში ჩამოსახლებული ოსებისათვის სპეციალური სამოურავოები იქმნებოდა. ისინი მნელად ეგუე-

<sup>1</sup> ს.ა.ს.ც.ა. ფ. 226, №5309.

<sup>2</sup> История Юго-Осетий в документах и материалах (С др. времен до конца XVIII века), сост. Г. Д. Тогошвили и И. Н. Цховребов, т. I, Цхинвал, 1962., стр. 395, №229.

<sup>3</sup> იხ. ვ. იოონიშვილი, ნარკვევები კავკასიის ისტორიიდან, თბ., 2002, გვ. 232-234.

<sup>4</sup> დოკუმენტები საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, ნ. ბერძენიშვილის რედ. ტ. II, თბ., 1953, გვ. 188, №205; გ. სოსიაშვილი, უურულთა საგარეულოს ისტორიიდან, კრებ: ელდარ მამისთვალიშვილი-80, 2019, გვ. 19 3-19 4; გ. სოსიაშვილი, სოფელ არბოს ისტორიიდან, მასალები საქართველოს სოფლების ისტორიისათვის, ტ. I, თბ., 2019, გვ. 123-124.

<sup>5</sup> დოკუმენტები... II, გვ. 188.

<sup>6</sup> История Осетии в документах и материалах, т. I, стр. 184, №129.

ბოდნენ ადგილობრივ გარემოს, არ იხდიდნენ გადასახდებს, სწორედ ამ მიზნით, ხელისუფლება მათი ეჯაქტურად მართვის და კონტროლის მიზნით მოურავებს ნიშნავდა.

დიდი ლიახვის ხეობის მთიან სოფლებში ჩამოსახლებული ოსების მოურავობა, როგორც 1772 წლის დოკუმენტიდან ჩანს, ერეკლე II-მ იორამ ფავლენიშვილს უბოძა. ფავლენიშვილის სამოურავოში შედიოდა შემდეგი სოფლები: ჯრია, ნინიკაუ, ჯავა, მსხლები, ტონტობეთი, ყემულთა, ჯავის თავი, ზამთარეთი, ზროვოს ხეობის ხუთი სოფელი, მაცხარეთი, სამი სოფელი დამწვარეთის, ხვწე, კროჟა, კოლა, ქეშელთა, დაეადანინასტუა, ჩავათი, თხელი, მარიამი, ჩაგათი, მუგურუში გალვანაშვილები, გაბელაშვილები და კოზაშვილები, ჩაგათში გაბათაშვილები და ჩარბუაშვილები.<sup>1</sup>

ოსთა სამოურავოების არსებობა სხვა დოკუმენტური წყაროებითაც დასტურდება. როგორც ჩანს, ოდნავ მოგვანებით, დიდი ლიახვის ხეობის მთიან ზოლში ჩამოსახლებული ოსები ერეკლე II-მ სამოურავოდ თამაზ მირზაშვილს გადასცა. მანამდე მირზაშვილები პატარა ლიახვის ხეობაში, კერძოდ, ვანათსა და მის შემოგარენში ჩამოსახლებული ოსების მოურავები იყვნენ.<sup>2</sup>

1796 წლით დათარიღებულ დოკუმენტში: „არზა გოგია ციციშვილისა ყმის თაობაზე იულონ ბატონიშვილის ოქმით“ - ვკითხულობთ: „ქ. ღმერთმა ბედნიერის მეფის ძის იულონის ჭირი ციცისშვილს პატარას შვილს გოგიას მისცეს. ამ არეულობაში ქალაქს რომ გახლდი, ერთი ჩემი ხაბაზი დამრჩა მახარე მებაღის შვილი, გამოქცეულიყო ერთი ის და ერთი ანასტასია ბატონისშვილის ბიჭი და ნიქოზებში\* (ნიქოზებში უნდა იგულისხმებოდეს ქვემო და ზემო ნიქოზი - გ.ს.) ერთს ქართველს და ერთს ოსს ის ჩემი ბიჭი კი დაეჭირათ და ის მეორე ბიჭი კი გაქცეოდათ, წაეყვანათ და თოთხმეტ ხარათ მირზაშვილის სამოურაო ოსებში გაეყიდათ. ამ წყალობას ვითხოვთ, ერთი ოქმი მიბოძოთ მირზასშვილ თამაზზედ, რომ ის ბიჭის გამყიდველიც მამიკითხოს, და ის ბიჭიც დახსნით იყოს, თუ რითაც იყოს, ჩამამგვაროს, რომ ის ბიჭი არ დამეკარგოს. იქიდამ შემოეთვალა მეორეთ მყიდიანო და ღმერთი გადლეგრძელებს, ბეჭითი ოქმი მიბოძეთ, რომ არ დამეკარგოს, თქვენს საყმოში არის. აპრილის ივ, ქორონიკონს უპდ.“<sup>3</sup> იულონ ბატონიშვილმა მოურავ მირზაშვილს თამაზა ციციშვილის ყმის მოძება დაავალა. დოკუმენტში კონკრეტულად არ ჩანს, მირზაშვილის სამოურაო ოსებში შიდა ქართლში ჩამოსახლებული ოსების რომელი ახალშენი იგულისხმება. სავარაუდოდ, ეს უნდა ყოფილიყო დიდი ლიახვის სათავეები. როგორც დოკუმენტიდან ირკვევა, ციციშვილის საკუთრებაში არსებული გლეხი ნიქოზიდან<sup>4</sup> „მირზაშვილის სამოურაო ოსებში“ წაიყვანეს, რომლის მოძებნას და ჩამოყვანას („ჩამამაგვაროს“), ე.ი. დიდი ლიახვის ხეობის მთიან ზოლში არსებული ოსებით დასახლებული სოფლიდან ყმის დახსნას სთხოვდა „არზის“ ავტორი იულონ ერეკლეს ძეს.

ოსების სამოურავო არა მარტო დიდი ლიახვის ზემო წელზე არსებულ მთის სოფლებს, არამედ, ჩრდილო-დასავლეთით მომიჯნავე რაჭის ოსურ დასახლებებსაც მოიცავდა, ეს დასტურდება ერთი დოკუმენტით, რომელიც 1790 წლით არის დათარიღებული: „ლონ ბედნიერის ხელმწიფის ძის ვახტანგის ჭირი მისცეს მათს მონას ბერძნის შვილს იოანეს. ამას მოვახსენებ, ერთმა კუდაროელმა ოსმა ყულბამ ერთი თავისი შვილი გოგო ჩამოიყვანა და მომყიდა მეც იმ ჩემს უბედურს შვილს ტეტიას მოვანათვლინე და ქრისტიანათა მყვანდა და ჩემის შვილის მაგიერათ იმას უყურებდი. სამის წლისა ვიყიდე შვიდ თუმნათ და ახლა თექვსმეტის წლისა არის. ახლა რომ თქვენ იმერეთს გამგზავნეთ ჩამოსულიყვნენ იმ გოგოს მამა და იმისი ნათესავები. ერთს

<sup>1</sup> ს.ე.ს.ც.ა. ფ. 1450, დავთ. 45, საბ. №188.

<sup>2</sup> ს.ე.ს.ც.ა. ფ. 1449, საბ. №224.

<sup>3</sup> ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტები გამოსცა შენიშვნები და საბიექტები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, ტ. VIII, თბ., 1985, გვ. 363.

<sup>4</sup> აღსანიშნვია, რომ მირზაშვილები ზემო ნიქოზში ცხოვრობდნენ. 1573 წლის ერთ-ერთ დოკუმენტში იხსენიება ნიქოზში არსებული „მირზაული მამული“. ს. კაკაბაძე, თმოგველთა გვარის ისტორიისათვის, ტფ., 1913, გვ. 7. მირზაშვილები ცხოვრობდნენ, ასევე, დიდი ლიახვის ხეობაში არსებულ სოფელ შინდისში, სადაც მათ საგვარეულო ცხეც ჰქონდათ. ი. მეგრელიძე, სიძველეები ლიახვის ხეობაში, ტ. I, თბ., 1986, გვ. 114.

დღეს პური წაეღოთ და მეორეს დღეს გოგო წაეყვანათ და მიფიარეთს პყავთ. მერე თქვენგან ოქმი და იასაული მებოძა, მომატყუეს, გოგოს მოგცემთო და ალარ მომცეს. გევედრები, მირზაშვილს თამაზას და თედეულს გაღეგას უბძანოთ და თავის დადგათ(!) და ასან ბეგს რომ ამათ შეუძლიანთ იმ გოგოს გამორთმევა და ამათ გამომირთონ. ღ“თი გაგიმარჯვებს, მე რომ ავი კაცი (ვ)იყო და თქვენ გაწუხებდეთ ჩემის მიზეზით იმ ერთს ქრისტიანს სულს დ-თთ ნუ დაუკარგავთ. ოკლომბრის ივ ქ-კის უოც. ბატონის შვილი ვახტანგ გიბრძანებ, მოურაო მირზა შვილო თამაზ, მერე ამ არზის პატრონი რომ ასე ჩივის, შენ ახლავ წადი და ყულბასეს/?/ რომ ამ ნინიასთვის გოგო მიუყოდნია, შენ ის გოგო ახლავ ყივლას და ბაბათასთან მიდი და იმათ თუ ის გოგო ახლავ არ მოაყვანინე, ჩვენგან ჩვენს პირს ვეღარც შენ იხილავ და ვეღარც ისინი. ახლავ გაარიგე თორემ დიდათ გ[ი]წყენთ, შენც და იმათაც დიდად გადა(გ)იდგება. ოკლომბრის იც, ქ-პ ს უოც. ასლთან თანასწორ არს სოვეტნიკი თ-ი თარხანოვი.<sup>1</sup> ასლი სიგელი მივიღე იოანე ტატიევმა.“<sup>2</sup>

თამაზ მირზაშვილის, როგორც სამეფო ხელისუფლების მოურავის უფლებები, პატარა ლიახვის ხეობაშიც ვრცელდებოდა, ამას ადასტურებს 1778 წლის 2 აგვისტოთი დათარიშებული ერთ-ერთი დოკუმენტიც. “არზა პატარა იმერელისა ყმობის თაობაზე გიორგი ბატონიშვილის ოქმით“: „ქ. ღმერთმან ბელნიერის ელმწიფის ძის გიორგის ჭირი მათს მიწა მტვერს პა[ა]ტა იმერელს მოსცეს. მერმე თავად იმერეთს აზნაურისშვილის ყმა ვიყავ, ახალციხეს გამყიდა, თავი დავიხსენ, ისევ ჩემს მამულს მივ[ე]ტანე. მასუკან შვილის თხოვნა დამიწყო. ავდექ. აქათ თქვენს მიწა მტვერს მოვ[ე]ტანე სურამს. მურვანიშვილმა მითხრა: ჩემთან იყავ, არავის მიქცემო. არჩილ გამოიარა, დამაბეზღეს, დამიჭირა. მეორეთ არჩილიდამ დავიხსენ თავი. იქიდამ არბოს ჩამოველ. მირზაშვილმა მითხრა: ბატონის ოქმი მაქვსო, ამყარა, გამატიტვლა და ისევ ჩემს უწინდელს ბატონს მიმცა.“<sup>3</sup>

შიდა ქართლის მთიანეთში ჩამოსახლებული ოსების სამოურავო, ჩვენს ხელთ არსებული დოკუმენტების მიხედვით, პატარა ლიახვის ხეობაშიც იყო ანტონ I კათალიკოსმა აღნიშნული სამოურავო მცხეთიშვილ-გეღვევანიშვილებს ჩააბარა. დოკუმენტში ვკითხულობთ: „ესე უკუნისამდე ჟამთა და დროითა გამოსადევი მტკიცე და და უცვლელი წყალობის წიგნი და სიგელი დაგიწერეთ და გიბოძეთ შენ გეღვეონისშვილს გიორგის და მომავალთა სახლისა შენისათა ჩვენის ეპლესის ყმების ოსების მოურავობა ბადანისა და ხოდელისა, რომელიც შეგეძლოს უნდა მოუარო და ეკლესიას იმათი თავი არ დაუკარგო და რიგიანად რომელიც გეწყობოდეს, ისე გვემსახურო. და თუ ურჩნი შეიქმნენ, მისის სიმაღლის ჩვენი იქმიც გებოძება. და ესე ჩვენგან ბოძებული წყალობა გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან ეკლესისა და ჩვენს ერთგულობასა შინა.“<sup>4</sup> კათალიკოს-პატრიარქ ანტონ I მიერ გაცემულ დოკუმენტში ნათლად ჩანს, რომ გიორგი გეღვევანიშვილს ბადანსა და ხოდელში ჩამოსახლებული ეკლესის ყმობაში მყოფი ოსების ზედამხედველობა ევალებოდა, როგორც კათალიკოზის სიტყვებიდან ჩანს, თუ ოსები ურჩობას დაიწყებდნენ, სამეფო ხელისუფლება ჩაერეოდა. ოსებისათვის სამოურავოების შექმნის მიზანი მათი, როგორც ბარის ცხოვრებას მიუჩვეველი მოახალშენების გაკონტროლება და მოსალოდნელი რეციდივების თავიდან აცილება იყო, რაც დიდ სიძნელეს წარმოადგენდა. ოსები ქართველებით დასახლებულ სოფლებში იჭრებოდნენ და მოსახლეობას აწიოკებდნენ.

1800 წლის 21 სექტემბერს, გიორგი XII ოთარ ამილახვარს წერდა: „შენის სოფლისა ოსებისაგან აკლება მოგეწერა...ოსებისათვის ასეთს საქმეს ვიფიქრებთ რასმე, რომ მაგათ ვეღარ ითარეშონ ქართლში.“<sup>5</sup>

<sup>1</sup> ჩვენი აზრით, აღნიშნულ დოკუმენტში მოხსენიებული თარხანოვი უნდა იყოს დავით თარხნიშვილი, რომლის სახელზე გერში მცხოვრებმა ოსებმა „თავდებობის წიგნი“ შეადგინეს. ამის შესახებ, იხ. ქვემო.

<sup>2</sup> ს.ე.ა.ს.ც.ა. ფ. 229, № 52/66.

<sup>3</sup> ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VII, თბ., 1981, გვ. 413.

<sup>4</sup> გ. სოსიაშვილი, ნარკვევები შიდა ქართლის ისტორიიდან, თბ., 2011, გვ. 78.

<sup>5</sup> ბ. გამყრელიძე, ოსთა განსახლებისათვის საქართველოში, ქრებ.: „ოსთა საკითხი“, გვ. 187.

ოსთა თავდასხმები ქართულ სოფლებზე საქართველოში რუსული მმართველობის შემოღების შემდეგაც გაგრძელდა. ამას ადასტურებს 1808 წლით დათარიღებული რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლის ახვერდოვის სახელზე პატარკაც ლომსაძის მიერ შედგენილი მოხსენება, რომელიც ოსების მიერ სოფელ ნიქოზზე განხორციელებულ თავდასხმას ასახავს: „ამას წინათ, წელიწადს იულისის თვეს ოსები მოგვიხდნენ, ნიქოზს ცხენები დაგვტაცეს გამოყდექით, ერთობლივ სოფელი მივეწინით, ფავლენის შვილი ზაქარიაც იქ გახლდათ, სროლა მოგვიხდა ერთმანეთში, ორი კაცი დაგვიჭრეს და ერთი ჩვენ მოუკალით მკვდარი შინ ჩამოვიტანეთ, ცხენებიც წაგართვით, მეორე დღეს იმისი გვარი ჯიფანი შეყრილნი მოგვიხდნენ, თავისი ბატონი მაჩაბლები წინ მოუძღვნენ ბადურ და თეიმურაზ, ავდექით და სოფელი ერთიანად შევკრიფედ, გავიფიცნით და წერილიც დავდევით, რომ ის ოსის სიკვდილზედა არც მკვლელი უნდა გამოგვეჩინა და პასუხიც ერთად სოფელს უნდა გაგვეცა, ჩვენ და ოსებში მოციქულობა შეიქნა, მკვდარს დაგვიწყეს თხოვნა. ბორტის შვილმა პასუხი ეს გვითხრა: თუ მკვდარს არ მისცემთ დაგწვენ. ავდექით, მკვდარიც ბორტის შვილს მივეცით, თორმეტი კოკაც დვინო გამოგვართო თავდებათ დაგვიდგა აღდგომამდინ. ჩემმა ყმებმა თქვენ გაწყენინონ რამე პასუხის გამცემი მე ვიყოვო, კეველებიც თავდებათ დაგვიყენა / / და აღდგომას იქით თქვენ იცით მე თავდები აღარ ვიქნებით. აღდგომამ რომ გამოიარა მტრობა დაგვიწყეს, მო-ვიდა ერთიანად მაისის შვიდს სოფელი და შეურიგდა. ცხრა თუმანი თეთრი მისცეს, პური აჭამეს, ოთხი თუმანიც საშემოდგომოდ დაპირებიან. ზაქარია ფავლენი შვილი და მე გაურიგებელი დაგვაგდეს სოფელმა. მე ცოლითა და შვილით იმ ოსებს მიმცეს შენი მკვლელი ის არისო, აღარც იმას უშველით და აღარც სხვა დევარს გამოუდგეთ, თქვენ თოფი აღარ გესროლოთ ასე შეურიგდენ. წყალობას ვითხოვ, დავით თარხანოვს ებრძანოს ერთობლივ სოფლით იმ ოსებს პასუხი მიგვაცემინოს. ეს საქმე საკუთრივ თავს მე არ დამაწვება იულისის იზ ქ-ეს უჟე.“<sup>1</sup>

1808 წლის თებერვალში გენერალმა ახვერდოვმა საქართველოს მთავარმართებელს წერილი გაუგზავნა. ავტორი იტყობინებოდა, რომ შემოღვიძელის დადგომისთანავე მოსალოდნელი იყო: არაგვის, მეჯუდის და დიდი და პატარა ლიახვის ხეობებში ჩამოსახლებული ოსების მიერ ქართული სოფლების ძარცვა-რბევა. რუსი ჩინოვნიკის რეკომენდაციით ამ თავდასხმების შესაჩერებლად აუცილებელი იყო მძარცველების მეთაური ისი „სტარშინების“ დაპატიმრება.<sup>2</sup>

ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრები ოსები, დაღესტნელ მარბიელთა მსგავსად, მოსახლეობას ატყვევებდნენ და ჩერქეზეთში ყიდდნენ. ეს შეგვიძლია წარმოვიდგინოთ რაჭის მთის სოფლების მაგალითზე. დიგორელი ოსების მიერ რუსეთის ხელისუფლების სახელზე შედგენილ განცხადებაში აღნიშნულია: „...ჩვენ და რაჭველნი უმოდისინ ვმტრობდით ერთმანეთს...მრავალნი ქართველნი წაყვანილ და განსყიდულ იქმნენ დიგორელთაგან ჩერქეზად.“<sup>3</sup>

ოსების მიერ ქართველების მოტაცების და ჩრდილოეთ კავკასიაში, კერძოდ, ჩერქეზეთში გაყიდვის ფაქტს ადასტურებს ერეკლე II-ის მიერ 1783 წელს რუსი მოხელის პოტიომკინისადმი გაგზავნილი წერილი, სადაც აღნიშნულია: „...მოგახსენებთ, ამას, რომ რაოდენიმე აქეთის მთის ოსნი ჩვენს ქვეყანაში ქურდობენ, კაცებს ატყვევებენ და ჩერქეზში ჰყიდიან. ამისთვის ეს ქურთაული სტარშინები...იმათი მცნობი არიან. ამისთვის საიდუმლოდ ებრძანოს მოსდოგის კამედანტს, რომ როდესაც ამათ იმათი ჩერქეზეთში ყოფნა აცნობონ, იმან რაოდენიმე კაცი გაატანოს და და დაიჭირონ; და იმათი დასჯა თქვენს ნებაზედ მოგვინდია.“<sup>4</sup>

ქართლში დამკვიდრებული ოსების მიერ ადგილობრივი მოსახლეობის ძარცვაზე მიუთითებს აკად. ექვთიმე თაყიაშვილის მიერ სოფ. ტყვიავში აღმოჩენილი საბუთი: „სახარება ესე [ვიპოვე ტყვეობასა] შინა და დავიხსენ [ოსთაგან] და შევწირე ამისავ [ეკლესიას] ტყვიავის ძელის ჭეშმა-

<sup>1</sup> გსიემ 8059, დავთ. I, გვ. 56-57; ხეც. ფ. HD, № 14239.

<sup>2</sup> ბ. გამყრელიძე, ოსთა განსახლებისათვის საქართველოში, კრებ: ოსთა საკითხი, გვ. 188.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 187.

<sup>4</sup> ვ. იორნიშვილი, ნარკვევები კავკასიის ისტორიიდან, თბ., 2002, გვ. 233.

რიტისა [საოხად ძეთა და ასულთა] ჩემთათვის [...] გამოსახსნელად [მპყრობელებიდან] მეუღლისა ჩემისა ნიკოლოზ [ჩოლოფაშვილისა] ჩყიზ. 1817 წელსა კნეინა თინა ჩოლოფოვისა.<sup>1</sup>

დიდი ლიახვის ხეობაში ჩამოსახლებული ოსები მარტო მოსახლეობის დაბალი ფენას როდი აწიოკებდნენ, ისინი თავს ესხმოდნენ მაჩაბელთა სათავადო სახლის წარმომადგენლებსაც. 1802 წელს გნ. ლეიტენანტ კნორინგის მიერ იმპერატორისადმი გაგზავნილი მოხსენებიდან ჩანს, რომ გიორგი XII-ის მეფობის უკანასკნელ დღეებში ოსებმა ამბოხება მოაწყვეს და მაჩაბელთა ფეოდალური სახლის ერთ-ერთი წევრი მოკლეს.<sup>2</sup>

1808 წელს, გერის ხეობაში ჩამოსახლებულმა ოსებმა დავით თარხნიშვილს თავდებობის წიგნი მისცეს. ისინი პირობას სდებდნენ, რომ აღარ იქურდებდნენ: „წელსა ჩყს დეკემბრის ბ დღესა ესე თავდებობის წიგნი მო-გართვი თქვენ თავად დავით თარხნაოვს ჩვენ ერთობთ გერის ხეობის ქოქი შვილმა ჯივიძ და ერთობით ჩემა გვარი შვილებმა არბოლიშვილმა პეტრემ და ერთობით ჩემა გვარიშვილებმა ბეკოშვილმა ხოსრომ და ერთობით ჩემმა გვარიშვილებმან ყულუნ ბეგაშვილმა ძალლოამ // და ერთობით ჩემმა გვარმან გოგიჩაშვილმა ტატუჩიძ და ერთობით ჩემმა გვარის შვილებმან ჩოჩი შვილმა ყიყოძ და ერთობით და ერთობ ჩემმა გვარის შვილებმან ასე რომ ჩვენის ხეობის თავდებათ დავდექით დღეის იქით თუ ჩვენის ხეობის კაცმან ავკაცობა და ქურდობა ქნან სადმე ამ თავდებებმან გადავისადოთ სადაც ჩვენი გვარის კაცი სახლობს ქართლში თუ ოსებში სულ ყველანი თავდებანი ვართ და რაც დღეს ჩვენს ხეობაში ნაქურდალი არის, ისიც ჩვენ მოგაბაროთ და აგრეთვე თუ დანაშაული აქვს ვისმეს ისიც სამართალით ჩვენ გარდვისადოთ რაც სახელმწიფო ბეგარა არის ყოველთვის უკლებრაო გავიღოთ და საუკუნოთ ამ ერთგულებით მოვიქცეთ და თუ ამაზედ გავმტყუნდეთ მაშინ ნება გაქვსთ ყველას სადაც ამ თავდებების გვარი დახელოთ გარდაგვახდევინეთ. ამათის თხოვნითა დავწერე მე მოქალაქე ანტონ მემანდარბაშვი. მოურავი მირზას შვილი ბეჟან ამის დამწერნი ვარ და მოწამე.“<sup>3</sup>

მთავარმართებელ კნორინგის მიერ სახელმწიფო მრჩევლის კოვალენსკისადმი გაგზავნილ წერილიდან ირკვევა, რომ ლიახვისა და ფცის ხეობის ქართულ სოფლებში ოსების თავდასხმები და ადგილობრივი მოსახლეობის ძარცვა ძალზე ინტენსიური იყო. 1802 წელს ზაზა და ელიზ-ბარ მაჩაბლები ურჩი ისების დასაშოშმინებლად დახმარებას ხელისუფლებას სოხოვდნენ.<sup>4</sup>

ოსების დამორჩილების მიზნით, ხელისუფლებამ 1802 წლის მარტში კავკასიის გრენა-დერთა პოლკის ვიცე-პოლკოვნიკ სიმონოვიჩის ხელმძღვანელობით დიდი ლიახვის ზემო წელზე ჯარი შეიყვანა.<sup>5</sup> სიმონოვიჩმა ოსებისაგან მძევლები აიყვანა. გენერალ-ლეიტანანტ კნორინგის მიერ 1802 წლის 5 ივნისს კოვალენსკისადმი გაგზავნილ წერილში კითხულობთ: „ვინაიდან საქართველოს ხელისუფლებისადმი დაქვემდებარებული დიდი ლიახვისა და ფცის მოსახლე ოსები ქართულ სოფლებში ძარცვა-მტაცებლობას ეწევინენ და საკუთარ მოურავებს თავად მაჩაბლებს არ ემორჩილებოდნენ, ჩვენს მიერ ჩატარებული იქნა სამხედრო ექსპედიცია ვიცე-პოლკოვნიკ სიმონოვიჩის ხელმძღვანელობით. ექსპედიციის შედეგად მოხერხდა ოსების კანონიერი ხელი-სუფლებისადმი დამორჩილება, მათგან მძევლების აყვანა. 1802 წლის ბატონი სიმონოვიჩის მიერ დაწესდა დროებითი სასამართლოები, როგორც თავად მაჩაბლების ქვეშვრდომი ისებისათვის, ისე არაგვის და პატარა ლიახვის ოსებისათვის. ქეშელთის ოსებმა მისი სამპერატორო უდიდე-

<sup>1</sup> ი. მეგრელიძე, ექვთიმე თაყაიშვილი, თბ., 1989, გვ. 155; აკად. ე. თაყაიშვილის არქივი, თბ., 1972, ფ. 12.

<sup>2</sup> Акты, собранные Кавказской Археографической комиссией (АКАК), т. I, Тифлис, 1866, стр. 581-582, №765; 766.

<sup>3</sup> ხ.ეც. ფ. HD, №10664; გსიქ 8059, დავთ. I, გვ. 45, დავთ II, გვ. 157.

<sup>4</sup> История Юго-Осетий в документах и материалах (1864-1900 гг.), т. III, Цхинвал, Госиздат Юго Осетий, 1961, #89. [http://www.vostlit.info/Texts/Dokumenty/Kavkaz/XIX/1860- 1880/Ist\\_jugo\\_oset\\_III/index.htm](http://www.vostlit.info/Texts/Dokumenty/Kavkaz/XIX/1860- 1880/Ist_jugo_oset_III/index.htm)

<sup>5</sup> ადსანიშნავია, რომ ოსებთან მოლაპარაკებას აწარმოებდა ცნობილი განმანათლებელი ოანე იალღუზიძე, რომლისთვისაც როგორც მთავარმართებულ კნორინგისადმი გაგზავნილი ერთ-ერთი რაპორტიდან ჩანს (საგარაუდო, წერილის ავტორი ოსების დასამორჩილებლად გაგზავნილი ექსპედიციის ხელმძღვნელი ფეოდორ სიმონოვიჩი იყო), მომხსენებელს ყოველწლიური ჯამაგირის სახით 250 მანეთის დანიშვნა უთხოვია. [http://drevlit.ru/docs/kavkaz/XIX/1800-1820/Ist\\_jugo\\_oset\\_II/index.php](http://drevlit.ru/docs/kavkaz/XIX/1800-1820/Ist_jugo_oset_II/index.php)

ბულესობისადმი ერთგულების და საქართველოს ხელისუფლებისადმი მორჩილების ფიცი და-დეს.<sup>1</sup> როგორც დოკუმენტიდან ირკვევა, კნორინგის დავალებით სიმონოვიჩმა სამარაბლოში, ასე-ვე არაგვისა და პატარა ლიახვის ხეობაში მცხოვრები ოსებისათვის ღროებითი სასამართლოები დააწესა. სასამართლოს შემადგენლობაში, ხელისუფლების გადაწყვეტილებით, მაჩაბელთა სათა-ვადო სახლის ოთხი წარმომადგენლი შევიდა. აქედან, ზაზა და რევაზ მაჩაბლებს დიდი ლიახ-ვის ხეობაში მცხოვრები ოსების საქმეების მოწესრიგება ევალებოდათ, ხოლო ელიზბარ და ბარ-ძიმ მაჩაბლებს ფცისა და ქეშელთის ხეობებში მცხოვრებ ისთა საკითხები უნდა განეხილათ. სა-სამართლოში შედიოდნენ ისების მიერ არჩეული უხუცესებიც. როგორც დოკუმენტშია მითითე-ბული, ოსი უხუცესებიდან ზაზა და რევაზ მაჩაბლეს მიამაგრეს ელიზბარ ცხოვრებაშვილი და ქუჯანა ბარძიონაშვილი, ასევე რამდენიმე იასაული. აქედან ქართველები იყვნენ: მამუკა და ქაი-ხოსრო ზუბაშვილები, ქაიხოსრო და გოგია ბუგიანაშვილები, ოსები: გაჩა ელიზბაროვი, ზუგო ჯიოშვილი, აბელა ჯიოშვილი. სასამართლოს ამ ჯგუფს თავისი მდივანიც ჰყავდა – როსტომ ბეგთაბეგოვი (ბეგთაბეგიშვილი). ჯავაში შექმნილი ოსების სასამართლოს მეორე ჯგუფში, რო-გორც აღვნიშნეთ, შედიოდნენ ელიზბარ და ბარძიმ მაჩაბლები. ჯგუფის წევრები იყვნენ უხუცე-სები: ფავლენა ალხაზაშვილი, აბელა გაზაშვილი, ქუჯანა ლომქაცოვი და გაჩა ქელებსაშვილი. სასამართლოს მეორე ჯგუფის იასაულებად ქართველებიდან დანიშნეს გოგია ზუბაშვილი, კასრა-ძე, ოთარაშვილი (დოკუმენტში, როგორც ჩანს, სახელებია გამორჩენილი), პეტრე მაღალდაძე, ოსებიდან: დიტო გაბარაშვილი, ება ხარებაშვილი, ქეჯე თიბილაშვილი. ოსთა სასამართლოს აღ-ნიშნული ჯგუფის მდივანი იყო მღვდელი იოსებ ეფემიევი. სასამართლოს თარჯიშნობას უწევდა ნარში მცხოვრები ალექსი მამიევი. ოსებს უფლება ჰქონდათ ყოველწლიურად აერჩიათ თავიანთი წარმომადგენლები სასამართლოში, რომლებიც გორის სამოქალაქო სასამართლოს უნდა დაემ-ტკიცებინა. ოსებისათვის შექმნილ სასამართლოს უნდა ემოქმედა ქართული კანონმდებლობის შე-საბამისად, რუსული ხელისუფლების ზედამხედველობით. როგორც დოკუმენტშია აღნიშნული, სასამართლოს შეეძლო დროებითი ადგილსამყოფელი ჰქონოდა სოფელ ც(ხ)ოში. სასამართლოს წევრებს რეკომენდაცია ეძლეოდათ, რომ ოსებთან, როგორც „ახლად მოქაულ ხალხთან“, გარ-კვეული ლმობიერება გამოეჩინათ. სასამართლოს ასევე უნდა განეხილა ქურდობის, მოსახლეობის და პირუტყვის გატაცების საქმეები და ქონებრივი დავები. საკითხები, რომლებსაც ჯავის სასა-მართლო ვერ გადაწყვეტდა, გორის სამოქალაქო სასამართლოს გადაცემოდა.<sup>2</sup>

პატარა ლიახვისა და არაგვის ხეობებში მცხოვრები ოსებისთვის ასეთივე სასამართლო შე-იქმნა სოფელ ვანათში, სადაც ხელისუფლების გადაწყვეტილებით შედიოდნენ: მანუჩარ თუმანოვი (თუმანიშვილი) და გიორგი ხერხეულიძე. არაგვის ხეობაში მათი დამსმარენი იყვნენ ოსი უხუ-ცესები: გუსი ქოქოშვილი, დოვლათა ყულუბეგაშვილი, ჯაჩე უტიაშვილი. ვანათის სასამარ-თლოს არაგვის ხეობის განყოფილებას ჰყავდა ორი იასაული, ქართველი-სიმონ ასამბეგაშვილი (სოფელ ვანათიდან) და ოსი ხიკო (სოფელ უკედელიდან). ვანათის სასამართლოს იმ ნაწილს, რომელსაც პატარა ლიახვის ხეობის საკითხები უნდა განეხილა, ოსი უხუცესებიდან წარმოად-გენდნენ: აბელა ბესტავაშვილი, შავქუჯა ფუხაშვილი, პავლე ვალიშვილი. სასამართლოს აღნიშ-ნული განყოფილების იასაულები იყვნენ: გოგია ხადური (ეროვნებით ქართველი) და როსტომ იკაშვილი (ეროვნებით ოსი). ვანათის სასამართლოს მდივანი იყო სოფელ არბოში მოღვაწე მღვდელი გიორგი გვიმრაძე, ხოლო თარჯიშმანი - აზნაური აუშტროვი (შესაძლებელია, დოკუმენ-ტში გვარი დამახინჯებით იყოს მითითებული).

ჯავის სასამართლოს მსგავსად, ოსებს ვანათის სასამართლოშიც ჰყავდათ თავიანთი წარმო-მადგენლები. ვანათის სასამართლოს შემადგენლობა გორის სამოქალაქო სასამართლოს უნდა და-ემტკიცებინა.<sup>3</sup> დიდი და პატარა ლიახვის ხეობებში ოსებისთვის შექმნილი სასამართლოების მი-

<sup>1</sup> AKAK, т. I, стр. 588, №775.

<sup>2</sup> AKAK, т. I, стр. 583, №771.

<sup>3</sup> AKAK, т. I, стр. 583, №771; გ. სოსიაშვილი, ოსთა სასამართლოები დიდი და პატარა ლიახვის ხეობებში (XIX საუკუნის დასაწყისი), ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართულ-

ზანი მათი მხრიდან ქართულ მოსახლეობაზე თავდასხმების აღკვეთა იყო. თუმცა, ამის მიუხედავად, ოსების თვითნებობა კვლავ გრძელდებოდა, რასაც გენერალ-მაიორ ახვერდოვის მიერ 1810 წლის 17 მაისს საქართველოს მთავარმართებელ ტორმასოვის სახელზე შედგენილი პატაკიც ადასტურებს. ღოკუმენტში აღნიშნულია, რომ გასულ და მიმდინარე წელს გორის მაზრაში ოსების მიერ მკვლელობების, ყაჩაღობის და ხალხის გატაცების არაერთი დანაშაული იქნა ჩადენილი. დამნაშავეთა დასასჯელად საჯარისო ნაწილი მზადყოფნაში იყო, მაგრამ ოსებმა, როგორც კი შეიტყვეს ამის შესახებ, გორის მაზრის მარშლის თავად ციციანოვის (ციციშვილი) და აზნაურ იალღუზიძის (იოანე იალღუზიძე) მეშვეობით შერიგება ითხოვეს. ღოკუმენტში ასევე ნათქვამია, რომ რუსებმა მზადყოფნა გამოთქვეს უკან გამოიწვიონ ჯარი იმ პირობით, თუ ოსები აღარ დაარბევენ ქართულ სოფლებს, არ იყაჩაღებენ და შეწყვეტენ ხალხის გატაცებას და ხოცვას. სახაზინო ოსებზე ზედამხედველობა შანშე ერისთავს დაევალა, ხოლო მაჩაბელთა ფეოდალური სახლის საკუთრებაში მყოფ ოსებზე – რევაზ მაჩაბელს. საბუთში ხაზგასმულია, რომ სახაზინო ოსების მიმოსვლა ქართულ სოფლებში, ასევე ცხინვალში მოხდება თავად ერისთავის მიერ გაცემული სპეციალური საშვებით, ხოლო მაჩაბლების კუთვნილებაში მყოფი ოსები ბარში გადაადგილებისათვის ნებართვას რევაზ მაჩაბლისგან მიიღებდნენ.<sup>1</sup>

ხელისუფლების მიერ გატარებული ღონისძიებების მიუხედავად, დიდი და პატარა ლიახვის, ასევე ქსნისა და მეჯუდის ხეობებში ჩამოსახლებული ოსების მხრიდან მოსახლეობის ძარცვა-რბევა მაინც არ შეწყდა. 1807-1808 წლებში, დიდი ლიახვის ხეობაში, ოსების დაუმორჩილებლობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, შავი ჭირის გავრცელებასთან დაკავშირებით, ხელისუფლების მხრიდან დაწესებული შეზღუდვები იყო. რუსეთის ხელისუფლებამ ოსებთან ურთიერთობის ზომები გაამგაცრა. აიკრძალა ვაჭრობა. ოსებისათვის განსაკუთრებით მოთხოვნად პროდუქტების მარილი წარმოადგენდა. ხელისუფლების გადაწყვეტილებით დაინფიცირებული სოფლების სიახლოვეს გარგვეული რაოდენობის მარილი ჩაიტანეს. ეპიდემიის რისკის მქონე მოსახლეობას სპეციალური პირობების დაცვით შეეძლოთ გადაადგილება, პირუტყვის საძოვარზე ტარება და სხვ. მოეწყო სადეზინფექციო შესაკვამლები, ხოლო ოსების ბარში ჩამოსვლის შეზღუდვის და ეპიდემიის გავრცელების პრევენციის მიზნით დიდი ლიახვის ხეობის სოფელ თამარაშენში საგანგებო კარანტინი დაწესდა. 1807 წლის დეკემბერში მთავარმართებელი გუდოვიჩი სახელმწიფო მრჩეველს ლიტვინოვს წერდა, რომ ახლომდებარე სოფლების ყველა მაცხოვრებელს მიეცა უქმაცრუესი გაფრთხილება - არ იქნიონ მიმოსვლა ოსებთან და შეწყდეს სხვადასხვა დანიშნულების ნივთების მარილზე გაცვლა.<sup>2</sup> ოსური მოსახლეობა, რომელიც საკარანტინო შეზღუდვების გამო უკმაყოფილებას გამოთქვამდა მაიორ ზაიცოვის მეთაურობით რუსულმა რაზმა მორჩილებაში მოიყვანა.<sup>3</sup> როგორც 1808 წლის 2 აპრილით დათარიღებულ წერილში მთავარმართებელი გუდოვიჩი პოლკოვნიკ ახვერდოვს აცნობებდა, დაკავებული მეამბოხე ოსების ჩვენებით, ჯანყი დიდი ლიახვის ხეობის ქართულ და ოსურ სოფლებში იმ გარემოებით იყო გამოწვეული, რომ ოსურ სოფლებში გაჩენილი გადამდება ავადმყოფობის გამო, ოსებს ქართულ სოფლებში ჩასვლა ეკრძალებოდათ. მთავარმართებლის გადაწყვეტილებით, სურსათის და ტანსაცმლის შექნის მიზნით, ოსები ქართულ სოფლებში მხოლოდ მყაცრი კარანტინის პირობებით უნდა შეეშვათ.<sup>4</sup>

გახშირებული თავდასხმებისა და უმართავი სიტუაციის გამო, რუსულ ხელისუფლებას დიდი ლიახვის ხეობაში ჩამოსახლებული და სახაზინო უწყებაში გადასული ოსების მტკვრის ხეობის მეორე მხარეს გადასახლება ჰქონდა ჩაფიქრებული. მთავარმართებელ რტიშჩევის მიერ ვიცე-პოლკოვნიკ რენიერისადმი გაგზავნილ 1813 წლის 20 იანვრით დათარიღებულ წერილში ვკითხ-

ოსურ ურთიერთობათა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, V საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, მასალები, თბ., 2019, გვ. 254-257.

<sup>1</sup> АКАК, т. I, стр. 460, №636.

<sup>2</sup> გ. ხოსიაშვილი, საქართველოში ეპიდემიების გავრცელების ისტორიიდან, თბ., 2020, გვ. 129-130.

<sup>3</sup> გ. თოგოშვილი, ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობა 1801-1921 წლ. თბ., 1969, გვ. 9.

<sup>4</sup> Акты, собранные Кавказской Археографической комиссией, т. III, Тифлис, 1869, стр. 219, №393.

ულობთ: „მივიღე შიგრიკთა ესტაფეტით თქვენი ორი პატაკი და სრულად ვიწონებ თქვენ მიერ გაცემულ ყველა განკარგულებას, როგორც ქართლის სოფლებში მცხოვრებ სახაზინო და მემა-მულეთა საკუთრებაში მყოფ ოსებში მღელვარების ჩაცხრომის, ისე ოსეთის („ოსეთი“ პირობითი ტერმინია, იგულისხმება შიდა ქართლის მთიან ზოლში მცხოვრები ოსებით დასახლებული ტე-რიტორია-გ.ს.) ფარგლებს გარეთ მობინადრეთათვის სრულიად რუსეთის ქვეშევრდომობაში შეს-ვლის შეთავაზების შესახებ... თქვენი მეორე პატაკის შესახებ გაცნობებთ, რომ მე სავსებით ვე-თანხმები თქვენს წინადადებას ოსების მხრიდან ძარცვა-ყაჩაღობის და მკვლელობების აღსაკვე-თად სახაზინო საკუთრებაში მყოფ ყველა ოსის ერთად შეყრის და გაზაფხულამდე მტკვარს იქით და შემდგომ უფრო მოშორებით გადასახლების თაობაზე და აღნიშნულის განხორციელება თქვენი კეთილგონიერი განკარგულებისთვის მიმინდვია, რათა ყოველივე შესაძლო გართულებების გარეშე შესრულდეს. ამასთან ერთად, მოვითხოვ, წარმომიდგონოთ საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორის აზრი იმის თაობაზე, თუ სად უფრო მოხერხებული იქნება საგაზაფხულოდ ოს-თა მოშორებით დასახლება და თქვენც გთხოვთ წარმომიდგინოთ თქვენი მოსაზრება აღნიშნულის შესახებ. მემამულეთა საკუთრებაში არსებული ოსები თვით მემამულებს გადაეცეს ხელწერილე-ბით მასზედ, რომ ისინიც მოშორებით იქნებიან გადასახლებულნი და მათგან არანაირი მავნებ-ლობა არ იქნება...“<sup>1</sup>

დოკუმენტიდან ნათლად ჩანს, რომ ტერიტორიას, სადაც ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩამოსახ-ლებული ოსები ცხოვრებდნენ, რუსული ხელისუფლება მათ ისტორიულ საცხოვრისად არ მიიჩ-ნევდა. რუსი ჩინოვნიკების აზრით, მთიდან შიდა ქართლის ბარში მიგრაცია მეამბოხე ოსებს შე-დარებით გაანეიტრალებდა.

რუსულმა ხელისუფლებამ, მოგვიანებით, ოსების გადასახლება მტკვრის მეორე მხარეს გა-დაიფიქრა. აღნიშნული იდეის განხორციელებას, შესაძლოა, ხელი შეემალა „სამხრეთ ოსეთის“, ჯერ პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ტერმინის შექმნისათვის, შემდეგ კი ავტონომიური წარმო-ნაქმის ჩამოყალიბებისთვის. აქვე, უნდა ითქვას, რომ შიდა ქართლის მთიან ნაწილში ჩამოსახ-ლებული ოსების დაუმორჩილებლობას და შეიარაღებულ გამოსვლებს ხელს უწყობდა ქართველი ფეოდალების მიერ დაწესებული გადასახადების ზრდა. ადგილი ჰქონდა ქართველი თავადების მხრიდან ოსების თურქეთში გაყიდვის ფაქტებსაც. ამას ადასტურებს არქიმანდრიტ დოსითეოს ფიცხელაურის წერილი თავად გოლიციისადმი, რომელიც 1812 წლით თარიღდება: „ოსები ოდითგან საქართველოს მეფების და მათ მიერ განსაზღვრული თავადაზნაურობის უშუალო ხელქვეითები იყვნენ და იხდიდნენ მათ მიწებზე დაწესებულ გადასახადს. საქართველოს გუბერ-ნიებად დაყოფის შემდეგ ისინი იმ ზოგიერთი თავადის ხელში აღმოჩნდნენ, რომელთა შერიდან კავკასიისთვის ჯერაც გაუგონარ ძალადობას და სისასტიკეს განიცდიან. ეს არაადამიანური მფლობელები მათ ბავშვებს ართმევენ და ყიდიან, სტაცებენ ქონებას. ყოველივე ოსებს აიმულებთ ეზიზღებოდეთ ქართველები და მათი სარწმუნოება და ამავდროულად უბიძებებს მათ გაერთიან-დნენ სხვა კავკასიელ ხალხებთან ხელისუფლების საწინააღმდეგოდ, რადგან ფიქრობენ, რომ რუსეთი თუ მათ დაუუფლება, ისინი კვლავ ქართველი თავადების ქვეშევრდომები გახდებიან და იგივე უბედურებაში აღმოჩნდებიან...“<sup>2</sup>

დოსითეოს ფიცხელაურის მიერ რუსი მოხელისადმი წარდგენილი ინფორმაცია, ჩვენი აზ-რით, გაზვიადებულია. ფიცხელაურთა საგვარეულოს წარმომადგენელი ქართველი სასულიერო პირი, ქსნის ერისთავებთან (რომელთა საკუთრებაში არსებული ტერიტორიის მთიანი ზოლი ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩამოსახლებულ ოსებს ეკავათ), არცთუ სახარბიელო ურთიერთობაში იმყოფებოდა. იგი ცდილობდა რუსეთის ხელისუფლებისთვის ქართველ ფეოდალებსა და ოსებს შორის არსებული უთანხმოება კიდევ უფრო გაემძაფრებინა. დოსითეოს ფიცხელაურის რეკომენ-

<sup>1</sup> Акты, собранные Кавказской Археографической комиссией, т. V, Тифлис, 1873, стр. 516, № 609.

<sup>2</sup> Там же, стр. 48-49, № 82.

დაციით, ქართველ თავადებს უნდა ჩამორთმეოდათ ოსი ეროვნების ყმები და სანაცვლოდ ყოველ-წლიურად დანიშვნოდათ პენსია 1000 მანეთი გერცხლით.<sup>1</sup>

რუსი მოხელეების ოფიციალურ წერილებში შიდა ქართლის მთიან ნაწილში, კერძოდ, დიდი ლიახვის ხეობის ზემო წელზე, ოსების მხრიდან, ადგილობრივ მოსახლეობაზე თავდასხმების შესახებ უამრავი ფაქტი გვხვდება. საქართველოში ჩამოსახლებული ოსებიდან, მხოლოდ დიდი ლიახვის ხეობის ზემო წელზე მცხოვრები როდი ძალადობდნენ მკვიდრ ქართველებზე. როგორც აღვნიშნეთ, ბარის სოფლებს რაჭის მთებში დასახლებული ოსებიც ესხმოდნენ თავს და ტყვედ წაყვანილ ადამიანებს ჩერქეზებს აყიდებდნენ. გენერალ-მაიორ სიმონოვიჩის დავალებით გრიგოლ წერეთელმა წედისის ხეობაში მცხოვრებ ოსებზე იერიში მიიტანა და მათი რამდენიმე წინამძღვალი ტყვედ აიყვანა.<sup>2</sup> საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორის მიერ 1815 წელს გამოცემულ განკარგულებაში, რომლის ადრესატია ვიცე-პოლკოვნიკი მიხეილ ერისთავი, აღნიშნულია, რომ დიდი და პატარა ლიახვის, აგრეთვე ქანისა და მეჯუდის ხეობების ოსები საქონელს იტაცებენ, თავს ესხმიან და ხოცავენ მოსახლეობას. აღნიშნული საკითხების მოგვარებისა და წესრიგის დამყარების მიზნით, გუბერნატორმა მიხეილ ერისთავს დავალება მისცა, რათა ზედამხედველობა გაეწია აღნიშნული ხეობებისათვის. გუბერნატორის განკარგულების 4-ე პუნქტში ვკითხულობთ: „დარწმუნებული ვარ რომ აღნიშნული ქმედებები ოსებში სისხლხორციელად არის გამჯდარი, მაგრამ, როგორც ჩემთვის ცნობილია, ადგილობრივი მემამულები მეტად ავიწროებდნენ მათ ზედმეტი გადასახადებით ...გამოიჩინეთ მეტი ყურადღება და სიმკაცრე, რათა არა მარტო თქვენ, არამედ არც ერთმა თავადმა ერისთავების გვარიდან და არც ერთმა მაჩაბლების გვარიდან ამიერიდან აღარ შეავიწროვოს ოსები ზედმეტი გადასახადებით, მით უმეტეს, აღარ მიყიდონ მათი ბავშვები თურქებს, აღნიშნულის თაობაზე პირადად აცნობეთ თავად მაჩაბლებს და ერისთავებს და თუ მთავრობაში კვლავ შემოვა საჩივრები და თქვენი უყურადღებობის გამო ოსები კვლავ განაგრძობენ ძარცვა-ყაჩალობას, თქვენ და ყველა თავადი ერისთავებისა და მაჩაბლების გვარიდან პასუხს აგებთ საკუთარი ქონებით.“<sup>3</sup>

მთიან ნაწილში მცხოვრებ ოსთა დასახლებებში ხელისუფლების მხრიდან წესრიგის დამყარება რთული აღმოჩნდა. რუსი მაღალჩინოსნები ოსებთან მოლაპარაკებას აწარმოებდნენ. 1830 წელს ჯავაში ოსების წარმომადგენლები (18 ადამიანი) სახელმწიფო მოხელეებს შეხვდნენ. მორჩილების დასტურად მთავრობამ ოსებისაგან 4 მდევალი აიყვანა. ასეთივე მოლაპარაკება ქეშელთის ხეობის ოსებთან დაევალათ მაჩაბლებს, თუმცა, მათთან გამართულ დიალოგს შედეგი არ მოჰყოლია. რუსებმა, 1830 წელს, ქეშელთის ოსთა ბანდების დასამორჩილებლად სამხედრო ექსპედიცია ჩაატარეს. 1830 წლის 26 აგვისტოთი დათარიღებულ წერილში, რომელიც მთავარ-მართებელმა პასკევიჩმა სამხედრო მინისტრ ჩერნიშევს გაუგზავნა, აღნიშნულია, რომ რუსმა სამხედროებმა ქეშელთის ხეობაში ციხე-სიმაგრე კოლაში აღყა შემოარტყეს ოსთა ორ ყაჩალურ დაჯგუფებას. შეტევისას რუსებმა 4 მებრძოლი დაკარგეს. დაიჭრა 18 ჯარისკაცი. მომდევნო შეტაცებაში რუსებმა მთლიანად გაანადგურეს ოსი კოჩეშვილის ცნობილი ბანდა. დაატყვევეს 1 ოსი მებრძოლი. წერილში მითითებულია, რომ თავად ბარძიმ მაჩაბლის მიერ მოხდა მეორე, ქობისაშვილის ოსური ბანდის დაპატიმრება. სამხედრო ოპერაციის დროს გაათავისუფლეს ქობისაშვილის ბანდის მიერ წინა წელს დატყვევებული იმერელი, დაპატიმრებული ბანდის წევრები კი გორში გადაიყვანეს.<sup>4</sup>

ოსების აგრესიაზე ადგილობრივი ქართველების მიმართ მიუთითებდა XIX საუკუნის 20-იან წლებში საქართველოში ნამყოფი გერმანელი მოგზაური ედუარდ აიხვალდი. მისი ცნობით: „ქართლი, რომლის ქველი დედაქალაქი გორი იყო, მაღალ ხელისუფლებას მცირე სარგებელს აძლევს; მას უფრო მეტი ხარჯი აქვს, ვიდრე შემოსავალი. ის იმსახურებს, რომ აქ სიმშვიდე

<sup>1</sup> Там же.

<sup>2</sup> Там же, стр. 515, № 608.

<sup>3</sup> Там же, стр. 519, № 612.

<sup>4</sup> Акты, собранные Кавказской Археографической комиссией, т. VII, Тифлис, 1878, стр. 362-363, №302.

აღდგეს, რაც ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინ ოთა ყაჩალობით განუწყვეტლივ ირლვეოდა. ახლა ოსებმა თანდათან დაიწყეს ვაჭრობა და მეგობრული ურთიერთობა ქართველებთან და სომხებთან.<sup>1</sup>

როგორც გერმანელი მოგზაური წერს, ოსების თავდასხმებით განსაკუთრებით შეწუხებული ყოფილან ცხინვალში მცხოვრები ქართველები: „გორიდან ოცდაათიოდე ვერსზე ჩრდილოეთი, ცხინვალის იქითა მხარეს მთებში ოსები ცხოვრობენ. ახლა მათ ქალაქის მოსახლეობასთან ზავი და მშვიდობა აქვთ, რომლებსაც ადრე გაუთავებლად ძარცვავდნენ და ხოცავდნენ.“<sup>2</sup>

ოსების ადგილობრივ მოსახლეობაზე განხორციელებული თავდასხმები, ხალხურ მექსიერებას ისეთი ტერმინების სახით შემორჩა, როგორიცაა: „ოსიანობა“, „ოსობია“, „ოვსობა“.<sup>3</sup>

საზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩამოსახლებული ოსების დაპირისპირებას ადგილობრივ ქართველებთან არ ჰქონდა ეთნიკური ხასიათი. იმუამინდელი რეციდივები უმეტესწილად სოციალური შინაარსის იყო. ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩამოსული მთიელი ოსების მხრიდან შიდა ქართლის მკვიდრ ქართულ მოსახლეობაზე შემოტევას მხოლოდ სამეურნეო ნადავლის, ნაყოფიერი ადგილების ხელში ჩავდების მიზანი ჰქონდა. ისინი ბარის მაცხოვრებელთა მსგავსად, არ იყენებ შეჩვეული გადასახადების გადახდას, სახელმწიფო წესრიგით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას. ბინადარი ცხოვრება ოსებისთვის შედარებით უცხო იყო. მათი ხელისუფლებისადმი დაუმორჩილებლობაც დიდწილად ამ მიზეზით იყო განპირობებული.

*Giorgi Sosiashvili*  
*Gori State Teaching University*  
**GEORGIAN-OSSETIAN RELATIONS AND SAMACHABLO  
RESUME**

In the 17th century, Ossetians from the North Caucasus began to settle in the upper reaches of the Didi Liakhvi Gorge. By the first quarter of the 18th century, Ossetians lived only in the mountainous areas of the Didi Liakhvi Valley. Initially, the Georgian royal family facilitated the settlement of Ossetians from the North Caucasus in the Didi Liakhvi mountain range. Machabelis were also interested in the settlement of Ossetians from the north in the upper part of the Great Liakhvi gorge and in the development of mountainous areas. In this regard, they were supported by the royal government and given ownership of the acquired treasury lands.

At the beginning of the 18th century, the Machabelis owned not only the Ossetians who settled in the mountainous part of the Great Liakhvi Valley, but also the Dvals living in the Caucasus (possibly already assimilated with the Ossetians).

The settlement of Ossetians led to the complete destruction of the local population in a number of communities in Samachablo. Ossetians settling in Kartli robbed the local population. The influx of small groups of Ossetians into Georgia in the 17th century was still fragmentary. Numerous references to such episodes of Ossetian migration are preserved in Georgian narrative

<sup>1</sup> ედუარდ აიხვალდი საქართველოს შესახებ, გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და საძიებელი დაურთო გია გელაშვილმა, თბ., 2005, გვ. 116.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> ვ. იონიაშვილი, ნარკვევები კავკასიის ისტორიიდან, თბ., 2002, გვ. 208; გ. სოსიაშვილი, ოსიანობა და სამაჩაბლო, ცხინვალის სახ. უნივერსიტეტის ასპირანტთა და ახალგაზრდა მუნიკ-მუშაკთა I სამეცნიერო სესია, მოხსენებათა თეზისები, გორი, 2002, გვ. 10-11.

texts or documentaries. The attacks on the local population of Ossetians have remained in the public memory in the form of terms such as: "Ossetianism", "Ossobia", "Ovsoba".

It should be emphasized that the confrontation between the settled Ossetians and the local Georgians was not of an ethnic nature. The relapses of the time were largely social in nature. The invasion of the Georgian population of Shida Kartli by the Ossetians from the North Caucasus was aimed only at seizing agricultural products and fertile lands. They, like the inhabitants of the lowlands, were not accustomed to paying taxes, to fulfill their obligations under state order. Life in the lowlands was relatively foreign to Ossetians. Their disobedience to the government was also largely due to this reason.

კახაბერ ქებულაძე, იზოლდა რუსაძე  
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

რამდენიმე ეპიზოდი აკაკი წერეთლისა და კიტა აბაშიძის ურთიერთობიდან  
(ეძღვნება კიტა აბაშიძის დაბადებიდან 150 და აკაკი წერეთლის 180 წლისთავს)

თვალსაჩინო ქართველი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, გამოჩენილი ლიტერატურათმცოდნე, ქართული ლიტერატურის ისტორიის აღიარებული მკვლევარი, კრიტიკოსი, სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ერთ-ერთი დამარსებელი და ლიდერი კიტა აბაშიძე (1870-1917) თავის შემოქმედებაში მნიშვნელოვან ადგილს უთმობდა XIX საუკუნის მეორე ნახევრის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეურ ბელადებსა და ხელმძღვანელებს: ილია ჭავჭავაძესა და აკაკი წერეთელს. მთელი თავისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის მანძილზე ის უდიდესი მოწინებით ეპყრობოდა მათ და მიაჩნდა, რომ ილიასა და აკაკის სახელები ერთმანეთისა-გან განუყოფელი იყო. ისინი მთელ ეპოქას ქმნიდნენ ქართველი ხალხის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. კიტა აბაშიძე “პირდაპირ თაყვანს სცემდა” აკაკი წერეთელს. მას ჩვენი ხალხის “გულის მესაიდუმლებს” ეძახდა და მისი ეს გამოთქმა ფართოდ იყო გავრცელებული საზოგადოება-ში, – წერდა სერგი გერსამია<sup>1</sup>.

კიტა აბაშიძე აქტიურად მონაწილეობდა აკაკი წერეთლისადმი გამართულ საიუბილეო ღონისძიებებში. ამასთან დაკავშირებით 1908 წლის 19 დეკემბერს თბილისიდან გაგზავნილ ბარათში კ. აბაშიძე პეტერბურგში მყოფ ივანე ჯავახიშვილს სწერდა: „აკაკის იუბილემ დიდებული წუთები გაგვატარებინა სწორედ და იშვიათი გრძნობებით აღგვავს“<sup>2</sup>.

იმისათვის, რომ კარგად წარმოვაჩინოთ ამ ორი დიდებული ადამიანის დამოკიდებულება, რამდენიმე წინადადებით დავახასიათებთ ჯერ კიტა აბაშიძეს, როგორც საუკეთესო ორატორს, შემდეგ კი აკაკი წერეთელს, რადგანაც მათი ურთიერთობის სრულად ასახვა შეუძლებელია, თუ თითოეული მათგანის მახვილი გონება და მოსწრებული სიტყვები არ გავიხსენეთ.

აქ მოვიწველიებთ ს. გერსამიას ნაამბობს კიტა აბაშიძეზე: “როცა კიტა ლაპარაკობდა, აშ-კარად გრძნობდით ქართული მეტყველების სილამაზესა და მიმზიდველობას. მართალია, კიტა ზემო იმერეთიდან იყო და ზემო იმერლებს კი თავისებური აქცენტი აქვთ, მას ასეთი აქცენტების ნასახიც არ გააჩნდა. საერთოდ ვერც ხმაში, ვერც სიტყვების გამოთქმაში და ვერც სიტყვიერ მასალაში რაიმე კუთხურობას ვერ შეამჩნევდით”.

ქართველი ხალხი კიტას “საქართველოს ოქროპირს” უწოდებდა.

თავის მოგონებებში დიდად აფასებდა კიტას ორატორულ ნიჭის გრიგოლ გველესიანი: “ვი-საც კიტა უნახავს საჯაროდ მოლაპარაკე, ლექტორად თუ ორატორად დიდ კრებებზე, საზეიმო თუ სარევოლუციო გამოსვლებში, ყველა უეჭველად დამეთანხმება, რომ მისი სიკვდილით ქართველმა ერმა დაკარგა ერთი უდიდესი ბრწყინვალე ორატორიც, რომელიც ხან ტკბილი, მგოს-ნური ენით ესაუბრებოდა ხოლმე ვრცელ აუდიტორიას, ხან კი სჭექდა, გრგვინავდა მთელი არ-სებით აღფრთოვანებული”<sup>3</sup>.

იოსებ ბარათაშვილის შეფასებით: “ყველას ხიბლავდა კიტას მწყობრი, გაუჩერებელი, უმ-წიკვლო სიტყვიერება, ფერად-ფერად დაწყობილი აზრები, მკაფიოდ ჩამოყალიბებული, შემკული, სადად მოხაზული, რომლებშიც ჩაწნული იყო სპეტაკი და გულმშურვალე გრძნობა. კიტა იყო

<sup>1</sup> გერსამია ს., მოგონებები ქართველ მწერლებზე, კრებული „ლიტერატურის მატიანე“, №7-8, თბ., 1982, გვ. 52

<sup>2</sup> ჯავახიშვილის არქივი №113, საბ. №1544

<sup>3</sup> გველესიანი გ., კიტა აბაშიძის ხსოვნას, გაზეთი „სახალხო საქმე“, №132. 1917

სიტყვის ბეთჰოვენი... მან სავსებით შეიცნო და შეიგუა სამშობლოს ენის საიდუმლოება და გადა-ლახა ყოველივე დაბრკოლება”<sup>1</sup>. აი, როგორი მოქართულე ყოფილა კიტა აბაშიძე.

რაც შეეხება აკაკი წერეთელს, “აკაკისაც უყვარდა გამართული ქართულით საუბარი. მისი სიტყვა გამართულად მომდინარეობდა. არ იცოდა ზოგიერთივით აზრისა და სიტყვის ძებნის დროს შორისძებულ ბერათა აზმუილება. გამოთქმა პქონდა მკაფიო...” – აღნიშნავდა ილია ზუ-რაბიშვილი<sup>2</sup>. “...აკაკის ხავერდოვანი და მეტად მოქნილი კილო მეტყველებისა, რომელსაც ერთი ბეწვისოდენა წაბორძიყბაც არსად შეემჩნევდა, საოცრად იზიდავდა ადამიანს. როცა პოეტი საუ-ბარს დაასრულებდა, გული დაგწყდებოდათ, ნეტავ ერთხანს კიდევ ესაუბრაო”, – წერდა პოეტი დომენტი თომაშვილი<sup>3</sup>.

მიუხედავად იმისა, რომ კიტას დიდი მოყვარული აკაკი არასოდეს ყოფილა, პოეტი მაინც არ უარყოფდა მის ორატორულ ნიჭს. ასე იტყოდა ხოლმე: – ამ სიტყვის წარმომთქმელი კიტა რომ არ იყოს, გეგონებათ დიდ ორატორს ვუგდებ ყურსო. მას კიტა აბაშიძის სიტყვაში მოსწონდა არა მარტო ლაპარაკის მანერა და მისი ტემპერამენტი, არამედ მისი ქართული ენაც.

– კარგი ორატორია, მაგრამ გრიშა აბაშიძეს მაინც ვერ შეედრებაო, – იტყოდა აკაკი და თან ვრცლად გადმოგვცემდა გრიშა აბაშიძის ორატორული ნიჭის დამადასტურებულ ფაქტებს” – იხსენებდა კოკი აბაშიძე<sup>4</sup>. ე. ი. აკაკი წერეთელი საზოგადოების ღირსეული წევრების მიერ კიტას დახასიათებას ვერ უარყოფდა,

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ აკაკი წერეთლისა და კიტა აბაშიძის პირადი ურთიერთობა სწორხაზოვანი არ ყოფილა, რაც იმდროინდელ პრესაში და შემდეგ მემუარულ ლიტერატურაში აისახა. 1909–1910 წლებში მათ შორის უკამყოფილება ჩამოვარდნილა, რისი მიზეზიც ის პენ-სია იყო, რომლის დანიშვნას აკაკი ითხოვდა ბანკის გამგეობისაგან (თავ-რე კიტა აბაშიძე). საკითხის განხილვის დროს კიტას აკაკის მხარე დაუჭირია. ბოლოს კი უთქვამს: ბანკს პენსიის დანიშვნის უფლება არა აქვს, რადგან წესდებით ასეთი ხარჯები გათვალისწინებული არ არისო. ბანკის გამგეობას კიდევაც, რომ დაენიშნა პენსია აკაკისათვის, ფინანსთა მინისტრი მაინც არ დაამტკიცებდა. მართალია, კიტა აბაშიძემ და ბანკის გამგეობამ მოითხოვეს, საკითხი განსახილველად გადაეტანათ მრეწველთა საბჭოში, რომელიც ვალდებული იყო აკაკის მოთხოვნა დაეკმაყოფილებინა, მაგრამ ამ მომენტით ისარგებლეს კიტა აბაშიძის მტრებმა და აკაკი წერეთელი კიტას წინააღმდეგ განაწყვეს. რაც შეეხება ჩვენი ქვეყნის მგოსანს, მან “მტერ–მოყვრების მიერ მოტანილი სიტყვები დაიჯერა და კიტას დაემდურა”. აკაკის შეხედულებანი კიტა აბაშიძის შესახებ კარგად აქვს გადმოცემული კოკი აბაშიძეს თავის მოგონებებში, სადაც ის გულწრფელად ახასიათებს რა აკაკის თავისებურებებს, იხსენებს შემდეგს: “აკაკის მეტად მწარე ენა პქონდა, გესლიანი. მე ყოველთვის მიკვირდა და ვერ ამესნა მიზეზი ამ გესლისა... შეიძლება ზოგჯერ ეს გესლიანი სიტყვა, გონებამახვილური რეპლიკა ბოროტი გულით არ იყო თქმული”... შემდეგ ის გადმოგვცემს თავის მოსაზრებას კიტასთან აკაკის დამოკიდებულების შესახებ: „არ ვიცი, რა მიზეზის გამო, მაგრამ საშინლად არ უყვარდა კიტა აბაშიძე. შეიძლება მიზეზი ამ უსიყვარულობისა ის იყო, რომ კიტასაც არანაკლებ გესლიანი ენა პქონდა და საკმარისი გავლენა საზოგადოებაში. ცნობილია აკაკის სიტყვა კიტას შესახებ თქმული: “კიტა აბაშიძე სოფელ კაცხიდან იყო. სოფელი კაცხი თუმცა მთიან ადგილას არის გაშენებული, მაგრამ ბუნება იქ არც ისე მომხიბ-ვლელია. ხე და მცენარე ამ სოფელში მეტად უსწორ-მასწორა. აკაკიმ ერთხელ კიტას შესახებ თქა: “კაცხში ხე არ არის სწორი და ადამიანი როგორ იქნებაო”<sup>5</sup>. ამ ნათქვამმა კიტამდეც მიაღწია, მაგრამ მას აკაკის ძვირი ვერ დააცდენინეს”.

<sup>1</sup> ბარათაშვილი ი., ვინ დავგარგეო, გაზ. “სახალხო საქმე”, №132, 1917

<sup>2</sup> ზურაბიშვილი ი., მოგონებები აკაკიზე, თბ., 1990, გვ. 194

<sup>3</sup> თომაშვილი დ., მოგონებები აკაკიზე, თბ., 1990, გვ. 214

<sup>4</sup> აბაშიძე კ., მოგონებები აკაკიზე, თბ., გვ. 31

<sup>5</sup> ფალავა დ., ოთხი წელი აკაკისთან, უურნალი „მნათობი”, №7. 1936

აკაკის მწარე ენის შესახებ ალექსანდრე აბაშელიც გვიამბობს: “აკაკი ახალგაზრდა მწერალს, რომ შეაქებდა, ბოლოს ისეთ რამეს დაატანდა, ქებისგან არაფერი რჩებოდა”<sup>1</sup>.

ს. გერსამიას გადმოცემით, კიტა აკაკის შესახებ ხშირად ამბობდა: “აკაკი მე უსამართლოდ მეპყრობა, მაგრამ ამაში დამნაშავე არიან ჩემი მტრები, რომლებიც აკაკის სუსტი ხასიათითა და მოხუცებულობით სარგებლობენ და გულში ჩემს სიძულვილს უნერგავნ. იციან აკაკის გავლენა ხალხში, ამიტომ ყოველივე უმართებულობას ალაპარაკებენ ჩემს წინაღმდეგ და ამით სურთ ხალხში სახელი გამიტეხონო”<sup>2</sup>. კიტამ ბევრჯერ სცადა აკაკისთან საერთო ენა გამოეხახა და შერიგებოდა, მაგრამ იმავე “მტრე-მოყვარეთა მეობებით” ასეთი ცდა უშედეგოდ დამთავრებულა.

აკაკი წერეთელს კიტა აბაშიძე მისი ნამდვილი მტრი ევონა. ამიტომაც იყო, რომ აკაკი შანიძესთან შეხვედრის დროს აკაკის ასეთი სიტყვები წარმოუთქვამს: კიტა აბაშიძე ისეთი კაცია, რომ ჩემი სისხლის შესმაზე უარს არ იტყვისო<sup>3</sup>. “აკაკი ისე გარდაიცვალა, რომ კიტას-თვის ხმა არ გაუცია, ხოლო თვით კიტა ბოლომდე მისი ერთგული დარჩა”<sup>4</sup>.

ერთ-ერთი, ვინც კიტასა და აკაკის ურთიერთობის შესახებ ამახვილებს ყურადღებას, სხვიტორის მცხოვრები სპირიდონ ზაბახიძეცაა. მისი მონათხრობის მიხედვით, აკაკიმ არაფრად ჩააგდო 1906 წელს სახელმწიფო სათათბიროში საგუბერნიო მასშტაბით წამოყენებული ფედერალისტი ვარლამ გელოვანი და თვითონაც მიიღო მონაწილეობა არჩევნებში. მასზე ქუთაისიდან ჩასულმა დელეგაციამ (კიტა აბაშიძე და დავით აბდუშელიშვილი) ზემოქმედება ვერ მოახდინა. კიტას აკაკი გაუფრთხილებია, გაშავდებიო. მართლაც არჩევნებში აკაკი გაშავდა. ასევე მარცხი განიცადა აკაკიმ 1912 წელს IV სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებშიც, სადაც კენჭის კიტა აბაშიძე იყრიდა<sup>5</sup>. სწორედ ამ ამბის გამო მისებურად უხუმრია აკაკის: მთელი ცხოვრება იმას ვნატრობდი, რომ ყველა ქართველი ჩემზე უკეთესი ყოფილიყო...<sup>6</sup>.

კიტა აბაშიძემ თავის წიგნში “ეტიუდები მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურის შესახებ” ცალკე სპეციალური ნარკვევი მოუძღვნა აკაკი წერეთლის შემოქმედებას. აქ კრიტიკოსი მაღალ შეფასებას აძლევდა აკაკის პოეტურ ნიჭს. მიაჩნდა იგი ერთ-ერთ მშენებად ქართული პოეზიისა. ის თავისი შემოქმედებით “აცისკროვნებდა ჩენის ლიტერატურას”. უწოდებდა მას ჩენი ქვეყნის “მეჩონგურესა და მესალამურეს”, „ნაზ ბულბულს”, რომელსაც სამშობლოს ჭირ-ვარამი გულთან ახლოს მიჰქონდა.

კრიტიკოსის აზრით, აკაკი წერეთელი ამ ნახევარი საუკუნის განმავლობაში “სანთელი იყო, რომელიც მყუდროდ, უხმოდ და უძრავად დნება, ვით მსხვერპლი დიალი, რომ მადლით გაასპეტაკოს უწვდომელი წყვდიადი”<sup>7</sup>.

აკაკი წერეთლისადმი კიტა აბაშიძის დამოკიდებულება განსაკუთრებით ნათლად აისახა დიდი პოეტის დაკრძალვასთან დაკავშირებით წარმოოქმულ სიტყვაში, რომელიც ქართული მჭევრმეტყველების ერთ-ერთ ბრწყინვალე ნიმუშადაა მიჩნეულია. აკაკის საფლავთან კიტა აბაშიძემ თქვა: “აჲა, დაიმსხვრა ჭურჭელი ძვირფასი... დარჩა უკვდავი, ღვთაებრივი ნექტარი, იგი არ დაღვრილა. იგი დაიყო და ქართველი ერის სულის უკვდავ ნაწილად იქცა...”<sup>8</sup>. კიტა აბაშიძის ამ სიტყვამ დიდი გავლენა მოახდინა საზოგადოებაზე. სამსონ ფირცხალავა თავის მოგონებებში წერდა: „...იშვიათი მჭერმეტყველებით იყო წარმოოქმული კიტა აბაშიძის სიტყვა, უკეთესი მე არასოდეს გამიგონია. ვერცხლის ხმასავით გაისმა მისი წარმოოქმული: „აჲა, დაიმსხვრა ჭურჭე-

<sup>1</sup> აბაშელი ა., მოგონებები აკაკიზე, თბ., 1980, გვ. 15

<sup>2</sup> გერსამია ს., დასახ. ნაშ., გვ. 53

<sup>3</sup> შანიძე ა., მოგონებები აკაკიზე, თბ., 1990, გვ. 46

<sup>4</sup> გერსამია ს., დასახ. ნაშ., გვ. 53

<sup>5</sup> ხახანაშვილი დ., აკაკი წერეთლის ზოგიერი ნაწარმოების შესახებ, უკრ. „განთადი”, №3. 1990, №3

<sup>6</sup> ბაქრაძე ა., აკაკი წერეთელი, უკრ. „განთადი”, №11-12, 1991

<sup>7</sup> აბაშიძე კ., ილია და აკაკი (მოძღვარი და წინასწარმეტყველი), კიტა აბაშიძის ნარკვების კრებული „ცხოვრება და ხელოვნება”, თბ., 1970, გვ. 291

<sup>8</sup> გაზ. „თემი” 1915, №207

ლი ძირფასი!” ერთბაშად დაატყვევა ყველა და სულგანაბული, აღტაცებით უსმენდნენ დასასრულამდე”<sup>1</sup>.

თვით კიტა კი თბილისიდან გაგზავნილ ბარათში 1915 წლის 13 თებერვალს პეტერბურგში მყოფ გიორგი ზდანოვიჩს აკაკის დაქრძალვის შესახებ აცნობებდა: „.... გუშინდელ დღემდე ერთი საათი თავისუფალი არ მიშოვია. სულ აკაკის დასაფლავებას და მის მოწესრიგებას მოუნდით. დიდი ამბავი იყო ჩვეულებრივად. ერთი კარგი იყო, რომ ყველანი როგორდაც „შევრიგდით”, ხმას მაინც ვცემდით. საინტერესო იყო რეინიგზაში 6. უორდანია, 6. ნიკოლაძე, გ. ლასხიშვილი და მე ერთ ბანქში ვიბრძოდით დღეგანდელი ვითარების გამო, ე. გეგეშქორი, ს. კედია და სხვა ჩვენი „ახალგაზრდა ამხანაგები” მეორეში. ძალიან მოგეფერეთ და მერე ე. გეგეშქორმა იმით შეგვარიგა - თქვენ ბებრები ხართო, რის წინააღმდეგ აღარაფლის თქმა აღარ შეიძლებოდა. იქნებ მართლაც მოხდეს ჩვენ შორის რამე შეთანხმება. ეს იქნებოდა უდიდესი ბედნიერება ჩვენი ქვეყნისთვის”<sup>2</sup>.

1915 წელს ქართული კულტურის მოყვარეთა საზოგადოება სთხოვდა კიტა აბაშიძეს, სიტყვით გამოსულიყო აკაკი წერეთლის ხსოვნისადმი გამართულ დილაზე. კიტაშ სიტყვა მოამზადა, მაგრამ, სამწუხაროდ, ავადმყოფობის გამო იქ გამოსვლა ვეღარ მოახერხა და ვერც ამ დილას დაესწრო, თუმცა მისი სიტყვის ტექსტი კი გამოქვეყნდა. კიტა აბაშიძის სიტყვაში მოცემულია ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის დახასიათება, ნაჩვენებია მათი როლი ქართველი ხალხის სულიერ ცხოვრებაში. კრიტიკოსს მიაჩნდა, რომ ილიასა და აკაკის ღვაწლის დაფასება ქართველი ხალხის პრეროგატივაა. იგი წერდა: „ილიასა და აკაკის ნიჭის სასწორი ქართველი ერის გულია და ამ სასწორის აზარმაცი ქართველი ერის გონება; ერს მათვის საუკუნო სანეტარო ადგილი აქვს მიჩნეული მის გულში და არასოდეს სასწორი არც ერთისაკენ არ გადაიხრის.

ილია მოკვდა, როგორც წინასწარმეტყველი ქვით ჩაქოლილი, ეკლის გვირგვინით მორთული და ამგვარად მისი სიკვდილი მშვენიერი და წარმტაცი, სამარადისო სახე იქმნა მოყვასთათვის თავდადებული მოძღვრისა.

აკაკის სიკვდილმა აღუბეჭდა სახეზედ საუკუნო, წარუხოცელი ხატება წინასწარმეტყველისა და მით დაადასტურა სიდიადე მის მოძღვრებისა.

ილიას ეკლის გვირგვინი საბედისწერო საფეხური იყო აკაკის დაფნის გვირგვინისა. აკაკის დაფნის გვირგვინში სინანულის ცრემლები იყო ჩაწნული. იგი აუცილებელი შედეგი იყო ილიას ეკლის გვირგვინისა. ამ ორ დიად მოძღვართა აღსასრულიც კი განუყრელი წინასწარმეტყველური, მასწავლებელი სახება შეიქმნა „სიმწრისა გამაძლარისა და ნაღვლითა დამთვრალის ქართველი ერის ცხოვრებისა” (ხაზგასმა ავტორებისაა)<sup>3</sup>.

უფრო უკეთესად ილიას და აკაკის შესახებ XX საუკუნის 10-იან წლებში არავის არაფერი უთქვაშს.

<sup>1</sup> ფირცხალავა ს., მოგონებათა ფურცლები, თბ., 1988, გვ. 98

<sup>2</sup> ზდანოვიჩის არქივი №6416, საბ. №1997

<sup>3</sup> აბაშიძე კ. დასახ. ნაშრ., 1970, გვ. 517-525

*Kakhaber Kebuladze, Izolda Rusadze*

*Akaki Tsereteli State University*

**SEVERAL EPISODES FROM THE NON-UNITY OF AKAKI TSERETELI AND KITA ABASHIDZE**

**(DEDICATED TO THE 150TH ANNIVERSARY OF THE BIRTH OF KITA ABASHIDZE  
AND THE 180TH ANNIVERSARY OF AKAKI TSERETELI)  
RESUME**

In the ideological inheritance of an outstanding Georgian statesman and critic Kita Abashidze (1870-1917) an important place is occupied by Akaki Tsereteli's works and personality. K. Abashidze worshipped Akaki, called him a „confidant of our people's heart“ and this saying went worldwide into the public.

Kita Abashidze was actively involved into the activities devoted to Akaki Tsereteli's jubilee celebration. In his letter of December 19, 1908 to Ivane Javakhishvili who was in Petersburgh at that time he wrote: „Akaki's jubilee made us feel glorious moments and filled us with exquisite emotions“.

It's noteworthy that the personal relationships of Akaki Tsereteli and Kita Abashidze were not always smooth which is reflected in press and memoires of that period. Sometimes it went far to the newspapers polemics. Very often it was due to Akaki's and Kita's personal enemies. This is retold by Sergo Gersamya: „Akaki and Kita had been in good and close relationship for a long time until 1909-1910, when a kind of discontent started. S. Gersamya believes it was initiated by Akaki who initiated the ill-attitude“.

Unfortunately Kita Abashidze could not attend the social for his illness but the text of his speech was published and there was given an essence of Ilya's and Akaki's activities, their role in the spiritual life of the Georgian people.

Kita Abashidze believed the assessment of Ilya's and Akaki's deeds was the prerogative of the Georgian people. He wrote: „the scales of Ilya's and Akaki's talent is a Georgian people's heart and mind, the nation has placed them deep in his heart and the scale won't be bend to any side.“

Ilya died as a prophet with a thorn crown and his death was splendid and his image will be eternal as the master devoted to the people.

Akaki's death traced an everlasting image of a prophet on his face and his death proved the greatness of his script.

Ilya's thorn crown was a fatal stage of Akaki's laural one. There were tears of.

The end of the two great masters created the image of inseparable prophets and masters in the history of the Georgian nation filled with worries and sadness“.

Nothing like that was said about Ilya and Akaki in the 10s of the 20th century.

დავით ჩოჩიშვილი  
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

**ებრაელები და ქართული ეკონომიკა (მე-19 საუკუნის მეორე ნახევარი)**

საქართველოში ებრაელთა დამკვიდრებისა და ცხოვრების მრავალსაუკუნოვან ისტორიაში ებრაულმა დიასპორამ დამკვიდრა ადგილი, როგორც აღებ-მიცემობისა და სავაჭრო ურთიერთობების წამყვანმა ფენამ. ებრაელი ვაჭრები საუკუნეების განმავლობაში ითვისებდნენ ახალ-ახალ სავაჭრო სივრცეებს, ეწეოდნენ იმპორტსა და ექსპორტს, რითიც მნიშვნელოვან ეკონომიკურ და-საყრდენს უქმნიდნენ ქვეყანას. მას შემდეგ, რაც საქართველო რუსეთის მიერ იქნა ანექსირებული, მოსახლეობის მიმართ დამოკიდებულება ცარიზმის მიერ მკეთრად შეიცვალა. ეროვნული ჩაგვრის უზარმაზარ სივრცეს, რაც რუსეთის უკიდევანო იმპერიის მთლიან სივრცეში ხდებოდა, დაემატა საქართველოც. საქართველოში მცხოვრები ადამიანები, განსაკუთრებით კი ებრაელები იმ საერთო ველიკორუსული პოლიტიკის მარწუხებში მოექცნენ, რომელშიც ქართველი ხალხიც იტანჯებოდა.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში კაპიტალიზმის განვითარებამ თავისი შედეგი საქართველოშიც მოიტანა. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის იმპერია ევროპულ ქვეყნებთან შედარებით საკმარის ჩამორჩენილი იყო, კიდევ უფრო მეტი იყო ჩამორჩენა საქართველოში. საგლეხო რეფორმის შემდეგ გლეხობამ მიიღო ნანატრი თავისუფლება. მართალია, მეტწილ შემთხვევებში ეს თავისუფლება შედარებით პირობითი იყო, მაგრამ მოსახლეობის უფრო უნარიანმა ნაწილმა შეძლო სწრაფად აეღო აღლო კაპიტალისტური მუჟრნეობისათვის. იმპერიის უკიდევანო სივრცეებში მაინც შენდებოდა ინფრასტრუქტურა (გზები, რკინიგზა...), ასევე ფაბრიკები და ქარხნები, რომლებიც მრეწველობის განვითარებას უწყობდა ხელს. 70-იანი წლებიდან საქართველოში კიდევ უფრო გაიზარდა ქვეყნის მასშტაბით ფაბრიკებისა და სხვა სამრეწველო დაწესებულებების რაოდენობა. მაგ. 1873 წელს თბილისის გუბერნიაში იყო 463 საწარმო, 1881 წელს-710, 1891 წელს-2170, 1898 წელს-3899. რაც შეეხება ქუთაისის გუბერნიაში-1881 წელს იყო 299 საწარმო, 1891 წელს-409, 1893 წელს-1297<sup>1</sup>. როგორც ამ მონაცემებით ირკვევა, თბილისის გუბერნიაში 25 წლის მანძილზე საწარმოების რიცხვი 8-ჯერ გაზრდილა. ქუთაისის გუბერნიაში კი -4 ჯერ და უფრო მეტად. ეს, თავისთავად, გულისხმობდა საწარმოებისთვის აუცილებელი ინვენტარის ან ამ საწარმოების მიერ წარმოებული პროდუქციის გაყიდვა/გასაღების პროცესს.

70-იანი წლების ეკონომიკის განვითარებას ხელს უწყობდა რკინიგზის გაყვანა სამხრეთ კავკასიაში, რომლის პირველი ხაზის მშენებლობა 1865 წლიდან დაიწყო. ბუნებრივია, ერთმანეთს უკავშირდება ქვეყნის სხვადასხვა ნაწილები, ქალაქი სოფელს, რკინიგზის საკვანძო ადგილებსა და სოფლებში იყრება კაპიტალისტური ურთიერთობები, გაღატაკებული ლუმპენპროლეტარიატი იაფი მუშახელით ამარაგებს ქალაქში აღმოცენებულ სხვადასხვა სახის საწარმოებს.

ბატონიშვილის გადავარდნამ და ეკონომიკის გამოღვიძებამ, ბუნებრივია, ქვეყანაში ვაჭრობის გამოცოცხლებაც გამოიწვია. ვაჭრობის განვითარებამ, თავის შხრივ, გამოიწვია პროდუქციაზე მოთხოვნა. აგრეთვე გაიზარდა მოთხოვნა ფულზე. საქართველოში იმპორტირების რამდენიმე გზა არსებობდა-1. ევროპული საქონელი შემოდიოდა შავი ზღვით (საქონელი შემოდიოდა ფოთში და აქედან თბილისში გადაპერდათ ურმებით. მაგრამ ეს გზა ძალიან ძვირი ჯდებოდა და არ იყო მომგებიანი, ვინაიდან ქვეყნის შიგნით გადაადგილება მეტი ჯდებოდა, ვიდრე პარიზიდან, ლონდონიდან ან ბელგიიდან ფოთამდე ჩამოტანა). 2. რუსული საქონელი შემოდიოდა ნიუნი ნოვგო-

<sup>1</sup> პაპისმედოვი ი., საქართველოს ებრაელთა აღებ-მიცემობის ისტორიისათვის, საქ. ებრაელთა ისტ. ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომები, I-II-III, თბ., 2014, გვ. 504.

როდის ბაზრობიდან ვოლგა-ასტრახანის მიმართულებით. აქედან ნავებით გადაპქონდათ ზღვაზე და ბაქოში ტვირთავდნენ. შემდეგ აქლემებით გადაპქონდათ კავკავში და ამინდის მიხედვით საქართველოს სამხედრო გზის გამოყენებით ჩამოპქონდათ თბილისში. 3. აზიური საქონელი შემოდიოდ ირანიდან და თურქეთიდან. განსაკუთრებით გამოცოცხლდა ვაჭრობა მას შემდეგ, რაც საზღვაო ქალაქების სავაჭრო დატვირთვა გაიზარდა. მაგ. ბათუმის პორტში 1899 წლისთვის საქონლის ბრუნვის ღირებულებამ 91 მილიონი მანეთი შეადგინა. ამ წლის განმავლობაში პორტში შემოსულა 1309 გემი. ბათუმიდან მარტო ნავთობის ექსპორტი არ ხდებოდა. გაპქონდათ სიმინდი, თამბაქო, ლვინო, ბერეზელი, მატყლი, აბრეშუმი, ბამბა, ხალიჩები, კერამიკული ნაწარმი, კაკლის ხე, კაკლის ზეთი, მუხის ტექჩი, პალმის ხე, კვერცხი და სხვა<sup>1</sup>. შემოპქონდათ რკინა, ფოლადი, ცემენტი, მარსელის კრამიტი, ცეცხლგამძლე აგური, პურის ფევილი, ჩაი, სამრეწველო საქონელი და სხვა<sup>2</sup>. კაპიტალისტური ურთიერთობების განვითარებამ კერძო საკუთრების განვითარება გამოიწვია. საქართველოში სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები ფლობდნენ სხვადასხვა სახის ქონებას. მაგალითად მე-19 საუკუნის დასასრულისთვის ბათუმში არსებული 366 საწრმოს მეპატრონეების ეროვნული კუთვნილება შემდეგი იყო:

ეროვნება	შედარებით მსხვილი საწარმო	საშუალო სიდიდის საწარმოები	მცირე საწარმოები
ქართველების საკუთრება	1	62	232
სომხების საკუთრება	7	61	257
რუსების საკუთრება	1	13	66
ბერძნების საკუთრება	4	54	184
თურქების საკუთრება	-	4	123
ებრაელების საკუთრება	5	22	51
სპარსელების საკუთრება	1	5	65

როგორც ცხრილიდან ჩანს, ბათუმში ებრაელებს შედარებით მსხვილი საწარმოების რაოდენობით მეორე ადგილი უკავიათ, საშუალო სიდიდის საწარმოებში-მეოთხე, მცირე საწარმოების მხრივ კი მეექვსე.

ბუნებრივია, კაპიტალიზმის განვითარებას საქართველოში გარკვეულ მიმართულებას აძლევდა რუსეთის იმპერიაში მიმდინარე პროცესები. 1887-1892 წლებში რუსეთის იმპერიის საერთო ეროვნული პროდუქციის ზრდის ტემპმა 4,9% შეადგინა. 1893 წელს-8,1%. მე-19 საუკუნის 90-იან წლებში საერთო ეროვნულ პროდუქციაში ცენტრალური სამრეწველო რეგიონების ხვედრითი წილი 31%-იდან 6,9%-მდე შემცირდა, თუმცა რეგიონი მაინც ინარჩუნებდა პირველ ადგილს იმპერიის მასშტაბით.<sup>3</sup>

უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ევროპული და აზიური სავაჭრო ბრუნვა რუსული საქონლის და რუსეთიდან შემოტანილი იმპორტული საქონლის მქევთო ზრდით აღინიშნება. გაზრდილი სავაჭრო ურთიერთობები საფინანსო-საკრედიტო მომსახურების აუცილებლობასა და განვითარებას მოითხოვდა. 1866 წელს თბილისში დაარსდა სახელმწიფო ბანკის განყოფილება, რომლის წლიური ბრუნვა 130 მილიონ მანეთს უდრიდა. იყო ასევე კომერციული ბანკი, სათავადაზნაურო ბანკი (1871 წელს), საბანკო კანტორა, გამსესხებელი სალარო... თანხის საერთო ბრუნვა 612 728 755 მანეთს უდრიდა.

<sup>1</sup> ჯოლბორდი მ., ლიპარტელიანი ნ., ქართველი და უცხოელი მეწარმეების სამეურნეო-საქველმოქმედო საქმიანობა საქართველოში (XIX საუკუნის - XX საუკუნის I მეოთხედი), თბ., 2016, გვ. 36

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> გურული ვ., საქართველოს ახალი ისტორია (1801-1918), წიგნი 3, თბ., 2019, გვ. 107.

60-იანი წლებიდან საქართველოში ევროპული საქონელის მატება შეინიშნება აზიურთან შედარებით. თუ საზღვარგარეთიდან 1865 წელს ევროპული საქონლის რაოდენობა 3,790 მლ. აღწევდა, 5 წელში მისმა რაოდენობამ 7,599 მლ.-ს გადააჭარბა. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ განუწყვეტლივ მატულობს ევროპაში საქონლის იმპორტ-ექსპორტი. საქართველოში განხორციელებული რეფორმების შედეგად სავაჭრო საქმიანობაში მოსახლეობის წილი იზრდებოდა. ეს ზრდა თვალსაჩინოა როგორც ქართველი ეროვნების მოსახლეობაში, ასევე არაქართველებში (კერძოდ სომხები და ებრაელები). მოსახლეობის ნაწილისთვის ვაჭრობა საკმაოდ სარფიან ხელობად იქცა. საქართველოს ეპონომიკაში ვაჭრობის ხეველრითი წილიც თანდათან მატულობდა, რაც დადგითად აისახებოდა ქვეყნის საერთო სურათზე. საქართველოში ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება (რკინიგზის, გზებისა და ხიდების მშენებლობა, ქალაქების ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, საპორტო ქალაქების განვითარება...) განაპირობებდა როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოელი ვაჭრების გააქტიურებას. საქართველოში შემოღილდა უცხოური კაპიტალი, არსდებოდა სხვადასხვა სახის საწარმოები, სადაც ხდებოდა ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმება. ბაქოს ნავთობის მოპოვების გაზრდა ასევე ხელს უწყობდა საპორტო ქალაქების და იმ დასახლებული პუნქტების განვითარებას, სადაც რკინიგზა გადიოდა.

მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში სავაჭრო კავშირ-ურთიერთობები ჰქონდათ ძირითადად ახალციხესა და ქუთაისში მცხოვრებ ებრაელებს. მიუხედავად იმისა, რომ „თურქეთიდან ახალციხეში მომავალი გზები საკმაოდ უხერხულია და მთიანია, ახალციხეს, როგორც სასაზღვრო პუნქტს საკმაოდ კარგი ვაჭრობა აქვს შემოტანილი საქონლით. ეს ვაჭრობა ძირითადად იმყოფება ებრაელების ხელში, რომლებიც ძველთაგანვე მოსახლეობები ახალციხეში“. იეჰუდა ჰალევი ჩორნი, რომელმაც საქართველოში იმოგზაურა მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში, მიუთითებს, რომ მისი თანატომელები საკმაოდ შეძლებულად ცხოვრობდნენ.\* ამავე პერიოდში გაზეთი „კავკაზი“ წერდა, რომ საქართველოს ებრაელები დაფანტულნი არიან ამიერკავკასიის ბევრ ადგილებში. ისინი ბინადრობენ სამეგრელოში, იმერეთში, ახალციხეში და სურამში. ყველა ესენი მისდევენ წვრილ ვაჭრობას და მიუხედავად ვაჭრობისადმი მათი მიღრეკილებისა, მათ შორის არც ერთი კაპიტალისტი არ არსებობს“.

ამ საერთო სავაჭრო-ეპონომიკურ ცხოვრებაში ქართველი ებრაელებიც მონაწილეობდნენ. მართალია, ებრაელების ნაწილი ბატონყმობის გაუქმების შემდეგ ქართველი გლეხების შეგავსად დროებითვალდებული აღმოჩნდა, მაგრამ გარკვეულმა ნაწილმა შეძლო თავის გამოსყიდვაც და სავაჭრო საქმიანობის ისე სარფიანად აწყობაც, რომ არა მხოლოდ ქონება შეიძინა, საკუთარი ბატონების ქონების ნაწილიც კი ჩაიგდო ხელში. იეჰუდა ჩორნი, რომელმაც მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში იმოგზაურა კავკასიაში და მოინახულა ებრაული დიასპორის თითქმის ყველა მნიშვნელოვანი პუნქტი, აღწერს ამ დროის ებრაელების ცხოვრების პირობებსა და ეპონომიკურ შესაძლებლობებს. ჩორნი საკმაოდ ხშირად შეძლებულ ებრაელებს, რომლებსაც ოჯახებში აქვთ ევროპული ავეჯი, ნივთები, ტანსაცმელი... ეს ყველაფერი ჩორნის კმაყოფილებას იწვევს, თუმცა რატომდაც ებრაელებს არ სურთ საკუთარ შვილებს მისცენ განათლება და ბავშვების ასკიდანვე გვერდით იყენებენ, როგორც დამხმარე მუშახელს, რაც მოგზაურის აღშფოთებას იწვევდა.

\* მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოში იმოგზაურა ცნობილმა ებრაელმა ეთნოგრაფმა და მოგზაურმა იეჰუდა ჰალევი ჩორნიმ. მის მიზანს წარმოადგენდა დაკარგული ათი ებრაეული ტომის ნარჩენების მოძიება კავკასიასა და სპარსეთში, მათი წეს-ჩვეულებების, საცხოვრებელი ადგილის, ტოპონიმიკის, ისტორიული მასალების, მატერიალური სიძველეებისა და არტეფაქტების და სხვა დოკუმენტური მასალის გამოვლენა, შემნა-შეგროვება. აგრეთვე მის ინტერესებში იყო ებრაული წარწერების, ეპიგრაფების და სხვა წერილობითი ძეგლების (მათ შორის ბიბლიის უძველესი ნიმუშების) გამოვლენა და მოპოვება. ჩორნი ათი წლის მანძილზე მოგზაურობდა კავკასიაში, აქტიურად თანმშრომლობდა რუსეთის მიპერიში ებრაელთა სწავლა-განათლების საკითხებით დაზნერებულ თრგანიზაციასთან „Aliance Israelite Universal“. იეჰუდა ჩორნის მოგზაურობის მნიშვნელობაზე ისიც მიუთითებს, რომ კავკასიის ტერიტორიაზე თავისუფალი გადადგილება მან უშალოდ კავკასიის მთავარმართებლის, დიდი თავადის მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვისაგან მიიღო.

შეძლებულ ებრაელ ვაჭრებს სავაჭრო ურთიერთობები ჰქონდათ თურქეთისა და ირანის მსხვილ სავაჭრო ცენტრებთან- სტამბოლი, ყარსი, არზრუმი, თავრიზი და სხვა.. რკინიგზის გაყვანის შემდეგ ვაჭრების გარკვეული ნაწილი ნაწილობრივ ან სრულად წყვეტდა კავშირს აზის ქვეყნებთან და რუსეთის სავაჭრო ქსელში ებმეოდა.

ჩვენს ხელთ არსებული დოკუმენტებით შეიძლება ვიმსჯელოთ, როგორი ინტენსივობით გადიოდნენ საქართველოდან ებრაელი ვაჭრები. მაგალითად, 1866 წელს საზღვარგარეთ სავაჭროდ წასვლის ნებართვა მიუღია 62 ებრაელ ვაჭარს, 1867 წელს 44 კაცს, მათ შორის არიან ქუთაისის, კულაშის, ცხინვალის, ბრეთის, ახალციხის ებრაელები. ამ ვაჭართაგან ყველაზე მეტი ქუთაისის მკვიდრი ყოფილა. გარდა ამისა, საქმაოდ აქტიურები ჩანან ახალციხელი ებრაელი ვაჭრებიც. 1876 წელს ახალციხის 2599 კომლიდან 379 ებრაული ოჯახი ყოფილა. მათი მეტი ნაწილი ვაჭრობას მისდევდა. საქონელი შემოპქონდათ თურქეთიდან, რუსეთიდან, ირანიდან... მოსკოვიდან ჩამოპქონდათ ჩითი, მაუდი და სხვა, ირანიდან ხალიჩები, თბილისიდან ლვინო, მატყელი და სხვა... ახალციხელი ვაჭრების რიცხვი თანდათან მცირდება და 10 წლის შემდეგ პირველობა სომხებმა იგდეს ხელში.

სამაგიეროდ მეორე გილდიის ვაჭრების ჩამონათვალში ებრაელთა რაოდენობა მატულობს თბილისელ ვაჭრებს შორის, სადაც ახალციხიდან გადმოსულ ვაჭართა რაოდენობა არის 17.

ქუთაისელი ებრაელები, როგორც უკვე აღვინიშნეთ ვაჭრობის ავანგარდში ჯერ კიდევ საუკუნის მეორე ნახევრიდან გვევლინებიან. მათი მთავარი სავაჭრო ქალაქი სტამბოლი იყო. გარდა ლეგალური სავაჭრო ურთიერთობებისა, ხდებოდა კონტრაბანდის ან განუბაჟებელი საქონლის შემოტანაც. ამის დასტურად გამოდგება 1885 წელს ძმებ ხანანაშვილების წინააღმდეგ აღძრული საქმე, სადაც მათ ედავებოდნენ განუბაჟებელი საქონლის შემოტანაში. სასამართლომ მათ ჯარიმა დაუწესა.

რკინიგზის გაყვანის შემდეგ ქუთაისელი ვაჭრები უკვე გეზს რუსეთისკენ იღებენ. მოსკოვი, ნოვგოროდი, ოდესა, ხარკოვი, ვარშავა და სხვა. ქუთაისელ ებრაელ ვაჭრებს ამ ქალაქებიდან ძირითადად ფართალი, საგალანტერიო საქონელი შემოპქონდათ. ასევე შემოპქონდათ არასეზონური საქონელი-რუსეთის დიდ ბაზრებზე ყიდულობდნენ ჩამოფასებულ, არასეზონურ საქონელს და საქართველოში დიდი მოგებით ყიდდნენ. საქართველოდან გაპქონდათ დაუმუშავებელი აბრეშუმი, ბეწვეული, ქალის თმა, საინტერისოა, რომ ქუთაისელი ებრაელი ვაჭრები ვაჭრობდნენ კვერცხის პარტიით-50-60 ვაგონი კვერცხი იგზავნებოდა წლის განმავლობაში რუსეთში. ასევე ბუმბული, ძველი ხალიჩები, ხილი, ვაშლის ჩირი და სხვა. კვერცხითა და ბუმბულით მოვაჭრე სუჯუნელი ვაჭრის შესახებ გაზეთი ივერიის კორესპონდენტი წერდა, რომ „სუჯუნელ ვაჭრებს აქვთ ორი თუ სამი საწყობი კვერცხისა და ბუმბულისა და წელიწადში საშუალოდ საზღვარგარეთ აგზავნიან სამმილიონახევარ კვერცხსა.. ძირითადად ეს საქმიანობა ოქტომბრიდან მარტამდე მიმდინარეობდა“<sup>1</sup>. სუჯუნის, ბანბის, კულაშისა და საჩინერის ებრაელების მიერ მე-19 საუკუნის 90-იანი წლებიდან დიდი რაოდენობით იგზავნებოდა ნახმარი ბამბა, სპილენძი, ბუმბული, აბრეშუმის ძაფი, ლობიო.

საუკუნის დასასრულს ქუთაისელ ებრაელ ვაჭრებს შორის რამდენიმე იმდენად დაწინაურდა, რომ დიდი კაპიტალი შეიძინა და საბანკო საქმიანობაშიც ჩაება. 1914 წელს თბილისში დაარსებულ კავკასიის სავაჭრო-სამრეწველო ბანკის დამფუძნებელთა შორის (სულ 20 კაცი) 2 ქუთაისელი ებრაელი იყო-რიუსიაშვილი და იაკობიშვილი. ქუთაისელი ებრაელების შემდეგ გაბატონებული პოზიცია სავაჭრო იერარქიაში სამეგრელოს ებრაელ ვაჭრებს ეკავათ. შემდეგ რაჭის ებრაელებს, რომლებიც გადადიოდნენ კავკასიის ქედს გადაღმა ოსეთში, ჩერქეზეთში, ყაბარდინსა და ბალყარეთში. ლაილაშის ებრაელები ძირითადად ვაჭრობდნენ რაჭის სოფლებში. მე-19

<sup>1</sup> „ივერია“, 1904, №297, გვ. 3

საუკუნის 90-იან წლებში მდიდარ ონელ ებრაელ ვაჭრებს მიჰკონდათ საქონელი საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში.<sup>1</sup>

1870-72 წლებში საქართველოში 2020 კომლი ებრაელი ცხოვრობდა. თუ თითოეულ ოჯახში 6 სულს ვიანგარიშებთ, მაშინ ქართველ ებრაელთა საერთო რაოდენობა 13120 სული გამოდის. აქედან 1630 ანუ მოსახლეობის 80 % ვაჭრობას მისდევდა. 1900 წელს 3580 ოჯახი, 17900 სული. ვაჭრობას მისდევდა 79%.

ახალციხელი ებრაელი ვაჭრების შესახებ ზ. ჭიჭინაძე წერდა, რომ ისინი ვაჭრობდნენ ქართველ მაპადიანებთან და სასაუბროდ იყენებდნენ ქართულს. „ებრაელები ახალციხიდან მოგზაურობდნენ ფოცხოვს, ქვაბლიანს, ჩილდირის ხეობისკენ, ჯავახეთში და ყველგან ქართველ მუსლიმებს ქართულად ელაპარაკებოდნენ.... ზოგიერთ საშიშ ადგილებში, ქართველ მაპადიანთა შორის, სადაც კი ქართული ენა ძველთაგანვე შეირყა და ამოვარდა, იქაც კი ქართველ მაპადიანებმა არ დაივიწყეს, ეს იყო ქართველ ებრაელთა შნო და წყალობა“.<sup>2</sup>

ებრაელი ვაჭრები დროთა განმავლობაში იმდენად დაოსტატდნენ, რომ მათ საკუთარი ბიზნესის უფრო განვითარებისა და კონკურენციისაგან დასაცავად, საკუთარი პირობითი ენაც კი შეიმუშავეს. ამ ენას „ყივრი“, ანუ „ყიური“ ერქვა და მხოლოდ კლიენტებთან ურთიერთობის და სავაჭრო საიდუმლოებების კონსპირაციისათვის გამოიყენებოდა. ეს ენა ძირითადად ძველი ებრაული სიტყვებისაგან შედგებოდა, ხოლო პრეფიქს-სუფიქსები ქართული იყო.

გარდა იმ ებრაელებისა, რომლებიც მსხვილ სავაჭრო ოპერაციებში იყენენ ჩაბმულნი, მრავალრიცხოვანი ნაწილი თავს ირჩენდა წვრილმანი ვაჭრობით. ეს ადამიანები მსხვილი ვაჭრებისაგან ნისიად იღებდნენ საქონელს, მიემართებოდნენ შორეულ სოფლებში და იქ ჰყიდდნენ. აქ კონკურენცია შედარებით ნაკლები იყო და შეიძლებოდა საქონელი ძვირადაც გაეყიდათ ან უფრო სარფიანად გაცევალათ. მეწვრილმანე ვაჭრები სოფლელებს მისვლას ხმამაღალი ძახილით ამცნობდნენ და გაშლილენ საწვრილმანოს. ამ დროს ვაჭრის გარშემო თავს იყრიდნენ როგორც მყიდველები, ისე ცნობისმოყვარე ხალხი, უმთავრესად ქალები... ვაჭარი გაშლიდა თავის საქონელს და ამის შემდეგ იწყებოდა ვაჭრობა. ხშირად ხდებოდა, რომ მყიდველი არ აღმოჩნდებოდა და ვაჭარიც იძულებული ხდებოდა სოფლიდან სოფელში გადასულიყო<sup>3</sup>. ხდებოდა ისიც, რომ ვაჭარი სოფელში დარჩენილა და სოფლის მოსახლეობასთან საუბარში ჩაბმულა. იგი მოუთხრობდა სოფლელებს საქვეწო ამბექს, ხშირად მიპქონდა დანაბარები, გზავნილი და ამით ფოსტალიონის როლსაც ასრულებდა<sup>4</sup>. მიუხედავად ამისა, სოფლის მოსახლეობა მეწვრილმანე ვაჭრებს არ სწყალობდა, ვინაიდან ნისიად აღებული საქონლის გამო მათ მეტი თანხის გადახდა უწევდათ. ებრაელები მევახშეობასაც ეწეოდნენ სოფლის მოსახლეობაში, რაც კიდევ უფრო ამწვავებდა მათ შორის დამოკიდებულებას. მაგალითად 1871 წელს გაზეთი „დროება“ წერდა ქუთაისელ ებრაელებს შორის მევახშეობის გავრცელებაზე და მოსახლეობის უარყოფითი რეაქციის შესახებ<sup>5</sup>. იგივე გაზეთი უფრო ადრე ონის შესახებ წერდა, რომ ქალაქში 200 კომლიდან ნახევარი ებრაული ოჯახია. ებრაელები სავაჭროდ სტამბოლსა და რუსეთში დადიან. აქვთ ერთკლასიანი სასწავლებელიც, სადაც ებრაელი ბავშვებიც სწავლობენ.<sup>6</sup>

საქართველოში კაპიტალიზმის დამკიდრებამ მოსახლეობის უფრო უნარიან ფენას სხვა პერსპექტივები დაუსახა. სავაჭრო არეალის გაფართოებამ გამოიწვია ვაჭრობის განვითარება. ვაჭრების ნაწილი ითვისებდა როგორც ევროპულ, ასევე აზიურ ბაზრებს, ეწეოდნენ მსხვილი

<sup>1</sup> ე. მამისტალიშვილი, ებრაელების განვითარება საქონელის უნარიან ფენას სხვა პერსპექტივები დაუსახა. სავაჭრო არეალის გაფართოებამ გამოიწვია ვაჭრობის განვითარება. ვაჭრების ნაწილი ითვისებდა როგორც ევროპულ, ასევე აზიურ ბაზრებს, ეწეოდნენ მსხვილი

<sup>2</sup> „დროება“, 1871, №26, გვ. 45.

<sup>3</sup> პაპისმედოვი ი., საქართველოს ებრაელთა აღებ-მიცემობის ისტორიისათვის, საქ. ებრაელთა ისტ. ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომები, I-II-III, თბ., 2014, გვ. 560.

<sup>4</sup> იქვე.

<sup>5</sup> „დროება“, 1871, №26, გვ. 2.

<sup>6</sup> „დროება“, 1869, №48, გვ. 2.

პარტიის ჩამოტანას საქართველოში. ასევე გაპქონდათ საქართველოდან სხვადასხვა პროდუქცია და ნედლეული. ამ პროცესში ებრაელი მოსახლეობაც აქტიურად იღებდა მონაწილეობას. მათი ერთი ნაწილი მსხვილ სავაჭრო გარიგებებში იყო ჩართული, ნაწილი კი თავს წვრილმანი ვაჭრობითა და აღებ-მიცემობით ირჩენდა.

*Davit Chochishvili*

*Gori State Teaching University*

**JEWS AND THE GEORGIAN ECONOMY (SECOND HALF OF 19TH CENTURY)  
RESUME**

Since the Russian Empire finally gained a foothold in Georgia, the economic area, that had been limited before in Georgia, was increased. Peacefulness and impediment of the external hazards have given another impetus to the Georgian economy. It was especially the result of those reforms which were conducted in the Russian Empire in the 60-70s of the 19th century. The abolishment of dictatorship contributed to development of capitalistic relationships and so called "give-and-take" rules. The Georgian Jewish population and Armenians were always considered as the essential parts of the Georgian economy and so called "give-and-take" traditions; the Georgian feudal lords consistently being ashamed to follow those traditions. Because the trade area of the Russian Empire was spread out, the Georgian merchants were actively involved in the enormous scope of „give-and take” traditions. The Georgian merchants started expanding the trade area like the Russian marketeers. The European markets became attractive for the Georgian merchants after the Turkish and Persian ones. Finally, they comprehended that offer and developed trade relations. The Jewish community from the western Georgia were engaged in that process as well. The merchants exported different kinds of foodstuffs and exported industrial goods, textiles and more

## გერმანელი მეწარმეები საქართველოში

XIX საუკუნის 60-იან წლებში რუსეთის იმპერიაში ბატონიშვილის გაუქმებამ გზა გაუხსნა ქვეყნის კაპიტალისტურ განვითარებას. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანი ძვრები მოხდა როგორც რუსეთის შიდა გუბერნიებში, ასევე იმპერიის შემადგენლობაში შემავალ სხვა კუთხეებში, მათ შორის ამიერკავკასიაშიც. ხელსაყრელი პირობები შეიქმნა კაპიტალიზმის განვითარებისათვის. მაგრამ მარტო პოლიტიკური და სოციალ-ეკონომიკური ვითარება და წიაღისეულის სიუხვე ვერ უზრუნველყოფდა მრეწველობისა და სახალხო მეურნეობის დარგების სწრაფ აღმავლობას. საჭირო იყო მნიშვნელოვანი ოდენობით თავისუფალი კაპიტალიც, რომლის ნაკლებობას განიცდიდა, როგორც ამიერკავკასიელი, ისე რუსეთის ბურჟუაზია. წარუმატებელი აღმოჩნდა სახელმწიფოს ცდაც - თავის თავზე აეღო სახალხო მეურნეობის, მრეწველობის, ტრანსპორტის, ვაჭრობის საბანკო საქმის განვითარება. ამით იყო განპირობებული, რომ მეფის მთავრობა ყოველნაირად ხელს უწყობდა უცხოური კაპიტალის შემოტანას და უცხოელ მწარმოებელთა დამკვიდრებას, როგორც რუსეთის შიგა გუბერნიებში, ისე ამიერკავკასიაში (მათ შორის საქართველოშიც), თუმცა ცარიზმი, ერთგვარ ღონისძიებებს ღებულობდა რუსეთის ქვეშევრდომთა ინტერესების დასაცავად.

ადგილობრივი კაპიტალის შედარებით სისუსტით სარგებლობდნენ უცხოური კაპიტალის წარმომადგენლები და საკმაო გულმოღვინებით იყიდებდნენ ფეხს ამიერკავკასიაში (მათ შორის საქართველოს - ვ.წ.) მრეწველობის წამყვან დარგებში - მანგანუმის, სპილენძის, ნავთობის წარმოებაში. ეს ხელს უწყობდა ამიერკავკასიაში საშინაო ბაზრის ჩამოყალიბებას, რომელიც სრულიად რუსეთის ბაზრის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა<sup>1</sup>.

რუსეთის ცარიზმი კავკასიას მხოლოდ გეოსტრატეგიული და სამეურნეო თვალსაზრისით ასახლებდა და მართავდა. როგორც ცნობილია, მეფის რუსეთის ხელისუფლებამ XIX საუკუნის II ნახევარში, სიმბიმის ცენტრი სოფლის მეურნეობიდან მძიმე ინდუსტრიაზე გადაიტანა, ისევე როგორც, XIX საუკუნის 70-80-იან წლებში, რკინიგზის მშენებლობისას, რუსეთის იმპერიას ახლაც უცხოური კაპიტალის მოზიდვა სპირდებოდა, ამიტომაც უცხოელ მეწარმეებს, პირდაპირი ინვესტიციებისა და კაპიტალის იმპორტის საშუალებით, რუსეთის სხვა ტერიტორიების მსგავსად “ამიერკავკასიის ეკონომიკური ათვისების საშუალება მისცეს. ცარიზმმა ვერ მოახერხა ამიერკავკასიის პოლიტიკური დაპყრობის შემდეგ მისი სრული ეკონომიკური ათვისება. ამიტომ, იგი ხელს უწყობდა უცხოური კაპიტალის მოზიდვას ამიერკავკასიაში (ასევე საქართველოში - ვ.წ.). ეს პროცესი განსაკუთრებით გაძლიერდა XIX საუკუნის 80-იან წლებიდან. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი ამიერკავკასიაში დაიკავა გერმანულმა კაპიტალმა. მან წამყვანი პოზიციები დაიკავა ამიერკავკასიის მრეწველობის მრავალ დარგში და მათ შორის - სამთამადნო მრეწველობაში. მანგანუმისა და სპილენძის წარმოება - აი, ის დარგები, სადაც განსაკუთრებით წარმატებით მოიკიდეს ფეხი გერმანელმა მეწარმეებმა. როგორც სჩანს, ამ მისწრაფებას არა მარტო კომერციული მოგება, არამედ სამხედრო-სტრატეგიული მიზანებიც ედო საფუძვლად<sup>2</sup>.

ამიერკავკასიაში (მათ შორის საქართველოშიც - ვ.წ.) ასპარეზი გაიხსნა გერმანული ინდუსტრიის, ცოდნისა და პიროვნების ტრანსფერის და გამოცდისათვის. მაგალითისათვის, გერმანული ფოლადის მიღების წარმოების დახმარებით, სამხრეთკავკასიური ნავთობის ხაზის გაყვნა

<sup>1</sup> მანჯგალაძე გ., გერმანული კაპიტალი ამიერკავკასიაში (1860-1918 წწ.), თბ., 1991, გვ. 3

<sup>2</sup> სონდულაშვილი ა., გერმანულები საქართველოში. თბ., 1995, გვ. 16

ბაქო-თბილისი-ბათუმის სარკინიგზო გზის გასწვრივ 100 წლის წინათ ინდუსტრიალიზაციის პირველ წლებში, უმაღლესი ტექნოლოგიური მიღწევების რიცხვს განეკუთვნებოდა<sup>1</sup>.

გერმანიის იმპერიის მეწარმეთა საქმიანობის ორი ძირითადი სფერო იყო: ინფრასტრუქტურის განვითარება და ნედლეულის ინდუსტრია, რომელშიც ნავთობსა და მასთან დაკავშირებულ საქმიანობას გამორჩეული აღილი ეკავა. რუსული ინდუსტრიალიზაციის მეორე პერიოდამდე (1885-1900 წწ.), კერძოდ კი ბაქოს ნავთობის მიერ ბაზრის დაპყრობამდე, რუსეთის იმპერიის მოდერნიზაციის წამყვან ფაქტორს ელექტრონიდუსტრია წარმადგენდა<sup>2</sup>.

გერმანული კაპიტალის წარმომადგენელი ელექტრონიდუსტრიაში ფირმა “სიმენსი და ჰალსკე” იყო, რომელმაც კავკასიაში პირველი სატელეგრაფო ხაზი 1858 წელს თბილისსა და კოჯორს შორის გაიყვანა, ახალი სატელეგრაფო ხაზების გაყვანაზე შეკვეთის მიღების შემდეგ თბილისში თავისი განყოფილება გახსნა. ფირმას სათავეში ვალტერ სიმენსი ჩაუდგა. იგი თბილისში ჩამოვიდა 1860 წლის 2 ნოემბერს. იმავდროულად იგი თბილისში ჩრდილოეთ გერმანიის კავშირის კონსულად დაინიშნა.

“სიმენსების” ფირმის წყალობით საკიდმა ელექტროტელეგრაფმა თბილისი - ბორჯომთან, ქუთაისთან, ფოთთან, ერევანთან, ბაქოსთან, ვლადიკავკაზთან, სტავროპოლითან, მოსკოვთან დააკავშირა. ვალტერ სიმენსი, აგრეთვე, მუშაობდა სამთომომპოვებელ მრეწველობაში, საქართველოში ნავთობის მოპოვების დარღვევი.

ვალტერ სიმენსი საქართველოში დიდი ხნით დარჩენას აპირებდა, მაგრამ 1868 წლის 8 ივნისს უბედურება მოხდა - ვალტერ სიმენსი ცხენიდან ჩამოვარდა და გარდაიცვალა. 13 ივნისს იგი თბილისში დაასაფლავეს.

“სიმენსების” ფირმის საქმიანობა ოტო სიმენსმა გააგრძელა და მანვე იკისრა კონსულის მოვალეობაც.

ოტო სიმენსმა მოიპოვა უფლება გაეყვანა ინდოევროპული სატელეგრაფო ხაზი ლონდონიდან - თბილისის გავლით კალკუტამდე. ამ ხაზის გაყვანა ინგლისის მთავრობამ დაუკვეთა. საკონტინენტო შორისო ტელეგრაფი 1870 წლის იანვარში გაიხსნა. ამასთან დაკავშირებით ოტო სიმენსმა თბილისში გამართა ბანკეტი, რომელზეც 70-მდე სტუმარმა მოიყარა თავი. თუ ლონდონიდან კალკუტამდე წერილს 42 დღე სჭირდებოდა, ახლა მას ნახევარ საათში იღებდა ადრესატი. ამ ტელეგრაფმა 1931 წლამდე იარსება.

ოტო სიმენსმა თავი გამოიჩინა აგრეთვე, როგორც ნიჭიერმა ინჟინერმა და ნავთობის საქმის ორგანიზატორმა. კერძოდ, მან შემოიღო ნავთობის მოსაპოვებლად ჭაბურლილების ბურღვის მეთოდი მანამდე არსებული რუტინული ხერხის ნაცვლად, როდესაც ნავთობის მოსაპოვებლად ჭებს თხრიდნენ. მანვე, პირველად კავკასიაში, კერძოდ თბილისში დაიწყო ქუჩებისა და ტროტუარების ასფალტით, რომელიც ნავთობის ნარჩენებისაგან მზადდებოდა, დაფარვა<sup>3</sup>.

ოტო სიმენსმა ყველა თავისი ჩანაფიქრის განხორციელება ვერ შეძლო. იგი, 1871 წლის 23 სექტემბერს, ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა, როგორც ჩანს, ქოლერისაგან, რომელიც მაშინ თბილისში მდვინვარებდა.

სიმენსების უფროსი მდა ვერნერ სიმენსი, რომელიც ფირმა “სიმენსის” დამფუძნებელი იყო საქართველოში სამჯერ იყო ჩამოსული. პირველად თბილისში ვერნერ სიმენსი 1865 წელს ჩამოვიდა და კავკასიის არმიის სარდალს, გენერალ ადიუტანტს, პოეტ გრიგოლ ორბელიანს შეხვდა და მასთან ერთად ნავთობის მოპოვების საკითხები განიხილა; მეორედ ვერნერ სიმენსი თბილისში ინდოევროპული ტელეგრაფის მშენებლობის დაწყებასთან დაკავშირებით 1868 წელს ჩამოვიდა; მესამედ - 1890 წელს თავის მდასთან, კარლთან ერთად, რათა სპილენძის მაღარო დაეთვალიერებინათ. იგი აღფრთოვანებული იყო საქართველოთი და ამჯერად თან მეუღლე და ქალიშვილიც ჩამოიყვანა.

<sup>1</sup> შპრინგჰორნი დ., გერმანები საქართველოში. თბ., 2004, გვ. 45

<sup>2</sup> იქვე

<sup>3</sup> ფიფია მ., დიდი ადამიანები საქართველოში, არგონავტებიდან მარადონამდე. თბ., 2011, გვ. 272

საქართველოში და მთლიანად კავკასიაში მოგზაურობამ ვერნერის მეხსიერებაში ღრმა კვალი დატოვა, რის შესახებაც ის მოგვიანებით დაწერს თავის მოგონებებში. ვერნერ სიმენსის ბიოგრაფი ზიგფრიდ ფონ ვეიხერი იუწყება - შეიძლება დაბეჯითებით ვივარაუდოთ, რომ კავკასია, მისი ხელუხლებელი და შესანიშნავი ბუნებით, სიმენსში შინაგან სიმშვიდეს იწვევდა და ამით იყო მისთვის სასიამოვნო<sup>1</sup>.

სასიამოვნო და საგულისხმოა თვით ვერნერ სიმენსის მოგონებები, როცა ის ამბობს: “კავკასიაში ამ მოგზაურობას ჩემი ცხოვრების ყველაზე სასიამოვნო მოგონებებს მივაკუთვნებ. მეხილა კაცობრიობის კულტურის აკვანი - ყოველთვის იყო ჩემი სანუკვარი ოცნება..”<sup>2</sup>.

ამიერკავკასიაში “სიმენსის” ფირმას, ჯერ კიდევ, სატელეგრაფო კავშირის გაყვანამდე იცნობდნენ, როგორც ლითონდამამუშავებელი მრეწველობის აქტიურ წევრს. მალე “სიმენსების” ფირმის ინტერესმა კავკასიაში ელექტრონდუსტრიიდან ლითონგადამამუშავებელი მრეწველობაზე გადაინაცვლა. გერმანელები ცდილობდნენ რაც შეიძლება მეტი მიწის ნაკვეთები შეეძინათ საქართველოში. 1901 წელს კარლ სიმენსმა მიიღო ბათუმიდან 57 კილომეტრის მანძილზე, ართვინის მახლობლად, სოფ. ქვარცხანასთან არსებული სპილენძის მდიდარი საბადოს დამუშავების უფლება. აქ მალე ააგეს შახტები და დაიწყეს მაღნის მოპოვება. სიმენსებმა იზრუნეს აგრეთვე ახალი მაღნით მდიდარი მიწის ნაკვეთების შეძენაზე.

1900-1909 წლებში ქვარცხანის ახლოს, სოფ. ბაშაულში, კარლ სიმენსის მექვიდრეებმა, რუსეთის ქვეშევრდომა ბარონებებმა მარია გრევნიცმა და შარლოტა ბუკსგევდენმა ადგილობრივი გლეხებისაგან შეიძინეს მიწის ნაკვეთები და დაიწყეს მაღნის მოპოვება. როგორც წყაროებშია მითითებული, სიმენსები მიწას იძენდნენ ჩალის ფასად<sup>3</sup>.

სოფ. ქედაბეგში XIX საუკუნის 60-იან წლების დასაწყისში ორ უცხოელს - ჰანოვერელ ტანერსა და დანიის ქვეშევრდომს მორიცს რუსეთის მთავრობის ნებართვით შეუძინათ სპილენძის გადამამუშავებელი ქარხანა, რომელიც 1864 წლის მაისში მიუყიდიათ ვერნერ სიმენსის ძმისთვის ვალტერ სიმენსისათვის. მან კი მოახერხა და აქვე სპილენძის გადამამუშავებელი მეორე ქარხანა ააგო. მას ამ საქმიანობისათვის გამოუყენეს 60 დესეტინა სავარგული და 16 დესეტინაზე მეტი სოფლის მეურნეობისათვის გამოუსადევარი მიწა.

“სიმენსების” ფირმა მუშაობდა მეფის რუსეთის მთვარობის მხარდაჭერით, რაც იქიდან ჩანს, რომ ისინი ახერხებდნენ თავისი ქარხნების შემოგარენიდან ადგილობრივი მცხოვრებლების აყრას და სხვაგან გაღასახლებას<sup>4</sup>.

“სიმენსების” ფირმამ მოახერხა, რომ ქარხნების პროდუქციის თვითონირებულება თანდათან შემცირდა, რადგან აქ ფართოდ დაიწყეს ნავთობის ნარჩენებისა და ელექტროენერგის გამოყენება. ელექტროენერგიის მისაღებად სიმენსებმა მდ. კალაკენტზე ააგეს ჰიდროელექტროსადგური, რომელიც ამუშავებდა 2 ტურბინას - 80 და 25 ცხნისძალისას<sup>5</sup>.

იაფი ელექტროენერგიის გამოყენებამ სიმენსებს საშუალება მისცა, რომ შავი სპილენძისაგან ელექტროლიზიც წმინდა სპილენძი მიეღოთ. ასევე მიეღოთ ათეულობით ფუთი ფხვნილი, რომელიც შეიცავდა დიდი რაოდენობით ვერცხლს და ოქროს<sup>6</sup>.

მაღნეულის ტრანსპორტირება სხვა საშუალებებთან ერთად რკინიგზით და მილგაყვანილობით ხდებოდა. მილები ფირმა მანესმანს ეკუთვნოდა და მსოფლიოში საუკეთესო იყო, რადგან პირველად იძლეოდა როულ გეოგრაფიულ პირობებში თხევადი საწვავის ტრანსპორტირების სა-

<sup>1</sup> ფიფა მ., დასახ. ნაშრ., გვ. 273

<sup>2</sup> იქვე

<sup>3</sup> მანჯგალაძე გ., გერმანული კაპიტალი ამიერკავკასიაში (1860-1918 წწ.), თბ., 1991, გვ. 45

<sup>4</sup> მანჯგალაძე გ., დასახ. ნაშრ. 1991, გვ. 40

<sup>5</sup> გავ. «ქავკავ», 1890, №139, 6

<sup>6</sup> მანჯგალაძე გ., დასახ. ნაშრ. 1991, გვ. 41

შუალებას. ნავთობგაყვანილობა ბაქოსა და ფოთს შორის იყო მსოფლიოში უდიდესი. პროექტს როგორმილდების სახლის შუამდგომლობით, საერთაშორისო კონსორციუმი აფინანსებდა<sup>1</sup>.

ამიერკავკასიაში გერმანული კაპიტალის დაბანდება როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, განსაკუთრებით ძლიერდება 1880-იანი წლებიდან, თუმცა მისი პირველი ნაბიჯები აქ გაცილებით ადრე იწყება. გერმანული კაპიტალის აგენტები უფრო მეტად იყვნენ კონკისტადორები, ვიდრე სამრეწველო კაპიტალის თაოსნობისთვის ამორავებული ადამიანები<sup>2</sup>.

ამ მხრივ აღსანიშნავია, მაგალითად, ბადენელი ერნსტ ლიბის საქმიანობა. ფაქტიურად უფრო ლიბმა ცარიზმის სახელმწიფო აპარატში მოკალათებულ გერმანელ მოხელეთა დახმარებით 1860 წელს ამიერკავკასიაში თავი გაასაღა მსხვილ კაპიტალისტად და პოსესიური მფლობელობის საფუძველზე ხელში ჩაიგდო ბოლნისის ხეობაში, სოფელ ჩათახში, რკინის საბადოები. აქ რკინის და თუვის ქარხნის აშენების მიზნით ლიბმა მიიღო მიწები და დიდმალი სესხი, თანაც ადგილობრივ ვაჭრებსაც მნიშვნელოვანი თანხა დასტურა. 1862 წელს ლიბის გარდაცვალების შემდეგ გამოირკვა, რომ ხაზინის და კერძო პირთავან მიღებული სესხის უმნიშვნელო ნაწილი იყო დახარჯული ქარხნის მშენებლობაზე, რაც მერმე პრუსიელ ბერნულის ხელში გადავიდა და ისევ ხაზინისაგან მიღებული დიდმალი თანხების გაცემის შემდეგ, დიდი დაგვიანების შემდეგ ამუშავდა, თანაც აღმოჩნდა, რომ ქარხანა მოწყობილი იყო დაძველებული იარაღ-მანქანებით, ე. ი. აქ მოუტანიათ გერმანიაში უკვე მორალურად გაცვეთილი მანქანები<sup>3</sup>.

გერმანული კაპიტალი მირითადად ეტანებოდა სამთამადნო საქმეს, ერთერთი გერმანული ფირმა, რომელიც ამ საქმეს საფუძვლიანად ეტანებოდა იყო ზემოთ აღნიშნული ფირმა “სიმენსი”. მათ ისარგებლეს შეღავათებით და გააფართოვეს სპილენძის წარმოება ამიერკავკასიაში.

“სიმენსების” ფირმის გარდა ბოლნისის რაიონში რკინის საბადოების თანამფლობელი იყო ნამდვილი “სტატსკი სოვეტნიკი” იულიუს ვიტე, მისი შვილი სერგეი ვიტე (შემდეგში გრაფი ვიტე), დაიბადა თბილისში, დაამთავრა ოდესის უნივერსიტეტი. შემდგომში გახდა რუსეთის იმპერიის ერთერთი ყველაზე წარმატებული ფინანსთა მინისტრი და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე.

XX საუკუნის დამდეგიდან სამრეწველო საქმიანობა გრძელდებოდა. ქართველი მრეწველები დიდი სიძნელების წინაშე აღმოჩნდნენ. მათ ან კაპიტალი უნდა გამოეხათო, ან დაეტოვებინათ სამრეწველო საქმიანობის ასპარეზი. სათანადო მოლაპარაკების შემდეგ, გერმანული ფირმის “მანგანსინდიკატის” მეშვეობით, ქართველ მრეწველთა საზოგადოება აწარმოებდა მარგანეცის ექსპორტს, იჯარით იღებდა და ყიდულობდა მარგანეცის საბადოებს. უდავო “მანგანსინდიკატის” იმთავითვე უფრო დიდი მიზანი ამოძრავებდა, ვიდრე კაპიტალის პროცენტის მიღება. კერძოდ, მას სურდა, ხელთ ეგდო ჭიათურის მდიდარი საბადოები და თვითვე ეწარმოებინა მათი ექსპლოატაცია. 1902 წელს ჩამოყალიბებული ქართველ მრეწველთა საზოგადოება “შავი ქვა” თანდათან ებმებოდა “მანგანსინდიკატის” მიერ დაგებულ მახეში. მალე გამომჟღავნდა, რომ საზოგადოების ავანსი და კრედიტი არახელსაყრელი პირობებით ჰქონდათ მიღებული, რაც იწვევდა მის დაქვემდებარებას გერმანული ფირმისადმი. “მანგანსინდიკატის” დიდხანს აღარ დაუყოვნებია გადამწყვეტი ნაბიჯის გადადგმა. 1906 წელს თბილისში მოლაპარაკება გაიმართა “შავი ქვის” რწმუნებულ ზღანოვისა და “მანგანსინდიკატის” წარმომადგენელ ფრიდრიხ ნეიმანს შორის. გერმანელ კაპიტალისტთა ბადეში გახლართული ქართველი მრეწველთა საზოგადოების რწმუნებული იმულებული გახდა არახელსაყრელი შეთანხმებისათვის მოწერა ხელი. მოგვიანებით, საზოგადოებამ, დიდი მსხვერპლის გაღების ფასად, თავი დააღწია გერმანულ ფირმაზე დამოკიდებულებას, მაგრამ საკუთარ ფეხზე მტკიცედ დადგომა ვეღარ შეძლო და მალე დაიწყო სხვა კრედიტორების ძებნა<sup>4</sup>.

<sup>1</sup> შპრინგჰორნი დ., დასახ. ნაშრ., 2004, გვ. 46

<sup>2</sup> გუგუშვილი ა., გერმანელი კოლონისტები და ადგილობრივი გლეხობა ამიერკავკასიაში. ტ. 1, თბ., 1946, გვ. 215

<sup>3</sup> გუგუშვილი ა., დასახ. ნაშრ., გვ. 213

<sup>4</sup> სონდულაშვილი ა., გერმანელები საქართველოში. თბ., 1995, გვ. 17

ჭიათურის სამრეწველო რაიონის ეკონომიკური დაპყრობის მიზნით, უცხოელ კაპიტალისტთა შემოტევა განსაკუთრებით გაძლიერდა 1908 წლიდან. კონკურენციაში დამარცხებული ქართველ მრეწველთა ერთი ნაწილი ხელს იღებს წარმოებაზე, ყიდის ან იჯარით გასცემს საბადოებს. ძირითადად უცხოელებზე. დიდი რაოდენობით შეისყიდა მარგანეცის საბადოები გერმანულმა ფირმამ (“გელზენკირხერის სამთო სამრეწველო საზოგადოება”), მან დიდალი კაპიტალი დააბანდა ჭიათურაში. ასევე გაქტიურდნენ სხვა უცხოური საზოგადოებები და მრეწველები.

“გელზენკირხერს” ისე ჰქონდა საქმე აწყობილი (ორგანიზებული): პასუხისმგებელი აგენტი და მთავარი ადმინისტრაცია ჭიათურაში იყო განთავსებული. ფირმის ადმინისტრაცია იმყოფებოდა ფოთში, ხოლო კანტორები რგანში, მღვიმევში, ითხვისში, პერევისაში, ჭიათურაშივე იყო საზოგადოების მიერ რუსეთში წარმოებული ოპერაციების ანგარიშსწორება, ხოლო ფოთში - გერმანიაში გასაზიდი მადნის გემზებზე დატვირთვისა და აღრიცხვის ორგანიზაცია. წარმოების მთელი აპარატი ჭიათურაში მხოლოდ გერმანულებით იყო დაკომპლექტებული, რის შესახებაც, მეფისნაცვალი, 1916 წელს, აცნობებდა რუსეთის მინისტრთა საბჭოს “გერმანული ფირმის მოღვაწეობის უარყოფითი მხარედ უნდა ჩათვალოს რუსული ტექნიკური ძალების ინგორირებაც, მათ მთელი მოსამასახურე პერსონალი გერმანიდან მიიყვანეს<sup>1</sup>.

“გელზენკირხერმა”, რომლის სახელთანაა დაკავშირებული გერმანული კაპიტალის მძლავრი პოზიციების შექმნა ჭიათურაში, მანგანუმის მადნის საუკეთესო საბადოების ხელში ჩაგდებასთან ერთად, განსაკუთრებული გულმოდგინებით გაშალა ოპერაციები ადგილობრივ მრეწველთაგან მადნის დიდი რაოდენობით შესაძენად. ამან ნაყოფიც გამოიღო, ფირმამ გაზარდა მადნის გატანა გერმანიაში. გერმანული ფირმები ჭიათურის საბადოების დაპატრონებით ცდილობდნენ მრეწველობაში უმაღლესი ხარისხის ფოლადის წარმოების გაზრდასაც, რაც ხელს უწყობდა გერმანიის მეტალურგიის მომზადებას პირველი მსოფლიო ომისათვის<sup>2</sup>.

გერმანელ მრეწველთა შორის გვინდა დავასახელოთ საქართველოში მცხოვრები გერმანელი კოლონისტი ბარონი კურტ ფონ კუჩენბახი. მან რუსეთის მეფის მთავრობის ხელშეწყობით ის-წავლა შვეიცარიული ყველის წარმოება. ასევე მიიღო სესხი და შეღავათები ყველის წარმოებისათვის. მან შვეიცარიული ყველი პოპულარული გახადა საქართველოსა და ამიერკავკასიაში. მის ჩანაწერებში ვკითხულობთ “მტკიცედ მქონდა გადაწყვეტილი სამხრეთ ამერიკაში - ბრაზილიაში, არგენტინაში ან ავსტრალიაში გადასახლება, როდესაც ერთი სკოლის მეგობრისაგან, ვერნერ სიმენსისაგან მივიღე წერილი, იგი იტყობინებოდა, რომ კავკასიაში მეტალურგიული ქარხნის დაარსება სურდა. ამასთანავე ჩემი შეკითხვის პასუხად მწერდა, რომ აქ არაჩვეულებრივი მთის საძოვრები არის და მთავაზობდა კავკასიაში გაყიდოდი”. კუჩენბახი ყველის ექსპორტს გერმანიაშიც აწარმოებდა. 1906 წელს კუჩენბახმა გაზეთი “კავკაზიშე პოსტი” დაარსა, რომლის რედაქტორი ერთი პერიოდი ქართველი კულტურის მოყვარული და პროპაგანდისტი არტურ ლაისტი იყო.

ბარონმა კუჩენბახმა, 1882 წელს, ბორჩალოს მაზრაში აამოქმედა იმ დროისათვის საკმაოდ დიდი მინის ქარხანა, რომელიც, როგორც მაშინ წერდნენ, სავსებით ევროპულ ყაიდაზე იყო მოწყობილი. ქარხანა წელიწადში აწარმოებდა 300 ათას ღვინის ბოთლს, 200 ათას ლამპის შუშას, 200 ათას სააფთიაქო შუშას, 100 ათას მინის სურას და ა.შ. მთელი ეს ნაწარმი საქართველოსა და ამიერკავკასიაში საღდებოდა<sup>3</sup>.

ამრიგად, ამიერკავკასიას (საქართველოს) ეკონომიკაში დამკვიდრების ერთ-ერთი წამყვანი ადგილი ეკუთვნის გერმანელ მეწარმეებს (კაპიტალს), რომელმაც სხვა კონკურენტებიდან (ინგლისი, საფრანგეთი, აშშ, ბელგია და სხვ.) თითქმის ნახევარსაუკუნოვანი ბრძოლის შედეგად შეძლო მნიშვნელოვანი პოზიციების დაკავება ქვეყნის სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგებ-

<sup>1</sup> მანჯგალაძე გ., დასახ. ნაშრ., 1991, გვ. 23-24

<sup>2</sup> მანჯგალაძე გ., გერმანელი კოლონისტები ამიერკავკასიაში, თბ., 1974, გვ. 146

<sup>3</sup> ბერძნიშვილი ნ., დონდუა ვ., დუმბაძე მ., მელიქიშვილი გ., მესხია შ., რატიანი პ., საქართველოს ისტორია, I, თბ., 1958, გვ. 499

ში. გერმანელი მეწარმეები, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თავიანთ გავლენას მეტნაკლებად აძლი-ერებენ ტელეგრაფის, გადამამუშავებელ-გამსაღებელ საწარმოებში და ა.შ.

მართალია გერმანელი მრეწველები ნახულობდნენ დიდ კომერციულ მოგებას, და უმეტეს შემთხვევაში ემსახურებოდნენ გერმანიის იმპერიას, მაგრამ ამავდროულად ჩვენში ამკვიდრებდნენ ევროპულ აზროვნებას და მუშაობის სტილს. აქედან გამომდინარე, მათი დამსახურება სათანა-დოდ უნდა იქნას შეფასებული და გააზრებული.

*Vladimer Tsverava*  
*Akaki Tsereteli State University*  
**GERMAN ENTREPRENEURS IN GEORGIA**  
**RESUME**

In the 60s of the XIX century the abolition of serfdom in the Russian Empire paved the way for the capitalist development of the empire. The abundance of raw materials, the favorable conditions were not enough. The development of capitalism also required the existence of free capital. The development of both industry and agriculture was needed. Therefore, the Russian authorities paved the way for European capital in the Transcaucasus as well.

German entrepreneurs, including “Siemens and Halske”, were the first to accumulate and establish capital in the Transcaucasus. He first set up a telegraphic connection between Tbilisi and Kojori in 1858. The “Siemens” firm has received an order to link London to India through the Caucasus. This telegraph line existed until 1931 and connected Tbilisi to both the west and the east.

The “Siemens” company in the Caucasus and Georgia has been involved in a variety of activities, both in the construction of telegraphy, the production of copper and oil, the extraction of precious metals and etc.

The “Siemens and Halske” firms also contributed to the construction of power plants in the Transcaucasia and to the import and sale of electrical equipment from Germany’s own enterprises,

In the middle of the XIX century the demand for iron and its products in the Transcaucasia increased.

The administration of the Caucasus promised some benefits and assistance to the factory builders.

In 1860 the factory was started by Ernst Lieb, a Prussian, but he was unable to operate the plant fully, despite government subsidies and material support. The factory was not fully operated by later owners too. At the beginning of the World War I, the factory ceased to exist.

The German firm “ManganSindicate” and “Gelzenkirchen” were actively involved in the production of Chiatura manganese. They tried their best to make profit and export large quantities of manganese to Germany. They signed contracts with Georgian entrepreneurs and they put the Georgians in a miserable situation. They bought ore rich lands from Georgians and etc.

In spite of all the above, German industrialists have made a great contribution to the development of industry in the Transcaucasia. Although German industrialists had a great deal of commercial gain, they also incorporated European thinking and working style. Therefore, their merits must be properly valued and appreciated.

## აკაკი ხოშტარიას სპარსული კონცესიები

საქართველო-ირანის ხანგრძლივი ურთიერთობის ისტორიაში იცის ფაქტები, როდესაც ქართლის სამეფოს ტახტზე სპარსული წარმოშობის მეფე მჯდარა (მირიანი, ვახტანგ გორგასალი) ან დედოფალი ყოფილა სპარსი, ხოლო ქართველ მეფებს თავდადებით უბრძოლიათ სპარსეთის დროშის ქვეშ შაპების სხვადასხვა დინასტიის გასაძლიერებლად. ცნობილია როსტომ ზანის, ალავერდი-ზანის (უნდილაძის) გავლენები სპარსეთში (შემორჩენილია შაპ აბას პირველის ფრაზა: „მთელი სპარსეთი მე მემორჩილება და მე კი ალავერდი-ზანს ვემორჩილები“), ასევე, სხვა ჩვენ თანამემამულეთა როლი ამ ქვეყნის სამხედრო, პოლიტიკურ თუ კულტურულ ასპარეზზე XVII-XVIII საუკუნეებში, მაგრამ არც ახალი დროა გამონაკლისი. XX საუკუნის 10-20-იან წლებში ქართველი მრეწველის, კომერსანტისა და ფინანსისტის აკაკი ხოშტარიას სახელი სპარსეთში, შეიძლება ითქვას, გაუტოლდა ზემოთ ხსენებულ ქართველთა სახელებს.

თითქოს უცნაურია, მაგრამ საქართველოს ისტორიაში ეს ერთ-ერთი ყველაზე სახელმისამართი ბიზნესმენი და ქველმოქმედი პროფესიით მებაღე-დეკორატორი იყო და თავისი საქმიანობა სწორედ ამ მიმართულებით დაიწყო. რაც შეეხება მისთვის ახალ სფეროს - ბიზნესს, აქ პირველი წარმატებული ნაბიჯები მან ბაქოში გადადგა, რომელიც იმ პერიოდში რუსეთის იმპერიაში ნავთობმოპოვების უმნიშვნელოვანეს ცენტრად ჩამოყალიბდა. ეს იყო დრო, როდესაც ნავთობი წარმატებით ენაცვლებოდა ქვანახშირს და მსოფლიოს მთავარი საწვავი ხდებოდა.

კასპიისპარეთში ფართოდ გაჩაღებულ ნავთობწარმოებაში აქტიურად იყვნენ ჩართული ქართველი მრეწველებიც – ზუბალაშვილები, ჯაყელები და სხვები. ხოშტარიამ ბაქოში ჩამოაყალიბა კომპანია „რუსულ-სპარსული ნავთობის ამხანაგობა“ (Рупенто). ამხანაგობის საქმიანობამ ბაქოს გარდა ჩრდილოეთ სპარსეთიც მოიცვა, რასაც ხელი რეგიონში შექმნილმა პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა ვითარებამ შეუწყო.

XIX საუკუნის ბოლოდან ყაჯართა დინასტიის შაპებმა ახალი შემოსავლების მიზნით, სპარსეთში ნავთობის საბაზოებზე, ტყესა და სხვა რესურსებზე კონცესიების უცხოური კომპანიებისათვის მიყიდვა დაიწყეს. ამ საქმით განსაკუთრებით რუსეთი და დიდი ბრიტანეთი მოიხიბლნენ, რომლებიც სპარსეთზე თავიანთი გავლენის გაძლიერებას ესწრაფოდნენ. კონცესიები ქვეყანაში 1905-1911 წლების კონსტიტუციური რევოლუციის ერთ-ერთი მიზეზიც კი გახდა, თუმცა არც რევოლუციის შემდგომ შეწყვეტილა.

აკაკი ხოშტარია სპარსეთით პირველი მსოფლიო ომის წინ დაინტერესდა. მან შეძლო მოეპოვებინა ადგილობრივი ხელისუფლების კეთილგანწყობა და 1913 წელს 99-წლიანი კონტრაქტი გააფორმა ქვეყნის ჩრდილოეთი პროვინციების მიწათმფლობელებთან. მრეწველმა აქ ტყის ექსპლუატაციის მიზნით დააფუძნა კომპანია „პერსლესი“, რომლის კაპიტალიც რამდენიმე მილიონ ლეროს რებლს შეადგენდა.

1916 წლისათვის აკაკი ხოშტარიამ, ასევე, ჩრდილოეთ სპარსეთის სამ პროვინციაში<sup>1</sup> – გილანში, მაზანდარანსა და ასტრაბადში 70-წლიანი ვადით რამდენიმე კონცესია შეისყიდა. არსებობს ერთი საყურადღებო წყარო, რომლიდანაც ირკვევა, რომ ქართველ მრეწველს ფინანსურად გიორგი გვაზავა, პავლე თუმანიშვილი და სომეხი ნავთობმაგნატი სტეფანე ლიანოზოვი დახმარე-

<sup>1</sup> ზოგიერთი ცნობით, ხოშტარიას კონცესიები ხუთ პროვინციას მოიცავდა. <https://www.kommersant.ru/doc/425038>

ბიან.<sup>1</sup> კონცესიის საფასური თანხა ხოშტარიას მოპამად ვალი ხანისათვის გადაუხდია.<sup>2</sup> ხსენებული კონცესია საერთაშორისო ნავთობინდუსტრიის ისტორიაში ცნობილია, როგორც „ხოშტარიას კონცესია“ და იგი შეტანილია იმ კონცესიების ჩამონათვალში, „რომლებმაც შეცვალეს მსოფლიო“.<sup>3</sup>

აკაკი ხოშტარიას მიერ ამ კონცესიის მიღებისა და ვადის თაობაზეც განსხვავებული მოსაზრებები არსებობს. გვხვდება 1913, როგორც კონცესიის გაფორმების თარიღი და 99 წელი, როგორც მისი მოქმედების ხანგრძლივობა.<sup>4</sup> კიდევ ერთი ცნობით, კონცესიის ვადა 25 წელი ყოფილა.<sup>5</sup>

„რუპენტომ“ მაზანდარანში დაიწყო გეოლოგიურ-დაზვერვითი სამუშაოები, შემდეგ კი ჭაბურლილების მშენებლობასა და ნვთობის მოპოვებას შეუდგა.

აკაკი ხოშტარიას ბიზნესსაქმიანობა სპარსეთში მხოლოდ ნავთობით არ შემოიფარგლებოდა. მისი კონცესიები ქვეყნის ჩრდილოეთ რეგიონში სხვა წიაღისეულის მოპოვებასაც ითვალისწინებდა. ქართველ მრეწველს სპარსეთში მონოპოლია ჰქონდა ხე-ტყის, საბნის, ბრინჯის წარმოებაზე, ფლობდა თევზის სარეწებს და ვაჭრობდა მატყლითა და აბრეშუმით. მის ხელში იყო კასპიის ზღვისპირა ქალაქ ენზელის ელექტრიფიკაციაც და ამ სფეროში სერიოზულ კონკურენციას უწევდა ამერიკელებსა და ინგლისელებს.

აკაკი ხოშტარია სპარსეთში ჩართული ყოფილა აგრეთვე ხიზილალის წარმოებაში. როგორც ჩანს, მას ამ დარგშიც ისე გაუთქამს სახელი, რომ „ხოშტარიას ხიზილალას“ თურმეთანამედროვე ირანშიც კი იხსენებენ.<sup>6</sup> ქართველ მრეწველს ახლო ურთიერთობა ჰქონდა ნავთობის ცნობილ სომებს მაგნატთან გ. ლიანოზოვთან, რომლის თევზრეწვის კომპანია ერთ-ერთი მსხვილი სამრეწველო წარმოება იყო მთელ სპარსეთში.

სპარსეთში, საკურორტო ქალაქ ენზელში აკაკი ხოშტარიას იმ დროისათვის გამორჩეული, დიდი და ლამაზი სახლი აუშენებია. სახლი მოგვიანებით ხანძარმა დააზიანა. მის ადგილზე აგებულ ახალ შენობაში დღეს სამხედრო-საზღვაო მუზეუმია განთავსებული.<sup>7</sup> მუზეუმის შესასვლელში ჰკიდია ფოტო, რომელზეც ნაგებობა პირვანდელი სახითაა წარმოდგენილი.

აკაკი ხოშტარიას სპარსეთში საქმიანობის შესახებ ძირითადად სამი ავტორი მოგვითხოვთ. მათგან ერთი ჟურნალისტია, ერთიც საბჭოთა უშიშროების რეზიდენტი და ერთიც მაღალი რანგის პარტიული ფუნქციონირები. ასე რომ, რეალობა სამი სხვადასხვა პერსპექტივიდანაა დანახული. თითოეული საინტერესოდ აღწერს ნანახსა თუ გაონილს. მიუხედავად იმისა, რომ სამივე ნარატივის ეპოქის დაღი და სუბიექტივიზმის გავლენა ემჩნევა, მათი შეჯერება განსახილველი საკითხის სხვადასხვა პერსპექტივიდან დანახვის, რეალობის მეტნაკლები სისრულით რეპრეზენტაციის საშუალებას იძლევა.

მივყვეთ თანმიმდევრობით: 1924 წელს ბერლინში გამომავალ რუსულ ემიგრანტულ გაზეთში „Руль“ დაიბეჭდა სტატია სათაურით „ლომისა და მზის ქვეყანაში“, რომლის დიდი ნაწილი აკაკი ხოშტარიას ეძღვნება. ეს სტატია საქართველოში თითქოს ნაცნობია, - ის არაერთ პუბლიკაციაშია მოხსენიებული, მაგრამ დამახინჯებულია ჟურნალისტის გვარი და არ არის მითითება გაზეთის თარიღსა და ნომერზე.

<sup>1</sup> ჟურნ. „სამშობლო“, პარიზი, 1931, № 9-10, გვ. 49.

<sup>2</sup> გ. ლობჟანიძე, აკაკი ხოშტარია დღეისთვისაც კი მისაბამი ბიზნესმენი. [https://www.gfsis.org/files/my-world/25/\\_3.pdf](https://www.gfsis.org/files/my-world/25/_3.pdf).

<sup>3</sup> <https://investinfra.ru/frontend/images/files/izdaniya/kontsessii-izmenivshie-mir/glava-3-prirodnye-resursy.pdf>

<sup>4</sup> <https://www.marketer.ge/akaki-khoshtaria-namdvili-qartveli-milioneri/>

<sup>5</sup> <https://www.marketer.ge/akaki-khoshtaria-namdvili-qartveli-milioneri/>

<sup>6</sup> თ. ცეცხლაშვილი, ბათუმის ბუღარი, ბათუმი, 2019, გვ. 164.

<sup>7</sup> ეპოქის სახელები. აკაკი ხოშტარია. <https://www.myvideo.ge/v/3082297>

რუსი უურნალისტის სახელი და გვარია ვლადიმირ ნელლინი და არა ვლადიმირ ნენგინის ან ალექსანდრე ნელინი, როგორც ეს შეცდომით სხვადასხვა ნაშრომში გვხვდება,<sup>1</sup> სტატია კი 1924 წლის 12 იანვარს, ხსენებული გაზეთის 943-ე ნომერში გამოქვეყნდა,<sup>2</sup> რაც აქამდე და-მოწმებული არ ყოფილა.

აკაკი ხოშტარიას შესახებ თავის წიგნში „OGPU: The Russian Secret Terror“<sup>3</sup> საუბრობს გიორგი აგაბეკოვი (ნამდვილი სახელი და გვარია გევორქ არუთუნოვი) - სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის თანამშრომელი და საბჭოთა საგარეო დაზვერვის მაღალჩინო-სანი. იგი 1926-1927 წლებში გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს უცხ-ოური განყოფილების (ИНО ОГПУ) რეზიდენტი იყო სპარსეთში. 1930 წელს საფრანგეთში გა-იქცა, თუმცა საბჭოთა უშიშროების სპეცჯგუფი იქაც მიწვდა და 1937 წელს სიცოცხლეს გამო-ასალმა. აგაბეკოვმა პარიზში, ბერლინსა და მილანში კომუნისტური რეჟიმის მამხილებელი რამ-დენიმე ნაშრომი გამოაქვეყნა, რასაც ირანში ასეულობით საბჭოთა აგენტის დაპატიმრება და ირან-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის გართულება მოჰყვა.

მესამე ავტორია ბორის ბაჟანოვი - 1923-1927 წლებში სტალინის თანაშემწე პოლიტბიუ-როში, რომელიც შემდეგ სპარსეთიდან საფრანგეთში გაიპარა და ემიგრაციაში დარჩა. მან 1930 წელს, პარიზში, ფრანგულად, მემუარების წიგნი „სტალინის ყოფილი მდივნის მოვონებები“ გა-მოაქვეყნა. ნაშრომი რამდენიმე ენაზე ითარგმნა, მრავალ ქვეყანაში, მათ შორის რუსეთშიც, გა-მოიცა და დიდი გამოხმაურება გამოიწვია.

ამ ავტორთა მონათხრობისა და სხვა მასალების შეჯერებით, ასეთი სურათი იხატება: რუ-სეთში საბჭოთა წყობილების დამყარებისა და ბოლშევკიურ ორბიტაში საქართველოს მოქცევის შემდეგ, აკაკი ხოშტარიას მდგომარეობა სპარსეთში გართულდა, რადგან საბჭოთა ნაციონალიზა-ციის სუსნი მას ამ ქვეყანაშიც შეეხო. ხოშტარიას საკუთრების დიდი ნაწილი არა მხოლოდ სა-ქართველოში, არამედ სპარსეთშიც ნაციონალიზებულ იქნა. რუსეთ-სპარსეთის 1921 წელს ხელ-შეკრულების თანახმად, სპარსეთში რუსეთის მოქალაქეებს კონცესიები, ბანკები და სხვა ქონება ჩამოართვეს და შაპის ხელისუფლებას დაუბრუქნეს.

მეფის მთავრობის დროს, სპარსეთში მოქმედი რუსულ-სპარსული გამსესხებულ-გამნაღდებე-ლი ბანკის ერთ-ერთი მსხვილი აქციონერი იყო აკაკი ხოშტარია. ხელისუფლებაში ბოლშევკე-ბის მოსვლის შემდეგ, 1921 წლისათვის ბანკის ფუნცქიონირება შეჩერდა, მაგრამ როგორც კი საბჭოთა რუსეთში ახალი ეკონომიკური პოლიტიკა ამოქმედდა, სპარსეთთან თითქმის ყველა კო-მერციული ოპერაცია ამ ბანკის გავლით ხორციელდებოდა.<sup>4</sup> თავისი ერთგული ადამიანის, თეი-რანში საბჭოთა საგაჭრო წარმომადგენლის ბუდუ მდივნის მეშვეობით, ბანკის ერთ-ერთი მსხვი-ლი აქციონერი ხდება აკაკი ხოშტარია, რომელიც მაღლე მის ფაქტობრივ მფლობელად მოგვევ-ლინა.

ბუდუ მდივნისავე თანადგომით, ხოშტარიამ მოსკოვში ახლო ურთიერთობა დაამყარა გიორ-გი პიატაკოვთან, რომელიც იმ დროს კონცესიების მთავარი კომიტეტის ხელმძღვანელი და სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადილე იყო, შემდეგ კი სახელმწიფო ბანკის დირექტორის თანამდებობა ეკავა.

სწორედ პიატაკოვის დამსახურება იყო, რომ რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბი-ურომ 1923 წლის 1 მარტს განიხილა მოქალაქე აკაკი ხოშტარიასთან ხელშეკრულების გაფორ-

<sup>1</sup> [https://www.gfsis.org/files/my-world/25/\\_3.pdf](https://www.gfsis.org/files/my-world/25/_3.pdf)

<https://www.marketer.ge/akaki-khoshtaria-namdvili-qartveli-milioneri/>

[http://nlr.ru/res/inv/ukazat55/record\\_full.php?record\\_ID=142133](http://nlr.ru/res/inv/ukazat55/record_full.php?record_ID=142133)

<sup>2</sup> [http://nlr.ru/res/inv/ukazat55/record\\_full.php?record\\_ID=142133](http://nlr.ru/res/inv/ukazat55/record_full.php?record_ID=142133)

<sup>3</sup> წიგნი რუსულ ენაზე სახელწოდებით „სტალინის საიდუმლო ტერორი. რეზიდენტის აღსარება“, 2013 წელს მოსკოვშიც გამოქვეყნდა.

<sup>4</sup> Б. Бажанов, Воспоминания бывшего секретаря Сталина, СПб., 1992.

<http://xxl3.ru/krasnie/bajanov/bajanov6.htm#g116>

მების საკითხი და დადგინა: „ა) მიზანშეწონილად ჩაითვალოს ხოშტარიასთან ხელშეკრულების დადგება იმ საფუძველზე, რასაც ამხანაგი პიატაკოვი აცხადებს“.<sup>1</sup>

1923 წელს (ზოგიერთი ცნობით, 1925 წელს) აკაკი ხოშტარიამ დაიბრუნა ნავთობის ექ-სპლუატაციის თავისი 70 წლიანი კონცესია სპარსეთის ქალაქ სემნანში და დააარსა კომპანია „ქავირე ჰურიან“. ამ კომპანიის დიდი ნაწილი თვითონ აკაკის, ნაწილი სხვებს, მათ შორის ირა-ნელებსა და საბჭოთა მთავრობასაც ეკუთვნოდა, რადგან მაშინდელი საბჭოეთი თავის მოქალაქე-ებს არ აძლევდა უფლებას ისე მიეღოთ მონაწილეობა სპარსეთის კონცესიებში, რომ იქიდან გარკვეული წილი თვითონ არ დარჩენოდა.

მალე აქციების საკონტროლო პაკეტი (64 პროცენტი) საბჭოთა სახელმწიფოს ხელში გა-დავიდა, ხოშტარიას 20 პროცენტი დარჩა, დანარჩენს სპარსეთის გავლენიანი პირები, მათ შო-რის რეზა-შაჰ ფეჰლევი, მისი მინისტრები და სხვები ფლობდნენ. ხოშტარია კომპანიის შპარ-თველთა საბჭოს წევრიც იყო.<sup>2</sup>

საბჭოთა მთავრობამ აკაკი ხოშტარიასაგან სემნანის ნავთობსაბადოებზე მისი უფლება შე-ისყიდა, მაგრამ გამოირკვა, რომ ეს უფლება სადაცო იყო. ნავთობის ისტორიის ცნობილი მკვლევრის მ. მორტონის ცნობით, ხოშტარიას კონცესიის დამადასტურებელი დოკუმენტის ორი-გინალი არ აღმოაჩნდა.<sup>3</sup> პრობლემის მოსაგვარებლად კრემლმა ხოშტარიას მეშვეობით, სპარსე-თის ხელისუფლების წარმომადგენლების, და მათ შორის, სასახლის მინისტრის თეიმურთაშის<sup>4</sup> მოქრთამვა გადაწყვიტა.

რუსეთის ფედერაციის სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის სახელმწიფო არქივში დაცული ერთ-ერთი დოკუმენტი ამ ფაქტის უტყუარობაში გვარწმუნებს. სპარსეთში საბჭოთა საელჩოს პასუხისმგებელი თანამშრომლის ა. ბობროვის მიერ მოსკოვში გაგზავნილ წერილში აღნიშნუ-ლია: საბჭოთა-სპარსული საზოგადოების (იგულისხმება კომპანია „ქავირე ჰურიან“, - ო. ჯ.) ორგანიზაციისა და რეგისტრაციისათვის ჩვენ გამოვიყენეთ მოქალაქე ხოშტარია, რომლის ძა-ლისხმევით, დამფუძნებელთა რიგებში მოვიზიდეთ თანამედროვე სპარსეთის გავლენიან პირთა ფართო წრე: „დავარი - საზოგადოებრივ საქმეთა მინისტრი, რომელიც უწყისით ყოველთვიურად იღებს ჩვენგან 300 თუმანს და მომავალში მიიღებს კომპანიის 100 ათასი თუმნის აქციებს; თეი-მურთაში - სასახლის მინისტრი, რომელმაც წესდების რეგისტრაციისთვის მიიღო 30 ათასი თუმანი და მომავალში უნდა მიიღოს კომპანიის 100 ათასი თუმნის აქციები; თედაონი - მეჯ-ლისის თაგმჯდომარე, მიიღო „საჩუქრათ“ 25 ათასი თუმანი და მომავალში მიიღებს 100 ათასი თუმნის აქციებს; ფატემი - თუსტიციის მინისტრი, რომელიც მომავალში მიიღებს 100 ათასი თუმნის აქციებს.

„მისმა უდიდებულესობაში“ სპარსეთის შაჰმა უკვე მიიღო ლუი XIV-ის სტილის საძინებე-ლი, 50 ათას თუმნად შეფასებული მარმარილოს იტალიური ნაწარმი და მომავალში მიიღებს 25 ათასი თუმნის აქციებს“.<sup>5</sup>

აკაკი ხოშტარიას რომ რეზა-შაჰისთვის ძვირფასი ძლვენი მიურთმევია, ამას სხვა წყაროც მოწმობს. ქართველი მწერალი და სპარსულიდან ქართულ ენაზე არაერთი წიგნის მთარგმნელი ამბაკო ჭელიძე, რომელიც იმხანად თეირანში იმყოფებოდა, წერს: აკაკი ხოშტარიამ შაჰად კურ-

<sup>1</sup> Российский государственный архив социальнойно-политической историии (РГАСПИ), ф. 17, оп. 3, д. 338, л. 3. მასალის მოწმებისათვის მაღლობის ვუხდი პროფესიონი. ა დაუშვილს.

<sup>2</sup> <https://interaffairs.ru/paged/show/lukoil/sixteen>

<sup>3</sup> Michael Quentin Morton, The Khoshtaria Concessions: Oil and the Northern Provinces of Iran. <https://www.geoexpro.com/articles/2020/10/the-khoshtaria-concessions-oil-and-the-northern-provinces-of-iran>

<sup>4</sup> თემურთაშ აბდოლჰასეინი - ირანის გავლენიანი სახელმწიფო მოღვაწე. 1933 წელს დააპატიმრეს და სიკვდილით დასაჯეს საბჭოების სასარგებლოდ შპიონაჟის ბრლადებით (სხვა ცნობით, ის გურგვევილ ვითარებაში ციხეში გარდაიცვალა).

<sup>5</sup> В. Косторниченко, Иностранный капитал в Советской нефтяной промышленности (1918-1932 гг.), Диссертация на соискание степени доктора экономических наук, М., 2001, с. 215.

თხევის დღეებში რეზა-შაპს იტალიური ხელოვნების ძვირფასი მარმარილოს ქანდაკებები უსახ-სოვრა. შაპმა ქართველ კომერსანტს მადლობა გადაუხადა და დასძინა: „მე ჯერ ისეთი სასახლე არა მაქვს, რომ ასეთი ძვირფასი ნივთები დაგალაგო, მალე ავაშენებ ახალ სასახლეს და როდე-საც ამ ქანდაკებებს შიგ მოვათავსებ, ნადიმზე შენც დაგპატიუებო“<sup>1</sup>.

სპარსეთის მაღალჩინოსანი ოფიციალური პირების მოქროთამვის ფაქტს გ. ავაბეკოვიც ადას-ტურებს, მაგრამ ხაზს უსვამს: „ეჭვი მეპარება, რომ მინისტრებს ეს ფული ენახათ, ისევე რო-გორც სხვა დანარჩენი, რადგანაც ისიც ხოშტარიამ ჩაიჯიდა“<sup>2</sup>.

განსხვავებულია გ. ბაჟენოვის გერსია, რომლის მიხედვით: რევოლუციამდე სპარსეთში არ-სებულ რუსულ-სპარსული ბანკის შეიარაღებულ დაცვაში, გადმოცემით, მსახურობდა სპარსეთის მომავალი შაპი რეზა ფეხულევი. ბოლშევიკური რევოლუციის შემდეგ, ბანკი ჩაკვდა, მაგრამ ნებ-ის დაწყებისთანავე სპარსეთთან ვაჭრობა განახლდა, რომელიც პრაქტიკულად ამ ბანკს ჰქონდა მონობოლიზებული. ბანკის სათავეში იდგა ვინმე ხოშტარია, რომელმაც საბჭოეთთან ძალიან კარგი ურთიერთობა დაამყარა. ის ხშირად ჩადიოდა მოსკოვში სახელმწიფო ბანკის დირექტორ პიატაკოვთან. ერთ-ერთი ვიზიტისას ხოშტარიამ პიატაკოვს ჰქითხა: „ხომ არ სურს თქვენს ხე-ლისუფლებას რომ სპარსეთის მთავრობის ყველაზე ცნობილი და გავლენიანი მინისტრი, თანაც შაპის პირადი მეგობარი, გახდეს თქვენი აგენტი, რა თქმა უნდა, სოლიდური ქრთამის სანაც-ვლოდ?“ პიატაკოვს იდეა მოეწონა და გარიგების პირობებით დაინტერესდა. ხოშტარიამ დაასა-ხელა ასეთი თანამშრომლობისათვის საჭირო თანხა, ამასთან, მოითხოვა, რომ პიატაკოვისა და პოლიტბიუროს გარდა ეს არავის ცოდნოდა (ჩანს, იგი აშკარად ცუდად იყო ინფორმირებული საბჭოთა ხელისუფლების რეალური მექანიზმის შესახებო, - წერს გ. ბაჟენოვი).

პოლიტბიურო დათანხმდა ხოშტარიას წინადადებასა და პირობებს: გ. ბაჟენოვი წერს, რომ საქმის კურსში იყვნენ პოლიტბიუროს წევრები, პიატაკოვი და თვითონ, როგორც პოლიტ-ბიუროს მდივანი. სასახლის მინისტრი თეიმურთაში, შაპის პირადი მეგობარი, გახდა მოსკოვის აგენტი და ძალზე გამდიდრდა, რადგან მას გადაუხადეს მოხერხებული კომბინაციით.

მოსკოვი თეიმურთაში წვრილმანების გამო არ აწუხებდა. ის კრემლს ინფორმაციას მხო-ლოდ სპარსეთის მთავრობის ყველაზე მნიშვნელოვან და ფუნდამენტურ პოლიტიკურ საკითხებზე აწვდიდა.<sup>3</sup> თეიმურთაში წლების განმავლობაში აქტიურად იცავდა მოსკოვის პოზიციას სპარ-სეთში და, მათ შორის, „ქავირე ჰურიად“-ის საქმეშიც.<sup>4</sup>

ახლა უურნალისტ ვ. ნელლინის მონათხრობსაც გავეცნოთ. მისი სიტყვებით, სპარსეთის პორიზონტზე ხელახლა გამოჩენილი „სპარსეთის ნამდვილი, მაგრამ უგვირგვინო შაპი“ აკაკი ხოშტარია, როგორც ობობა, თავისი ფოლადის საცეცებით მოიცავს „პერსლეს“, „პერსბანკს“, „პერსრისს“ და სხვა დაწესებულებებს.

„არაჩვეულებრივი ნებისყოფისა და ასეთივე ენერგიის მქონე ეს ადამიანი“ პირველი მსოფ-ლიო ომის დროს იმენს მთელ რიგ კონცესიებს სპარსეთში, გაჰყავს იქ რკინიგზა, აყალიბებს სააქციონერო საზოგადოებას, თუმცა სრულიად გაკოტრებული, გარევეული დროით თვალთახედ-ვიდან გაქრება. შემდეგ, როგორც ფიგარო, ხან სად გაჩნდება და ხან სად - ზოგჯერ საკუთარი მატარებლით საკუთარ რკინიგზაზე, ზოგჯერაც სპარსეთის ტყეებში გაუჩინარდება.

თავისი ხარჯით ინახავს მთელ საქართველოს რესპუბლიკას მთავრობით სათავეში, მაგრამ უკვე კონსტანტინოპოლიში ვერ ახერხებს გაისტუმროს კრედიტორები. გამართავს ბანკებს თურ-ქეთსა და ევროპაში, - გაკოტრდება, კვლავ გაქრება და მერე კონცესიებით ჯიბეში ისევ ამო-ტივტივდება თეირანში.

ახლა მას საბჭოთა მთავრობისაგან მონობოლია აქვს სპარსეთიდან ბრინჯისა და მატყლის გატანაზე. აღადგინა გამსესხებულ-გამნაღდებული ბანკი (ცხადია, სხვა სახელწოდებით). მიიღო

<sup>1</sup> ა. ჭელიძე, ექვსი წელი სპარსეთში, თბ., 1964, გვ. 41.

<sup>2</sup> Г. Агабеков, Секретный террор Сталина, М., 1998. с. 147.

<sup>3</sup> Б. Бажанов, Воспоминания бывшего секретаря Сталина. <http://xxl3.ru/krasnie/bajanov/bajanov6.htm#g116>

<sup>4</sup> Т. Хрулева, Дорога на Тегеран. Часть третья. <https://www.rosbalt.ru/main/2011/01/16/808995.html>

რა საბჭოთა მოქალაქეობა, მან ბოლოსდაბოლოს სპარსეთის სახით იპოვა აღთქმული ქვეყანა, სადაც, მისი აზრით, რევოლუციებს არა აქვთ მომავალი და შეუდგა შემოქმედებით საქმიანობას.

ბოლო წლებში თავის განუყრელ თანამგზავრთან, სპართალმცოდნე, პუშკინის შვილიშვილ, სპარსეთზე შეუგარებულ და მისი ენის სრულყოფილად მცოდნე ჰანიბალთან<sup>1</sup> ერთად, ხოშტარია თეირანში აღმართავს თავის დროშას. იგი თვითონ უძღვება საკუთარ საწარმოებს და რომ ჰქონდეს ათიოდე საბჭოთა პასპორტი, ისეთივე ძვირფას სასახლეს აიგებდა თეირანში, როგორიც მას ამას წინათ ბოლშევიკებმა წაართვეს თბილისში.

ხოშტარია სპარსეთში ახლა ერთადერთი მოგონებალაა რუსეთზე. საბჭოთა გულმოწყალე დეკრეტების წყალობით იქ აღარაფერი დარჩა რუსული. ...თეთრი რუსები სპარსეთში თითქმის არ არიან. ...წითლები გახდნენ ყველანი, ვინც იმედოვნებს შეთბეს ხოშატარიას „პერსლესის“, „პერსბანკისა“ და სხვათა მახლობლად”<sup>2</sup>.

გ. აგაბეკოვის მიხედვით, აკაკი ხოშტარია თეირანში საბჭოთა საელჩოსათვის შეუცვლელი პირი, ფინანსურ და სავაჭრო საკითხებში მისი მთავარი მრჩეველი გამხდარა. ხოშტარიამ რუსულ-სპარსულ ბანკში, რომელიც ფაქტობრივად მიისაკუთრა, დიდი თანხა დააგროვა. შემდეგ ის თავისი ტყის ნაკვეთებისა და სახერხი ქარხნის საბჭოთა მთავრობისათვის მიყიდვას შეეცადა და მტკიცებულებად მოქმედი ქარხნის ფოტოსურათი წარმოადგინა. კომისიამ, რომელიც ტყის შესამოწმებლად გაიგზავნა, საფუძვლიანი ჩხერების მიუხედავად, ქარხანა ვერ იპოვა. როგორც შემდეგ გაირკვა, ხოშტარიამ ტყეში მილი აღამართვინა, მერე ქვეშ ცეცხლი შეუნთო და, როდესაც მიღმი კვამლი ამოვიდა, „სახერხი ქარხნის“ ფოტო გამოაცხო.

საბჭოთა მთავრობა დიდად დაინტერესდა სემხანის ნავთობით, მაგრამ საძიებო სამუშაოები-სა და ექსპლუატაციისათვის აუცილებელი კაპიტალის უქონლობის გამო, მოლაპარაკება ფრანგულ ფინანსურ წრეებთან დაიწყო. მოსკოვს სურდა საკონტროლო პაკეტი თვითონ ჰქონოდა, მაგრამ არ გამოვიდა, რადგან ფრანგებს შეთავაზებული წილი ეცოტავათ. გამოსავლად ხოშტარიას განკარგულებაში არსებული აქციების წართმევა მიიჩნიეს, თუმცა მრეწველი თავისას იაფად არ თმობდა, საბჭოეთს ევაჭრებოდა და მიანიშნებდა, რომ თუ უარს ეტყოდნენ, აქციებს ბრიტანელებს ან ფრანგებს მიჰყიდდა.<sup>3</sup>

კრემლის მითითების თანახმად, აკაკი ხოშტარიას წინააღმდეგ სპარსეთში საბჭოთა სავაჭრო წარმომადგენელს ბუდუ მდივანს უნდა ემოქმედა, მაგრამ მას ეს არ შეეძლო, რადგან ადრე თვითონ ხოშტარის სამსახურში იყო და მისი დახმარებით სარგებლობდა. ახლა, სავაჭრო წარმომადგენელი რომ გახდა, თავს ვალდებულად თვლიდა, სიკეთეზე სიკეთით ეპასუხა. იგი ყველანაირად იცავდა მეგობარს და ცდილობდა მისთვის ახალი ფინანსური სუბსიდიები გამოენახა.

1927 წლის ბოლოსთვის ხოშტარიამ საბჭოთა მთავრობისგან დაახლოებით ორნახევარი მილიონი მანეთი მიიღო, სანაცვლოდ კი საბჭოეთს არაფერი მისცა. მახსოვს, როგორ აქებდა მდივანი ხოშტარიას, მიხატავდა კოლოსალურ შესაძლებლობებს, რომელიც ჩვენს წინაშე ხოშტარიასთან მეგობრობით გადაიშლებოდა, - აღნიშნავს გ. აგაბეკოვი.

საბჭოთა რეზიდენტს აკაკი ხოშტარიას გადაბირება მოუნდომებია, მისთვის ზოგიერთ ფინანსურ ოპერაციაში ხელშეწყობის სანაცვლოდ. გ. აგაბეკოვი იგონებს, რომ ის ხოშტარიას ბუდუ მდივანის ბინაში შეხვდა და დაახლოებით ორი საათი ესაუბრა. ხოშტარიამ უარი მითხრა - თან თანამშრომლობაზე, იმ მოტივით, რომ ის იყო „ძალიან დიდი ფიგურა“ სპარსეთის საზოგადოებასა და ბიზნეს სამყაროში.

საბჭოთა საელჩომ თეირანში ხოშტარიას მიერ მიყენებული ზარალისა და ახალი შესაძლო ზიანის გათვალისწინებით, გადაწყვიტა რაიმე გზით მისი სსრკ-ში შემოტყუება. ისარგებლებდა

<sup>1</sup> ნიკო ნიკოლაძე ჰანიბალს აკაკი ხოშტარიას ვექილად მოიხსენიებს. იხ. ნ. ნახუცრიშვილი, გ. სანიკიძე, ქართველები თეირანის დულაბის ქრისტიანულ სასაფლაოზე, თბ., 2019, გვ. 35.

<sup>2</sup> გავ. „Руль“, Берлин, 1924 გ., 12 იანვარი.

<sup>3</sup> Г. Агабеков, Секретный террор Сталина, М., 1998. с. 147.

რა იმით, რომ ხოშტარია საბჭოთა კავშირის მოქალაქეა, მოსკოვი, რა თქმა უნდა, მას უკან აღარ გაუშვებდა და გაუსწორდებოდა. მზადება თანდათანობით დაიწყო. ხოშტარია დაარწმუნეს წასულიყო მოსკოვში მის მიერ წამოჭრილი საკითხების საბოლოოდ გადასაჭრელად, მაგრამ მან საფრთხე იგრძნო ან საბჭოთა სავაჭრო წარმომადგენლის მდივნის მიერ გაფრთხილებული, გამგზავრებას არ ჩეარობდა. მას შემდეგ, რაც მდივანი სპარსეთიდან გაიწვიეს, ხოშტარიამ საერთოდ უარი თქვა სსრკ-ში წასვლაზე და ავადმყოფობის მომიზებით, საბჭოეთის გვერდის ავლით, პარიზში გაემგზავრა.<sup>1</sup>

არსებობს კიდევ ერთი საინტერესო პუბლიკაცია, რომელშიც აღნიშნულია: ოცნებობდა რა კვლავ გამხდარიყო მსხვილი ბიზნესის ხელმძღვანელი, აკაკი ხოშტარიამ საბჭოთა ოფიციალურ პირებთან კონტაქტების ძიება დაიწყო. საბჭოთა მთავრობის კულუარებში იგი მისმა ყოფილმა ნაცნობმა, ქართველმა ბოლშევიკმა ბუდუ მდივანმა შეიყვანა. მრეწველს მანვე გააცნო საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარი ლ. კრასინი და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის პასუხისმგებელი მუშაკი ბ. სტომონიაკოვი.

1925 წელს პოლიტბიურომ ჩრდილოეთ სპარსეთში შერეული საბჭოთა და სპარსული ნაგ-თობის საზოგადოების ჩამოყალიბება გადაწყვიტა. ნავთობის მოპოვების გარდა, საზოგადოების მეშვეობით, ამ სტრატეგიულად მნიშვნელოვან რეგიონში ბრიტანული კაპიტალის აღკვეთაც იგეგმებოდა.<sup>2</sup>

საბჭოთა საელჩომ ხოშტარიასაგან იყიდა ფირმანები,<sup>3</sup> რომელთაგან ერთი, სავარაუდოდ, 4,5 მილიონ თუმნად შეფასებული, ახლად შექმნილ კომპანია „ქავირე ჰურიან ლიმიტედ“-ის საწესდებო კაპიტალში ჩაირიცხა, სადაც თვით ხოშტარიამ და რუსეთ-სპარსეთის ბანკმა 250 ათასი თუმანი შეიტანეს.

საბჭოთა კავშირთან თავიანთი ქვეყნის დაახლოების მოწინააღმდეგები სპარსეთის მთავრობაში მოითხოვდნენ ცალკე შეთანხმების დადებას „ქავირე ჰურიან“-ის კონცესიებზე. ამიტომ, 1920-იანი წლების ბოლოს, მოსკოვში გადაწყდა უცხოური, კერძოდ, ფრანგული კაპიტალის მოზიდვა კომპანიის დასაფინანსებლად და ხოშტარიასგან წილების შესაძნად. ამ პროექტისადმი ყველაზე მეტი დაინტერესება ფრანგულმა კომპანია „პეტროფინმა“ გამოხატა.<sup>4</sup> განიხილებოდა აქციების გადანაწილების სხვადასხვა ვარიანტი, მაგრამ ხოშტარიასა და სპარსული მხარის წინააღმდეგობის გამო, ეს წამოწყება ვერ განხორციელდა. საქმეში შუამავლობა ნავთობის მსხვილმა მაგნატმა, „კულუარულ მოლაპარაკებათა და ფარული გარიგებების სპეციალისტმა“ ჰალუსტ გულბეკიანმაც სცადა.<sup>5</sup> მან წინადადება წამოაყენა, შეექმნათ რუსულ-ფრანგულ-სპარსული ერთობლივი კომპანია მისი მონაწილეობით, თუმცა მხარდაჭერა ვერც ამ პროექტმა ჰპოვა.

საბჭოთა მხარემ სპარსეთსა და საფრანგეთთან ერთად თანაბარი სამმხრივი მონაწილეობის იდეაც მოსინჯა. 1929 წლის თებერვალში მოსკოვში ასეთი შეხვედრაც შედგა, მაგრამ შეთანხმება ვერ მოხერხდა. ერთი წლის შემდეგ ფრანგებმა სსრკ-ს გვერდის ავლით ჩრდილოეთ სპარსეთის ნავთობის შესახებ შაპის მთავრობასთან მოლაპარაკება წამოიწყეს, თუმცა უშედეგოდ.

დავა „ქავირე ჰურიან“-ის ირგვლივ მრავალ წელს გაგრძელდა. მის გადაწყვეტას ხელი თიმერთაშის ტრაგიკულმა ხვედრმა და ხოშტარიას ნაადრევმა სიკვდილმა შეუშალა.<sup>6</sup> აკაკი ხოშტარიას გარდაცვალების (1931 წ.) შემდეგ მისი წილი ავტომატურად სპარსეთის მთავრობამ დაისაკუთრა.

<sup>1</sup> Г. Агабеков, Секретный террор Сталина, М., 1998. с.148.

<sup>2</sup> Нефть России в XXI веке. <https://interaffairs.ru/paged/show/lukoil/sixteen>

<sup>3</sup> ფირმაბი - აქ, ირანის შაპის ბრძანებულება.

<sup>4</sup> Т. Хрулева, Дорога на Тегеран. Часть третья. <https://www.rosbalt.ru/main/2011/01/16/808995.html>

<sup>5</sup> Керосиновые войны-2. <https://www.kommersant.ru/doc/425038>

<sup>6</sup> Michael Quentin Morton, The Khoshtaria Concessions: Oil and the Northern Provinces of Iran. <https://www.geoexpro.com/articles/2020/10/the-khoshtaria-concessions-oil-and-the-northern-provinces-of-iran>

სხვათა შორის, ჯერ კიდევ 20-იანი წლების პირველ ნახევარში, როდესაც აკაკი ხოშტარიას სპარსული კონცესიების შესყიდვას ინგლისელები აპირებდნენ, ამ საკითხით საქართველოს ემიგრირებული მთავრობაც დაინტერესებულა: ნოე უორდანია აკაკი ჩხენგელს წერდა: „მე სადღაც წავიკითხე, რომ ხოშტარიას სპარსეთის კონცესია ინგლისელებმა შეისყიდეს და მოსკოვთან აწარმოებენ მოლაპარაკებას კავკასიის გზით ამ კონცესიის ექსპლუატაცია მოახდინონ შეერთებულად. საქართველოს საკითხი თუ იქნება მოგვარებული, საჭიროა ამ ამბის კარგად გაგება“.<sup>1</sup> ინტერესი ბუნებრივი იყო, მაგრამ ამ საქმეს, როგორც აღინიშნა, ისეთი გაგრძელება აღარ მიეცა, რომელიც საქართველოსათვისაც რაიმე მხრივ სასარგებლო იქნებოდა.

*Otar Janelidze*  
*Gori State Teaching University*  
**AKAKI KHOSHTARIA'S PERSIAN CONCESSIONS**  
**RESUME**

The article studies the activities of the famous Georgian industrialist, businessman, financier, and philanthropist Akaki Khoshtaria in Persia, where he owned various concessions. The most important of them - oil concessions - are included in the list of concessions that 'changed the world'.

Besides the archival materials, the paper relies on references by three authors, one of whom is a journalist, the second is a Soviet security resident, and the third is a high-ranking Communist Party member. The juxtaposition of their narratives allows them to see the issue from different points of view and gives a more or less complete representation of reality.

These authors are Vladimir Nellin, a correspondent for the Berlin-based newspaper of Russian emigration the 'Руль', Georgy Agabekov a high-ranking Soviet foreign intelligence officer, and Boris Bazhanov, Stalin's assistant in the Politburo.

After the establishment of Soviet rule in Russia and Georgia, most of Akaki Khoshtaria's property was nationalized in Persia as well. Since 1921, after the launch of the NEP, Akaki Khoshtaria has largely regained control over his own Russian-Persian credit bank in Persia. Shortly after he returned back his oil concession in the Persian city of Semnan and founded the 'Kavir-i-Khourian company'. Resumed forest exploitation, rice and wool trade, etc.

The Soviet government wanted to seize Akaki Khoshtaria's oil concessions, but, managed to buy only a part of them during the life of the industrialist. Renowned international oil corporations have also shown great interest in these concessions. After the death of Khoshtaria, his share of the concession passed to the Persian government.

---

<sup>1</sup> ა. მენთეშაშვილი, საქართველო უცხოეთის არქივებში, გაზ. „კომუნისტი“, 1989 წ., 15 აგვისტო.